მიმატებული ტაეპების მიხედვით ეს ხელნაწერი უახლოვდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერებს №№—2829, 4492, 4732 და 5006 და საინტორო და საეთნოგრაფიო საზოგადოების №№—54, 461, 757. არის ტექსტის რამდენიმე სათაური, რომელნიც სხვებში არ გვხვდება. მაგალითად, შემდეგ 385 ტაეპისა: „ამბავი ტარიელისა ხატავეთს წასვლისა და გამარჯვება“, შემდეგ 630 ტაეპისა: „ავთანდილისაგან დაბრუნება თავის ქალმწიფესთან“. შემდეგ 914 ტაეპისა: „აქა ავთანდილ ვარსკულავე ეუბნების თავის გუნებაში“. აქას ქვემოთ შეიღსავე ტაეპს აქვს სათაური. მაჩვენებელი, თუ რომელი ვარსკულავი რის ეტლს წარმოადგენს. 438 ტაეპის შემდეგ წითლურით შენიშვნა არის: „აქა ასმათისაგან ტარიელის წინ სამხრის მორთვეა“. 823 ტაეპის შემდეგ. „პოვნა ავთანდილისაგან ტარიელის საწოლად მდებარისა“. 1285—1289 ტაეპები 1294 ტაეპის შემდეგ არის მოქცეული. 1351 ტაეპის შემდეგ: „თათობირი და რჩევა ტარიელისა და კიდეც გათავება რჩევისა“. 1364 ტაეპის შემდეგ: „აქა ომი ქაჯეთისა ფიცხელი და საკვირველი“. 1377 ტაეპის შემდეგ: „წიგნი ტარიელისა ზღვათა მეფის წინაშე გაგზავნილი“. 1397 ტაეპის შემდეგ: „წასვლა ფრიდონისას სამთავანვე მხიარულად. ხელნაწერში არ არის ტაეპები: 152, 231, 795, 935, 1004, 1018. ტაეპების რიგი ზოგჯერ შეცვლილია. მაგალითად, ერთმანეთს მისდევენ 1001, 1006, 1002, 1002¹, 1008, 1009, 1003, 1005, 1007, 1010 ტაეპები.

1608 ტაეპს ჩვენს ხელნაწერში აქვს მიმატებული პარალელი. რომელიც ს. კაკაბაძის გამოცემაში არ არის.

ფრიდონცა არის თავისა მორუმული შვებით ხარებით,
მტერთა საშვიო, ერთგულთა მოსაქმრად დაუხარებით.
მათ შმათა ამბის საკითხი არ გაწყდის კაცი კარებით,
და გასცემდის ოქრო გუარსა, ლარს ნურვინ დაეკარებით.

ვარიანტები სიტყვებში და ლექსებში მრავალია, ზოგი—საყურადღებო, ზოგი—უმნიშვნელო, მაგრამ აქ აღენიშნავე მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს: პირველი მოზრდილი ციფრი უჩვენებს ტაეპს, პატარა ციფრი ტაეპის ლექსს. ჯერ მოყვანილი იქნება დაბეჭდილი ტექსტი. შემდეგ ხელნაწერისა.

138₃ ქმარი არ მინდა უშენოდ მამხუდეს ხისაცა რგულისა.
ქმარი არ მინდა უშენო ხე მამხუდეს ედემს რგულისა.

145₁ განალა ლომსა იმედი დაგედვას რაცა მისადა,
განა აქუს ლომსა იმედი, დაგედვას რაცა მზისადა.

153₄ შემოდესა ყუელაკასა ვითა ცვილსა დააღწობდეს.
კაცსა მისსა შემცილესა ვითა ცვილსა დააღწობდეს.

159₁ შერმადინ უთხარა: მართალ ხართ, ნუ ცრემლსა თულათთ დამიწოდეთ,
შერმადინ თქუა: დიდებულნო. მართალ ხართ, თუ ცრემლსა ღერიდეთ.

452₂ არ შეგმოსო. მაგა კაბათა არ აგვლით.—ტურფად გშუენიან.
არ შეგმოს სხუასა კაბასა. არ აგვლი. ტურფად გშუენიან.

529₂ ერთი ღა მე ვარ შენიკუილრე: ყუელი თქუენ მოგვლომიო.
ერთი ღამე მე ვარ შენიკუილრე, წინაშე თქუენი მდგომიო.

529₄ სამართლით ტახტი უჩემოდ არაეის მისაგლომიო,
უშენოდ ტახტი აქამდის არაეის არ მისგლომიო.

545₃ მათ კიღობანი მოქონდა, ეუბნეს არ აჯებითა,
მათ კიღობანი მოქონდა, ებურნეს არა ჯებითა.

558₃ უთხარ: „დადეგ, გამიგონე, შენი საქმე მეცა მინა“.
უთხარ: „დადეგ, მომიცადე, თქუენი ნახუა მეცა მინა“.

633₃ სისხლსა. მისგან დადენილსა, მჭეცი ყოვლი გააგლოკლა.
სისხლი მისგან დადენილი მჭეცმან ყოვლმან გააგლოკლა.

649₂ მზე თუ ვთქუა მგზავსი მისი და ანუ მისისა სახისა.
იგია ჩემი სიტყვებუ. ჩემი მომცემი ახისა.

691₁ სიხარულსა მისგან ძებნად სრულ პატიყთა მოსთულის ჳირსა,
პირველ მისგან ძებნად მისდა პატიყსა და მოსთულის ჳირსა.

674₄ მის მოყურისა მოშორება კულავ აბინდებს, არ აღრლებს,
მოყურისა მოშორება აჩრდილებს და კულავს აბინდებს.

752₂ ვინ არს ძალთა მეცნიერი, შემწე ყოვლთა მიწიერთად,
ვის აქუს ძალი უხილავი, შემწე ყოვლთა მეცნიერთა.

1045₄ რათამცა ვით ეპოებ, მას ვიქ, გულმან სხუამცა რა ისმინა,
რითაც ვით სჯობს, ამით ეპოებ, გულმან მეთი რა ისმინა.

- 1119₂ კულაე შესუეს და კულაე აიუსეს სხუა ფარჩნი და სხუა კიქანი,
 აუესეს და კულაე დალიენა სხუა ფარჩნი და სხუა კიქანი.
- 1206₁ ავთანდილ მალვით ცრემლისა წუავს დენად სისხლ ნართავისად,
 ავთანდილ მალვით ცრემლსა წვეთს სისხლისა შესართავისად.

მე-1460 ტაეპი ასეა მოყვანილი:

- ისია ჩემი გამზრდელი და თქუნად მოგებებული,
 იქი ვერ მოვალ, მრცხუენიან, გულსა საჭმილი დებულო,
 ჩემდა არაკად სულდგმული კაცი არ დაბადებული,
 და რასაცა მიზამთ, თქუენ იცით, ფრიდონ თქუნთანა ხლებული.
- 1162₄ შვილთა, ღმერთო, დამაჰმევედა, დამჰოლევედა მერმე ქუითა,
 შვილთა კბილით დამაჰმევედა, დამჰოლევედა მერმე ქუითა.
- 1231₄ მზისა შუქი მოიცადე, ვარლო, ადრე ნუ დასქენები,
 მოიცადე, მზისა შუქო, ვარლო, ადრე ნუ დასქენები.
- 1232₄ იკითხავს, სულ თქუემს, უსტარსა ალტობს ცრემლითა ცხელითა,
 იკითხავს, ალტობს უსტარსა ჭალი ცრემლითა ცხელითა.
- 1357₃ ერთმანერთსა ელაღობნეს ლაღობათა მათთა მშუენთა,
 ერთმანერთსა ელაღობნეს საუბართა მათთა ფერთა.
- 1395₁ ზღუათა მეფესა ეტყოდეს:—სამნივე ერთგან მეფენი,
 ზღუათა მეფესა ეტყოდენ ორნივე შუქთა მფენანი.
- 1401₄ აწ გაუსრულა ყოველი მან მისი ნაერთგულები,
 აწ გაუსრულდა ყოველი მან მისი ნაერთგულები.
- 1419₄ ვითა დამივსო საჭმილი, ეგრევე მისიცა კმა დება,
 ვით მე დამივსო საჭმილი, აგრევე მისი კმა დება.
- 1421₄ შენ შენსა ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარებო.
 თუ შენ შენს ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარებო.
- 1441₂ ღმერთი კარგსა მოაელინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
 ღმერთი კარგსა მოაელინებს, არ ბოროტსა დაბადებს.
- 1447₄ არა თქუეს თუ, არა გუაჰუსო, არცა იყუნეს გულ ნაკულნი,
 და არ იციან თუ, რა გუაჰუსო, იგ ამისთვის გულ ნაკულნი.
- 1459₄ ამისთვის ვიწუო, საჭმილი გულსა ედების, ებავთა,
 ამაღ მედების საჭმილი. გულსა ეცხელა, ებავთა.
- 1480₄ რადგან მერჩიო, ნუ მერცხუი, ჩემგან ნულარა გრცხუენიან
 რადგან მერჩიო, ნუ მერცხუი, ესე არ შენი ზნენია.

სხუა ვარიანტების აღნიშვნა აქ შეუძლებელია,—ეს სპეციალური გამოცე-
 მის საქმეა. ავილოთ, მაგალითად, ლექსი:

925₂ მისვე ჭმისა სიტყობსაგან წყლით ქუ ან იცა გამოსხდიან.

აშის მაგიერ სწერია:

მისვე ჭმისა სიტყობსაგან წყალთათ თე ვ ზ ნ ი გამოსხდიან.

ექვეს გარეშეა, რომ აქ თევზნი უნდა, ვინაიდან ადრე სულდგმულ საგნებზეა ლაპარაკი: რა ესმოდეს მღერა ყმისა სმენად მხეცნი მოვილიან. ასეთი მაგალითები ბევრია.

(„მნათობი“, 1962. № 2, გვ. 139—142).

№—10 (ძველი ფონდით 7), X.

ვეფხისტყაოსანი, in folio, დაწერილია ქალაღზე მხედრულის ხელით მე-18 საუკუნისა, ყდა აქვს სპარსული რიგისა. შეიცავს 258 ფურცელს. ამათში 249 უჭირავს ვეფხისტყაოსნის ტექსტს თავის გაგრძელებით და გადაწერის ბოლოსიტყვაობით. შემდეგ სამთვარიო (251—258). სხვა და სხვა ლექსები (257—258); შემდეგ მრავალი დაწერილი ფურცელია და ბოლოს ცალკე აღნიშნული სათვალავით 7 ფურცელი შეიცავს რიცხვების გამოხატვას ქართული ანბანით, ნაჩვენებია, რომელი ანბანი რომელ რიცხვს აღნიშნავს (ფ. 2); სხვა და სხვა ავითყოფობის წამლისა რეცეპტები (ფ. 3—4), შემდეგ თათრული ლექსები მხედრულის ასოებით დაწერილი (ფ. 5—7).

მე-249 ფურცელზე v. გადაწერს შემდეგი ბოლოსიტყვაობა აქვს:

ქ: ესე: ლექსი: ადამა: გარდმოწერა: რომ: არის: ბეჟოას ქალი(ა) ცოდვისგან: ვიტანჯვი: მიშველეთ: ვინც: ხართ: სომხის: შვილია ადრე: წავედეთ: საპოთხეს: შემოვიხვეწოთ: მარიამის: შვილია და: ცოდვისგან: მალ: ნუ: მამკლავს: ვიაჯი თუ. თვის: დედის შვილია ვახსენოთ. დამბადებელი: ლჰერთი: არსისგან: ქებული წამის: ხანს: შექმნა: ქვეყანა: არვისგან: დაწუნებული ადამ: და: ივეა: დაბადა. კაცთაგან: შედარებული და: ანგელოზთ: დასი: შეაქო: ეშმაკი: შექმნა: ვნებულ და: ესე: წიგნი: არის: სამასი: რვა: არის: დაწერა: (sic) შამახის: წიგნი: იანერის. იე. გასულსა: ქქს ტე:.

წინანდელ წაშლილ ამოფხეკილ სიტყვებზედ სწერია ჯვარიანს სამკუთხედში:

ქ: მე: ცოდვილი: ყაზანთ ბეჟოას: ქალაპა: დამიწერია: ვედხის: ტყაოსანი: ვიხცა: გამოსაწერას: შენდობა: მითხრას: მე:

ქორონიკონი ნათლად დაწერილი-ტე-უდრის 1702 წელს. დაბეჭდილ კატალოგში ავტორს ასო ე-ნი ზ-ად მიიღია და ამ შეცდომით აახსნება, რომ ხელნაწერს 1619 წელს მიაკუთვნებს. რომ ხელნაწერი მეთვრამეტე საუკუნეს ეკუთვნის ეს გარდა წერის ხასიათისა იმითაგანაც სჩანს, რომ ქალაღის ნიშანი ფილიგრანი, წარმოადგენს ლერბს ორი ლომით აქეთ იქით და ქვემოთ უზის ლათინური ასოები A.I. მეორე ფურცელზეა J.D.

ხელნაწერის პირველ გვერდზეც არის იგივე წელი აღნიშნული ოთხ სტრიქონიან წარწერაში. რომელიც შემდეგ წაუშლიათ. მაგრამ ქორონიკონი ტე კარგად სჩანს. ეს წარწერა ტექსტისავე ხელით არის შესრულებული და შეიძლება საზოგადოთ მისი აღდგენა:

ქ: დაბადა: ქალაქსა: დამით (?) ფახოას (?) ქალი:

ელენე: მარტისა: ათი: გასული: დღე:

ნავრუზი: შეთიას (?) დილას: მთვარეს:

ექსე: გასული: (ქქს: ტე):

ხაზანაშვილსაც ქორონიკონი წინათ მოხსენებული ტე-ანად წაუკითხავს (1619), ლექსი და მინაწერები არ მოკვავს.

ტექსტი ვეფხის ტყაოსნისა ამ ხელნაწერში ძლიერ გარყვნილია, გადაშენი სომხის ქალი ვერ ყოფილა დახელოვნებული ქართულში, ხელიც უშნოა. ამიტომ სამართლიანად მიუწერია ვილაცას პირველ გვერდზე წიგნისა: დიად ცუდი ვეფხისტყაოსანია. არც მეთვრამეტე საუკუნეში ყოფილა მოსაწონი ეს ვეფხის ტყაოსანი: მე-112 ფურცლის აშიაზე v. მერმენდელის ხელით ასეთი მინაწერია:

მე. იოანემ. სარდლის. შეიღმა. ენახე. მინდა. მეყიდა. და. აღარ. ვიყიდე. 1723. იოანე (ხელჩართულათ მე-113 ფურცელზე).

ამ რიგით ეს ვეფხის ტყაოსანი გადაწერილია შემახიას უეცო სომხის ქალის მიერ 1702 წელს.

(პარიზის ნაც. ბიბლ. ხელნ. გვ. 43—44).

№—11 (ძველი ფონდი 24)

ნაკლები ვეფხისტყაოსანი ვახტანგის მიერ დაბეჭდილი ტფილისში 1712 წელს. ყველა ნაკლები ტექსტი შევსებულია ხელნაწერით ლიბერ ქალაღზე, ნუსხა ლამაზის მხედრულით, in folio, ქართული ტყავ გადაკრული ყდით. სულ 172 ფურცელი, უმეტესი ნაწილი ხელითაა ნაწერი მე-19 საუკუნის დასაწყისში. ბოლოს უწერია:

სრულ იქმნა წიგნი ესე ყრის ზნეობაებით სავსე, რომელიც ივერიელთა შს იპოებინა. დემეტრე (ეს სიტყვა ჩართულათ სწერია).

(პარიზის ნაც. ბიბლ. ხელნ. გვ. 44—45).

№—12 (ძველი ფონდი 8)

ვეფხისტყაოსანი in 4^o, გაკრული ნუსხა მხედრულის ხელით. ლიბერ ქალაღზე, შეიცავს 120 ფურცელს, უბრალო კარტონის ყდაში. გადაწერილია 1811 წელს, რაც სჩანს ბოლოს მინაწერიდან: დიდება ღმრსა ყრლთა მასრულსა:

სრულ იქმნა კელითა იოანე იალღუზის ძისათა:

აპრილის 21. წელს 1811.

ფრანგული მინაწერი წინა ფურცელზე უჩვენებს, რომ ხელნაწერი შეუწირავს ბიბლიოთეკისათვის გამბას 17 ნოემბერს 1824 წ. გამბა საფრანგეთის კონსული იყო ტფილისში.

(პარიზის ნაც. ბიბლ. ხელნ. გვ. 45).

ომანიანი

Оманиани героическая повесть, содержание которой вкратце представляется в следующем:

Сын героя Барсовой кожи Тариеля, Саридан, был женат на дочери Автандила, другого героя той же Барсовой кожи. Славному и могущественному царю Саридану Индия показалась малою для него: он присоединил к своему царству еще другие страны и сделался царем Востока и Запада. Царство его процветало. В нем не было нищих и не

имущих достатка. При таком счастье, славе, богатстве и могуществе у него была все-таки и печаль: он не имел сына. Но раз после горячих молитв, ангел возвестил во сне Саридану, что Бог дарует ему сына, который будет счастливее и выше всех царей. Предсказание исполнилось, и царица родила сына, который был назван Омаином. Радости Саридана не было конца. Последовали празднества, длящиеся 40 дней, и посыпались награды от щедрот царя. Мальчик рос не по дням, а по часам и еще в детстве поражал всех своею ловкостью и силою: пяти лет он рвал уже панцырь, а когда возмужал, сделался совершенным во всех отношениях. По случаю его совершеннолетия был устроен пир, на котором сам Омаин раздавал несметные богатства всем присутствующим. Все были веселы и счастливы, только один незнакомец был опечален, как будто вокруг него было не веселье, а плач и горе. Заинтересованный этим обстоятельством Омаин приказал, чтобы на следующий день привели к нему незнакомца. Незнакомец, однако, не пошел к царевичу и гордо отвечал посланцу, что царевичу нет дела до его печали. Тогда Омаин сам отправился к незнакомцу и своею любезностью и ласковым обращением вызвал в нем расположение к себе, и незнакомец согласился рассказать о своей судьбе. Он был сын царя, обладателя морей. Раз во время охоты он спас от гибели полуживого человека, который несся по морю на обломке корабля. Спасенный от гибели и приведенный в чувство человек сообщил, что он купец из Египта, отправился в северные страны с торговою целью, но потерпел кораблекрушение и спасался на обломке корабля. Из дальнейших рассказов спасенного человека сын морского царя узнал, что Египтом правит красавица-женщина, которой отец при жизни добровольно уступил трон; при этом спасенный человек такими чертами описал красоту египетской царевны, что сын морского царя заочно влюбился в нее и, не долго думая, снарядил корабли, забрал многочисленные товары и богатства, взял с собою спасенного им человека и отправился в Египет. Но в Египте царевич ни разу не удалось видеть царевну: она никому не показывалась, была окружена исключительно женщинами, а мужчины к ней не имели доступа; ей все докладывали письменно и письменно она делала распоряжения. В шесть месяцев раз она выезжала на богомолне, но толпа женщин, составляющая ее свиту, никого не допускала смотреть на нее, а любопытных и назойливых убивала. Потратив все свои богатства и не добившись своей цели, убитый горем царевич раз заснул в великолепном саду под розовым кустом. Его разбудил человек, который очень любезно обошелся с ним. Это был владелец сада, царский живописец, который тоже напрасно питал любовь к царевне. Живописец посоветовал царевичу вернуться домой, дал ему портрет царевны, корабли и средства для дороги. Царевич выехал и, вот, через год прибыл в царство Саридана. Выслушав рассказ сына морского царя, Омаин подружился с ним и представил его своим родителям. Царевич настолько понравился царю и царице, что они решились выдать за него свою дочь. Свадьба уже была назначена, и гости

прибыли со всех концов Индии, но дочь царя отказалась выйти за царевича, который не совершил еще ни одного подвига и не выказал геройства. Саридан, его супруга и даже Омаин нашли доводы царевны резонными и сообщили об этом сыну морского царя. Тот тоже согласился и попросил Оманна отыскать героя, который мог бы померяться с ним силами. В Индии был тогда спасалар Сатим, сын дяди индийского царя, который был воспитан вместе с Омаином. После Оманна лучшего героя в Индии не было. Он был влюблен в царевну, и царевна отвечала ему взаимностью. Он с большою радостью принял предложения Оманна выступить на поединок с сыном морского царя. Турнир, на котором присутствовали двор, войска и гости, съехавшиеся на свадьбу, был обставлен великолепно. Противники выступили на арену и геройски дрались два дня. Состязание кончилось победою царевича, который, в противоположность своему противнику, выказал в борьбе благородные качества рыцаря. Царевна уже влюбилась в победителя, была справлена пышная свадьба; царевич с большими богатствами отправлен домой на радость родителей, которые считали сына уже погибшим.

Между тем Омаин, видя портрет египетской царевны и выслушав рассказ об ее красоте, влюбился в нее заочно и стал мучиться от любви. Все стали замечать, что царевич одержим недугом горя и печали. Родители не знали, что делать. Визирь посоветовал царю созвать всех искусных мастеров, чародеев и чудотворцев: авось кто-нибудь из них увлечет царевича своим искусством. Совет был принят и исполнен, но царевича ничего не увлекло. Тогда два мастера объявили ему, что они могут сделать из дерева такого коня, который может полететь быстрее всякой птицы и в мгновение ока доставить, куда угодно. Царевич заявил, что такому искусству он охотно будет учиться, и приказал сделать коня. В десять дней конь уже был готов. Омаин взял из царской сокровищницы дорогой пояс, весь усыпанный драгоценными камнями, сел на коня, который понесся вверх и скрылся в облака в виду родителей и всего войска.

С быстротою ветра Омаин-Чабук очутился в Египте, где выдал себя за купца, торгующего драгоценными камнями. Царевна египетская пришла покупать драгоценные камни и была поражена красотой и благородством Оманна. Оманину удалось завязать сношение с царевной при посредстве жены своего домохозяина и прозбраться в ее чертоги. Царевна решила выйти замуж за Оманна. Отец царевны сначала воспротивился этому, но потом, хорошо познакомившись с Омаином на охоте и убедившись, что он не простой купец, дал свое согласие.

Этим собственно кончается стихотворная часть Оманиани. Во второй преимущественно прозаической части рассказана история египетского царя Али-Капура, отца царевны, которая выбрала себе в супруги Оманн-Чабука. После воцарения Али-Капура, которое было отпраздновано с большою пышностью и раздачею безчисленных богатств, в Египет прибыл со всем своим народом величайший в мире витязь

Гурдзи-богатырь и просил места для поселения. Али-Капур с радостью принял прославленного богатыря, отвел ему две области в Египте и выдал за него замуж свою сестру. От этого брака родился сын Завар. К тому же времени у бездетного до того Али-Капура родилась дочь Бурна-Мелик. Гурдзи-богатырь умер, сын его Завар возмужал. Он если не превосходил, то по крайней мере не уступал своему отцу, владел страной Немса и наводил страх на Рим. Когда дочь Али-Капура, Бурна-Мелик, выросла, отец после совещания с визирями отказался от престола и посадил на царство свою дочь. Она не желала видеть мужчин, и даже при ней нельзя было говорить о мужчинах; письменно докладывали ей обо всем и письменно она делала распоряжения. Так прошли три года царствования Бурны-Мелик, когда в Египте появился Омаин-Чабук. Завар был влюблен в Бурну-Мелик, и старшая воспитательница ее дала слово Завару от лица своей воспитанницы, что если когда-нибудь Бурна-Мелик захочет мужа или нмя мужчины будет упомянуто при ней, то это будет непременно Завар. Узнав о появлении в Египте Омаяна и о любви к нему Бурны-Мелик, Завар письменно потребовал объяснения от старшей воспитательницы, но, не получив удовлетворения, с войском явился в Египет. Состязание между Омаяном и Заваром длилось несколько дней. Наконец, победил Омаян и женился на Бурне-Мелик. После великолепной и пышной свадьбы Омаян со своей супругою на коне-самолете возвращается в Индию. Отец уступает ему трон и задает пир. Из Египта привозят массу богатства в приданое. Посреди такой радости Саридану докладывают, что среди табунов его появился необыкновенный белый конь, похожий на слона, который, истребив пастухов и людей, угнал лошадей. Омаян и Саридан выступают на охоту и встречают чудовищного коня. Омаян находит аркан на его шею, но не может удержать и, оставив отца, гонится за ним. Через 10 дней Омаян пристал к большой горе, у подошвы которой стоял громадный чинар. Под этим деревом Омаян побеждает двух дэвов и их служителя. От одного из них Сари-дэва Омаян узнает, что он находится в царстве Белого-дэва, потомка того дэва, которого убил герой Ростом в Мазандеранской стране. Дэв этот может превращаться в кого и во что угодно, но большею частью превращается в белого коня и недавно вернулся из далекой страны, пригнав черных коней из табуна индийского царя. Омаян отправляется и убивает Белого-дэва, другие дэвы прячутся в крепости на горе, но потом уходят через потаенный ход. Остаются в крепости только женщины и в числе их красавица-пленница, дочь Балхи-Бухарского царя. Омаян овладевает царством Белого-дэва и приглашает к себе через Сари-дэва своих родителей и жену. До их приезда Омаян влюбляется в дочь Балхи-Бухарского царя. Приезжают жена и родители Омаяна. Дочь Балхи-Бухарского царя нравится всем, и супруга Омаяна советует и просит его взять ее второю женою, на что Омаян с радостью соглашается. После свадьбы Омаян со второю женою едет в Туран, к своему тестю, царю Балхи-Бухара. Царство Белого-дэва он предоставляет Сари-дэву. Около Бал-

ხა (Балхети) Оманн убивает двух бобров. В самом Балхете Оманн застаёт посла константинопольского царя, который, вернувшись назад, так описал доблести и достоинства Оманн-Чабука своему государю, что тот решился отправить в Индию, чтобы повидать Оманина. Путь кесаря лежал через Персию, где царем был Ануширван. Он принял кесаря с подобающими почестями и вызвался сопровождать его в Индию. К индийскому царю Саридану предварительно был отправлен гонец с извещением о приезде высоких гостей. Саридан вызвал Оманина из Балхи-Бухара. Последний приехал вместе с своим тестем, Сакан-Чинелем. Таким образом, сошлись вместе четыре знаменитейших государя. Последовали пиры и празднества. Чаша из лала шла кругом, и цари произносили тосты. В память о совместном пребывании цари высказывают мудрые мысли, которые вращаются около одной и той же идеи, что молчание лучше, чем необдуманные слова. Затем Оманн совершает еще один подвиг на глазах царей. Он побеждает богатыря Кара-Каила, который появился в столице Индии и навел страх на жителей. После всего этого цари, трогательно простившись друг с другом, возвращаются в свои государства.

(Описание рукописей, I, 563—580).

№—13 (ძველი ფონდით 9)

ომანიანი ანუ ამბავი პირველი ტარიელის შვილის სარიდანის ძის ომანი კაბუქისა. რომელიც ამბავი ესე ზედ მოეპბის ამბავსა ვეფხის-ტყაოს-ნისასა. ლექსად და პროზად. მხედრული ხელნაწერი in 4°, 20,5×16 სანტ. დაწერილია ქალღმრთელ მორგველო მხედრულით, შეიცავს 91 ფურცელს, ყდა კარდონისაა. მიხაკის ფერ ტყავ გადაკრული, სრულია, გადაწერილია დავით რექტორის მიერ 4 თებერვალს, 1782 წელს. სათაურები წითლურით არის ნაწერი. ბოლოში შემდეგი ლექსები და ბოლო სიტყვაობა არის დავით რექტორისა:

ჩემი თქმული შაირი მაჭამად. და თავად კიდურ-წერილობადვე. ჩემივე საბელი დავით:

დანაკოდარი სველითა. გული რა დიღვს იგება:
 ვიზრახე მუნით აზატმან. წყლულო ჰიოს ქვერად იგება:
 ისრით ნაკრავსა სვეროდი. კვლა ლახვარს გულს ნუ იგება:
 და თვალთა ნუ იღენ ცვარეხსა. იგვე დღე შენდა იგება:

ესეცა მისებრივი არს მაჭამა. და კიდურ-წერილობად. სახელი ჩემივე დავით.

დასაწყისის მქონე სქმუნა, სოფლისთა მომკლეს მანათა:
 ვის მისცნა გაუმწარებლად, შევბანი ან ცხრა მანათა:
 მსწავენ გაქვსვე დასასრულ. დავიშენ ოქრო მანათა:
 და თლილთ სპეკალთ დღეს შენ ოხრება. ზეაუ მე მომცნა მანათა:

აპის წიგნისა მხილველთა. და მკითხველთა. ჩემ მცირისა აღეჭის ძის დავითისაგან. ესრეთ მორეგებსენესთ:

ამისი კითხვა. ჩემგან ვიცი რომენ. სათანადებო არაა. არამცა აღწერა. და ეს გვარსა ბედითსა მსოფლიოთა ჰამბავთა ზედა დაშრომა. მარა სველიანი

საწოლთა ესე ნუგეშთაგან ყოლე მოკლებული. ურვანი გულთა მიღამებდა და კაეშნთა განმრავლებანი ტყვე მყოფდეს სოფელსა არა ვემდუროდი. მარა უბრალოდ დასაქსა ჩემსა კვირობდი. და ესეცა სოფლისაგან, რომენ არცა მე მიტევა თვისისა მზაკერისა შვილდისაგან მტერობის ისარ განწონასა მიუცილებელი. მარენისონან ჩემან დამსეა საგნად: და ესდენთა ჭირთა განმრავლებამან. საპყრობილეთაგან შემდგომად გამოსვლამან ესე აღმანწერინა. ცუდად ჯდომას ცუდი შრომა ვირჩიე:

ეგრეთვე ჭირთაცა შინა ვხადო და მიხსნეს და მასვე სრულიად უცნაურსა და არა სრულიად უცნაურსა ღთსა დიდება:

სრულ იქმნა ძალითა ღთსათა თთვესა ძებერჟალსა. რიცხუსა 4. წელსა. სიტყვისა ღთსა: 1782.

დავით (ჩართულათ).

მადლ კეთილ-შობილი. აღქსის ძე რეკტორი დავით:
გამართულია.

დასაწყისი:

დიდება შენდა დიდება. ღთო ყოვლისა მპყრობელო
ჩენ უღრისთაგან უცნობო. ენითა მიუთხრობელო.

ტექსტს წინ უძღვის ცალკე ფურცელზედ ფერადებით დახატული ერთი ლამაზი სურათი სპარსული ყაიდისა, რომელიც შეიცავს ჩვენის აზრით, მისრეთის ჭელშიფის ალიეჰბარ მეფისაგან თავისის ასულის ბურნა მელიქის კელშიფედ დასმის გამოჩრჩევას. წარმოდგენილი არიან: ხელმწიფე ტახტზედ ფეხმოყცილი. მის წინ სავარძელში მისი ასული, აქეთ-იქით ორნი წინამდგომნი ფალავანი, ქვემოთ მეჩონგურე და მერიქიბე ტაბაკით ბრეწულები (?) მიმრთმევი.

ტექსტის დასაწყისში ფერადებიანი „ზასტავკა“ არის.

პირველ გვერდზე სურათიანი ფურცლისა წარწერაა მხედრულათ:

წიგნი ესე ეკუთვნის ვიკტორ ლეტეიეს.

აღწერა ამ ხელნაწერისა ნახე ბროსეს N. J. As. t. XIV.

(პარიზის ნაყ. ბიბლ. ხელნ. გე. 45—47).

ერთი უაღბი დოკუმენტის გამო¹⁸

გაზეთ „საქართველოს“ უახლოეს ნომერში ბ-ნმა მოსე ჩანაშვილმა გამოაქვეყნა ახალი საბუთი შოთა რუსთაველზე¹⁹, საბუთში აღნიშნულია შოთას ვინაობა და გარდაცვალების თარიღი. დოკუმენტის გამოქვეყნებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფართე საზოგადოებაში; ბეერსა ჰგონია, ამ საბუთით ახალი შუქი მოეფინა შოთას პიროვნებას და მისი ცხოვრების დროსა. მაგრამ ნაბეჭდად ეს ესე არ არის. დოკუმენტის ახლო გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ იგი სულ ახალი დროის სიყაღბეს წარმოადგენს²⁰.

¹⁸ ჩვენთა პატივცემულ მკვლევართა წერილს რედაქცია უცვლელად პბეჭდავს, როგორც უცვლელად დაბეჭდა ისტორიკოსის ბ-ნ მოსე ჩანაშვილის წერილი და კვლავაც უცვლელად დაბეჭდავს სხვა მკოდნე პირთა აზრს ამავე საგანზე.

¹⁹ იხ. გაზ. „საქართველო“ № 12 (1917 წლ.). ბ-ნ ჩანაშვილის წერილი: „ერთი ხელნაწერი“. შესწორება „საქართველოს“ მე 13 №-ში. ამავე საბუთს ეხება ბ-ნი ჩანაშვილი თავის წერილში: „შოთა და მისი ვეფხისტყაოსანი“, იხ. „საქართველო“ № 15.

²⁰ საბუთში ეკვი თითონ გამოცემულმა ბ-ნმა ჩანაშვილმაც შეიტანა, თუმცაღა დაუსაბუთებლად.

საბუთი მოთავსებულია გერგეტის წმიდა-სამების „სულთა მატიანეში“ (სა-
აღაჲ წიგნში). თითონ ხელნაწერი ძველია და მისი ძირეული ტექსტი მე-12—
—13 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. მატიანე შეკვებულია შემდეგის დროის
სხვა და სხვა ჩანაწერებით.

ჩვენთვის საინტერესო შოთას შესახები ტექსტი მოთავსებულია ხელნაწე-
რის უკანასკნელს ფურცელზე (ეხლანდელ პაგინაციით მე-40 გვერდზე). უნდა
შევნიშნოთ, რომ ეს ფურცელი უსათუოდ თვით ამ ხელნაწერისაა და არა სხვა
რომელიმე ხელნაწერიდან ამოღებული. ამაში არაერთარ ეჭვს არ სტოვებს ეტ-
რატების შედარება (ხელნაწერი ეტრატისაა). ხელნაწერის უკანასკნელი
გვერდი ცარიელი ყოფილა. მხოლოდ ზემო ნაწილში ეტყობა სამი თუ ოთხი
ძველი სტრიქონი, რომელიც შემდეგ ამოუფხეკიათ. ამის ქვემოთ მოთავსე-
ბულია შოთას შესახები წარწერა. შესრულებული ასომთავრული ხელით. მოგ-
კვაჲს ტექსტი უცვლელად:

„ქ თამ-რ: მეფე: გარდაიც-ლა: ქ-ნსა: ჳღ: იანვარსა: იმ: პარასკევსა (ე.
ი. 1213 წელს 18 იანვარს).

ქ მესხი ჳიბარის ძე გეოსანი შოთა რუსთაველი წარვიდა: ერ-სალემ:
(sic) და მუნ: გარდაიცვალა ჳორონიკონსა: ჳლთ: მისსა ა: დღესა ხუთშაბათ-
სა: შ-ნ: ღ-ნ: (თარიღი უღრის 1219 წელს 1 მაისს).

ოდეს ესე დაიწერა: ქ-ნი იყო ჳ: მა: (ე. ი. 1221 წელი) შ-ნ ღ-ნ მ-ქლს:“.

ძველ ქართულ პალეოგრაფიის მცოდნემ საქმარისია ერთი თვალი გადა-
ავლოს მინაწერის დედანსა, რომ დარწმუნდეს მის სიყალბეში. წერის სტილი
სულ ახალ დროს უჩვენებს: იგი სავსებით თანამედროვე სტამბურ ასომთავ-
რულის ასლია. წარწერა შესრულებულია ახლანდელი ალიზერინის მელნით.
აღსანიშნავია, რომ მელანი აღარც-კი მოჳკიდებია რიგიანად ეტრატსა. რად-
გან ყალბის-მქნელს—ეტყობა—ნაადრევედ დაუმშრალებია იგი; მას ვერ უკა-
რადუნია, რომ ეტრატზე მელნის გაჯდომას უფრო მეტი დრო უნდებდა, ვიდ-
რე ეს ქაღალდისთვის არის საჭირო. წარწერას ეტყობა ისიც, რომ მასზე ეხ-
ლანდელ მეტალოტრ კალამს უმუშავებია, და არა ლერწმასა ან ბატის-ფრთას:
ზოგ ასოთა მოხაზულობის გარე სრე უფრო ძლიერ არის დაჭირებული და შა-
კად გამოსული, ვიდრე ხაზის შუა ნაწილები. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი გა-
რემოება. ფურცელი, რომელზედაც მოყვანილია მინაწერის ტექსტი, ჩაშავე-
ბულა. რადგან ხელნაწერს უკანა ყდა კარგა ხანია რაც დაჳკარგვია. ყალბის
მქნელს დასჭირებია ფურცლის გადაფხეკა და მინაწერი შეუსრულებია ამ გა-
დაფხეკილ ადგილზე. გადაფხეკილს ნათლად ეტყობა, რომ იგი სულ ახალი
საქმეა: მას ჳერ მტკერი არც-კი მოჳკიდებია.

მინაწერის სიყალბეს ამხილებს თითონ საბუთის ტექსტიცა. უმეცარ
ყალბის-მქნელს ტექსტში შეჳპარვია ახალი ქართული ტერმინი.

მინაწერის ავტორი სიტყვა „გეოსანს“ ხმარობს „პოეტის“ მნიშვნელო-
ბით (იხ. ზემოთ, ტექსტში: „გეოსანი შოთა რუსთაველიო“). მაგრამ ეს—ანაქრო-
ნიზმია. სიტყვა გეოსანი „პოეტის“ მნიშვნელობით მხოლოდ ახალ-ქართულ-
მწერლობაში იხმარება. ძველად კი პოეტს ეძახოდნენ: „მოშაირე“-ს, „მოლექ-
სე“-სა, უფრო იშვიათად—„მლექსავს“ ან „ლექსთა გამომთქმელს“²¹.

21 იხ. „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი, ხანები 20—25. „ისტორიანი. შარავანდელთანი“.
მარამ დედოფლის ვარიანტი. გვ. 365, 501.

„მგოსანი“ ძველ-ქართულში ნიშნავდა არა პოეტსა, არამედ მომღერალს. ზოგჯერ მომღერალ მემუსიკეს. ჩვენი ძველი ლექსიოგრაფი საბა-სულხან ორბელიანიც სამართლიანად განპარტავს, რომ მგოსანი არის „მომღერალი ხმითა-სამუსიკოთა ებანთა და საკრავთა ზედა“ (იხ. მისი ლექსიკონი, სიტყვა მგოსანი)²². მკითხველის საგულისხმოდ მოვიყვანდით რამდენსავე მაგალითს: „ვეფხისტყაოსნიდან“. მომღერალ ტარიელისა და აფთანდლის შესახებ გვეუბნება პოეტი, რომ—

ორნივე ტურფად იღერდეს

ვით იაღონი მგოსანი (იხ. 1331 ხანა მეცხრამეტე გამოცემისა).

ან კიდევ როდესაც როსტევეან მეფე დარწმუნდა, რომ უცხო ვეფხისტყაოსანი მოყმე ხორციელი კი არ იყო, არამედ ეშმა, მისი ლხინის შემშლელად მოვლენილი, მან გულიდან სევდა გადაიყარა, და—შოთას სიტყვით—

„...სხარულით
თამაშობა აღიდა;
მგოსანი და მუშაითი
უხმეს. პოვეს რაცა სადა,
ღია გასცა საბოძვარი
ყველა დარბაზს შემოჰხადა“...
(119 ხანა, იქვე).

ყველა ამ შემთხვევაში სიტყვა „მგოსანი“—ცხადია—ხვარებული არის მომღერლის და არა პოეტის მნიშვნელობით. ამასვე ნახავს მკითხველი ძველი ქართული მწერლობის სხვა ნიმუშებშიაც.

მეორე კლასიკოს ქართველ პოეტის შავთელის სიტყვით მეფის სასახლეში—

„ისმის მგოსანთა
ვით საფირონთა
ხმანი ებნისა
და წინილისა“ (აბდულმესიანი, 44).

სახარების ძველ-ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „და მოვიდა იესუ სახლსა მის მთავრისასა, და იხილა მუნ მგოსნები და ერი კრებული და შფოთი“ (მათე, 9, 23). სხვა ენის სახარების თარგმანებში ამ ადგილას მგოსნის საფარდოდ სწერია — მემუსიკე, სალამურის დამკვრელი, მოყვანილი მაგალითებიდან მკითხველი ხედავს, რომ მგოსანი ძველ-ქართულში სრულეზით არ ნიშნავს პოეტსა, როგორც ეს ყალბის-მქნელს ჰგონებია.

საბუთის სიყალბის მაძიებელია აგრეთვე თვით „სულთა მატიანის“ მინაწერები. ამ მინაწერებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ხელნაწერი ხელთა ჰქონია მე-18 საუკუნის მეცნიერებს—ვახტანგ მე-6 და დიდ ანტონი. კათალიკოს²³. ცნობილია, რომ მეფე ვახტანგ—ქართული მატიანების რედაქტორი იყო და ამავე დროს ვეფხისტყაოსნის პირველი გამომცემელი და კომენტატორი. დიდი ანტონიც შეეხო რუსთველს თავის „წყობილსიტყვაობაში“. მაგრამ არც ერთი მწერალი, არც მეორე არ იხსენიებენ ჩვენი მინაწერის ცნობებსა. ეს გარემოება მხოლოდ იმას უჩვენებს, რომ ეს მინაწერი ვახტანგისა და ან-

²² „შეგოდებენიცა—გლოვის მგოსნად იოქშიანო“—უმატებს ლექსიოგრაფი.

²³ იხ. ხელნაწერი—გვ. 39 (ვახტანგ მეფის მინაწერი). 38 (ვახტანგ მეფისავე მინაწერი—ეპოგრაფი), 37 (ანტონი-ის ავტოგრაფი).

ტონის დროს, ე. ი. მე-18 საუკუნეში არ არსებულა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუჯერებელი აშბავი იქნებოდა, რომ მათ არ ესარგებლნათ აქ მოყვანილი ახალი და საგულისხმო ცნობებითა.

მაგრამ ეს მინაწერი არ არსებულა მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებშიაც. საქმე ის არის, რომ ჩვენი ხელნაწერი—„გერგეტის სულთა მატინანე“, ხელთა ჰქონდა ცნობილ ისტორიკოს ბ-ნ თ. ჟორდანისა, და 1897 წელს, თავისი „ქრონიკების“ მეორე ტომში გამოაქვეყნა მისი მნიშვნელოვანი მინაწერები²⁴, მაგრამ ბ-ნი ჟორდანია არას აშბობს შოთას შესახები მინაწერის თაობაზე. აშკარაა ეს მინაწერი მის დროს არ არსებულა, რადგან შეუძლებელია არ შეემჩნიო იგი და არ შეეტანა თავის გამოცემაში, რაკი ასე გულდასმით გადაუსინჯავს წიგნი და ამოუკრეფია ყველა ცოტად თუ ბევრად საყურადღებო ისტორიული ცნობა. მით უმეტეს, რომ წარწერა მოთავსებულია საჩინო ადგილზე და შესრულებულია ასომთავრულით²⁵.

ამაზე შეგვიძლია დავამთავროთ საუბარი. არის კიდევ ზოგი რამ საბუთი. რომელიც ამხილებს სულთა მატინანეს მინაწერის სიყალბეს, მაგრამ ვფიქრობთ, ისედაც ნათლად გამოირკვა, რომ ეს მინაწერი სულ უკანასკნელი დროის ნაყოფილარს წარმოადგენს: საკითხავი ის-ღა დარჩენილა. ვის და რისთვის დასჭირდა ამ სიყალბის ჩაღენა.

(გაზეთი „საქართველო“. 1917. № 22. ექვთ. თაყაიშვილთან ერთად ამ წერილს ხელს აწერს პავლე ინგოროყვა).

თამარიანი

ТАМАРИАНИ, თამარ მეფის შესხმა ჩახრუხაძისა.

... В конце нашей рукописи оставалось еще много белых листов, на которых потом поместили текст Т а м а р и а н и, или восхваления царицы Тамары поэта Чахрухадзе. Эта часть рукописи тоже писана в XVIII веке мелким, но очень красивым письмом круглого мхедрули и заключается в себе 10 листов (стр. 155—173). Произведение Чахрухадзе целиком приведено в нашей рукописи, но оно предлежит в обычной для этого произведения редакции. В этом виде Тамариани был издан впервые П. Иоселиани, Тифлис 1838; затем Д. Чубиновым, Грузинская хрестоматия 1863, II, стр. 59—72; потом З. Чичинадзе, Тифлис 1882. Критическое издание текста вместе с ученым исследованием принадлежит профессору Н. Я. Марру. «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», кн. IV. СПб. 1902. Древнегрузинские олописцы». Н. Марр так формулирует положения своего интересного исследования:

1) Памятник, известный под названием Тамариани и дошедший до нас с именем Чахрухадзе, есть сборник мелких стихотворений с более

²⁴ იხ. ხსენებული წიგნის შემდეგი გვერდები: 25—26. 206. 245. 246. 247. 293. 303. 321, 322. 517 და შეუდარეთ ხელნაწერსა.

²⁵ შეიძლებოდა გვეფიქრნა, ზომ არ იყო ჟორდანის დროს ეს ფურცელი დაფარული. მაგალითად უდაზე დაკრულიო. მაგრამ ფურცლის გასინჯვამ დაგვარწმუნა, რომ ეს ასე არ ყოფილა, თვით ნაწერსაც სრულებით არ ეტყობა არც წებო. არც უდაზე დანაკრავობა.

или менее значительными вставками и повторениями в различных частях, а не одно цельное произведение.

2) Стихотворения эти представляют одиннадцать од Тамаре, одну элегию о влюбленном витязе-поэте, повидимому, также заключающую косвенную похвалу грузинской царице и одно подложное стихотворение, ответ на элегию.

3) Оды Тамаре написаны в разное время, каждая из них по особому случаю, приблизительно в трехлетний промежуток между изгнанием первого мужа (1192 г.) и рождением Русуданы (1195 гг.).

4) Автор од, вероятно, Шота Руставели. Чахрухадзе, если упоминание его основано на верном предании, есть фамилия Шоты Руставели.

5) Но кому бы оды ни принадлежали, они представляют замечательный памятник во всей литературе по самобытности и яркому отражению в них культурно-политического облика Грузии конца XII-го века и в этом отношении стоят неизмеримо выше Барсовой кожи.

(Описание рукописей, I, 530—531)

აბაშულშისნიანი

Ода Иоанна Шавтели, которую до сих пор относили к царице Тамаре, но после исследования Н. Марра нужно отнести к Давиду Возобновителю (л. 39—49). В нашей рукописи названная ода отнесена к царю Арчилу: შემოკრბოთ. ბრძენხო, ათინულო ძენხო, არჩილს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა. Курьезнее всего то, что в заголовке, писанном, правда, не рукою текста, автором оды назван Яков Шемокмедели: თაუ დასაწყისი პირუელი. სამებელ-შემოქმედელ მიტროპოლიტის იაკობისაგან თქმულო ქება მეფის არჩილისა. начало: სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად. В конце книги имеется портрет самого царя Арчила, довольно искусно исполненный чернилами. На обороте этого листа не рукою текста приведено четверостишие:

რუსთელისა ლექსი მეფეა, გვირგვინით ტახტზედ მდგომელი.

მასთანა არჩილ მეფეცა, სხვისა რიგისა მდგომელი.

არჩილ მეფისა სასჯელი სწავლაა დაუშრომელი.

და საბა თავადი მდგომელი, მამუცა ქვემოთ მდგომელი.

(Описание рукописей, II, 168; შდრ. იქვე, II, 57).

მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწივიტბამ თუ არა?

(მეცნიერებათა აკადემიის იმერეთის განყოფილების შენახვა)

ყველას მოეხსენება ლექსი რუსთველისა:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა:

აბდულ-მესი—შავოელსა, ლექსი მას უქეს რომელსა:

დიარაგეთ—სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა;

ტარიელ—მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა.

ჩვენამდის რომ „ვეფხისტყაოსანს“ არ მოეღწია და მართო შემო ნაჩვენებ-ბი ლექსი გვერდებოდა ხელში, სხვა ვერაგვარ დასკვნას ვერ გამოვიყენებდით

რუსთველის შესახებ, გარდა იმისა, რომ რუსთველს დაუწერია თხზულება. რომლის უმთავრესი გმირი ყოფილა ტარიელი. ჩვენ არც ის გვეცოდინებოდა, თუ რა სახელი ჰქვია რუსთველის შრომას. ასეთ მდგომარეობაში ვართ ეხლა ჩვენ „დილარაინის“ შესახებაც. ზემო მოყვანილის ლექსიდან მარტო ეს დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ რუსთველის დროს უკვე ცნობილი ყოფილა თხზულება სარგის თმოგველისა, რომლის უმთავრეს გმირს ჰქვია „დილარი“, ანუ. უკეთ ვსთქვათ, „დილარგეთი“, და იმის ანალოგიით, რომ მოსე ხონელის თხზულებას თავის გმირის ამირან-დარეჯანის ძის სახელის გამო ეწოდება „ამირან-დარეჯანიანი“, სარგის თმოგველის შრომასაც უნდა რქმევოდეს „დილარაინი“. ანუ. როგორც უფრო საგულისხმოა, „დილარგეთიანი“. ჩვენ ვამბობთ. უნდა რქმევოდეს, რადგანაც ამგვარი ანალოგია უტყუარი აი არის. მაგალითად ვიცით, რომ რუსთველის თხზულების თავი გმირი ტარიელია. მაგრამ შრომას „ტარიელიანი“ კი არა ჰქვია, არამედ „ვეფხის-ტყალსანი“. თუ რა გვარი ან რა ხასიათისა იყო ეს შრომა. სრულებით არ ვიცით. როგორც არ გვეცოდინებოდა ხასიათი რუსთველის შრომისა, თუ ჩვენამდის არ მოუღწია „ვეფხის-ტყალსანს“, გარდა ზემო მოყვანილის ლექსისა. ხოლო რუსთველის სიტყვები „მას ენა დაუშრომელსა“ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ სარგის თმოგველის შრომა ენის მხრით შესანიშნავი და ხელოვნური ყოფილა. ვეფხის-ტყალსნის დაწერს თუ სხვა ვისიმე ენა მოეწონა. ალბათ მისი ენა მართლა მოსაწონარი ყოფილა. ცოტაოდნათ სარგის თმოგველის შრომის ხასიათს თითქო რუსთველის თანამედროვის ჩახრუხაძის თხზულება გვიხატავს. ჩახრუხაძე თავის თამარ-მეფის შესხმაში სხვათა შორის სწერს (ტაკაპე-5):

„მეუბარისა. მის მღუღარისა. დილარგეთისგან აღმოვთებულად“.

ეს გაკვრით მოხსენება გმირის დილარგეთისა გვიჩვენებს პირველად იმას, რომ „დილარგეთიანი“ ჩახრუხაძის თხზულების უწინ ყოფილა დაწერილ და შემდეგ იმას, რომ შინაარსი თხზულებისა ისეთი ყოფილა და ისე ხელოვნურად დაწერილი, რომ მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ეს არის და ეს ჩვენი უძველესი ცნობები „დილარაინის“ შესახებ. ჩვენამდის არა თუ თვით ამ თხზულებას არ მოუღწევია, არამედ ცნობებიც გარდა ზემოხსენებულისა არავითარი არ შენახულა. მართალია. ანტონ პირველი კათალიკოსი შექუდევი ლექსით მოიხსენიებს სარგის თმოგველს:

„სარგის ესეცა. შოთაებრი არს კაცი.
სიბრძნის მოყვარე. ფილოსოფოს, გამომთქმელ.
რიტორ შევნიერ. პიიტოკოს საქებელ.
თვით შოთა იტყვის დილარგეთ უქია მას.
საქებ არს ესე. თქმულთა მათთვის მიზეზთა“.

მაგრამ ანტონს ეს უთქვამს შოთას სიტყვების და ქართლის ცხოვრების მიხედვით და ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ანტონს სხვა ცნობები ჰქონდეს ხელში „დილარაინის“ და მისი ავტორის შესახებ. როგორც ფიქრობს ბნი ზ. კიკინაძე (იხილე მისი გამოცემა: ძველი ნიმუში დილარაინისა, გვ. 16). ყოველ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ ანტონის დროს ძველი დილარაინი აღარ არსებულა. ანტონის და ირაკლი მეორის დროს დაბადებულა აზრი დილარაინის აღდგენისა, ანუ ახლად დაწერისა. ამ აზრს ეტყობილობთ ჩვენ ახალი დილარაინისაგან.

მოგვხსენებთ, რომ ახალი „დილარიანის“ ავტორი არის პეტრე ლარაძე. მისი დილარიანი წარმოადგენს უშველებელ ტომს in folio (იხ. № 1193 წგ. რაკოთხვის ბიბლიოთეკისა), რომელშიც 568 გვერდია. თხზულება გაყოფილია თორმეტ თავად. წიგნი ლექსით და პროზით არის დაწერილი ისე, როგორც ჭილილა და დამანა. ლექსი შეიცავს შაირს, ყარაბულს (თვით ავტორის შემოღებულია) და ალაგ-ალაგ ჩახრუხულს. მთელი ექვსი გვერდი უკრავს ლექსად დაწერილ შესავალს, რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს თავის ეინაობას და მისი დილარიანის დაწერის ამბავს. სრულებით არა სჩანს, რომ ლარაძეს შინაარსი სცოდნოდეს ძველი დილარიანისა, ან რომელიმე მისი ნაწილი ენახოს, ვინაიდან ავტორი თვით ამბობს:

„არ იყო ქართველა შორის წიგნი ყუ დილარიანი,
ამს იტოვდა ყოველი. მოხუცი, ბერი, კვიანი;
იყო თამარის დროისა, ვინ შეფედ ქვებდა სვიანი,
მუნ დლითგან არა გვასმია. ვართო მით ჰმუნეაიანი“.

მეფე ერეკლეს გამოუცხადებია სურვილი, რომ დილარიანი დაწერილიყო. მაგრამ მაშინ ლარაძეს მოცალეობა არა ჰქონია.

„მეფეს ირავლი გზირსა, მებრძოლთ მაირწუნ-მატირსა, ჰსწადადო თვისსა დროებსა,
რათა ესებრ ჰამბავნი ექმნათ წიგნთ შენართაენი მისგან დაზრდილ მოუგებსა.
მაშინ უცალოება, საქმის ვარეშობება, არ მამლეკდა ეამებსა,
აქ მასთანეუ ზრდილმან. მწირობითა ჰმუნეულმან, ხელ ვყავე მისს ნაბრძანებსა“.

ბოლოსიტყვაობაში ავტორი მოგვითხრობს, რომ მან ერთი დილარიანი დაწერა შავთ. ეს გაიგო მეფის ძემ იოანემ, მივიდა სანახავთ, მოსტაცა ეგ თხზულება და თავის სახელი დააწერა. მაგრამ მან ხელმეორედ და უკეთ დასწერა დილარიანი.

„ესე სხვა ახლად შეეამკვა. ვით მტილი ყვაილიანი,
იგ ამს არ ჰკავს. ვით ვარდასა გოგმო თავ-სხვილ-ველიანი;
ესე არს დიდად ნალეაწი ჩემგან ქმნილ დილარიანი,
ხელმწიფებითა მალაღ, ლობგული, მელაგ-მყარანი“.

შემდეგ ავტორი დასძენს:

„ჩემგან ახლად შემზადებულსა წიგნსა დილარიანსა ზედა მრავალი ღვაწლი და შრომა მივიღე ჰამბისა მოგონებასა და შეწყობასა ზედა. მხილველნო, გთხოვთ კურთხევით მომიხსენებდეთ. პეტრე ყარიბი ლარაძე“.

დილარიანი დაწერილია პეტერბურგში, მაგრამ არა სჩანს, რომელ წელში გაათავა ავტორმა თავის შრომას. შეგვიძლიან მხოლოდ ვთქვათ, რომ 1833 წ. დილარიანი დამთავრებული იყო (პეტრე ლარაძე გარდაიცვალა 1837 წელს. იხ. „ივერია“, 1299 წ. № 13). ეს სჩანს შემდეგი მინაწერიდან პირველ ფურცელზე:

„წიგნი ესე დილარიანი, გამოგზავნილი ჩემდა თბილისით თავადის გიორგი ივანატის ძისა თუშანოვისა მიერ, ხელითა ძისა თვისისა ალექსანდრესითა. მივიღე ჩუფღ-სა წელსა, სექტემბრისა, გ-სა რიცხესა შინა. მოსკოვს, და შევიამოსინე თთვისა ამისეუ ფ-სა რიცხესა გ. ავალომან“.

ეს ჩვენი ხელნაწერი ავტოგრაფი უნდა იყოს ლარაძისა. ახალი დილარიანი მხოლოდ პეტრე ლარაძის შრომა და ძველ დილარიანთან არაფერი საერთო არა აქვს გარდა სახელისა. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ შრომაზე დიდი გავ-

ლენა ჰქონია კლასიკური მითოლოგიას. კლასიკური მითოლოგიით ლარაძე ძლიერ თვალსაჩინოდ სარგებლობს.

ლარაძის უწინაც ყოფილან მსურველნი რაიმე ისეთი შეფთხვათ, რომ ძველ დილარიანთან თუ არა, ძველი დილარიანის გმირთან ცოტა ოდენი დამოკიდებულება ჰქონებოდა. ეს სჩანს ზოგიერთი „ამირან-დარეჯანიანის“ ხელნაწერებიდან. 1896 წ. ზ. ჰიკინაძემ გამოსცა „ამირან-დარეჯანიანი“ და ბოლოს დაერთო ის ორი თავი ვითომ „დილარიანისა“, რომელიც მან იქნა სარგის თმოგველის ნაშრომად. შემდეგ 1897 წ. ეს ორი თავი ზ. ჰიკინაძემ ცალკე წიგნათ გამოსცა ერცელის წინასიტყვაობით, რომელშიაც შეკრიბა ყველა ცნობები დილარიანის და მისი ავტორის შესახებ და აგრეთვე მოიყვანა ზოგიერთი ადგილები ლარაძის დილარიანის წინასიტყვაობიდან (იხ. ძველი ნიმუში „დილარიანისა“. დილარიანი ქმნილი მე-12 საუკუნეში სარგის თმოგველის მიერ, გამოცემა ზ. ჰიკინაძისა, ტფილისი 1897 წ.). 1897 წ. ბ-მა ა. ხახანაშვილმა განიხილა დილარიანი და ნაჩვენები ორი თავი შემდეგ შეთხზულათ და ამირან-დარეჯანიანში ჩამატებულათ იცნო. ა. ხახანაშვილს მოყვანილი აქვს შინაარსი ამ ორი თავისა (იხ. Очерки по истории грузинской словесности, вып. II, стр. 230—232).

ამ ბოლო დროს ზემოხსენებული ორი თავი „დილარიანად“ აღიარებული რუსულად გადასთარგმნა ბ-ნმა მ. ჭანაშვილმა (იხ. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXVI, стр. 15—70) და აღიარა ხსენებული ორი თავი სარგის თმოგველის ნაშრომის „დილარიანის“ ნაწილად (Из другого же его сочинения «Диларияни», ამბობს ავტორი, дошла до нас только часть. т. е. то, что ныне печатается в переводе на русский язык, იქვე, გვ. 16, შენ.).

იმის გადასაწყვეტად ნამდვილი ძველი დილარიანის ნაწყვეტია ხსენებული ორი თავი, ამირან-დარეჯანიანის ნაწილია, თუ სხვა რაიმე შრომაა, უნდა მივმართოთ თვით ამირან-დარეჯანიანის ხელნაწერებს და ესენი ერთმანეთს შეუდაროთ.

ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელის დაწერილი მეთორმეტე საუკუნეში გალექსა მეჩვიდმეტე საუკუნეში სულხან ვინთანიაშვილმა. ამ გარემოებას ეტყობილობთ ჩვენ მეფის არჩილის თხზულებისაგან, რომელსაც არჩილიან ეწოდება. არჩილი ამბობს:

სულხან ვინთანიაშვილი მეც მახსოვს, იყო ჩემობას:

ცოდნა მას ჰქონდა ბევრი რამ. მაგრამ ჰსწამობდნენ ჩემობას:

ამირან დარეჯანის ძეს უქებდა გამომჩვენობას,

თუცა კარგათ სთქვა, მაშინაც ნუ ჰკონებს რუსთელის ოღნობას.

თუ თვით გალექსილი ამირან-დარეჯანიანის ხელნაწერს განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ მარტო სულხანს არ ეკუთვნის ამირან-დარეჯანიანის გალექსვა. ჩვენ გვაქვს ეხლა გალექსილი ამირან-დარეჯანიანი წერა-კითხვის საზოგადოებისა № 357. in folio, ლამაზი რგვალი მხედრულის ხელის დაწერილი, ყდაში²⁶. თუმცა ხელნაწერს თავი და ბოლო აკლია, მაგრამ გარემოება ამირან-

²⁶ პირველი ოთხ ფურცელნაბეჭადი ხელნაწერისა შესავალს უქვია. ამ შესავალში ავტორი, როგორც რუსთელი, ვრცლად მოგვითხრობს თავის აზრს შედეგებზე, მიყრდნობაზე, რომლის ქარი მასაც სცემია, და ამირან-დარეჯანიანის გალექსვის თაობაზე. გალექსილ წიგნს ის ადარებს ბაღს და შკითხველს შებაღს. როგორც შებაღე ბაღს ვაშენებს, ისე

დარეჯანიანის ვალექსვისა მინც საკმაოდ არის შით გამოხატული. სულხანა
გაულექსავს მარტო ცხრა კარი, დანარჩენის ვალექსვა აღარ დანსცალეზია და
მომკვდარა. შემდგომად მისი სიკვდილისა მის ძმას ბეგთაბეგს ვაუგძელები:

მხოლოდ მარტო ბრძენი მკითხველი დაფასებს კარგად ლექსებს და, რასაკვირველია, ჩვენ-
ავტორის ლექსებსაც, რომელიც თავის ლექსებზე მაღალი აზრისაა. იმ არსებას, რომელსაც
ავტორიზა უჭრავს ლახვარი მიჯნურობისა და მოლექსეობისა, მაღალი ფრაზეებით და თვალ-
საჩინო ფერადებით აგვიწერს:

გიშრის მშვილდსა ჩემთვის საკვდად გარდულებლად აებადა,
ვერ წაუვალ, სხიენი მისნი ჩემთვის ასრე აებადა,
მე ვაქე და ვერ შეუველ, ბრძენთა ენაც დაებადა,
არ დააკლდეს მის შორს მყოფსა თავსა ცემით ვაება და.

შეუდარეს,—არა იყო მზე მასთანა მონაწონი.
ელვა ჰართოდა წამ-უწყვეტლად, მისთა მკურეტთა მონაწონი.
მის შორს მყოფსა არ დააკლდეს გულსა დაღვით მონაწონი.
ეინ ელირსა თვალთ შეეკრასა, არ თუ იყო მონაწონი.

ვფიცავ, რომე მისი მსგავსი არ ნახულა არათ აროს,
შუქნი მისნი მიუდგომლად არ დააკლებს არა თაროს,
იგი აძლევს მზესა შუქთა, მაგრამ თავი არათ აროს,
ვერვინ აქებს ხორციელი. თუ ეინ თავი არ ათაროს.

აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ტაქებს, რომელნიც რუსთველის შესახებ გამოთქმულ აზრს
ამ წიგნის ვალექსვისას ეხებიან:

რუსთველმან ამბო ლექსები გულისა მსგავსად მოსხმული,
თქვა ვაქრა ტარიელისა, ჰყო ვეფხის ტყავთა მოსხმული.
ცრემლი აჩქევა თვალთაგან. მინდოროთ სალტობლად მოსხმული.
მის ამბით ვარდზედ ბუღბუღნი მოვლენ სატირლად მოსხმული.

მისთვის ტირიან ბუღბუღნი, გლახ. ცრემლი მდუღარებია,
გლახ, უცხოს თემით გამოჭრით ვარდისთვის უღარებია,
ვერ დაიჭირავს, მოფრინავს, თუ ვის ჰყავს ნუღარებია,
ვინ მისცემს, მაგრა თუ მიხედეს, არ იყოს მწუხარებია.

მისთვის მომწონდა რუსთველი, ტარიელ შეჰქნა ბუღბუღლად.
არ აპოვინა იგი მზე ვაურჯელ და უჩხუბულად,
ვიღრემდის არა აღინა თვალთაგან ცრემლი გუბულად.
რა მიეწურა სიკვდილსა, მაშინ ჰქნა შენატყუებულად.

ამბით შეემკოთ ბელმწიფე, მამაღდა გასალექსავად,
აწყა ვალექსვა დავიწყე, სიტყვა ფრჭვეული მთესავად,
ლექსს უფრო ყურსა უპყრობენ. ამბის წიგნები ძეს ავად.
ვიმღრებ მოსე ხონელსა, შეიქმნა ჩემზედ მკენესავად.

ამირან დარეჯანის ძე და სეფე-დავლა მშობილნი,
მზე- ჰაბუკ, მათი შემსწორე, ჰაბუკად მათთან ხმოზილნი,
მოსეს ვწერა ამბითა, კლდა მცვიებრ დამდნობელნი
მკითხველნი, ორთავ გვითხარით სიტყვანი შესანდობელნი...

პირველ ამბად დანაწერსა, აწ ლექსად ვიქ შეწყობილსა,
მკითხველთათვის საამოვნოს, მსმენელთათვის სიტყვა ტკბილსა,
ფალავანთა ომს გარდავხმდე, მტერთა მკლავის მოსალბილსა,
სამღვთოსაცა არ დავაკლებ, ეშმას მით ვყოფ განაწილსა.

აწ ამბავსა ლექსად ვიწყებ, ავად ვთქვამ თუ ანუ კარგა,
კარგი კაცი კარგსა იტყვის, ავმა ავი არ დაკარგა,
ვინცა ისმენს მცინიერი, ხობის სიტყვაც მწვე ვეარგა,
ცოლდა დარჩეს ამ სოფელსა, თვარ რა წაგყვეს თანა ბარგა.

სულხანის შრომა და კიდევაც დაუმთავრებია. ყოველივე ეს ცხადათ სჩანა. ბეგთაბეგის წინასიტყვაობიდან. ამას გარდა ბეგთაბეგი თითქმის ყველა მის გალექსილ კარების ბოლოში, ან თავში მოგვითხრობს რაიმეს თავის თავზე²⁷.

27 მოგვყავს აქ ზოგიერთი საყურადღებო ადგილები ბეგთაბეგის წინასიტყვაობიდან:

ბეგთაბეგ გაადრებ მკითხველსა, მელექსე-მოთარგმანსა.
სიბრძნის უქნელსაც დაინახთ, არ დაიყოვნით ხანსა.
გასაჭირს იმ წამს ვაარკვევთ, არ ბრძანებთ ის არს. ან ესა,
მე ვლექსობ უცნობლობითა, რილით გული მიქმს მქანსა.

არსად მეთქვა ამის მეტად ლექსნი წიგნსა ჩასაწერად.
მოინდომე გასრულება, მაგრამ ვერ ვთქვი ამის თქმულთ ფერად.
მართალს ვკადრებ, დღე ქონოდა, მას უნდოდა სხვაშეცა მწერად,
რაც დააკლდა, მე ვათავე, მთქმელი ვრივე ვერვინ ვერად.

რუსთველსა აქათ მელექსე ბევრი ყოფილა მოქმელია.
მას არსად დარჩა სიტყვანი, მით წინ დამიხვედა მეოა.
ესინწყეთ სიტყბო ქართლის, მაღალ-მდაბალი ნელა,
მას ნურვინ ებძა:ვთ მელექსე, თავების ეყუცნეთ მცველა.

სულხანს ეთქვა, ჩემსა ძმასა, უკეთ თავს შესავალბე:
ლექსნი გარკვევით მშვენიერად, სიტყვა-პასუხი მალეობი.
აუიუში გამოირჩევა ქანით მოსული ლაღები,
ღმთის მადლსა ორთავე გვითხარით შენდობა შესაბარალბე.

მეთორმეტე კარის დასასრულ (ფურც. 240) ბეგთაბეგი ამბობს:

ეს ყველაი ასრე იყო, დაესრულა სისხლთა ძებნა.
გავისაყე ლექსის თქმითა, მაგრამ ცუდად არ დამებნა.
ჩემის შეტმა ამ ამბისა ვერვინა ქნა ლექსად შეებნა,
ღმერთმან მომცა გონებანი, მეცა მართებს მისი ქებნა.

ავტორი დიდი აზრისაა თავის ლექსებზე, მეთორმეტე კარის შესავალში (ფურც. 241) ია. სხვათა შორის, ამბობს:

ამ წიგნის გასალექსაედ უხვად მიბოძა გონება*,
თვარა და მე არ ძალ მედვა ეზომის გამოგონება;
ეს არის ბალი ვარდისა, კრიფეთ, დაუწყეთ კონება,
უბე აივსეთ, იყნოსეთ, ვეროს დააქცნობს ქონება.

შესავლის შემდეგ მეთორმეტე კარი იწყება ასე:

ისმინეთ, მეფეთ მეფეო, ცხოვნიდნა უკუნისამდე,
დოვლათი თქვენი უფალმან გიმატოს დღითი დღისამდე,
გიმიდღროს ღმერთმან მოყვარე ნათესავიან ძმისამდე,
არცხვინოს შენსა ორგულსა შერცხვენით შერცხვენისამდე.

* წინა ტაბებში ღმერთზეა ლაპარაკი.

ხელთ-ნაწერის მერმინდელ მინაწერებიდან აშიებზე მოგვყავს შემდეგნი: მე-42 ფურცლის მეორე გვერდის ქვემო აშიაზე:

„ქ. ბატონიშვილი ბეყანის არის, ღმერთმან ახმაროს (ამგვარივე წარწერა გამოარებულია მე-217 ფურცლის ქვემო აშიაზე). მე-172 ფურცლის ქვემო აშიაზე უშნო მხედრულის ხელით სწერია:

„ამის დამწერი, ცათა სწორი ხელმწიფის ასული (ლი?) თამარ, ფილოსოფოსად გაზრდილი, დიდი მცოდნე ქალი“.

ჩენი მიზნისათვის ეს გალექსილი ამირან-დარეჯანიანი საყურადღებოა მით, რომ მასში სრულებით არ მოიპოვება ის ორი თავი, რომელიც ვითომ ამირან-დარეჯანის ეკუთვნის და ამ ბოლო დროს დილარიანის ნაწილად იქნა აღიარებული. ცხადია, თუ მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერებში ეს ორი თავი ყოფილიყო, გეგმაზე იმას გაულექსავს არ დასტოვებდა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ დილარიანათ ცნობილი მეთერთმეტე და მეცამეტე თავები ბოლოში კი არ არის დართული სხვა ხელნაწერებში, არამედ ჩაკერებულია მეათე თავის შემდეგ და მათ ბოლოს დართული აქვს ამირან-დარეჯანის გაგრძელება, ანუ უკანასკნელი თავი. დილარიანათ ცნობილი თავები არა თუ გალექსილ ამირან-დარეჯანიანში არ მოიპოვება, არამედ არ არიან იგინი პროზით ნაწერ უძველეს ამირან-დარეჯანის ხელნაწერებშიც. უძველესათ უნდა ჩაითვალოს ხელნაწერი წერა-კითხვის საზოგადოების № 393, ლამაზი რგვალი მხედრული ხელით ნაწერი. ხელნაწერს თავი და ბოლო აკლია, მაგრამ ხელის და მასალის მიხედვით სჩანს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ხელნაწერში მოქცეული მეთერთმეტე და მეთორმეტე კარები არც დილარიანის ამბავს შეიცავენ და არც დილარისშეგლის ჯომერის ამბავს. არამედ ამირან დარეჯანის ამბავს, ასე რომ ხსენებულს უძველეს და საუკეთესო ხელნაწერში დილარიანათ ცნობილი თავები არ მოიპოვებიან²⁸. მეცამეტე ხელნაწერი № 1359, აგრეთვე მხედრულის ხელით ნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მეთერთმეტე საუკუნის პირველ მეოთხედს და გადაწერილია ასტრ-

მე-237 ფურცლის ზემო აშიაზე გაკრული ნუსხა მხედრული ხელით: „სახიგრო სამებაო. მჩაობლადე შეიწყალე ნიკოლაი დადიანი 1810, დეკემბრის 25. [ეს ის ნიკო დადიანია, რომელმაც მოკლე ქართლის ცხოვრება დასწერა].

მე-251 ფურცლის მეორე გვერდის ზემო აშიაზე მოსხო ნუსხა-მხედრულის ხელით: „ეს დარეჯანიანი ელენეს ბატონიშვილის არის. ელენე“.

იმავე გვერდის განის აშიაზე მრგვალი მხედრულის ხელით სწერია:

ქ. ესე დარეჯანიანი დედოფლის თამარისა არის, დმერთმან ახმაროს. ამინ.

უკანასკნელი მინაწერი ყველაზე უფრო ძველია; არა სჩანს, თუ ვისგან და როდის არის გადაწერილი ხელთნაწერი. მაგრამ, ჩვენის ზარით. ის უნდა ეკუთვნოდეს მე-18 საუკუნეს.

²⁸ მერმინდელ ხელით მინაწერთა შორის ხსენებული ხელთნაწერისა საყურადღებოა შემდეგი: მე-108 ფურცელზე: „ქ. ორბელიანის ზალის ასულის გურის დედოფლის მარიამის მზითვისა არის. ვინცა მოიპაროს. რისხედვებს სამება და ყოველი მისი წმინდანი. ამინ. ჩემს მშობელთ მოვშორდი წელს იანვარს. ქორნიკონს ჩლემ (1798), ვ; გურიას მოველ იმ. ღვთისმშობელმა დასწყევლოს მომპარავი ამისი“.

ეს წერილი, როგორც ეტყობა, თვით მარიამის ხელით არის დაწერილი. მარიამი, ორბელიანის ასული, იყო ვახტანგ გურიელის ცოლი, ბოლო ვახტანგი იყო გურიელი გიორგის შვილი. გურიელი ვახტანგი მოხსენებულია გუჯრებში 1788, 1796, 1798, 1806 და 1812 წლებში; 1812 წელს ვახტანგი ცოცხალი იყო და მისი ცოლი მარიამიც; როდის მიიქცა ან ერთი, ან, მეორე, არ ვიცი, მხოლოდ ორივენი დასაფლავებულია ჭუმაისი ეკლესიაში. მათი შვილები იყვნენ დათა (+1856) და კონსტანტინე (ეს უკანასკნელი მცირე-წლოვანი გარდაიცვალა) (Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурин и Адчаре, стр. 260, 315, 320 и 337).

მე-118 ფურცელზე. მერმინდელ მიმატებულზე სწერია: „ქ. სოლომონ ერისთვის ძე“, მერმე ხელნართულად სწერია: „სოლომონ“.

მე-19 გვერდის ზემო აშიაზე მერმინდელი ხელით სწერია:

„ქალსა ლამასა. თამარსა, თვალები გიგავს მაყვალსა, უნდა წიგნი მომწერა, წვერი წამიტყდა კალამსა“.

ბანში. ამასაც თავა აკლია. დილარიანათ ცნობილი ორი კარი არც ამ ხელნაწერში მოიპოვება²⁹.

ტი საუღართა ზ-ა. ქალქსა შინა აღექანდრისა.

5. Житие девы Каноники, которая была дочь константинопольского
пельможи и сделалась отшельницей, ცხოვრება ქალწულისა კანონიკისი.
რ-ლი იყო ასული შთაერისა ერთისა კონსტანტინოპოლელისა და იქმნა მძო-
ვარ. Начало: იყო ვინმე ერთი მამათაგანი რ-ლსა ერქუა სილოვანე და
მსჯდა იი ქებასა შინა. მონასტერსა ფარასანაჲ. მახლობელად იერუსალიმისა.

6. Десять заповедей, которые были даны узревшему Бога Моисею:
ათნი მცნებანი, რომელნი მოეცნეს ღ-თის მხალველსა მოსეს თითითა ღ-თი-
სათა წერილნი რომელი თანა გუჲას ყოველთა ქრისტიანეთა დამარხუად. На-
чало: იე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე შენ ქ-ყანიო
ეგვიპტიო.

7. Житие и деяние св. Нисимии, которая сперва была глупа и впо-
следствии сделалась покровительницей отшельников. Она была дочь еги-
петского царя. ცხოვრება და მოქალაქეობა წ-სა ნისიმესი. რ-ი იქმნა პ-ლ
სულელ და უკანასკნელ იქმნა მოურნე მძოვართა, ესე იყო ასული მეფი-
სა მეგვიპტელისა. Начало: იყო ეგვიპტეს ქალი სახელით ნისიმე და იყო
პელსა ქვეშე მისსა აბუთმეტი ქალაქი ყ-ითურთ დაბით და სანახებით სამკ-
დრელად (sic) შშობელთა მისთა გ-ნა რ- იყო მამა მისი მეფე მის ქ-ყნისა და
ესე ქალი ხ- მარტო ესე მათ ცხ-რებასა მთ-სა და მამამან მისმ-ნ შეუქმნა მას
კვრკვი (sic) ოქროსი.

VI. Политический театр, საპოლიტიკო თეატრი. рукопись в 21×17 сант.,
без переплета, дефектна, писана на бумаге строчным мхედრული с красны-
ми оглавлениями. Из 30 глав в нашей рукописи сохранились только 12 и
то последняя без конца. Оглавления писаны вязью заглавного хуцури.
Начало: დასაწყისი პირველი ამის კოთხეის მოყუარითადჲნი. Писец вязью
подписывает свое имя и фамилию, кажется Иосеб Габашвили იოსებ
გაბაშვილი. В некоторых местах попадают схождения, как добавления архи-
мандрита Захарии, არხიმანდრიტი ზაქარია, как например, в 6-ой главе.
Рукопись первой половины XIX века.

VII. Сборник разных произведений без начала и конца, рукопись в
21×15,5 сант., писана на бумаге строчным мхედრული конца XVIII в. Ог-
лавления писаны киноварью. Новые строки начинаются заглавными ху-
цури, писанными киноварью. Писец Зирак во многих местах упоминает о
себе. Содержание:

1. Житие и деяние св. Нисимии, ცხოვრება წ-ისა ნისიმესი. В начале
больше половины недостает и текст теперь начинается словами: მაშინ
თქუა მე წერილთა მრავალთა წარვიღე წიგნები სპარსეთით საბერძნეთად
და კ-დ წიგნები საბერძნეთით სპარსეთად: და აღვიღი ქველის საქმე:
В конце переписчик Зирак упоминает о себе в записи უფლო ი-ვო ღმე-
რთო შე ეც ზირაქ.

2. **Житие и деяние Евфемии и сына ее Алексея Божьего человека.** ცხოვრება და მოქალაქეობა ევფემიანესი და ძისა მისასა ალექსისა კაცისა ლ-თსა. **Начало:** იყო ვინმე რომს ქალაქსა შა კაცი მოწმუნე და მართალი და მდიდარი ფ-დ და სახელი ევფემიანე. **В конце** акростих с именем Алексия.

3. **Песнопения.** გალობა მოციქულისა იელაეე კარელრანესიე . ძე ქუხილისა ქრისტესა შუჭნიერად უგალობს. გალობა. სიძლის პირი იგიუშ. და ან თქვენ ვნებანი სულსა ჩემისანი. **В конце** стихи Антония Католикоса из Мерного Слова. წყობილ სიტყვაობა 839—845.

VIII. **Сирнозиани სირინოზიანი,** рукопись in folio в 37,5×24 сант., в картонном переплете. перекрытом кожей, писана строчным вульгарным мхедрули без красных строк на 201 листах, рукопись первой половины XIX века, филлигрань бумаги указывает на 1838 г. **Начало текста:** კარი პირველი მამრიყის ჭელმწიფის არდაფის და ძის მისისა სირინოზისა ამბავი შესაქცევლად სასიამოვნო ანბავი.

იყო ხელმწიფე ქვეყანასა მამრიყისასა, რომელსა ეწოდებოდა სახელად არდაფ. ესე იყო დიდი და მაღალი ხელმწიფე სრულიად სახელმწიფოთა მამრიყისასა და მრავალნი ხელმწიფენი მონად ჰყავს, რომელნიცა წლითი წლად სძღენიდიან ძღვენსა და ხარკსა მისცემდნენ და იყო ლაშქარ მრავალ და თვით მხნე ძრეილი ტანითა ახოვანი და სახითა მშვენიერი და გამოცდილი იყო ბრძოლათა შინა და ყოველი თვისი სამფლობელო განემშვენებინა და ყოველნი მცხოვრებლნი ქებასა მისა იტყოდნან.

Конец: დასრულდა კარი მეორე სირინოზისა და მარხისა და მსმენელნი და მკითხველნი თქვენცა დაუსრულებელ იყავით ქვეყანას ზედან ბედნიერებით.

IX. **Александрида,** рукопись в 20×16 сант., в картонном переплете, перекрытом кожей, писана на бумаге полукруглым мхедрули с красными главениями на 111 листах. Даты нет, переписчик неизвестен, но судя по характеру письма и бумаге, рукопись конца XVIII века или начала XIX.

Начало: ისტორია ალექსანდრეს მეფისა ჰაკედონელისა. და ყოვლისა აღმოსავლეთისა. და დასავლეთისა. ჩრდილოეთისა. და ყოვლისა სამკრეთისა. და თვითმპყრობელისა. მეფეთ მეფისა:

იტყვიან ძედ ყოფად შინა. მაკედონისა. მეფისა ფილიპესად, ა-დ არა არს ესრეთ. და ცრუ არს ესე ყოველივე. არს იგი მეგვიპტისა მეფისა ნეკთა ნეფისა. ფილიპეს ცოლისა დედოფლისა. აღიშპიადეს მიერ შემთხვევითა მით ესეთთა ვითარმედ: იყო მეფე ეგვიპტისა ნეკთანეფ. მისნობისა და ვარსკულავათ მრიცხველობისა ხელოვნებითა. განსწავლული ფ-დ და არა ბრძოლათა არცა საჭურველთა და არცა მკედრობათათა წინა აღუდგებოდის მეფეთა—არამედ შეჰწედ თავისად აქუნდა.

Конец: და დიდებულთა გვაში მისი აღიდეს და ალექსანდრიას მიიტანეს. და სტიროდენ დედა მისი აღიშპიადე დედოფალი. და როქსანა დედოფალი. და ყოველნი (მე)ფენი და დიდებულნი და მკედრობანი ქვეყანისანი. და ცოლნი. და შვილნი მათნი. ხ- როქსანა სამოსელი თვისი დაიხია. და თმანი თავისი თვისისანი დაივლიჯა და ტირილთა. და მწუხარებითა ალექსანდრეს ვითარცა ცოცხალსა ეტყოდა.

Х. Книга Андрея Салоса, Юродивого. ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრიაისი, რომელი იქმნა. სალოს ქრისტესთვის, გუაყურთხენ მამო, рукопись в 20×16,5 сент., в картонном переплете, перекрытом кожей, писана на бумаге красивым, мелким строчным мхედрули и черными чернилами. Оглавления писаны киноварью.

Начало: ძაძანო ჩემო საყუარელნო და მონანო უფლისანო ისმინეთ ვეღრებისა ჩემისა და გაუწყო რ არს საქმე ესე ტკბილი ვა თაფლი. და საყნოსელად სუნელ და ჰამო.

Конец: მე ვიშრომე და გარდავეწერე ჩემთვის, რომ ჩემ სიცოცხლეში ნურავინ ინებებთ ანუ თხოვას ანუ წართმევას. დაიწერა ათას რეას ჩვილნეტმო ივლისის თვრამეტს. დამწერი.

Из этой записи видно, что рукопись переписана в 1817 году, июля 18-го. Рукопись цельная, хорошая.

XI. Всеобщая География, рукопись в 17,5×11,5 сент., в картонном переплете, перекрытом кожей; писана на бумаге красивым полукруглым мхედрули и черными чернилами. Оглавления писаны красными чернилами, на 81 странице.

Начало: მოკლედ გამოჩინება გარემოს ქყნისა. და განყოფილება ყრისა ნაწილებისა. მისთვის რ-ლნიცა საგელმწიფო. რლ-სამე ნაწილსა შ-ა არიან. და ყრისავე საქელმწიფოსა. სამძღვრისა დიდება. ვინ ვის შორის უფროს არს ძალითა, სიმდიდრითა. მურდახილითა ანუ სხვითა რითამე:

Конец: დასრულდა წიგნი ესე დედორაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმრგულისათვის აღწერა პირველ ლათინთა ენისაგან რუსულად თარგმნილი. ხ-რუსულისაგან ქართულად: ხელითა ზე შ: 1775.

Из этой записи видно, что сия география впервые была переведена с латинского языка на русский, а потом с русского языка на грузинский 3. Е. Ш. 1775 году.

XII. Жизнеописание Эзопа, рукопись в 17×11,5 сент., в картонном переплете перекрытом кожей. писано на синей бумаге полукруглым мхედруლი и черными чернилами. Оглавления киноварью. Филигрань бумаги указывает на 1809 год. Рукопись первой четверти XIX века.

Начало: ცხოვრება მოდგმითი: გონება მახვილისა ესობესი: მოდგმა იგი საქმეთა რომელ არიან კაცთა შორის, ყოველივე გამოვსკადენ და სხვანიცა რაიმე მრავალნი. Рукопись полная.

XIII. Путешествие по Европе Саввы Сулхана Орбелиани, рукопись в 21×17 сент., в картонном переплете, перекрытом коленкором, писана на синей бумаге полукруглым мхედрули, с красными строками; страниц 152. В конце недостает текста путешествия от октября до конца, т. е. до 13-го мая, или по рукописи Грузинского общества истории и этнографии №—93 недостает текста 14 листов, и текст кончается словами да აჰას გარდა შეიღნი თავი კაცნი არიან, სამი ფრანცისი. ერთი იტალიელი. ერთი ნემსა და ორი სპანისა, ამ შეიღთა თითოს სამსამი შემდეგი ჰყავს რომ ოცდაერთი იქნება. ამ ოცდაერთს კაცს გულზედთ დიდროვანი...

Начало: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა აჰენ.

სულხან საბას ორბელიანოვისამან მრავალთა ქვეყანათა უცხო ანბავებო. წელსა ქვეს ქვეს (sic) 1720-სა ნოემბრის 21 დღესა ფრანციცის თემის ბო-

ლოდამ წამოვედი, რუსა პრევიან ანტიბ ქალაქი. ათი მილი ვლეთ დაილია ფრანცია, ნიცა ერქუა იტალის ადგილია, საბოს ბატონის ქალაქია საბოს ბატონის აქამდის დუკა ერქუა. ახლა სიკილია მისცეს, ამ შერიგებაზე სპანის მეფისა იყო დიდი სამეფოა და მეფე დაერქუა. საბოს ადგილები დიდი შთები თოვლიანი მოჩნდა მაგარი ადგილები კლდიანი ღრმა ხეობიანი.

ხუთი მილი სხვა ვლეთ ერთი მომცრო ნავთსაყუდელი იყო საბაისავე პატარა ქალაქი ლაფრანგა ერქვა. მაგარი ციხე იყო, მაგრამ ფრანცისები და ისინი რომ აშლილ იყვნენ ფრანცისებს ზარბაზნით დაეხერხათ. ციხე აელთ მაგრამ ვერ დაქეციათ, როსცა შერიგება მომხდარ იყო, ისევ მიეცათ იქ სადილად გავედით: თურმე საბო მეფეს ჩვენი ამბევები ყველა შეეტყო, იმ ქალაქს ბოიკად გამოგზავნა, იქ დაგვხდა, მაშინვე მოვიდა ჩვენთანა გვიილერსა საბავოს მეფესთან პატივი დავეწყო. ჩემა მეფემ ამაზედ გამოგზავნაო, ახლა გაისარგეო, ნახეო. ჩემგან რაც მალდი მოეხსენებოდა ის შევეუთვალე, წასვლა ხომ არ მოხდებოდა, კაი ლეინოები, ხილები, ნარიჯი, ლიმონი ვამოგზავნა. მაგრამ ბალი და ყანის მისთანა არსად მინახავს. სადილი ვსჭამეთ. წამოვედით ექვსა ზარბაზანი გაყარეს. შეღნივი გვიყვეს რაც მართებდა პატივი და ალერსი არ დაგვაკლეს. ამათ მეტიც ქმნეს, მასთან მისრული არ ვიყავი. მპატყეს, არ ვეწვიე და ასე დაგვხდენ. ამ საბაის მეფის ქალი იყო ისპანის მეფის ცოლი, რომ ზეით სიკილია დავსწერეთ ათი მილი სხვა ვიარეთ, სამი ოთხი მაგარი ციხე ჩამოვიარეთ, საბაოსი კლდიანი მაგარი ტყე მძვირად ჩნდა, ზეით ხე მრავალი, ვენახოვანი, სახნავი ნაკლები, ქარი პირისპირ სცემდა, ნავი მართლა ვერ იარებოდა:

მოვედით მონაკა ქალაქსა, ესე ქალაქი ზღვაში ერთი მილი კლდე იყო, ტფილისის მეტეხსავით. სამგანით ზღვა ევლოთ, ცალგანით ზღვა ევლო. ცალგანით ვიწრო შესავალი, მაგარი ციხე დიდად და ძლიერად გამაგრებული. გარშემო ორ რიგათ ზარბაზანი იღვა კაი მონასტრები ჩნდა. ის ქალაქი ერთის ფრენჭიფისა იყო, ყმა არავისია, ახლა ფრანცისის მეფისათვის ზურგი მიუყუდებია. მე რომ ფარიზ ვიყავი თვითან ის ფრენჭიფეც ვნახე, თვითან ბერად შემდგარ იყო და ადგილი და ქვეყანა უმცროსის მმისათვის დაუტევა ციხე ქალაქი მილზე იყო, ჩვენ ზღვის პირად სახლში ჩამოვედით. კაცი ებოძა, ავეპატიე, მე მამეშურებოდა, ადრე წასვლა მინდოდა, ბოდიში და დალაღლობა შევეუთვალე, მუსსური ბუხური (!) მე რიშარ გავგზავნე, მოვიკითხე და დიდი პატივი ეცა. მაშინვე შვიდი ზარბაზანი გაყარეს, კარგის პატივით დაგვხდენ, იმ თემს ვიწროობა ეთქმოდა, სულ კლდიანი სახანავი ბევრად იყო, თორემ ზეთის ხილი, ლეღვი, ლეღებუარი მრავალი იყო, ნარინჯი, თურინჯი. კაი ნავთსაყუდელი. მერმე ერთი წინამძღვარი და დარბაისელი გამოგზავნა ბოდიში მოგვთხოვა ჩემს სახლში მინდა მობრძანებულყავო. მეც რაც მართებდა, იმ შევეუთვალე. 16 იენისს ადრიან წამოვედით შვიდი ზარბაზანი კიდევ გასტყორცეს. რამდენსაც ზარბაზნსაც გასტყორცნებდნენ, იმდენს ჩვენი მენავენი ვი კარლეს დაიძახებდნენ. ზარბაზნის მადლის გარდახდა იყო. ქართულად ასე მოვა: ი დად მეფესა, ი დად ვინც არ იცით—სალხინოს სიკოცხლეს ჰქვიან, კაი სოფლები და მაგარი ციხები ჩამოვიარეთ. ათი მილი ვლეთ, მოვედით, მისივე ქალაქი იყო, მცირე და მაგარი, საჩვენო ქარი იყო. იქ დავედქით. შემკობილი ადგილი იყო, ტურფა სამრეკლოები აქმენებინათ, დიდად მოსაწონარი იყო. მანტუა ქალაქი ერქუა, სახლები სულ ცადაქნილო იყო, ხის სიძვირეს ჰგვანდა, ტყე არსად ჩნდა, სრულ კლდე იყო. სადაც ხე იყო, სულ ხილნარი. სა-

ძიოდ მონასტერი ენახეთ, დიად მოსაწონები, ერთში კაი ნაწილები, ტრაპეზში დატანებული ფერადის მარპარილოთა, ფერადის ყ(თ)ლად გაპარტებით ავგოთ, ქვის გარდმოსხნა გაეკეთებინათ, ასე ეგონა კაცს, აწ ახლა გარდმოუხსნიათო, ჩერ სისხლი არ შეშრობიაო.

17 იენისა შუა ლამისა წამოვედით ჟენევიას თემში მოვედით. ამ ქალაქზე ზედმობით იყო კაი შენობაები.

В числе знаков филиграней бумаги 1823 г. Рукопись первой четверти XIX века. Рукопись неважная, в тексте не мало ошибок.

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 111, 1961, გვ. 195—206).

აბტორი „საქართველოც ძველი დროის თავ-გადასასვალისა“

პატივეცემულმა „მწყემსის“ რედაქტორმა დეკ. დ. ლამაშიძემ ამ დღეებში დაუბრუნა თავისი ხელის მომწერლებს მის მიერ დასტამებული წიგნი შემდგომისათვის: „საქართველოც ძველი დროის თავ-გადასასვალი, ლექსად დაწერილი (ძველი ხელთ-ნაწერი) გამოცემული დეკ. დ. ლამაშიძის მიერ“. გამოცემლის წინასიტყვაობიდან ვტყობილობთ, რომ წიგნი დაბეჭდილია ხელთ-ნაწერიდან, რომელიც ეხლა ეკუთვნის პეტერბურგის საჯარო წიგნთ-საცავს და წინად ეკუთვნოდა იოანე ბატონიშვილს. ხელთ-ნაწერს ბოლო პკლებია, განცალკევებული სათაური არა ჰქონია, გარდა ცალკე თავებისა. პირველი ნახევარი შავად ყოფილა დაწერილი, მეორე ნახევარი, რომელიც ასლია პირველის ნახევრისა, უფრო ლამაზად და მუქ ქაღალდზედ. დაბეჭდილი წიგნი, გამოცემის სიტყვით, შეადგენს მეორე ნახევარს ხელთნაწერისას და შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობის გალექსებას. ხოლო პირველი ნაწილი, რომლის დაბეჭდვა სამერძისოდ განუზრახია გამოცემელს, წარმოგიდგინებს ძველის აღთქმის გალექსებას. „ეს ძვირფასი განძი ქართული მწიგნობრობისა“, მოგვითხრობს გამოცემელი, „მეტად დაშორებულია ქართველის მიერ ხილვასა და გარდაკითხვას, ამიტომაც საჭიროება ამისთანა შორეულის მასალის გამოცემისა უფრო და უფრო ძველსაინო და საშუროა“. შემდეგ პატივეცემული გამოცემელი განაგრძობს: „სამწუხაროდ დაწერილ-გამლექსავის არც ვინაობა ვიცით და არც ხანა არსებობისა“.

ხსენებულ გამოცემას, როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგიერთ განუთებმა თავისი შენიშვნები უძღვნეს და, სხვათა შორის, დაიბეჭდა ბ. ა. ხ-შლის ჩვეულებრივი რეცენზია, მაგრამ რეცენზენტებმა განიმეორეს იგივე, რაც წინასიტყვაობაშია და სხვა ვერაუთარი ახალი ცნობა ვერ მოგვაწოდეს. აბტორი და დრო წიგნის დაწერისა უცნობი დარჩა, როგორც გამოცემლისათვის, ისე რეცენზენტებისათვისაც.

ვინაიდან პატივეცემულს დეკანოზს დ. ლამაშიძეს განუზრახავს ხელნაწერის პირველი ნახევრის გამოცემა, ამიტომ საჭიროდ დაინახეთ პკითხვლებს განუზიაროთ, თუ ვინ არის აბტორი აღნიშნულის წიგნისა და ზოგიერთი ცნობები მოვიყვანოთ იმის შესახებ. იმედი გვაქვს, რომ გამოცემელს ეს ცნობები გამოადგება და ახალი გამოცემა კიდევ უკეთესი იქნება ეხლანდელზედ.

წიგნი, რომელიც დეკ. დ. ლამბაშიძის დაუსტამბია, შეადგენს ერთ ნაწილს წიგნისას, რომელსაც ეწოდება „წიგნი მრავალ-ფერ ყუჩავილოვანი“. ხოლო ავტორი „წიგნისა მრავალ-ფერ-ყუჩავილოვანი“ არის ყარაბი (ასე უწოდეს ავტორი თავის თავს) პეტრე გიორგის ძე ლარაძე. პეტრე ლარაძეს ბევრი ლექსები უწერია და ბოლოს ყველა მისი ნაწერები შემოუტყრებია ერთად და განუყვია სამ წიგნად. ერთი წიგნი წარმოგვიდგენს განცალკევებულ თხზულებას და შეიცავს დილარიანს, მეორე წიგნი ყოფილა „სახე მგოსანი“. ხოლო მესამე წიგნში შეკრებილია ყველა დანარჩენი ნაწარმოები პეტრე ლარაძისა და ამ წიგნისათვის თვით ავტორს დაურქმევია „წიგნი მრავალ-ფერ-ყუჩავილოვანი“. ავტორი თვითონ ამბობს:

„ამა წიგნსა მძეს სახელად
 მრავალ-ფერ-ყუჩავილოვანი,
 მით რომე სხენან სხტა და სხტა
 კამბავნი სახელოვანი,
 ვით მტილი ყვეილ მრავალი,
 სატრფობი არ კვლოვანი
 და მოაღუნს მკურეთა გულგბსა,
 ემანი იყუნენ თუ მსცოვანი“.

ამის შემდეგ იწყება წინასიტყვაობა წიგნისა, რომელიც შეიცავს თერთმეტ ლექსს და რომელშიაც მოყვანილია ცნობები ავტორის ნაწერებისა და ამ წიგნის შინაარსის შესახებ. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ავტორს თავისს სი-ოცობლში სულ 20 000 ლექსი დაუწერია, თუ ამ სათვალავში დილარიანსაც ჩავთვლით; თავის ნაწერები გამოუცია სამ წიგნად: ერთ წიგნად დილარიანი. მეორე წიგნად „სახე მგოსანი“, რომელიც თურმე შეიცავს 1 900 ლექსს, და მესამე წიგნად „წიგნი მრავალფერ-ყუჩავილოვანი“, რომელიც ერთს ხელთ-ნაწერში შეიცავს 2136 ლექსს 344 სათურით, ხოლო მეორეში—2185 ლექსს. წინასიტყვაობას ავტორი ასე ათავებს: „და ათთავან ერთი შეუკრიბე ჩემთა თქმულთა აქა წყობითა“. შემდეგ მოსდევს ძველის აღთქმის გალექსება ადამით-გან დავით წინასწარმეტყველამდე. დავით წინასწარმეტყველს უკავშირებს ქართველ ბაგრატიონების შთამომავლობას ისე, როგორც ქართლის ცხოვრება, და მერე გალექსილია ქართლის ცხოვრების ტექსტი თამარის მეფობის დასასრულამდე.

შემდეგ მოყვანილია შესხმა თამარ მეფისა⁹⁸, და ბოლოს სხვა-და-სხვა ლექსები პეტრე ლარაძისა. ასეთი ხასიათი აქვს ორს ხელთ-ნაწერს მრავალ-ფერ ყუჩავილოვანის წიგნისას, რომელიც მოიპოვება „წერა-კითხვის გამავარ; ცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავში, №№ 155 და 387.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დეკ. დ. ლამბაშიძის გამოცემა შეადგენს ძლიერ განსხვავებულს ვარიანტს წერა-კითხვის საზოგადოების ხელთ-ნაწერებთან შედარებით: ამ ხელთ-ნაწერებში სრულიად არ არის ტექსტი თამარის გარდაცვალებიდან დაწყებული ბოლომდის (იხილვ დ. ლამბაშიძის გამოცემის გვ. 183—237) და წინა ლექსებიც სხვა რიგად არის დაწყობილი, სათაურებზე არ ეთანხმება დაბეჭდილს და სხვა ბევრი განსხვავებაა შიგ. ერთ ხელთნაწერში №155 ბევრი ცალიერი ადგილია დატოვებული, რომლიდანაც სჩანს, რომ

⁹⁸ ეს შესხმა პეტრეს დაუწერია 1825 წ.

ტექსტი სრული არ არის ამ ხელთ-ნაწერში. ამ ნაკლს ავსებს ხსენებული გამოცემა.

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავში მოიპოვება აგრეთვე მეორე შრომა პეტრე ლარაძისა „დილა-რიანი“, რომელიც, როგორც ეტყობა, ავტოგრაფი უნდა იყოს (№ 1193), „დილა-რიანი“ დაწერილია პიროზა და ლექსად, ისე როგორც ქილილა და დამანა. ლექსი სხვა-და-სხვა გვარის არს, მაგალითად შაირი, ჩახრუხაული და „ყარბული“. ეს უკანასკნელი პეტრე ლარაძის გამოგონილია, როგორც თითონ ამბობს. ლექსი ოც მარცვლოვანია, ტაეპში აქვს ოთხი ლექსი და თითოეული ლექსი განიყოფება სამად, რომლის პირველ ორ ნაწილს აქვს ერთნაირი დაბოლოება, აი მისივე სიტყვები ყარბულის შესახებ და ყარბულის ნიმუში:

„კვალა ეს ყარბული. ახლად შემოდებული. ლექსი გვარად
ტბილადა.
თვით ჩემგან შეწყობითა, იქმნა მოგონებითა. ტურფად
შეწყობილად
სხვასა არავის სადა, ეს გვარი განეცხადა. თუ ვის აქვს
ქაილადა.
და სასობრად ჩემდა ესე აქარე განაწესე წარვალ
ვით აჩრდილადა.“

წინასიტყვაობაში „დილარიანისა“ ავტორი მოგვითხრობს. რომ „მეფე; ერეკლეს დროს განიზრახეს „დილარიანის“ აღდგენაო. ეს შრომა, როგორც ეტყობა, პეტრესთვის მიუწვდიათ, მაგრამ მაშინ მას ეს ვერ შეუძრულებია მოუტელოლობის გამო და შემდეგ პეტერბურგში ყოფნის დროს დაუწერია დილარიანი. წინანდელ „დილარიანს“, სარგის თმოგველის თხზულებას, თაპარის დროისას, ავტორის სიტყვით, ჩვენამდის არ მოუღწევია. ბოლო სიტყვაობაში პეტრე ლარაძე, მოგვითხრობს, რომ მან ერთი „დილარიანი“ დაწერა შავად, ეს გაიგო მეფის ძემ იოანემ, მივიდა მასთან და მისტაცა. მხოლოდ მან ხელმეორებო. გაიამბოკოებელი პეტრეს მიერ 1834 წელს, ივნისის 19. ხელი ამ ლექსისა სხვაა, ვიდრე უმეტესი ნაწილი ტექსტისა და, ჩვენის აზრით, ხელთ-ნაწერი 1834 წლის ადრე უნდა იყოს გადაწერილი. რას შეეხება მესამე თხზულებას პეტრე ლარაძისა—„სახე მგოსანი“ ეს ჩვენ ჯერ არ შეგვხვედრია.

რაც შეეხება წიგნს მრავალფერ-ყვავილოვანს ერთ ხელთ-ნაწერში (№ 55) 374 გვერდზე მოყვანილია ერთი ლექსი, რუსულიდან გადმოღებული სამეგრელოს მემკვიდრის დავითის მიერ და შესწორებული ანუ, როგორც ლარაძე ამბობს, გაიამბოკოებელი პეტრეს მიერ 1834 წელს, ივნისის 19. ხელი ამ ლექსისა სხვაა, ვიდრე უმეტესი ნაწილი ტექსტისა და, ჩვენის აზრით, ხელთ-ნაწერი 1834 წლის ადრე უნდა იყოს გადაწერილი. რას შეეხება მესამე თხზულებას პეტრე ლარაძისა—„სახე მგოსანი“ ეს ჩვენ ჯერ არ შეგვხვედრია.

ლარაძეები შთამომავლობით იყვნენ მეგრელნი, ძველად გადმოსახლებულნი ქართლში და დასახლებულნი სომხეთ-საპარათიანოში. აქ მათ გაუშენებიათ ორი სოფელი—დიდი ეგრისი და პატარა ეგრისი. დიდი ეგრისი არის ორ ევრსზედ გომარეთიდან თრიალეთის საპარსტაოში. ორის ევრსის სიშორეზედ დიდის ეგრისიდან იწყება მდინარე ზურტაკეტის ხრამი, რომელიც აქა ქციის ხრამზედ განიერთა, ასე რომ ჩალმართის დაწყებიდან წყლის პირამდე ხუთი ექვსი ევრსი იქნება. ამ ზურტაკეტის ნაპირს ყოფილა პატარა ევრო-

სი. პატარა ეგრისში დარჩენილია ეკლესია ლარაძიანთ აშენებული, სასახ-
 ლეს ნანგრევები და სხვა შენობები. აქ აღარაინ არ ცხოვრობს ამ ეამდ. სო-
 ფელი არ დარჩენილა აგრეთვე დიდ ეგრისშიაც, სადაც პეტრე ლარაძის პაპის
 დროს სახლებულა ასი კომლი გლეხი. ამ ეამდ დიდს ეგრისში სახლობს მხო-
 ლოდ უკანასკნელი წარმომადგენელი ლარაძიანთ გვარისა კნენა მართა ივა-
 ნეს ასული შალიკაშვილისა: აქვეა ორი ძველი პატარა ეკლესია ქვისა- ერთი
 მათგანი, როგორც წარწერიდგან სჩანს, აშენებულია პეტრეს მამის გიორგი
 მღვდლის მიერ, ხოლო მეორე უფრო ძველი უნდა იყოს. როგორც სჩანს სი-
 გლეხებიდგან შეფე ლუარსაბ მოწამის დროს ყოფილან ლარაძეები დიდს ეგ-
 რისში. ბევრი მათგანი სამღვდლო კაცი ყოფილა. მღვდელი ყოფილა აგრეთვე
 პეტრეს მამაც, გიორგი, რომელსაც, პეტრეს გარდა, პყოლია კიდევ შეილები
 დავით, იოანე და იოსებ. გიორგი ჭერ ყოფილა სარდალ ქაიხოსრო ორბელიან-
 თან, რომლის მამულს საქართვლოში ის განაგებდა. შემდეგ, როცა აბდულ-ბეგმა
 სომხით-საბარათაშვილო მიიმხრო და თეიმურაზ მეორეს დაუწყო ბრძოლა.
 გიორგი ლარაძე დარჩა ქვეშის ციხეში. ის იყო მოურავი ციხისა და ჰყავდა
 მხოლოდ ოთხმოცი კაცი. აბდულბეგმა ხან ძალით და ხან დიდებისა და პა-
 ტივის აღთქმით მოინდომა ქვეშის ციხის აღება. მაგრამ ვერც ძალით გააწყო
 რამე და ვერც მოფერებით. გიორგი ლარაძემ უერდგულა მეფე თეიმურაზს და
 ასე შეუთვალა აბდულ-ბეგს: „ვინემდისინ მეფის თეიმურაზის და იმისი შვილის
 ირაკლის სახელი საქართვლოში იხსენიება, ამ ციხეს ცოცხალი ვერ დაგა-
 ნებებო“. შემდეგ, როდესაც აბდულ-ბეგი დამარცხდა თეიმურაზის მე-
 ორგი ლარაძე ტფილისში ჩამოვიდა. თეიმურაზს გაგებული ჰქონდა მიპი ერ-
 თულება და გიორგი ლარაძე რევაზ სარდალს აღარ დაანება, არამედ თა-
 ვისს პალატაში იყოლია. შემდეგ, როდესაც თეიმურაზმა პატრები გაპყარა
 ტფილისიდან და ჩამოართვა მათ ხარების ეკლესია და მათთან სასახლე, მე-
 დევმ უთხრა გიორგი ლარაძეს: „შენგან ვალდებული ვარ და პატრების საყ-
 დარი და სასახლე შენთვის მიბოძებიაო და იქ უნდა აღსდგო“. გიორგი ისე
 შეეჩვია სასახლეს, რომ ეს წყალობა არ განხარება, არამედ კიდევ იტირა
 თურმე, მაგრამ მეფის ბრძანება ასრულა და მას შემდეგ ხარების ეკლესიის
 დეკანოზი იყო და ზემო ჩამოთვლილი ოთხი შვილი შეეძინა⁹⁹. დეკანოზი გი-
 ორგი გარდაიცვალა 1794 წელს.

პეტრე ლარაძე, როგორც ეტყობა, დაახლოვებული კაცი ყოფილა მეფე-
 ბის სასახლესთან და ბატონიშვილებთან. მეფეების სამსახური გიორგიმ შეი-
 ლუბს ანდერძად დაუგდო. პეტრე ყოფილა განსაკუთრებული მოსამსახურე თეი-
 მურაზ ბატონიშვილისა. თეიმურაზი, როგორც ვიცით, საქართველოს რუსეთ-
 თან შეერთების დროს სპარსეთში წაიდა და მერე შეურიგდა რუსებს. ამ შე-
 რაგებაში დიდი ადგილი სჭერია პეტრეს. პეტრე ლარაძე თავმოწონედ ამბობს
 ერთ ადგილას: „ეს შაირნი მაშინ ვთქვი, ოდეს მწირთასა შინა მხნედ მორ-
 ბედლობით ვმსახურე მეფის ძეს თეიმურაზს და ძლიერის ხელოვნება გამოვიყ-
 ვანე იგი სპარსეთითო“. ის თვითონ წასულა სპარსეთში თეიმურაზის მოსანა-
 ხავად და დიდი ჰირი და ვაება გამოუცლია გზაში, როგორც მას, ისე ბატო-
 ნიშვილს. სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ კარგი განწყობილება მის და ბა-
 ტონიშვილს შორის შეწყვეტილა და თეიმურაზი ძლიერ გაჯავრებული ყოფი-

⁹⁹ ეს ცნობები ამოღებულია ლარაძიანთ სიგელ-გუჯრებიდან, რომელნიც ჩვენ საქართ-
 ველოს სიძველეში დაბეჭდეთ.

ტექსტი სრული არ არის ამ ხელთ-ნაწერში. ამ ნაკლს ავსებებს ხსენებული გამოცემა.

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცემში მოიპოვება აგრეთვე მეორე შრომა პეტრე ლარაძისა „დილა-რიანი“, რომელიც, როგორც ეტყობა, ავტოგრაფი უნდა იყოს (№ 1193), „დილა-რიანი“ დაწერილია პროზად და ლექსად, ისე როგორც ქილილა და დამანა. ლექსი სხვა-და-სხვა გვარის არს, მავალითად შაირი, ჩახრუხაული და „ყარიბული“. ეს უკანასკნელი პეტრე ლარაძის გამოგონილია, როგორც თითონ ამბობს. ლექსი ოც მარცვლოვანია, ტაეში აქვს ოთხი ლექსი და თითოეული ლექსი განიყოფება სამად, რომლის პირველ ორ ნაწილს აქვს ერთნაირი დაბოლოება, აი მისივე სიტყვები ყარიბულის შესახებ და ყარიბულის ნიმუში:

„კვალა ეს ყარიბული. ახლად შემოღებული. ლექსი გვარად
ტკბილად.
თვით ჩემგან შეწყობითა, იქმნა მოგონებითა, ტურჟად
შეწყობილად
სხვასა არავის სადა, ეს გვარი განეცხადა. თუ ვის აქვს
ქაღილადა.
და სასოვრად ჩემდა ესე აქარე განვანწესე წარვეალ
ეთ აჩრდილადა.“

წინასიტყვაობაში „დილარიანისა“ ავტორი მოგვითხრობს. რომ „მევე; ერეკლეს დროს განიზრახეს „დილარიანის“ აღდგენათ. ეს შრომა, როგორც ეტყობა, პეტრესთვის მიუზღვიათ, მაგრამ მაშინ მას ეს ვერ შეუხსრულებია მოუტყულოების გამო და შემდეგ პეტერბურგში ყოფნის დროს დაუწერია დილარიანი. წინანდელ „დილარიანს“, სარგის თმოგველის თხზულებას, თაპარის დროისას, ავტორის სიტყვით, ჩვენამდის არ მოუღწევია. ბოლო სიტყვაობაში პეტრე ლარაძე, მოგვითხრობს, რომ მან ერთი „დილარიანი“ დაწერა შავად, ეს გაიგო მეფის ძემ მოანემ, მივიდა მასთან და მოსტაცა. მხოლოდ მან ხელმეორედ და უკეთ შემთხზა დილარიანი. ჩვენ ხელთ-ნაწერს გ. ავალოვის მინაწერი აქვს ბოლოში, რომლიდანაც სჩანს, რომ ის მიუღია მას მოსკოვში ტფილისიდან 1833 წელს გიორგი იგნატის ძის თუმანოვისაგან. აქედან სჩანს, რომ „დილარიანი“ 1833 წლამდის დაუმთავრებია პეტრე ლარაძეს.

რაც შეეხება წიგნს მრავალფერ-ყვავილოვანს ერთ ხელთ-ნაწერში (№ 55) 374 გვერდზე მოყვანილია ერთი ლექსი, რუსულიდან გადმოღებული სამეგრელოს მეპევიდრის დავითის მიერ და შესწორებული ანუ, როგორც ლარაძე ამბობს, გაიმბოკოებული პეტრეს მიერ 1834 წელს, იენისის 19. ხელი ამ ლექსისა სხვაა, ვიდრე უმეტესი ნაწილი ტექსტისა და, ჩვენის აზრით, ხელთ-ნაწერი 1834 წლის ადრე უნდა იყოს გადაწერილი. რაც შეეხება მესამე თხზულებას პეტრე ლარაძისა—„სახე მოსანი“ ეს ჩვენ ჯერ არ შეგვხვედრია.

ლარაძეები შთამომავლობით იყვნენ მეგრელები, ძველად გადმოსახლებულნი ქართლში და დასახლებულნი სომხეთ-საბარათიანოში. აქ მათ გაუშენებიათ ორი სოფელი—დიდი ეგრისი და პატარა ეგრისი. დიდი ეგრისი არის ორ ვერსზედ გომარეთიდან თრიალეთის საპრისტაოში. ორის ვერსის სიშორეზედ დიდის ეგრისიდან იწყება მდინარე ზურტაკეტის ხრამი, რომელიც აქა ქციის ხრამზედ განიერია, ასე რომ ჩაღმართის დაწყებამდინა წყლის პირამდე ხუთი ექვსი ვერსი იქნება. ამ ზურტაკეტის ნაპირს ყოფილა პატარა ეგრო-

სი. პატარა ეგრისში დარჩენილია ეკლესია ლარაძიანთ აშენებული, სასახ-
 ლეს ნანგრევები და სხვა შენობები. აქ აღარაფერ არ სცხოვრობს ამ ეჟად. სო-
 ფელი არ დარჩენილა აგრეთვე დიდ ეგრისშიაც, სადაც პეტრე ლარაძის პაპის
 დროს სახლებელა ასი კომლი გლუხი. ამ ეჟად დიდს ეგრისში სახლობს მხო-
 ლოდ უქანასკნელი წარმომადგენელი ლარაძიანთ გვარისა კნენი მართა ივა-
 ნეს ასული შალიკაშვილისა: აქვეა ორი ძველი პატარა ეკლესია ქვისა ერთი
 მათგანი, როგორც წარწერიდან სჩანს, აშენებულია პეტრეს მამის გიორგი
 მღვდლის მიერ, ხოლო მეორე უფრო ძველი უნდა იყოს. როგორც სჩანს სი-
 გელიბდგან მეფე ლუარსაბ მოწამის დროს ყოფილან ლარაძეები დიდს ეგ-
 რისში. ბევრი მათგანი სამღვდელო კაცი ყოფილა. მღვდელი ყოფილა აგრეთვე
 პეტრეს მამაც, გიორგი, რომელსაც, პეტრეს გარდა. ჰყოლია კიდევ შვილები
 დავით, იოანე და იოსებ. გიორგი ჭერ ყოფილა სარდალსო ორბელიან-
 თან, რომლის მამულს თურმე ის განაგებდა. შემდეგ, როცა აბდულ-ბეგმა
 სომხით-საბარათაშვილო მიიმხრო და თეიმურაზ მეორეს დაუწყო ბრძოლა.
 გიორგი ლარაძე დარჩა ქვეშის ციხეში. ის იყო მოურავი ციხისა და ჰყავდა
 მხოლოდ ოთხმოცი კაცი. აბდულბეგმა ხან ძალით და ხან დიდებისა და პა-
 ტივის აღთქმით მოინდომა ქვეშის ციხის აღება, მაგრამ ვერც ძალით გააწყო
 რამე და ვერც მოფერებთ. გიორგი ლარაძემ უერდგულა მეფე თეიმურაზს და
 ასე შეუთვალა აბდულ-ბეგს: „ვინემდისინ მეფის თეიმურაზის და იმისი შვილის
 ირაკლის სახელი საქართველოში იხსენიება, ამ ციხეს ცოცხალი ვერ დაგა-
 ნებებო“. შემდეგ, როდესაც აბდულ-ბეგი დამარცხდა თეიმურაზის მიერ, გი-
 ორგი ლარაძე ტფილისში ჩამოვიდა. თეიმურაზს გაგებული ჰქონდა მისი ერ-
 თვულება და გიორგი ლარაძე რევაზ სარდალს აღარ დაანება, არამედ თა-
 ვისს პალატაში იყოლია. შემდეგ, როდესაც თეიმურაზმა პატრები გაჰყარა
 ტფილისიდან და ჩამოართვა მათ ხარების ეკლესია და მათთან სასახლე, მე-
 ფემ უთხრა გიორგი ლარაძეს: „შენგან ვალდებული ვარ და პატრების საყ-
 დარი და სასახლე შენთვის მიბოძებიაო და იქ უნდა დასდგეო“. გიორგი ისე
 შეეჩვია სასახლეს, რომ ეს წყალობა არ გახარებია, არამედ კიდევ იტირა
 თურმე, მაგრამ მეფის ბრძანება ასარულა და მას შემდეგ ხარების ეკლესიის
 დეკანოზი იყო და ზემო ჩამოთვლილი ოთხი შვილი შეეძინა⁹⁹. დეკანოზი გი-
 ორგი გარდაიცვალა 1794 წელს.

პეტრე ლარაძე, როგორც ეტყობა, დაახლოვებული კაცი ყოფილა მეფეე-
 ბის სასახლესთან და ბატონიშვილებთან. მეფეების სამსახური გიორგიმ შვი-
 ლებს ანდერძად დაუდგა. პეტრე ყოფილა განსაკუთრებული მოსამსახურე თეი-
 მურაზ ბატონიშვილისა. თეიმურაზი, როგორც ვიცით, საქართველოს რუსეთ-
 თან შეერთების დროს სპარსეთში წავიდა და მერე შეურიგდა რუსებს. ამ შე-
 როგებაში დიდი ადგილი სჭერია პეტრეს. პეტრე ლარაძე თავმოყმონედ ამბობს
 ერთ ადგილას: „ეს შირნი მაშინ ვთქვი, ოდეს მწირობასა შინა მხნედ მორ-
 ბედობით ვმსახურე მეფის ძეს თეიმურაზს და ძლიერის ხელოვნებით გამოვიყ-
 ვანე იგი სპარსეთითო“. ის თვითონ წასულა სპარსეთში თეიმურაზის მოსანა-
 ხავად და დიდი ჭირი და ვაება გამოუცლია გზაში, როგორც მას, ისე ბატო-
 ნიშვილს. სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ კარგი განწყობილება მის და ბა-
 ტონიშვილს შორის შეწყვეტილა და თეიმურაზი ძლიერ გაჰჯავრებული ყოფი-

⁹⁹ ეს ცნობები ამოღებულია ლარაძიანთ სიველ-გუჯრებიდან, რომელნიც ჩვენ საქარ-
 ველის სიძველეში დაბეჭდეთ.

ლა ლარაძეზედ, ის თითქო ლალატს ეწამება პეტრეს. პეტრე ამის მიზეზს მლიქვენლობაში ჰხედავს. თეიმურაზს პეტრე ძალუწუნებურად წაუყვანია პეტერბურგში. გზაზედ პეტრეს მოციქულის პირით უთხოვია ბატონიშვილისათვის, დაეთხოვა ის, მაგრამ თეიმურაზს თხოვნა არ შეუწყწარებია. პეტერბურგში პეტრე ცალკე დაუყენებია ბატონიშვილს. პეტერბურგში ყოფნის დროს უნდა იყოს დაწერილი, როგორც „დილარაინი“ ისე უმეტესი ნაწილი ლარაძის ლექსებისა.

პეტრე ლარაძე თითქო სასახლის მოღვესე ყოფილა პეტერბურგში გადასახლებული ბატონიშვილებისათვის. როდესაც დასპირდებოდათ, შეუყვეთდენ პეტრეს ლექსის დაწერას როგორც ბატონიშვილები, ისე იქ მყოფი ქართველები. „ეს შაირი“, ცკითხულობთ ერთ ადგილას, „მაშინ ჰსთქვა პეტრე ლარაძემ, ოდეს მეფის გიორგის ასული, მენგრელობის დედოფალი წინა მობრძანდა პეტერბურგს, და თანა მყოლთა მისთა თავადთა და აზნაურთა ჰსთხოვეს პეტრეს დაწერა შაირთა, რეცა მათ მაგიერად“. პეტრეს ნაწერებში ბევრი ლექსია ბატონიშვილებისადმი ძღენილი, მაგალითად მეფის ძის დავითისა, თეიმურაზისა, იოანეს ძის გრიგოლისა, მეფის ძის ოქროპირისა, მიხაილისა, ილიასა და სხვათადმი. ბევრი ლექსი უძღვნია პეტრეს აგრეთვე გიორგი თუშანიშვილისათვის. ლექსთა შორის რამდენიმე ანბანთქება არის, რამოდენიმე იამბიკონი, ეპიტაფიები და სხვა. აქვე არის ეპიტაფია საქართველოს მეფის ძის იულონისა, პეტრეს მიერ დაწერილია, ოხუნჯობა ჩვეულებრივი მოვლენა ეყო პეტრეს დროს პეტერბურგში დასახლებულ ქართველებისათვის. ერთ ნაჩვენებ ხელნაწერში (№ 155) დაცულია შეძვეგი ლექსი პოეტის ალექსანდრე ჰავკავაძისა ლარაძის შესახებ:

„ძველ მოღვესედ საქებულად ნიქად ესე დაიდვიან,
რომ სიცრუვის უშვებებს მჭერ მეთქობით დაპბურვიან;
თქვენცა იცნობთ პეტრე ყარბს, ძველ კვალნი არ უგმიან,
ლექსნი მისნი ტყუილნიცა სხვათა მართალთ ემჭობიან“.

ერთ პატარა ხელნაწერში, რომელიც ჩვენ ეგრისში ვნახეთ, ჩამოთვლილია, თუ რომელი ლარაძე, რომელ წელს მიიქვალა. ამ ხელნაწერიდან ვტყობილობთ, რომ ყარბი პეტრე ლარაძე გარდაცვლილა. 1837 წელს, თებერვლის 24. აი ეს მინაწერიც „კაცი იგი ღვთისა ყარბი პეტრე ლარაძე, გიორგის ძე. მზრუნველი და მამა სახლისა, გარდაიცვალა ფებერვლს კდ, შუადღის უკან. ეჰასა მეთუ საათისასა, ჩელზ წელსა. საუკუნოდ იყავნ კურთხევით ხსენება მისი უფლისა მიერ ღვთისა ჩვენისა ამინ“.

(გაზ. „ივერია“, 1899, №12, 13).

მელის წიგნი

„მელის წიგნი“ დაისტამბა ერთათ-ერთ ხელნაწერიდან, რომელიც შეძენილია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავის № 296-ს. ხელნაწერი პატარა ტანისაა, სულ 18×11,5 სანტიმეტრი, დაწერილია ლურჯ-ქრთალზე ადვილად გასარჩევ მორგვალო მხედრულის ხელით და შავის მელნით. ტექსტს ყოველ გვერდზე გარშემო უვლის ოთხკუთხედი. სათვალავ გვერდებისა აღნიშნულია ქვემო აშიაზე მხედრულის ასოებით, ხოლო ზემო აშიაზე სომხურისა ასოებით. არაკების სათვალავი აღნიშნულია ქართულის ასო-

ებით აშიებზე. ყოველ წინა გვერდზე უმეტეს შემთხვევაში ნაჩვენებია პირველი ასოები შემდეგი გვერდის პირველი სიტყვისა. ნიშნებათ იხპარება ყოველი არაკის ბოლოს: ~, ესე იგი ორი წერტილი და მრუდე ხაზი. სხვებ შემთხვევაში ნახმარია თითო წერტილი წინადადების დამთავრების შემდეგ და იშვიათათ მძიმე. ყდა ქალაღლისა აქვს ტყავადაკრული. ჩვენს ხელნაწერს აქლია მხოლოდ ერთი ფურცელი ანუ 245 და 246 გვერდები: ამიტომ უკანასკნელი მე-158 არაკი ჩვენის დედნისა ნაწყვეტათ არის შენახული, აგრეთვე აქლია კიდევ ჩვენს ტექსტს სომხურ და არაბულ მეღის წიგნთან შედარებით ექვსი არაკი 159—164. ეს ნაკლი ჩვენს ხელნაწერს კი არ ეკუთვნის, არამედ იმ დედანს, რომლიდანაც ჩვენი ხელნაწერია გადმოღებული. ეს აზრი მტკიცდება შემდეგის გარემოებით: უკანასკნელ ფურცლებზე ხელნაწერისა ანუ მე-249 გვერდზე მოყვანილია მხოლოდ სამი სტრიქონი, დანარჩენი ნაწილი მე-249 გვერდისა და მთელი შემდეგი მე-250 გვერდი ცალიერა ყოფილა. ამ გვერდებზე მოყვანილი ბოლონდელი მინაწერები, რომელთაც ტექსტთან არავითარი კავშირი არა აქვსთ, ეკუთვნის, როგორც ნაჩვენებია (იხ. გვ. 142, შენ.), 1887 წელს, რომ ჩვენის დედნიდან იყოს დაკარგული ბოლო ფურცლები, ცალიერი აღვილი არ იქნებოდა დატოვებული და მერმე კიდევ თითქმის ორი გვერდი. აშკარაა, ბოლო არაკები ჰკლებია იმ დედანს, საიდანაც გადმოუღიათ ჩვენი ხელნაწერი. ხელნაწერს თარიღი არა აქვს, მაგრამ მასალის და წერის ხასიათის მიხედვით შეგვიძლია დავჭვათ, რომ ყოველ შემთხვევაში ის არ ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის უწინარეს დროს, უფრო საკეშმარითა, რომ ხელნაწერი გადაწერილია მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში.

მეღის წიგნი მოიპოვება როგორც სომხურს, ისე არაბულს ენაზე. უწინ ის აზრი იყო გავრცელებული მეციხერთა შორის, რომ სომხური მეღის წიგნი ნათარგმნია არაბულისაგან, მაგრამ ეხლა პროფესორმა ნ. მარპა მშვინიერათ დამტკიცა თავის თხზულებაში «Сборники притч Вардана. СПб 1899», რომ სომხური მეღის წიგნი კი არ არის არაბულისაგან ნათარგმნი, არამედ არაბული სომხურისაგან. ჩვენ მიერ გამოცემული მეღის წიგნი, ჩვენის აზრით, ნათარგმნია აგრეთვე სომხურისაგან. ქართული მეღის წიგნი უფრო ახლია სომხურ მეღის წიგნთან, ვიდრე არაბულთან. ქართულს თარგმანში არ მოიპოვება ის განსხვავებული არაკები, რომელიც არის არაბულს ტექსტში, მაგალითათ, ბრმა და წმიდანი, ავაზაკი და მეუღაბნოე, ალექსანდრე დიდი, არისტოტელი და სულელი. სამაგიეროთ ქართულში არის ის არაკები, რომელიც მოიპოვება სომხურ ტექსტში და არ არის არაბულში (6, 24a, 30). რიგი არაკებისა ეთანხმება იმ რიგს, რომელიც არსებობს მეღის წიგნში. ვარდა ამისა უფრო მეტ საბუთათ ის მიგვაჩია, რომ ქართულში ზოგიერთი სიტყვები სომხურის ფორმით არის ნახპარი, მაგალითათ, ნიღოს ნიღოსის მაგიერ (იხ. შენ. 22), კურია რკუს მაგიერ (გვ. 18), ბუთის ქვა (გვ. 66). სიტყვები ბუთი გადმოუთარგმნელათ დაუტოვებია ავტორს: ეხლანდელი ანის მახლობელი სოპხები თურმე დასრეტელ ქვას ეძახიან ბუთის ქვას (იხ. ხსენებული შრომა მარკისა გვ. 25), ნისაფი სკინიდისის მაგიერ (ეს სიტყვა არაბულიდან ყოფილა შემოტანილი სომხურში) და სხვა. ყველა ამის მიუხედავათ უეპველათ უნდა ჩაითვალოს, რომ ქართული მეღის წიგნი სომხურიდან არის ნათარგმნი. ხოლო საპიროთ მიგვაჩნია აქ შეენიშნოთ, რომ ზოგი რამ განსხვავება სომხურს ცნობიღს დედნებთან ემჩნევა ქართულს ტექსტს. ჩვენ აღნიშნავათ მხოლოთ რამდენიმე განსხვავებას: 1 არაკი ბევრით უფრო შემოკლებულია ქართულს

თარგმანში, ვიდრე სომხურში. ამ არაკის რედაქცია ქართულში უფრო ახლოა ეზოპის იმავე არაკთან, ვიდრე სომხურთან (იხ. მარჩის შრომა, გვ. 499). მე-7 არაკში კონსტანტინე მეფის მაგიერ იხსენიება კონსტანტინეპოლის მეფე. მე-8 არაკში არ არის მოხსენებული, რომ ტერითს მარბილი შეადგენდა. მე-14 არაკში ადგილის სახელი ვალატი არ იხსენიება. მე-39 არაკის სათაური არის მელა და მორიფის და არა მელა და კიბო, როგორც სომხურშია. მე-50 არაკში კატა ხელმოწერის მესაწოლეთ იხსენიება და არა მესანთლეთ. მე-77 არაკში ლაკლაჯე სრულებით არ არის ლაპარაკი, არამედ მარტო გვრიტზე. მე-79 არაკში ლაკლაკის მაგიერ იხსენიება ვვრიტი. მე-108 არაკში ვირის კულის მაგიერ მოხსენებულია ვირის თავი. მე-156 არაკში ფრინველთ მეფეთ ჩიტია მოხსენებული და არა ტროლოა, როგორც სომხურშია. ყველაზე მეტ განსხვავებით ქართულის ტექსტისა უნდა ჩაითვალოს მე-111 არაკი. აქ სომხურს და არაბულს მელის წიგნებში მოთხრობილია ღორების და მურტრუეების არაკი. ხოლო ქართულში სულელი მგელის არაკი. უკეთ რომ ვთქვათ, აქ შეერთებულია ოთხი არაკი: მგელი და დეკულები, მგელი და თხა, მგელი და ვირი, მგელი და მონადირე. თუკაცა სხვა ვარდანულს კრებულში არის არაკი, რომელიც წაგავს ამ არაკს (იხ. მარჩის წიგნი გვ. 542 და აგრეთვე 529), მაგრამ მელის წიგნში კი ეს არაკი არ არის და სხენებულ ვარდანულს კრებულშიაც დიდათ განსხვავებულია. ამას ვინაა ზნეობრივ მოძღვრებაში არაკების ბოლოს ზმირათ ეპოულთთ გაჩეყვას. ყველა ნათქვამს თუ დაეუპატებთ იმას, რომ შიგა და შიგ არაკებში ზმირა განსხვავება სიტყვებში თუ ფრაზებში და ზოგჯერ ქართული ტექსტი თითქო არაბულს ეთანხმება. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ასეთი ხასიათის მელის წიგნის გამოცემა არ არსებობს სომხურს ენაზე, ქართულის მთარგმნელს ხელში ჰქონია ხელნაწერი სომხური მელის წიგნი ცოტა განსხვავებულის რედაქციისა შესაძლებელია ვიფიქროთ, ის არაკები, რომელიც ბოლოს აკლია ჩვენს დედანს, არ იყო იმ დედანში, საიდანაც ქართული მელის წიგნია ნათარგმნი. ხოლო არაბულის ტექსტისათვის ამგვარის მოუღენა, ესე იგი განსხვავება დედანსა. უკვე შემჩნეულია.

ქართულს ხელნაწერს მელის წიგნისას საკმაო ნაკლი აქვს. ზმირა გავერებული სიტყვები და ფრაზები. ზმირათ შეგხედებთ აგრეთვე გამოშკებული სიტყვები, ზოგჯერ შესმენილიც, რითაც აზრი გაუგებარი რჩება. მართლწერა სიტყვისა და საზოგადოდ ენა ზოგჯერ ჭეოვანი არ არის. გაუგებრობა ტექსტისა ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც სჩანს მარჩის შრომასთან შედარებით, იმითაც შეგვიძლია ავხსნათ, რომ მთარგმნელს ვერ გაუგია ზოგიერთი ადგილები ტექსტისა და აზრი ბუნდოვანათ გამოთქვამს, ან სულ გვერდი აუქცია ზოგიერთი ადგილებიზა. ქართული მელის წიგნი ძველ თარგმანს არ უნდა შეადგენდეს, უფრო საკემმარტოა, რომ ის არის ნათარგმნი სომხურიდან მეთვრამეტე საუკუნეში.

მელის წიგნი შეადგენს ერთს გაერცელებულს გვარს ვარდანულის იგავარაკებისა. დასაწყისი, ზრდა და განვითარება სომხურში ამგვარი კრებულბისა, როგორც სჩანს მარჩის შრომიდან, დაახლოებით ყოფილა ასე: მეორებზე საუკუნის ბოლოს და მეცამეტეს დასაწყისში ცხოვრობდა ცნობილი მქადაგებელი სომხებისა ვარდან აიგეკელი, პირველათ მოძღვარი და შემდეგ მუდღაბნოე. ეს ვარდანი ცოცხალი და ადვილათ გასაგებ ენით ქადაგებდა. თავის ქადაგებაში ვარდანი მაგალითებათ ხმარობდა არაკებს, ხოლო არაკებს თით კი არა თხზვდა, არამედ იღებდა წიგნებიდან, განსაკუთრებით ეზოპის

კრებულიდან და მხეცთა სახის მეტყველისაგან (Физиолог). ვარდანმა ეს არაკე-
ბი გადააკეთა თავის მიზნის გვართა და დაურთო მათ სულის სასარგებლო სწავ-
ლანი და ზნეობრივი მოძღვრებანი. თავი მიზანი ეს სულის სარგებლობა და
ზნეობრივი მოძღვრება იყო ვარდანისათვის, ხოლო არაკი იყო საშუალება მა-
სულაობა სწავლა-მოძღვრების გასატარებლათ. ამგვარი იგავ-არაკებით მოძ-
ღვრება მოსწონდა ხალხს და მალე დაიწყეს მათი ერთად შეკრება. თვით ვარ-
დანსაც უნდა ეკუთვნოდეს ერთი-ორი ასეთი კრებული, როგორც საგონებე-
ლია. ხოლო სხვები უფრო გულმოდგინეთ ჰკრებდნენ ერთად იგავ-არაკებს ვარ-
დანის კრებულის მიხედვით და ამ კრებულის მსგავსათ. ამგვარი კრებულები
თანდათან მრავლდებოდენ და იზრდებოდენ, რადგანაც ბევრი უსახელო მიჰმა-
ძავი გამოუჩნდა ვარდანს. აქედან წარმოსდგა ვარდანული კრებულები იგავ-
არაკებისა. თავდაპირველა პატარ-პატარა კრებულები იზარდენ, ზმირათ ორ
კრებულს აერთებდენ ერთად, საიდგანაც გაჩნდა რთული კრებულები. ზოგჯერ
ვრცელი კრებულებიდან მოკლე კრებულებს ადგენდენ სკოლაში სახმარათ და
ზოგჯერაც მოკლე კრებულებს აერთებდენ სხვადასხვა ვარდანულს არაკებით.
თვით ეზოპის იგავ-არაკებთა კრებული და მხეცთა სახის მეტყველიც, რო-
მელნიც გაუხდენ დედაბოძათ ვარდანის არაკებს, აღარ შენახულან წმიდათ
და შეურყეველათ სომხურს ენაში, ვინაიდან მათშიაც შექმონდენ ვარდანუ-
ლი არაკები. ეს ზრდა არ შეწყვეტილა მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე საუკუნე-
დის, სხვათაშორის ვარდანულს კრებულებში შევიდა მეთოთხმეტე საუკუნი-
დან მხითარ გოშის არაკებიც. გარდა არაკებისა ხსენებულს კრებულებში
დაიწყეს შეტანა სხვადასხვა სულთა მარგებელის და სასიამოვნო მოთხრო-
ბებისა, ხალხური არაკებისა, ზღაპრებისა და თხრობათა. ამ სახით წარმოა-
დგა სხვადასხვა შინაარსის და ხასიათის კრებულები. ერთს გავრცელებულს
გვარს ამგვარის ვარდანულს კრებულებისას, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუ-
ნეში ოთხჯერ გამოიცა ეეროპაში (1668—69 წელს ამსტერდამში, 1676 წ.
მარსელში, 1683 წ. მარსელშივე და 1698 წ. ლიონში). იმ დროიდან
ვარდანულს კრებულების ზრდა შეჩერდა. ვრცელი გამოკვლევა ვარდანის
კრებულებისა ეკუთვნის, როგორც მოვიხსენიეთ ნ. მარს. რომლის დი-
სერტაციიში «Сборник притч Вардана», შეკრებილია და განხილული ყო-
ველგვარი ცნობები ამ კრებულებისა და მათში მოქცეული არაკების შე-
სახებ¹⁰⁰. უწინდელ შრომათა შორის უფრო ცნობილი იყო სენ მარტენის
შრომა 1825 წელს პარიზში გამოსული *Choix de Fables de Vartan en armenien et en français*. ქართული თარგმანი დღემდის ცნობილი არ იყო და
ეხლა პირველათ იბეჭდება. გამოცემა მეზობელთ ხალხების არაკების თარგმა-
ნებისა და შეკრება ჩვენი მწიგნობრივი და ხალხური არაკებისა, რომელსაც
ამ ბოლო დროს ჩვენდა სასიამოვნოთ ყურადღებას აქცევენ ჩვენი, მოგვცეს
მასალას იმ კითხვის გადასაწყვეტათ, თუ რა ეკუთვნის ქართველს ერს ამ
არაკებში, რა გვაქვს ნასესხები და რა არის საერთო სხვებთან. ხოლო სანაჴ-
დის ეს მასალა არ გამოიქვამ, მანამდის სჯა ამ კითხვის შესახებ ნაადრევი
იქნება.

(შელის წიგნი, თბილისი, 1899, ე. თაყაიშვილის ბოლოსიტყვაობა).

¹⁰⁰ ნ. მარსის შრომაში შეტანილია მოკლე ცნობები ქართული თარგმანის შესახებ ჩემის
ეპრო წერილიდან (იხ. გვ. 574—575), ხოლო დაწვრილებითი განხილვა ქართული თარგმანი-
სა, სამწუხაროთ, ავტორმა ვეღარ მოასწრო, რადგან დისერტაცია თითქმის დამთავრებულ
ქონდა.

უნდა ვუფიქროთ ჯვარის მონასტერს!

საქართველოში აუარებელი ძვირფასი ნაშთია ხუროთ-მოძღვრებისა. მაგრამ მათ შორის ჯვარის მონასტერს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ჯვარის მონასტერი შესანიშნავი ნაშთია არა თავის სიდიდით და ჩვეულებრივ ჩუქურთმათა სიმრავლით, არამედ თავის სიძველით, უძველესთ ფორმების დაკვირვებით, უძველესი ქანდაკებათა და წარწერათა შენახვით. ეს არის დასაბამი, „პროტოტიპი“, გუმბათიანი ეკლესიისა საქართველოში. შედარება ამ ნაშთისა სხვა მრავალ შემდეგი დროის გუმბათიან ეკლესიებთან ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ თანდათან განვითარდა საეკლესიო ხუროთ-მოძღვრება საქართველოში და როგორ მიიღო ის თავისებური ქართული ორიგინალური სახე, რომელსაც ქართული სტილი ჰქვიათ. თუშუა ბევრი განსაცდელი უნახავს ჯვარის მონასტერს ამ თორმეტი საუკუნის განმავლობაში, ბევრი რამ მიუძღვებოდათ და მიუშენებოდათ შემდეგ დროში, მაგრამ საზოგადო ძველი სახე მას მაინც უცვლელად დაუცავს დღემდის. ამ მხრით საოცარ მაგალითს წარმოადგენს ჯვარის მონასტერი. სიმაგრი და კეთილშენობა ამ ნაშთისა გასაკვირალია. თქვენ აქ აშკარად ხედავთ, რომ ბუნებათა ძალებს მზეს, წვიმას, თოვლს და ქარს, რომელიც აქ მუდამ ძლიერად ღრუბლიან ზამთარში ქარბუქად იჭყვეა ხოლმე, ზოგიერთი ქვები სანახევროდ დაუდნია, შეუტამია, მაგრამ ეკლესიის კედლები მაინც შეუწყვეელია, რადგანაც დიდის და კარგის ქვებით არის ნაშენი. ამ ნაშთის კედლებზე დღემდის დაცულია ქვებზე გამოქანდაკებული ძრავლ იშვიათი და საუცხოვო სურათები ანგელოზებთა, წმიდანებთ იესო ქრისტესი, მამუენებელთა და სხვა დიდებულთა. რასაკვირველია, ზოგი მათგანი ასე თუ ისე საკმაოდ დაზიანებულია დროთა ვითარების გამო. მაგრამ რაც შენახულა, ისიც დაუფასებელი კანძია ამ ხელოვნების შესასწავლად საქართველოში. იმ დროის მთავრებს სახეების და ტანისამოსის გასაცნობად. სხვა ეკლესიებს იშვიათად შეუნახეთ აძლენი ხელოვნური და უძველესი დროის ქანდაკებანი, ამათთან ერთად აქ დაცულია უძველესი წარწერანი. უძველესი ნიმუშები ქართულის ასომთავრულიან ანბანისა, ქართულის პალეოგრაფიისა. ჩვენ ჯერ არ ვიცით დაბეჭდვით, რა დროს შემოიღეს საქართველოში ხეცური ანბანი, მაგრამ გადაჭრით შეგვიძლიან თქვა, რომ მეშვიდე საუკუნეში ხეცურს ასომთავრულს ანბანს უკვე დამთავრებული სახე მიუღია. ისეთი დამთავრებული, რომ შემდეგ დროში ასომთავრული ანბანი თითქმის უცვლელად რჩება. ამის უტყუარ-

საბუთს გვაძლევს ჯვარის მონასტრის წარწერები, შეიძლება სხვა წარწერებიც გვექონდეს ამ დროისა, შეიძლება მათი შინაარსი კიდევ ვიცოდეთ, მაგრამ დაბეჭდილებით არც ერთზე არ შეგიძლიან თქმა, რომ მეშვიდე საუკუნეს ეკუთვნის, და როდესაც გვეკითხავენ. სად გაქვთ უძველესი ნიმუშები ქართლის ანბანისა, ჩვენ ყოველთვის ჯვარის ეკლესიაზე მივუთითებთ ხოლმე, იშვიათად მოხდება. რომ ისტორიულ საბუთებს, ქრონიკას და მატრიანთა ცნობებს, ასე ეთანხმებოდნენ წარწერები. როგორც ეთანხმება ჯვარის მონასტრის ქანდაკებათა წარწერები ჩვენი ისტორიული წიგნების ცნობებს. ჯვარის მონასტრის აშენების ისტორიას მოგვითხრობს ქართლის მოქცევის ქრონიკა, საუმატ დავითის ძის ბაგრატიონთა ისტორია და ქართლის ცხოვრება. ამ ცნობების მიხედვით ჯვარის ეკლესიის აშენება დაიწყო გურამ კურაპალატმა (575—600) და წელთამდის ამოყვანა მოასწრო კედლებისა, განავრქეს შენობა მთავარმა სტეფანოს I და მისმა ძმამ დემეტრემ (600—619). დაამთავრა ეკლესია მთავარმა ადარნასე პირველმა (619—639), ხოლო სტეფანოს II (639—663) გალავანი შემოაელო ეკლესიას და პალატები ააშენა. ყველა ეს პირები, გარდა გურამისა, ეკლესიის დამწყობისა, გამოქანდაკებულნი არიან ჯვარის მონასტრის კედლებზე დაჩოქილნი, მავედრებულთა პოზიო, და მათ წინ ან ზემოთ ქანდაკებითავე წარმოდგენილნი არიან ის წმინდანება. რომელთაც ეს საისტორიო პირნი ევეღრებიან. დემეტრე მიქელ მთავარ-ანგელოზს ევედრება, სტეფანოს იესო ქრისტეს, ადარნასე გაბრიელ მთავარ-ანგელოზს, ამ დროს საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო და ქართლის მთავრები ბიზანტიის სამეფო კარის მოხელეთა ხარისხებს, ტიტულებს ატარებდნენ. ესევე მტკიცდება ჯვარის ეკლესიის წარწერებით. აქ ადარნასე და დემეტრე წოდებულნი არიან „უპატოსად“, სტეფანოს „პატრიკიოსად“, ისე, როგორც სხვა ქარაულს საბუთებშია. სწორედ იმ დროიდან, რომელსაც ეკუთვნის ჯვარის მონასტერი, მეშვიდე საუკუნიდან, იწყება საქართველოში განვითარება მწიგნობრობისა, ხუროთ-მოდღერებისა და ისტორიათა და მატრიანთა წერისა, და ყველა ამის ცხად-მყოფელია ჯვარის ეკლესია და მისი წარწერანი. ადარას ვიტყვით იმაზედ. რომ ეს ადგილი წმიდა ნინოს ცრემლებით მორწყული, ცხოველი ჯვარის სამყოფი, ეხლაც დაცული ეკლესიაში ქვეთიკრით ნაშენი კვარცხლბეკი ჯვარისა და თვით ის ხის ჯვარი, რომელიც მირიანის დროს აქ ამართული იყო და რომელსაც მეთვრამეტე საუკუნეში უკანასკნელად შექვიდის დღესაც უჩვენებენ ამ ეკლესიაში, სამოციქულო და სათაყვანებელი უნდა იყოს ყოველი ქართველისათვის. მაგრამ უხლანდელი მდგომარეობა ხსენებული ძეგლისა გულსაკლავია. განსვენებულის თავგამოდებული მოღვაწის აღქმისადრე ეპისკოპოსის მიერ გაკეთებული ცინკის სახურავი ქარს გადუძრია. ეკლესიაში წვეთი ჩამოდის და ყოველი წვიმას შემდეგ წყალი დგება. გუმბათის ქვები აქა-იქ შერყეულია და ლამის არაა ჩამოინგრეს, თუ დროზედ არ მივეშველეთ. კომიტეტი უკვე შემდგარიყო უკლად სამღვდლო ანტონის თავმჯდომარეობით. ტფილისის ხუროთ-მოდღერათა წრემ დახმარება აღგვითქვა უსასყიდლო რჩევით, გეგმის შედგენით და ტექნიკური მხარის გამოკვლევით, ხოლო საკმარ თანხა საკირო; უნდა

ვეშველოთ ამ შესანიშნავ ძეგლს ქართულის ხუროთმოძღვრებისა, ამ თორმეტი საუკუნის მოწამეს საქართველოს თავგადასავლისა, უძველეს ნაშთებს ქართულის ქანდაკებისა, ქართულის ანბანისა და ქართულის ჩუქურთმებისა. ყველამ გამოვიდოთ წვლილი, დიდმა და პატარამ, ერმა და ბერმა, განათლებულმა და გაუნათლებულმა. გვეყოფა ამდენი გულგრილობა ჩვენი ძვირფასი ნაშთებისადმი! მომავალი თაობა არ გვაპატიებს, თუ ეს ძეგლი ჩვენათვის წინ დაინგრა.

(გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914, № 31).

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა

ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული
ჩანაწერები და მოკონებანი

გამოსცემს გამგზავა და შესავალი წერილი ლაურთო
ა. ლ მ თ ა თ ი ძ ე ზ

აპადემიკოს მკვთიმე თაყაიშვილის გიგანტური და
ავტობიოგრაფიული ნაწარმის შესახებ

ქართული კულტურის ძეგლების თავდადებული მოქირნახულე-მკვლევარი და მხნე საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი 1945 წლის გაზაფხულზე დაუბრუნდა თბილისს საფრანგეთიდან, სადაც იგი ჩვენს სამუზეუმო საუნჩეს უვლიდა. მაღლიერმა სამშობლომ ღირსეულად დაუფასა მსოფლიან ვაშლიშვილს ღვაწლი და საშუალება მისცა განეგრძო მეცნიერული მუშაობა, როგორც კვლავ ქართული უნივერსიტეტის პროფესორსა და ახლად დაარსებული აკადემიის ნაშვილ წევრს. მან ორთავე დაწესებულებაში მთელი ძალ-ღონე გაცხოველებულ საპუბლიკაციო მუშაობას მოახმარა. ოთხმოცდამესამე წელიწადში გადაძღვარმა ნაშვილი ყმაწვილური ხალაისთა და სიმკვირცხლით მიჰყო ხელი იმ დიდი ხარვეზის შევსებას, რომელიც საქართველოდან ძალუენებურად გადახვეწამ წარმოქმნა მის ხანგრძლივ მუშაობით ბიოგრაფიაში. ის რეა წელიწადი, რომელიც ე. თაყაიშვილი კვლავ სამშობლოში გაატარა, უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა: დაძაბულად შრომობდა თითქმის გარდაცვალებამდე (1953 წლის 21 თებერვალს). ამ ხნის განმავლობაში მან გამოაქვეყნა 16 დიდ-პატარა ნაკვლევი და თითქმის იმდენივე დასაბუქად გააშადა, ხოლო სიკვდილმა სხვა მრავალის მზადება შუა გაზაზე შეაწყვეტინა.

სიყრმიტვე ძლიერ მტკივანი ფეხი და ხშირი გაცივება ძალიან უზღუდავდა მოხუცს შინიდან გამოსვლის საშუალებას. მეტადრე ჩამოსვლიდან 2—3 წლის ვასვლის შემდგომ: ერთხანს თუ დაწესებულებებში, სესია-სხდომებზე და სხვაგან დადიოდა (თითონაც კითხულობდა მოხსენებებს) და საკუთარი ავტომანქანით თბილისსა და მის მიდამოებსაც კი მიმოვილიდა ხოლმე, მერე და მერე თითქმის სულ ბინაში გამოიკეტა და ზოგჯერ ლოგინად მწოლიარეც კი მუშაობდა. ამასთანავე, სმენა-მხედველობაც შესუსტებული ჰქონდა, ხელი უკანკალებდა და წერა უშიძა—ტექნიურად, რა თქმა უნდა. მისი ნამოწაფარი, ძველი თანამშრომელი და მეგობარი, აწ აგრეთვე განსვენებულ იროდიონ სონდელაშვილი ჩვეულებისამებრ ერთგულად ეშველუბოდა მუშაობაში. მაგრამ მხოლოდ დრო და დრო ახერხებდა ავას, საკუთარი დიდი მოვალეობით დატვირთული (ხელოვნების მუზეუმის საგანძურის მკველი იყო).

ყოველივე ამის გამო აუცილებელი შეიქნა და 1948 წლის 10 მარტს თბილისის უნივერსიტეტმა დაუნიშნა კიდევაც ე. თაყაიშვილს თანამემწე, რომელიც უნდა მიხმარებოდა მას ახალ-ახალი ლიტერატურის გაცნობაში, მასალის მოკრებაში, ჭერ მხოლოდ მოფიქრებულ ნაშრომთა დაწერასა ან თარგმნაში (ქართულიდან რუსულად, ან პირიქით) და დაწერილთა რედაქციასა თუ ბეჭდვაში.

ეს საპატიო და თან საინტერესო მოვალეობა დაეკისრა ამ სტრიქონების ავტორს, იმხანად ჭერ კიდევ ახალგაზრდა მუშაკს, რომელიც 1952 წლამდე

უწევდა თანამშრომლობას ე. თაყაიშვილს (ნინო ლოლობერიძე : ხშირი და არსებითი მონაცვლეობა-დანპარები); ცდილობდა შეძლებისამებრ შეემსუბუქებინა მისთვის ტვირთი და გაეძარბა დასაბუქელი ნაშრომები. ამგვარი თანამშრომლობა საინტერესო იყო თუნდაც იმიტომ, რომ ესოდენ ღვაწლმოსილ ისტორიკოსთან და არქეოლოგთან, თავის დროზე იმოდენა საზოგადოებრივი საქმიანობის მესვეურთან ხშირი შეხვედრა (მეტწილ საღამოობით) და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ერთგვარ სკოლას წარმოადგენდა—მით უმეტეს, რომ ე. თაყაიშვილს ბოლოვდე შემორჩა გასაოცარი (თუმცა კი რამდენადმე „შეჩრებით“) მესხიერება; ცოცხალი, გამჭრიახი და თავისებური აზროვნება; დაუსწრებელი ხალისი ამა თუ იმ მოვლენისა ან პიროვნების შესახებ თავისი შეხედულების გაზიარებისა. ამასთანავე ის ხომ იმხანად თავიდან ეჩვეოდა მშობლიური ეულტურის. მეცნიერების წიაღს და გულწრფელად, მთელი არსებით ცდილობდა კვლავ ორგანულად შერწყმოდა მას, თან მოეტანა თავისი უზარმაზარი გამოცდილება, ნააზრევი და მუდამ ფხიზელი შეფასება ყოველგვარი ვითარებისა. ამასთანავე, მას ხელთ ჰქონდა უმდიდრესი არქივი (პირადიცა და, ნაწილობრივ, მის მიერ შექმნილი „სისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც“), რომელიც ისევე „ნიაემიუკარებლივ“ ჩამოაბრუნა საქართველოში, როგორც სამუხეუმო ქონება (ამჟამად ინახება ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში).

დაუდგრომელი მოხუცი ძალიან იჩქაროდა თავის ნაშრომთა გამოქვეყნებას, ვაი თუ ყველაფერი ედარ მოაუხწროო (და როგორც ითქვა, ეს შიში არც გამოდგა უსაფუძვლო!). მიუხედავად ამისა, ხანდახან იგი თავად მოისურვებდა ხოლმე წაჩსულს გახსენებას და გონებაში განსაკუთრებით ჩარჩენილი ამბების მოყოლას. მოსაგონარი (და თავმოსაწონიც!) ხომ ნამდევრულად უაპრაივი რამ ჰქონდა და ამიტომ ასეთი წიაღსვლა ჩვენს მუშაობაში კარგა ხნობით გრძელდებოდა ხოლმე, ხშირად ჩვენი შეკითხვითაც გაღვივებული. ეცდილობდით, არც ერთი საზოგადოებრივ რამდენადმე მაინც ყურადსაღები და თვით მისი ან მის თანამოსაქმეთა დახასიათების ამსახველი ამბავი არ გამოგვრჩენოდა ჩაუწერელი. ოთხი წლის მანძილზე ასეთი, სახელდახელო ჩანაწერი მრავლად დაგვიგროვდა. ინტერესი რომ შეგვატყუო, ე. თაყაიშვილმა თითონვე გამონახა, შიგა და შიგ, დრო: ჭრე ჩვეულებრივი, საშუარო მუშაობისაგან შესვენების სახით, ხოლო მერე და მერე უკვე განზრახ, მთელი საღამოობითაც კი გვიკარნახებდა მოგონებას, ისე რომ ორი სქელი რვეული შეგვეგსო. კარნახის დროს ზოგჯერ შეჩერდებოდა და იკითხავდა. „ზედმეტ რაწერილებით ხომ არ გაიამბობ? არის კი საინტერესო?“ (ბოლო კითხვას ჩვენ, რა თქმა უნდა, დადებითად ეუბასუხებდით ხოლმე). ხანდახან თითონვე ჰგვირდა კმაყოფილებას ამა თუ იმ ეპიზოდის გახსენება და ხალისიანად დასძენდა: „აი, ეს კი კარგა მასალა მოგეცა! ასეთი რამეები არ უნდა დაიკარგოს!“ ზოგი რამ საქმოდ ვერცლად გაიხსენა ჩვენ მიერ თუ სხვათა (მაგ., განსვენებული ლევან ასათიანის) მიერ „შეკვეთილ“ თემებზე. საბოლოოდ, ჩანაწერთა მოცულობამ ორას გვერდს ბევრით გადაამეტა. საწყუხაროდ, ბერკაცს მესამედიც კი არ დასცალდა იმისა, რის ჩაწერინებასაც აპირებდა, ხოლო, მეორე მხრივ, ხანდახან ვარიანტებს იტყუოდა ხოლმე ერთისა და იმავე ამბისა. ვერცლად აპირებდა და შედარებით

ცოტა თქვა ქართველ მწერალთა შესახებ; განზრახული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნისა“ თუ სხვა უმნიშვნელოვანესი ძეგლების ყველა ბელნაწერის თავდადასავლისა და მოპოვების ვითარების მოყოლა და მხოლოდ რამდენისა-მე კი შესძლო და ა. შ.

მოგონებათა პირველ რეველს, უმთავრესად ავტობიოგრაფიულ ამბებს რომ შეიცავს, ავტორმა გადაიტოხვა-შესწორების შემდეგ თითონვე უწოდა „მცირე მოგონებანი“. ისინი ჩაწერილია 1949 წლის 23 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე. უწინ, იმავე წლის იანვარში, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გვექონდა ჩაწერილი ისეთივე მოგონებანი და ზოგი რამ მეორდება კიდევაც, მაგრამ ვარიანტები კარგად ავსებენ ერთიმეორეს და მათი შერწყმა არ მივიჩნიეთ სასურველად, მით უმეტეს, რომ ერთში ნაწყვეტ-ნაწყვეტი „წილასუბია“, მეორე კი ვაბმით არის ნაქარნახევი და უფრო გამართულია. ორივეში მოთხრობილია ე. თაყაიშვილის ქუთაისისა და პეტერბურგში სწავლის, თბილისში პედაგოგიური, საზოგადოებრივი და მეცნაერული მოღვაწეობის, ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ზოგიერთი მწვავე კონფლიქტის ამბები და — ძლიერ მოკლედ — საზღვარგარეთ გამგზავრებისა და ყოფნის ვითარება. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ყოველთვის არაა დაცული. მაგრამ ეს მკითხველს თითქმის არ უშლის ხელს. გზადაგზა მოგონებელი მოკლედ და მკაფიოდ გვიხატავს თანამოსწავლეთა, მასწავლებელთა, თანამშრომელთა და საერთოდ თანამედროვეთა პორტრეტებს.

ნაკარნახევ მოგონებათა მეორე რეველს (ჩაწერილს 1950 წლის 26 იანვრიდან 4 მაისამდე) ავტორმა უწოდა „მცირე მოგონებანი ქართველ მოღვაწეთა შესახებ“. სათაურიდანაც ჩანს, რომ იგი მრავალი პიროვნების გახსენება-დახასიათებას ლამობდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, დაიწყო ილიათი („ზოგი რამ მოგონება ილია ჭავჭავაძის შესახებ“) და ისე გაიტაცა იმ დიდი, მას მიერვე „მაშინდელი საქართველოს ბელადად“ მიჩნეული კაცისა და მოღვაწის საქმიანობის, ხასიათის, ოჯახური გარემოცვის აუკარგისა და ზოგჯერ უცნობი დეტალების გახსენებამ. რომ დრო აღარ ეყო სხვათა ამბის საგანგებოდ მოთხრობისათვის, რას გამოც ზოგი მათგანი მხოლოდ ილიასთან დაკავშირებით აღმოჩნდა დახასიათებულა.

დაახლოებით ასეთივე და საკმაოდ ვარიანტულია III თავი, „ავტობიოგრაფიული მოგონებანი“.

რაც შეეხება პიროვნებათა და მოვლენათა შეფასებას, მოგონებებს წითელ ზოლად გასდევს ავტორის, საყოველთაოდ ცნობილი, ზნეობრივი პრეზანსისა და ფიცხელი ტემპერამენტის გამოვლინება: პირუთვნელობა, გადაჭრობა და სუსხიანობა (ზოგჯერ ეგებ ნამეტანიც!); მის მიერ, ეროვნულ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით მანედ მიჩნეული ყოველივეს დაუზოგავაუ მხილება; ინტერესი ოჯახური ყოფისა და ადამიანთა საქციელის ისეთი დეტალებისადმი, რომლებიც ყოველთვის ვერ ამშვენებენ ამა თუ იმ პიროვნებას (თუნდაც კარგ მოღვაწეს)² და ა. შ.

¹ ამ დანაკლისს რამდენიმე ანაზღაურებს ლიტერატურული მუზეუმის თხოვნით ნაკარნახევი მოგონებანი („ლიტერატურის მატრიანე“, წ. 6, ნაკვ. პირ., 1952).

² მისი, უკვე გამოქვეყნებული მემუარების მკითხველთა შორის გავრცელების შემდგომ არა ერთი და ორი, წყნით აღსაესე (და ხანდახან მართებული) გამოპასილი გაჩნდა ჩვენს

მაგრამ, თუ ოთხმოცეა გადაცილებული მოხუცის მეხსიერების ზოგჯერ ბუნებრივ მოჩრდილვას და ფაქტებისა თუ პიროვნებათა, ან მათი თანმიმდევრობის უნებურ. მცირე აღრევას არ ჩავაგდებთ სათვალავში. მოგონებათა აქტორის საერთო ობიექტურობა და სიმართლისადმი ერთგულება ექვს არ იწვევს.

შემდეგ: შეიძლება ვინმემ უსაყველუროს მას საკუთარი. პირად-საზოგადოებრივი კონფლიქტებისადმი ზედმეტი ყურადღება, მაგრამ ასეთი მომენტები მისი ყოველგვარი მოღვაწეობის ისტორიაში ფრიალ მნიშვნელოვან რაოდენაზე ძვრა-გარდატეხასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული და ამიტომ იმსახურებს, უმთავრესად, ყურადღებას.

ბევრი რამ აორკეცებს ე. თაყაიშვილის მოგონებათა ლიტერატურულ მიზიდველობას: იმთავითვე ვიყავით დარწმუნებული (და ჩანს, არც შევეცდარავართ), რომ მათ ქართული მკითხველი ისევე დაეწაფებოდა, როგორც ან ეანრის ბევრ სხვა, ჩვენში თუ სხვაგან ცნობილ ნიმუშს: მათშიც მოვლენათა სხარტ თხრობა და ცინცხალი, ხშირად იუმორისტული მხატვრულობა მოხდენილადაა შეზღვეებული და ავტორის ბიოგრაფია განუყოფლად არის გადაჭკეპული ჩვენი მოწინავე საზოგადოების ბიოგრაფიასთან.

ჩანაწერთა მეოთხე თავს შეადგენს ჩვენი საგანგებო, არაერთგზისი თხოვნით (1949 წლის იანვარში) ნაქარნახევი მოგონებანი ე. თაყაიშვილის მიერ წარმოებული გათხრითი მუშაობის შესახებ. იგი შედარებით მკურა, მაგრამ მაინც უთუოდ ყურადსაღები — თან მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ამ მხარის დახასიათებისა და თან საერთოდ ჩვენში არქეოლოგიის ისტორიისათვის (რაზედაც სინტემატურად გვიხდება მუშაობა პირადლ ჩვენს). ამ თავს ზოგი რამ დაფუმატეთ სხვადასხვა დროს „სიტყვის მიერ მოტანილიდანაც“.

დასასრულ: მეხუთე თავში წარმოდგენილია რამდენიმე ათეული ცალკე ეპიზოდი თუ კრიტიკული შენიშვნა-მოსაზრება, შერჩეული ოთხი წლის (1948—1952) სახელდახელო ჩანაწერებიდან. ამ უკანასკნელებს ვაკეთებდით ე. თაყაიშვილთან ერთად მისი ნაშრომების მოწესრიგება-თარგმნისას, როდესაც ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ბევრი რამ ახსენდებოდა (ან იქ წუთს პირველად მოსდიოდა აზრად) ისეთი, რაც, ჩვენი გაგებით, არ იყო მოკლებული არც მეცნიერულსა და არც სამეშუარო ინტერესს. შენიშვნები ხშირად მოგვაგონებენ ერთგვარ „ინტამურ“ სქოლიოებს ახლა უკვე გამოქვეყნებული და ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი, მაგრამ იმხანად მხოლოდ დასაბუქლად გამზადებული ნაშრომებისადმი („1917 წლის ექსპედიცია“, „სუმბატის ქრონიკა“, „იბერთა სახელმწიფო“) და აგრეთვე ზოგი დღემდე გამოუქვეყნებელისადმი. ზოგი შენიშვნა გამოთქმულია ამა თუ იმ მეცნიერის ნაშრომების მიმართ, რომელთაც ე. თაყაიშვილი მაშინ ეცნობოდა; ზოგი დასახულია შემდგომი კვლევის ამოცანები; ზოგი შეეხება საბჭოთა საქართველოს განახარელ ვითარებას და ა. შ. ყოველივე ამის გამო შენიშვნებიც მოგონებებთან ერთად გამოქვეყნების ღირსად მივიჩნით და გვგონია, რომ არ შეემცდარავართ.

საზოგადოებაში. ზოგი დაბუქლად კიდევაც (მაგ. აკაკი წერეთლის შესახებ მისი მძიმე წილის ვასილ წერეთლისა), ხოლო ზოგი ჩვენ ზედ იმყოფება და მათ ჭერკვანდ ვითვალისწინებდით მოგონებათა ამ გამოცემაზე მუშაობისას.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, 1952 წელს „ლიტერატურის მატიაინში“ დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის (ნაკარნახევი) მოგონებანი ქართულ მწერლებზე. წინამდებარე ტომში მათ მთლიანად შეტანას აზრი არა ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი რამ გამოვრდებოდა, მაგრამ ის არა საქირთლ მივიჩნიეთ, რომ იქიდან ამოგვეკრიბა და დაგვემატებინა ისეთი თავები, რომლებიც ჩვენ მიერ ჩაწერილში არ იყო (ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის შესახებ ჯა სხე.).

ჩვენ მიერ ჩაწერილი მოგონებანი ნაწილობრივ გამოაქვეყნა ჟურნალმა „მნათობმა“ 1958 წელს (№№ 4, 5, 7, 11, 12) და 1959 წელს (№№ 1, 5, 7, 9), სულ 13 ნაკვეთად. მოუხედავად ამისა, აუცილებლად მიგვაჩინა ხელახლა დაიბეჭდოს ისინი, ვინაიდან ჟურნალში: ა) ნახევარზე რამდენადმე მეტი თუ მოექცა; ბ) გამოტოვებულ იქნა ყოვლად მნიშვნელოვანი, მაგრამ რატომღაც „მოსაფრთხილებლად“ მიჩნეული ნაწილები; გ) ზოგი ნაწილი იაე მექანიკურად იქნა დაწვეტილი და ბოლოშეკვეცილი, რომ სრულიად წახდა შთაბეჭდილება და ზოგჯერ აზრიც კი დაიკარგა.

ე. თაყაიშვილის გარდაცვალების შემდეგ მის არქივში აღმოჩნდა სხვა მემუარულ-ავტობიოგრაფიული ნაწერებიც, რომელთა არსებობა მანამდე არ ვიცოდით: „ჩემი ბავშვობა სკოლაში შესვლამდის“ (გურიის საუცხოო ეონოგრაფიული ჩანახატების პრავლად შემეცველი მოგონება),³ „განძეულის ეკროპაში წალებისა და დაბრუნების ისტორია“ (საკმაოდ ვრცელი, სულ ბოლო წლებში ნაკარნახევი, ორ ვარიანტად), ზედმიწევნით საინტერესო მოგონება ივანე ჭავჭავიძელისა და უნივერსიტეტის დაარსების შესახებ⁴ და რამდენიმე მოკლე, თითქმის ანექდოტი ავტობიოგრაფია გადაწვევით. ისინი ყველა შეგვეტანა ამ ტომში, რადგან ვარიანტებიც კი ხშირად ავსებენ ერთიმეორეს, ხოლო განმეორებას აქაც უნდა შევურიგდეთ—მით უმეტეს, რომ, კერძოდ, ანექდოტებ ჩამოწერილი ავტობიოგრაფიები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დაწვეტილებებისათვის (უნივერსიტეტი, აკადემია) ჩანს დაწერილი და ზოგში ერთი რამაა წინ წამოწეული, ზოგში—შეორე. თქმა აღარ უნდა, ეს ჩამოთვლილი ნაწერები პირველად ქვეყნდება.

დასასრულ უნდა დავძინოთ, რომ მემუარულ-ავტობიოგრაფიულ ფხზელებათა საბოლოოდ გამართვისას აუცილებლად მივიჩნიეთ (ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი მოსაზრებით) აქა-იქ მცირე კუბიურები, ხოლო ზოგჯერ სახელ-გვარის ინიციალებით შეცვლა და ზოგი ეპითეტიც და კვალიფიკაციის გათანამედროვეება თუ შერბილება. იმედია, მკითხველი გავციგებს ყოველივე ამას და დაგვეთანხმება, რომ ეს საქირთლ და სავსებით დასაშვებია იყო. ხომ ცნობილია, რომ ყველა დედანი, ყველა ვარიანტი თუ ნაწვეტი ერთად ინახება განსვენებული მეცნიერის არქივში და დეტალებით დაინტერესებულ სპეციალისტებს მათი გაცნობა არ გაუძნელდება.

გ. ლომთათიძე

³ არქივში ეს მოგონება რამდენიმე ვარიანტისა და მცირე ნაწვევების სახით იყო წარმოდგენილი (მათ შორის უცრცელსი კარნახით ჩაწერა—1945 წელს, საფრანგეთში—ქართულ ქალს მე დეა და მბაშიძე-ნიკოლაძისას.). საბოლოოდ, სხვებს ვამჟიანთ არ, სონდულაშვილის ხელით ნაწერი, ყველაზე სრული ვარიანტი, რომელიც ახლახან დაწმოგვცა განსვენებული მწერლისა და მოღვაწის ძმისწულმა მე. სონდულაშვილმა, რაც დღი მადლობით არის აღსანიშნავი.

⁴ არქივში ორი მცირე ნაწვეტი-ლა იყო და სრული ხელნაწეული კი ამ დღეებში გავაკონო და გადასწერად გვათხოვა იე. ჭავჭავიძელის არქივის მცველმა (ხელნაწერთა ინსტიტუტში) ნა ა ე ლ ა ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ძ ა, რომელსაც დიდად ვმადლობთ.

I. ავტობიოგრაფია

ჩემი მეტრიკის მიხედვით, დაბადებულეარ 1863 წლის 5 იანვარს, მაგრამ შესაძლოა ამაზე წრთი წლით მაინც უწინ ვიყო დაბადებული, ვინაიდან ჩვენში მეტრიკას მონათვლისას ადგენდნენ ხოლმე. დავიბადე ოზურგეთის მაზრის (ახლა მახარაძის რაიონის) სოფელ ლეხაურში, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა გურიაში—ჰავით, მდებარეობით, ძველი კარგად დაცული ციხით, ეკლესიებითა და მათში შენახული სიძველენით.

მამა, სიმონ ნიკოლოზის ძე თაყაიშვილი მე არ მახსოვს. დედამაც, ნინო ნაყაშიძის ასულმა სულ პატარა დამტოვა. შვიდი წლინა რომ შევიქენი. მიმეცეს ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში. მესამე კლასში რომ გადავედი, იგი საქალაქო სასწავლებლად გადააკეთეს. პროგრამა სულ შეუცვალეს და ანიტომ სამაზრო სასწავლებლის დამთავრება მომიხდა ფოთში. შემდეგ შევიდი ქუთაისის კლასიკური პროგიმნაზიის მეორე კლასში. პროგიმნაზიას განაგებდა ინჰექტორი იუდანი, რომელსაც მშვენივრად ჰქონდა დაყენებულ პროგიმნაზიის საქმე. სახელგანთქმულიც იყო და ის სახელი მას შერჩა გადაცვალების შემდეგაც: გიმნაზიაში რამე რომ შეგვეცდენოდა, მასწავლებლები გვეტყოდნენ ხოლმე: «Как вам не стыдно ошибаться, вы—прогимназисты юдинских времен!». პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევედი კლასიკურ გიმნაზიაში (V კლასში) რომელიც დავასრულე 1883 წელს. იმავე წელს შევედი პეტერბურგის (ახლა ლენინგრადის) უნივერსიტეტის საისტორიო და საფილოლოგო ფაკულტეტზე და გავათავე მისი კურსი 1887 წელს.

იმავე წლის ოქტომბერში მომიწვიეს ლათინურისა და ბერძნულის მასწავლებლად თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში. შემდეგ ვიყავი იმ სკოლის გამგე და წილად მხვდა მისი რეაკლსიან გიმნაზიად გადაკეთება და განუწყვეტელი ბრძოლა კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველოსთან, რომლის თვალშიც ქართული გიმნაზია ქართული ნაციონალიზმის და ანტირუსული მიზართულების ბუფე იყო. იმავე დროს და შემდეგაც ვასწავლიდა ლათინურს, ბერძნულს. ისტორიასა და გეოგრაფიას თბილისის სხვადასხვა სახელმწიფო გიმნაზიებში.

1904 წელს თავი დავანებე სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგებლობას და უფრო ინტენსიურად განვაგრძე აღრევე დაწყებული მუშაობა ისტორია-არქეოლოგიაში, მასწავლებლობასთან ერთად.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ამირჩიეს: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის, საეკლესიო მუზეუმის კომიტეტისა და ქარ-

თული ღრამატული საზოგადოების წევრად. ვიყავი წევრი რუსული არქეოლოგიური საზოგადოებისა, აღმოსავლეთის შესწავლის საზოგადოების თბილისის განყოფილებისა; წევრი და მდივანი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა და სხვ. ვიყავი ერთი დამაარსებელთაგანი ქართული წიგნის გამოქვეყნების საზოგადოებისა და ფაქტიური ხელმძღვანელი კავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტისა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ განზრახული მქონდა პედაგოგიური მუშაობა და სრულიად არ ვემზადებოდი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მაგრამ ძალუენებურად კი მოვიხდა ამ მხრივ მოქმედებაც. წერა-კითხვის საზოგადოებას (როსლის გამგეობის წევრობაც უჩემოდ დამაკისრეს) დაარსებული მქონდა ბიბლიოთეკა-მუზეუმი და მასში ინახებოდა, სხვათა შორის, ხელნაწერები და არქეოლოგიური ნივთები, რომელთა მოკლე კატალოგი შეედგინა გამგეობის ყოფილ მდივანს, პედაგოგ ნიკო მთავარელიშვილს. ჩემ დროს იგი აღარ იყო მდივნად და, რადგან სხვა არავინ ჩანდა, ისევე მიუენდა მომელო მუზეუმისათვის. ამას დაუკავშირდა ჩემ მიერ დაწყება სამეცნიერო მუშაობისა—თავი და თავი, პედაგოგიურის გარდა—ლიბრირი ბაქრაძისა და ნიკო მარის ჩაგონებით. ეს მოხდა 1890 წელს. როდესაც გოზ. „ივერიაში“ დაესტამბე წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობა და თან ცალკე წიგნად გამოეცეცა „სამი ისტორიული ხრონიკა“ (ქართლის მოქცევისა, სუმბატ დავითის-ძის ბაგრატიონთა ისტორიისა და მესხური დავითისა).

იმ მუზეუმებამ სახელი გამოიტქვა: ილია ქაქავაძეს დიდად მოეწონა, გიგა ყიფშიძემაც ქება შემასხა. ხოლო ძველი და ახალი ქართული ლატრატურის სახელგანთქმულმა მკოდნემ ნიკო დადიანმა მომიძღვნა არჩილური, 7 თვის-სახელაანი აკროსტიხი. წერა-კითხვის საზოგადოებამ მომანდო მუზეუმის კატალოგის შედგენა. მაგრამ გამომიჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომლებმაც შექმნეს განგაში, კატალოგს ვერ შეადგენს, მოუშვადებელია და ფულიც ტყუილად დაიხარჯებაო. ერთმა მათგანმა. ...შეადგინა სია ჩემი ნაშრომის კორექტურული და არაკორექტურული შეცდომებისა, დაბეჭდა და სახელად დაარქვა „აღვადგინე“. გაზეთში მცირე პასუხი გავეცი და გადაეწყვიტე, ქართულად კი აღარ შემედგინა აღწერილობა, არამედ—რუსულად, და მებეჭდა იგი სახალხო განათლების მზრუნველის კრებულში «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа». ჩემთვის ნიეთიერად სასარგებლო იყო (გასამრჯელო გვერდში თითო მანეთის იძლი-ოდნენ), მაგრამ საქმისათვის საზარალო გამოდგა: ქართულად რომ მეკეთობინა, ყველა ხელნაწერის აღწერა-გამოცემას მოვასწრებდი, რუსულად თარგმნას კი დიდი დრო უნდოდა და აკი ნაწილი გამოუქვეყნებელიც დამჩრა!

1889 წელს დიმიტრი ბაქრაძემ დააარსა საეკლესიო მუზეუმი და სხვაბთან ერთად მეც მიმიწვია იქ სამუშაოდ. მომცა მისი წესდება ქართულად ვადმოსათარგმნად და მეც შევასრულე, გამოიცა. ბაქრაძემ კონდაკოვთან ერთად იმოგზაურა ქართულ ეკლესიათა განძეულობის აღსაწერად და როცა იმ აღწერილობითი ნაშრომის კორექტურა მოვიდა თბილისში, საუბედუროდ. თითონ ცოცხალი აღარ დახვდა, ისე რომ ნაშრომი გამოსცა მარტო კანდაკოვმა. იგი, ცოტა არ იყოს, უტაქტოდ მოიქცა: იმის მაგიერ, წიგნი ელიარებინა საერთო ნაწარმოებად, განაცხადა, შიგ ბაქრაძეს ეკუთვნის მხო-

ლოდ ქართული ტექსტების თარგმანიო. ბაქრაძის გარდაცვალებაზედ საერთოდ ვმუშაობდით მასთან რამდენიმე კაცი და კარგი ურთიერთობაც გვქონდა ერთმეორეში, შემდეგ კი ამიხუდრდნენ, როგორც უკვე ვთქვი...

ასე იყო თუ ისე, საუბრაგოსთან ერთად ჩავები სამეცნიერო მუშაობაშიც. 1907 წელს დაეარსე საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოება და მას შემდეგ კიდევ უფრო გავაძლიერე კვლევა-ძიება, რომლის შედეგებიც კარგად არის ცნობილი. ჩვენი ახალი საისტორიო მეცნიერების ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი დიდად აფასებდა ჩემ წაშრომებს. მე იმ რამდენიმე პირთა შორის ვიყავი, ვინც ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, ერთად დააარსა უნივერსიტეტი; ერთ-ერთ წინასწარ კომისიასაც ვთავაზდომარეობდი თბილისში. 1918 წლის 21 მაისს უნივერსიტეტის საბჭომ მომანიჭა ისტორიის დოქტორის ხარისხი honoris causa, გავხდი პროფესორი და ვკითხულობდი ლექციებს არქეოლოგიაზე. იმავე დროს არჩეული ვიყავი საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგად.

ჩემი ლექციები შეწყდა 1921 წლის თებერვალში, როდესაც იძულებული ვავხდი წავსულიყავი საფრანგეთში. მენშევიკების მთავრობის მიერ წაღებული სამუზეუმო განძეულობის დასაცავად. აღნიშნული მთავრობა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო, საფრანგეთის მავინდლო პირველი მინისტრის ბრიანის წინადადებით გაიხიზნა პარიზში და საკულტურო განძეულობაც იქ წაიღო. მის მეთვალყურედ დამფუძნებელი კრებისა და თვით მუზეუმთა ხელმძღვანელობის მიერ მე ვიყავი დანიშნული. ამრავად ზედმა მარგუნა საფრანგეთში დაბინავება დიდი ხნით, ეროვნული საუნჯის სამშობლოში დაბრუნების მოლოდინში. ის განძეულობა გადავარჩინე გაყიდვის, დაგირავებისა და ობოლენსკის ცოლის პრეტენზიისაგან. რომლის მიხედვითაც განძეულობის თითქმის ნახევარი მამამისის, სამეგრელოს მთავრის კუთვნილებად ცხადდებოდა. საქმე სასამართლოდის მივიდა, პროცესმა 7 წელიწადს გასტანა და ობოლენსკის ცოლის დამარცხებით გათავდა.

საზღვარგარეთ მეცნიერული მუშაობა არ მიმიტოვებია: მოვასწარი გამოცემა კოლა-ოლთისისა (1907 წ.) და ლეჩხუმ-სვანეთის (1910 წ.) ექსპედიციათა ანგარიშებისა ცალკე წიგნებად და აგრეთვე რამდენიმე წერილისა.

როდესაც საფრანგეთში ჩამოვიდა სსრკ წარმომადგენელი ბოგომოლოვი. წერილით ვთხოვე ჩემთვის შეხვედრა დაენიშნა და მანაც თავისი მანქანა გამომიგზავნა. მაგრამ შიგ იჯდა პოლკოვნიკი ვ... რამაც გამაკვირვა. რადგან ვიცოდი, რომ პოლკოვნიკს იმ საჩივრის დროს ობოლენსკის ქერივის მხარე ეჭირა და ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებდა. გზაში მითხრა, ბოგომოლოვს დაეპირდი. ევგენი გეგეჰკორიცი მოვა მეთქი, მაგრამ ევგენისათვის არც შემიტყობინებია ეს ამბავიო. ვკითხე, რაში დავჭირდა ევ სირკრუე მეთქი? მიპასუხა. იმისთვის. რომ მეტი შთაბეჭდილება მომეხდინა ელჩზეო... მივედი ბოგომოლოვთან. რომელმაც, რა თქმა უნდა, დიდი სიმპატიით მიმიღო. ვკითხე, როგორ ვნებათ, ახლავე მოგახსენოთ გარეუბება მეთქი? მითხრა, ჯერ ვისაუბროთ და შეიძლება იმის დროსაც გამოვარკვიოთ საქმეო. შევატყვე, რომ ვ... რაღაც პანქანებით დაახლოვებდა ბოგომოლოვს. საუბრის დროს ჩიბიდან ამოიღო წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ვ...ს 50 000 ფრანკი მიეცა ადვოკატისათვის და ამით გაჩერებინა საქმე. ზედმიწევნით პატიოსანი კაცი ბოგომოლოვი, აბა, როგორ წარმოიდგენდა. რომ ის ადვოკატი ნამდვილად ობოლენ-

სკის ქერიის პრეტენზიას იცავდა და არა ჩვენსა? გამოართვა ვ...-ს ბარათი და იხე ჩაიღო ჭიბჭი, რომ ჩანდა, ფულის ანაზღაურებას აპირებდა.

იმ დროს საფრანგეთის გამგედ მოსული იყო გენერალი დე-გოლი, რომელიც იმავე დღეს ბოგომოლოვთან ერთად უნდა გაფრენილიყო მოსკოვში, ზავის შესაკერებლად, რადგან ომი ჯერ დაუქთავებელი იყო. ვუთხარი ბოგომოლოვს, მანამ გაფრინდებოდეთ, დე-გოლს უნდა მოვთხოვოთ, განძეულობა დაეკიბრუნოს მეთქი. მიპასუხა, მაგ საქმისა შე არაფერი ვიცი და კარგი იქნება, თქვენ შეადგენდეთ მოხსენებას, მე კი ხელს მოვაწერინებ დე-გოლსაო. მეც დაწვერე მოხსენება, რომელშიც განპარტებული იყო საქმის გარემოება. იმ მოხსენებას დე-გოლმა წააწერა, დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს.

განძეულობის მიღება ბოგომოლოვმა მოგვანდო თავის თანაშემწესა და კონსულს საფრანგეთში ა. ა. გუზოვსკისა და მე. გუზოვსკიმ ის ქალაქი შეირჩე და დღესვე წარუდგინა დოკონს, რომელსაც განძეულობა ებარა. დოკონს არ იპა ასეთი რამ და ვანუტხადა, ეს მინისტრმა უნდა გადაწყვიტოს და არა დე-გოლმაო. ამაზე გუზოვსკიმ უთხრა, თუ ეგ საქმე ხელამდის არ გადავიჭროთ, ტელეგრამას გაუგზავნი დე-გოლს და ვაცნობებ, რომ მის განკარგულებას არ ასრულებთო. დოკონს მეტი გზა აღარ ჰქონდა და დაკვთანხვდა ქონების ჩაბარებას, რამაც ერთ კვირას გასტანა. უკლებლივ მივიღეთ კარგად დაცული ჩვენი განძეულობა, ერთი ქინძისთავიც კი არ დაგვკარგვია.

შეუღღმქი ნივთების ჩალაგებას ყუთებში. სულ 39 იყო, 25 უკვე ჩავალაგე, მაგრამ შემდეგ ავად გავხდი და შეეწყვიტე საქმე. ამ დროს პარიზში ჩამოვიდნენ პ. და პროფ. შ. ამირანაშვილი, რომელიც ჩემ დროს უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. დანარჩენი ყუთები ამირანაშვილმა ჩავალაგა. განძეულობა მიიღო მოსკოვიდან გამოგზავნილმა ორმა დიდმა თვითმფრინავმა, რომლებმაც ჩვენც წამოგვიყვანეს საქართველოში. მარშუტი ასეთი იყო: პარიზიდან მარსელში. მარსელიდან ბენგაზიში (ჩრდ. აფრიკა), ბენგაზიდან თეირანში, თეირანიდან თბილისში. გამოვფრინდით 5 აპრილს, ხოლო ჩამოვფრინდით 11 აპრილს.

ჩემი ღვაწლი დიდად შეაფასა საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც მომანიჭა უადრესი პატივისცემა: იმავე წლის 15 აპრილს დანიშნული ვიქენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორად (სსსრ განათლების სახალხო კომისარის ვ. კუპრაძის ბრძანება № 859), ხოლო 1946 წლის 28 დეკემბერს ერთხმად ამირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. საისტორიო მეცნიერებათა ნაწილში (არჩევა გამოცხადდა გავუთებში 1947 წლის 1 იანვარს, ხოლო მანამდე 28 დეკემბერსვე წერილით ვაცნობა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა).

II. [მასალაზე ავტობიოგრაფიისათვის]

1. ააფ. ა. თაყაიშვილის პირადი საბუთების სია

1. პეტერბურგის უნივერსიტეტის დიპლომი, ფილ. მეცნიერებათა კანდიდატისა. გაცემული 1888 წლის 20 იანვარს (მაღებული შაქვს 1888 წლის 29 თებერვალს).

უნივერსიტეტში შევედი 1883 წლის აგვისტოში.

2. საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი გავხდი 1889 წ. 13 თებერვალს.

3. მე-3 გიმნაზიაში ლათინური ენის შტატგარეშე მასწავლებელი ვახვდა 1893 წლის 12 ივნისს.

4. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრად ამირჩიეს 1901 წლის 28 აპრილს.

5. ცნობა პეტერბურგის აკადემიისა, რომ ჩემი ნაშრომი «Описание рукописей общества грамотности» დაჯილდოებულია პირველი ხარისხის საპატიო მედლით.

6. ცნობა რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოებისა, რომ ჩემი ნაშრომი «Материалы по археологии Кавказа» (მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების გამოცემა, вып. XII) დაჯილდოებულია ოქროს დიდი მედლით.

7. აღმოსავლეთმცოდნეთა საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრად ამირჩიეს 1908 წლის 22 მაისს.

8. 1911 წლის 24 აგვისტოს (ზუბალოვის დროს) გადამიყვანეს თბილისის მე-3 გიმნაზიაში, შტატის მასწავლებლად (ისტორიისა).

9. Societé Asiatique-ს წევრად, პარიზში, ამირჩიეს 1925 წლის 13 ნოემბერს.

10. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ საპატიო წევრად ამირჩია 1913 წლის 5 აპრილს.

11. დროებით განვაგებდი დირექტორის ადგილს თბილისის მე-6 გიმნაზიაში 1912 წლის 1 აგვისტოდან და 1913 წლის აპრილიდან.

12. მცხეთის ჯვარის განმაახლებელი კომიტეტის წევრად არჩეული ვიყვი 1913 წლის 5 ივნისს, ეგზარქოს პავლეს მიერ.

13. ბრძანება საქართველოს განათლების მინისტრისა ისტორიის პროფესორად ჩემი დანიშვნის შესახებ—1945 წლის 15 აპრილს.

14. ცნობა აკადემიის თავმჯდომარისა [პრეზიდენტისა] აკადემიის ნამკვილ წევრად ჩემი არჩევის გამო—1945 წლის 28 დეკემბერს.

2. სასწავლებელში უფლის ნუსხა

1869/70—1871/72 წწ.—ოზურგეთის სამაზრო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში.

1872/73 წ.—იმ სასწავლებლის I კლასში.

1873/74 წ.— „ „ II კლასში.

1874/75 წ.—ფოთის სამაზრო სასწავლებლის III კლასში.

1875/76 წ.—სასწავლებელში არ ვყოფილვარ. წელიწადი დაეკარგე.

1876/77 წ.—ქუთაისის კლასიკური პროგიმნაზიის II კლასში.

1877/78 წ.— „ „ „ „ III კლასში.

1878/79 წ.— „ „ „ „ IV კლასში.

1879/80 წ.—ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის V კლასში.

1880/81 წ.— „ „ „ „ VI კლასში.

1881/1882 წ.— „ „ „ „ VII კლასში.

1882/83 წ.— „ „ „ „ VIII კლასში.

ოზურგეთის სკოლაში შევედი 1870 წლის სექტემბერში. 1873 წელს გადავედი II კლასში. რომელიც გავათავე 1874 წელს. იმავე წელს შევედი ფოთის სკოლის III კლასში. რომელიც გავათავე 1875 წლის ივნისში.

1876 წლის სექტემბერში შევედი ქუთაისის კლასიკური პროგიმნაზიის II კლასში. პროგიმნაზიის ოთხი კლასი დავამთავრე 1879 წელს. იმავე წლის ენკენისთვეში შევედი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის V კლასში. გიმნაზია გავათავე 1883 წლის ივნისში.

1883 წლის სექტემბერში შევედი პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომელიც დავამთავრე 1887 წლის სექტემბერში.

3. სამსახური და სხვაგვარი მუშაობა

1887—1894 წლებში ვიყავი მასწავლებლად თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში და III კლასიკურ გიმნაზიაში (შტატგარეშე), 1891 წლის 1 სექტემბერამდის.

1894—1904 წლებში ვიყავი სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგედ.

1904 წლის 1 სექტემბერიდან ვიყავი ისტორიის მასწავლებლად თბილისის მე-6. ქალების გიმნაზიაში.

1. 1900 წელს დავაარსე „საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრე“. ეს გარემოება მოხსენებული იყო, როგორც სასიამოვნო ამბავი, გაზ. „ივერიაში“ (1906 წ. № 256) და ჟურნ. „მოგზაურში“ (1901 წ. გვ. 197—199).

2. 1902 წელს ამირჩიეს კავკასიის სტუდენტთა საზოგადოების გამგეობის წევრად.

3. 1902 წელს ამირჩიეს თბილისის სამეურნეო საზოგადოების გამგეობის სარევიზოთა კომისიის წევრად. მარტის 27 ვიყავი სამეურნეო ბანკის კრედიტის გახსნის წევრად (?). ერთხელ ვიყავი თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წლიური კრების თავმჯდომარედ.

4. ვიყავი წევრი თამოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელი საზოგადოების თბილისის განყოფილებისა, მაგრამ საზოგადოება არ მოქმედებდა და ისევე მოიხსნა.

5. შევადგინე ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების ხელნაწერთა

მიწილი სრული აკადემიური კრებულისათვის. რომელიც გამოსცა ეკატ. მიხ. ას. ერისთავმა (იხ. „სახალხო ფურცელი“, 1917, № 815).

6. ქუთაისის საადგილმამულო ბანკის წარმომადგენელთა კრება. კორესპონდენტთა ანგარიშები, ჩემი გამოსვლა-სატყუები და შეკითხვები, ბრძოლა და ოპოზიცია კ. ჩიკვაძის წინააღმდეგ (იხ. „ივერია“, 1899, №№ 118, 119, 121 და 124).

7. წერა-კითხვის საზოგადოების კრება 1909 წელს. ჩემი სიტყვა საქართველოს მუზეუმისა და ბიბლიოთეკისათვის დაუყოვნებლივ საკუთარი შენობის აგების შესახებ (იხ. გაზ. „დროება“, 1909, № 285).

8. 1892 წლის 18 აპრილს ქართული წიგნების გამოძეველი ამხანაგობის კრებაზე ამირჩიეს სარევიზოო კომისიის წევრად.

9. მედიატორთა განაჩენი ე. თაყაიშვილის მიმართ თ. ჟორდანიას პრეტენზიების შესახებ (გაზ. „ივერია“, 1891 წლის №№ 120, 134, 229 და 233, თ. ჟორდანიას წერილები). გაზ. „ივერია“, 1892, № 27.

10. ე. თაყაიშვილის მიერ თბილისის სახალხო უნივერსიტეტში, ქართული წელთაღრიცხვის შესახებ წაკითხული ლექციის გამო (გაზ. „ჩვენი გზა“, 1907 წ.).

ეს უნივერსიტეტი თბილისში დაარსდა 1907 წელს, მიხ. თამაშვილის, გ. თუმანიშვილისა და ე. თაყაიშვილის თათნობით. იქ იკითხებოდა რუსული ლექციები კავკასიის ერთა ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. აღნიშნული ლექცია პირველი იყო და მის შემდეგ ლექციები კიდევ რამდენსამე თვეს იკითხებოდა.

11. ე. თაყაიშვილის ლექცია ქართული ფრესკების შესახებ, წაკითხული საქ. საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების მიერ მოწყობილი გამოფენის გახსნისას, 1917 წლის 8 იანვარს.

12. ე. თაყაიშვილის მოხსენება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ათი წლის (1907—1917) მოქმედების შესახებ (იხ. გაზ. „საქართველო“, 1917, № 256) (სრული ანგარიში არ დაბეჭდილა).

13. ე. თაყაიშვილის მოხსენება ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიის წყაროების შესახებ. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე (იხ. „სახალხო გაზეთი“, 1911, № 225).

14. ვიყავი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მდივნად 1905 წლის 10 აპრილიდან 1918 წლის 15 თებერვლამდე. პეკუთენის შედგენა იმ განყოფილების №№ 23—86 ოქმებისა (იხ. «Известия Кавказского отделения Московского Археологического общества», вып. II, III, IV, V).

განყოფილების პირველი მდივანი იყო ბაგრატ აბრამის ძე ნაყასარდიანი, 1901 წლის 21 მარტიდან (იხ. ოქმები №№ 1—9). შემდეგ აირჩიეს დიპტერი ალექსანდრეს ძე ლოპუხინი, მაგრამ მან უარი თქვა მდივნობაზე (1903 წლის 10 აპრილს, იხ. ოქმი № 11) და მამინ აირჩიეს ალექსანდრე ნეკოლოზის ძე დიაჩკოვ-ტარასოვი, რომელიც იყო მდივნად 1905 წლის 10 აპრილამდე (ოქმები №№ 12—22). როდესაც იგი შეეცვალა, ჩემ შემდეგ 1918 წლის 15 თებერვლიდან 1920 წლის 2 დეკემბრამდე მდივნად იყო ლეონ მელიქსეთ-ბეგი (ოქმები №№ 87—114).

III. ზაპშვრობა და სიყვარული

1. ჩემი ზაპშვრობა სკოლაში შესვლამდის

ჩემი წლოვანების მოწმობის ჩვენებით. დაბადებულეუარ 5 იანვარს 1863 წელს (ძველი წელთაღრიცხვით), მაგრამ შესაძლოა ამაზე ერთი წლით ადრე ჰაინც ვიყო დაბადებული: ჩვენში წლოვანების მოწმობა ნათლობის დღიდან იწერებოდა.

ჩვენი სოფელი ლეხოური საუკეთესო ადგილად ითვლებოდა გურიაში თავისი მდებარეობით. ჰავით. ძველი, კარგად დაცული ციხით. ეკლესიებით და მათში შენახული სიძველენით, რომელნიც პირველად დიმიტრი ბაქრაძემ ასწერა, გურია-აჭარაში არქეოლოგიური მოგზაურობისას. ლეხოურს ჩქარი აჭისწყალი ჩამოედის. წყალს სათავე უდევს ადგილ აჭიაში. ჩემ დროს აჭისწყალი კალმახით იყო განთქმული. იგი ერთვის მდინარე ბუჯს. ოზურგეთის მახლობლად. ლეხოურის საზოგადოებაში შედის, ლეხოურს გარდა. კიდევ სოფლები: აჭი, ნიაბური, ქაქუთი და ქანიეთი. თვით ლეხოურს შუა ადგილი უჭირავს ჩამოთვლილ სოფლებს შორის, აჭი და ნიაბური გაშენებულია აჭისწყლის ზემოებში, გურია-აჭარის სამხრეთის ქედებზე. ქაქუთი—მდინარე ჩოლოქის პირზე. ეს მდინარე 1879 წლამდე რუსეთს საზღვრავდა ოსმალეთისაგან.

მამაჩემი, სიმონ ნიკოლოზის ძე თაყაიშვილი არ მახსოვს, სულ პატარა დამტოვა. დედაჩემი ნაკაშიძის ქალი იყო, ნინო გიტულის ასული, ლეხოურის მოსაზღვრე, აჭისწყლის მარჯვნივ მდებარე სოფელ მაკვანეთიდან. მამაჩემს ჩინი ჰქონებია, მუდამ სანუკვარი ჩვენი თავად-აზნაურობისათვის, და კარგი თანამდებობაც სჭერია, „კორდონის ნაჩალნიკობა“. კორდონის უფროსი ყოფილა, ე. ი. ჩოლოქის საზღვრის მცველობა უწყევია. თავლყური უღვევებია, რომ ფირალებს, ყაჩაღებს და კონტრაბანდისტებს ფეხი არ გადმოედგათ ჩვენს მიწა-წყალზე. ვისაც კი მოვესწარი, ყველანი მამაჩემს დიდის ქებით იხსენიებდნენ, როგორც შეგნებულს, ჭკვიანს, პატიოსანს და მხნე აღამიანს. მეტადრე მისი ქება მესმოდა მისი ნაყმევეებისაგან. მამაჩემი ძმებს შორის, რომელთაც მე მოვესწარი (ერდიშელსა და კოსტანტინეს), უფროსი იყო. ჰყოლია მესამე ძმაც. თავისზე უფროსი, სოსო, რომელიც ფირალებთან შეტაკებაზე მოუკლავთ. ეს შეტაკება მალაქია გურიელის თაოსნობით ყოფილა მოწყობილი: მალაქია გურიის გამგეობას ეწვოდა ამზინ თურმე, დასდევნებია ჩვენი საზღვრების გადმოძღვრულ ფირალებს, ატეხილა ორივე მხრივ სროლა და ამის მსხვერპლი გამხდარა სოსო. მკვლელი მისი დაუჭერიათ და უნდა მოეკლათ თურმე, მაგრამ მამაჩემს ამის ნება არ მიუცია: დამნაშავე საპყრობილეში ჰყოლიათ დიდ ხანს და გათავისუფლებულა სასყიდლით. იგი ყოფილა ქობულელი, გვარად ზოიძე. კინტრი-

შის პირას სახლებულა. ჩემი უფროსი ძმა ნიკო ოთხმოციან წლებში, რუსთათართა ომის შემდეგ, ხშირად დაიარებოდა ქობულეთის რაიონში და ნაღირობდა ქორით ხოზობზე. ნაღირობისას ხშირად სწევდნო ზოიქეს. რაღა თქმუნდა, ზოიქეც დიღის ამბით გამასპინძლებია ჩემ ძმასა და ამასთან გაუხსენებია კიდევ მოსთვის თავის გადარჩენის ამბავი.

ოთხ ვაჟიშვილს გარდა ბებიაჩემს ოთხი ქალიც ჰყავდა, ჩემ პატარაობისას უკვე ყველა გათხოვილი: ერთი—ეკა, დათუნაშვილს ჰყავდა შემოქმედში, ბებიაჩემივით მკურნალი ქალი იყო; მეორე—ელისაბედი, ანთაძის ცოლი, ქორუყვეფში სახლობდა; მესამე—ბაბაღე, ქავეარატეს ჰყავდა ქაქუთში და მეოთხე — მაკა, კუბრაძის ნაცოლევი იყო და ჩემ პატარაობისას ბიძაჩემ ერდომელთან ცხოვრობდა. ყველანი კარგნი და განთქმულნი მეოჯახენი იყვნენ. მათ შორის მაკა იყო ყველაზე უფრო გონებაგახსნილი, შეგნებული და ტონის მიცემი ბიძაჩემთა ოჯახებში. კარგად იყო გაწაფული ქართულ წერა-კითხვაში, საღმრთო წერილში; იყო მორწმუნე, როგორც სხვა დებიც, მაგრამ ეს არ უშლიდა ვეფხისტყაოსნით მის გატაცებას. ამიდაჩემმა თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა ეს ლიდებული ნაწარმოები: ანბანის რომელ ასოსაც კი დაუსახელებდი მას, იმ ასოთი დაწყებული ოთხი ტაევი ვეფხისტყაოსნისა ახსენებოდა ხოლმე. თუ ვინმე შეცვლით ან დამახინჯებულად იტყოდა რუსთაველის ლექსსა, მამიდაჩემი დაუყოვნებლივ უსწორებდა. ერთხელ, მახსოვს, ძალიან ავად გახდა, დასუსტდა, ხმას არ იღებდა. შეკითხვაზე პასუხს არ იძლეოდა. ჩვენები შეშინდნენ: ავადმყოფს ენა ჩაუვარდა. რაღა გადარჩენსო, ამბობდნენ. ჩვენთან ვარდენ შარაშიც კი მამიდა, მისი ბიძაშვილი დედით, მილიციის ოფიცერი, ღრუფინაში მომსახურე. აი იმ ადამიანმა გვიოხრა, მაკას სჯერა, რომ ლაპარაკი აწყენს და ამიტომ არ უნდა ხმა გაგცეთო; ეხლავე გიჩვენებთ, შეუძლია ლაპარაკი თუ არა, მომეცით ერთი ვეფხისტყაოსანიო! ბიკოლაჩემმა მიუტანა ვარდენს ვეფხისტყაოსანი. შევედრთ ავადმყოფთან, ვარდენი დაუჯდა წინ ავადმყოფს და ვეფხისტყაოსნის ფურცელსა შეუდგა. ხან ერთი ადგილი წაიკითხა იმ შარაშიც კი. ხან მეორე — კარგად იცოდა კითხვა; ავადმყოფმა ცოტათი თვალები გაახილა: ცხადი გახდა, ყურადღება მიაქცია კითხვას. ბოლოს წამკითხველმა ვეფხისტყაოსნიდან მოგვასმენია სიტყვები: „მზე უშენოდ არ იქნებოს, რადგან შენ ხარ მისი წილი, განაღამცა მას ეახელ, მისი მოყმე, არ თუ წბილი“. ამის გაგონებაზე მაკამ ჩახსოვილის ხვით, მაგრამ გარკვეულად წარმოსთქვა: „სიტყუო, სიტყუო! მისი ე ტ ლ ი არ თუ წბილი უნდა“. ჩვენ გაგვეცინა და გაგვხიარულდით. ვარდენმა განგებ შეცვალა სიტყვა: იცოდა, რომ ამას შეუსწორებელს არ დასტოვებდა მაკა, თუ კი ხმის ამოდებას შესძლებდა. შემდეგში ხშირად მოვაგონებდით ხოლმე მამიდაჩემს. თუ ვეფხისტყაოსანმა როგორ ამოაღებინა ხმა. ბებიაჩემისაგან მას ძველი კარაბადინები დარჩა. მაგრამ მაკა სოფლის ექიმობას არ მიჰყოლია ბებიაჩემივით, ახალ მკურნალებს მისდევდა და მათ რჩევას ასრულებდა. იშვიათი მოვლა იცოდა ავადმყოფისა. თუ რომელიმე ჩვენი მონათესავე ავად გახდებოდა, რა გადამდები სენითაც არ უნდა ყოფილიყო შეპყრობილი. მაკა მაინც გაჩნდებოდა იმასთან და სანამ მორჩენილს არ დანახავდა ავადმყოფს, მანამ არ მოსცილდებოდა. ბიძაჩემებისათვის საჭირო ყოველნაირი მიწერ-მოწერა მის ხელში იყო. ლექსების თხზვაც იცოდა მაკამ. ქორონიკონიცა. ეს მამიდაჩემი ხელსაქმეშიაც გვაჩარჩიშებულნი იყო: იცოდა ქალმა ჭრა-კერვა, ქსოვა, ქარგვა და სხვა. იმ დროს საკაბე მატერია კონტრაბან-

დად „თოფობით“ შემოპქონდათ ევროპიდან, საფრანგეთ-ინგლისიდან, ოს-
მალეთის საშუალებით. ერთი „თოფი“ ერთ საკაბეს, ლამაზად დაწყობილ
თუ დაკეცილ ერთეულს შეიცავდა და ზედ, ქალაღზე შესრულებული. ქა-
ლის სურათი იყო დაწებებული; ეს იმას უჩვენებდა, თუ რა გვარი კაბა
უნდა შეკერილიყო. ამ სურათის მიხედვით მაკა სჭირდა მატერიიდან კაბას
და უბადლოდ ჰყვარავდა.

ჰაკას დიდი პატივი და სახელი ჰქონდა მოპოვებული ლეხოურის საზო-
გადოების ქალებში. ყველა მთვანი იღებდა მისგან რჩევასა და დახმარებას.
მაკა ყველას თანაბარი აღურსით ექცეოდა. ასე ვთქვათ, იყო ქალების პა-
ტივისა და ღირსების ერთგვარი დამცველი. ჩემს პატარაობაში ერთს ჩვენი
მეზობლის ახალგაზრდა ქალს შეილი ეყოლა, მერე მეზობლის ახალგაზრ-
და ეკუს შეეცდინა. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ქალის ზნეო-
ბა მაშინ გურიაში უფრო მტკიცედ იყო დაცული. ნამეტნავად გლეხობაში.
მოძხდარი საქმის გამო იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ, თუ როგორ დაე-
საჩათ დამნაშავე ახალგაზრდა ქალი. ვიღამაც წამოისროლა, გავაშიშვლოთ
და „ალაიაში“ გავატაროთ. ალაიაში გატარება უდრის რუსულ „პროვეს-
ტი სკოზ სტროი“-ს, ესე იგი მამაკაცთაგან შემდგარ ორ მწყირვს შუა უნდა
გაეტარებინათ, უწმწური სიტყვების თქმითა და სხვა შეურაცხოფის მი-
ყენებით. ეს რომ მაკამ გაიგო, დაუყოვნებლივ მიმართა ჯვარასა. სადაც კრე-
ბა იყო. და ერთს ამბავი აუტეხა თავმოყრილთ: „თქვე უსვინდისოებო თქვენა,
განა თქვენ ის მამაკაცები არა ხართ, რომ საქებრად მიგაჩნიათ ქალების
შეცდენა და გაუბატოურება? ყოველთვის ამაზე ლაპარაკობთ. ამას იყენებთ!
ესხა. როდესაც თქვენი წრის კაცს თქვენი საქებარი საქმე ჩაუდენია, იპის
მაგიერ რომ აიძულოთ, ის ქალი შეირთოს, თქვენ გინდათ საწყალს შეურა-
ცხოფილოს ქალს კიდევ უფრო გაუგონარი მტარვალური შეურაცხოფა
მიყენოთ? აბა, გახედეთ ამის მსგავსი რამეს ჩადენა, მე ვაცნობებ „უზუნის
ნაჩაღნიეს“ და ნახავთ, რა მოგვით, გრცხვენოდეთ ამ განზრახვისათვის,
გრცხვენოდეთ!“. კრებაზე შეგნებული ხალხიც იყო და უთხრეს მაკას: „არა.
ქალბატონო, ჩვენ მაგას არ ჩავიდნენ, ეს ვილაც „ვაზილარის“ აზრი იყო;
ჩვენ იმ ახალგაზრდას ვაიძულებთ ის გოგო შეირთოს და, თუ არ შეირთო.
ჩვენი საზოგადოებიდან გავრიცხავთ“... მართლაც შეართვევინეს იმ ახალგა-
ზრდა ეკუს ის ქალი.

როგორც ზემოთ ვთქვი, მე მამა არ მახსოვს, დედამაც პატარა დამტო-
ვა. დედას სულ ოთხი შვილი ვყავდით: უფროსი იყო ჩემი და ლისა, მისი
მომღეკნო ნიკოკია (ნიკო), მერმე ვარლამა (ვარლამი) და ბოლოს მე. ჩემს
გარდა ყველანი ძიძების გაზრდილნი იყვნენ, მე დედა მზრდიდა და ამიტომ
მისთვის მე უფრო საყვარელი შვილი ვყოფილვარ. ხშირად მეტყოდნენ
ხოლმე. დედა რომ ცოცხალი გყოლოდა, უსწავლელი დარჩებოდი, დედას ისე
უყვარდი, რომ ერთს წუთსაც არ შეეძლო შენი მოცილებაო. ბავშვობაში მე
ტყუქი ვყოფილვარ, სამი წლისა ხეზე გავსულვარ, გადმოვარდნილვარ და
მარჯვენა ფეხი მომიტეხია. მე არ მახსოვს ეს ამბავი, მახსოვს მხოლოდ, თუ
ერთ დამეს როგორ ამომვარდა მოტეხილი წვივის ძვალი და შემინე-
ბულ დედაჩემს როგორ აღგენ თავს ბიძაჩემები ქონის სანთლით ხელში და

1 ევარი ერთა ადგოს. ლეხოურის ეკლესიის დაბლა მდებარეს, სადაც სასოფლო კან-
ცლარია და სკოლა იყო.

ანუგებდნენ, არაფერი უშავსო. ჩვენში მაშინ იყვნენ ძმანი არტუბელიძენი, ლოსტაჭრები. პირველად ესენი მწალობდნენ, მაგრამ სიციქლის გამო არტაშანს ვერ ვიტანდი და ბოლოს ერთ სოფლის ქალს, ექიმ ძილიხანა ბურჭულაძისას ჩაუვუარდი ზელში საეჭიროდ და დაეკოშლი. სხვა ბავშვებს როცა კი გავაჯერებდი. „კოშლაბუხას“ მეძახდნენ.

დედაჩემი ენერგული და კარგი მეოჯახე ყოფილა; დიდად ზრუნავდა შვილებისათვის. ჭერ იყო და ჩენი და ლინა გაათხოვა; სიმონ გოთუას მისცა ძიმიტოში, შედარებით კარგ მემამულეს და კარგ ადამიანს. მახსოვს ქორწილის ამბავი, მყარები რომ აჩქარებდნენ დედაჩემს სადილს უკან, „მოგვეც ჩენიო“; ეუბნებოდნენ, ესე ერთ მზითვეი აკვიდეთ ცხენებსო, შორი გზა გვაქვსო. შენ-დედ დედაჩემმა უფროსი ვაჟიშვილის საქმე მოაგვარა, ოზურგეთის მაზრის სასწავლებელში მიიღებია ნიკოკია. მაგრამ სასწავლებელში მიღებული შვილის ქცევა ნამდვილ ტრაგედიად გადაექცა დედაჩემს: მოზრდილი ყმაწვილო იყო ნიკოკია და არ ჩერდებოდა სწავლის საფანეში, იბარებოდა ხოლმე იქიდან და ბრუნდებოდა სახლში; არაფერმა არ იმოქმედა მასზე. არც მოფერებამ, არც დატუქვამ, არც გალახვამ. რამდენჯერაც კი წაუყვანია ნიკოკია სასწავლებელში ჩვენ ერთგულ ყმას ელიზბარა სურდულაძეს, იმდენჯერვე მას, შემდეგ ბრუნებულს, ნიკოკია თავისზე აღრე დაბრუნებული დაჰხვედრია ჩენი სახლის კარ-მიდამოზე. გაჯავრებული დედაჩემი სახლში არ უშვებდა ნიკოკიას და ურჩ შვილს ეზოს გარე-გარე უხდებოდა ტრიალი საღამომდე, საღამოს კი გულჩეილი ბებიი აძლევდა ბინას. გაგრძელდა ეს ამბავი დედიჩემის სიკვდილამდე. შემდეგ აღარაეის არ დაუძალებია და ნიკოკია დარჩა უსწავლელი.

დედის გარდაცვალება კარგად მახსოვს. მასთან ვიწვექი ლოგინში. ღამე გამადიქეს და ატირებული ძალად მომაცილეს დედას. შემოღვრამა თავდებოდა. ბუხარში ცეცხლი ენთო. ბუხრის წინ დამხვეს, იქვე ჩემი ძმა ვარლამი იყო. აივანზე წივილ-კივილი ატყდა და მეზობლები მოგროვდნენ. მე არ მესმოდა. რა იყო სიკვდილი. ხანდახან მეზობლის ქალები შემოდიოდნენ ჩვენთან და მოთქმით გვეუბნებოდნენ: „ვაი, უბედურებო. დედა აღარა გყავდა, ობლებად დარჩით. რა გეშველებათო!“ ჩვენ ერთი ძალი გვეყვდა. „ვარდიად“ წოდებული, ისიც ჩვენთან იქდა ბუხრის წინ: ავდებოდი, აივანზე გამოვიდოდი, გამოგვეყვებოდა, შევიდოდი. შეგვეყვებოდა და ჩვენთანვე ჯდებოდა ხოლმე მოწყენილი. ტირილი რომ მინელდა, ბებიიჩემმა მოვიადერსა, წამიყვანა თავის ფაცხაში და თავის ლოგინში დამაწვინა. სხვა ჩვეულებრივი მოტირება დედისა და დაეკრძალვა არ მახსოვს.

დედა რომ გარდაეცვალა ხუთი წლისაზე მეტი არ ვყოფილვარ. სამ ძმას, მცირეწლოვანად დარჩენილი. „აპექუნად“ ჩენი სიძე სიმონ გოთუა დაგვინიშნეს. მე ჩემმა დამ წამიყვანა თავის სოფელ ძიმიტოში. შვიდი თუ რვა თვე იქ ვიყავი და მერმე ისევე ლეხაურში დამაბრუნეს, ბებიიჩემს მიმამარეს. ავასობაში მაიმინაჩემს მაქას ჩემი ძმის ვარლამისათვის ხუცური წიგნის კითხვა ესწავლებინა. წინათ ასე იყო მიღებული ჩვენში, სწავლის დამწყებს უმალ ხუცურ ანბანს შესწავლიდნენ და ხუცური წიგნის კითხვაში ავარჯიშებდნენ ხოლმე; ხუცური ნაეარჯიშები შემდეგ მხედრულ ანბანზე გადაჰყავდათ და მხედრულად დაწერილ ტექსტებს კითხულობდა. მაგრამ ჩემი ძმა ვარლამი ასცდა მხედრულ ანბანს, კორპუსისათვის მოითხოვეს. კორპუსში

მიღების არზა დედაჩემს გაეგზავნა თავისი ნათსავეის ნიკო ყენიას რჩევით. ის ყენა კარგი კაცი იყო, ოზურგეთის პოლიციაში მასხურობდა, ეგონებ პოლიც-მეისტრად: დედაჩემი ებრალებოდა და მისი რჩევა ერთნაირი დახმარების იერს ატარებდა. ჩვენმა „აპექუნმა“ სიზონ ვოთუემ და ერთგულმა ყმამ ქველთა ლოპკარიამ ვარლამი წაიყვანეს ქუთაისში. იქ მაშინ ლევანოვი გუბერნატორობდა. ჩემი ძმა სრულიად მოუშაადებელი იყო, მაგრამ მინც მიიღეს და გაგზავნეს ვორონეჟის კადეტთა კორპუსში. ჩენი „აპექუნთა“ და ბიძაჩემების რჩევით ჩემი ძმა ნიკო „კონონ-ირეგულიარნი“ პოლკში შევიდა. თავად-აზნაურთა გაუნათლებელი შვილებიათვის ეს პოლკი ერთგვარ საშხედრო სკოლას წარმოადგენდა: იქიდან მოვლოდენ ყველანი, მათი ხანგრძლივ-სამასხურის შემდეგ, ჩინს (მილიციის პრაპორშიკობას), ჯვარსა და მედლებს. ოჯახობას და ფიზიკურ მუშაობას არ კადრულობდენ. ამ ჩინისა და ჯვარ-მედ-ლების მიღება ყველა თავად-აზნაურს იდეალად ჰქონდა დასახული. როგორც მამაჩემი. ისე ბიძაჩემებიც ჩინიანები იყვნენ. წმიდა გიორგის ჯვრებიც ჰქონ-დათ და სხვადასხვა მედლებიც. უფროს ბიძას ერდომელს ჩინი ყირაიმის ომში ჰქონდა მიღებული, ისე როგორც მამაჩემს. ხოლო მეორე ბიძა კოსტანტინე დეპუტატად ყოფილიყო გაგზავნილი მოსკოვში, ალექსანდრე II კურთხევის დროს, იესე გურიელთან და ალექსანდრე ნაკაშიძესთან² ერთად და ჩინით მა-შინ დაეცილოდებინათ.

მამაჩემი და ბიძაჩემები ერთ დიდ ეზოში ცხოვრობდენ. ამ ადგილს ქუ-თაძისეული (გურულად „...სოული“) ერქვა. ეზოს თავს ერთი დიდი გასიძუ-ლი ლოდი იღვა. არსებობდა ლეგენა, თუ რატომ „გადევიდა“ (ესე იგი გა-დაშენდა) უშვილოდ ქუთაძე: ვითომ ერთ დღეს ქუთაძეს ქრისტე ესტუმრა გლახაკის თუ მათხოვარის სახით და წყალობა სთხოვა, ქუთაძემ არ შეიწყნარა სტუმარი, არც ასეა და არც აქმა კარს მომდგარს. ლანძღვით გა-ისტუმრა ქრისტე, ქრისტემ კი დასწყევლა ქუთაძე და მისი ოჯახი „გადევი-და“. როგორც ჩვენ, ისე ბიძაჩემებს სახლები, რდები ცალ-ცალკე გველდა. იქვე ცალკე ბებიჩემსა ჰქონდა ფაცხა: ოღაში არ შეეძლო ცხოვრება, „სუ-ლი მიხუთდება, ჰაერი არა მყოფნისო“, ეს ჰქონდა მუდამ სათქმელად. ფაცხას-თან ახლო ბებიჩემისა და ბიძაჩემების საერთო საშარეულო სახლი იდგა. მშარეულობას ეწეოდა ბებიჩემის მზითებს მოყოლილი მოახლე თეაღმასაძე —მეტად მხნე. დაუღალავი, კაცთმოყვარე და თავის საქმეში დახელოვნებუ-ლი აღამიანი. იგი ამზადებდა სადილ-ვახშამს და აწვდიდა ბიძაჩემებსაც და ბებიჩემებსაც. ზოგჯერ თეაღმასაძეს, როდესაც კი საჭიროება მოითხოვდა, ბი-ცოლაჩემების მოზარებულნი შევლოდნენ.

ბეზაჩემი შარაშიძის ასული იყო, საჭაეახოდან. ჩემი პატარაობისას უყვე ღრმა მოხუცი. მაგრამ მხნე და ახოვანი, წარმოსადეგი შეხედულებისა, მაღალი ტანისა, რიხიანი ხმისა, მეტად უშიშარი და გაბედული. ხშირად ღამე ლეხო-ურში ატყდებოდა ხოლმე თოფის სროლა და კიჟინი. ეს იმას გვაცნობებდა, რომ ვილცას ფირალები დასცემიან და გაურკეცათ მისი საქონელი: ცხენები, ხარები, ძროხები და სხვა. მთელი სოფელი მისწყრაფოდა დაზარალებულის საშველად. მისდევდნენ გამტაცებლებს, ხან დააყრვეინებდენ გატაცებულსა. ხან ეერა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ცდილობდენ კვალისთვის მინც მიეგ-ნოთ, გაეგოთ თუ რა ადგილას გაეყვანათ ჩოლოქს გაღმა საქონელი და ქობუ-

² ალექსანდრე ნაკაშიძე შემდეგ ელზავეტობლის (განჯის) გუბერნატორი იყო.

ლეთის იმ სოფლებსათვის მოეკითხათ საზღაური. დიდ სირცხვილად ითვლებოდა მამაკაცისათვის, რომ ასეთ დროს სახლში დარჩენილიყო და არ მიშველებოდა მეზობელს. კიევის ხმას ბებიჩემი ყველაზე უპალ მოჰკრავდა ხოლმე ყურს (ფხიზელ ძილს ფლობდა), გამოვარდებოდა ხოლმე ეზოში და გასძახებდა, „მოდიან, მოდიან ჩემი შვილებიო!“ ბიძაჩემებიც დაუყოვნებლივ იღებდნენ ხელში მაჭახელა თოფს, რომელიც თითოეულს გამზადდებულ ეკიდა კედელზე, და დევნაში არავის არ ჩამოუვარდებოდნენ, თავისი თანგაყოლილი მსახურებიანად. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყოველ ასეთ დროს საოცარი ერთსულოვნება სუფევდა ლეხორში.

ბებიჩემი ყველაფერში შველოდა თავის შვილებსა და შვილიშვილებს. ბიძაჩემები ამუშავებდნენ ხოლმე ყანებს ღომისას თუ სიმინდისას, ფეტვისასა თუ ჭადის ჭადისას; ღომის კრეფასა და სიმინდის ცეხვას კი ბებიჩემი კისრულობდა, შეყრიდა ხოლმე ქალებს და ბიჭებს და ხელმძღვანელობდა. მაგრამ თავის თავ-და-თავ ხელობად ბებიჩემი ექიმობას სთვლიდა: განთქმული იყო, მთელი სოფლიოდა მასთან სააქიმოდ, მეტადრე ქალები. თავისი კარბადინების კეალობაზე მოქმედებდა ბებიჩემი; ოზურგეთში მეწერიმალეებისაგან ყიდულობდა ეგრეთ წოდებულ „ბარგის წამლებს“, თვითონაც აგროვებდა და ახმობდა სხვადასხვა ყვავილებს (ყველაზე მეტს ცაცხვისას და თხიფელასი), აკეთებდა აბებს და მაჯუნს; შულოცებიტაც მყურანალობდა. გასაპრჯლოს არ თხოულობდა, მაგრამ ხელცარიელი იშვიათად თუ ვინმე მოვდიოდა მასთან: მოჰქონდათ ყველი, ხაჭაპური, ხილი, სანთლის არაყი. ღვინო, მოჭყავდათ ქათამები და სხვა. ფულიც მოჰქონდათ, თუმცა იშვიათად. „ბარგის წამლებისათვის“, ასე, ორი შაური, სამი და ზოგჯერ ერთი აბაჯი. ამაზე მეტი კი გასაპრჯელო არავის გაუღია. ბებიჩემს ამრიგად საკმაო სანთოვაც უგროვდებოდა. რაც ჩვენ—ბავშვებს, მის შვილიშვილებს გვხვარდებოდა. ბებიჩემი არ გვარჩევდა ბავშვებს, ყველას ერთნაირი მზრუნველობით გვეყარობოდა: მაგრამ მე, როგორც ობოლს, უდედ-მამას, უფრო მიზრულებდა და არავისაგან ისეთი მოფერება, ალერსა და მზრუნველობა არ მახსოვს, როგორც მისგან. სამწუხაროდ, ბებიჩემი ბოლო ხანს დაძვალად დაეცა. ჩემი შემბრალებელი მძიმე ავადმყოფი გახდა. ავადმყოფს თავს დაადგენ თავისი ქალები. მამა და ელისაბედ ანთაძის მეუღლე და თავისი განსაკუთრებული ნოვლით ერთ წელიწადს კიდევ გაუგრძელეს სიცოცხლე.

2. ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში

შვიდი წლისა რომ გავხვი. შემუყვანეს ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში. მამიდაჩემმა მამა შემიყვრა ახალუხი და სკალატის (მაულის) ჩოხა; მიყიდეს წულები (მანამდის ფეხშიშველი დავდიოდი). ჩოხას ჩვეულებრივი საქილეები არ გაუყეთეს და ზოგიერთები მე, ამის ჩამცემლს, დიაკონს მეძახოდნენ. ეს იყო ბავშვობაში პირველი და უკანასკნელი ხეირიანი ჩაცმა ჩემი: შემდეგ, ზაითარ-ზაფხულს, პარუსინის ბლუზის მეტი არა მცმია რა. სასწავლებელში მიმეყვანა ჩვენმა სიძემ და „აბეკუშმა“, სიმონ გოთუამ. დამსვენეს პირველ კლასში: ის უდრიდა შემდეგი დროის მოსამზადებელ კლასს. იქ მოსწავლინ-ჭკადუჭკადუად იყენენ დაყოფილი. ჩემ თაობაზე სასწავლებელში მიცემული თხოვნა რომ განიხილეს, სასწავლებლის გამგემ ჩემს სიძეს განუცხადა, „ნი-

ღებულა და ხვალ მოვიდესო“. სასწავლებლიდან შინასკენ რომ გამოვწეია, მთელმა კლასმა უკან მომადევნა კივინით, „ხრამოი, ხრამოი!“³.

მეორე დღეს რომ მივედი სასწავლებელში, ჩემეტა დამიწყეს მოწაფეებმა. ჩემმა სიტყვებმა სახოვა სკოლას გამგეც, რომ ჩემთვის დაენიშნა ვინმე დამცველად. იმ დროს მოსამზადებელ კლასში პატარებთან ერთად ოცი წლისანიკი იახდენ. ჩემმა საბედნიეროდ იქ იყო ჩემი ბიძაშვილი (დღეს მხრივ) ნაკაშაძე, სახელად ყაისარი; იქნებოდა ერთი 18 წლისა, მეტისა თუ არა. დამცველად სწორედ ეს ბიძაშვილი დამინიშნეს. ნაკაშაძისავე გეარაშა იყო სასწავლებლის გამგეც, ყაისარივე ერქვა სახელად. როგორც შემდეგ დაერწმუნდი, ნაკლებად განათლებული კაცი ყოფილა, მაგრამ ადამიანად არა უშვედა რა. მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი იყო ქართველი კათოლიკე აკოფოვი, ყოვლად ცუდი—როგორც მასწავლებელიც და როგორც ადამიანიც. ცემას მეტი მისგან არა გამოდიოდა რა.

მოსამზადებელი კლასის მოწაფენი ოთხ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი. თითოეულს საპა ჯგუფიდან ასწავლიდნენ უფროსი მოწაფენი და უკანასკნელ ჯგუფს. მეოთხეს—თვით აკოფოვი. ვინც კი ვიყავით ახალნი მოწაფენი, უფროს მოწაფეთ მივვიყვანეს კედელთან, სადაც ჩამოკიდული იყო რუსული ანბანის ტაბულები და დავიწყეს ანბანის სწავლება. მაგრამ მოწაფეები ვერაფერს ითვისებდნენ: ძალიან უხეიროდ და შეუგებლად გვასწავლიდნენ. ჩემთვის ხომ იმ დროს ყველაფერი გაუგებარი და სიზმარი იყო; სანამ უფროს განყოფილებაში არ გადაველა თითქმის არა მისწავლია რა. აკოფოვი რუსულ იკავებს გვასწავლიდა: გვაზუპირებინებდა, როგორც თუთიყუშებს, ახსნა-განმარტებას არ იძლეოდა და ჩვენც ვაზუპირებულნი შინაარსი არ გვესმოდა. მე ბევრი მასწავლებლის ხელში გამოვივლია. მაგრამ აკოფოვისთანა უნიჭო და უყარგისი მათში არავინ მინახავს. ხეირიანად მასწავლებლობდა ოზურგეთის დასახლებულ სასწავლებელში დეკანოზი სიმონ ქიქოძე, აზერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელის ძმა. გვასწავლიდა ქართულ ენასა და საღმრთო რჯულს; ლოცვებს ჯერ ქართულად გვაზუპირებინებდა. მერმე რუსულად. თუ რაჟე შევიძინეთ მოსამზადებელ კლასში, ეს მხოლოდ მისა წყალობით.

სამი წლის შემდეგ გადამიყვანეს პირველ კლასში.

ოზურგეთის სასწავლებელში იოსებ თაყაიშვილაც ეწეოდა მასწავლებლობას. ამ ადამიანს დიდი სიცხოველე შემოჰქონდა სწავლაში, ყველაფერის კარგი ახსნა-განმარტება მოსდგამდა, ქართულშიაც და რუსულშიაც და სიყვარულით ეპყრობოდნენ მოწაფეები. იოსებ თაყაიშვილი გურიიდან ჩასული სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში და ერთი პირველი ახალგაზრდათაგანი იყო, მაგრამ მეოთხე კურსიდან დაბრუნდა სამშობლოში: ცხოვრების უსასარობამ აიძულა. შეველა სამსახურში, რომ თავის ძმას იაკობ თაყაიშვილს დახმარებოდა და მიეცა მისთვის საშუალება სამკურნალო ფეკულტეტის დამთავრებისა, მოსკოვშივე. იოსებ თაყაიშვილი, მეტად ნიჭური კაცი, ვინმე გეგოქესთან ერთად სწავლობდა გიმნაზიაშიც და უნივერსიტეტშიაც. იმ გეგოქისაგან არა ერთხელ და ორხელ გამოვინია, ჩვენს ამხანაგობაში და ჩვენს წრეში :ოსებ თაყაიშვილისთანა ნიჭური სხვა არ ყოფილა. ეს გეგოქე ჩემ დროს ტფილისში პალატის წევრი იყო, წინათ კი ქუთაისში—საოლქო სასამართლოს წევრი. ქუთაისში დიდ მონაწილეობას ღებუ-

³ ამ ორჯელ თქმულ სიტყვას მიჰყოფს კიდევ სამი სიტყვა.

ლობდა ქართულ საქმეებში—სხვათა შორის, თანამშრომლობდა გაზეთ „შრომაში“, რომელიც იქ გამოდიოდა.

იოსებ თაყაიშვილის გარდა ჩვენთან მასწავლებლობდა ვასილ პეტრიაშვილი, რუსულ ენას გვასწავლიდა. ვერ იყო ისეთი დახელოვნებული მასწავლებელი, როგორც იოსებ თაყაიშვილი; უფრო ფორმალური მეთოდით სარგებლობდა. იტყვოდა ხოლმე, „აქედან აქნობამდე დაისწავლეთო“; ახსნა-განმარტებას არ მისდევდა. შემდეგ ხანებში ეს პეტრიაშვილი ქუთაისის სამოქალაქო სკოლაში გადაიყვანეს გამგედ; დიდხანს, საფრანგეთში ჩემი წასვლისასაც კი, ცოცხალი იყო.

როგორც ზევით ვთქვი კიდევ, საღმრთო სჯულსა და ქართულ ენას გვასწავლიდა სიმონ დეკანოზი, ქიქოძე. გვასწავლიდა პირველსა და მეორე კლასში. მამინ არსებობდა ჩვენი პოეტების აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და სხვების ლექსთა კრებული, კირილე ლორთქიფანიძის გამოცემა, სახელად „ჩონგური“. სიმონ დეკანოზი სწორედ იქიდან გვაზეპირებინებდა ლექსებს. მოწაფეებს ის წიგნი არ გვქონია და მასწავლებელი იძულებული იყო თავისი ერთადერთი ცალიდან ეკარნახა ჩვენთვის ლექსები.

იოსებ თაყაიშვილი ისტორიასა და გეოგრაფიაში გვაეარჩიებდა. ძლიერი სიყვარული ადგიძრა ამ დარგების სწავლისა ჩემმა თანამოგვარებმ. ყაიხი ნაკაშიძეს, სკოლის გამგეს; გამოაწერიანა მნათობთა მოძრაობის მარჯვენებელი („ტელური“) და გვაჩვენა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ. ამ ამბავს დავსწრო თვით სკოლის გამგეს, როგორც ვთქვით ზევით. დიდი განათლების არმქონე, და ცხოველი ინტერესით ისმენდა, ჩვენსაკით, იოსებ თაყაიშვილის ახსნა-განმარტებას.

სიმონ ქიქოძე ჯერ ქართულად მოგვიყვებოდა ხოლმე ახალი და ძველი აღთქმის ისტორიას და შემდეგ რუსულად. ამით ძალიან გვიადვილებდა საგნის გაგებას.

ჩემთვის სახელმძღვანელო წიგნი არასდროს არავის არ უყიდინა სამაზრო სასწავლებელში ყოფნისას: ვიხსომებდი იმას, რასაც ზეპირად მოგვიტოვებდა მასწავლებელი. რუსული ენის სახელმძღვანელო მხოლოდ ზოგიერთ მოწაფესა ჰქონდა—უფრო მეტად იმას, ვინც წლოვანებით დიდი იყო. მე ამგვარებს ვეხმარებოდი გაკვეთილების სწავლაში და ამ სახით ესარგებლობდი მათი წიგნებით.

როგორც შემდეგ დავაწმუნდი, სიმონ ქიქოძე ნაკლებად ყოფილიყო დახელოვნებული ქართულ სასულიერო ლიტერატურაში. კარგად მახსოვს, ერთხელ ვიხმარე სიტყვა „ხუცესი“ ჩემი გაკვეთილის მოთხრობაში და ბატონმა სიმონმა მითხრა: „ხუცესი“ რა სიტყვაა? როგორ შეიძლება ამის თქმამო? ეს არ არის კარგი სიტყვა, „მღვდელი“ უნდაო. მე კი მერე და მერე ვნახე, რომ სიტყვა „ხუცესი“ ხშირად იხმარებოდა ქართულ სახარებაში. მაგრამ წაინტუნდა ვაგიჟიერო, რომ სიმონ ქიქოძე კარგი მასწავლებელი იყო: იოსებ თაყაიშვილს ვარდა ყველას სჯობდა. მისი უმცროსი შვილი ჩემთან იყო ოზურგეთის სასწავლებელში, შემდეგ ინჟინერი გახდა; უფროსი შვილი ტიტე კი ცნობილ ექიმად ითვლებოდა თბილისში.

ჩემი სწავლა სამაზრო სასწავლებელში მეორე კლასით მოთავდა. მესამეში რომ გადავედი, ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელი საქალაქო სასწავლებლად, „გოროდსკოე უჩილიშჩე“-დ, გადააკეთეს, იქ სწავლა სულ მხოვე ვეგვიტ უნდა ეწარმოებინათ, თითო კლასში ორ-ორი განყოფილება და

ორი წლის კურსი იყო. ჩვენ გამოგვიცხადეს, შეგიძლიათ დაამთავროთ სამაზრო სასწავლებელი ფოთშიო.

თუ ჩვენ, მოწაფეებს მოგვიხდა წასვლა ოზურგეთიდან, მასწავლებლებსაც, ზოგიერთს მაინც, არ ასცდით ეს აშბავი. იოსებ თაყაიშვილი ალექსანდრეპოლის⁴ სამაზრო სასწავლებელში გადაიყვანეს. ერთ წელიწადს დარჩა იქ, მეორე წელიწადს კი იძულებული გახდა, თავი დაენებებინა მასწავლებლობისათვის: ალექსანდრეპოლის ჰაევას ვერ იტანდა და ამასთან მოცილებულიც იყო თავის ქვეყანას. დაბრუნდა სამშობლოში და ქუთაისის საადგილმამულო ბანკში შევიდა დამფასებლად. იმ ბანკს მაშინ განაგებდა ბესარიონ ლოლობერიძე, პირველი თავმჯდომარე ბანკის გამგეობისა. შემდეგ იოსებ თაყაიშვილი ბანკის დამფასებლობას თავს ანებებს და აპიერკავკასიის რკინიგზაში მსახურობს. გიორგი წერეთელთან ერთად; რჩება აქ რამდენიმე წელსა და მერმე სსსამართლოს ბოქაულობას კისრულობს ოზურგეთში. იქ აწარმოებს გაუთავებელ ბრძოლას სამაზრო პოლიციის უხეშ მოქმედებასთან, გულმოდგინედ ემსახურება პოლიციისაგან დაჩაგრულთ: უწერს არხებს და ასწავლის, თუ როგორ უნდა ებრძოლონ მოპირდაპირე პოლიციას. ამის გამო პოლიცია გადამტრებული ჰყავს იოსებს. უკანასკნელი მისი აღგილსაყოფი არის ლეჩხუმის მაზრა. იქ იოსები გამომძიებლობას ეწევა და ცხოვრობს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. როდესაც უნივერსიტეტი დაკამათავე და თბილისში ჩამოვედი, ბრძანაწლავდაავადებული დამხვდა ეს ჩემი გვარის კაცი. იმ დროს ბრძანაწლავის ოპერაციისა არა იცოდნენ რა. ოზურგეთში ყოფნისას იოსებმა მამა, ექიმი იაგორ თაყაიშვილი, ხელს უწყობდა, ლეჩხუმში კი ხელისშემწყობი აღარაინი ჰყოლია. ტკივილები გაუმკაცრდა, ვეღარ აატანა ასეთი მდგომარეობა იოსებმა და რევილერით თავი მოიკლა. ქუთაისში ლეჩხუმიდან ჩამოსვენებულს მის გვამს „ოკრუფენოი სუდის“ წევრები და სხვანი დახვდნენ. ქუთაისიდან მიცვალებული წასაყენეს ლეზოურში და იქ დამარხეს. მე, რასაკვირველია, წავედი ტფილისიდან ლეზოურში, მიუღუსწარ იმ დროს, როდესაც უნდა საფლავში ჩაესვენებინათ გვამი და სიტყვა წარმოესთქვი: განვმარტე, თუ რა ღვაწლი მიუძღოდა იოსებს გურიის წინაშე. მიცვალებულზე სიტყვის თქმა ჯერ არ იყო მაშინ გურიაში მიღებულ ჩვეულებად და ჩემმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. იოსებ თაყაიშვილს დიდის პატივით იხსენებდა ყველა მისი მოწაფე ოზურგეთის სამაზრო სასწავლებლისა, როგორც მამულს სიყვარულის და ქართული პატრიოტიზმის სულის ჩამდგმელს და როგორც პირველ ნასწავლ და განათლებულ კაცს გურიაში. იოსებს დიდი გავლენა ჰქონდა არა თუ მარტო მოწაფეებზე, არამედ საყოველთაოდ, ყველა გურულზე: მასში გურულეობა ნასწავლ კაცს აღმერთებდნენ.

როგორც პირველად მოვიხსენიეთ, იოსებმა მისცა საშუალება თავის ძმას იაგორ თაყაიშვილს, სამკურნალო ფაკულტეტი დაემთავრებინა მოსკოვში. მაგრამ იაგორს ორიოდღე საგანში დააკლდა გამოცდის ჩაბარება და შემდეგაც არ შეუესია ეს დანაკლისი. უკანასკნელი მოვლენა ალბათ უფრო იმ გარემოებაში გამოიწვია, რომ ახლადკურსდამთავრებულს და შინ დაბრუნებულს მთელი გურიის ავადმყოფები მიადგნენ კარს: მისი მამის ალექსანდრეს სახლის ფართო ეზოში. პირდაპირ ჰქედვა გაიმართა ხალხისა. იაგორი, რასაკვირ-

4 ახლა ქ. ლენინაქანი, სომხეთში. ვ. ლ.

ველია, არავის გასამჩრელოს არ სთხოვდა; სინაჲვდა ავადმყოფებს, უწერდა წამალს, აძლევდა ჰიგიენურ დარაგებას. კარგი ექიმი იყო. დიაგნოზს სწორს ადგენდა, დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ავადმყოფებს და ხალხში დიდ სიყვარულსა და ნდობას იწვევდა. ოზურგეთში, რასაკვირველია, იყვნენ სამაზნრო მკურნალები, მაგრამ ხალხი უფრო იაგორ თაყაიშვილთან მიდიოდა. ამ ამბავმა ზოგიერთ ექიმში შური აღძრა და იაგორს უჩიოდნენ: „ნება არა აქვს აქიმობისი, უჯანონოდ აქიმობსო“. შეგნებული და პატიოსანი ექიმება კი იაგორს პატივისცემით ეპყრობოდნენ, მეტადრე უფრო იმისთვის, რომ უკადრისობას არ ხედავდენ მასში. იაგორა, ცხენით იქნებოდა თუ ფეხით, ყველგან მიდიოდა; სხვას კი არ შეეძლო, ასე მოქცეულიყო, წასვლა-მოსვლისათვის უსათუოდ ეტლი უნდა მოეთხოვა.

უანგარო კაცი იყო იაგორი, როგორც ვთქვი, საექიმო ფულს არავის არ სთხოვდა და იმით კმაყოფილდებოდა, რასაც ზოგიერთები თავის ნებით იძლეოდნენ.

იაგორ თაყაიშვილი ზედმიწევნით პატიოსანი ადამიანი იყო. გარდაიცვალა პირველი რევოლუციის დროს. მას დარჩა ბევრი წერილობითი დოკუმენტება ავადმყოფობისა და ხალხის ზნე-ჩვეულების შესახებ. მე მისგან დიდი პატივის მეტი არა მახსოვს რა.

ოზურგეთში ჩემმა სწავლამ გამახსენა ზემოჩამოთვლილი მასწავლებელი: აყოფოვი, სიმონ ქიქოძე და ოსებ თაყაიშვილი და კიდევ ამისი ძმა, ექიმი იაგორ თაყაიშვილი და ვილაპარაკე ბევრი რამ ამათზე, მაგრამ ამ ქალაქში ჩემი ცხოვრობისა ამდენი არა მითქვამს რა. იქ ცხოვრება კი საცმარის ხანს მომახდა. ოზურგეთში ჩემი პირველი მისვლიდანვე ბინაც უნდა მქონოდა, რომ იქიდან სასწავლებელში მევლო და, თქმა არ უნდა, წამოიჭრა საკათხი თუ ვისთან უნდა მეცხოვრა ბავშვს. ნათესავი ოზურგეთში მე არავინა მყოლია და ჩემიანებს ჩემ დასაბინაველად სხვა, უცხო ოჯახი უნდა გამოენახათ. ბიძაჩემმა ერდიშელმა ვაჭრებთან მიმ-ყვანა: იმ შოღდმის ხალხი ხუთი თუ ექვსი მოიპოვებოდა ოზურგეთში. იმათ მიმართა ბიძაჩემმა: ეს ბავშვი კლასში მივალდებინეთ, ბინას საჭიროებს ესლა, რომ აქიდან იაროს სასწავლებელში და რომელს შეგიძლიათ მოათავსოთ თავისთან, ჭადს და სურსათს მოგიტანთო. იმ ვაჭართა შორის ჩვენი სოფლიდანაც იყო ერთი, ეგნატე ურუშაძე. ფართოლით ვაჭრობდა, ახლად იყო დაბრუნებული სტამბოლიდან. სწორედ იმ ურუშაძემ უთხრა ბიძაჩემს, ეს ბავშვი დატოვე ჩემთან, გაიზრდება, ისწავლის და არზას დაიწეროს. ბიძაჩემს გაეხარა: პატიოსანი და შეგნებული ადამიანი ეუბნებოდა იმ სიტყვებს. ბიძაჩემი დაჰპირდა ურუშაძეს თვითურად იძლია ჩემ შენახვაში თითო „ქილა“ ჭადის ფქვილი და საკმლისა ორი მანეთი.

ურუშაძის დეჲანს ორი ოთახი ჰქონდა მადგმული. ურუშაძემ ერთში მე და თაყაი დახმარე ნოქარი, ვაჭრობის შეგირდი მოგვათავსა, მეორეში თვითონ დაიდო ბინა. კარგა მეპყრობოდა ურუშაძე. რასაც თვითონ სჭამდა, იმას მე მაჭმევდა, არაფერს მაკლებდა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ამ ადამიანმა ცოლი შეირთო და მოჰკიდა ხელი სახლის აშენებას ოზურგეთის მახლობლად. სახლის აშენებაში გართულმა ურუშაძემ დეჲანს რიგინად ყურადღება გადარ მიჰაქცია და ნოქარმაც ვერ წაიყვანა ვაჭრობის საქმე კარგად. გაღარაბდა ოჯახი. საკმელი შემოგვკაჲდა. დღეში ერთხელ ეჭამდით: ან შუადღისას ერთად, ან საღამოს ეამს დეჲანში მიგზავნიდნენ ხოლმე სახლი-

დან საქმელს. იმ დროს ოზურგეთში დასახლდა თავადი გიორგი გუგუნაეა და ჩემმა სიძემ იმასთან გადაიყვანა საცხოვრებლად.

გუგუნაეების გვარი მოსახლეობდა სოფ. ძიმითში, ნავაზის მახლობლად, სუფსის ნაპირას. გიორგი გუგუნაეა, გოთუსთან ერთად, ტიპიურ ფეოდალად ჰოვლენოდა ქვეყანას. იგი მალალი, შესახედავად კარგი კაცი იყო. განათლება მაელო რუსეთში, სამხედრო კორპუსში, მაგრამ ვერ გაეთავებინა. რადგან უფროს კლასში გადასვლისას თავისი ამხანაგი მოეკლა: დედა შემაგინა. მე ჯაყვა დანა ვკარი მუცელში და იმ წაშვე მოკვდაო—სე მოჰყვებოდა ხოლმე თვითონ ია კაცი თავის ამბავს—მე, რასაკვირველია, გამომრიცხვან კორპუსიდან და გამიჩინეს სამუდამო ჯარისკაცობაო, მაგრამ ახლო ხანში ნიკოლოზ პირველი ხელშეწყობა მოგვდა კორპუსში, მე მაშინ როგორც უდაბლესი ჯარისკაცი, ისე ვიყავ იქა და ცალკე ვიდექო. იმპერატორმა მომამკცა ყურადღება და იკითხა, ეს ვინ არისო. იმპერატორს მოახსენეს ყველაფერი. რომ მე სასამართლომ გადამიწყვიტა სამუდამოდ სალდათად ყოფნა. იმპერატორმა ბრძანა. ჯარისკაცად იყოს, მაგრამ სამსახურის წარჩინების კვალდახე ყველა წარჩინება მიეცესო. ამ ბრძანების შემდეგ, მე ჯერ გავხელი ფელდფებელი, მერე პოდპორუჩიკი, პორუჩიკი და კაპიტანამდე მივღწიეო... კაპიტანად ქცეულს გიორგი გუგუნაეას მოსკოვში მდიდარი ქალი შეერთო და სამსახურისათვის თავი მიენებებინა, „ატსტავკაში“ გამოსულიყო. ცოლის სიმდიდრის შესუსტების შემდეგ უცოლოდ სამშობლო გურიაში დაბრუნებულიყო და აქ შეერთო მეორე ცოლი, ფრიად ლამაზი, მაკა შალკა-შვილის ასული. გურიას სწევოდა გიორგის პირველი ცოლიც, მაგრამ ამ რუსის ქალს რაკი შეეტყო თავისი ქმრის მეორე ცოლიანობა, ისეე მოენახა თავისი სამშობლო რუსეთი. პირველი ცოლიანობა იოლად განთავისუფლებული გიორგი გუგუნაეა მეორესთან აღარ ერიდებოდა ცხადად ცხოვრებას, დიდის სუყვარულით ექცეოდა მას და ეძახდა, „ჩემი სიცოცხლო“.

ეს გიორგი გუგუნაეა, უნდა ითქვას, ერთგვარი მოვალე იყო ჩვენი, თაყაიშვილებისა, ჩემი და ჩემი ძმებისა. როცა ყმები გაათავისუფლეს. თავად-აზნაურობას ფულით აუნაზღაურეს ყმების ხელოდან გამოკლა. ჩემი და ჩემი ძმების ფული. ჩვენი გათავისუფლებული ყმების სანაცლო. ჩვენმა სიძემ სიძონ გოთუამ მიიღო. რამდენი იყო ეს ფული, არ ვიცი, მაგრამ რაც იყო, სულ გიორგი გუგუნაეას გამოერთმია ჩვენი სიძისათვის და, რასაკვირველია, გამოართმელის დაბრუნება აზრდაც არ მოსვლია, არც მოუვიდოდა. გიორგი გუგუნაეა „აყუენობას“ უწევდა ჩვენი სიძის მცირეწლოვან შინაწულს და იმის მანუღს კი ჩვენი სიძე ხმარობდა მუქთად: გიორგი გუგუნაეა არაფერს სთხოვდა ამაში. მაშულის მუქთად ხმარება ერთგვარი „სანუქბო“ იყო ჩვენს გათავისუფლებულ ყმებში მიღებულისა და გუგუნაეას ხელში გადასული ფულისა: ჩვენ სიძესა და გიორგი გუგუნაეას შორის კარგ დამოკიდებულებას ჰქონდა გადმული ფეხი. გიორგი გუგუნაეა შესანიშნავად ლაპარაკობდა რუსულს და ქართულსაც ჰფლობდა, რასაკვირველია. ოზურგეთში დასახლებულმა კერძო ვეჭლობა დაიწყო სამაზრო სპამართლოში. ჩვენმა სიძემ ახლა იოჯახში დამბინაეა. ცოლიცა და ქმარიც კარგად მეყრობოდენ. მეტად-რე ცოლი, მაკა შალკაშვილი. ერთი ეს იყო, რომ ჩემთვის ცალკე რაიმე კუთხე არ, იყო გაწესებული. ქართველი თავადის ჩვეულებისდა კვლად გუგუნაეას დიდი სტუმრობა ჰქონდა ხოლმე და ამიტომ ხშირად ან მისადებ

ოთახში მიხედობდა იატაკზე დაგება ქვეშაგებისა და ისე წოლა, ან გუგუნე-
ვას მღერის ოთახში.

გუგუნევის მღერინად ჰყავდა ნოე ჩიგოგიძე (მაშინდელ დროინებურად
„ჩიოქიძე“ თუ „ჩიოკიძე“), შემდეგ ოზურგეთის მაზრაში პოლიციის პრინ-
ტაჟი—აი, იმ ხანებში, როცა მე უნივერსიტეტი გავათავე. მიაი ვაჟი თბი-
ლისში პედაგოგობდა ამ საუკუნის პირველ ხანებში.

გუგუნეას საღილ-ვახშაშაზე მუდამ ვალობა იმართებოდა, თუ კი სუფე-
რაზე თავს მოიყრიდნენ ხოლმე მაშინ ანით განთქმულნი, აკეთში ნობინადრე
გვარები—შალიკაშვილები და მგალობლიშვილები. თვითონ გუგუნეავც ებ-
მოდა ხოლმე. მგალობლებში ყველაზე მეტად ერჩეოდა გუგუნეავს ცოლის
ძმა, დათა შალიკაშვილი. გუგუნეავს ოჯახს დიდალი ვერცხლულობა ება-
და: მრავლად ჰქონდა კელები, დოქები, აზარფეშები, კოვზები, ქიქები, და-
ნა—ჩანგალი და სხვა. გუგუნეავს ხშირ სტუმრებად ეველინებოდნენ ძმანი ბე-
ბურიშვილიც: ბებურა და ეტლია. გუგუნეავამ სთხოვა ბებურას, ხელზე მო-
საწახსურე ეშოვა მისთვის და ბებურამაც უშოვა, გულუბე მასპინძელს თავი-
სი უკანონო ძმა რაფიელა მოჰგვარა. იმ პირს მე ძალიან კარგა ვიცნობდი.
მრუდე ხელისა გახლდათ, მანამდე ბიძაჩემს, ერდიშელ თაყაიშვილს თვალ-
მარგალიტი და ოქროს ნივთები მოჰპარა: ბიძაჩემმა ხელში ჩაიგდო ქურდი
და ზოგა რამ, გაყიდვას გადაარჩენილი, დაიბრუნა; მოასურვა დამნაშაის სა-
საპართლოში მიცემა, მაგარმ მოსურვებელი სიძარულეში არ მოიყვანა:
გულეეთლობა მოსდგამდა ბიძაჩემს, შეეხვეწნენ პატიებას, ხვეწნამ გას-
ჭრა და ბიძაჩემმაც აპატრა ქურდს. ეს ყველაფერი მაქას, გუგუნეავს ცოლს.
ეუამბე, ცოლმა ქმარი გააფრთხილა, მაგრამ ქმარმა არ გაუგონა: „მე ვერ გა-
პიბედდესო მოპარვას“, ასეთი პასუხი ვასცა თავის კეთილმოსურნე მუღღლეს.
არ გასულა ორი თვეც, რომ გუგუნეავს ოჯახის მთელი ვერცხლუელი უკვა-
ლოდ გაქრა, ვერაფერი იპოვეს. თქმა არ უნდა, ამის შემდეგ უკანონოდ შო-
ბილი რაფიელა ბებურიშვილი დაითხოვეს. ვერცხლულობის დაკარგვის ერ-
თი წლის უკან კი გუგუნეავებს მოუხდათ სოფელ ძიმიოში დაბრუნება და სა-
ბუღაპოდ იქ დაკვიდრება: კერძო ექვითობა ოზურგეთში ვერ აძლევდა ხელ-
გშლილ გიორგის შესაფერ საჩიოს. მე კავშირი არ გამაწყვეტია გიორგი გუ-
გუნეავს ოჯახთან: გიორგის შვილს—კანონიერი ცოლისაგან, რუსის ქალისა-
გან ნაყოლს—ნიკოლოზს ვმეგობრობდი.

გუგუნეავები გადასახლდნენ სოფელში და მე ახალი ბინის გამოწახვა
დამჭირდა ოზურგეთში. რუსის ოჯახში მოვხვდი, ფოტის გამკესთან დაე-
სახლდი. თვითონ მიმიწვია თავისთან საცხოვრებლად. შვილები ჰყავდა. სკო-
ლაში ახლად შესულები. რუსულ ენაში ვარჯიშობის საშუალება მომეცა:
სწავლაში ვეხმარებოდი გამკის შვილებს და რუსულ ენაზე მიხედობდა ახს-
ნა-განმარტების მიცემა. იმ ოჯახში პირველად ეიგემე რუსული „კვასი“.
ბურახს აკეთებდნენ ზღმარტლიაგან, რომელსაც მრავლად იძლეოდა ოზურ-
გეთის მიდამოები.

ერთი წლის უკან იმ ოჯახმაც მიატოვა ოზურგეთი და უკანასკნელი წე-
ლიწადი ოზურგეთის სასწავლებელში ჩემი ყოფნისა მელექედურზე გადა-
სახლებით დაშთავდა. მელექედური ოზურგეთიდან ნატანების მიმართუ-
ლებით, მოშორებით მღებარეობს და გორას წარმოადგენს. იქ ჩემმა სიძემ
თავის დისწულებთან, მელუებთან მომათავა. მელუებს მელექედურზე სა-
კუთარი ხალხი ჰქონდათ. სამი ძმა იმ ოჯახიდან სასულიერო სასწავლებელ-

ში სწავლობდა. უფროსი მათგანი, 18 წლისა სადილ-ვახშამს გვიყვებოდა. მელუბთან ჩემი ყოფნისას, დეკემბერში დიდი თოვლი მოვიდა. საშობაოდ მელუბები ძიძიოში წავიდნენ, მე კი ლეხორს ვეწვიე. გათავდა შობის უქმეები, ჩემიანებმა დიდი თოვლიანობა ყურად არ იღეს, გაპაუოლეს კაცი და ღამაბარუნეს მელქედურზე. მელუბებს შინ დაბრუნებულს ჰკონებდნენ ჩემიანები, მაგრამ მოტყუდნენ, ისინი ჯერ არა ჩანდნენ. მიიხრეს, დარჩი აქაო, ხვალ და ზეგ ალბათ მოვლენო. რას ვიზამდი? მეც დავრჩი. ოზურგეთის სასწავლებელში დიდთოვლიანობის გამო სწავლა შეეწყვიტათ. მელუბებ არ დაბრუნდნენ და კარგახანობაშის მომიხსნა მარტოდ-პარტო ყოფნა მელქედურზე. მარტო დარჩენილს სულაც არ მომიწყენია. სახლი, საცა მე ვცხოვრობდი, მეზობლებისაგან მოშორებით იდგა. ჩვენს გადმოდმა ფერდობში პატარა წყარო გამოდიოდა. წყლის კალაპოტი არ დაეფარნა თოვლსა და თოვლისაგან თავისუფალ ადგილს ბევრი შაშვი და ჩხართვი ეტანებოდა. ძუის მახეები დაეპართე და შაშვი-ჩხართვებს ჰქერა ვუწყე. ამით ძალიან ვერ-თობოდი. ერთი-ორი ტყის ქათამიც გაება ჩემ დაგებულ ძუის მახეებში. მელქედურზე, მეზობლად ვინმე თოთბაძე ცხოვრობდა. თავისთან გაიწვია იმ აღაზიანმა, მითხრა: „აჲ მარტო რა გინდა? ჩემთან წამოდი, პატოესა გცემო! სვიმონ თაყაიშვილის შვილი ხარ და მე კი სვიმონისაგან ძალიან დავაღუბული ვარო. მისი წყალობაა, რომ აქ დავიარები, თორემ ციპირში უნდა ამომეყო თავი, ისეთი საქმე მქონდა ჩაღენილაო!“ რა ჩაეღინა. არ მითხრა თოთბაძემ და არც მე ვკითხე. ეს იყო მხოლოდ, რომ არ გავეყვი. ან რად გავყვებოდი? თავისუფლად ველარ ვინადირებდი! მერმე ცოლი საპყარი ჰყავდა ჩემს გამწვევს. რაკა მე ჩემი ბინა არ მუვატოვე, თოთბაძემ მინც ერთი სამსახური გამიწია: შეშა მომიტანა და დამიპო, უზრუნველყო ამ მხრივ: საქმელს კი მე თვითონ ვიზადებდი. 10 დღის უკან მელუბები დაბრუნდნენ და ჩემ ცხოვრებას თავისი ჩვეულებრივი იერი მიეცა.

ქართველთა ოჯახები, რომლებშიც მე მომიხსნა ცხოვრება, იშვიათობას არ წარმოადგენდნენ სხვა ქართველთა ოჯახებს შორის. გლახისა იყო—მისი ვაჟრად ჭკეული უფროსი დაუდევრობდა თავის საქმეში, თავადისა იყო—მისი უფროსი დაუდევრობდა, ქეთის მისდევდა, დარღიანდობდა: გიორგი გუგუნავამ თავისი ოჯახი მთლად გაალარიბა დაუდევრობით, ამას უნებლიე მოწმე ვიყავი. კანკიულებისას ძიძიოს რომ მივიდოდი ხოლმე, გუგუნავების ნახვას არ ვიციწყებდი; ჩემ მეგობარს, გიორგი გუგუნავას უფროს შვილს ნიკოლოზს. ქუთაისიდან კანკიულებზედვე ჩამოსულს, ენახულობდი. თუკა ნიკოლოზი ქუთაისის გინაზიამ სწავლობდა. მე კი ოზურგეთში, ის უფროსი იყო და მე—უშკროსი, შინაც შეთვისებული ვიყავით ერთმანეთთან. გიორგი გუგუნავა, ისევე როგორც სხვა მისი მოქმენი, მიწებს ჰყიდდა და ისე არჩენდა თავის ოჯახს. ამრიგად გაღარიბებულმა თავადმა ველარ შეინახა უფროსი შვილი ნიკოლოზი გინაზიამში. ნიკოლოზი დედამ, გიორგი გუგუნავას პირველმა ცოლმა, რუსის ქალმა თავისთან. რუსეთში გაიწვია. ეს მოხდა მამის, როცა მე ფოთში ვსწავლობდი. იქ შევხვდი უკანასკნელად ნიკოლოზს, რუსეთში გამგზავრებულს. ჩემი სტუდენტობისას გავიგე, რომ ნიკოლოზ გუგუნავას თავი მოეკლა სიყვარულით გამო. გიორგი გუგუნავას ერთი ვაჟი მეორე ცოლისაგან, მკაე შალიკაშვილისაგანაც ჰყავდა, ვარდენი ერქვა. მასაც ისეთივე ამავეი დაემართა, რაც მის ნახევარძმას ნიკოლოზს: სახლიკაცის ალექსანდრე გუგუნავას ქალი შეჰყვარებოდა.

ვიორჯის ნება არ მიეცა მისი შერთვისა და თავი მოეკლა. ვიორჯიმ ვერ აიტანა შვილის ვარდენის სიკვდილი და მალე გარდაიცვალა. თუ მიწების რა-მე დაურჩა ამ თავადს გაუყვიდავი. პირველმა, კანონიერად ცნობილმა კოლ-მა, მისაკუთრა და მკაე შალიკაშვილი ცარიელზე დატოვა. მაკას ინახავდნენ თავისი ქალიშვილები, გლეხებზე გათხოვილები.

3. ფოთის სამაზრო სასწავლებელში

ოზურგეთში ჩემი ცხოვრება მელუებთან ყოფნით დამთავრდა. გადაკეთ-და ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელი საქალაქო სასწავლებლად და მეც ოზურგეთის მიტოვება მომიხდა. „აპეკუნმა“ სეიმონ გოთუამ ფოთში წამიყ-ვანა, მაგრამ ძალიან მოგვიანებით: თავისი „ლახანას“ (კომპოსტოს მხალის) შე-მოსვლას ელოდა. „ლახანა“ კი, რომელიც ოზურგეთში ჰქონდა დათესილი და ფოთში უნდა წაედო გასაყიდად, ოქტომბრამდე არ შემოსულა. ოქტომბერ-ში ჩემმა სიძემ და მისმა მოზიარემ აშბაკო ურუშაძემ დატვირთეს მძლით „ქალაღღღური ნავეები“ (ღიღი ნავეები) და სუფსით გაუყენეს გზას გრიგო-ლეთაძე, სადაც სუფსა ზღვას ერთვის. გრიგოლეთიდან ნავეები ზღვით გა-ტარეს მალთაყვის შესართავამდის, მალთაყვიდან კი ფოთამდე კაპარჭინით მიიტანეს. პალიატომის ტბის მახლობლად გადმოტვირთეს „ლახანა“. მე და ექვსიოდე კაცი ჩემი აშხანაგი და ჩვენთან ერთად კიდეც ჩვენი სოფლის ლე-ხოურის ერთი მცხოვრები შოშიტაიშვილი ცხენებით მვედიოდით. ჩემი თა-ნამგზავრი ყველა აშხანაგი დროზედ შესულიყო ფოთის სამაზრო სასწავ-ლებელში. ისინი ერთხმად მეუბნებოდნენ ახლა არ მიგიღებენ, დაგვიანებუ-ლია, ქრთამი თუ გასკრის, ინსპექტორი მიზეზიანი კაცი არისო.

ფოთის სამაზრო სასწავლებლის ინსპექტორობას ეწეოდა ვინმე ზიკოვი. კალთვალა. იმ კალთვალა ინსპექტორთან ჩემმა თანამგზავრებმა მიმოიყ-ვნეს. ორნი ამათვანნი. ურუშაძე და შოშიტაიშვილი ჩოხაში იყვნენ გამოწ-ყობილი. თითოეულს ეკიდა ხმალი, ფიშტო და სატევარი და ხელი ხმალზე ედო. ინსპექტორის ქალაღღები წარუდგინე. სად იყავი ამდენს ხანაო, მკი-თხა ინსპექტორმა, გვიან არისო. რა უნდა მეთქვა პასუხად, ხომ არ ვეტყვი, ჩემ სიძეს ლახანა დროზე არ შემოუვიდა-მეთქი?!—ავად ყოფნას გადავაბ-რალე ჩემი დაგვიანება. რითი იყავით ავადო?—მკითხა ინსპექტორმა. ციუ-ბა მოვიმიზეზე. მერმე და იქ თუ ციებით იყავი ავად. აქ სასიკვდილოდ მოხ-ვედიო?—მითხრა ინსპექტორმა,—ფოთი ხომ ციების ბუდეაო. ერთი ლ, დაპრჩენოდა მეთქვა ამაზე და ეუთხარი კიდეც, სხვა სამაზრო სასწავლებე-ლი არ არის და ჩვენმა უფროსებმა ამ ფოთის სასწავლებელში მომიითიყუ-მეთქი. ინსპექტორმა ჩემ თანამგზავრებს გადაავლო თვალი, თითქოს ეკითხე-ბოდა, აბა, როგორ მივიდოო, და შოშიტაიშვილი და ურუშაძე რომ დაინახა. უარა ველარ სთქვა ჩემ მიღებაზე. ერთი ეს მითხრა კი, ალბათ თავის გულის მოსაფხანად, ვერ დაეწევი აშხანაგებსო. ჩემთვის ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, რაკი მიღებულ ვიქმენ სასწავლებელში?! ახლა ერთი ის იყო, რომ ბინა და იყო ჩემთვის საჭირო. ჩემი ოთხი აშხანაგა—ჭაყელი, შარაშიძე, ერ-ქომაიშვილი და ქაღიშვილი მოთავსებულიყვნენ ერთი გურულის სამიკიტ-ნოში, უკანა ოთახებში, და მეც იქ მომთავსეს. საქმელ-კასმელს გვაძლევდა მიკიტანი. ჩემმა „აპეკუნმა“ კიდეც მითხრა, თვეში ოთხ მანეთზე მეტი არ გა-ბედო და არ დახარჯოო. ასე იყო თუ ისე, მე განვგრძე ოზურგეთის სამაზ-

რო სასწავლებელში დაწყებული სწავლა ფოთის სამხარო სასწავლებელში. დავეწიე კიდევ ამხანაგებს და გავუსწარი კიდევ სწავლაში: ფოთის სასწავლებელი დავამთავრე ჩემ ამხანაგებზე უკეთესი ნიშნებით. რუჟულ ენას გვასწავლიდა ფოთში თვით ანსპექტორი ზიკოვი, ისტორიას—ვინმე აკოფოვი. ესეც ქართველი კათოლიკე იყო, როგორც ოზურგეთის სკოლის მასწავლებელი აკოფოვი; მაგრამ ფოთისა არ ჰგავდა ოზურგეთისას, კარგი აღმამი და კარგი ქართველი იყო. ის შემდეგ ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლობას ეწეოდა და გაზეთ „დროება“-შიაც თანამშრომლობდა, კორესპონდენციებს აწვდიდა ქუთაისიდან, დასახელებულ გაზეთს.

ფოთის სასწავლებელი რომ დავამთავრე, დავბრუნდი ლეხორში, თაყაიშვილების საპკვიდრებელ სოფელში.

4. ჩემი ზაარაულუზის ბრძანები და სხვადასხვა ამბავი

თავმად შეიძლება ითქვას, რომ არც იმ ოჯახებს, რომლებთანაც მე ვიყავი შეკედლებული ოზურგეთში და არც ფოთურ გარემოცვას, ნირი არ შეუშლიათ ჩემი გზისათვის, არაფერი იმდენი გავლენა არ ჰქონიათ ჩემ პიროვნებაზე. ეს წრე ჩემთვის არას წარმოადგენდა სულიერ ნათესაურსა. ლეხორის ნიადაგზე წარმოშობილი ჩემი გვარისანი კი, ზოგნი მაინც, მრავალ შასალას იძლეოდნენ ჩემი განვითარების ზნეობრივ არეზე. ჩემი სულიერი ზრდისათვის. ერთი მათგანი—იოსებ თაყაიშვილი, პირდაპირ იღვალად მყავდა გადაქცეული. არც ვასაკვირია ეს: ჩვენ გვარში მაშინ იოსები ერთადერთი ნასწავლი იყო; მისდევდა სამოციან წლებში წარმოშობილ პატრიოტულ გეზს, იწერდა „დროება“-ს და მისი საშუალებით გვაცნობდა ზოლმე საინტერესო წინსვლის ამბავს.

მეორე პირი, რომელიც ძლიერად იზიდავდა ჩემ გულს, კოწია თაყაიშვილი იყო. იგი მეგობრობდა და ამხანაგობდა იოსებსა და იავორ თაყაიშვილებს. იავორ თაყაიშვილზე, ამ უანგარო აღამიანზე მე კიდევ მეტონდა ლაპარაკი.

კოწიას დიდი განათლება არ მიუღია და ლელო გაჰქონდა თავისი, ბუნებისაგან ნაბოძები. დიდი ნიჭით. თაყაიშვილების ეს ერთ-ერთი წარმომადგენელი „კონვოიში“ მსახურებდა -- კირილე ლორთქიფანიძის, აკაკი წერეთლისა და ჩენი ქვეყნის სხვა ამგვარი შვილების პეტერბურგში ყოფნისას და, როგორ; პეტერბურგში მაცხოვრებელი, ამ ქართველ პატრიოტებს, რა თქმა უნდა, ხშირად ზედებოდა და დიდადაც იყო გამსჭვალული ქართული პატრიოტობით. კოწია შესანიშნავად ფლობდა მჭერმეტყველებას და უებრო პროპაგანდისტად ევლინებოდა თავის წრეს; ძალიან კარგად იცნობდა თავისი დროის ლიტერატურულ ნაშრომებს. მის ლიბერალობას საზღვარი არ ჰქონდა. კოწია ლამაზი, წარმოსადგეი გარეგნობითაც დაეჭილდობებინა ბუნებას, მაგრამ ავადმყოფობდა პეტერბურგში შეძენილი ჭლეპით. დიდ ხანს კი იცოცხლა: თავს კარგად უვლიდა კოწიას აცხოვრებდა თავისი წილი სამკვიდრებელი მამულები, თორემ ჭლეპით დაავადებულს შრომა არ შეეძლო. ძიმიოში დედისაგან, გუგუნავას ქალისაგან ჰქონდა დარჩენილი მამული. ლეხორში—მამისაგან. მოსდგამდა დაცინვა: თუ რამე არ მოეწონებოდა, ისეთი ბასრი გამკილავი სიტყვები ამოხდებოდა ზოლმე პირთაგან, რომ აღამიანი პირდაპირ ისპობოდა. კოწიას დროს

ქლეჭი სათაყოლო სნეულებად მიიჩნდათ, ვერავინ ჰხედავდა თქმას, ამას და ამას ქლეჭი სჭირსო და ვერც ვერავინ გაუხედავდა ვისმე ეთქვა, ქლეჭი გჭირსო. კოწია რომ იტყოდა, ავად ვარო, და ვინმე ჰკითხავდა, რა გჭირსო, იგი მოურიდებლად ეტყოდა ხოლმე შემკითხველს, მამალი ქლეჭიო! რას ამბობ, ბატონოო. ისმოდა ხოლმე პასუხად შემკითხველის სიტყვები, ღმერთმა დაგიცვასო. გურიაში ბინადრობდა ერთი ხუმარა აზნაური ნიკიფო ქარცივაძე. სწორედ იმ ნიკიფოს ერხელ კოწიამ ამცნო: აგერ, ბოლოს მოხუცებაში ქლეჭი გამიძინებდაო. ნიკიფომ ამაზე აი როგორ უბნო: ერთი, თუ ღმერთი გწამს, მიღლიტე მაგი შენი ქლეჭი, 70 წელიწადი სულ ამას ამბობ, ქლეჭი მკლავსო; მთელი გურია გადევინდა მას აქეთ, შენ კიდევ ცოცხალი ხარ, იქნებ მეც მიშველოს მაგ შენმა ქლეჭმა და შენოღონი გავძლოო. კოწია თაყაიშვილს მარხვის შენახვა არ მოსდგამდა: არც გურულების ზოგიერთი ჩვეულება სწამდა—მაგალითად, დიდი ტირილი მიცვალებულზე, საყურთხის მიტანა ეკლესიაში და სხვადასხვა და ამის გამო უღმერთოს ეძახდნენ. ერთხელ ვიღამაც უჩივლა კიდევ გუბერნატორ ლევანოვთან, უღმერთობას ჰქადაგებსო. კოწია დაიბარეს, მაგრამ გაათავისუფლეს. რაკი არაფერი საბუთი არ ჰქონდათ გამტყუნებისა.

კოწია დიდ პოპულარიზაციას უწევდა ქართულად გამოსულ ლიტერატურულ ნაწარმოებს: ხშირად მოუყრიდა ხოლმე თავს მეზობლებს და უკითხავდა ახალ გამოსულ წიგნებს. მახსოვს, როდესაც ქუთაისის პროკინანაში აში შევედი, ხელში ჩამივარდა მამინ ილია ჭავჭავაძისა და ვანო მაჩაბლის თარგმანი „მეფე ლირი“-სა. ვიღაცამ მათხოვა ეს წიგნი და სახალწლოდ ლეხორში წასვლისას თან გავიყარო. კოწიას თურმე ჭერ არ ენახა, მე კი უკვე წაკითხული მქონდა. ქუთაისში რომ ვბრუნდებოდი, ჩვენს სიძეს სიმონ გოთუას გამოუვარე ძიძითში და კოწიაც იქ დამხვდა. მეორე დილას უნდა დავეძრულიყავ სიძის სახლიდან ქუთაისისაკენ. საღამოს ეამს დაინახა ჩემ ხელში „მეფე ლირი“ კოწიამ და ძალიან გაიხარა, თანაც მისაყვედურა, რომ გქონდა ეგ შესანიშნავი წიგნი. რატომ არ მიიბარაო: წიგნის გამოსვლა კოწიას გაეგო გაზეთიდან და მისი წაკითხვის დიდი სურვილი აღძროდა.

ძიძითში დამხვდნენ კიდევ ორი ძმა გუგუხანავა და ხუთიოდე სხვა მათგარი, ყველანი „მეფე ლირი“-ს წაკითხვას მონდომებულნი. კოწიასთან ერთად გადაწყვიტეს იმ პირებმა. დამე ეთიათ და გადაეკითხათ ქართულ ენაზე ახლად მოვლენილი წიგნი—გამოჩენილი ინგლისელი მწერლის ნაწარმოები. ეს ამბავი მოხდა მამინ, როცა გურიაში ლამფა შემოღებული არ ჰქონდათ ჭერ კიდევ და მხოლოდ კართოფილისა და ქონის სანთლით სარგებლობდნენ. ზამთრის სიცივე უფლობდა. ყველანი ბუხარს მოუსხდნენ. წიგნის წაკითხვა კოწიას დაეკისრა: იშვიათი დიქცია ჰქონდა. ჭერ ვახშობამდე იკითხა კოწიამ. ამასობაში ერთი კართოფილისა და ორი ქონის სანთელი დაიწვა და სხვა აღარ მოიპოვებოდა; ბუხარის ცეცხლის შუქი გამოიყენეს წიგნის დამაჩრჩნის ჩასაკითხავად და დილაძედ მოუხდა კოწიას კითხვა. ერთი რამ არ მოეწონა წამკითხველს ინგლისელი მწერლის ნაწარმოებისა: ლირისაგან გადახდილი ომის მოკლედ გადმოცემა. მაგრამ იქვე თვითონვე განმარტა: ალბათ მწერალს არ ჰსურდა თბრობის დამძიმებო.

კოწიას თავისებური რწმენის ნორმები ამოქმედებდა; არაფრად მიიჩნდა ჩინოვნიკები, ლენერლები და ვაჭრები. გურიას იმ ეპოქად დიდ კაცად მოელონოდა თავადი და ლენერალი დიმიტრი გურიელი, მალაქიას ძე. ბაზარში გავლილს ლენერალს ყველა ვაჭარი ფეხზე წამოდგომით სალაპას აძლევდა; კოწია

კი, თუ იმ დროს იყო გამოსული, იჭდა თავისთვის მუხლზე მუხლგადადებული და თავს არ იწუხებდა, ფეხზე წამოდგომას არ ლამობდა, უსალმოდ სტოვებდა თავდასა და ღენერალს. ასევე ექცეოდა დიმიტრი ღენერლის სიძეს, ისეთსავე თავდასა და ღენერალს, ნესტორ წერეთელს, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს. სხვათა შორის, თავადაზნაურობის იმ წინამძღოლს თავისი მიუღწეველი პედაგოგის სულ მუდამ თავის გუნებაზე ატარებდა თურმე. როგორც ამბობდნენ, აკაკი წერეთელს თავის ნაწარმოებში „კულტურ-ხანუმი“, სწორედ ეს პედაგოგი ჰყავდა გამოყვანილი კულტურხანუმად. კოწია ახალგაზრდებს გვიშლიდა, ხსენებულ ღენერლებს და მათ გვარებს გაცნობოდით და დავახლოვებულეთყავით: ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ ხალხმა ცუდი რამ არ გადმოგდოთ რაო, გვეტყოდა ხოლმე. იშვიათ პატიოსან ადამიანად დაჰაბადებოდა ქვეყანას ეს პირი.

თუ კოწია და იოსები თაყაიშვილების გვარს მოვლენოდა ახალი მიმართულების ნირშეუცვლელ მიმდევრებად, სხვა ორნი—ალექსანდრე და გიორგი ნირშეუცვლელ ძველ ადამიანებად გასჩენოდნენ.

ალექსანდრე, მამა იოსებისა და იაგორისა, უკვე მოხუცებული, თავის ხნისებზე ყველაზე უფრო განვითარებული და საქმეში ჩახედული პიროვნება, ძველ ქართულ ლიტერატურაში კარგა ერკვეოდა: ზეპირად გადმოგვეცემა ხოლმე ვეფხისტყაოსანს, კარგა იცნობდა ვახტანგის კანონს და, როგორც შემდეგ დავრწმუნდით.—სიბრძნე-სიკრთის წიგნსაც. პოეტობდა, ლექსებსა სწერდა. რუსულს ამტკრევდა. თათრული კარგად იცოდა. სახით თითქმის უშნო იყო, მაგრამ სანდოიანი, ნამეტნავად მაშინ, როცა ლაპარაკობდა: ჩინებულად საუბრობდა, იტპირს ფლობდა. როცა კი რაიმე კითხვა წამოიჭრებოდა ხოლმე ბაასის დროს. ალექსანდრე ჯერ შესაფერ არაკს იხსენებდა, იტყოდა და მერმე ისე იძლეოდა პასუხს; თან თამბაქოს ეწეოდა გმელტრიანი ჩიბუხით, ნელ-ნელა, აუსწრაფებლივ (ჩოღღერ) იყო, ე. ი. ორი წინა კბილი აკლდა. აუჩქარებელივ და ირონიით ესაუბრებოდა ყველას—შვილებსაც, ცოლსაც, თანამოგვარეებსაც და გლეხებსაც. მისი ლაპარაკი, ყოველთვის უცნაურო, უმეტეს წილად არსიობას და არსიობაში მის გამარჯვებას შეეხებოდა. ალექსანდრეს ცოლად ნაკაშიძის ასული ჰყავდა, მოეტაცნა. საერთოდაც მისი გამარჯვება არსიობაში ძალმომრეობაზე იყო დამყარებული. ასე იცოდა ხოლმე თქმა, ამას და ამას ვეცი. ჩაბუხებულივ და სხვა... ერთხელ მამიდაჩემს ვკითხე: ეს რაფერაა, როგორ ალექსანდრეს არსიობა ძალმომრეობით სცოდნია მეთქი? რაფერაა და მახინჯი იყო და ნებით ვინ დაჰყვებოდაო, მიპასუხა მამიდაჩემმა.

რომელ სერიოზულ საქმეზედაც კი ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, იმას ალექსანდრე თავისებურად ქალისა და თავისი, ძალმომრეობაზე დამყარებული არსიობის ამბავით ამთავრებდა მუდამ.

მახსოვს. ბიძაჩემებსა და კოწიას (თაყაიშვილებს) თავი მოეყარათ ერთი საჩივრის გამო: ნიკოფორე თაყაიშვილი ალექსანდრეს, ბიძაჩემებსა და კოწიას ლეხორის ციხის ადგილს ედავებოდა. ნიკოფორეს აგულიანებდა დედა—მიქელაძის ასული, ქაიხოსრო თაყაიშვილის ქვრივი. დავა გაუთავებელი ხდებოდა იმ ქვრივის წყალობით. მოპირდაპირეთ არ იცოდნენ როგორ გასწორებოდნენ მოღვევს და ერთი მითქმა-მოთქმა ჰქონდათ ამის თაობაზე: ეს ინტრიგანი ქალი არ გვასვენებსო, ამბობდა ყველა მათგანი, როდემდის უნდა ვიართოსასამართლოში, როდეს უნდა მოვლის ბოლო ამ ამბავსაო. სხვადასხვა აზრი გამოითქვა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ აბეზარი ქალის თავიდან მოსაშორებლად. ალაპარაკ-

და ალექსანდრეც. თქვენ რა იცით, თუ როგორ უნდა მოექცეთ მაგ დედაკაცს. მაგისი მე ვიცი, ჭკარზე რომ მოუხდება გამოსვლა, ვეცემი, ჩაებუზულავ, ასე ვუქ, ისე ვუქ და დავაწყნარებ, სხვა არა უშეელის რაო.

ერთხელ შეატყობინეს ალექსანდრეს. გლვებმა ხე მოგიჭრაო. ალექსანდრემ დაიბარა ის გლეხი და უთხრა არაკი: მგელი რომ თხას სჭამს, ჭერ რბილს გადაყლაპავს, მერმე, ძვალს ტ-ზე დაიზმანებს, გამეტყუა თუ არ გამეტყუაო, და ისე გადაყლაპავსო. შე მამაძალო. იმ ხეს რომ სჭრიდი, იცოდი, რომ ტ-ში გავეტყოდარო?!

შვილებს ალექსანდრე ყველას დაცინებით უმასპინძლებოდა. ერთხელ შვილმა იავორმა კითხა ალექსანდრეს, მამავ, ჩვენ გვარში სულელი თუ ვინმე იყო, და მიიღო ასეთი პასუხი: მამულეთში ყველა ბრძენი იყო, მაგრამ დედულეთში ყველა სულელი და შენც იმათ ჰგავხარო.

იავორ თაყაიშვილმა ცოლად მოიყვანა ერთი სოფელი ქალი, გოგტიძის ასული—შესანიშნავი დიასახლისი, მაგრამ შინაურულად ნასწავლი. იოსებ თაყაიშვილმა უთხრა ალექსანდრეს: მამაჩემო, ვერ ურჩიე ჩემს ძმას, რომ ცოტა განათლებული ქალი შეერთოო. ალექსანდრემ ასე უპასუხა: შენ რომ იმ უნივერსიტეტში რაღასაც ებადუნებოდი და ვითომ რაღაც შეისწავლე, ევეფხისტყასოსანი წაგეკითხა, არა სჯობდაო? მაშინ მიხვდებოდიო: დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამჩრებოდა უმეცრებო. რა ჩემი საქმე იყო, გინდა ვირიცი შეერთოო.

ალექსანდრე ხშირად ლაპარაკობდა თავის მამაცობაზე, რანდულსა და იდეალურს ეტრფიალებოდა. მისი ლექსები კი უმეტეს შემთხვევაში უცენზურო იყო. მაგრამ ვისაც კი მოიწონებდა ალექსანდრე და სახელოვანდაც მიიჩნევდა გურიაში. მისთვის ქებასაც არ იშურებდა, წესიერი ლექსით გამოთქმულს. ერთი ასეთი ლექსი დიდად ცნობილი დავით გუგუნიანას თაობაზე ბათუმის ნუზუშუმს დაუტაკეს თურმე: თვით მუზეუმის დირექტორმა მომპაწოდა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ. ალექსანდრე ლექსებს შესანიშნავი რითმით იძლეოდა. თვითონ თავის ნაწარმოებს არ ინახავდა: რომ დასწერდა ლექსს, იმას უგზავნიდა, ვისზედაც გაპოსთქვამდა ხოლმე. გურია მოდებული იყო მისი ლექსებით. ერთხელ ალექსანდრესთან მივედი მე და ჩემი ბიცოლას დისწული—დადიშკელიანის ასული, სულ ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, რომელიც სწავლობდა ქუთაისის, წმინდა ნინოს „ზავედენიაში“. ალექსანდრესთან დავგვხვდა ვინმე ვაშაყმაძე. ის ჩონგურს უკრავდა და ალექსანდრეს ლექსებს დამღეროდა ზედ. აი ამისთანა ლამაზი ქალი მოვიყვანე აქა და უდიერი ლექსი არა დამღერებოდა მე თქი, ვუბნე ვაშაყმაძეს. არა, ლამაზ ქალისათვის ჩვენ სხვა კარგი ლექსი ვიცი, მისასუხა თავის მხრივ ვაშაყმაძემ და ჩონგური რომ მომართა, ასე დამღერა: „შენ შეგნატრიან არენი, ნათელო, ცის სამყაროსა, მოვარეს წაუხდეს ციმციმი და მზენიც ვერ გედაროსა“... სხვა აღარ მახსოვს. ჩემმა ძმამ ნიკომ ზეპირად იცოდა ერთი გრძელი ლექსი, ალექსანდრეს მიერ გამოთქმული არჩილ მიქელაძეზე. ის მიქელაძე ტიპიურ ნაშთს წარმოადგენდა გაღარბებული ძველი ფეოდალებისას; სოფელ კულაშში მკვიდრობდა.

მრავალნი იყვნენ მიქელაძენი კულაშში. მათში მხოლოდ დავით მიქელაძის (ცნობილი „მეველეს“) მამას ალექსანდრეს ჰქონდა შეძლება, დანარჩენებს და მათ შორის არჩილ მიქელაძესაც ხელცარიელობა მოსდგამდათ. მისი ასული ნატალია ბიძაჩემს კოსტანტინეს მეორე ცოლად ჰყავდა მოყვანილი. ჩემი პატარაობისას არჩილი უკვე კარგა მოხუცებული იყო. გაზაფხულისას თავისი მოზრდილი თავისფერი ჭორით მოადგებოდა ხოლმე ბიძაჩემს კარს, ხში-

რად თავისი ორი ვაჟითურთ, და თავის ქალთან ზამთრობამდე რჩებოდა. მათი სტუმრობა ძვირად უჯდებოდა ბიძაჩემს, მაგრამ სტუმართა და ნათესავთა მიღების ადამი ათმენინებდა და ამოზინებდა ყველაფერს. მერმე ბიცილა ნატალიას ძალზე უყვარდა თავისი მამა არჩილი და ანებიერებდა. ერთი მოსამზახნური ქალი მუდამ მიჩემებული ჰყავდა არჩილს თავისი ქალისაგან. ხელპირა აბანინებდა, ტანისამოსს აცმევდა, აივანზე წამოსაწოლად ნოხსა და ნაალს უშლიდა და ბუზებს უგერიებდა იმ სადიდხნო სტუმრად მოსულს ადამიანს. ასეთი პატივი არჩილს სიკვდილამდე არ შოჰკლებია თავისი ქალისაგან. ალექსანდრემ თვალში ამოიღო ეს ჩვენი მძახალი და შეამკო ლექსით, რომელიც პირიდან პირში ვადადიოდა ლეზოურელებსა და ახლო-მახლო. სოფელეთა შორის. სამაწუხარად, ის ლექსი აღარც მე მახსოვს მთლიანად და ვგონებ წარმომშობ ადგილობრივ აღარ შეინახულა: თუ რამ მაგონდება, უცენზუროდ და აქ მოტანა არ ეგების. სხვათა შორის, ლექსში ასეთი ფრაზაც იყო: ჩვენდა დასავსებად გვიტოვია შენი ქალიო. არჩილმა ალექსანდრეს ლექსითვე უპასუხა, მაგრამ მელექსეობა რაკი არ ეხერხებოდა, სეფე გუგუენავა მოიშველია. იმ ლექსიდან ერთი ფრაზა მახსოვს: შენ ვაზრდილ ჩოლერაში შით გავიარე ჩემი ჯოროთო. ალექსანდრემ არ დაადგო ეს ლექსი უპასუხოდ და არჩილს ხომ შეეხო და შეეხო, სეფე გუგუენავასაც კარგა კბილი გაჰკრა. სხვათა შორის ალექსანდრეს ამ ლექსში ასე ჰქონდა ნათქვამი: კნიაზ არჩილ. აწი კნარა, აწ ხუმრობა გაიშვია, შენ რომ მამა გეხმარება, აწი მავნე მიმიშვიაო. და მერმე გამოთქმული იყო აზრი: სეფე გუგუენავასაც არაფერი აქვს სახლშიო, არჩილივით ისიც მაწანწალაა და სხვისი ხარკით იკვებებაო. უცენზურო, უწმაწური ფრაზებით საეცე ლექსებს ერთობ ფეხი მოეყიდნა მთელ ეურიასში. ასეთი ლექსები აქვს ცნობილ მწერალს სვიმონ გუგუენავასაც. დავითის შვილსაც. სვიმონ გუგუენავას ლექსებში ანდრია ერისთავის უფროსის ძმასთან ვარლამ (?) ერისთავთან მიწერ-მოწერისასაც ჩაურთვია უცენზურო ფრაზები. რომლებიც სხვათა შორის აკაცი წერეთელსაც ეხება, რაკი იგი ვარლამ ერისთავს ეხმარებოდა ლექსების გამოთქმასში.

ალექსანდრეს, იოსებსა და იავორს გარდა, სხვა ოთხი ვაჟიშვილიც ჰყავდა. ერთს ყარამანი ერქვა; კარგი ადამიანი იყო, მე რომ უნივერსიტეტში მივდიოდი, მამინ გარდაიცვალა. მეორეს ალექსი ერქვა, ფოსტის უფროსობა ადბუღალში (მისი შვილი ალექსანდრე—შურა საბაეშვი თეატრის გამგეა თბილისში) მესამე ვაჟი ბათუმში პრისტავობას ეწეოდა, მეოთხე—ტარიელი, მამასაებრ ლექსების გამოთქმელი, უსწავლელი დარჩა და შინ მუშაობდა უებროდ; დიდ ბურჯობას უწედა ალექსანდრეს ოჯახს. ალექსანდრემ ას წელზე მეტე იტოცხლა. ცოლი რომ შევიერთე, მიეყედი მასთან სანახავად და ცოლიც თან მყავდა. ლოგინში იწვა ალექსანდრე, დიდად მოხუცებული; ვეფხისტყაოსნით ხელში დაგვიხვდა. ჩემ ცოლს ასეთი ფრაზა შემოაგება მოხუცმა: აფხაზები იტყვიან, ვისაც ჩემი სიყრმე არ უნახავს, ღმერთმა ჩემი სიბერეც ნუ აჩვენოსო. და თან დაუტოო: ნუ იფიქრებ, რომ ასეთი ვყოფილიყავ სიჭაბუკეშიო.

სულ სხვაგვარ პიროვნებას წარმოადგენდა ჩემგნით ზემოთვე აღნიშნული მეორე მოხუცი გიორგი თაყაიშვილი. ცხოვრების წმინდა წყლის მატერიალისტი; არაფერი იდეური მისწრაფება რამ არ მოსდგამდა. ყოველი შეფასება მის მიერ რომელიმე ფაქტისა მატერიალურ ხასიათს ატარებდა. კამამსმაზე იყო ვადამდგარი ეს ჩემი თანამოგვარე; ორი-სამი სადილიც რომ ეჭამა, მშინაო, მაინც იმახდა. დიდხანს მსახურობდა მილიციაში. ჯილდოდ მიღებულს წმინდა გიორგის ჯვარსა და აუარებელ მედლებს ატარებდა. მილიციის პრაპორ-

ჩიკი სულ იმას იძახდა, ჩინი რად მინდა, თუ ჩინს ჭამაგირიც არა აქვსო; ჩინს ჭამაგირიც უნდა ჰქონდესო, არა მყავს კაცი, რომ ჩემი ხმა ხელმწიფვსთან მოვიღოს, თორემ ჭამაგირს დამინიშნავდაო.

გიორგის ხელმწიფეც სწამდა დიდად და ღმერთიც, მაგრამ არაერთი ჩვენი წესი—როგორც არის მარხვის შენახვა, მკვდრისათვის საკურთხის მიტანა, ხატისათვის ფულის შეწირვა—არ ჰქონდა ჩვეულებად: ღმერთსო, ამბობდა ხოლმე ეს თაყაიშვილი, ვებვეწვები აქეთ მომცეს შეძლება და სარჩო, ღმერთს ჩვენი ხაჭაპურები და ჩვენი ძღვენი რათ უნდაო?! ხალხი სულელიაო! არც ტირილში მიდიოდა და არც წაბურვა იცოდა. შენ რომ მოკვდები, ეუბნებოდნენ გიორგის, კაცი არ მოვა შენთანო. მაგისი არ მეშინიანო, ეუბნებოდა პასუხად, რომ აყვროლდები, მიწაში ჩამაგდებენ, მამ რას იზამენო?! გიორგის ცოლად ჰყავდა ასათიანის ქალი, ზემო იმერეთიდან. მარხვის შემნახველი ფეგმია, თუმცა ძალიან კარგად უძღვებოდა ოჯახს, ქმარი მისი მაინც უქაყაოფილებას გამოთქვამდა.

საზოგადოდ გიორგი ვერავის ვერ ეწყობოდა, ვერც ცოლსა და ვერც შვილებს. ნამეტნავად უფროსს, რომელიც ჩემს დროს, შეეკეთილში, ნატანების მახლობლად, საბაქოში მსახურებდა. ერთი შვილი გიორგის კორპუსში ჰყავდა რუსეთში. იაგორი ერქვა. მაგრამ ამას კორპუსი არ დაუმთავრებია: ჭლეტი შეხვდა და სახლში დაბრუნებულს სიკვდილმა მოუღო ბოლო. მესამე შვილი სიო, გონაზიის დამთავრების შემდეგ, აქციზის მოხელეობას ეწეოდა ოზურგეთში. გიორგის რწმენით, შვილი არასდროს სახლში არ უნდა დარჩენილიყო, სწავლას გაათავებდა თუ არა. უნდა უსათუოდ ჩინოვნიკად ქვეუღიყო. გიორგის სამი ქალიც ყავდა. ყველანი გლეხებს გაჰყენენ ცოლად, მამის დაუქოთხავად, მამა კი ამის გულისათვის არც ერთს სახლში არ უშვებდა. ერთი ქალი კუპრაძემ იცოლა, ერთი—თხმეზურმა.

გიორგის, როგორც კარგს მეოჯახეს, კარგი მუშაობა მოსდგამდა. ეზოში ჰქონდა დიდი ბაღი, თავისივე გაშენებული: ოდა წაბლის ხისა, ორსართულიანი, იშვიათი მოვლენა იმ მხარეს: ორსართულიანი სახლი გურიაში არ იცოდნენ. მაგრამ მთავარი შემოსავალს გიორგის წისქვილი აძლევდა: ახლო-მახლო სხვებს წისქვილები არ ჰქონიათ და დასაფქველად სიბინდი გიორგისთან მიჰქონდათ. მარტო იმ წისქვილის მინდს შეეძლო ერთი მოსახლე კაცის რჩენა და ყველანი მის პატრონს ბედნიერ კაცს ეძახდნენ. გიორგის კი არ აკმაყოფილებდა ის შემოსავალი: მჭადს პატიოსანი ძაღლიც არ შესჭამს, არამც თუ პატიოსანი ადამიანიო; პური უნდა ჯქონდეს, პურიო. მართლაც გიორგი არც მჭადსა სჭამდა, არც ღობს, ეგ არა საქონელიაო. პურს ყიდულობდა ჭარისკაცებისაგან, შავ რუსულ პურს (თეთრი პური ძვირობდა) და იმას გაიხლებოდათ.

ბევრ მიწას ჰფლობდა გიორგი და ბლომად მოჰყავდა ხილი: ბალი, ალუბალი, მსხალი, ვაშლი, კახაბალი, ქლიავი, კორკიმელი, ატამი, ყურძენი (ჩხავერი) და სხვა. ყველაფერი ეს სულ მისი დამყნობი და ნახარები იყო. გიორგი ხილს, რამდენადაც კი შეიძლებოდა, ოზურგეთში ჰყიდა. საერთოდ კი გურიაში თავდა-აზნაურობას სათაყილოდ მიიჩნდა ხილის გაყიდვა და გიორგიზე, რომელიც ამას არ ერიდებოდა, „გვარის მომჭაყაეიო“ (შემარცხვენელი), იძახდნენ. ერთხელ გიორგიმ არყის გამოსახდელი ქვაბიც კი მოაწყო წისქვილთან, მაგრამ იმ დროს შემოღებული სააქციზო გადასახადი არ გაიღო და დაწყებული საქმე ვეღარ განაგრძო. ამ ამბის ბრალი ჩინოვნიკებს დასდო: ხელმწიფე მე ხელს არ შემეშლიდა, ჩინოვნიკები რომ არ ყოფილიყვნენო. ძალიან ეტანებოდა გი-

ორგი ლეინოსა და არაყს. ბევრს სვამდა, თუ კი იშოვნოდა. საუკეთესო სადილებს ამზადებინებდა შინ ოთხშაბათობითა და პარასკევებით: გოჭს. ან ღიდ მამალს, ან სხვა ამგვარს კლავდა ხოლმე. ეს შეენიშნათ ზოგს და ერთხელ ეკითხათ მისთვის: რაღა ოთხშაბათ-პარასკევობითა გაქვს კაი სადილი, რა ამბავიაო? გიორგის ასეთი პასუხი გაეცა: სხვა დღეებში ეფემია შემომეზიარება სადილში, ოთხშაბათ-პარასკევს კი მისთვის მარხვავა და მარტო მე დამრჩებო. მახსოვს, ერთხელ ოზურგეთში ცხენით მიმავალმა გიორგიმ ბიძაჩემთან გამოიარა და მამიდაჩემს უთხრა, შშიაო, მამიდაჩემმა ჰკითხა, განა სახლში საქმელი არ მიირთვითო? რას მივირთმევდი, როცა არც საქმელი მაქვს სახლში, არც სასაშელოო, ათქვა პასუხად გიორგიმ და თავისი გზა განაგრძო. გიორგი წავიდა და პატარა ხანს უკან მამიდაჩემთან მივიდა გიორგის მეუღლე ეფემია. მამიდაჩემი შეეკითხა მოსულს. როგორ მოხდა, რომ გიორგი უქმელი გაუშვი ოზურგეთშიო? ჩვენ შემოგვიჩვენა, შშიერი ვარო! უიო!—წამოიძახა ეფემიამ.—იმ ოხერმა დღეს ერთი დიდი შემწვარი მამალი, ორი ყველი, მისი შესაფერი პური, ერთი ხაჭაპური შექვამა, და კიდევ ერთი დოჭი ღვინო დალიაო.

გიორგის რომ სახუშარო ეთქვა რამე განგებ, ამის პრეტენზია არ ჰქონია, მაგრამ ჩვეულებრივ ლაპარაკში ისეთი სიტყვები ამოხდებოდა ხოლმე პირიდან, რომ მთელ გურიას ედებოდა: ბებურა ბებურიშვილს ახსოვდა ბევრი მისი ნათქვამი, ხშირად ახსენდებოდა და ხშირად დაურთვია გახსენებულისათვის: გიორგისთანა ჰკეიანი კაცი გურიაში არაეინ არისო. მაგრამ თვითონ გიორგის ბებურაზე კარგი წარმოდგენა არ ჰქონია, არ მოსწონდა ბებურას ავანტურისტობა. მოსწონდა და გაღმერთებული ჰყავდა დიდი მოხელეები, ღენერლები, მზარის უფროსები, მოსამართლეები და სხვანი ამგვარნი. სხვათა შორის, ეს ჩემი თანამოგვარე ღიდ პატეისა სცემდა სენაკის მზარის უფროსს, თავის შვილების მომსათლავს, გიორგი ბებურიშვილს. ბებურას ძმას. ერთხელ გიორგი ბებურიშვილი ბებურას თანხლებით ეწვია გიორგი თაყაიშვილს, როგორც ნათლია ნათლიმამას. სახლში გიორგი თაყაიშვილს მხოლოდ ცოლი, ეფემია ჰყავდა. გიორგი ვახშის თადარიგს შეუღდა და პატარა ხნით სტუმრების დატოვება მოუხდა: მეუღლისათვის ხელი უნდა წაეშელებინა. შემდეგ სტუმრებთან უკან დაბრუნებულმა მასპინძელმა უბნო გიორგი ბებურიშვილს: არა, არა, უძმო კაცი არ ვარგაო; მე რომ გავედი გარეთ, ძმა რომ მყოლოდა, ის შენთან დარჩებოდა და შეგაქცევდაო. გიორგი ბებურიშვილმა თავის მხრივ მიუგო აჩივლებულს: ძმა მეც კი მყავს, ავერ, ბებურაი. მაგრამ რას მიკეთებსო. არა, არაო, გაისმა სანაცულოდ გიორგი ბებურიშვილის თქმაზე. მე ძმა გითხარი, თვრა ბებურას ძმობა ვინა სთქვაო.

გიორგი თაყაიშვილის დროს ახალი სანაშრო სასამართლო დააარსეს ოზურგეთში და მოსამართლედ დავით ბაქრაძე დანიშნეს. გიორგის მოსწონდა, სასამართლო რომ უსმენდა ჭერ ერთს, მერამე მეორეს და ისე რომ ადგენდა ხოლმე განაჩენს.

ერთხელ გიორგიმ გლეხს უჩივლა სასამართლოში იდგილის თაობაზე. გლეხი არ გამოცხადდა და სასამართლომ გიორგის მიუხაჯა, რასაც თხოულობდა და გაახარა. მაგრამ ამ გაახარებას მალე ბოლო მოეღო: გლეხმა განაახლა საქმე, გიორგი ისევ დაიბარეს, საქმე ხელახლად გაიჩა და სასამართლომ გლეხს მიაკუთვნა საღებო მიწა. თარჯიმანიმა რომ გამოუცხადა გიორგის, შენ საქმე წააგე და მიწა გლეხს დარჩაო, გიორგიმ უთხრა განმცხადებელს: შენ ცდები, იმ გლეხმა წააგო, მე როგორ წავაგებდი, გუშინ არ იყო, მოვიგეო? ბაქრაძემ, რასაკვირ-

ველია, ქართული იცოდა, მაგრამ სასამართლოს საქმის წარმოება რუსულ ენაზედ სრულდებოდა კანონისდა კვალად და მის კლიენტებს მისი დადგენილების მოსმენა თარჯიმანისაგან უხდებოდათ. რაკი გიორგიმ თარჯიმანს არ დაუჯერა, ბაქრაძე ჩაერია საქმეში, ქართულად ალაპარაკდა. გიორგის ახლა თვით მოსამართლის პირით ეუწყა, შენ საქმე წააგე, მიწა გლეხს დარჩათ. გავცემულმა გიორგიმ მაშინ დაძაწა ზალს მიმართა თავისი სიტყვა: ძმებო, თქვენ აქ რას უცდი-თო? ეს სასამართლო კი არა, კონჩინაი ყოფილა—დღეს მოიგებ, ხვალ წააგებო!

გიორგი პირდაპირ პასუხს იშვიათად თუ ვისმე მისცემდა. ხშირად მოპირდაპირებს მისგან მხოლოდ: „არა, ზო, კი, რატომ არა“ ესმოდა, სხვა არაფერი. ბე ბურა ბებურიშვილს უთქვამს გიორგის ასეთ გამოსვლებზე: მოდი ახლა შენ და გაიგე, რა პასუხი მოგვცაო.

გიორგი უფროს შვილს, ერმილეს ვერ ეწყობოდა; სულ ემდუროდა, მისას არაფერს არ იწონებდა. როცა უცოლო იყო ერმილე, გიორგი ამბობდა: ჩემი შვილი სულელია, ქალებს დასდევს, ეს არ ვარგაო. კოწია თაყაიშვილმა ჰკითხა ერთხელ გიორგის, განა შენც არ დასდევდი ახალგაზრდობაში ქალებსაო? როგორ არაო, უპასუხა გიორგიმ კოწიას, ქალის გულისათვის სახლიც კი გავყიდე, მაგრამ მაშინ აბდალი ვიყავიო: ახლა, რომ დავეკვიანდი, შეიღმა მე უნდა დამიჯეროსო. კოწიამ ამაზე ასე უთხრა: შენი ხნისა რომ შეიქნება, მაშინ დაგიჯერებ-სო. ერმილემ ცოლად შეირთო ქარცივადის ქალი, სულ ახალგაზრდა. გიორგიმ არ მოიწონა ეს ამბავი, უმზითვო ქალის შერთვა როგორ შეიძლებაო? ჩვენ ვკითხვით გიორგის: ეფემია რომ შეირთე, მზითვევი მოგცესო? დიახო, გვიპასუხა გიორგიმ, ეფემიას მზითვევი ერთი მოსახლე კაცი მომცესო და რომ დავინახე ის კაცი, მომეწონაო: ასე მითხრა, თაყაიშვილო, დაგასახლებო: ყველაფერი ვიცი. სახლის შენება, მიწის დამუშავება, მებაღეობა და სხვაო. მართლაც ყველაფერი იმ მზითვის კაცმა ამიშენაო,—სახლიც, წისქვილიც, კარ-მიდამოც. ბალიც. ნა-ლიაიც და ბეღელიცო; ქალისთვის კი არც შემიხედნიაო; ასე უნდაო. ქალი ყველ ქალია და მზითვით უნდა მოვიდესო.

გიორგის არ უყვარდა ისეთი სტუმარი, რომელიც არაფერს გამორჩენის საშუალებას არ იძლეოდა. არ მოსწონდა უფროსი შვილის სტუმართმოყვარეობა. ერთხელ, გიორგისთან რომ მივედი, მისი უფროსი შვილის ლაპარაკი მომესმა. ვინ არის ერმილესთან სტუმარი მეთქი, ვიკითხე. ვინ არის და გოგიეი ზარალა-იო— მიპასუხა გიორგიმ — პატროსანი კაცი ჩემ შვილითა ხომ არ მოვაო? სტუმარს მეტ სახელად „ზარალას“ უწოდებდნენ: ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ ადამიანს ზარალის მოტანის მეტი არა შეეძლო რა სხვისათვის. გიორგის ისიც არ მოსწონდა, როცა სხვას მოსდიოდა სტუმარი. ერთხელ მოუხდა ზიძანეთთან გამოვლა ცხენით სხვაგან მინადენს და მაშიდაჩემი დახვდა დერეფანში. „წალი, შენ იქ სტუმარს ემსახურეო“, მიმართა მაშიდაჩემმა მოსამსახურეს, როცა გიორგი მოადგა კარს: „ვინ არის სტუმარიო?“, იკითხა გიორგიმ. „ჩვენი სიძე სვიმონ გოთხოაო“, გაიგონა პასუხად მაშიდაჩემისაგან.

— რა უნდა? რისთვის მოვიდა? — მოაყოლა კითხვა კითხვაზე გიორგიმ.

— მოვიდა ჩვენ სანახავად, ჰაერის გამოსაცვლელად! — დაიწყო მაშიდაჩემმა—ლეხოურში ხომ უფრო კარგი ჰაერია, სანამ ძიმითში?!

— ლეხოურში რომ ჰაერი წახდა, განა არ შეუტყვია? — მოჰყვა გიორგი თა-ვისას—სადაა აქ ჰაერი? ჰაერიც ხომ წახდა და წახდა, ხალხიც წახდა ამასთანაო. ერთი ჩვენი მეზობელი, კვანტია სალაქვაძე, კონტრბანდის გამო ცი-ბირში გაგზავნილი ათი წლით, ყავლის გავლისას, სამშობლოს დაუბრუნდა.

გიორგი და საერთოდ გურულები ისეთი წარმოდგენისანი იყვნენ ციმბირზე, რომ თითქოს იქ არც პაერი იყო, არც საკმელი-სასმელი; ნამდვილ ჭოჭობეთად ჰგონებდნენ. გიორგიმ, როგორც ცნობისმოყვარე ადამიანმა, ჰკითხა სალაქეაძეს, ციმბირში პური თუ იშოვებო?

— პურიო?—დაიწყო სალაქეაძემ,—პური აუარებელია, ერთ კაპეიკად იმოდენს მოგცემენ, რომ ერთ დღეს ვერ შესჭამო!

— ხორციო?—ჰკითხა გიორგიმ.

— ხორციც ლეშედ (ბლომად) არისო,—სთქვა სალაქეაძემ—ხარისა გინდა, ძროხისა გინდა, ნადირისა თუ შველ-ირმისაო, აუარებელიაო!

— ლეინო?

— ლეინო არ არის, მაგრამ არაყი—რამდენიც გინდაო!

— ვაიმე, ვაიმეო!—წამოიძახა გიორგიმ—ეს რა მითხარიო? ქვეყანა იგი ყოფილა და ციმბირი—ლუხოური, აქ ხომ არც საკმელია და არც სასმელიო! აქ რა მოგარბენინებდა, ისეთ ქვეყანაში თუ იყავიო?

გიორგის ცრუმორწმუნეობა არ მოსდგამდა. ერთხელ, ჭერ კიდეც ბავშვობის ასაკს არ აცილებული. მივედი მასთან. ეზოში დავინახე ხარები და ძროხები. გიორგი ოზურგეთში წასასვლელად ემზადებოდა. გამომელაპარაკა:

—ასეა, ღმერთი გვიწყრება, ჰირი გაჩნდა; ერთი ძროხა ჭე მომიკვდა. ეს ხარებაც დამეხოცება: ამ ცხენსაც წელკავი დაემართა, მომიკვდებო.

— შე უბედურო — წაედავა ცოლი ეფემია გიორგის,—ყველაფერს რომ ცუდს ახსენებ, მოვა მაი ცუდი, აბა მამ რა დაგვემართებო?

გიორგი მე მომიბრუნდა:

— ქალი სულელია, ბიძია! შენ ოქროს იცნობ? ოქრო გინახავსო?

— როგორ არა — ვუპასუხე შემკითხველს, — ოქროს ფულიც მინახავს და ოქროს ნივთიც მეტი.

— აბა, არ ახსენო. — მითხრა გიორგიმ, — თორემ მოირბენს აქაო!

გიორგი, თუ შინიდან მიდიოდა სადმე, ცოლს ავალებდა ზოდზე, თუ რა და რა საქმე გაეკეთებინა სახლში. სწორედ იმ დღესაც გიორგიმ. როცა პირისაგან მოსალოდნელი ზარალი ჩამოთვალა, ცოლსაც დავალება მისცა, თუ რა გაეკეთებინა და ისე გაუყენა ცხენი ოზურგეთის გზას. არ გასულა დიდი ხანი. რომ გიორგიმ უკან მოაბრუნა ცხენი. „ეფემია, ეფემიაო!—დაუძახა ცოლს.— დამავიწყდა ვერ გითხარი ესა და ესაც გამიკეთეო“. კარგიო!—უპასუხა მეუღლემ მეუღლესა და გიორგიმ ცხენი ისევ ოზურგეთის გზას გაუყენა. ვნახოთ და პატარა ხანს უკან ისევ არ მოაბრუნა ცხენი? ამგვარი ფანდი ორჯელ გაივირონ კიდეც. უკანასკნელი მობრუნებისას ასე მიმართა ცოლს: დამავიწყდა. რომ შენ გაეკეთების მაგიერად გაუუქვება იცი საქმისაო; არც არაფერი გამიკეთო და არც არაფერი წამიხდინო.

როდესაც კი გიორგი მიდიოდა სადმე მარტო, ჰქვითად იქნებოდა თუ ცხენით, ხელს აქნებდა და თავის თავს ელაპარაკებოდა თითო რამ საქმეზე. ჩინოვნიკებს, მოხელეებს „ხელმწიფის მოჭამაგირებებს“ ეძახდა.

ერთ ხანს ოზურგეთში გვარდიის პოლკოვნიკი ოტია დადიანი ეწეოდა მაზრის უფროსობას. გიორგი მივიდა თურმე საქმეზე მასთან სახლში, დილის ათ საათზე. „ქინაზს სძინავსო“, უთხრეს დადიანის სახლისებმა. გიორგი ერთი საათის შემდეგ კიდეც მივიდა. ჭერ არ ამდგარაო, ახლაც ასე სთქვეს სახლისებმა. ბოლოს, როგორც იყო, ნახა გიორგიმ მაზრის უფროსად ქცეული პოლკოვნიკი დადიანი და დაურიდებლად დაუწყო ლაპარაკი: „არა, არაო, უთხრა

დადიანს, — მე დადიანთან კი არ მოვსულვარ, მე ხელმწიფის მოჭამაგირესთან მოვედიო; ეს რაფერი მოჭამაგირე ყოფილხარ. სულ გძინავსო? დადიანს შეშვენიის ქორი, მიმინო, მაძებარი, ძალღები და ლხინიო; აქ კი ჩვენ საქმის კაცი გვიდაო! — ოტია დადიანი უსმენდა გიორგისა და გულიანად იციროდა, სათაკილოდ არ მიიჩნევდა გავიანი კიცხვას.

მაზრის უფროსებში გიორგის ყველაზე უფრო გერარდი მოსწონდა, რაკი ავაზაკებს სასტიკად სდევნიდა და სინისილას უწყვეტდა გურიაში. გერარდი კოკობდა. ქართულს სიძედ გახდომოდა. ვიშნაზიაში ჩემი ყოფნისას ქუთაისში მსახურებდა. საგლეხო „პრისუტსტივის“ წევრობას ეწეოდა.

მე გიორგის ეუყვარდი. რაკი სხვა ბავშვებივით არ ვიქცეოდი და არ ვაწუხებდი, არ ვერტანებოდი მის ხეხილსა და არ ვკრეფდი; ბაღში ხილის დაკრეფას და ჭამას გიორგის მეტი არავინ უშლიდა ბავშვებს მაშინ გურიის არე-მარეზე. რაკი კოკლი ვიყავი, გიორგი გერარდის მემახდა; ისეთი (გერარდიანებური) კარგი კაცი გამოვაო, ამბობდა ჩემზე. პირადად მე კი მეუბნებოდა: ჩემ შვილს ჭკუა ასწავლეო. თუ ვეტყვი, ჭკუას ის უნდა მასწავლიდეს, შენი შვილი ჩემზე ორჯელ ხნით მეტია-მეტეი. პასუხად ეს მესმოდა მისგან: ჭკუა, ბიძა. ხნეობით კი არ არის, ღეთის წყალობით არისო.

ერთხელ გიორგის შეენიშნა, რომ ერთი ახალგაზრდა სტყუოდა და ღმერთს ფიცებობდა; ამბობდა, ეს საქმე ასე იყო. გიორგიმ ჰკითხა იმ ცრუს, ღმერთს რომ ფიცებობ. იცი ღმერთის გვარიო? არ ვიციო, მიიღო პასუხად გიორგიმ. ეს რომ გაიგონა, მოპირდაპირეს უთხრა, მე კი ვიციო. ღმერთი გვარად მართალა და შენ კი ტყუილზედ ფიცებობო.

ქალებზე გიორგი კარგი აზრისა არ ყოფილა საერთოდ და კერძოდ თავის ცოლზედაც, ეფემიაზე. რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩინებული ადამიანი იყო, საუცხოო მეოჯახე, შვილების კარგი აღმზრდელი, მათთვის თავდადებული და კაცთმოყვარე. გიორგი ამბობდა ხშირად, ჩემი ოჯახი ეფემიამ დაავსო, სულელი შვილები გამიყვანაო; ქალებმა გათხოვება არ მკითხეს. ვაჟები აბლდებია, ამპარტანები, ჩემი არაფერი ესმითო. ერთხელ რაღაც საქმეზე გიორგი და მისი შვილი ერთივე ფოთში უნდა წასულიყვნენ. გიორგიმ უთხრა ერმილეს: შენ ხომ ხელმწიფის მოჭამაგირე ხარ, ნაჩაღნიკმა თუ ნება არ მოგცა. ისე წამოსვლა არ შეგიძლიაო; მე მივალ, შენს ნაჩაღნიკს შევეჩვევები. ვთხოვ, ნება დაგართოს წამოსვლისო. ერმილემ იუკადრისა ეს და მამას უყვირა, არ გაბედო მაგისთანა რამეო; შენ ვინ გკითხავს ნების აღებას. მე რომ მეკადრება, ისე კიდეც წავალ და კიდეც წამოვალო! გიორგიმ შეხედა თვაღში და ნელა უპასუხა: შენ რომ გეკადრება. იგი მომკლავს მეო; შენ კი, ბატონო. ციმბირი გეკადრებაო! (ამ ამბის წინეთ ერმილეს კონტრაბანდი გაეშვა და შენიშვნა მიიღო უფროსისაგან).

როდესაც ეფემიას ავადმყოფობა ემართებოდა, მეუღლე ვერაფერ მანუგეშებლად ევლინებოდა. ეტყოდა ხოლმე:

— ეფემია, ავად ხარ: კარგი, კარგი, მოკვდები, სხვა ხომ არაფერი დაგეპართებაო?

— შე ოხერო, მე რად უნდა მოკვდე?—ეტყოდა ხოლმე ეფემია, — შენ ხომ ჩემზე უფროსი ხარ? ჭერ შენ უნდა მოკვდე და მერე მეო!

— არა, კი. რატომ არაო?—ეუბნებოდა გიორგი ცოლს პასუხად.—მეც მოკვდები, შენც მოკვდები! მოკვდეთ უნდა, ჩვენ გადასული ვართო!

გიორგი ხშირად ამბობდა, მე გადასული ვარო. ამაზე რომ ეტყოდნენ, რის გადასული, ამდენი შვილები გვეყავსო, ის თავის მხრივ ამბობდა, შვილები უნდა ვარგოდენ და, თუ არ ვარგანან. ის ოჯახი გადასულიაო.

გიორგის ერთ ახალგაზრდა მეზობელს ქალი მოეყვანა. გიორგი შეეითხო-და იმ ახალგაზრდას. ცოლი შეირთო?

— ღიახ. ბატონო, შევირთო! — ეპასუხა ახალგაზრდას.

— ეისი ქალი შეირთო?

— კვაჭაძისაო!

გიორგის ამაზე უთქვია:

— კაი, კაი, კაი! ყველა ქალის გვარი ჰქონიაო! არა, კი! რატომ, ყველა ქალი კვაჭაძეაო! (ამ ფრაზას ის გაიგებს, ვინაც გურულების გამოთქმა მო-უსმენია).

გიორგისთან ლაპარაკი უყვარდა ეტლია ბებურიშვილს; უყვარდა მისი გაჭაყრება და მისი პასუხების გამოწვევა. ერთხელ ეტლიამ შეავლო ხელი გიორგის ჭვარსა და მენდლებზე, ჩოხის გულზე რომ ეკიდა, და ჰკითხა: რა აბაეია, გიორგი, ჭვარი და ამდენი მენდალი რომ დაგიკიდა, ვინ მოგცაო? — ვინ მომცა და ჭერ ღმერთმა და მერზე ხელმწიფემო, უპასუხა გიორგიმ ეტლიაა. — რის ღმერთი, რის ხელმწიფეო, უთხრა ეტლიამ, ბაზარში გაყიდიანო! — შენისთანა სულელმა ღმერთი რომ არ იცოდეს, არ გამოვირდებო, — უთხრა გიორგიმ ეტლიას — მაგრამ ხელმწიფეს როგორ არ იცნობო? პეტერბურღში რომ პანდური გყარ და აქ გადმოგადლო, ის ხელმწიფე არისო!

ეტლია ბებურიშვილი უნივერსიტეტიდან იყო დათხოვნილი არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ცხოვრობდა გურიაში და აღვოკატობდა; რატომაც კეკუაზედ შეიშალა. მოსარჩენად შინაღეს მღვდელ ჭორბენაძეს, რომელიც მაშინ გურიაში შესლილების ექიმად ითვლებოდა. ექიმობდა ჭორბენაძე ამგვარად: მიყარავდა ავადმყოფს სვეტზე ან ხეზე და სკეპდა. საწყალი ეტლია ხუთ თუ ოთხ წელიწადს იმყოფებოდა ასეთი მეურნალობის არეზე, შემდეგ კი ცოტა მობრუნდა. ავადმყოფობისას თუ დაკარგა შთლად ლაპარაკის უნარი, ახლა, როგორც ბავშვმა, თანდათან ამოიღვა ენა. როდესაც ჭორბენაძის მეურნალობისაგან გაათავისუფლეს ეტლია, ეკლესიაში შეიყვანეს და ხატებს ამოხეიეს. ამის მნახველი, ჩვენი თანამოგვარე გიორგი მოვიდა ბიძაჩემთან და უთხრა: უბედური ეტლია, წინათ ამბობდა, ღმერთი არ არისო და ახლა კი ეხვეწება, მომარჩინეო; რავე-ლა მოარჩენსო? ეს ექვი გაცრუედა: ეტლიამ მთლად დააღწია თავის ავადმყოფობას და ცოლიც შეირთო, თაყაიშვილის ქალი. და შეილიც დატოვა. დანატოვარი წამოიზარდა, კარგი ყმაწვილი დადგა, მაგრამ, როგორც მაცნობებს, ისიც სულით დაავადდა შემდეგ.

ზევით უკვე აღვნიშნე და ახლაც ვიმეორებ (მხოლოდ სხვა სიტყვებით). რომ გიორგი მადიდებელი იყო ღმერთის და ხელმწიფისა; ჭაერობდა, როცა კი გაიგონებდა მათ უღიერად მოხსენებას. დიდად ჰკიცხავდა ალექსანდრე მეორის მკვლელს; რატომაც ჰგონებდა, რომ მკვლელს თვითონ უნდაოდა ხელმწიფეობა და იძახდა: ეს ხელმწიფე რომ მომიკლა იმ კაცმა, მერმე მკითხა, თვითონ იმას თუ ავირჩევი ხელმწიფედაო? გიორგის გაგონილი ჰქონდა, რომ სათათრეთში თუ ვინმე ჰკლავდა ხელმწიფეს, თვითონ იჭერდა ტახტს თავისი მსხვერპლის ნაცვლად. გიორგიმ იტირა, ალექსანდრე II როცა მოკლეს.

ალექსანდრე მესამე რომ გარდაიცვალა, მაშინ ოზურგეთის მაზრის უფროსობა ებარა ალშიბაიას, რომელსაც დიდი ფორმალისტიკა და ყურმოჭრილი ჩინოვნიკის იერი დასცემდა. ეს კაცი ეწვია ლეხოურს ხალხის დასაფიცებლად. ლეხოურელებმა ჭკარზედ თავი მოიყარეს. ალშიბაიამ უპრძანა ყველას, ხელი აეწიათ ფიცის თქმის დროს. გიორგიმ ხელი არ ასწია. ალშიბაიამ გაიკვირვა და უთხრა გიორგის, შენ ჩინოვნიკი ხარ, მაგალითი უნდა იყო სხვებისათვის და ხელს კი არა სწევო?

— არა, არა, ჩემო პატონო!—წამოიძახა გიორგიმ—მე ვერ დაეფიცებ და ნურც დამაფიცებო.

— რატომ?—იკოთბა ალშიბაიამ.

— იმიტომ, რომ ვიპრძნო. (უღდალ მაქვს დაცდილიო)!—სთქვა პასუხად გიორგიმ.

ალშიბაიამ ვერ გაიგო გიორგის ნათქვამი სიტყვა და მოითხოვა მისი განმარტება. ალშიბაიას სურვილი აუტრულეს. გიორგიმ თავისი განაგრძო: ვისაც მე შეეფიცე, ის ან ახარებულად მოკვდა, ან მომიკლესო. ნიკოლოზ პირველს ხელმწიფე სჯობდა რომელიმეო? ეს ჭკარი და მენდლები იმან მომცაო, შეეფიცე და თავი მოიწამლაო (გურიაში სჭეროდათ, რომ ნიკოლოზ I-მა თავი მოიწამლა, რადგან ყირიმის ომი წააგო); ალექსანდრე II ჩინებული ხელმწიფე იყო, ჩემი მწყალობელი, ეს ჩინი მან მომცა და ის კი მოკლესო; მერძე ალექსანდრე III მღვეს ჰვავდა და ასე ადრე გარდაეცვალაო. ახლა, თუ იმის შეილს დაეუფიცე, ან უდროოდ მოკვდება, ან მომიკლავენ და, შენი პირიმი, მე ნუ დამაფიცებო.

— რას ამბობ. გიორგი, რას მოჰყოლიხარო?—უთხრა ალშიბაიამ უცნაურად მოლაპარაკე ადამიანს—როგორ გეკადრება?! ასწიე ხელი, თორემ ხელმწიფის მოლატადე ჩაითვლებიო!

— აბა, კაი, კაი, თუ მოკლან ან მომიკვდეს, პასუხი შენ აგეო!—უპასუხა გიორგიმ მაზრის უფროსს—მე კი ჩემი მითქვამსო.

ჩემი სტუდენტობისას ერთხელ გურიაში საზაფხულოდ მივედი. გიორგიმ მკითხა, ვინ არის ის, ხელმწიფეს რომ არ აყენებს, რა უნდაო? ისინი სოციალისტები არიან-მეთქი, ეუპასუხე შემეითხველს—ამბობენ, ხელმწიფე და მისი ჩინოვნიკები მთელს სახელმწიფო ჭონებას ჭამენ და ანიავებენ-მეთქი; ისინი იმ აზრისანი არიან, რომ ეს ჭონება ყველას უნდა გაეყოს და ისეთ საწყალ კაცს, როგორც შენ ხარ, წილი უნდა ხვდეს-მეთქი.

— უოჰე, უიმე! რა მითხარო ეგა!—წამოიძახა გიორგიმ და გაჩუმდა. ბოლოს, ცოტა ხნის უკან, მოთხრა—იცი, ახლა მე მისკენ ვარ!

— ვისკენ-მეთქი? ვკითხე.

— იმისკენ, აი ხელმწიფეს რომ არ ასეენებსო!—მიპასუხა გიორგიმ—ამ კაცმა ხომ ჩემი ოჯახის პატრონი არ გამხდარო! მე რალაც ჭადი მქონდა, წისქვილიდან შემოსავალი, ნახევარს ვკამდი, ნახევარს ვოტკად გამოვხდიდი, ერთს ჰე დავლეუდი, ერთს ეფემიას დავალეუვინებდი და ჰე ვიყავით ორივე აკროპინებულნი!

მარტლაც გიორგი სულ მთვრალი გვხვდებოდა, როცა არაყს ხდიდა, და სულ მღეროდა.

ჩემმა და გიორგის შორის მომხდარი ეს საუბარი ხშირად მახსენდებოდა შემდეგ, როცა ჩვენში სოციალ-დემოკრატობა გაჩნდა და პროპაგანდამ მთელი გურია აამოძრავა.

გიორგი რევოლუციის წინ გარდაიცვალა და თავისი, ალშიბაიასთან ნათქვამი წინასწარმეტყველური სიტყვის ასრულებას ველარ მოესწრა.

გიორგი ხშირად დადიოდა ბიძაჩემ ერდიშელთან. ერდიშელი კეთილი კაცი იყო და გიორგის მოსწონდა. ხშირად შეუჩივლია მისთვის ერდიშელს და გამოუთქვამს თავისი უკმაყოფილება თავის შვილებზე.

ერდიშელის შვილები ხშირად აჭაერებდნენ გიორგისაც და, რა თქმა უნდა, არც მას მოსწონდა: ავები იყვნენ. ერთხელ მოვიდა გიორგი ერდიშელთან და დაიჩივლა. მარჯვენა თვალი მტკიავო. ერდიშელის შვილმა მიხაკამ ამაზე უთხრა, ნეტავი მეორე თვალიც დაგემსებოდეს, დიდად გამეხარდებო! გიორგიმ ნელის ხმით უპასუხა ჩემ ბიძაშვილს: ბიძია, თვალს რას ერჩი? თვალში ქე მომწონხარ, ყური დამმეებოდა, ის სჯობდა, შენი გლახა საქმეები რომ არ მსმენოდაო!

ერდიშელის მეორე შვილი შალვა ოზურგეთის სკოლაში სწავლობდა, მაგრამ ზარმაცობდა და შემდეგ კლასში ვერ გადავიდა. იმ დროს მასწავლებლობდა ერთი ქიქოძეთაგანი, რომელიც კარგადაც ასწავლიდა და კარგი ადამიანიც იყო. შალვა საფანტინი თოფით გამოეკიდა ქიქოძეს მოსაკლავად. მოხდა ეს ამბავი. ოზურგეთის მოედანზე. ავის განმზრახველ მოწაფეს ხელი შეუშალეს, დაიჭირეს შალვა და მამას გაუგზავნეს სოფელში; სკოლიდან დაითხოვეს და ამით დასაჯეს მხოლოდ, როგორც მცირეწლოვანი. ბიძაჩემთან მოსულმა გიორგიმ წყნარის ხმით ჰკითხა შინ დაბრუნებულ შალვას: რა ამბავია, ბიძია, რომ თოფით გამოჰკიდებინარ ვიდაცასო? ასეთი პასუხი მიიღო მისგან: დიახ, გამოვეკიდე, მასწავლებელი ქიქოძე უნდა მომეკლაო, მეტყერებოდა და შემდეგ კლასში არ გადამიყვანაო. გიორგიმ წყნარივე კილოთი უთხრა შალვას: კი, მარა, ბიძია, კლასიდან კლასში გადასვლა მე სწავლით გამოიგონია, თორემ თოფით დათულიე უნივერსიტეტს გაათავებდაო! (დათულიე სურგულაძე სოფელ მაკვანეთიდან იმ დროს ფირალად იყო გაეარდნილი და მთელ გურიას აწუხებდა, ვერა მოუხერხეს-რა იმ კაცს, ვერც დაიჭირეს, ვერც მოკლეს; საქმე მიანდეს ივანე ღუმბაძეს; მილიციის მთელი ასეულით დაუწყყო დევნა ივანემ იმ ფირალს, დიდხანს გასტანა დევნამ და ბოლოს, როგორც იყო, დათულიე შეტაყების დროს მოკლეს).

გიორგი, საჭიროების მიხედვით, მოისურვებდა და ბრძნად დაგანახებებდა თავს, მოისურვებდა და—აბდალად. იგი თავისთვის საჭირო ადამიანს ისე აქებდა ხოლმე პირში. რომ სულ თავბრუს ასხამდა; ზურგთ უკან კი აგინებდა კიდევაც ან ცუდად იხსენიებდა.

კოწია თაყაიშვილი დიდ პატიოსან კაცად მიიჩნდათ გურიისში. ერთხელ იგი მედიატორად დანიშნეს გიორგის საქმეში. გიორგის სიბრუნდე აღმოაჩნდა და კოწიამ საქმე წააგებინა. გიორგიმ მამიდაჩემთან უკმაყოფილება გამოთქვა კოწიას თაობაზე და მამიდაჩემისაგან ასეთი სიტყვები გაიკონა: ასე იცი შენ. ვერავის ვერ ეწყობი, ვერც ცოლსა და ვერც შვილს. კოწია კი პატიოსანი კაციო. გიორგიმ ამაზე შემდეგი რეპლიკით უპასუხა მამიდაჩემს: რის პატიოსანიო? არ შეუძლია. თორემ ჰკაცებენა მოიპარავაო! არც ეფემიასთან არის ჩემი გაუტანლობა მართალი, მე და ეფემია ახლა შაქარივითა ვართო!

ვთქვი კიდევაც. რომ გიორგის მე ვუყვარდი, მაგრამ ჩემმა ძმამ ნიკოკიამ ერთხელ ვანგებ ჩემზედაც საყვედური ათქმევინა თურმე. საყვარელ ნაკამიძია შვილს ხელმწიფის „კონვის“ კომანდირობა ჰქონდა დაკისრებუ-

ლი და მასთან მისი მძისწული ივანე ნაკაშიძე მსახურობდა. ბიძა-მძისწული ერთად ცხოვრობდნენ პეტერბურგში. ეს ის ივანე ნაკაშიძე იყო, რომელსაც ბოლო დროს ქართველების კერძო კონსულს ეძახდნენ პეტერბურგში და რომელიც ყოველ ქართველს სამსახურს უწყევდა და დახმარებაზე არავის უარს არ ეუბნებოდა. რუსეთისა და ოსმალეთის ომის დროს (1877—1878) საყვარელ ნაკაშიძის შვილი კავკასიის ფრონტზე მოქმედებდა და არზრუტში თუ ყარსში გარდაიცვალა სახადით. მამას მისას, მამის უკვე ღრმა მოხუცობა და კარგა ვაშობენტერბურს, ნათესაებმა ჩააგონეს თითქოს მისი შვილის სიკვდილი ივანე ნაკაშიძის ბრალი ყოფილიყოს, მან ურჩია ომში წასვლა, და ბევრი რამ სხვა ჭორიც შეთხზეს. იმათ მიზნად ჰქონდათ, ხელში ჩაეგდოთ საყვარელ ნაკაშიძის კარგა დიდი მამული. სიბერისაგან საყმაოდ ჰქუაშუთხელებულმა საყვარელმა მოისურვა თავისი მამულის გაყოფა რვა მახლობელ ნათესავს შორის და მათში გიორგიც ერია. რაკი სამკვიდრო მამულის გადაცემა არაპირდაპირი შემკვიდრებისათვის არ შეიძლებოდა, საყვარელმა თვითონ უღს იმ რვათაგან ათას-ათასი მანეთის ვექსილი დაუწერა და მისცა, როგორც მათგან ოდესღაც ვალის აძლებმა. ის ვექსილები ნათესაებმა წარადგინეს სასამართლოში, საყვარელ ნაკაშიძეს ათქმეიერეს, ამათი ვალი მმართებოდა და მთელი უძრავი მისი ქონება თავის შორის გაიყვეს. იმ საქმის მოთავე საყვარელის მოურავი მახარაძე იყო. გიორგის ნაყლები მამული შეახვედრეს და, რასაკვირველია, ეს ამბავი არ ასვენებდა ჩემს თანამოგვარეს. საყვარელი ნაკაშიძე გარდაიცვალა და გიორგიმ ივანე ნაკაშიძეს მისწერა, რომ თუ ივანე საჩივარს აღძრავდა, ის ჩადენილი საქმის ყველაფერ სიმართლეს იტყოდა და მამული დაუბრუნდებოდა საყვარელ ნაკაშიძის ომში გარდაცვალებულის შვილის ქალსა. ეს ქალი „სმოლნი ინსტიტუტი“ სწავლობდა და ივანე ნაკაშიძის მზრუნველობის ქვეშ იყო. გიორგიმ გაიგო, რომ მე ივანე ნაკაშიძის ნათესავი ვარ და ხშირად ვხვდები იმ ადამიანს პეტერბურგში და დამიწყობ ხეყნა, ივანეს ურჩიე, საჩივარი აღძრას საყვარელის მამულის თაობაზე და მე მოწმედ დამნიშნოსო. იგი ოძახდა, მე მინდა, სასამართლომ კარგა დავეწყაპოს მომჩივნებო: მე ვიტყვი, ამ პლუტებს ვინ მისცა ათას-ათასი მანეთი, რომ გაესესხებინათო; ეს სულ ტყუილია და არც მინდა ის ათასი მანეთი შეზრჩესო. გიორგი რასაკვირველია, დარწმუნებული იყო, რომ ივანე ნაკაშიძისაგან ათას მანეთზე მეტს მიიღებდა.

გიორგი მე ხომ მთხოვდა და მთხოვდა, მაგრამ ჩემ ძმა ნიკოსაც ხეყენებოდა თურმე. დამეხმარე, წერილი მიმიწერე ივანესთანო და სხვა... მე რა უნდა დავეხმაროო. ეთქვა ჩემ ძმას გიორგიათოს, მე ხომ პეტერბურგში აღარ ვარ და მერმე განა ექვთიმეს არ მიახდე ეგ საქმეო?!—ექვთიმეს სულ კი ვერ ენდობო—განეპარტა გიორგის ჩემი მძისათვის,—ის ნიკოლოზ თაყაიშვილიაო (ნიკოლოზ თაყაიშვილი ბაბუაჩემი იყო), ამბობს, კაცი კაცი მტერი არ უნდა იყოსო და ეს როგორ შეიძლება, კაცს მტერიც უნდა ჰყავდეს და მიუყარეცო! შემდეგ ნიკო, ჩემი ძმა იცინოდა თურმე და ამბობდა: ვათქმევინე საყვედური თუ არა ექვთიმეზღიდაცო?!...

გიორგი უთხოვენლად არავის ატოვებდა, თუ საჭიროდ დაინახვდა, ყოველ კაცს გამოიყენებდა და რაღაცას გააკეთებინებდა თავისთვის. რამდენჯერ უთქვამს კოწია თაყაიშვილს, ოცქერ დავაფიცე, გიორგის თავი არ მოვატყუებინო და არ დავეხმაროო, მაგრამ ის იანე მოშვეყეოდა ხოლმე, რომ ყოველთვის მომიხმარდა კიდევ და მომატყუებდა კიდევო. ქებით თუ სხვა ხერხით,

გიორგი ჭერ ყველას გულს მოუგებდა და ზერზე ისე სთხოვდა სათხოვარს. მა-
მიდაჩემმა მიაპბო ერთხელ: გიორგი პოსულიყო ბიძაჩემთან კოსტანტინე თა-
ყაიშვილთან, რომელიც ერთი ათი თვის წინათ დაჭრივებულყო, საყვარელი
ცოლი გარდასცვლოდა და ვერ მოენღებინა ასეთი დანაკარგი. გიორგი?
თურმე ჭერ მიუსამძიარა. ცრემლები გადმოყარა და უთხრა: ბიჭო, რაფა ხარ
ცოცხალი ამისთანა შესანიშნავი ცოლი რომ გარდაგეცვალაო?! თქმა არ უნდა.
ბიძაჩემი ატირებულა და გიორგისაც კედეე კარგა ცრემლი გადმოუყარა. ტუ-
რილით რომ გული მოუთხებიათ ორივეს, გიორგის უყითხავს წყნარად ბიძა-
ჩემისათვის: იგი შენი ცხენი სახლშიაო? ბიძაჩემს ეპასუხნა, სახლშია ის მგლის
არჩივიო.—ერთი ოზურგეთში ჩასასვლელად ვერ მათხოვებო?— შეპკითხებო-
და გიორგი.—მიირთვი, ჩემო ბატონოო,—ეთქვა ბიძაჩემს გიორგისათვის (აქ
უნდა შევნიშნო, რომ გურულ მამაკაცებს ცხენის თხოვება არ უყვართ: ასე
ამბობდნენ ხოლმე, გურული უფრო ადვილად ცოლს გათხოვებს, ვიდრე ცხენ-
საო). მთელი ეს ფანდი, მამიდაჩემის სიტყვით, გიორგის მოუხპარია მხოლოდ
იპიტომ, რომ ცხენი ეშოვნა.

—გესმისო?—მითხრა მამიდაჩემმა,—როცა უნდოდა, ამ სისხო კერცხალს
გაღმოყრიდაო. იფეე გურიელი რომ მოკვდა (მინი ცოლი დადიანის ქალი
იყო, ნინო), იქ მისულმა გიორგიმ მიატირა, ვაო, ეგვი. იგიო! მერმე შინ დაბრუ-
ნებულმა თქვა: მიგვეცვალა ერთი ავაზაკი, გეიწმინდა გურიო!

თუ გიორგი თვითონ ვერ მივიღოდა ვინმესთან, ბიჭს გზავნიდა და თან არი-
გებდა, თუ როგორ უნდა ეთქვა დანაბარები.

ერთხელ გიორგისთან ვახშმად ვიყავი. ვახშმის უკან გიორგის მოსამსა-
ხურე პატარა ბიჭი უნდა გაეგზავნა თავის მოზიარესთან, „სიპინდის საჩი-
ელად“. ვახშამი დაგვიანდა.

—ახლა გაიშვი, წვეალო! — მოახსენა გიორგის ბიჭმა.

—წადი, მაგრამ აწი ეილა მიგიღებს, გვიანიაო! — უპასუხა, გიორგიმ
მომხსენებელს. — ამას სიტყვა-პასუხით უნდა მოზოდრებო: ასე უთხარი.
მებრალემა საწყალი გიორგი, მორტოხელი კაცია, კაცი მომხპარე არა ჰყავს-
თქო; ეფემია დავი კაცის ქალია, არაფერს აეეთებს-თქო; ერძილე სამსახურ-
შია, სიო პანსიონშია, იაგორ კორპუსშია (შვილები მისი) და რა ქნას საწყალმა
გიორგიმ; მებრალემა-თქო; ღმერთმა მინი ოჯახი დაქცია, ვინც მე იქ მინაყ-
ვანა-თქო! ასე ყველაფერს თუ იტყვი, მიგიღებენო.

5. ნალიროზის ახმაზი

ფოთის სასწავლებელი რომ გავათავე და ლეხორში დავბრუნდი.
ზაფხული იდგა. გურულობა ჩაბმულიყო ჩიტ-მადობაში, მიმინოს ჰერამი და
გამართაში (დავეშეაში) და მწყურაობაში. თვითონ ბიძაჩემებმაც. მათმა შეი-
ლებმაც და მეც დიდის გატაკებით მოგვიღეთ ხელი ამ სპორტს რთულ პრო-
ცედურას წარმოადგენდა ეს ამბავი: ჭერ ღაეო უნდა დაგვეჭირა და გაგვემარ-
თა; მერმე ჩიტ-ბადით საიაროზე უნდა გვეცვო. მიმინო დაგვეჭირა, დაგვევეშა
და ბოლოს ამ გამართული მიმინოთი მწყურები უნდა გვეჭირა. ახლა ეს ყველა-
ფერი, მგონი, რაბობა გურიში.

ლეხორში მამინ საზოგადოდ არაჩვეულებრივ აფგალს წარმოადგენდა
მწყურაობისათვის. ამის საშუალებას იძლეოდა ლეხორსა და ოზურგეთს შო-
რის მდებარე ეწყარი, ბუჩქებიანი და ბალახიანი ადგილი, რომელშიც აუარე-

ბელი მწეერი იყრდა თავს; ძნელად თუ სადმე სხვა სოფელში გამოიძებნებოდა ისეთი. იქ ვიჭერდით ლაყობსაც: ლაყო იკვებება კალით, კალია კი ამ ეწერს ბლომად მოსდებოდა. კალის ორნაირს ნახავდით იქ: მოშვოს, კრიჭინის მსგავსს, „შავ კალიად“ წოდებულს და თეთრს, მოგრძოს, „გაიძვერად“ წოდებულს, ისრის ბუჩქებსა და თივაში მობინადოეს. ლაყოს სწორედ ყველაზე უფრო ეს გაიძვერა უყვარს. მესამეგვარ კალიასაც ნახავდით გურიაში, მაგრამ იშვიათად კი: ჰქონდა მწვანე ფერი, გრძელი კისერი და გრძელი ფეხები; ვეძახდით „ირემა კალიას“. ამ ჯიშისას გურიაში ისე ხროვა-ხროვად ვერ შეხვდებოდით, როგორც იციან აღმოსავლეთ საქართველოში. ჩემს სიცოცხლეში მარტო ერთხელ მახსოვს გურიაში რომ „ირემაზე“ სთქვეს, „კალია მოვიდაო“; მაგრამ ირემში კალიების მოსვლას ზარალი არ მიუყენებია ჰირნახულისათვის.

ლაყოები ბუჩქიდან ბუჩქზე გადადიოდნენ და სდევნიდნენ მწერაგებს. ჩვენ ჯერ უნდა ვაგვეჩინა უთეთრესი ლაყო, ე. წ. „ნარდი“, ე. ი. წლისაზე კარგა მცირე. რადგან კაბოეტი არ ვარგოდა, ვერ იმართებოდა (იწურთნებოდა). იმ ბუჩქის წინ, საცა ლაყო ჯდებოდა, მახეს (გურულად „სხაპს“) ვუგებდით. სხაპის ქვეშ ვაძებდით თრიისკუდზე (ერთგვარი ბალახია) აცმულს კალიას. გაიძვერას. მერმე თვალში ამოღებულ ლაყოს ავუქშევდით ხოლმე თავისი ბუჩქიდან და ვაძებდით იმ ბუჩქზე დაჯდომას, რომლის წინაც სხაპი იდო. ლაყო დაინახავდა თუ არა სხაპის კალიას, მაშინვე ზედ დააფრინდებოდა შესაჰმელად და ორივე ფეხით ებმებოდა სხაპში. ამგვარად გვივარდებოდა ხელში ლაყო. მერმე ტყვედ ჩავარდნილს ფეხზე ვაბამდით კედის ძაფს, რომელსაც მეორე წვერით ჯოხზე ვაშავებდით. ჯოხზე ვამომშული ლაყო პირველ ხანს ჯოხზე დჯობდა გაურბოდა, გაფრინდებოდა-გამოფრინდებოდა, გათავისუფლებას ლამობდა და, რაკი ვერას ხდებოდა, ჯოხზე ეკიდებოდა. როცა ურიგდებოდა თავის ტყვეობას, ჯოხზე ჯდომასაც აღარ ერიდებოდა. ჯოხს შეჩვეულს ლაყოს ჯოხით „პარბალის“ (აიგნის) სვეტზე ვათავსებდით. მონალლოვ; სხვა გრძელი ჯოხით კი, ან ჩალა-კალაშით, კალიას ვაწვდიდით. ლაყო თავის ჯოხს სცილდებოდა და ფეფქას იწყებდა, ჩვენ კი იმ ჯოხს ევსნიოდით „პარბალის“ სვეტიდან, ლარისებური მიმართულებით ფეხებიდან კაცლოკით ლაყოს და თან მოგვექონდა. ლაყო უკან მოსდევდა ჯოხს და ზედ ჯდებოდა, მაგრამ როცა ჯოხს შვეულის მიმართულებას ვაძლევდით, ლაყოსთვის შეუძლებელი ხდებოდა ზედ ჯდომა და ისიც კვლავ ფეფქად, სანამ ჯოხს ლარისებური მიმართულებით დაქერილს არ დაინახავდა. ყველა ლაყომ ერთნაირად არ იცოდა ფეფქა; ზოგი მალე ეკიდებოდა ჯოხსა, ზოგი კი სულ ფეფქად. სანამ ჯოხს ლარად არ დაიკავებდით.

ერთი კვირის განმავლობაში ტყვე იწაფებოდა და იმართებოდა ფეფქაში. ჰამა გაუთავებელი მოსდგამდა ლაყოს, ორ-სამ საათში ერთხელ მაინც უნდა დაგვეპურებია გაუმძალარი. კარგა გაწაფულს ლაყოს ხორცის ჰამას ვაჩვენდით.

ლაყოს გაწაფვა მიზნის დასაჭერი ბაღისათვის წარმოებდა. ბაღე იხმარებოდა კედის ძაფით ნაქსოვი, დიდრონთვალება. ბაღის ასეთ თვალეზში ადვილად ძვრებოდა მიზნის თავი და ფეხები. ბაღე სამკუთხედს წარმოადგენდა: კოლევში ვუყრიდით წყვილს, წვერპოლუნულს თხილის ჯოხს. ჯოხებს მივადებდით ერთმანეთს და ამგვარად ორად ვკეცავდით ბაღეს, ხოლო შუაში ვაპარყუებდით, რომ საჭირო დროს ადვილად შესაძლებელი ყოფილიყო მისი გამოხსნა. ერთმანეთზე მიდებულ ბაღის ჯოხებს შორის, შუაში ვათავსებ-

ჯით მესამე ჯოხს, რომელზედაც ლაქო იყო მიბმული. ლაქო ჯდებოდა ან თვისახე, ან ბადის ჯოხებზე. ასე გამოწყობილ ბაღეს ვეძახდით ჩიტ-ბაღეს.

მიმინოს დანახვაზე ვშლიდით ჩიტ-ბაღეს ბუჩქთან და ვეფარებოდით ბუჩქსა და გრძელ ჯოხზე გამობმულს ლაქოს, ბადის წინ გაწვდილს. ფეთქას ვაწყებინებდით. შესაწრობდა თუ არა თვალს, მიმინო ლაქოს წაშს გამოუქროლებდა ხოლმე კლანჭებში ჩასაგდებად. როცა მიმინო ბაღეში ებმებოდა, ლაქოსთვის ფეთქა ისე უნდა ჩაგვეტარებინა, რომ იგი ბაღესთან ახლოს არ ყოფილიყო და საჭირო დროს სისწრაფით დაგვეგდო მიწაზე თავისი გრძელი ჯოხითურთ. თუ ლაქო შეამჩნევდა თავისაკენ გამოშურებულს მიმინოს, ფეთქას თავს ანებებდა, კაკკიკს იწყებდა და ჯოხზე ეკიდებოდა. ამის დამნაშაუი მიმინო ბაღეში აღარ ხვდებოდა, და ბადის თავს, ან ბადის წინ გადაივლიდა ხოლმე. ამაზე ვამბობდით, „მიმინომ შეგვიხვიაო“. რომ ასეთი ამბავი არ გამოვრებულყო, ხშირად ლაქოს პატარა ფოჩებს ჩუქეთებდით გვერდებოდან. ამ ფანდით ლაქოს თვალის წრეში მისი ხშირი ჩაფეთქებისას მისი ჯოხი-ლა იყო მოხედრილი და ზურგთუკან მიმინოს დანახვის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. ჩაფეთქება კიდევ ჰქვიოდა შემდეგ ფანდს: ლაქოს ჯოხს წარამარა ვაძლევდით ლარულ მიმართულებას, წარამარა ფეხებიდან ვაცლიდით. რომ მუდამ ჯოხზე წამოჯდომის მისწრაფება ჰქონოდა და აქეთ-იქით მიხედვნიხედვის საშუალება მოსპობოდა.

ლეხოურს საუტორო ადგილები ჰქონდა მიმინოს დასაქერად. ერჩეოდა ორი საირაო, ორი გრა: ერთი—„გორმაღალი“, მეორე — უფრო დაბალი და ეკეთესი. გორები კარგა ფართო და კარგა ღრმად მდებარე დაბლობით იყვნენ დაშორებული ერთმანეთისაგან. ორივე გურია-აქარის მთის სამხრეთ კალთაზე უდო. შათი მრგვალი თავები მოდებული იყო ბუჩქებით, ისრითა და გვიმრით. შესანიშნავ გადასახედ ადგილებს წარმოადგენდნენ, იქიდან თვალწინ ეშლებოდა ადამიანს მთელი გურია და შავი ზღვა—ციხის ძირიდან ფოთამდის; თვითუ-შლი „ფელუკა“ მოჩანდა ზღვაზე.

15 აგვისტოდან ძველი სტილით (მამასადაამე, მარიამობიდან) იწყებოდა ირაო. ეს აგვისახავს ჩვენი მონადირე ფრინველების გადასახლებას თბილ მხარეებში. მარიამობიდან იშლებიან და სტოვებენ ჩვენ ქვეყანას: ჭაჭა, მებონო, ქორი, ცულქორა, შვარდენი, თვალშავი, მარჯანი, ფორღული და სხვა. ყველა ესენი პირდაპირ კი არ მიფრინავენ, არამედ ხშირად მომალდობ რგოლს. წრეს ჰკრავენ და ტრიალებენ. ამაზე ამბობენ ჩვენში. „ირაობსო, ირაოდ დაიარებაო“. ირაო ჩერდება ლეხოურში, ზევით მოხსენებულ ორ გორაზე. რასაკვირველია, მიმინო იქ ხშირად უირაოდაც მიდის, უფრო მაშინ, როცა ღრუბლიანი ამინდია. ირაო ღრუბლიან ამინდში კარგა დაბლა-დაბლა მოდის, გადაწმენდილია ცა და — ირაოც მაღლა-მაღლა მოდის.

ჩვენ გვიზიდავდა უფრო დაბალი საირაო. იქ ვაკეთებდით ქოხს, ან არსებულ ბუჩქს ვიყენებდით ქოხად: ქოხი უნდა ბუჩქს ჰგვანებოდა; ან ახლო-ახლო შტოებს ერგავდით, ბუჩქის სახეს ვქმნიდით და მას ვეფარებოდით, რომ მიმინოს არ დავნახვოდით.

დაბალ საირაოზე ყველა სათვალთვალ ადგილი ერთნაირი ღირსებია: არ ითვლებოდა: იყო მეტად გამოსადეგი, იყო ნაკლებ გამოსადეგი. ვინც ადრე მიდიოდა, ის იჭერდა უკეთეს სათვალთვალ ბუჩქიანს თუ ქოხიანს ად-

5 საბას მიხედვით. „ირაო—დიდ-დიდი ფრინველი“.

გილს. მაგრამ ამინდი თუ იცვლებოდა, საუკეთესო ქოხი—ბუჩქი, უამინდობას უვარგისი ხდებოდა სათვალთვალად.

მე, როგორც ყველა ჩვენი გვარისა—ბიძები, ბიძაშვილნი და სხვა თაყაიშვილები—გატაცებული ვიყავი მიმინოს ჭერის სპორტით. მარტო ახალგაზრდები კი არა, ხანში შესული ბიძანემებიც საირაოზედ სიარულს, მიმინოს პართიას და მწვერობას დიდ დროს და ენერჯიას ახარჯავდნენ. ეს სპორტი მარტო გასართობ ხასიათს ატარებდა და ამიტომ ამ საქმეს ბევრნი არ მისდევდნენ, როგორც მათთვის უსარგებლოს. უშემოსავლის. მე ყოველთვის საუკეთესო ლაო მყავდა გამართული. ბაღეც კარგი მქონდა და დახელოვნებული ვიყავი ჩიტ-ბადლობაში, მიმინოს ჭერაში. მაგრამ, როდესაც იოსებ თაყაიშვილი მივიღოდა ამ საირაოზედ, ჩემი ჩიტ-ბაღე იმისათვის უნდა მიმერთმია, პირადად კი უფრო ნაკლებად მფეთქავი ლაოთი დავკმაყოფილებულიყავი. თუ რამდენად ძლიერ იყო გატაცებული იოსებ თაყაიშვილი საირაოთი, ამას გვეუბნება ჭერ მისი. იქ ქარბად ხშირი სიარული, მერმე და სახლში თუ წარაპარა ლოგინზე წვებოდა, საირაოზე მუდამ თავშიშველი ფეხზედ იდგა, მიმინოს გაჩენას უთვალთვალებდა. იაგორ თაყაიშვილი, როგორც შეეფერება ექვს, ვაცილებით დინჯი იყო, მაგრამ მასაც უყვარდა ჩიტ-ბადობა და ჩვენთან ერთად დაიარებოდა საირაოზედ. განსაზღვრულ გემოვნებაა მისდევდა: უნდა გენახათ, როგორ აღამაზებდა თავის ქოხსა და მის არემარეს. სადაც მისი ჩიტ-ბაღე იდგა გაშლილი; ამბობდა ხოლმე, მიმინოს ეს გალამაზებული ადგილი უფრო მოეწონება და აქეთ წაპოვაო. ჩვენ ეს თქმა ანაცოლოდ გვეჩინდა ავღებული: მიმინო უფრო იმ ადგილას ეტანებოდა, რომელსაც ბუნების იერა არ დაქარგოდა.

აქ უნდა ვთქვა ერთი რამ: გურულები ასე არიან გატაცებული მიმინოს ჭერით, წერტინით, მისი ნადირობით და გასაოცარია, რომ მათ შორის არა კაცს არ უნახავს არც მიმინოსი და არც ქორის ბუღე. ჭაჭა ხომ აუარებელი მოდის და ირაობს გურიაში, მაგრამ საღ იჩეკება ან საიდან მოდის, არ ვიცი!

საუკეთესო ჩიტ-ბადობა ჩვენ სოფელში იცოდა სიმონ ბებურიშვილმა და მერმე კი მე გამივარდა სახელი: მეორე მეჩიტ-ბადეს მეძახდნენ. ერთხელ სიმონმა დაინახა, თუ როგორ გადმოეიტაცე იმის მხარეზე გამოჩენილი მიმინო ჩემსაკენ. ეს, ჩემ მსხვერპლად ქცეული ფრინველი, ჩემ ჩიტ-ბაღეს ლაოს გვერდიდან მოადგა. სიმონ ბებურიშვილი შეწუხდა ამით. ანუ ეგონა, მიმინო ლაოსაც ჭვანგსა ჭკრავდა და ბადეშიაც არ გაებმებოდა. მაგრამ ლაოც გადავარჩინე, ბაღეს წვერი წამოვკარი და მიმინოც დავიჭირე. სიმონმა დიდად გაოცა, როცა ეს ჩემი მოხერხებულად გაკეთებული საქმე დაინახა და ყველას უთხრა: „ვერავინ ვაგ მიმინოს, ლაოს გვერდიდან მოსულს, სხვა ვერ დაიჭერაო“.

სიმონ ბებურიშვილს მეჩიტ-ბადეობა მოსდგამდა, ბიძანემს კონტანტუსი თაყაიშვილს კი ბაზიერობისა ჭქონდა დიდი უნარი. მიმინოს გამართვა, ჩაპურება და მწვერობა პირდაპირ მის საქმედ იყო გადაქცეული. ეს ბიძანემი ძველ დროში რომ გაეჩინა ღმერთს, უსათუოდ ბაზიერ-თხუცესი იქნებოდა. ჩემმა ძმამ პასუხე სთქვა: „თვალეში თვითონაც მიმინოს უგავსია!“.

ბაღეში გაბმულ მიმინოს ავიყვანდით და ვხამოავდით, ე. ი. ფეხებზე ვაბამდით მესის ზონრებს, თათო-თითოს, და მხარ-მკერდზე ვუკეთებდით ნარმის ან მიტკლის სალტას, სამხრედ წოდებულს. მიმინოს თვალს ვუხვევდით ისეთი, რომ ჩვენი დანახვა არ შესძლებოდა და ხელზე დანსმულს აურ-ზაღური არ

აეტება. შიშველ ხელზე არასდროს არ ვინაემდით: გვექონდა მეშის სახელური, რომელიც იწყებოდა ცერზე ჩამოსაცმელით და გვეწვდებოდა მაკამდე; სახელურით ცერი იყო გააწურისაგან დაცული; მიშინოს მხოლოდ ცერზე უხდებოდა ჭდობა; დანარჩენ თითებს, მომუჭულთ, გააწურა არ მოელოდათ. სამხრე სალტას იმიტომ ვუკეთებდით მიშინოს, რომ ხელიდან გადაეარდნისას წელი არ გადასტეხოდა. სახლში მოყვანილ ტყვეს ღამე თვალებს უხსნიდით და ხშირად ღამეს ვუთევდით, რომ მიშინო ხელზე ჭდობას შეჩვეოდა. მთელ კვირას გრძელდებოდა ასეთი ამბავი და ხალხს შეჩვეული მონადირე ფრინველი უკვე ხელიდან ისე ხშირად აღარ ეარდებოდა.

მიშინოს ვარჩენდით ვარების ხორციით. ხორცის მიმწველელი მას მყუდრო კუთხეში ათავებდა, რომ ხალხი არ დაენახა და თამამად ეჭამა თავისი კერძი, თანდათანობით ხელზე ჭდობას შეჩვეული მიშინო უფრო თამამად შეეკცეოდა ხოლმე საქმელს. ორი ღღინა უკან მიშინოს პირდაპირ კი აღარ აძლეოდნენ საქმელს, არამედ ქანდარაზედ სვამდნენ. ცოტადღენ მოშორებული ადგილიდან ანახვედნენ ხორცს და უქნევდნენ მეშწამომებულ ხელს. ხორცის დამნახველი მიშინო გადმოფრინდებოდა ხოლმე ქანდარიდან და ხორციით მიმბირებულს ხელზე აჭდებოდა. ქანდარიდან გადმოფრინის მანძილს თანდათან ადიდებდნენ, რომ მიშინო კარგა შორიდანაც გადმოფრინილიყო და ხელზე დაჯდომასა გაეარჩვიებოდა. როგორც ვთქვი, ღამეები გავგითვისა ტყვე ფრინველს გამართავს. გავიღოდა მთელი კვირა და მიშინოს ახლა უკვე ხეზე სვამდნენ და იქ მჭდობარს უქნევდნენ ხოლმე ხორცს. მიშინო ხიდან გადმოფრინილი და ხორცის დამნახველის ხელზე დამჭდარი, გამართულად გვევლინებოდა და შესაძლებლად მიგვაჩნდა მისი „ჩაპურება“. ჩაპურება ჰქვიოდა მიშინოსაგან პირველი მწყერის დაქერისათვის მის კარგად გამოკვებას ვარის ხორციით. თავი და თავი ის იყო, რომ მიშინოს მწყერი არ გაქციოდა, ადვილად დაქერის და ჩვენ კი ღილი სიფრთხილით იმ დაქერილი მწყერიდან ჩაგვეპურებინა. ამ ჩაპურებაშიც დახლეულებული გამოდიოდა კოსტანტინე თავაიშვილი, რომელმაც იცოდა კარგი „მიტყება“. ეს ნიშნავდა: მიშინოს კარგად გადაშვებას ხელიდან, მის წინ მაჭებარი ძალისაგან მწყერის ახლო აფრენას და მისგან მწყერის ადვილად მიწვენასა და დაქერას.

მიშინო ერთი მწყერის დაქერიდან მრავალი მწყერის დაქერაზე გადაყავდათ თანდათანობით. სხვადასხვა ზნე სჭირდა ამ ფრინველს. ზოგი მიშინო, მწყერს რომ დაიქერდა, ახლოს კი არა. შორს ჭდებოდა, კაცს ერიდებოდა და როცა კი მიმტყებელი უახლოვდებოდა, მწყერი ერთი ადგილიდან სხვა ადგილას გადაყავდა. მასთან მისვლა სიფრთხილით და ნელი ნაბიჯით უნდოდა. ზოგი მიშინო „მკომპლავი“ იყო, ე. ი. მწყერს წამოეწეოდა და კლანჭებს არ ჩააქავდა ხოლმე. გაკომპლავი ერთნაირი ნერვიულობაა ამ ფრინველისა: მწყერს კლანჭებმოკრულში ეცემა, დაქერის უნარს კარგავს და მხოლოდ ბურღდის ადენინებს თავის მსხვერპლს. ბიძაჩემმა კოსტანტინემ ასეთი. მკომპლავი მიშინოს მორაქულმაც იცოდა, მწყერის ჰერას მაინც აჩვევდა. მიშინო ზოგჯერ იროსაც იზამდა ხოლმე: თუ ვერ ეწეოდა მწყერს, იმის ნაცვლად, რომ ხეზე დამჭდარიყო, მაღლა სივრცეში მიისწრაფვოდა და ბოლოს სულ იკარგებოდა. ზოგი მიშინო კი გაწბილებული ხეზე ჭდებოდა: მას ვე-ახლოვდებოდით და ხორცს ვანახებდით. ხორცის დამნახველი მიშინო მოღა-ოდა და გვაჭდებოდა ხელზე.

მიმინო გაგვყავდა სანადიროდ შუადღის მერმე, აღრე კი — იშვიათად. ასე იპიტომ ვიქცეოდით, რომ მიმინოს წინა დღით ნაჰამი ხორცი მოუწელებელი ექნებოდა, არ ეშვებოდა და მოუშვებელი გულიანად აღარ მოეკიდებოდა მწყერს. შუადღის უკან კი იგი ყოველთვის სიმშვილა გრძნობდა. მწყერი ბევრი იცოდა ჩვენს ეწერში, რომელსაც აწვლებოდა მეტადრე მაშინ, როცა ღამე ელვა და ქვეაქუხილი ატყვებოდა და წვიმდა: აუარებელი დაღლილი და აღვილად დასაჰერი მწყერი ჩნდებოდა. ისეთ დროს ბიძაჩემი კოსტანტინე ერთ დღეში ას მწყერს მაინც იგდებდა ხოლმე ხელში. ჩემმა ძმამ მოუგონა ბიძია კონსტანტინეს მისი დამახასიათებელი ერთი ამბავი: კონსტანტინემ და მისმა შვილმა საშოსნმა მთელი დღე იმწყერეს; საღამოს სახლში მოაუღმა მამამ და შვილმა დაითვალეს ნანადირევი, კოსტანტინეს 102 მწყერი აღმოაჩნდა და მის შვილს საშოსნს კი 103; როგორ თუ მაჯობაო, თქვა კოსტანტინემ და იმავე საღამოს ძაღლს დაუწყო ძახილი, „არაბკა, არაბკაო!“—კიდევ მოინდობა მწყერებს ჭერათ. მწყერები კოსტანტინესათვის ნივთიერ შემოსავლასაც წარმოადგენდა: ნანადირევს კი არ ყიდდნენ, არამედ შაშხაედნენ და საზამთროდ ინახდნენ. მწყერი გემრიელი საქმელია.

კლანჭებში მწყერის მყოფ მიმინოსთან მივიდოდა პატრონი, მწყერს თავს გაუტეხდა და მიმინოს ტვის ანთაკიკვინებდა ერთი-ორჯერ და მერტე გამოართმევდა კლანჭებიდან თავის გატეხისაგან უკვე სულგაყრილ მწყერს. შეიძლებოდა ცოცხალი მწყერის გამოცლა კლანჭებიდან, თუკი მიმინოს წინ მერე, მკვდარ მწყერს დაუგდებდნენ. ცოცხალი კლანჭებნაგემი მწყერი აოკვლებოდა. ჩვენ, სხვა მემწყერეები, ბიძაჩემს კოსტანტინეს ვერ ვუტოლდებოდით: იმდენ მწყერს რა ჩაგვაგდებინებდა ხელში, რამდენსაც კონსტანტინე იჭერდა? ბევრი- ბევრი, მოგვხვედროდა ხელში ოცი, ოცდაათი.

თუ გამოიდარებდა, მწყერი კლებულობდა და მისი დაჭერაც ძნელდებოდა, რადგან კარგ ამინდში მწყერი კარგა დაფრინავდა. მწყერის ერთ ჯიშს „ლარა“ ერქვა. იგი ორჯერ სჰარბობს სიდიდით ჩვეულებრივ მწყერს, უფრო ნელა ფრინავს და ადვილად შეიძლება მისი დაჭერა. მოწითალო ფერი-საა, რამდენადმე ტყის ქათამსა ჰგავს.

მიმინოც სხვადასხვა გვარის იყო: მეტ ნაწილს ჩხართვის ფერი დასცემდა, მაგრამ მოწითალოსაც შეხვდებოდი, მოთეთროსაც და მოშავოსაც. დიდი გასავალი ჰქონდა მოწითალო მიმინოს. გასამართავად ვარგოდა მხოლოდ დაჭერის წელს გამოჩეკილი და ამასთან კარგა დასრულებული, რომელსაც ერქვა „ნარდი მიმინო“. წინა წლისა—არ ვარგოდა. მას ეძახდნენ კაპუეტს, ბურ-დლაზე ნაკრისფერი დასცემდა და ამით სცნობდნენ. მისი გამართვა, გაშინაურება არ შეიძლებოდა. ნარდი მიმინო დედალი უნდა ყოფილიყო. მისი შამალი ტანით თითქმის ნახევრად პატარაა დედალზე და მას „გეზადაი“ ჰქვიოდა. იგი, ისევე როგორც კაპუეტო, არ ვარგოდა გასამართავად. თუ დედალ მიმინოს, რომელსაც „მთავარ მიმინოსაც“ ეძახდნენ, დასრულება აკლდა და უდღეურის გარეგნობა ჰქონდა, მას „მთავარნაკს“ არქმევდნენ. მთავარნაკიც ვერ იმართებოდა.

მონადირე მიმინოს აბამდნენ ეყვნებს. თითოეულ ფეხზე ორს, და ზოგჯერ სამხრეზედაც. ეყვნები გვამცნევდნენ ხოლმე, თუ სად იმართებოდა დაჭერილი მწყერის დამტაცებელი მიმინო, ან მწყერისაგან გაწუბლებული მიმინო; ახლო იმყოფებოდა ტყეში ხეზე მჯდომარე, თუ შორს?

ოქტომბრის დამლევებს მწყერს ველარ ნახავდი ჩვენში და მწყერაობა-საც ბოლო ეღებოდა და მიმინოს ათავისუფლებდნენ. მაგრამ გათავისუფლებული მიმინო ერთხელ შეჩვეული იმ სახლ-კარს, საცა იკვებებოდა, ხშირად კარგა ხანს არა სცილდებოდა, მერმე კი გადაიკარგებოდა ხოლმე. თუ მიმინოს კარგი ქერის უნარი მოსდგამდა, მეორე წლისათვისაც ინახავდნენ, „აკაპუტებდნენ“. სწავდნენ ძლიერ გრძელ ძარს თხილის წნელით, დასდგამდნენ მომაღლოდ, ჩრდილის მომცემი ტოტებგაშლილი ხის ქვეშ; ათავსებდნენ შიგ მიმინოს და აწვდიდნენ საკვებად სხვადასხვა დაკლულ ფრინველს, ბუმბულიანად. საგაზაფხულო მიმინო ჩვეულებრივი ფერის ბუმბულისაგან თავისუფლდებოდა და იმოსებოდა ნაცრისფერი ბუმბულით. აკვიტოს შუა რიცხვებიდან გაკაპუტებული მიმინო გამოჰყავდათ ძარიდანა უა მართავდნენ ნარდი მიმინოსებურად. ასეთ გამართულს კაპუტ მიმინოს არა შეედრებოდა რა. მის კლანჭებს ძალიან შორს გაფრენილი მწყერიც ვერ აღწევდა თავს. მშვენიერი ბედაური ცხენი გადაუცვლიათ ამისთანა მიმინოში.

საიარაოზე მიმინოსთან ერთად და სხვა შემთხვევაშიც ეიქვრლით თვალშვსაც. გარეგნულად თვალში არაფრით განირჩეოდა მიმინოსაგან; ერთი ეგ იყო მხოლოდ, რომ შავი თვალები ჰქონდა; მიმინოს კი. აკრეტოს, ქორსა და შავარდენს, ეს ცნობილია, ოქროსფერი თვალები აქვთ. თვალში არ იმართებოდა, არ მოსდგამდა მონადირეობა. თუმცა თვალებს ვერა კვლავი ფერი მიმინოსი ჰქონდა. დაქერილს კლავდნენ.

მიმინოს გარდა ცნობილია სხვა მონადირე ფრინველებიც. მაგალითად ქორი. იგი იმართებოდა მიმინოსებურად, იქვრდა ხოხობს. ხოხობზე ნადირობა იწყებოდა მწყერაობის გათავების შემდეგ და მთელ შემოდგომა-ზამთარს წარმოებდა. პირადად ხოხობზე ნადირობას იშვიათად დაესწრებოდა: სასწავლებელში ვიყავი ხოლმე იმ დროს. ხოხობი იყოდა უფრო ქობულეთში, თუმცა გურიის ეწერ ადგილებშიც გვხვდებოდა. ხშირად აფრენილა მწყერაობის დროს, მიმინოც გამოსდევნებია შემთხვევით აფრენილს. მაგრამ უშედეგოდ: ვერ გაუბედნია ხოხობის დაქერა. რაღა მიმინო, თუთონ ქორსაც უქირდა ხოხობის პირდაპირ დაქერა: რამდენჯერმე განაბეა სჭირდებოდა, რომ ბოლოს კლანჭებში ჩაეგდო თავისი მსხვერპლი.

ეჰ, ვინ იცის, რამდენი თრევა სჭირდება ამ ნადირობას! მაგრამ საიარაოზე ასვლა ერთ რამედა ღირს, პირდაპირ ნეტარებასა გრძნობს იქაც: იშვიათი ჰაერი და იშვიათი გადასახედია! ამ მხრივ არაჩვეულებრივ ადგილს წარმოადგენდა ლეხაური, რომელიც, ამასთანავე, ნადირობის კაი პირობებსაც იძლეოდა. ძიძითი ანას მოკლებული იყო: იქ მწყერაობა არ შეიძლებოდა, ვერ ხერხდებოდა სუფსის პირას: მწყერი მიმინოს გაღმა გაჰქონდა და გაღმა გასულს კი ველარ გამოეიდებოდი. ვერ სწვდებოდი.

მწყერაობა-ნადირობას მიეღვედი უნივერსიტეტში წასვლამდე, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი იმდენი დრო აღარ მქონია საამისოდ და მართო ერთხელ მომიხდა ჩემი ძველი გართობის ვახსენება. ხოლერა განნდა. მგონი 1893 წელს, და სასწავლებელში სწავლა შეწყდა. ვისარგებლე ანათ და წავედი გურიამი. ხელსაყრელი დრო იდგა ჩიტბადობისათვის და საიარაოზე აედი. მთელ კვირას ვჩიტბადობდი და ერთი თვლი სახლიც კი ავიშენე, მაგრამ მწყერაობა ველარ მოვასწარი.

ყველამ იცის, რომ შავარდენიც მონაღირე ფრინველია. ამ ფრინველს ჩვენში (გურიაში) მტრედებს აქვინებენ. არ მახსოვს, რომ ოდესმე ჩვენ სახლში შავარდენი გვეყოლოდეს და არც მე თვითონ დამიჭერია როდისმე. ქორი კი ორჯელ დავიჭირე საირაოზე. ბიძაჩემმა კონსტანტინემ გამართა ჩემი დაჭერილი ქორები.

მონაღირე ფრინველთა ეკუთვნის კიდევ მარჯანი. მიმინოზედ უფრო პატარაა. ამ ფრინველს მიმინოსებურად მართავენ და აქვინებენ პატარა ჩიტებს. მონაღირე ფრინველთა დაჭერისას ერთხელაც არ მრგებია წილად მარჯანი. შემთხვევით ენახე ეს ფრინველი გიორგი წულუკიძისას, ოზურგეთში. ამ ქალაქში ეს პირი მომრიგებელ მოსამართლეობას ეწეოდა. ყოველგვარი ნადირობით იყო გატაცებული, მაგრამ ყველაზე მეტად უყვარდა კურდღლები, ჭერა, მწვერები ჰყავდა ააპისოდ. ეს ნადირობა ჩემ გულსაც იზიდავდა, თუმცა ჩემის სიკოჟლის გამო საჭირა ფეხმალობა და სიმბარე არ შეწყვედა და სხვა მოზარდებს ვიშველიებდი ამ შემთხვევაში.

ერთ დროს, ჩემ პატარაობისას, როცა ბებიასთან ვცხოვრობდი, ბებიასთანვე ჰქონდა ბინა ჩემზე ცოტა უფროსს, ჩემს მამიაშვილს ერმილე ანთაქეს—ძალიან მარჯვეს, მაგრამ ნამეტნავად ჯიუტს. ბებიარჩემი მას მეტსახელად გოხიძეს ეძახდა. გოხიძე გამოჩენილი გვარი იყო სამცხეში. რომ გავიზარდე, ბიძაჩემს ერდიშელს ვკოხე. ვინ იყო გურიაში გოხიძე. ან ბებიარჩემი რად ეძახდა ერმილე ანთაქეს გოხიძეს-მეთქი? ბიძაჩემმა მითხრა, გოხიძე ლეხონურში ცხოვრობდა. მაგრამ გურული არ იყო, მისი წინაპარი ახალციხის მახრის გათითების მერმე მოსულა გურიაში; ჩვენ დროს ყოფილი გოხიძე უცნაური ადამიანი იყო, ისეთ უკუღმართს, წარმოდგენელ საქმეს ჩაბოდა, კაცს რომ არ ვაეგონაო; მაგალითად, ერთხელ რომ მოშვივოდა, ცოცხალი ძროხის სათბილოდან ერთი სამწვადე ხორცი ამოეჭათ; ერთი ცოპე ლეონისათვის მთელ ჭურ ლეონს გააფუჭებდაო და სხვა; ცოცხალი აო ჰყოლია და გადავიდაო. აი, სწორედ ან გოხიძეს ადარებდა თურმე ერმილე ანთაქეს ბებიარჩემი. რაკი ერთ ბინას მივედლებოდით ჰე და ერმილე, ერთხელაც ერთობოდით. ბიძაჩემსა და ჩემს ძმას ჩვენმა ნათესაებებმა შარაში-ძებებმა ერთხელ ეზერი მწვევარი მოგვარეს. ეზერი ჭიშია ერთი, ჩვეულებრივ მწვევარზე მიიღი. იმ ძაღლს არ ჰქონდა ჩვეულებრივი მწვევარის ვიწრო წელი და მოკლე წინა ფეხები. ბიძაჩემმა კონსტანტინემ და ჩემმა ძმამ დააწყეს ეზერის გაყვანა სანადიროდ, კურდღლის დასაჭერად. მწვევარი ჩაპურებული არ ყოფილიყო და ვერ იჭერდა კურდღლებს, ბიძაჩემი და ჩემი ძმა ცარიელნი ბრუნდებოდნენ ხოლმე ნადირობიდან.

კურდღლეს აქვს თვისება ერთი ადგილის ამოჩემებისა: თუ ნახავთ ერთ ღლეს ერთ ადგილას, მეორე ღლესაც იქ შეხვდებით, შესაძლებელია ერთს კურდღელს ამოჩემებინა ჩვენი მეზობლის ადგილი. ერთხელ „მოტურავებს“ მწვევარი კონსტანტინემ და ჩემმა ძმამ, მაგრამ სულ ამაოდ: ეზერს ვერ დააჭერინეს კურდღელი. მე და გოხიძედ მონათულმა ერმილემ პირობა მივეცით ერთმანეთს, რომ დილაადრიან, გათენებისას წაგვეყვანა ეზერი მწვევარი და შეძებრები და ბიძაჩემისა და ჩემი ძმის ხელიდან დასხლტული კურდღლისათვის მიგვეტრავებია. ამის ნებას, რა თქმა უნდა, უფროსები არ მიგვეცემდნენ და განზრახული საიდუმლოდ ჩავატარეთ. რიგრაზე გავედით ორნი, გავიყოლიეთ თან მწვევარი და შეძებრები და დავიწყეთ იმ არემარეზე ტრიალი, საცა კურდღელი გვეგულებოდა. მზე ამოვიდა და ჩვენმა

მეტებრებმა კურდლის კვალს მაინც ვერ მიაგნეს. სახლში ვაპირებდით დაბრუნებას უშედეგოდ, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩვენთვის მოულოდნელად შევნიშნე, რომ კურდელი მოშორებით თავს მოქცეოდა მეტებრებს და ნაჩაღევში მიიპარებოდა. დავანახვე გოხიძესაც და ავტეხეთ ერთი ყოყინა. მეტებრებმაც დაინახეს. მწევარი მე მეკავა საყელურში გამობმული თასმით. მეტებრები რომ გამოიკიდნენ კურდელს, თან ჰყეფდნენ. მათ ყუფაზე მწევარი გავუშვი და მსხვერპლისავენ გაექანა. ვასაოცარი სანახაობა დატრიალდა. დაეწეოდა ხოლმე მწევარი კურდელს, კაცს ეგონებოდა. ეხლავე დაიპეროსო, მაგრამ კურდელი ამ დროს სწრაფად წვებოდა მიწაზე და მწევარი ცრუვებოდა: გაწოლილს თავს გადაახტებოდა ხოლმე და მიწაზე იშხლარ-თებოდა. ეს იწვევდა ჩვენში გაუთავებელს ყოყინს და გაბმულ ყუფას მეტებრებისას. კარგა ხანს ვაგრძელებდა ასეთი აშაბავი. ბოლოს კურდელმა ჩემ ახლოს გაიბრინა და იქვე მღებარე ჰატარა ფერდობიან ადგილს მიპართა. ქმწევარი წამოეწია კურდელს და წაეტანა. მონადირე ოთხვეგზეა წინა ფეხებით კურდელი რაღაცნაირად ჰატარა შეისროლა და უკან წამოაუღის კურდლის თავი პირში ჩაივლო. მწევარს მეტებრებიც მიეშველნენ და ყველამ ერთად წეწვა დაუწყო კურდელს. მე და გოხიძე შევეცადეთ კურდლის წართმევას და მეტებრები მოვაშორეთ მწევარს, მაგრამ თვითონ მწევარს კურდელი პირიდან მაინც ვერ წავეგლიჯეთ, ცემა დაუეწეეთ და მაშინაც ვერას გავხდით. ჩვენი ყოყინი და ძაღლების ყუფა შესძოდა ბიძაჩემს კონსტანტინეს და მაშინათვე გამოემართა ჩვენკენ. შორიდანვე გვიყვიროდა, ბლენბო. მწევარი არ გამოეუჭოთო! ჩვენთან მოსულმა მოგვაშორა მწევარს, თვითონ ჩაველო მეშის საყელურში ხელი, პირი თავისკენ აქნევინა და ადვილად გამოართვა კურდელი. ეს აშაბავი მოხდა ახალი წლის წინა დღეს და ჩვენებმა ძალიან გაიხარეს. უქმე დღის სადილი ნანადირევით იქნებოდა ზედმეტად განოყვირებული.

ჩვენმა პირველმა ნაბიჯმა კურდელზე ნადირობისა უფროსებში ნდობა მოგვიპოვა და მწევარ ეზერის სანადიროდ წაყვანისას ხელს აღარავინ გვიშლიდა. მაგრამ ეზერი გვატრუბდა: ან ვერ იჭერდა კურდელს. ან, თუ როგორმე მოხდებოდა და დაიჭერდა, არამც თუ ფეხით, ცხენითაც ვერ მიგვისწრია ნანადირევის მისი პირიდან წასაგლეჯად: იგი მეტებრებთან ერთად სწეწვა და თავის დაეკლას.

თუ ზაფხულობით მიმინოს დაკერასა და მწყერაობაში ვიყავით გართულნი, ზამთრობით შაშვებსა და ჩხართვებზე⁶ ნადირობა გვიზიდავდა. ჩვენს უფროს ძმას ნიკოკიას „ფილთა“ თოფი (საფანტოანი) ჰქონდა და იმით ვხოცდით შაშვებს, ჩხართვებსა და ჩიჩხინაკებს. ყველა ესენი ესეოდნენ ხურმასა და მალალ ხეებზე შერჩენილ ყურძენს. ჩიჩხინაკი ჩხართვსა ჰგავს, მაგრამ ჩხართვზე დიდია, „ჩი-ჩი-ჩი“-ს ძიხის და ჩიჩხინაკად იმიტომაა წოდებული. გემრიელი საქმელია ეს ფრინველი.

ჩემი ძმა ადვილად არ მითმობდა ფილთა თოფს. გამოეუჭებო. მეუბნებოდა. მაგრამ მე მაინც დამქონდა თოფი—ხან ნებადართვით, ხან ნებადაღურთველად. სანამ ჩემი ძმა ადგებოდა ლოგინიდან. მანამდე მე ვფლობდი მის სანადირო იარაღს. ზოგჯერ ორ შაშვს ან ჩხართვს ჩამოვაგდებდი ხოლმე, თუ კი საღმე ახლოს ხეზე მსხდობარეს დავინახავდი. ერთხელ, როცა ჩემი

⁶ მხოლოდობით: ჩხართვ. გურული გვარი ჩხარტიშვილი ამ სიტყვიდანაა წარმოებული.

ძმა მიწურებოდა, რატომ წაიღე ჩემი ფილთაო, ბიძაჩემმა ერდიშელ თაყა-
ნიშვილმა ქომავობა გამოიწია და ჩემს ძმას უთხრა: შენ ხშირად აცილებ თოფს
და ბაღას რას ერჩი, ერთი სროლით ორს კლავსო?!

ხშირად შაშვეები უთოფოდაც გვივარდებოდნენ ხელში: სუროიან ხეებ-
ზე ძუის მახეებს ვაწყობდით და იქ ებმებოდნენ, მეტადრე თოვლიან აინ-
დში.

შაშვებსა და აგრეთვე ჩხარტვებს ვიჭერდით კიდეც „ოკიდლოში“. თუ
საღამე პატარა ტყე, ან ხშირი ბუჩქნარი არსებობდა, იქ ხეებმა თუ ბუჩქებს
შორის ვჭრიდით გრძელ ხეივანს და ხეივნის შუა ადგილას ორ ჯოხს შორას
ბადეს ვკიდებდით. ბადის ზემო ყური ისე ფუმფულად იყო ჯოხზე მოწყობი-
ლი, რომ, როცა ჩიტი ეხებოდა, ბადის ზედა ნაწილი ჩამოიშლებოდა ხოლ-
ნე და ჩიტს ქვეშ იყოლიებდა. აი, სწორედ ამგვარ ბადეს უძახოდნენ „ოკი-
დოშას“. ოკიდოშას გასამართავად სოფელი ძიმიით იძლეოდა კარგ მოსა-
ხერხებელ ადგილებს.

ძიმიტში ჩაზამთრებისას, როცა კი სწავლისაგან თავისუფალი ვიყავი.
განააკუთრებით არდადეგების დროს, ბევრ ტყის ქათამს ვიჭერდი სასირე
ბადით. ყველამ ვიცით, რომ სირი ჩიტს, ფრინველს ნიშნავს და ძიმიტის ერთ
ადგილსაც სწორედ სასირეს ეძახდნენ, რაკი იქ კაცი ხვდებოდა ბევრს ტყის
ქათამს და აგრეთვე ზოგჯერ სხვა ფრინველებსაც. საუკეთესო სასირე იყო
ჩემი სიძის სიმონ გათუას სახლს უკან, ცოტა მოშორებით, ტყით შემო-
სილს მაღალსა და გრძელ სერზე. სერი წარმოადგენდა სუფსის ხეობისა და
ერთი პატარა ხეობის გამყოფ მალღობს. სერის ქედზე ორ მაღალ ხეს შო-
რის ტყე გადაეკაფათ და თითქოს ამით განგებ შეექმნათ კიშკარი, ნათელი და
მშვენიერი ვადასახედი ორ ხეობას შორის. ტყის ქათმებს ჩვეულებად ჰქონ-
დათ გადაქცეული სუფსის ხეობიდან მეორე პატარა ხეობაში გადაფრენა
დღე-ღამის გაყრისას და მეორე დღეს დილის ბინდში უკან დაბრუნება გა-
დაფრენის ადგილზე და სწორედ ეს დასახელებული კიშკარი დაედგათ გზად
თავისი გადაფრენ-გადმოფრენისათვის. კიშკრის შემქმნელი ორი ხეს თანაბარი
შტოებიდან უშვებდნენ დაბლა თითო გრძელ თოკს და მიწამდე ჩამოსულ
ბოლოებს თოკისას აბამდნენ ქვას. ამ ქვაზე ამკრებდნენ მიწამდე ჩამოკიდულ
დიდთვალა ბადეს. ბადის თვალეზში მხოლოდ ფრინველთა თავები ეტეოდა.
თოკის მეორე ბოლოებს, მოგრძოდ გაღმოციდულს შტოებიდან, ხელში იჭერ-
და სასირეს შუაში მჭდომარე კაცი; საჭირო ხანს ხელში დაჭერილი ბოლო-
ებით ეწეოდა მაღლა თოკის ქვიან ბოლოებს და ბადის ბოლოებიც იზიდებო-
და მაღლა ტოტებამდე. ამგვარად ვაწყობილ ბადეებს მოცული ჰქონდათ მთე-
ლი „კიშკარი“. როცა ტყის ქათამი ხვდებოდა ბადეს, კაცი ხელს უშვებდა
თოკის მომზიდავ ბოლოებს, ქვები მიწაზე ეშვებოდა და ფრინველი ბადეში
გახვეული რჩებოდა. ტყის ქათმები მოდიოდნენ ერთად ორი. სამი, ოთხი და
იშვიათად ხუთი. „სასირობა“ გრძელდებოდა ერთ საათს, საათნახევარს მხო-
ლოდ, მერვე კი ფრინველი აღარ მოდიოდა.

ძიმიტში სასირეზე ბევრი ტყის ქათამიც დამიჭერია. შაშვიც და ჩხარ-
თვიც. ერთხელ ქორიცი კი გაება ჩემს მახეში და გუგუნავამ გამართა სახონებუ
ჩემი დაჭერილი ქორი.

ერთ ახალწლის დღეს ჩემ სიძესთან ვიყავი ძიმიტში „საკალანდოდ“.
კალანდას (ახალ წელს) გურულები დიდი ზეიმითა და უხვად მომზადებულ
საკმელ-სასმელით ეგებებოდნენ ხოლმე. ყოველგვარი კერძი უნდა მდგარიყო

მაგიდაზე, რომ მომავალ წელსაც უზღვედ ეძლია სანოვაგე. კალანდის წინა სა-
ლაშოს ჩემმა დამ ლისამ თქვა, ყველაფერი მზად მაქვს ხელისათვის, მაგრამ
გულს მაკლია, რომ ნანადირევი არაფერიაო. ჩემ სიძეს იმ დროს მოზრდილი
ვაგი ჰყავდა, სამსონი. შეეთანხმდით მე და ის სასირეზე წასვლას. დიდთოვ-
ლიანი ამინდი არ ყოფილა, მაგრამ ძალიან ციოდა. მე და სამსონი მანც გა-
ვუღდექით გზას დილის ბინდ-ბუნდში, სიცივეს არ შევშინებოვართ. გაეაწყეთ
ბადე სასირეზე და ერთი საათის უკან ორი ტყის ქათამი ჩავიგდეთ ხელში
(ტყის ქათამი ზამთარში აქა რჩება ხოლმე). ამ ჩვენი ნანადირევით ჩემმა დაშ
ძალიან გაიხარა. ასე იტყოდა ხოლმე, როცა ნანადირევს დაინახავდა: „ასო
ასიო!“, ეს ნიშნავდა, რომ შემდეგ ასი უნდა დაგვეჭირა.

ძალიან მიყვარდა თევზაობაც. თევზს იძლეოდა ლეხორში ორი მდინა-
რე: ეგრეთ წოდებული აჰისწყალი კალმახს და ჩოლოქისწყალი—უფრო ქა-
შაპს და ამასთან სხვა ჯიშსაც. ყველა თევზი ჩოლოქში ზღვიდან შემოდიოდა
ბლომ-ბლომად, მაგრამ კარგი მაინცა და მანც არ იყო. კალმახი ჩოლოქა არ
იყოლა

საფერისცვლოდ აჰისწყალსაცა და ჩოლოქსაც „დანაყვიდნენ“ ხოლმე:
მიწაზე მრავლად დაგროვილს შემოუსვლელი ნიგოზის ნაქს (წინგოს) ურტ-
ყაძლენ კეტებს, კარგა მაგრად სტეჟყავდნენ და ამგვარად აზნადებდნენ ეგ-
რეთ წოდებულ „სანაყს“. მას ყრიდნენ მდინარეში. წყალი იძვრებოდა დიდ
მანძილზე და ათრობდა თევზს, თვალს უზნებდა.

ჯვარიდან დაწყებული, ლეხორს აჰისწყლის შენაკადი ერთი ტოტაც
ჩამოუდიოდა. ამ ტოტს სათავეში გადახიარვდნენ ხოლმე, წყალი წყდებოდა,
კალპოტი ცალიერდებოდა და კალმახებს სხუ იჭერდნენ, პირდაპირ ხელით
კრებდნენ. ვთევზაობდით ანკესითაც, ვიჭერდით ბევრ ღორჯოს; კალმახი კი
ანკესზე არ ეგებოდა, მასზე „უხელობდით“, ე. ი. ხელს ვყოფდით ქვების
ქვეშ, „ღარნებში“ და ისე ვიჭერდით კალმახს. ჩვენს თევზაობდნენ კიდევ
„სათხეველით“⁷, ბადით და „ფაცარიით“. ფაცარიით იჭერდნენ უფრო კალმახს:
აგუბებდნენ წყალს და წინ უღებდნენ ჩელტს, წყალი ჩელტზე გადადიოდა
და იწურებოდა, თევზი კი რჩებოდა ჩელტზე და ხელში უეარდებოდა მეთვე-
ზეს.

ძალიან მისდევდნენ თევზაობას მდინარე სუფსაზე, ძიპითთან. ჩვენმა
სიძემ სიმონ გოთუამ შესანიშნავი თევზაობა იყოლა; იყოლა კარგი დაყვი-
თვა და დარნებიდან თევზების გამორეკვა. თევზის საჭერად სუფსაში დიდ
ბადეს ხმარობდნენ. ბევრჯერ იმდენი თევზი დაუჭერიათ, რომ მთელი სოფე-
ლიც ვერ მორეკია. ბადეს ხედებოდა ბევრი ღლავე და კობრი. ზოგჯერ მოჰყვე-
ბოდა ხოლმე ფორაჯიც, ზვიდან შემოსული, ზუთხის მსგავსი თევზი. დიდი
ღლავისას მარტო ბოლოს სჭამდნენ. ბადით თევზის ჰერისა მე მხოლოდ მა-
ყურებელი ვიყავი, მონაწილეობის მიღება არ შემეძლო, წყალი ღრმა იყო.

6. ქუთაისის კლასიკურ პროგიმნაზიაში

ლეხორში, თავისიანებში დაბრუნებული და რამდენადმე აყოლებული
ნათესავეებისაგან აღებულს ცხოვრების გეზს, ფოთში მიღებული სწავლით
არ დავემყოფილებულვარ: ვცდილობდი, როგორმე ქუთაისის გიჰნაზიაში
შევეყვანე ჩემს პატრონებს. ამისათვის კი საჭირო იყო, ცოტათი მაინც მოეჭ-
ხადებულეყავი ლათინურ ენაში, მაგრამ საამისოდ მასწავლებელი ვერ ვიშოვე.

⁷ სათხეველი—სასროლი ბადე.

იოსებ თაყაიშვილს ეთხოვე. კოწია თაყაიშვილის პირით, ესწავლებინა ჩემთვის ლათინური. იოსებმა უარი მიპასუხა, დამავიწყდა ეს ენა და სჯობს სხვა მონახო მაგ მიზნისათვისო. მე სხვა ვერ მოვნახე და მთელი ზაფხული მიძინოებიტ კერაში და მწყერობაში გაეატარე, ხოლო შემოდგომა და ზამთრის პირი ფრინველებზე ნადირობას მოვანდოე.

ახალწლის წინა დღეებში ჩემმა უფროსმა ძმამ შევებულემა აიღო და ბიძაჩემთან ჩამოვიდა ქუთაისიდან, სადაც ირიცხებოდა „უჩებნაია კამანდაში“, რომელიც დაახლოებით 30 კაციამდე შედგებოდა. ყველანი გამოერჩინეთ „კონო-ირეგულიარი“ პოლიციდან და სწავლას იღებდნენ „უჩებნაია კამანდაში“. კამანდის გამგებლობას ეწეოდა ვინმე პოლკოვნიკი, „კონოირეგულიარი“ პოლიციე ვეთათრა, გვარად პრინცი.

ჩემი ძმა უნდა დაბრუნებულიყო ქუთაისს, თავის „უჩებნაია კამანდა“-ში ნათლიების უკან. ამით მეც შემთხვევა მეძლეოდა ქუთაისში გადასახლებისა, მაგრამ ფული იყო საჭირო საამისოდ. ბიძაჩემსა და ჩემ სიძეს კი ძალიანაც არ ეპიტნავებოდათ ჩემი სწავლის გაგრძელება: მე-14 წელში ვიყავი ვადამდგარი და ორივეს სურდა სადაც სამსახურში შეესულიყავი მწერლად, მოეწყობილყავი ისე, როგორც ფოთის სკოლის სხვა ჩემი ამხანაგები, რომელთაგანაც ზოგი სამაზრო სანამართლოში მუშაობდა მწერლად. ზოგი კი ოზურგეთის პოლიციაში.

ბიძაჩემმა ერთხელ მორიდებით მითხრა კიდევ. ლეხოურელებმა მოციქული მომიგზავნეს, ექვთიმე სოფლის მწერლად დაგვიდგესო. მე ცივი უარა ვუთხარი: არ შემიძლია სოფლის მწერლობა ვწიო; ხელი არ მივარგა არც რუსულსა და არც ქართულ წერაში და მერმე კი სწავლა მწყურია, მომიხერხეთ, როგორმე ქუთაისში წამიყვანეთ, რომ მოვემზადო იქა და გიმნაზიაში შევიღე მეტიქი. მე წაიყვან ქუთაისში ექვთიმესაო, მოახსენა ჩემმა უფროსმა ძმამ, მაგრამ მაგას იქ წასაყვანად და მოსაწყობად ასი მანეთი დასჭირდებაო: ეს ჩემი ძმა ნიკო თაყაიშვილი მაინცა და მაინც ჩემთვის საიმისო ძმა არ ყოფილა: ეგოისტობა მოსდგამდა ამ ჩემიანსა და თან. ცოტა არ იყოს, რცხვენოდა კიდევ, კოჭლი ძმა რომ ვყავდი, როცა თვითონ მაღალ, კარგად მოსულ ლამაზ ახალგაზრდა ვაჟკაცად მოვლენოდა ქვეყანას. ფულს საჭიროებდა ეს ვაჟკაცი და ფულს სთხოვდა მისად და ჩემად მოვლენილს აბეკუნს, მაგრამ იცოდა, რომ აბეკუნისაგან თავის სარგოზე მეტს ვერას მიიღებდა, ამასთანავე კი ას მანეთსაც ჩემი წილიდან ჩაიგდებდა ხელში და, თქმა არ უნდა, თავის თავზე უფრო მეტს დახარჯავდა, ვიდრე ჩემზე. დაე, დაეხარჯა! მე სრულიადაც არ მადარდებდა ეს ამბავი, ოღონდ კი როგორმე ქუთაისში წასვლა მომხერხებოდა! ამიტომ ნება დავრთე სიძეს, ჩემი წილი ასი მანეთი მიეცა ჩემი უფროსი ძმისათვის. სიძემაც არ იუარა და ჩააბარა მას ჩემი წილი ფული.

ეს მოხდა 1876 წელს. მკაცრი ზამთარი იდგა. გურიიში დიდი თოვლი იდგა და ძალზე ჰყინავდა. მიმოსვლა ოზურგეთიდან სამტრედიამდის „ტროიკით“ წარმოებდა. არავის გახსენებია ჩემთვის საზამთრო ტანისამოსის დამზადება: მეცვა წულები და პარუსინის ბლუზა. ამგვარად მორთული წამიყვანა ჩემმა ძმამ „ტროიკით“. ვიარეთ ჩონატაურის სადგურამდე. სადგურში შედამებისას მივედი. ჩონატაურიდან იწყება საჯავახო და მიდის ორპირამდე. საჯავახოს არე-მარე ისეთი დიდი თოვლით იყო მოვლებული, რომ „ტროიკა“ ვეღარ შესძლებდა მოძრაობას და შემდეგი გზის გავლა უბელო ცხენებით მოგვიხდებოდა: „ტროიკის“ ცხენები უნდა დაგვეტვირთა ჩვენი

თავით. ღამე კი სადგურში უნდა გაგვეთია, მეტი ჯანი არ იყო. უცეცხლოდ და ულოგინოდ. სიცივე, ყინვა კი ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა. ჩემ ძმას არ მოუტლია ღიღინას სადგურის საბინადრო ოთახში, მოსელისთანავე სტუმრად წავიდა ერისთავებში. ჩემთან დარჩა ერთი ჩვენი თანამგზავრთაგანი, ჩემი ძმის უფროსის, პრინციის მოსამსახურე, გვარად, თუ არ ვცდები, ანდლულაძე, კარგი ახალგაზრდა. თბილად იყო ჩაქმული, ნაზალიც კი ჰქონდა, მაგრამ სიცივე მაინც აკანკალებდა და, აბა მე რაღა დამეპრათებოდა?! სტუმრად წაბძანებულს ჩემს ძმას ჩემი თან წაყვანა არ მოუსურრებია. სტევენოლა ჯერ ერთი იმისი, რომ არ შეცვა რიგინად და მერვე როგორც ვუქვი, იმისი, რომ კოჭლი ვიყავი: ჩემი სიკოჭლე დამამცივებლად შიანდა თავის თავისთვის თავადებში გამოსაჩენად. ეს მე კარგად ვიცოდი და არც ვუთხარა წაიყვანე-შეთქი. ღამე გავატარე მთლად კანკალში და უცნაურია, როგორ გადავრჩი?! ძილი სულ არ მომიკიდებია. ხანდახან ანდლულაძის ნაბდის კალთით ესარგებლობდი ჩასათბუნებლად, მაგრამ ეს მიშველიდა რამეს? თვითონ პატრონსაც იმდენს არასა რგებდა მთელი ნაბდი და ჩემთვის ერთი კალთა რა იქნებოდა?! მეორე დღეს მობრძანდა ჩემი ძმა: კაი გუნებაზე გახლდათ, დრო კარგად გაეტარებია, ბევრი ესვა.

დაბრუნდა ჩემი ძმა და შევეხედით უბელო ცხენებზე. მეტი რა ჩარა გექონდა? უნაგირებს „ტროიკის“ ცხენებისათვის არაეინ მოგვთავაზებდა! საჯავახო მოვლიეთ და სამტრედიას ვეწვიეთ. სამტრედიიდან სადგურ რიონამდე გადავიინაცვლეთ. იქიდან ქუთაისამდე ფატიონით ვიარეთ, სულ რვა ვერსტი იყო. ქუთაისით დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა. იქ იყო ჩემი ძმის გაწაფველი „უჩებნაია კომანდა“: სალორიაზე, მდინარე რიონის მახლობლად იდგა. ქუთაისის ის მხარე მაშინ ჯერ კიდევ გაუშენებელი იყო. იმ დაწესებულებისათვის, ახალი სახლი აეგო ხუროს, დათეშიძეს, რომელსაც შიგ თვითონაც ჰქონდა ბინა, გამოცალკევებული.

„უჩებნაია კომანდას“ სადგომს ჰქონდა ერთი დიდი დარბაზი, კედლებზე მიშენებული „ნარების“ შემცველი. დარბაზში ზამთრობით წარმოებდა „კამანდაში“ მომეცადინეთა ვარჯიშობა. „ნარები“ კი იმ მომეცადინეთა საძილედ იყო გაწესებული. ვარჯიშობასთან ერთად სამხედრო უწყების კანონებიც იასწავლებოდა. თქმა არ უნდა, რუსულ ენაზე. ჯერ-ჯერობით მეც იმ სავარჯიშო დარბაზში მომათავსა ჩემმა ძმამ; გვერდით ვყავდი, იქვე ვსადილობდი და იქვე ვიძინებდი. პრინცი, „კამანდის“ უფროსი. თითქმის ყოველდღე დაიარებოდა იმ სადგომში და თვალ-ყურს ადევნებდა ვარჯიშობას. რომ დამინახა, იკითხა, ვინ არისო? მიიღო ცნობა, ვინც ვიყავი და არა სთქვა რა. შეკითხვისას, შეიძლება რომ დარჩეს ეს ყმაწვილი ცოტა ხანს ჩვენთანაო, სთქვა. შეიძლებაო.

გავიდა ორი-სამი კვირა და ჩემი ძმა კი არაფერს ზრუნვას არ იჩენდა იმის თაობაზე, რომ საღვე მოვეწყე ბინაზე და მასწავლებელიც ეშოვნა ჩემთვის. ლეხორუში ყოფნისას სრულიად აღარ ვემეცადინებოდი: რაც მესწავლა ფთობის სასწავლებელში, იმის განმეორებას არ შეედგომოვარ, დავიწყებას ვაძლევდი და არც ახლის შეძენას ვცდილვარ; სულ ნაღირობაში და სხვადასხვა თამაშობაში ვიყავი გართული. ერთი ეგ იყო, რომ მიყვარდა მოსმენა იოსებ დავითაძის თაყაიშვილების საუბრისა. მათი მსჯელობისა ქართულ პატრიოტულ საქმეთა გამო. ახლა კი, ქუთაისში. იმ იუნკრებთან („უჩებნაია კამანდა“ში მომეცადინეთა იუნკრებს ეძახდნენ) მყოფს მეცადინეობის მეტი რაღა დამარ-

ჩენოდა? უსათუოდ წიგნებს უნდა დავწაფებოდი და, მართლაც, დილიდან საღამომდე მეჭირა ხელში ფოთის სასწავლებლიდან გამოყოლილი და ზოგიც მერმე შეძენილი სახელმძღვანელოები და ვკითხულობდი თავაულებლივ. ძველს ვიპოვებდი, რომ დავიწყებული გამხსენებოდა და თანაც ეცდილობდი, ახალი შენაძენიც ზედ დაერთო. იმ დროს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა ჩემი ბიძაშვილი (დედის მხრივ) ერმილე ნაკაშიძე, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ოზურგეთის სასწავლებელი. ჩემზე ერთი წლით ადრე ერგო იმ ჩემ ნათესავს გიმნაზიაში შესვლა. დედამისს, რაჰველი ერისთავის ასულს, უსასყიდლოდ მოეთავსებინა ერმილე ქუთაისში მცხოვრებ თავის ნათესავთან პოლკოვნიკ წულუქიძესთან, ფრიად პატიოსან ადამიანთან. წულუქიძე ცნობილ სამხედრო პირს წარმოადგენდა; ქალაქში მთელ პოლკს უწყევდა წინამძღვრობას, უქმეებში კი სამხედრო ნაწილებს პარადის წარმდგენ პირად მოკლენოდა.

ერმილე ნაკაშიძე ყოველდღე მოდიოდა ჩემთან და ერთმანეთს შორის დიდი ბაბაი გვექონდა ხოლმე ჩემს თაობაზე; ვლაპარაკობდით. თუ როგორ მოვმზადებულყავი მომავალი სექტემბრისათვის გიმნაზიის მესამე კლასში შესასვლელად. ერმილემ მითხრა, რიგიანად მოვმზადებულყავი ლათინურში და საამისოდ მასწავლებლად ავეყვანა მოსე კალანდარიშვილი: მე-5 კლასის შეგირდია და ლათინურ ენას ყველაზე უკეთ სწავლობსო. მოსე კალანდარიშვილი სოფელ მაკვანეთიდან იყო, ერმილეს მეზობელი. ერმილემ არ დაახანა და სთხოვა კალანდარიშვილს მოვემზადებინე ლათინურში და თვითრად ან შრომაში 4 მანეთს შეჰპირდა. მოსეს ასეთი პასუხი გაცვა: „ჭერ გამოვციდი და ენახე, შეეძლებს მის მომზადებას თუ არაო!“ დავიწყე კალანდარიშვილთან სიარული; ერთ კვირას ვეცადინობდი მასთან. ბევრი რამ მქონდა დავიწყებული და კალანდარიშვილს ჩემი უტოლინარობა აღვნიშნა; ერმილესთვის ეთქვა. არ შემიძლია მისი მომზადება. სულ ცოტა რამ სცოდნია ექვთიმეს, ეტყობა, ნიკოი არ შესწევს და უარს ეამბობ მასთან განვარდნო მეცადინეობა, არა გამოევა რაო. ერმილემ რომ ეს ამბავი გადმოჰკა, თქმა არ უნდა, მეწყინა. მაგრამ ერთი რამ მომეწონა მოსესი: გულახდილობა და უანგარობა. ეს ყველაფერი ნიშნავდა, რომ იმ ყმაწვილს დიდი პატიოსნება მოსდგამდა; ცხადი იყო, ტყუილ-უბრალოდ ფულის მიღება არ სურდა. უნიჭობა რომ დავწავა კალანდარიშვილს ჩემთვის, ამაზე ერმილეს ვუთხარი: „რა ვიცი, სადაც კი ვსწავლობდი. არც ერთ მასწავლებელს უნიჭობით არ დავუძრახივარ; პირიქით, მაქებდნენ ჩემი მასწავლებლები—ხან ჩემ სიძესთან, ხან ბიძაჩემთან—და სკოლაში მუდამ ერთი პირველთაგანი ვიყავი; გადაეცი კალანდარიშვილს, რომ მას არავინ ბრალს არ დასდებს ჩემს ცუდად მომზადებაში, თუ კი გამოცდები ვერ ჩავაბარე, მარტო ლათინური მასწავლოს თუ უნდა, დანარჩენ საგნებში მე თვითონ მოვემზადები-მეთქი!“ ამგვარ პირობაზე მოსე კალანდარიშვილმა თანხმობა განაცხადა და დაიწყო ჩემთან მეცადინეობა.

სხვათა შორის, მოსე კალანდარიშვილი წინათ თურქე სწავლობდა ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში, რომელშიც თურქე დაიარებოდა მის დროს ერთი ჩვეუთი სამხედრო მოსწავლეთა, რომელთაც „ვოენნი ეოსპიტანიკებს“ ეძახდნენ. იმ ყმაწვილებს სამხედრო ტანისამოსი ეცვათ და ბუნა ჰქონდათ ცალკე კორპუსში. ოზურგეთის სასწავლებლიდან ისინი გადაიყვანეს ქუთაისის გიმნაზიაში, უკვე როგორც ცალკეული პიროვნებანი და თითოეულ მათგანს სტიპენდიაც დაუნიშნეს. იმ „ვოენნი ეოსპიტანიკების“ ჩვეუთში

მოსეს ორი ძმა ჰყავდა და მათთან ერთად ჰქონდა ოთახი—ერთი, თქმა არ უნდა. ერთ მათგანს ხარიტონი ერქვა; ჩემსავით კოჭლი იყო; გონებმამხვილი არსება გახლდათ, მაგრამ ცხადად ემჩნეოდა. რომ სიზარმაცე მოსდგამდა და. მგონი, გემნაზიაც დაუშვავრებული დარჩა. მე რომ უნივერსიტეტი გავათავ-ვე. ქუთაისში კერძო მასწავლებლობას ეწეოდა და ამასთან გამოჩინებულ ინ-ტელიგენტად ითვლებოდა. როცა მოსე მასწავლიდა ხოლმე, ხარიტონი ყურს ვეიდებდა. მოსეს მიერ ერთილე ნაკაშიძისათვის ნათქვამზე, რომ უნიჭო ვი-ყავი, ხარიტონმა ძმას ერთხელ პირში მიახალა თურმე, უნიჭო და სულელი შენა ხარ, ბავშვს ნახევარი წელიწადი წიგნში არ ჩაუხედნია, სულ მწყვერო-ბაში და ნადირობაში გაუტარებია დრო (ეს ჩემი ამბავი ხარიტონმა ერთილე-საგან იცოდა) და შენ გინდა, ერთ კვირაში გაიხსენოს ყველაფერი, რაც უს-წავლიაო? ჩემი დაკვირვებით, არც ნიჭი აკლია და არც სურვილი, რომ ის-წავლოს! ერთილემ ეს ამბავი რომ გადმომცა, მიამა.

„უჩებნაია კამანდის“ შენობაში ჩემი ყოფნისას ძმამ მითხრა: „ჩვენი სახ-ლის პატრონის სიძემ ლევან გეგელაშვილმა თავისი ცოლის ძმა, ყარამან და-თეშიძე მოციქულად გამომიგზავნა და შემომითვალა: მაგი ბოვში, შენი ძმა მომეცი, ჩემთან დადგეს და, როგორც ჩემ შვილებს, ისე მოვეუვლი მაგასაც და არაფერს გამოვართმევო“. ჩემ ძმას უკითხავს ყარამან დათეშიძისათვის: ეს რა ამბავიაო, როგორ თუ არაფერს გამომართმევსო? ყარამან დათეშიძეს ასე-თი პასუხი მიუტია ჩემი ძმისათვის: სიძემ შითხრა, მაგ ბოვშეს მე თვალს ეა-დვენებ, ეს სამი კვირე, რაც აქ არის და. როცა კი მოვსულვარ შენთან, ერთ შინუტშიაც უწვიგნოდ არ დაინახავს, სულ მაყადინობას; მე წერილი შეიღებე მყავს. დავაყენებ მაგას ჩემთან, ჩემი შვილები რაკი დაინახავენ მუდამ მაყა-დინეს, მიბაძვენ და ჩემთვის ესეც კმარა, თორემ ისე ჩემი თქმით, წიგნს ხელ-ში არ აიღებენ და გინდ რომ აიღონ კიდეც, ვერაფერს მიაღწევენ დაუხმარებ-ლადო; მაგას რაკი სამაზრო სასწავლებელი გაუთავებია, თავისუფლად შეუძ-ლია გაუწიოს სწავლაში დახმარება ჩემ შვილებს და თავი და თავი კი ის არის, რომ მაყადინობას შეაჩვენოსო.

ყარამან დათეშიძე და მისი და ირინე—ლევან გეგელაშვილის მეუღლე— იმ ხურო დათეშიძის შვილები იყვნენ, რომელსაც ჰქონდა აშენებული ქუთაის-ში „უჩებნაია კამანდას“ ბინად გამოყენებული სახლი და ორი კიდეც სხვა, თბი-ლისის ქუჩაზე. ერთში ჩემ დროს ცხოვრობდა პრინცი ოლდენბურგისა, გრა-ფინია ზარნიკაუს მეუღლე, მეორე კი ხურო დათეშიძეს თავისი სიძისათვის, ლევან გეგელაშვილისათვის გადაეცა. იმ სახლს უკან იღვა ერთი მცირე სახ-ლიც, საცა თვით დათეშიძის ოჯახი ცხოვრობდა.

მე რომ იმ გეგელაშვილის წინადადება გადმომცა ჩემმა ძმამ, თქმა არ უნდა. გამეხარდა; ბინა ვიროვე-მეთქი ეთქვი, მაგრამ შევეყყმანდი და ძმას ვუთხარა: ვაი თუ ჩემი მასწავლებლობა არ გამოადგეს გეგელაშვილის შვილებს და გეგე-ლაშვილმა დამითხოვოს ოჯახიდან და უბინაოდ დავჩრ-მეთქი; არ სჯობია განა, თეიურად ცოტა რამ გავლო ბინისა, რომ გეგელაშვილი მეტის ყურადღებით მომექცეს-მეთქი?! მე და ჩემმა ძმამ გადაწყვიტეთ, თეიურად ოთხი მანეთი გაგველო ბინის ქირად და გეგელაშვილს ვაცნობეთ ეს ამბავი. გეგელაშვილმა კი გვითხრა, მე არა გთხოვთ რამის გადახდას, მაგრამ თუ მოცემა შეგძლიათ, თქვენს საქმეაო. მე ერთი რამ მინდა მხოლოდ — მითხრა გეგელაშვილმა პირა-დად — ჩემი შვილები ისეთ მუყაითობას შეეჩვიონ, როგორიც შენ მოგვარდამო! მეც აღარ დამიხანებია ამის შემდეგ და გადავედი გეგელაშვილის ოჯახში.

გეგლაშვილის მეუღლე. დათუშის ასული კარგი ქართველი ადამიანიც იყო და კარგი დიასახლისიც. მეოჯახე და პარტიისანი მანდილოსანი. ქალს ძალიან გაეხარა ჩემი მის სახლში გადასვლა: ესიაშოვნა, მის შვილებს რომ დავუწყე სწავლება. სამი ვაჟი ჰყავდა, მის სახლში რომ მოვთავსდი. უფროსი ვაჟი, რომლის რეპეტიტორიც მე ვიყავი, მოსამზადებელ კლასში იყო და ჩემს მათთან გადასვლამდე ვერ სწავლობდა კარგად, საკმაოდ ცუდი ნიშნები მიჰქონდა ვაჟს სახლში. დავუწყე მზადება და საქმე გამოუტყორდა. ამ ამბავსა კარგად იმოქმედა მოწაფის დედ-მამაზე, ორნივე ჩემი მაღლიერნი იყვნენ. მშობლების თანხმობით დავუწყე საგიმნაზიოდ მზადება ორ უმცროს ძმასაც, და ეს საქმეც კარგად მიჰყავდა, მაგრამ, საუბედუროდ, ერთი მათგანი მზადების შუორე წელიწადს ქუთნორუმამ გამოასალმა წუთისოფელს; მეორემ კი დაიჭირა გამოცდები და პროგიმნაზიის მოამზადებელ კლასში მიაღებინა თავი.

იმ ოჯახში საქმელ-სასმელი საკმაოდ მქონდა. ლევან გეგლაშვილს ვიღასთანაც საზიაროდ სამიტიროდ ღუქანი გაეხსნა ქუთაისში და იქვე საღილების ძლევაც დაეწყო. იმ დღეებთან მიჰქონდა პური, ღვინო, ხორცი და სხვა სანოვავე. ღვინის სმა უყვარდა და სურდა მეც მესვა. კულით რომ დაღუვდა, მეც მისხამდა და მოთხოვდა, უსათუოდ დამელია. ტიპიური იმერელი იყო: ლაპარაკით. ოხუნჯობით, მიხვრა-მოხვრით, ხელების ქნევით. ლევანს მთელი ქუთაისი იცნობდა: დარდიანდობის სახელი ჰქონდა მოპოვებული. მაგრამ ოჯახში ხაიათი არ უყარგოდა. მიჭიკინი მოსდგამდა, ცოტა რამეზე წაკიდება იცოდა. მაგრამ ირინე. მეუღლე მისი, დიდი მომთმენო ადამიანი იყო და ქმარს არ უხიზღებოდა. ლევანი ხშირად ბავშვებსაც უწყებოდა, ზოგჯერ უშიზღოდაც. ამ ამბავსა მე მხოლოდ მამზირალი ვიყავი, სხვა არაფერი; დავიარებოდი მოსე კალანდარიშვილთან და მთელ დღეს ემეცადინებოდი. მოსეს თანდათან იმედი მოეცა: აღარ ეპარებოდა ეჭვი ჩემს უნარიანობაში და სჯეროდა, რომ მოვემზადებოდი გიმნაზიის მეთავე კლასისათვის.

ჩემი მეცადინეობა წარმოებდა იანერიდან 15 ივნისამდე: იმ რიცხვიდან მოსწავლეებს კანიკულები ეწყებოდათ. მოსემ და მე მოვილაპარაკეთ, კანიკულე ბიხას ბინა დამეღო ს. მაკვანეთში, ბიცოლაჩემთან. ერმილე ნაკაშიძის დედასთან, იქიდან მევლო მაკვანეთშივე მცხოვრები მოსეს დედ-მამის სახლში და ამგვარად განმეგრძო ჩემი მეცადინეობა მასთან.

ჩემმა ძმამ ნიკომ ჩემი ფულიც თავის თავს დაახარჯა და მოსე კალანდარიშვილს ჩემი მომზადებისა არა მისცა რა. მაგრამ მე ჩემს მომამზადებელს ვუთხარი. ჩემი ფული ფული კიდეც მაქვს ჩემ ავეკუნთან, მივალ ლეხოურში და იქიდან მოგიტან მეუჭი.

ქუთაისიდან ერთად გავემზავრეთ კანიკულების დაწყებისას მე, მოსე კალანდარიშვილი და ერმილე ნაკაშიძე. პირადად მე ჯერ ლეხოურს მივმართე: იქ ერთ-ორი კვირა დასვენებისათვის უნდა მიმეცა თავი და შემდეგ კი წავსულიყავი მაკვანეთში ბიცოლაჩემთან, რათა დამეწყო მეცადინეობა მოსესთან. მაგრამ ერთმა შემთხვევამ სულ ამირია დავთრები და წინდაწინ საკანიკულოდ გამომეშვეებულ გეგმა მეცადინეობისა ჩამეშალა.

ადრეც აღვნიშნე, რომ ჩვენ. ძმათა შორის შუალა, ვარლამი ქალაქ ეორონეთის კადეტთა კორპუსში იქნა მიღებული. სახლიდან რაკი გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა, აღარავს გახსენებია მისი ამბავი და აღარც კუთვნილი ფული მიუწოდებიათ მისთვის; მასთან მიწერ-მოწერასაც არა ჰქონია ადგილი. ამ ამბავს ბოლო მოუღო კორპუსის დირექტორის წერილობითმა განცხადუ-

ბამ: იგი იძლეოდა ცნობას, კადეტს ვარლამ თაყაიშვილს ხელმეორე გამოცდი აქვს ამა და ამ საგნებში, თუ დაიჭირა ხომ კარგი. თუ არა და ან სახლში უნდა დაბრუნდეს, ან უბრალო ჭარისკაცად შევიდეს სახმელრო სამსახურში დირექტორი ეკითხებოდა ჩვენს აპეკუნს: რას ისურვებთ, თუ გამოცდები ვერ დაიჭირა ვარლამ თაყაიშვილმა, მის სახლში დაბრუნებას თუ შესვლას სამხედრო სამსახურში უბრალო ჭარისკაცად? აპეკუნმა მისწერა, უბრალო ჭარისკაცად შევიდეს სამხედრო სამსახურში. მაგრამ ვარლამს გამოცდები დაუჭირა და შემდეგი კლასისაკენ გზა გახსნოდა. ამის შემდეგ კიდევ მივიწყვეს ის ჩემი აზრი. მისი ამბისა კიდევ კარგახსობაზე არაეინ არა იცოდა რა და სწორედ მაშინ, როცა მაკვანეთში უნდა გადავსულიყავი სამეცადინოდ. ყველასათვის სრულიად მოულოდნელად, ლუბოურში გაჩნდა თვით ვარლამი: კადეტთა კორპუსის კარგად დაემთავრებინა და პეტერბურგის სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელში დაენიშნათ უმაღლეს სწავლის მისაღებად. წამოსასვლელი ფული ვარლამს კერძო გაკვეთილებით ეშოვა. ჭერ ფოთი მონახულბინა და იქიდან კი შეკვეთილისაკენ გადმოედგა ბიჭი. იქ საბაჟოში მსახურობდა გიორგი თაყაიშვილის ვაჟი, ერმილე თაყაიშვილი და ვარლამიც მასთან მისულიყო. სიხარულით მივლო ერმილეს თავისი, კორპუსდამთავრებული სახლიკაცი და ლუბოურში წამოვეყვანა. ჭერ თავის სახლში მიეწვია და მეორე დღეს კი ჩვენკენ გამოეწვივნა—ბიძის ჩემის ერდიშელ თაყაიშვილის ოჯახში, სადაც ეცხოვრობდით მე და ჩემი უფროსი ძმა და აგრეთვე მამიდა მაცა.

ვარლამის მომყვანა ჩვენთან გახუმრება მოესურვებინა და პირდაპირ კი არ გვითხრა, ვარლამი მოგვიყვანეთო, არამედ თავისი თანამგზავრი ვარლამის ამხანაგად გვამყვანო: იქიდანაა წამოსული, სადაც ვარლამია და მისი ამბის გადმოსაცემად გვეწვია აქო. წლებს გაეარნა. რომ ბავშვობიდან ჩვენგან დაშორებული ჩვენი ძმა არ გვენახა და ადვილი შესაძლებელი იყო, ვერ გვეცნო: ძალიან გამოცვლილი გამოიყურებოდა. მაგრამ მამიდაჩემი მაცა მიხვდა, რომ ერმილე გვატყუებდა, რადგან ჩემ ძმას სახეზე ცოტა რამ ძველი იერისა მინც შერჩენოდა. მამიდაჩემმა დაინახა ეს ცოტა რამ ძველი. აყოცა ვარლამის ამხანაგად გამოცხადებულს ვარლამს და ერმილეკაც ბოლოს ვარლამად გვამცნო თავისი მოყვანილის ვინაობა. ყველა ჩვენგანს სიხარული დაუეფლა: ყველა აღტაცებას გამოსთქვამდა. რომ ვარლამს კარგა დაემთავრებინა სწავლა და მოხერხებინა თავისი მოპოებული ფულით შინ დაბრუნება. ერთი რამ იყო მხოლოდ, გულნაკლულობას რომ იწყევდა ჩვენში: ჩემი ძმის გარუსება. ვარლამს ქართული მთლად დაპეწყებოდა, თუმცა ბავშვობის ამჟებები და თავგადასავალი კარგად ახსოვდა.

ბიძაჩემის ოჯახში რუსული ჩემს გარდა არაეინ იცოდა. ამიტომ ვარლამთან ლაპარაკიც მხოლოდ მე შემეძლო და მაკვანეთში აღარ გამიშევა: „უშენოდ რა ჭკნათ, როგორ ველაპარაკოთ ვარლამსო?!“ მეც იძულებული გავხდით. ლუბოურში დავრჩენალოყავი და მეცადინეობა აღარ გაპეგრძელებინა: მთელ ზაფხულს თარჯიმანობას ვეწეოდი. მხოლოდ ერთხელ მივედი მოსესთან. ფული მიუეტანე, რაც კი მემართა. ჩემს მომამზადებულს ციება დამართოდა და მისელა ძალიან იამა ავადმყოფს. თქმა არ უნდა ფულის მითანაც იამა. ეუამბე. რა გარეუბამაშიაო ვიყავი ჩაეარდნილი. რას ვიზავლით ან ის. ან მე? ჩემი საქმე შეფერხებული იყო!

აგვისტოს დამლევს ვარლამი პეტერბურგის გზას უნდა ვაადგომოდა. რაკი საარტილერიო უმაღლეს სასწავლებელში ამირობდა შესვლას. საამი-

სოდ ფული სჭირდებოდა. მიიღია აგვისტო და ჩვენმა აპეკუნმა სიმონ გო-
თუამ გამოგვიცხადა: ახლა, რაკი სამივე ძმას თავი ერთად მოგიყრიათ, მო-
ილაპარაკეთ ერთმანეთში და ამიერიდან თქვენ თავს თვითონვე მოუარეთ,
ჩემგან ანგარიში ჩაიბარეთ და აპეკუნობიდან გამთავისუფლდეთო. მართლაც
მოგვცა სრული ანგარიში და გამოირკვა, რომ ჩვენ, ძმებს დაგვრჩენოდა ფუ-
ლად სულ სამასი მანეთი, რომელიც თანაბრად განაწილდა ჩვენ შორის: ჩემი წი-
ლი ასი მანეთი სიმონ გოთუასვე მიებაბარე, ჩემმა ძმებმა კი თავიანთი ქუთინილი
წილი თვითონ ჩაიდონ ჯიბეში. ვარლაშიც გაუღდა თავის გზას. ფოთამდის მიე-
ცილეთ, იქიდან სევასტოპოლში გაემგზავრა, სევასტოპოლიდან კი პეტერბურგს.

ვარლამი რომ მივაცილეთ ფოთამდე, ისევ ლეხორში დაებრუნდი. ერთი
კვირის განმავლობაში ვმეცადინეობდი მარტოდ-მარტო: მინდოდა ცოტა რა?
მანც გაბზენებოდა იქიდან, რაც მესწავლა და გამეცლო. ერთი კვირის შემ-
დეგ კი დაებრუნდი ქუთაისს და ისევ გვეგლაშვილის ოჯახში დავბინავდი.
მე და ერმილე ნაკაშიძემ მოვილაპარაკეთ, თუ როგორ შეესულიყავი გიმნაზი-
აში. ლათინურში მესამე კლასისათვის მომზადებული არ ვიყავი, მაგრამ იმე-
დი მქონდა. რომ სხვა საგნებში გამოცდებს დაიჭერდი. ერთილემ მითხრა. შენ
თუ მაგას შეძლებ, ლათინურისა ნულარ გეშინიან, იქ მანც ყველა „შპარ-
გალით“ სარგებლობს; რასაც მოგცემენ წერაში სათარგმნელად, პირადად
ვე მცოდნე კაცს გადაგიტარებინებ და „ნაღზირატელი“ ანტონ აბულაძე მო-
გიტანსო; ყველა ასე შერება და შენც ასე უნდა ქნაო. ანტონ აბულაძე მარო-
ლაც მუდამ ეხმარებოდა შეგირდებს, „შპარგალეებს“ ურიგებდა და როცა
დაინახავდა ან დირექტორს ან ინსპექტორს მოწაფეებისაყენ წამოსულს, ჩაი-
ლაპარაკებდა ხოლმე მოწაფეების გასაგონად: „მგელი მოდისო“, რაც ნიშ-
ნავდა. „ფრთხილად იყავით, დასამალი დამალეთო!“.

ერთილეს სიტყვებით დაიმედებულმა გიმნაზიის დირექტორს წერილ-
ობით მივმართე: მესამე კლასში შესასვლელად ეთხოვდი გამოცდებზე დაშვე-
ბას. მაშინ დირექტობდა ლევანდა.

— ჭერ არ ვიცი, გვექნება ვაკანსია (ე. ი. ადგილი) თუ არა მესამე კლასშიო! —
პიპასუხა დირექტორმა. — ეს გამოირკვევა ორი კვირის უკან და მაშინ მოდიო.

იმ ორი კვირის გავლის ლოდინში მე ძალიან მუყაითად ვიშეცადინე.
დღესა და ღამეს ვასწორებდი. ლათინურშიც კი შევეცადე მესწავლა რამე, მო-
წაფეები მოვიშველიე. გავიდა ორი კვირა და მივედი დირექტორთან, მაგრამ
პირში ჩალაგამოვლებული დავრჩი: გამომიცხადა. საბოლოოდ გამოირკვა,
რომ ადგილი აღარ გვაქვსო, თან კი დაურთო, გუშინ ენახე პროგიმნაზიის ინ-
სპექტორი იულინი და იმან-მითხრა, ჩვენა გვაქვს ადგილიო; მიდი პროგიმნა-
ზიაში და იულინი უსათუოდ დაგიშვებს გამოცდებზეო. მე მანც ჩემსას შევე-
ცადე და ვუთხარი დირექტორს: გიმნაზიაში მინდა შესვლა და არა პროგიმნა-
ზიაში, გიმნაზია ჩემთვის უფრო ხელსაყრელია სხვადასხვა გარემობის გა-
მო-მეთქი. მაგრამ ჩემმა თქმამ ვერ გასჭრა. ლევანდა ისევ ცივი უარით გა-
მიმასპინძლდა, ვერაფერს მოგიხერხებო. ეს აშბავი რომ გაიგო ერთილე ნაკა-
შიძემ, თავზედა ხელი შემოიკრა, დალუპულხარ, პროგიმნაზიაში იულინთან
რყოი სინასტიკა გაუფლებელი, რომ ჩვენი მე-5 კლასის მოწაფე რომ მიიყ-
ვანო იქა, მე-3 კლასში ისიც კი ვერ დაიჭერს გამოცდასაო! მე კი მეტი ჩარა
არა მქონდა. უნდა უთუოდ მიესულიყავი პროგიმნაზიაში და მივედი, შევიტა-
ნე თხოვნა. ლათინურს გარდა დანარჩენი გამოცდები საკმაოდ კარგა დავიჭირე.
ლათინურის მასწავლებელი იყო ლევიცი, რომელიც ენის კარგ მცოდნე ითვ-

ლბოდა. ჯერ წერაში მქონდა გამოცდა, ტექსტი უნდა მეთარგმნა. ლევიციმ იხეთი ძნელი სათარგმნელი რაღაცა მომცა, რომ თვით ჩემი მასწავლებელი მოსეც კი თავს ვერ აართმევდა. 11 საათზე დაიწყო წერა, იუღინისა და სხვა მასწავლებელთა თანდასწრებით, და 2 საათამდის თავი არ ამილია. 2 საათზე მიიბრუნეს, კმარა ახლა კიო, და გამომართვეს, რაც დამეწერა. გადახედა ჩემ ნაწერს ლევიციმ და სახე დაიღმპი: ასეთი ჩვეულება ჰქონდა თურმე, როცა რავეს არ მოიწონებდა ხოლმე. ახლა ზეპირში დამიწყეს გამოცდა და ზოგ რამეში გვარიანად ვუბასუბე, მაგრამ მაინც გამომიცხადეს, ლათინურში სრულიად. მოუზადებელი ხარო. იუღინმა მკითხა, ვინ გასწავლიდაო? მე-5 კლასის მოწაფე-მეთქი, მივეუბე შემკითხველს, მოწაფის გვარი კი არ დამისახელებია.—აბა, მე-5 კლასის მოწაფეს როგორ შეეძლო შენი მოზადებაო?—მიიბრუნა იუღინმა და მიმართა მასწავლებლებს: ამ ყმაწვილს სამაზრო სასწავლებლიდან მიღებულ მოწმობაში კარგი ნიშანი ჰყავს, სხვა საგნებშიაც საკმაოდ მოზადებულია, მაგრამ მაგისი ლათინურის ცოდნის მიხედვით მე-3 კლასში ვერ მივიღებო; ეტყობა კი, რომ სწავლის ნიჭი მოსდგამს, წლოვანებაც ხელს არ უშლის, მხოლოდ მე-14 წელიწადში აქვს ფეხი გადადგმული და მე-2 კლასში შეუძლია დაიწყო სწავლაო. მასწავლებლებმა მხარი დაუჭირეს ამ აზრს და იუღინმა გამომიცხადა, მე-2 კლასში ხარ მიღებულიო. მეწყინა, მაგრამ მეტი რა ღონე მქონდა? დაეთანხმდი მე-2 კლასში შესვლაზე.

მეორე კლასში ლათინურს თვით ინსპექტორი იუღინი გვასწავლიდა.

სწავლა არ მიჭირდა და იუღინიც ერთ საუკეთესო მოწაფედ მთვლიდა.

გვიდა ერთი თვე და სწავლის ფული მთხოვეს: ნახევარი წლისა უნდა გადამეხადა, 6 მანეთი. ფული არც მე მქონია და არც ჩემს ძმას, ასე რომ გადაუხდელი მრჩებოდა. დირექტორმა მიიბრუნა, რა კი ფული ვერ შემოგაქვს, უნდა დაგიბოძო; სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობაო?! ატირებული მოვედი ჩემ დიასახლისთან, ირინესთან. ვეფიქრობდი, III კლასში მწადალა შევქალა და ვერ შევედი. II-ში მოვხვდი და იქიდანაც დამიბოძო-მეთქი! დიასახლისმა მკითხა, რა გატირებო? რომ გაიგო, ფულს შეუტანლობის გამო სასწავლებელში აღარ მიშვებდნენ, მიიბრუნა: დიდი ხანია, ევაროვებ ნახევარ აბაზიანებს და აბაზიანებს, მაგრამ არ ვიცი, გამოვა თუ არა 6 მანეთიო? დაეთვალეთ; თუ გამოვა ექვსი, წაიღე და შეიტანე სწავლის ფულად, თუ არა და ლევიანსა ვთხოვე მეტე, იქნება იმან მოგვეცესო. მოიტანა „ჰინჰში“ გამოხვეული რუსულ-ქართული ნახევარაბაზიანები და აბაზიანები. იმ ფულს. უკვე იშვიტათს, ჯერ კიდევ იღებდნენ. გვარიან გროვას წარმოადგენდა ირინეს შენახული ფული: დაეთვალე და 6 მანეთზედ მეტოც კი აღმოჩნდა. გამოვახვიე „ჰინჰში“ 6 მანეთის ოღენობა და მივეტანე იუღინს. მაგიდაზე რომ დავუყარე ჰინჰით მიტანილი ქართულ-რუსული ვერცხლის ფული, თვალები გაუფართოვდა. გაიოცა. „Это целая нумизматика“ —, წამოიძახა პროგიმნაზიის დირექტორმა და მკითხა, სად იშოვეო? ჩემმა დიასახლისმა მასესხა-მეთქი, მივეუბე შემკითხველს. იუღინი დარწმუნდა, რომ ღარიბი ვიყავი...

ამრიგად, ნასესხები ფულის წყალობით დაიწყო პროგიმნაზიაში სიარული. ორი კვირის უკან, გავეითებების შემდეგ, იუღინმა მიიბრუნა, შენ ალბათ ღარიბი ოჯახიდან ხარო?!—ღიას, ღარიბი ოჯახიდან ვახლავარ-მეთქი—მოვასხენე ჩემი ქონებრივი მდგომარეობით დაინტერესებულს—არც დედა მყავს და არც მამა-მეთქი!—რა კი აგრეაო, სთქვა იუღინმა, წარმოადგინე სიღარიბის მოწმობა, სწავლის ფულიდანაც გაგათავისუფლებთ და ყოველთვიურად 8 მანეთს დახმარებასაც მოგცემთ!

მიუწერე ჩვენებს, რომ სიღარიბის მოწმობა მოეწოდებინათ ჩემთვის. უნდა აღთო მაზრის მარშლისაგან. მოწმობა ერთი თვის უკან მომივიდა, წარვეუდღინე პროგიმნაზიას და იმ დღიდან სწავლის ფულისაგანაც გამათავისუფლეს და თვიურად რვა მანეთიე მამლიეს დახმარებად. ეს დახმარება გიმნაზიაში გადასვლისასაც თან გადმომყვია. 8 მანეთი მაშინ კარგი ფული იყო ღირსათვის. ამ დახმარებით სული მოვიტყეი: 4 მანეთს ვაძლევდი იმას, ესთანაც ვცხოვროვდი და ერთი იმდენი კიდევ მრჩეოდა ჩემი თავის შესაძლესად და წიგნებისათვის. შევიცერე ბლუზა-წაღები და საცვლები და, რასაკერველია, ჩემ ღიასახლისაც დაეუბრუნე ნასესხები ფული. ის რვა მანეთიანი მოვამ: ქუთაისის პროგიმნაზიაში ჰქონდათ პანსიონი, რომელიც დაახლოვებით 15 სულს იტევდა მხოლოდ. თუ პანსიონში ადგილი აღარ მოიპოვებოდა, მაშინ იქ შესვლის უფლებებს მქონეს ხელთ აძლევდნენ ხოლმე 8 მანეთს თვიურად და სწავლის ფულიდანაც ათავისუფლებდნენ. სწორედ იმ წესმა გამოიყენა გაჭირვებისაგან: იუდინი პანსიონში შესვლის უფლებებს მქონდა და პანსიონში არ მოხვედრილის უფლებით გამიმასპინძლდა. აშკვარად, ჩემი პროგიმნაზიაში მოხვედრა ჩემთვის სასიკეთოდ იქცა: თავიდანვე გიმნაზიაში რომ შეუსულიყავი, ეს დახმარება არ მექნებოდა.

იუდინი მკაცრი აღმინისტრატორი, მაგრამ ძალიან პატიოსანი ადამიანი იყო. პროგიმნაზიის საქმეს მშვენიერად უძღვებოდა: მის ხელში სასწავლებელი წარმატებით მიდიოდა წინ, როგორც სწავლის მხრივ, ისე ზნეობით, მაგრამ აღი პედანტობა კი მოსდგამდა იმ ადამიანს კანონების ასრულებაში. მოწაფეს იუდინი არავითარ დანაშაულს, წერილმანსაც კი, არ აპატიებდა ხოლმე: კანონს მისდევდა მულამ. მახსოვს ასეთი შემთხვევა: პროგიმნაზიის პანსიონში იმყოფებოდა ერთი რუსი მოწაფე, დიდი ნიჭიერი ვინმე და საუკეთესოდ მოსწავლე; პირველობდა ჩვენს კლასში. იუდინიც დიდი სიყვარულით ეყვარებოდა იმ ყმაწვილს, ხელს უწყობდა ყოველ კაი საქმეში. მაგრამ მოხდა ერთი ამბავი: იმ მოწაფემ გაყიდა თავისი ძველი პალტო, სულ ერთ თუ არ თუზნადა; იუდინმა გაიგო თუ არა ეს, პალტოს გამყიდველი პანსიონიდანაც დაითხოვა და სკოლიდანაც, მერძე კი შემოიარა ყველა კლასი და მოსწავლეთ გასწავლდა, ძლიერ ენანობ, რომ ასეთი საქმე დაემართა იმ მოწაფეს, მაგრამ ყოველად შეუძლებელი იყო ჩემთვის, რომ სხვანაირად მოეცეყოლიყავი. სახელმწიფო ქონების გამყიდველი უსათუოდ უნდა დამესაჯა. დამეთხოვაო! იუდინმა ამ გამოთქმით გაგაფრთხილა, რომ არავის ჩვენგანს არ გაუბედნა ისეთივე საქმის ჩადენა.

მკაცრად ეყვრობოდა იუდინი მასწავლებლებსაც. თუ ვისმე ჰპოვანს მიუთენებელი საქმისათვის შეუფერებლად ჩასთვლიდა. მაშინვე ადგილიდან ხსნიდა, დაითხოვდა ხოლმე. მოწაფეების ყოველ გამოცდას ესწრებოდა და თუ დაინახავდა, რომ რომელიმე მასწავლებელი ცდილობდა ვინმე მოწაფეს წაქშევლებოდა გამოცდაში, წამშველებელს უშენიშნოდ არ დასტოვებდა. პროგიმნაზიას იუდინის დროს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. როდესაც ვიგნაზიაში ვადავდიოთ, ხშირად ზოგიერთი იქაური მასწავლებელი გვეტყობდა ხოლმე: „Как вам не стыдно так ошибаться, вы же прогимназист Юдинских времен?!“

პროგიმნაზია მე და ჩემმა ამხანაგებმა გავათავეთ იუდინის დროს, მაგრამ ჩენი იქიდან წასვლის უკან იუდინსაც აღარ დაუხანებია: კლექი ჰქონდა და

ავადყოფობამ ხანგრძლივი შეებულება ააღებინა, მაგრამ დიდხანს აღარც უტოცხლია. წალე მოულო სიქლექემ ბოლო.

იუდინის მერმე პროგიმნაზიის გამგეობა დავალებული ჰქონდა ლევიციის. ეს ის ლევიცი იყო, რომელიც შემდეგ ელიზავეტპოლის გუბერნიაში სახალხო სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნეს და რომელმაც ეგრეთ წოდებული „მუნჯური მეთოდი“ შემოიღო და იმ მეთოდით ქართულ-რუსული სახელმძღვანელოც შეადგინა. „მუნჯური მეთოდი“ თაობაზე დიდი მწვავე წერილები იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთებში, მაგრამ იგი რომ არ ექიპონით სახეში, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ლევიცი არ ყოფილა ურიგო მასწავლებელი, კარგი კაცი იყო და კეთილი. პროგიმნაზიაში ისტორიასა და გეოგრაფიას გვასწავლიდა. მახსოვს, როდესაც ახალ ისტორიაში საქართველოს რუსეთთან შეერთებას მივადექით, ლევიციის ბევრი შეკითხვა მივეციით და ვთხოვეთ, დაწერილებით აეხსნა ჩვენთვის ის ხანა. მან გვიპასუხა: თქვენ ისეთი შეკითხვებით მომმართეთ, რომლებშიაც ჭერ მე თვით არ გავრკვეულვარ და რომლებიც არც შედის ჩვენ სასწავლო პროგრამაში, მაგრამ რაიც შეერთების ხანა თქვენ გაინტერესებთ, მაცადეთ, გავრკვევი თქვენ მიერ მოცემულ კითხვებში და გერმევაგინარტავო. მართლაც და ორი კვირის უკან ლევიციმ საკმაოდ დაწერილებით და ობიექტურად გადმოგვცა, ორ გაყვეთილზე, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორია.

7. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში

ქუთაისის პროგიმნაზიიდან ქუთაისის გიმნაზიაში ჩემი და ჩემი ახხანაგების გადასვლისას, ამ უკანასკნელის დირექტორი ლევენდა სადღაც გადაიყვანეს და დროებით გამგელ დანიშნეს გიმნაზიისეე ინსპექტორი ვანდალოვსკი. გიმნაზიაში შესვლის მსურველნი ვიყავით სულ ხუთი პროგიმნაზიელი: პროგიმნაზია II კლასში ჩემი ყოფნისას 35 მოწაფე სწავლობდა, მაგრამ IV კლასამდე ყველას არ მიუღწევია. IV კლასი დაეამთავრეთ მხოლოდ რვა ნოწაფემ, რომელთა შორის იყო ხუთი ქართველი: მე, იოსებ დადიანი, შარუხია, ლეჩხუმელი გორგასლიძე და კიდევ ერთი, რომლის გვარი აღარ მახსოვს. გორგასლიძე, ხნით ჩემზე ბევრად უფროსი, ერთხელ გამოიბეჭდა, ცოლიანი ვარო; მამამ გამოიბეჭადა, იქნება დიდხანს ვერ ვიცოცხლო უცოლოდ ვერ დატოვებ და ამიტომ უნდა შეირთო, მეც გაუფრთე და შევიერთო. იმ გორგასლიძეს, პროგიმნაზიის გათავების უკან, სწავლა აღარ განუგრძია. შემდეგ ხანებში კი ელიზავეტპოლის გუბერნიაში სახალხო სკოლის მასწავლებლად იყო—მამინე. როცა იმ გუბერნიის სახალხო სკოლებს ინსპექტორობდა ლევიცი. გორგასლიძე ლევიციის ეხმარებოდა მუნჯური მეთოდის სახელმძღვანელოების შედგენაში.

ვანდალოვსკიმ გამოგვიცხადა გიმნაზიაში შესვლის მსურველებს, V კლასში თავისუფალი ადგილები არ არის და ვერ მივიღებთ, არ შემოძლიაო: დაიცადეთ, მოვა ახალი დირექტორი და ის გადასწვევებს, შესაძლებელი იქნება თუ არა თქვენი მიღებაო. სწავლის დაწყების ორი კვირის უკან მოვიდა ახალი დირექტორი, ალექსანდრე სტოიანოვი. წარუდგენით მას სულ ოთხი პროგიმნაზიელი: მე, იოსებ დადიანი, ოგანეზოვი და ერთიც რუსი, გვარი არ მახსოვს (მამამისი საღმრთო რჯულის მასწავლებლობას ეწეოდა). სტოიანოვს წარუდგინეთ ჩვენი თხოვნები და პროგიმნაზიის დამთავრების ჩვენი მოწმეო-

ბები. ამასთანავე ვანდალოვსკიმაც მოახსენა თუთის ახალ დირექტორს, თუ რატომ გვაცდევინა ჩვენ. სტოიანოვმა გადახედა ჩვენს თხოვნებს და ჩვენც გამოგვხედა. ვკითხვამ: თაყაიშვილი რომელია თქვენში? დაუფასებელ ჩემი თავი და ახლა პირადად მომმართა: ის ახალგაზრდა ოფიცერი შენი ძმა არისო? გამაყვრევა ამ შეკითხვამ და ეუბასუხე შემიტოხველს, ძმა მყავს პეტერბურგის არტილერიის უმაღლეს სამხედრო სკოლაში, მაგრამ არ ვიცი, ახლა უკვე ოფიცერია, თუ არა-მეთქი!—როგორ არაო—გავიგონე პასუხად — არისო! მე და ის ერთად მოვიდიოდით ტროიკით ვლადიკავკაიდან მცხეთამდის და მცხეთიდან კი ტფილისში წავიდა, იქ არის დანიშნული!—თურმე კავკაის სადგურში შეხვედრადნენ ერთმანეთს სტოიანოვი და ჩემი ძმა; ტროიკის მიღება მაშინ ადვილი არ იყო სადგურებში; ჩემს ძმას, ახალგაზრდა ოფიცერს, დაეწყო ფეხების ბრაგუნის და ყვირილი კავკაის სადგურის ავან-ჩავანებისათვის, ამგვარად მიიღო ტროიკა და სტოიანოვიც თან წამოუყვანა. ამ ამბის გახსენება. რასაკვირველია, ცუდად არ იმოქმედებდა არც ჩემსა და არც ჩემი ამხანაგების მიღებაზე. სტოიანოვმა მიპართა ვანდალოვსკის და უთხრა: როგორ შეიძლება ასეთი კარგი მოწმობების მქონე მოწაფეები არ მივიღოთ? მოგვიბრუნდა და გამოცდიცხდა, მიღებულენი ხართო! ყველას გულზე მოგვეშვა. ვიცოდით, რომ სხვა გომნაზიებში გავგიჟირდებოდა შესვლა: სახსარი არა გექონდა სრულიად საამისო. იოსებ დადიანიც ღარიბი იყო განაო?— იკითხავს წამკითხველი. დიახ, იყო და ძალიან ღარიბი! იუდინისაგან მასაც 8 მანეთი ჰქონდა დანიშნული სტიპენდიად.

გიმნაზიის V კლასში, საცა ჩვენ მოვხვდით, სულ 45 მოწაფე ვიყავით, რასაკვირველია, მეტწილად ქართველობა. ჩვენი ამ კლასში შესვლის წესს ქუთაისის გიმნაზიაში პირველად შემოიღეს ბერძნული ენის სწავლება. ამ ენაშიცა და ლათინურშიცა მასწავლებლად გვეყავდა ქუთაისში ახლად მოსული ჩები, გვარად რედკა, კოჭლი კაცი. საკმაოდ კარგა გვასწავლიდა. ის აღამიანი კლასის დამრავებლად დაგვინიშნეს. ლათინური ენის პირველი ორი გაკვეთილის უკან რედკამ გამოგვიცხადა: ეხლა უნდა გავიგო, თუ აითვისეთ ჩემი გაკვეთილები და გაცოდინოთ, როგორი მოთხოვნილება მაქვსო! ეურნალში ერთ-ერთი თქვენგანის სახელსა და გვარს ამოვიკითხავ, იმას გამოვეუბნებ და კითხვებს მივცემო. ჩაიხედა ეურნალში და აკი ჩემი გვარი არ ამოიკითხა! მეც გავედი და გადავუთარგმნე რედკას მის მიერ მოცემული გაკვეთილი. რედკამ ახლა გრამატიკაზე გადაინაცვლა, დამიწყო შეკითხვების მოცემა. სიტყვებისა და გრამატიკის ახსნა მომთხოვა. შეკითხვები თანდათანობით ძნელდებოდა, რედკა ყოველი წვრილმანის ახსნა-განმარტებას მოთხოვდა დიდი სიმკაცრით. ამ ჩემ გამოცდას მასწავლებელმა თითქმის მთელი საათი მოანდომა და ბოლოს კლასს გამოუცხადა: მე შემიძლია ამ მოწაფის პასუხები მხოლოდ დიდ გარკვევებით შევაფასო, დაეუსვა ნიშანი სამი და ისიც გამოკლებითაო. მე მაშინვე შევინიშნე რედკას ეშმაკური ფანდი: სურდა ეჩვენებინა მოწაფეებისათვის, თუ როგორი დიდი მოთხოვნილებით მოეპყრობოდა ყველას, მე კი გულში რედკას ნიშნის მისაგებად გავიფიქრე, ნახავ იმასაც, მასწავლებელო. ნახავ, თუ როგორ ჩემზე ნაკლებად მოგიგებენ დანარჩენები-მეთქი! და მართლაც, რედკა თანდათანობით დარწმუნდა, რომ მე სუსტი მოწაფე არ ვიყავი. ორი თვე არ გასულა იმ ჩემი დაკითხვის უკან, რომ რედკას გაკვეთილზე დირექტორი სტოიანოვი შემოვიდა და დაჭდა ჩვენთვის ყურის სადღებლად. მასწავლებელმა სტოიანოვთან ბევრჯერ შემომთავაზა კითხვები და მეც შემოთავა-

ზებულზე ჩეროვანად ვუპასუხე. სტოიანოვმა აღნიშნა ეს და სთქვა, თაყაიშვილი კი პასუხებს იძლევაო. რედაქამ თავის მხრივ დაურთო: **Да Такайшвили украшение класса!** სტოიანოვმა ღიმილით წარმოსთქვა: **Это очень приятно!** წამსვე მომაგონდა პირველი გაკვეთილები, რედაქამ რომ სამი გამოცელებით დამისვა და გამელიძა. ჩემმა ამხანაგებმა, მოწაფეებმა კი შემდეგი სიტყვებით მომართეს: გაკეთდა შენი საქმე, რომც აღარაფერი ისწავლო, მაგათ თვალში სულ მოწონებელი მოწაფე იქნებიო.

თავისი მოსვლის მეორე წლიდან ღირეკტორმა სტოიანოვმა ისტორიის სწავლება დაგვიწყო და კარგ ისტორიკოსადაც მოგვევლინა. საგნის სწავლებაში თავისი საკუთარი მეთოდით გამოდიოდა: ისტორიის არსებულ სახელმძღვანელოებს, ნამეტნავად ილოვაისკისას, იწუნებდა და არც ხმარობდა. ყველაფერს ზეპირად გადმოგვეცმდა. ერთ გაკვეთილზე რომ მოგვიყვებოდა რაიმე ისტორიულ ამბავს, მეორეზე პირველ გაკვეთილზე გადმოცემულის კონსპექტს დაგვიყვარდა ხოლმე დაფაზე და იქიდან კი ჩვენ ვიწერდით.

სტოიანოვი ფართო განათლებისა და ჩენი დროფსათვის ღიბერალური მიმართულების კაცი იყო. მეცნიერებაშიც მოღვაწეობდა: ცნობილია მისი სვანთეში მოგზაურობის აღწერა, მაშინ უკვე ცალკე წიგნადაც გამოსული. იცნობდა ჩვენ ქვეყანას: ადრე ქუთაისის გიმნაზიაში ინსპექტორად ყოფილიყო, მერმე გადაეყვანათ ჩრდილო კავკასიაში და იქიდან კი, როგორც ითქვა. ჩემი მოწაფეობისას ქუთაისის გიმნაზიის ღირეკტორად მოგვევლინა. ში, „სვანეთში მოგზაურობაში“ მოთავსებულია პირველად მისგან მოკრებილი სვანური ლეგენდები და თქმულებანი, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განხილულნი. იმ შრომას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. სტოიანოვი პირველი რუსი მოხელე პედაგოგი იყო. რომელმაც მთავრობას მოხსენება წარუდგინა იმის თაობაზე, რომ თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში უნდა შემოიღებულიყო ქართული ენისა და ლიტერატურის ჩეროვანი სწავლება.

მოწაფეებისათვისაც კარგი აღამიანი იყო სტოიანოვი: თუ კი ვინმეს ნიჭს შეამჩნევდა, ყველაფერს ნაკლს აპატიებდა ხოლმე. მას ამ შემთხვევებში როგორ შეედრებოდა იუდინი, რომელიც მოწაფეს წვრალმან უნებლიე დანაშაულისათვისაც კი სჯიდა (ამის მაგალითი ზემოთაც მოვიყვანეთ). ბევრი მაგალითი შემიძლოან დავასახელო იმისი, რომ არა ერთი მოწაფე, თავისი ყოფილი ცეცხლისა და სასწავლებლის დისციპლინის დარღვევის გამო, თავის დღეში გიმნაზიას ვერ გაათავებდა, რომ სტოიანოვის ნაცვლად სხვა ყოფილიყო ღირეკტორად⁸. წვრილმანობა არ მოსდგამდა იმ პირს და თან მთავრობისა და მზრუნველის წინაშე ღირსეულად ეჭირა თავი. თუ მათ აზრს არ იზიარებდა, არ უთმობდა არაფერს, მაგრამ მასწავლებლებს კი მკაცრად ეპყრობოდა: უყვიროდა და მკვებ სიტყვებით უმასპინძლებოდა. მასწავლებლებმა ამის გამო „სტოიანოვმა“ მონათლეს. ასეთმა ჩვენმა ღირეკტორმა ნება დაგვერთო, რომ ხილნაწერი ქართული ჟურნალი გამოგვეცა და ფულიც არ დაიწანა ამისათვის, სათანადო მარჯი ვეაძლია. ჟურნალში პატრიოტული ლექსებიც იწერებოდა, მაგრამ სტოიანოვი ამას ყურადღებას არ აქცევდა...

⁸ რად ღირს თუნდაც ის ამბავი. თუ რა ღმობიერად შეხვდა სტოიანოვი ნიკო მარის საქციელს (ქუთაისიდან კარგა ხნით თბილისში გაპარვას და გიმნაზიაში მეცადინეობის გაუდენას), რაკი გამჭოიბი და კეთილმოსურნე თვალთ სუერტდა მის უჩვეულო ნიჭიერებას, დიდ მომავალს. იმავე მოწაფისათვის სტოიანოვს არ დაუშლია არც მეორე, არა ნაკლები ახირება: გიმნაზიაში ერთი ზედმეტი წლით დარჩენა, აქაო და არა ვარ ჩეროვანდ განსწავლულიო:

IV. შოკო ნიბანი

1. ზოგი რამ ილია შავაშავაძისა და მის თანამედროვე ქართველ მოღვაწეთა შესახებ

ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე ჩემი სტუდენტობის დროს, ვგონებ, როდესაც III კურსზე ვიყავი გადასული. კარგად კი არ მახსოვს, ასე 1885 წელს უნდა ყოფილიყო. ილია ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმეზე ჩამოვიდა პეტერბურგში და ბინად ჩამოხტა ვასო მაჩაბელთან... ილია და ის ვასო მაშინ დიდი მეგობრები იყვნენ. ილია შვილებს უნათლავდა. ვასო ნაფიცო ექვლი იყო. ადვოკატი თავად მინგრელსკისა, რომელიც მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა. ვასო ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა ხოლმე ხელმოკლეთათვის ფულის შესაკრებლად სალამობის მოწყობაში. ერთი ასეთი სალამოს შემოსავალი, სამი ათასი მანეთი სტუდენტებს ვასილის თანხმობით გადაეღოთ, როგორც ხელუხლებელი თანხა და ხუმრობით „ღარდუბლის კოდობანი“ დაერქვათ მოსთვის. ის ფული თვით ვასომ მაჩაბელს ჰქონდა მიბარებული. იმ წელიწადს ვასილმა გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება, თავისი სახლის ლიკვიდაციას აპირებდა (შგონი, ნევის პროსპექტზე ცხოვრობდა) და წინადადება მოგვცა სტუდენტებს, იმ თანხასაც თან წაეღებ და შესანახად გადაეცემო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარეც ილია ჭავჭავაძე არისო. სტუდენტებმა არ მიიღეს ეს წინადადება და მოითხოვეს. ფული პეტერბურგში დაეტოვებინა. მაშინ მაჩაბელმა უთხრა. წარმოჰადგენელი გამოგზავნეთ და ილია ჭავჭავაძის თანდასწრებით გადაეწყვიტოთ ეგ საქმეო. სტუდენტობამ აგვიჩაია და გაგვაგზავნა სამი კაცი: მიხაკო ლვლიცი [შლდლიაშვილი. გ. ლ.] (შემდეგ ჩვენი სენატორი რომ იყო); ალექსანდრე ლორთქიფანიძე (მერაბის ძე, იასონისა და მჭურალ) ნიკოს უფროსი ძმა, იურისტი, მერე ქუთაისში ბანკირად იყო) და მე. მივედით ვასო მაჩაბელთან და ილიაც გამოვიდა და გაგვეცნო. ილიას პირველად მაშინ შეეხედი და მისი დანახვისთანავე გამახსენდა. ძალაუბრებურად, ჩემი ნათესავის კონფია თაყაიშვილის ნათქვამი ილიას გარეგნობის შესახებ. ეს თაყაიშვილი მეფის „კონოი“-ში მსახურობდა უწინ, ალექსანდრე მეორის დროს; ახლო კავშირი ჰქონდა ქართველ სტუდენტობასთან, დიდი ლიბერალი და თან პატრიოტი კაცი იყო; კარგად იცნობდა ახალ ქართულ ლიტერატურას და თავყანსა სცემდა ილიას, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს; ძალიან კარგად გვიკითხვოდა ხოლმე მის „კაცია აღამიანს“, „გლახის ნაამბობსა“ და სხვა ნაწარმოე-

⁹ ჩაწერილია კარნახით, 1950 წლის 26/1, 27/1, 9/11, 10/11, 13/11, 17/11, 20/11, 21/11, 4/11. შიგა და შიგ ჩართულია ზოგი ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოგონება თუ შენიშვნა. ჩვენით ჩაწერილი, ავტორთან ერთად მისი ნაშრომების გამოსაცემად გამზადებაზე მუშაობისას (1948—1952 წწ.).

აქაც და ქვემოთაც სქოლიოები. თუკი სხვა ინიციალები არა აქვს ქვეშ მოწერილი, ეკუთვნის გ. ლომთათიძეს.

ბებს. ილია დიდხანს არ ენახა პირადად, მხოლოდ ერთხელ მოეკრა თვალი ქუთაისის ბულვარში, სხვებთან ერთად, და დასდევნებოდა, რომ კარგად დაეთვალე რებიანი. მეტე ვეითხრა: „მრავალი ტანითა და სისრულით მის მიერ აღწერილ თათქარიძეს ჩამოგავს, მაგრამ თვალები კი შესანიშნავი აქვსო“.

შეგვექმნა მსჯელობა „დარღუბლის კიდობნის“ გამო. ილია დიდხანს გვესაუბრა წერა-კითხვის საზოგადოების მიზნებისა და მათი განხორციელების გზების შესახებ და ბოლოს გვიჩიო, თანხა იმ საზოგადოებისათვის გადაგვეცა — თუ შეწირულობად არა, შესანახავად მიანიც. „აქ ეგ ფული უსათუოდ შემოგვხარჯებთ. ან არა და, ქართველების ჩვეულებისამებრ. აიშლებით. დიშმულებით და დაგეკარგებთო!“ აზრთა ხანგრძლივი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შევთანხმდით, რომ ფული შესანახავად გადაეცემოდა წერა-კითხვის საზოგადოებას. ვასილ მაჩაბელმა პირადად წამოიღო თანხა, თბილისში რომ წამოვიდა. და დანიშნულებისამებრ ჩააბარა კიდევ. ოლონდ. ეტყობა, არ მოუთხოვია იმ თანხის ხელშეუხებლობა და საზოგადოებას ფული თავისი მიზნებისამებრ მოეხმარა. ყოველ შემთხვევაში, ჩემ დროს საზოგადოებას აღარ გააჩნდა ასეთი, ხელუხებელი თანხა.

უნივერსიტეტი რომ გავთავე, თბილისში ჩამოვედი და ლათინური ენის მასწავლებლად დავედქე სათაუდაზნაურო სასწავლებელში, რომელსაც მაშინ ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე განაგებდა (ქუთაისშივე, გიმნაზისტობისას ჩემი კარგად ვცნობი). ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ამბავი მოვიდა. სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანი მოკლესო. ეს იყო 1887 წლის 24 ოქტომბერი. ამან. რა თქმა უნდა, თავზარი დაგვცა ყველას და მთელი ქართველობა ააღელვა. გადაწყვიტეს, ჩამოესვენებინათ ცხედარი და საკადროსი პატივით დაეპარახათ მთაწმინდაზე. ამის მოსაწყობად შედგა კომისია, რომელშიც, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეც დიდ მონაწილეობას იღებდა.

მთავრობის მიერ დაყრილი ხმა. ვითომც დიმიტრი ყიფიანი გამარცხის მიზნით მოეკლა, არაფერს არა სჯეროდა: ყველა დარწმუნებული იყო. რომ იგი რუსული ხელისუფლების აგენტების მიერ იყო მოკლული.

კომისიაში ამირჩიეს მეც. ვინ დამსახულა, აღარ მახსოვს. მაგრამ საერთოდ მაშინ უკვე ყველა ასეთი კომისიებში მასახლებდნენ ხოლმე. იმიტომ, რომ ცოტა იყო ასარჩევი ადამიანები. კომისიაში სულ თხუთმეტი კაცი იქნებოდა, მაგრამ ამასთანავე დამხმარეც აუარებელი გვყავდა. შევიმუშავეთ დაკრძალვის გეგმა. ჭირისუფლობა იყისრა განსვენებულის ნათესაშმა დავით ყიფიანმა — ცნობილმა მოღვაწემ და კარგმა კაცმა; თბილისში დიდად მიღებულმა ნოტარიუსმა. ილია ჭავჭავაძის. ივ. პოლტარაკის. ალ. ჭაბადარისა და სხვათა შეგობარმა. ოფიციალური მიმოწერა, ნებართვის მიღება და სხვა ასეთი რამეები სულ მას დაეკისრა. მართალია, დიმიტრის ვაჟი დარჩა. კოტე, მაგრამ ის ვერ გაართმევდა თავს იმდენ საქმეს და თან პრესტიჟისთვისაც სჯობდა დავითისათვის დავალება იძებნისა.

რასაკვირველია, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დეპუტატები და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. ყველანი სამგლოვიარო ლენტეხით შემოსილნი (მკლავებზე გაგიკეთეს) დავხვდით ცხედარს ვერაზე, ჭვართან¹⁰. იქიდან დაიწყო პროცესია. კომისიის გეგმით, ცხედარი უნდა გა-

¹⁰ იგულისხმება ის ჭვარი. რომელიც აღმართული იყო მდ. ვერის პირას. დაღმართზე, სადაც 1837 წელს ეტლი გადაბრუნებოდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს, საქართველოს

მოგვეტარებინა გოლოვინის პროსპექტით¹¹ ერევნის მოედანამდე¹², მერე უნდა აგვებვია სოლოლაკის ქუჩაზე¹³, მერე პეტრე დიდის ქუჩაზე¹⁴ და ისე უნდა აესულიყავით მთაწმინდაზე. პოლიცია, რააკვირეელია, გამრავლებული იყო და ფეხზე იდგა.

დაძრა პროცესია, დავით ყიფიანის მეთაურობით. როგორც კი მოვე-ახლოვდით გრიბოედოვის ქუჩის ასავალს. პოლიცია გადაგველომა და გამოგვიცხადა, რომ პროცესია გრიბოედოვის ქუჩით უნდა წავიდეს. შეიქნა ერთი ჩორჭოლი, ხალხი წინ მიმძვავალთ მიაწვა. ამასობაში ნიკო დიანაძემ, რომელიც წაბლსფერ ტაიჭზე იჯდა ქართულად ჩოხაში გამოწყობილი, ცხენდაცხენ გა-არღვია პოლიციის რაზმი და გასწია წინ. დავით ყიფიანიც მას გაჰყვა. პოლიცია წინ გადაუდგა სამღველოებას, რომელსაც მიუძღოდა ცნობილი ქართ-ველი პატრიოტი, ბერი, ეპისკოპოზი ალექსანდრე ოქროპირიძე. ის საერთოდ თითქოს არ იყო გამბედავი კაცი, მაგრამ აქ კი ნამდვილად გამოიჩინა გამპე-დაობა. პოლიციის რაზმის მეთაურმა უთხრა: „Ваше пресвященство, прика-зано по Грибоедовской улице направить процессию!“ ალექსანდრე არ შედრ-კა და მიუღო: „Меня пригласили родные покойного, куда они последуют, и я за ними!“-ო და განავრძო გზა. შემოსილი მღველომთავრის შეჩერება პოლი-ციამ ვეღარ გაბედა, თან ხალხიც მიაწვა, გაარღვია პოლიციელთა წყება და მედვრად გასწია წინ. მთელ პროსპექტზე გაიმართა უზარმაზარი პროცესი. სასახლეს რომ მივეახლოვდით, განგებ შეაჩერეს ცხედარი და მიცვალებულს ლოცვა გადაიხადეს, დემონსტრაციულად. სასახლიდან არავის გამოუხედავს. მა-შინ მთავარმართებლად იყო დონდუკოვ-კორსაკოვი. ამბობდნენ, რომ იმ დღეს ის არ იყო სასახლეში, თავისი ცოლის პანაშეიღზე წავიდაო ზემოთ. წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის ეკლესიაში.

სასახლიდან დაძრული პროცესია მოედანზე გავლით ავიდა სოლოლაკის ქუჩაზე, მერე შემოუხვია პეტრე დიდის ქუჩაზე, ხოლო იქიდან ერპოლოვის¹⁵ ქუჩით ავიდა მთაწმინდაზე.

ცხედარს. დავით ყიფიანთან ერთად, მიჰყვებოდნენ: ილია ქაქვიძე, აკაკი წერეთელი, სხვა პოეტები და მწერლები. მიჰყვებოდა, რა თქმა უნდა, განსკე-ნებულის მთელი ოჯახიც.

საფლავზე პირველი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც დი-მიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად და, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ის ცნობილი მშვენიერა ლექსი რომა აქტს, „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზერმუხტო“, მაშინ არ უთქვამს, წერ-მე დაწერა. დიმიტრი ყიფიანს კი გულისხმობდა შიგ!

მოელოდნენ ილიას სიტყვასაც. მაგრამ მას არაფერი უთქვამს. ისე კი გვი-თხრა რამდენიმე კაცს: „რა ამბავსაც დღეს აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიტ-ყვა არ სჭობია!“ მართლაც, უამრავი ხალხი იყო დაკრძალვაზე მოსული. ნან-დვილად მთელი საქართველო! ილიას მიერ სიტყვით არ გამოსვლა ზოგმა ვინ

სამხედრო გზით მომავალს. ჭვარი დადგეს მისი მშვიდობით გადარჩენის აღსანიშნავად. ახ-ლანდელი აბრეშუმის ფაბრიკის წინ იყო.

¹¹ ახლა რუსთაველის გამზირი.

¹² ახლა ლენინის მოედანი.

¹³ ახლა კიროვის ქუჩა.

¹⁴ ახლა მერყინსკის ქუჩა.

¹⁵ ახლა შიო ჩიტაძის ქუჩა.

სიფრთხილეს მიაწერა. ისიც კი გაიხსენეს, რომ ერთ დროს მას უფინანსთან პო-
ლემიკა ჰქონდა. მაგრამ ერთიცა და მეორეც, რა თქმა უნდა, ცილისწამება
ყო...

ამრიგად, ეს გრანდიოზული პროცესია დიდი და გაბედული დემონსტრა-
ცია იყო ქართველი ერისა ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ. მან ძლიერი შთა-
ბეჭდილება მოახდინა ქართველობაზე და ერთგვარ საგონებელშიც ჩააგდო ხე-
ლისუფალნი. მეორე დღეს მთავარბრძოლებმა მოიწვია საბჭოს სხდომა და
თათბირობდნენ, თუ რით ეპასუხათ ამ გამოუთქმელ დემონსტრაციას. აზრთა
დიდი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაასკვნეს, რომ რეპრესია დემონსტრაციის
მომწყობთა მიმართ კიდევ მეტ გართულებას გამოიწვევს: რაც მოხდა. პოლი-
ციის განცხადების მიმართ უბრალო წინააღმდეგობად ჩათვალეს, ქირისუფალი
დავით ვიფიანი მ ნაწუთით დააჯარიმეს და ამათ გათავდა საქმე.

ილია ჭავჭავაძე ჩემ დროს იყო თბილისის სათავადაზნაურო ბანკის
თავმჯდომარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადო-
ების თავმჯდომარე და გაზეთ „ივერია“-ს რედაქტორი. ეს სამი დაწესებულება
წარმოადგენდა უმთავრეს ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მართა-
ლია, არსებობდა კიდევ ქართული დრამატული საზოგადოება, მაგრამ ის
სულს დაფავდა. ხან აკაკი წერეთელი იყო მისი თავმჯდომარე. ხან—ვიწ და
ხან—ვიწ; მალი-მალ იცვლებოდნენ.

საზოგადო მოღვაწენი ცოტანი იყვნენ. მართალია, გიმნაზიებში და მთავ-
რობის სხვა დაწესებულებებში კი მსახურობდა თითო-ორი ქართველი.
რომლებსაც შეეძლოთ საზოგადო საქმიანობა, მაგრამ ისინი თავს არიდებდ-
ნენ ამას, რადგან ღარწმუნებული იყვნენ, რომ თუ ჩაებმებოდნენ, საშინაურს
დაკარგავდნენ.

ილია თუშკა ითვლებოდა წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ,
მაგრამ სრულიად ვერ ესწრებოდა მის სხდომებს. ჩემ დროს იქ მის ნოაღვი-
ლედ ითვლებოდა ვანო მაჩაბელი, რომელიც საადგილმამულო ბანკის დირ-
ექტორიც იყო. საზოგადოდ, მე რომ ჩამოვედი, პირველ ხანებში ილიასა და
ვანო მაჩაბელს შორის არავითარი უსიამოვნება არ ყოფილა, ისინი თანხმო-
ბით მუშაობდნენ. ვანო მაჩაბელიც დიდი პატრიოტი იყო, ნიჭიერი, ვანათლებუ-
ლი, კარგი მუსიკი და თან სიმპათიური ადამიანი. ჩვენ საზოგადოებაშიც გავრ-
ცელებული იყო აზრი, რომ ილიას მემკვიდრე საზოგადო საქმეებში ვანო მაჩა-
ბელი იქნებოდა: ის ბევრად უმცროსი იყო ილიაზე. ილიასა და ვანოს შეხმატყ-
ბილებული მუშაობა ხომ, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ ერთად თარ-
გმნეს „მეფე ლირი“.

იმხანად ილიას უკვე ბევრი ემდუროდა, მუშაობას მოუკლო და დიდ
დროს ანდომებს ქალაქის თამაშსაო. ზოგიერთი პირშიც ამხელდა, როცა ის
წერა-კითხვის საზოგადოების სხდომას თავმჯდომარეობდა ხოლმე. მახსოვს
ექიმ ხუდადოვის გამოსვლა ამ საზოგადოების წლიურ კრებაზე. ეს ის ხუდადო-
ვი იყო (გორელი სოპეხი, ქართველობა), რომელმაც ტყე გაამენა კუკის სა-
საფლავის ზემოთ. სოციალისტური მიმართულების კაცი იყო, საზოგადო საქ-
მიანობის მონაწილე. ადგა ეს ხუდადოვი და რიხიანად უსაყვედურა ილიას:
„ილია, სულ ძილი და ძილი არ შეიძლება! ადარაფერს აკეთებ და ჩვენი სა-
ერთო საქმეც ვერ მიდის კარგად!“ ილიამ უპასუხა: „მე რომ მძინავს და
მძინავს, ეს ყველასაგან ცნობილია, მაგრამ შენ ხომ გლვიძავს და ალბათ ბევრ
რამეს აკეთებ; ჰოდა, ერთი გვაჩვენე, რა ვაგიკეთებიაო?!“...

მერე მოხდა რაღაც კონფლიქტი ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის. როგორ დაიწყო იგი. რა იყო შინის მთავარი მიზეზი, არ ვიცი. მაგრამ ის კი ცხადად ჩანდა, რომ სათავადაზნაურო ბანკის საქმე უკან-უკან მიდიოდა. ვანო მაჩაბელმა განაცხადა, ილიამ დროზე არ იზრუნა ბანკის ბილეთების კონვერსიაზე და ამიტომ შესხებულნი დაეკარგეთო. ეს ნაწილობრივ მაინც იყო მართალი; მაგრამ იმას კი არ ითვალისწინებდნენ, რომ როცა აღამიანი წლოვანებაში შედის და დამძიმებას იწყებს, მას ველარ მოვთხოვთ პირვანდელ ენერჯისა და შრომას; ეს ბუნების წესია. იმის მაგიერ, რომ ილიასათვის პენსია დაენიშნათ და ისე, პატივისცემითა და მაღლობით აღენიშნათ მისი დამსახურება და ამრიგად გამოეცვალათ თავმჯდომარე, მათ საზოგადო კენჭისყრით ვაშაევბა მოუნდომეს და აშკარა წინააღმდეგნი გახდნენ მისი.

ასე დაიწყო ე. წ. „ბანკოვიადა“. წლიური ანგარიშის განხილვა და შემდგომი ბუჯეტის მიღება-დამტკიცება, რაც წინათ ორ-სამ ხსენებაზე მოთავდებოდა ხოლმე, ახლა სამ თვეს გაგრძელდა. იმ კრებას „Долгий парламент“ დაარქვეს — ინგლისში რომ იყო, იმის მსგავსად. ბჭობის დროს მრავლად აღმოჩნდნენ ისეთები. ვიანაც თავისი ორატორული ნიჭის გამოჩენა მოუნდა და უფრო ხშირად ისეთ საკითხებზე ჰქონდათ მსჯელობა, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ბანკის საქმეებთან. ბოლოს ზოგი იქამდეც კი მივიდა, რომ თავის შთობზე ლექსებსაც ამბობდა კრებაზე. ერთი მათგანი, ბაგრატიონის ქალი იყო; სხვებიც იყვნენ, მაგრამ გვარები აღარ მახსოვს. ზოგი ორატორი კი ხშირად გადაუხვევდა და ძირითად საგანს გვერდს აუვლიდა ხოლმე. მაგალითად, მ. ჰ. ერთხელ ისე შევიდა სიტყვის თქმისას ექსტაზში, რომ დაწვრილებით მოგვიტოვრო, თუ როგორ აპყვა ერთ საღამოს ძალღების ყუფას და გადავიდა ხევსურეთში. ეს დაიხვევს ხელზე და ხშირად ქირდავდნენ მას ფელეტონებში. ერთხელ ილიამაც დაუწერა: „მეც მეტი აღარ დამრჩენია-რა, მ—ვით უნდა აცუვდ ძალღების ყუფასათო: ილია საერთოდ ხშირად კენწლავდა ხოლმე მას: „ა, თავადმა მ—მა რომ მოგვახსენაო“, იტყოდა განზრახ. „არ არის თავადიო“, შესძახებდნენ აქეთ-იქიდან. „არ არისო? ჰოოო, იყოს მერე, რა გვენადვლებათ!“

შეგნებული ქართველობა დარწმუნებული იყო, რომ ბანკისათვის ორივე ძალიან საჭიროა, ილიაცა და ვანო მაჩაბელიც, და ამიტომ აუცილებლად მიიჩნევდნენ, რომ ისინი როგორმე თანხმობით მოთავსებულ იყვნენ თავ-თავიანთ ადგილებზე. საკითხისადმი ასეთი შეგნებული დამოკიდებულება არა ერთხელ დადასტურდა კენჭისყრითაც: ორივეს ირჩევდნენ ხმის უმეტესობით და კერც ერთმა მეორე ვერ „გააშავა“. მაგრამ ბოლოს ძალზე არანორმალური მდგომარეობა შეიქმნა: გაძნელდა ერთად მოთავსება ორი ადამიანისა, რომელნიც ერთიმეორეს ხმას არა სცემდნენ, თუმცა კი ერთისა და იმავე გამგეობის წევრები იყვნენ.

თითოეული „პარტია“ ცდილობდა, თავისი დამხმარე წევრი გაეყვანა მესამე დირექტორად. იმ დროს მაჩაბლის „პარტიაში“, სხვათა შორის, იყო გენერალი გიორგი თარხნიშვილი, ხოლო ბანკის მესამე დირექტორად ირიცხებოდა სანდრო ჩოლოყაშვილი. ეს უკანასკნელი საკმაოდ ინტელიგენტი კაცო იყო, მაგრამ ქართველობა სრულიად არ ეტყობოდა: ქართული არ იცოდა. უფრო გერმანული ემარჯუებოდა, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას ეტანებოდა...

საერთოდ ილიაც, ისევე როგორც ყველა, ხშირად ურევდა ხოლმე საუბარში რუსულს; კერძოდ, ბანკშიც ხშირად გამოდიოდა ხოლმე რუსულად და მშვენივრადაც ლაპარაკობდა. თუმცა არა ერთხელ თითონვე შემოუღია წე-

აღ, — როდესაც მასთან ვიკრიბებოდით, ხუმრობათობით, რედაქციის წევრები და სხვები (იმ დღეს რედაქციის სხლომა იყო ხოლმე მის ბინაზე) — ვინც ქართულ საუბარში უცხოურებს, ერთი შაური უნდა გადაიხადოსო. ილია თითონ მიიძახებდა ხოლმე, ვისაც წამოსცდებოდა: „შაური, შაური ამოყავო!“ ასე იცოდა!... ისე სხლომა-სალამო არ გათავდებოდა, რომ ორი თუ სამი მანეთი არ შეგროვებულყო. რასაკვირველია, თითონაც ხშირად იხდიდა იმ შაურებს.

მაჩაბელის „პარტიამ“ მოინდომა ჩოლოყაშვილის მაგიერ გიორგი თარხნიშვილის გაყვანა და კიდევაც მოახერხა ეს: თარხნიშვილი გახდა ბანკის შესამეღირეკტორი. მაგრამ რაკი ფეხი მოიციდა ბანკში, მაჩაბელს გადაუდგა. ილიას მიეშხრო და ყველა საქმეში უჭერდა მას მხარს.

მაჩაბლის მეორე დიდი მომხრე იყო დიმიტრე მუსხელიშვილი, ფრიად წარჩინებული, არტილერიის გენერალი. მას მუდამ ქებით იხსენიებდნენ, კარგი სახელი ჰქონდა სამხედრო უწყებაში. თან კარგი პატრიოტი ქართველიც იყო, დღეაენა კარგად იცოდა და დღეად განირჩეოდა ძმებისაგან. ამ უკანასკნელთაგან ორი სამხედრო პირი იყო. ერთ მათგანს, ალექსანდრეს, ცოლად ჰყავდა ნიკო ლოლობერიძის და ანეტა. ალექსანდრე დაყოფილი [დაპრობილი] იყო რუსეთოსმალეთის ომის დროს, ხუცუბნის ბრძოლაში. მე გავიცანი უკეე სამაახურადან გადავდგარი პოლკოვნიკი. მისი მეუღლე — შესანიშნავი ქვეიანი, პატროსანი და დიდი ქველმოქმედი მანდილოსანი, ჩემი გიმნაზიელობის დროს თავმქრომარეობდა კომიტეტს, რომელიც განაგებდა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლას. მეორე ძმას, გიორგის, აგრეთვე სამხედრო პირს, ბეჟან წერეთლის და ჰყავდა ცოლად. მესამე ძმა, სახელად მგონი ნიკო, არ ვიცი, წინათ რა მოხელე იყო, მაგრამ ჩემ დროს ყველა ამ ძმების მამულს განაგებდა. მათ საერთოდ დიდი მამული ჰქონდათ ახალქალაქის მახრავში. მუსხელიშვილებს იმიტომ ვიცნობდი კარგად, რომ ერთ წელიწადს რეპეტიტორად ყყავდი შიწვეული ალექსანდრეს. რომელიც უშვილო იყო და თავისი უფროსი ძმის, ნიკოს შვილსა ზრდიდა, ხოლო მისი მეუღლე ანეტა — თავისი ძმის სიმონ ლოლობერიძის ქალს. იმ ქალ-ვაეს ვამეცადინებდი მე.

დიმიტრი მუსხელიშვილი ხშირად გამოდიოდა ბანკის სხლომებზე ილიას წინააღმდეგ და იტყოდა ხოლმე: „Илья производит давление на собрание“ — ი. ილია ხომ დიდი ოსტატი იყო პასუხების გაყვამში და ერთხელ წარმოსთქვა: „Я не понимаю, о каком давлении тут говорят? Физического давления никто не предпринимает, а если говорят о давлении ума, то против него бессильна вся артиллерия!“ ასე გადაქრა არტილერიის გენერალს თავისებური მწვევე მათრახი!

ილიას საზოგადოვ საოცრად მაგარი ნერვები ჰქონდა, ხოლო ენო მახაბელი, პირიქით, ერთობ ფიცხი ადამიანი იყო. ილიამ თავის სიტყვებში მოწინააღმდეგის დანდობა და განკითხვა არ იცოდა. მაჩაბელსაც არ ზოგავდა და ისე გამოჰყავდა მისი ნათქვამი, თითქოს ყველაფერი აბსურდი ყოფილიყო. ერთხელ ისე აიგდო, რომ რუსულ სათაქაშოს, „Ванька-встань-ка“ — საც კი შეადარა.

საერთოდ კი ამ ბრძოლამ ილია, ბოლოს და ბოლოს, გამოაცოცხლა. თუ ერთ დროს ის მარჯლაც მიძინებულ ლომს წარმოადგენდა, ახლა ლომმა გაიღვიძა, გაშლა ბრჭყალები და მიფანტ-მოფანტა წინააღმდეგენი. ნერვიულმა ენო მაჩაბელმა კი ეს ბრძოლა ფიზიკურად ვერ გადაიტანა. თუმცა ენკვისურით არ გამოვებულა, თავისი ნებით განაცხადა, რომ შორდება ბანკს და მო-

შორდა კიდევაც. დემონსტრაციულად დასტოვა კრება. ილიამ განაცხადა: „მე მასავით არ გავიქცევი; ნანამ თქვენი ნდობა მაქვს, აქა ვარ და აქ ვიქნებიო!“

შემდგომი ისტორია ცნობილია: ვანო მაჩაბელმა თავისი ცოლისძმის, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის, ბაგრატიონის დახმარებით შეადგინა ქართლის თავად-აზნაურობის სინდიკატი (ისინი ქართლელი ბაგრატიონებო იყვნენ, მგონი მუხრანის შტოისა, მაგრამ უფრო შორებელნი, და ამიტომ არც ეწოდებოდათ მუხრანელები)¹⁶. სინდიკატის წევრებს მასში შექმნდათ თავიანთი შემოსავალი. ვანო მაჩაბელი მისი დირექტორი იყო, მაგრამ ჭაპავარი, რასაკვირველია, შედარებით მცირე ჰქონდა. მერე დაავადმყოფდა, რაღაც ბრონქიტი დაემართა, და ბოლოს—ისე მოულოდნელად და საარაკოდ გაქრა. დაკარგა: ერთ დღეს, დილაადრიან შინიდან გამოსული, აღარ დაბრუნებულა. ძებნის ყოველი ცდა უშედეგო დარჩა. ათასგვარი ჭორი გავრცელდა და ეს საკითხი დღემდის გამოურკვეველია.

აქაი წერეთელი, რა თქმა უნდა, დიდი მომხრე იყო ვანო მაჩაბლისა და ბოლო დროს მასთანაც ედო ბინა. მაგრამ მას ბანკის საქმეებში არავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლო ვანოსათვის. საერთოდ აქაიის ყოველთვის სჩვეოდა ენაშვარეობა, ისე რომ ზოგჯერ თავის მოყვარეთა ძვირსაც ამბობდა ხოლმე. ამის გამო აფორიზმი იყო გავრცელებული და ერთხელ ვალერიან გუნიას გაერთოვც კი გამოქვეყნდა: „ღმერთმა გვაშოროს ილიას მტრობა და აქაიის მოყვრობაო!...“ ილიამ იცოდა, გურიაში რომ იტყვიან. „მეზერში ჩასდევდა“, მაგრამ—მტერს, ხოლო აქაი თავის მახლობელსა და მოყეთესაც კი არ დაზოგავდა ხოლმე... მაჩაბლის ბედის შესახებ აქაიისაგან ბევრს მოელოდა ხალხი, მაგას ეკოდინებო, მაგრამ ვერაფერს გაიგებდი: ხან იტყოდა, წყალშიაო, ხან რასა და ხან რას!...

* * *

უნავერისტეტი რომ დაემათავრე და თბილისში ჩამოვედი, პირველ ორ წელიწადს ილიას იშვიათად ვხვდავდი ხოლმე, მარტოდენ კრებებზე. სხვაგან მას ვერსად ვხვდებოდი და არც მის რედაქციაში დავდიოდი. მხოლოდ ერთხელ ენახე, მახსოვს, სხევებთან ერთად, შემთხვევით, რედაქციაში. რომელიც ფრეილინის ქუჩაზე¹⁷ იმყოფებოდა. იმ საღამოს სულ იმაზე იყო საუბარი, თუ რა დიდად ავნო ნიკოლაძის სტატიაჲ, გაზელ „*Обзор*“-ში დაბეჭდულმა, გიორგი ქართველიშვილსა და ზეზემანს. სტატიაში აღწერილი იყო წარმოუდგენელი ნიაღვარი ატენის ხეობაში, სადაც აღნიშნული პირები ერისთავისაგან იჯარით აღებულ ტყეს ამუშავებდნენ: ნიაღვარმა აუარებელი დამუშავებულო ხე-ტყე იმსხვერპლა. მოიტაცა და აღიდებულ მტკვარს შერთოო. ამან დიდი ზარალი მიაყენა ქართველიშვილსა და ზეზემანს და მათი წარმოებაც შეწყდა. ნიკოლაძეს დიდად კიცხავდნენ, რაკი თავის სტატიაში საჭაროდ განაცხადა მათი ზარალი და ამით მოიჯარადრეებს კომერციული ნდობა დაუკარგა. მაშინ ხომ კომერციულ საქმიანობაში ნდობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა! დათ ალბათ ბანკიდან სესხი ექნებოდათ აღებულნი და გაზეთი თუ გაუმეღანებ-

¹⁶ ბაგრატიონ-დავითიშვილები იყვნენ, ზემო ქართლები.

¹⁷ ახლა სულხან-საბას ქუჩა.

ზა ზარალს, შემდგომ სესხს კვლარ მიიღებდნენ. ილია აპბობდა. ნიკოლაქეს ეს არ უნდა ჩაედინაო...

„ივერიას“ რედაქცია შემდეგ გადავიდა ავჭალის ქუჩის¹⁸ დასაწყისში, სულ ახალ სახლში, რომელიც აშენებული იყო ილიას თაოსნობითა და მისი დის ელისაბედის, საგინაშვილის ქვრივის საფასით. ილიამ ამ თავისი დის ხარჯითა და მის სახელობაზე ორი სახლი ააშენა. ეს იმ ადგილასაა, რომელსაც გორონცოვის ხადი¹⁹ პირდაპირ უტყვობს. ერთი სახლი ავჭალის ქუჩაზე გამოდებოდა. მეორე—უკანა ქუჩაზე. მაშინ თბილისში შენობის აგება იაფი იყო. არსებობდა სახლთა მშენებლების რამდენიმე არტელი, რომლებიც ყველა სამუშაოს თითონ კისრულობდნენ და მზა-მზარეულს აბარებდნენ პატრონს. შემდეგ პატრონები ამ სახლებს ბანკში აგირავენდნენ და მეტწილად ამით იზღიდნენ აშენების ფასს. გირაოს საფასურის შეტანა კი 20:—30 წლოვით გრძელდებოდა, ასე რომ არ უძნელდებოდათ. მახსოვს, ილიამ გვიამბო, თუ რა შესანიშნავად. ღირსეულად აუშენა ქართულთა არტელმა ის ორი სახლი—სრულიად ყოველანაირით დამთავრებული—და ბინათა გასაღებები ჩააბარა მას.

პირველ სახლში მოთავსდა ილიას სახლობა, ე. ი. თვით ილია, მისი მეუღლე ოლგა თადეოზის ასული და ილიას და ელისაბედი. შვილი არც ერთს არა ჰყავდა. სახლი ორსართულიანი იყო, მაგრამ სარდაფიცა ჰქონდა. ხოლო შიგნით, ეზოში, მარცხნივ—ორსართულიანი წაგრძელებული დერეფანი, ფლიგელივით. სარდაფსა და დერეფნის ქვედა სართულში გაზეთ „ივერიის“ სტამბა იყო. პირველი შენობის ზედა სართული საგანგებოდ აშენდა ილიას ოჯახისათვის. მისი კაბინეტის კედლები, შესავალს მარცხნივ, დამშვენებული იყო ისტორიული სურათებით: შოთა რუსთაველის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის პორტრეტებით და სხვ. დანარჩენი სამი ბინა—ზედა სართულის პარკვენა მხარე, პირველი სართული და აგრეთვე ილიას ბინის ქვემოთ მდებარე ბინა—გაჭირავებული ჰქონდათ. ზედა მარკვენა ბინაში, მახსოვს, ექვილი ალექსანდრე ჭყონია იღვა. სხვა მღვდლები ვინ იყვნენ. არ მაგონდება. ილიას ბინა ფართო ოთახებითაა საგან შედგებოდა. ეზოს მხრით მას შუშაბანდიანი აივანიც ჰქონდა. ზაფხულობით შუშაბანდს ჩაჰმოიდებდნენ და ზამთრობით ისევ ჩადგამდნენ ხოლმე. დიდი მისაღები დარბაზი ორად იყო გაყოფილი: პირველი ნაწილი მამაკაცებისათვის იყო, მეორე კი ქალების მისაღებს წარმოადგენდა. ამ მისაღებ დარბაზს გასწვრივ, შუშაბანდისაყენ, დიდი სასადილო ოთახი იყო. მასში ზუთშაბათობით იმართებოდა ხოლმე საღამო რედაქციის წევრებისა და თანამშრომლებისათვის, რომელსაც ესწრებოდნენ ილიას სხვა (ბანკისა და ა. შ.) თანამშრომლები თუ მეგობრებიც. იმ საღამოებზე ხშირად კითხულობდნენ პოეტებისა და ლიტერატორთა ახალ ნაწარმოებებს, სტატიებს; იყო მსჯელობა იმდროული ქართული საკითხების შესახებ. ყოველი საღამო თავდებოდა უბრალო ვახშმით, რომლისთვისაც ღვინო ილიას მუდამ საგურამოს მამულიდან ჰქონდა (ახლა რომ წყურალთა სახლი ყოფილა).

ილიას იმ ზუთშაბათ-საღამოებს მე ვესწრებოდი 1890 წლიდან. მას შემდეგ. რაც „ივერია“-ში თანამშრომლობა დაიწყო და ჩემი „სამი ისტორიული ხრონიკა“ გამოვიდა.

¹⁸ ახლა ს.ბჰოს ქუჩაა, ერთხანს ჩერქეზიშვილის (ჩერქეზოვის) ქუჩაც ერქვა (რედაქციის ყოფილ შენობაზე მემორიული დაფა).

¹⁹ ახლა კარლ მარქსის ხილი.

ვანშაზე თამადად ყოველთვის ანტონ ფურცელაძე იყო ხოლმე..., თუმცა ძალიან მკვერამეტყველი არ ეთქვოდა... იგი ილიას ძალიან პატივს სცემდა. „ბანკოვიადა“ რომ შეიქნა მაჩაბელსა და ილიას შორის (განსაკუთრებით 1893—1894 წლებში) ანტონმა მაგრად დაუჭირა მხარი ილიას და ამით დაუახლოვდა მას. წინათ ის დამფასებლად იყო საადგილმამულო ბანკში, მაგრამ მისივე დირექტორადაც გავიდა. ხოლო ილიას შემდეგ—რამდენადაც მახსოვს.—ბანკის თავმჯდომარედაც კი... რაც შეეხება მის შემოქმედებას, ანტონი პისარევის მიმდევარი მწერალი იყო, ნიღლისტური მიმართულებისა...

ილიას „ხეთშაბათობა“ დემოკრატიული საღამოები იყო, მაგრამ მას სხვა. უფრო არისტოკრატიული საღამოებიც ჰქონდა ხოლმე. იგი დიდად მიღებული იყო იმ წრეში, რომელშიც შედიოდნენ ქართველი დიდბრძენი თავადები: თბილისის გუბერნატორი შარვაშიძე, გენერალი ნინია (ნიკა) ამილახვარი, გენერალი ზაქარია ჭავჭავაძე (დიდი გენერალი იყო, კორპუსის ყოფილი მეთაური. მის ვაჟიშვილს პაქია ერქვა სახელად, ქალიშვილი ერთ რუშინელს ჰყავდა ცოლად) და სხვები. ისინი ჩვეულებრივ აწყობდნენ ე. წ. „უფრ-ფიქსებს“ და ილიას იწვევდნენ ხოლმე. მასაც, რასაკვირველია, სამაგიერო უნდა გადაეხადა და იხდიდა კიდევაც. მაგრამ ასეთ წვეულებებში ქართველი დემოკრატების გარეა მათთვისვე იქნებოდა უხერხული და ილია არც ურევდა.

საზოგადოდ, მთავრობის უმალესი წრეები გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ ილიას, ყურს უდებდნენ მის აზრსა და შუამდგომლობას. მაგრამ ილია მაინც წინდახედული იყო და თუ რომელიმე უმალესი ხელისუფალი უხეშად იქცეოდა, მასთან არავითარ ურთიერთობას არ იქონიებდა, არც ეჩვენებოდა და არც საქმისათვის მივიდოდა. მაგალითად, მთავარმართებელი გოლიცინი ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი „სოლდაფონი“: ვინც არ უნდა ხლებოდა, ყველას უყვიროდა და უქმეხად ელაპარაკებოდა. ისე წავიდა ის გოლიცინი თბილისიდან, რომ ილიას არც გაუცნია იგი და არც რაიმე საქმეზე მისულა, თუკა თვით გოლიცინს ეწადა მისი გაცნობა და არა ერთხელ უთქვამს თავიანთი აღიუტანტის, საშუკო ორბელიანისათვის, „გამაცანით ილიაო!“ ევრონცოვ-დამკოვთან და მის წინამორბედ შერემეტეივთან კი ილია დაახლოებული იყო და ხშირად ქალაქსაც კი ეთამაშებოდა ხოლმე. ერთხელ თეატრში ყოფილიყო გოლიცინი და თანხმდებ საშუკო ორბელიანს დაენახებინა, შორიდან, მათ პირდაპირ ლოვაში მჭდარი ილია. გოლიცინს დურბინით შეეხედა ილიასათვის და ეთქვა: „რა შეანინშნავი თვალები აქვსო!“ ერთადერთი ქართველი არისტოკრატი, რომელიც გოლიცინთან დაიარებოდა, კონსტანტინე (კოწია) მუხრანსკი იყო. გოლიცინიც დადიოდა მის ოჯახში და ძალიან უნდოდა, რომ კოწია გამხდარიყო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

ადრე წინამძღოლად იყო დავით მელიქიშვილი, რომელიც მანამდე ადიუტანტად ჰყავდა მეფისნაცვალსა თუ შტაბჟარმართებელს (ძნელი გასახსენებელია. ხან ერთი ერქვა იმ თანამდებობას და ხან მეორე). გოლიცინი მასაც უხეშად მოექცა, უყვიროდა ხოლმე და მელიქიშვილმა გათავისუფლება ითხოვა. სამსახურს თავი დაანება. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ მელიქიშვილი ძმისწული იყო ყოფილი მთავარმართებლის მოადგილისა და თან დიდი მომხრე იპოსა, რომ ქართველობას რუსეთის მთავრობასთან ლოიალური დამოკიდებულება ჰქონოდა; ხშირად ამბობდა, „ლოიალური ქცევით ბევრ რასმე გამოვიტანთ რუსებისაგან, ხოლო ოპოზიციური ქცევით ყველაფერს დავკარგავთ“. იგი

დიდი მეგობარი იყო შინაგან საქმეთა მინისტრია ვიტესი (რომელიც თბილისე-ლი იყო) და იმას ეუბნებოდა ხოლმე, „ეს ვინ გამოგვიგზავნეთ მთავარმართებ-ლად, ნორმალური კაცი არ არის, გადარეჟულია“.

ერთადერთი ქართველი, შედარებით დაბალი წრის წარმომადგენელი. რო-მელიც დადიოდა გოლიცინთან, იყო დავით სარაჯიშვილი — ჩვენებური ბურ-ქუაზიის მეთაური. გოლიცინის ძმა დიდი მეურნე იყო. ღვინისა და შამპანურის საქმეს განაგებდა ყირიმში და ძალიან მეგობრობდა სარაჯიშვილს. როლესაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ მას გოლიცინის ძმისათვის 70.000 მანეთი ესესხებინა და ის ფული სრულიად დაიკარგა. შემკვიდრებმა ვერაფერი მიიღეს... თუმცა ასეთი კარგი ურთიერთობა ჰქონდა გოლიცინთან და მის ძმასთან სარაჯიშვილს, მაგრამ ერთხელ ისიც ჩავარდა, რომ იტყვიან, „ხათაბალაში“. საქმე ასე იყო. როგორც ცნობილია, სოხზის ეკლესიას ძველი დროიდანვე უძრავი უძრავი ქონება—მამულები ჰქონდა და დიდ შემოსავალ-საც იღებდა იქიდან. მათ განაგებდა სომეხთა პატრიარქი და შემოსავალს მეტწი-ლად სკოლებს ახმარდა: მთელი მათი მხარე მოფენილი იყო სასულიერო სას-წავლებლებით. გოლიცინის წინადადებით, მთავრობამ ჩამოართვა სომხის ეკ-ლესიას ეს უძრავი ქონება და გადარიცხა სახელმწიფო ფონდში (ჩვენს მარ-ლადიდებელ ეკლესიას ასეთი ქონება ღიდი ხნის ჩამორთმეული ჰქონ-და). სომხები ბევრს ეხვეწნენ და ეუღლარენ, დაგვიბრუნეთო, მაგრამ არაფერ-მა გასჭრა. მაშინ მათ გადაწყვიტეს გოლიცინის მოკვლა — როგორც ამბობდი-ნენ, ნაჭირავები, ოსმალეთიდან ჩამოსული დაშნაყებია ხელით. თავს დაესხნენ იქ, სადაც კოჭრის გზა იწყება და თავდება გოლიცინის მიერ გაყვანილი, ძალიან კარგი ასასულელი, რომელიც მანამდე ნაბეტანი აღმართიანი იყო (ამის მეტი კარგი საქმე ჩვენში გოლიცინს არ გაუკეთებია). იმ გზით უყვარდა ხოლმე თითოთ ეტლით გასივრება კოჭრისაკენ. გოლიცინი ვერ მოკლეს, მაგრამ სასტი-კად კი დაიჭრეს სატყვერებით. სულ თავ-პირში ურტყეს. თავდასხმელები კანა-ტებმა დახოცეს. დაჭრილი და თავ-ყბაშეხვეული გოლიცინი კი სასახლეში იწვა. მთელმა ჩინოვნიკობამ და მეგობრებმა, რა თქმა უნდა, თანაგრძნობა გამოუ-ცხადეს. დავით სარაჯიშვილიც, როგორც ოჯახის მეგობარი (მის ცოლთანაც კარგად იყო), ეახლა თანაგრძნობის გამოაცხადებლად და ნუგეშის საცემად. სხვათა შორის, ასეთი რამეც უთხრა: „Ваше сиятельство (გოლიცინი თავადი იყო), нужно быть очень осторожным, мало ли сумасшедших на свете?“ ამის გაგონებაზე გოლიცინმა თურმე უყვირა: „Ах, вы сумасшедшими называете людей, которых армяне подкупили и направили для моего убийства?“

ცოლიც შეწუხდა, დავითს ენა ჩაუვარდა და აღარ იცოდა, რა ექნა. ცოლს უთხ-რა, მე ნუგეშისცემა მიწოდდა, სხვა არაფერი, მომეხმარე. რაქნაირად დაძაშ-ვიდეთო!... ძალიან დაძაბასიათებელი ამბავია! ვერაფერი ნუგეში გამოუვიდა!

თავდასხმის ამბავი მიაფუჩეჩეს, რაკი თავდასხმელები დახოცილი იყვნენ. ცოტა ხანს მერე გოლიცინიც გადაიყვანეს კავკასიიდან, უხერხულად მიიჩნიეს მისი აქ დატოვება. საერთოდ მართლაც არ უყვარდა სომხები. წინააღმდეგ ეო-რონცოვ-დამოკისა, რომელიც ძალიან სწავლობდა მათ თავისი ცოლის გავ-ლენით (რუსის ქალი კი იყო, მაგრამ მეტრამეტად დაახლოებული ჰყავდა სომ-ხის ებრაელობები და ბერები, რომლებიც ყოველმხარე სარგებლობდნენ აპოთ და ბევრ საქმეს აკეთებინებდნენ მეფისნაცვალს სომხებისათვის).

დავით სარაჯიშვილის ანდერძის მიხედვით, ჩვენს საისტორიო-ანეთნოგ-რაფიო საზოგადოებას უნდა მიეღო, სხვა თანხის გარდა, აგრეთვე მეოთხედი

იმ 70.000 მანეთისა (ე. ი. 17.500 მანეთი), თუ კი გოლიციისაგან მივიღებდით უკან სესხს. მაგრამ, რა თქმა უნდა, გოლიციის ვალი არ გადაუხდია, მერე რევოლუციამაც მოუსწრო და, როგორც ვთქვი, ის ფული დაიკარგა. ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ საერთოდ დავით სარაჯიშვილი ფულს არავის ასესხებდა ხოლმე. მაგრამ, ეტყობა, რუსის დიდ მოხელეს უარი ვერ უთხრა...

ახლა დაუბრუნდეთ ილიას.

ჩვეულებრივ, როდესაც ქართველებს და მათ შორის საზოგადო მოღვაწეებს რაიმე საქმე ჰქონდათ რუსეთის მთავრობასთან და მოხელეებთან, ილია უნდა წავმძღვარებინათ ხოლმე: უიმისოდ მთავრობის წარმომადგენელი ქართველებს ან არ მიიღებდნენ, ან, თუ მიიღებდნენ, მათ სათხოვარს ყურადღებას არ მიაქცევდნენ. ილიას, ბუნებრივია, დიდად ეზარებოდა ამ როლის შესრულება და ხშირადაც ყოყმანობდა წაყოლაზე, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ აგზავნიდნენ ისეთი საკითხის გამო, რომელსაც იგი ნაკლებ იცნობდა. მაგრამ, რაკი სხვა შესაფერისი ადამიანი არა გვყავდა, მაინც ყოველთვის მას აკისრებდნენ ყველა საქმეს.

მოვიყვან ერთ მაგალითს. როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის, ე. ი. თვითმმართველობის. დამოუკიდებლობის საკითხი დანსვა. ეს საკითხი დღახანს იყო მსჯელობის საგანი, ბევრი წიგნი და წერილი დაიბეჭდა ქართულსა თუ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. წარმოიღვინეთ, ამ საქმეში მდგრად გვეხმარებოდნენ რუსის სლავიანოფილებიც! ისინი არ სცნობდნენ სინოდს, რაკი ძველად რუსეთში პატრიარქის მმართველობა იყო, და მოითხოვდნენ პატრიარქობის აღდგენას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში! მათი მეთაური (გვარა არ მახსენებდა, დიდად მიღებული და გავლენიანი პირი კი იყო!) სულ ერთთავად იმის პროპაგანდას ეწეოდა, რომ სინოდი უზეშად იქცევა და რომ რუსეთშიცა და საქართველოშიც კვლავ თავ-თავისი საპატრიარქოები უნდა აღდგეს. საქართველო უმეტესი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, მან ქრისტიანობა მაშინ მიიღო, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ჯერ არ არსებობდა და რუსები არც იყვნენ ქრისტიანები; მათი ეპისკოპოზი, ყოვლად სამღვდლო კირიონი, რომელიც საქართველოში პატრიარქად უნდა იყოს, ჩვენ მთავრობას სამშობლოდან გამოდევნილი ჰყავს და ემიგრანტობაში იტანჯებაო“. პირდაპირ ასე აცხადებდა ის სლავიანოფილების თავი კაცი. (კირიონი ერთხანს შიდა რუსეთში იყო მღვდელმთავრად, მერე იალტაში ენახე, ხოლო რევოლუციის შემდეგ მართლაც გახდა საქართველოს განახლებული ავტოკეფალური ეკლესიის პირველი კათალიკოსი, თუმცა კი ძალიან მალე გარდაიცვალა...). სლავიანოფილების ასეთმა პროპაგანდამ და ჩვენმა მოთხოვნამ იმდენად იმოქმედა ნიკოლოზ მეორეზე, რომ მან დანიშნა სპეციალური კომისია, ე. წ. „предсоборная комиссия“, რომელსაც უნდა განეხილა საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი. ვინაიდან რუსის ჩინოვნიკური სამღვდლოება, სინოდისა, ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესიას არააოდეს ავტოკეფალია არა ჰქონია, რომ იგი მუდამ ანტიოქიისა და სხვა საპატრიარქოებს ეკუთვნოდა და ექვემდებარებოდა და სხვა.

ამ კომისიის სხდომა, როგორც ცნობილია („Церковный Вестник“-ში წერია ეს ამბები). შედგა რუსეთის ერთ-ერთ ქვემო ქალაქში. საქართველოდან მას დაესწრნენ ეპისკოპოსები ლეონიდე და კირიონი, პროფესორები ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი... ამ საკითხს შეიძლება სხვა დროსაც დაუბრუნდეთ, ახლა კი ისევ ილიას შესახებ ვიტყვი.

ჩვენ გვინდოდა, რომ საქართველოსათვის ამ საკითხში მხარი დაეჭირა მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვსაც. ვაწყობდით კრებებს, ილიას თანდასწარებით, ვაგროვებდით ცნობებს და ილიას ვაყისრებდით, პირადად მოლაპარაკებოდა ამ საკითხზე ვორონცოვ-დაშკოვს. ილია უარზე იდგა და გვეუბნებოდა. მაგ თქვენი „კეფალიისა“ (ასე უწოდებდა ირონიულად ავტოკეფალიას) არა გამეგება რა და ვინმე სხვა მიგზავნეთო. მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია. არ მოვეშვიტ და ბოლოს ვაძიქლეთ ილია დათანხმებულიყო. თან, რაც შეგვეძლო, ეუხსნიდით და ეუმარტავდით ჯაჭმის არსს. ბოლოს ილია წაყვიდა მეფისნაცვალთან. დიდხანს ესაუბრნა მასთან. ვორონცოვ-დაშკოვს ეთქვა. დამარწმუნეთ. რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მაშინ დაგიჭერთ მხარსაო. ილიას ეპასუხნა, მე კი დამარწმუნეს, რომ საქირიც არის და სასარგებლოცაო. მერმე შექნოდათ მსჯელობა. ბოლოს ილიამ მოგვიტანა ამბავი: „ამ ვორონცოვმა ყველა გარეგობება ჩვენზე უკეთ იციის და პირში ბურთი ჩაგვჩარაო; მითხრა, ეკლესია დმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთო; განა გავგონილა, ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდესო?“ ეს რომ მოვისმინე, შევეკითხე: „ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი საპატრიარქო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინოპოლისა, იერუსალიმისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა მეთქი?“ ამაზე ილია ცოტა შეჩერდა, შემომხედა თვალეში და მიპასუხა: „აჲ ვითხარით, მაგ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და მე ნუ გამგზავნით მეთქიო!“! საერთოდ არ ეხალისებოდა აღიარება, თუ რამეში შეცდებოდა ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში კი გამოტყდა. რა თქმა უნდა, ილიამ იცოდა ეს ყოველივე, მაგრამ მეფისნაცვალთან საუბრისას აღარ მოაგონდა. ყველაფერი ხომ არ გაგახსენდება კაცს?!—მით უმეტეს, ასეთი ოფიციალური მიღების დროს!...

ბოლოს და ბოლოს გადაეწყვიტეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა. თან უნდა წაგველო ბაირაღები და პლაკატები. წარწერებით „ღვეილდგინეთ ავტოკეფალიაო“ და სხვ. წამოიჭრა საკითხი: ვინ უნდა გასძლოლოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა, „თუ საქირია, მე წაგიძღვებითო!“.

ამ მსჯელობაში მონაწილეობდნენ: ქართველი საზღვდელოების წარმომადგენლები. ქართველი მასწავლებლები, მრევლთა წარმომადგენლები, ცალკეული მორწმუნეები. ილიას ბინაზე ვიკრიბებოვით ხოლმე. გვესწრებოდა ექიმი ვახტანგ ლამბაშიძეც (დევანოზ დავით ლამბაშიძის, ჟურნალ „მწყემსი“-ს რედაქტორის შვილი), რომელიც კარგად ერკვეოდა საეკლესიო საკითხებში და უხსნიდა ილიას, ჩრდილოეთის საპატრიარქოს ჩვენი, ბევრად უფრო ძველი ეკლესიის გამგებლობის უფლება არა აქვსო. იაკობ გოგებაშვილიც ესწრებოდა ხოლმე სხდომებს და მონაწილეობდა მსჯელობაში და ბევრი სხვა. ერთი სიტყვით, ფართო საზოგადოება იყო ამ საქმეში ჩაბმული.

მაგრამ განზრახული დემონსტრაციის მოწყობა აღარ დაგვიჭირდა, ვინაიდან ჭერ იყო და 1905 წლის რევოლუციამ სასტიკი ხასიათი მიიღო და ბოლოს კი. 1917 წელს, საქართველოს ეკლესია. ასე ვთქვათ, რევოლუციურად ჩამოშორდა რუსეთისას.

ილიას განცხადებამ, „მე წაგიძღვებითო“, ყველა გააკვირვა, იმიტომ რომ ის უფრო თავდაპირველ კაცად მიაჩნდათ.

წ./კ. საზ-ბის გამგეობის კრებაზე ილიას დასწრება იმდენად საჭირო არ იყო, რამდენადაც მისი წასვლა ადმინისტრაციულ პირებთან. რომელიც ხშირად ერთოდნენ საზოგადოების საქმეში და ხელს გვიშლიდნენ. ასეთები იყვნენ სახალხო ინსპექტორები, მზრუნველი. მისი თანამემწენი, ეგზარქოსი და სხვები. ილია საქმეებით მეტად დატვირთული იყო და ხშირად ვერ ახერხებდა ყველა ამ პირთან სიარულს.

ერთხელ ი. გოგებაშვილმა მიმიწვია კრებაზე. რომელსაც დაესწრო დაახლოებით 30 კაცი. ამ კრებაზე მან განაცხადა: „ჩვენი საქმეები ძალიან ცუდად მიდის, კაცი არა გვეყვს, რომ სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან განუწყვეტილად იაროს ან ჩვენ წაგვეყვს, რომ მათ ჩვენი პირ-ვარაში ავუხანათ და უსამართლობაზე ხელი ავაღებინოთო. ილია საქმეებით არის დატვირთული და მას ასე ხშირად ვერ ვაწუხებთ და თუ კაცი ვერ ვიშოვით. რომელსაც მთავრობა ასე თუ ისე ანგარიშს გაუწევს, ვერაფერს ვერ გავხდებითო“.

ვანო მაჩაბელმა თქვა: „ასეთი კაცი ჩვენ გვეყვს, ეს არის მბილისის მახრის თავადაზნაურთა წინამძღოლი შაქრო მალაშვილი, თუ მის ამოირჩევთ, წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ, დიდად გამოგვადგებაო“.

გადასწყვიტეს ის აერჩიათ თავმჯდომარედ. ვ. მაჩაბელს წინასწარ ავის მება არ უთხოვია მალაშვილისაგან, რომელიც კარგ განწყობილებაში იყო ილიასთან და აპირებდა შეიძლება თავმჯდომარეობაზე არ დათანხმებულყო, მაგრამ ვანო დაწინაურებული იყო, რომ მალაშვილი უარს არ იტყობდა, ლუკი კი მას ამოირჩევდნენ. დადგა არჩევნის დღე. ილია თავმჯდომარეობდა. სხვა საქმეები რომ გათავდა, ჭერი შიდა თავმჯდომარის არჩევაზე. მაშინ კანდიდატების წინადაწინ დასახლება არ იყო მიღებული. დასწრებით ბარათებით უნდა დაესახელებინათ, ვინ უნდოდათ თავმჯდომარედ. ჩატარდა არჩევნები და შეკრიბეს ბარათები. ილიამ დააწყო ბარათების კითხვა. მღივანი წერდა ხმათა ანგარიშს. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ილიამ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე მალაშვილმა და, ამგვარად, ისევ ილია დარჩა თავმჯდომარედ.

ეს პირველი კრება იყო, რომელზედაც საზოგადოების თავმჯდომარედ სხვა კანდიდატი იყო დასახელებული მის წინააღმდეგ და ამან ილიაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მართლაც დიდი უხერხულობა იყო იმაში, რომ ახალი თავმჯდომარე დასახელებული იყო ილიასთან წინასწარ შეუთანხმებლად, რომელსაც ასეთი განსაკუთრებული, განუზომლად დიდი ღვაწლი მიუძღოდა საზოგადოების წინაშე.

როდესაც ილია აირჩიეს უმაღლესი საბჭოს სათათბიროს წევრად, წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეობიდან გადადგა, მის მაგიერ კი ვიროვი ყაზბეგი იქნა არჩეული.

ბოლო ხანებში მეფის რუსეთის მთავრობა უკვე დიდი ეჭვით უცქერდა ილიას და თვალყურს ადევნებდა მის მოქმედებას.

მაგონდება ილიას მონაწილეობა გაბრიელ ეპისკოპოსის (ერსკაცობაში გერასიმე ქიქოძის) დაკრძალვაში და ცოტა რაზე ამის შესახებაც უნდა ვთქვა.

გაბრიელ ეპისკოპოსზე ილია დიდი აზრისა იყო. ერთ ხუთშაბათ საღამოს რომ ვიყავით ილიასთან შეკრებილი, წამოიჭრა საკითხი: მთავრობა უწყევს რაიმე ანგარიშს ქართველ მოღვაწეთა ნათქვამს თუ არა? ილიამ სთქვა: „კაცო იციანო! მავალითად, რასაც გაბრიელ ეპისკოპოსი იტყვის, იმას დიდ ანგარიშს უწყევნო. ეკლესიის საკითხებში ანგარიშს უწყევნენ ნიკო აპოლახვარასაცო“. ის ნიკო აპოლახვარი დიდი მორწმუნე კაცი იყო და პირდაპირ ეგზარქოსსა და ეკ-

ლესიის სხვა მეთაურებს მიმართავდა ხოლმე, საქმე საქმეზე რომ მიადგებოდა. ერთხანს ხომ აკრძალეს ლოცვანისა და სხვა საეკლესიო წიგნების ქართულად ბეჭდვა! ჰოდა, ნიკო ამილახვარმაც უთხრა ეგზარქოსს: „Я перестал молиться, потому, что мой грузинский напечатанный молитвенник истрепался, Ваш русский молитвенник я не понимаю, а Вы приостановили издание молитвенников на грузинском языке!“ ეგზარქოსი ამ სიტყვებზე შემერთალოყო და ეთქვა: „Никогда не запрещал издание грузинского молитвенника, это недо-разумение!“ მანძინე გაცა ლოცვანის დაბეჭდის ბრძანება.

გაბრიელ ეპისკოპოსი რომ გარდაიცვალა (1896 წ.). ქუთაისის ინტელი-გენციამ ერთობ დააყოვნა მისი დაძაბვა, რათა საუკეთესოდ მოემზადებინა ქართველი ხალხი მიცვალებულის პატივსაცემად: სასტიკი, გაქიანურებული ზამთარი იდგა და უგზობობის გამო ხალხი ვერ ჩალიოდა. დაძაბვა იმა წლის მაისში მოხდა მხოლოდ. გელათის მონასტერში, ბოლოს, როდესაც, როგორც იქნა, დანიშნეს დაკრძალვის დღე, თბილისის ყველა დაწესებულებიდან წავიდით დეპუტატები და ჩვენ შორის, რა თქმა უნდა, ილიაც. მას გამზადებული ჰქონდა სიტყვა, რომელიც საფლავზე უნდა ეთქვა. მიცვალებულის ცხედარი ძვალ-ტყავად ჩანდა. არც შექანებულიყო, ისე, ცივად იყო შენახული. მართალია, მღვდელ-მთავარს არ შეშვენოდა ასეთი გაუთავებელი გლოვა, მაგრამ ქართველების —მეტადრე დასაულებლის — ამბავი ხომ მოგეხსენებათ ამ საკითხში, იმხანად?!

მატრებელში ერთად შევიყარინით: მე, ილია ჭავჭავაძე, ლევან ჯანდიე-რი, ვანო რატიშვილი, ანდრია ლულაძე და სხვები აღარ მახსოვს. ლევან ჯანდიე-რი თბილისის მხარის უფროსი იყო, ილიას დიდი მეგობარი და ერთგული მომხრე; უღარესად კარგი, ჭკვიანი და საზრიანი ქართველი, ნამდვილი საქმის კაცი. უკეთესი არ შეიძლებოდა. მისი თაოსნობა იყო, მითულები რომ გადმო-სახლა მანგლისის მხარეში და კავთისხევში. ივანე რატიშვილი. მასწავლებელი, მე დავნიშნე სათავადაზნაურო სკოლის დეპუტატად გაბრიელის დაკრძალ-ვაზე. ძალიან კარგი. რალაც ლეთიური კაცი იყო და ასეთ სიტყვებს ხომ შესა-ნიშნავად ამბობდა ხოლმე! სულ სხენაირი იყო ანდრია ლულაძე—ნაკლებ გა-ნათლებული. მაგრამ დიდი ფართი-ფურთისა და პრეტენზიის კაცი. ხან რას აკე-თებდა, ხან რას: ერთ დროს საბავშვო ჟურნალს სცემდა, მეორე ცენზორი იყო, იმხანად კი რომელიღაც უცხო ვაზეთების თუ სხვა რალაცის კორესპონდენტად მუშაობდა და ასე... სრულიად არ ჰგავდა იგი თავის ძმას—იაკობს, პედაგოგს, გიმნაზიის ინსპექტორს, დიდად განათლებულ კაცს... სწორედ გელათს ჩვენი გამგზავრების წინ გაეგზავნა ანდრიას დეპეშა საზღვარგარეთული ვაზეთები-სათვის. ერთ-ერთი უცხოელი კორესპონდენტის შესახებ: „თბილისიდან ინდო-ეთში გაემგზავრა და ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სამხრეთი აზიისთვის“. ეს შენიშვნა უკვე თავის მხრივ დაურო, ვითომდა საქმეში ჩა-ხედულობის გამოსამქლავებლად. ილიას უყვარდა ასეთი პრეტენზიების მქო-ნე „ინტელგენტების“ გაქირდვა და გზაში სულ ეკითხებოდა: „როგორ იყო, ანდრია, დიდ პოლიტიკურ ფაქტად რომ გამოაცხადე იმ კორესპონდენტის ინ-დოეთში წასვლაო?“ ისიც იცინოდა, აბა რას იტყვია? აკაკიმაც იცოდა ხოლმე ანდრია ლულაძეზე ოხუნჯობა... ანდრიას დიდ პატრიოტად მოჰქონდა თავი. სხვა-თა შორის, ძალიან უყვარდა სამგლოვიარო პროცესიების მოწყობის გამგეობა

და სხვა ასეთი საქმეები და ჩვენც მართლა პატრიოტი გვეგონა... ჩვენს ხანში შესულ ქალებსაც მოსწონდათ. ერთმა ასეთმა ქალმა, რომელიც პოეტობდა, შეიყვარა კიდეც...

მატარებელში ვიღაცა ჩვენგანს ცხიკვება აუფარდა, ცივი დარი იყო. ილიამ სთქვა, მაგისი არაფერი ვიცო, ე. ი. ჩემს დღეში ცხიერს არ მაცემინებსო. მაგრამ გელათში რომ ავედით, მეორე დღეს, იქ ილიამაც დააცემინა ცხიერს—სინოტივე იყო და ალბათ იმის გამო. მაშინ თქვა, „გუშინ ტყუილად დავიკვებო!“.

ჩვენთან ერთად მოდიოდა კიდევ ნიკო ლოლობერიძე და მან გვიმასპინძლა ქუთაისში. თბილისიდან საღამოს გასულნი ქუთაისში დილას ჩავედით და მაშინვე გავემგზავრეთ ეტლებით გელათისაკენ. ცოტა თოვლი ჯერ კიდევ იღო გზაზე.

იმ დროს ქუთაისის პოლიციებისტერად იყო, თუ არ ვცდები, ვინზე სიმონიშვილი, რომელსაც ქართველებს შორის ძალიან ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, დამახტურებიათვის ყველაფერს ჩაიდენსო. ლევან ჯანდიერს შეეტყო და ჩვენც გვაცნობა, რომ იმ სიმონიშვილს თბილისიდან ზედისხედ მისილოდა ღებებო: „Следить за Ильей Чавчавадзе и записать каждое слово, что он скажет“.

გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედარი, რა თქმა უნდა, გელათის ეკლესიაში იყო დასვენებული, ზაქარიაშვილს წინ. ხალხი მოდიოდა, მკიდროდ ერთმანეთს კუბოს გარშემო და იყო გაუთავებელი სიტყვები. ზედისხედ გამოდიოდნენ იპერელი აბლაგაზრდები თუ სხვები და უზომოდ ენაშვებოდნენ, რომ საუკეთესო ორატორებად იჩვენებინათ თავი. როგორც აღვნიშნე, ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არ შეეფერებოდა ეპისკოპოსის და მეტადრე ასეეტური სულისკვეთებით გამაჰკვალულ გაბრიელს, რომელიც სიცოცხლეში სწორედ რომ არ თანაუგრძნობდა ხოლმე ასეთ საქციელს.

ამ მდგომარეობაში ვიყავით, რომ საღამო შემოგვესწრო და ილიამ გვითხრა: „ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავიცადოთ და მერე კი წაიღებოთ“. ბოლოს მანვე გვითხრა, „მივიღეთ ახლა და გამოვეთხოვოთ მიცვალბულსაო“. მე წინდაწინ მივედი კუბოს ირგვლივ შემორტყმულ ხალხთან, რამდენადმე გავითიშე იგი და ხმა-მალა დავიძახე: „ბატონებო, ცოტა ჩაშოდეით და გზა მოგვეცი, ბატონს ილია ჰქვამდათ აქვს სიტყვა მეთქი“. ერთი სატყვივით, „პროვოკაცია“ მოეუწყე ილიას! ხალხი მამინვე გაიშალა, ილიაც წამოდგა და წარმოსთქვა სიტყვა. მას დიდი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმინა დიდძალმა ხალხმა, რომელსაც გაეშუადა ეკლესია. ლევან ჯანდიერს ეს ძალიან იამა და მადლობა მიიხრა, რომ ვაიძულე ილია და ვაიძენე იგი სიტყვა. ეს უკანასკნელი მართლაც შესანიშნავი იყო, კარგად ჰქონდა ილიას მომზადებული და წინასწარვე გაგვაცნო; მერე დაიბეჭდა კიდევაც. თითონ ილიაც კმაყოფილი დარჩა, რომ სთქვა.

გელათში მცირეოდენი გვასაუზმეს, მაგრამ არ გვეყო და ქუთაისში მოვივებულნი ჩამოვედით. ნიკო ლოლობერიძემ სადილის საქმელად შეგვიყვანა ხიდის მახლობლად მდებარე სასტუმროში. შევედით დარბაზში, რომელიც იმავე დროს სასადილოც იყო და დავინახეთ, რომ სუფრას მრავლად შემოსხდომოდნენ მოჭეიდენი, პოეტ გიორგი შარვაშიძის შეთაურებით. მათ შორის იყო ლეჩხუმის მაზრის თავად-ზნაურთა წინამძღოლი იასონ გელოვანიც. უკვე ყველანი შემთვრალიყვნენ და მალიმალ გალობდნენ საეკლესიო ჰანგს: „განუსკე-

ნე, უფალო, სულსა მიცვალბულისა მონისა შენისასაო“. რომ დაგვიჩაბეს, ყვე-
ლანი წამოდგენ და შარვაშიძემ წამოიძახა: „ო-ო, ილია გრიგორი! რა სა-
სიამოვნო სტუშარია! აბა, ახალი სუფრაო!“ მიუჭექით მაგიდას. მთვარეა
მასპინძლებმა დაადგინეს, რომ ჯერ დაგველო იმათი სადღეგრძელო, ვინც იქ
ჩვენ შესვლამდე ისხდნენ და მერე განეგრძოთ სადღეგრძელოები. მაგრამ ილიას
სადღეგრძელო შინც პირველად შესვეს. კაი გვარიანი ჭიქები იყო; ხუთ-ხუთი
დაგვიდგეს თუფშუ და შემოგვთავაზეს დალევა, მაგრამ ნიკო ლოლობერიძემ
სთხოვა, მშვირები ვართ, ცოტა გვაცალეთ, საქმელი ვეპოთ და მერე ყველას
გიახლებითო. დაგვეთანხმნენ. ილია ჩვეულებრივ მადიანად შეუდგა ჭამას და
თან ლეინოსაც უანგარიზოდ სვამდა. იმ ლაპარაკსა და სმაში ჩემ გვერდით
მჯდომმა ნიკო ლოლობერიძემ გადაუჩურჩულა ლაქიას, ილიას ააცილეთ ის ხუთი
ჭიქაო: ეშინოდა, არ აწყინოსო. ლაქიამ მართლაც მოახერხა ილიასათვის იმ ხუ-
თი ჭიქის აცილება და სხვებმაც, ჩვენთან მოსულებმა, ვისაც არ შეეძლო სწა,
უარი თქვეს — მათ შორის, რა თქმა უნდა, ნიკო ლოლობერიძემაც, რომელსაც
გული სუსტი ჰქონდა და ლეინო სწყენდა. უარი სთქვა მისმა ძმამაც, სიმონ ლო-
ლობერიძემ, რომელიც წინათ ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის გიმნაზიაში, იმ
დროს უკვე გადამდგარიყო სახელმწიფო სამსახურიდან და კერძო სათავად-
აზნაურო სკოლის გამგედ იყო დანიშნული. თამადას. გიორგი შარვაშიძეს ლეი-
ნო მოვიდებელი ჰქონდა და მკვახედ მიმართა სიმონ ლოლობერიძეს: „აეა.
თქვენ არასოდეს არ გვიჭერთ მხარს საზოგადო საქმეებშიო“ და ამისთანებო...
მერე მოყვენ ჩვენ სადღეგრძელოებს და როდესაც ილიას ერთი ჩვენგანის
სადღეგრძელო-და დარჩა დაუღვეველი, უთხრეს, მიირთვიო. ილიამ უპასუხა:
„დაღი სიამოვნებით გიახლებით, მაგრამ გულს მაკლია. რომ პირველად და-
სალევი ხუთი ჭიქა არ შემისვამსო.“ — „ა-ტ-ტ-ტ-ტა, ეგ როგორ მოხდა, ახლავ
პოართვით ილიას ის ხუთი ჭიქაო!“, დაიძახა თამადამ. ნიკო ლოლობერიძემ ზე-
ლი წამკრა და მითხრა: „საკვირველი კაცია ეს ილიაო!“. პოართვეს „აცილებუ-
ლი“ ხუთი ჭიქა, ილიამაც ნელ-ნელა, გემრიელად შესვა და ბოლოს იმ ჩვენი ამ-
ხანაგის სადღეგრძელოც დალია... მართლაც საოცარი კაცი იყო! „გულს მაკ-
ლიაო“, დინჯად, სერიოზულად უთხრა: არ უნდოდა, რომ ვისმე ჩამორჩენო-
და იქა!

ილია სიმონ ლოლობერიძის ბინაზე მოათავსეს. მე მეორე დღეს, ადრევე
გამოებრუნდი თბილისს, ილია კი იქ დარჩა. არ მახსოვს, რამდენ დღეს.
მისთვის ეჩვენებინათ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა და სხვა მეგობრები...

გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ ორიოდ სიტყვა კიდევ უნდა ვთქვა:
პირველად იგი ახლო ვნახე საღმრთო რაჭულის გამოცდის დროს. როდესაც
ოთხკლასიან პროგიმნაზიას ვათავებდი ქუთაისში. ის გამოცდაზე დასასწრე-
ბად სკოლის ინსპექტორმა იუდინმა და საღმრთო სკოლის მასწავლებელმა
მოიწვიეს. მართლმადიდებელი შეგირდები სულ ხუთი ვიყავით: მე, იოსებ
დადიანი, შარუხია, გორგასლიძე და ერთი რუსი (გვარი არ მახსოვს). ყველანი
ერთად დაგვაყენეს გაბრიელის წინ (ისე მოისურვა მან). გაბრიელთან იქდა
ინსპექტორი, მკაფარიანი კი თავზე გვედგა. ჯერ გვარები წაიკითხა. ჩემი გვა-
რის შესახებ თქვა: „ეს გურულიაო“. დაგვიწყეს გამოცდა: ვვათქვენივს ლო-
ვები, გვაამბობინეს სამღვთო ისტორიის მოთხრობები: მერე გაბრიელმა
გვკითხა, თუ რა სასწაულები მოახდინა იესო ქრისტემ. ჩვენც დაწერილობით ჩა-
მოუთვალეთ, რაც ვიცოდით. მან გვითხრა: — „Также чудеса и другие святые

«совершил.—და დასძინა: а какое такое чудо совершил, какого никто, кроме него, не совершал?»

ამ კითხვაზე ჩვენ მხოლოდ განვიმეორეთ ის, რაც წინეთ გვექონდა ნათქვამი:
„Слепых прозревал, бесноватых исцелял, Лазаря воскресил“... და სხვა.—
„Нет, нет! это и другие дела“.

ჩვენ გავირეებით შევხედეთ ჩვენს მასწავლებელს მაქაერიანს, რომლისგანაც ასეთი კითხვა არ გვსმენოდა, და, რა თქმა უნდა, არც მისი პასუხი. მასაც გავეირვება ვტყობოდა და ცხადი იყო, არც მან იცოდა, რა პასუხი უნდა მიეცემა. რაკი ჩვენ ვერას გავხდით, გაბრიელმა თვით მოგვცა პასუხი:

„Себя воскресил! Себя воскресил!“

მე ვერ წამომედგინა, რომ მკვდარი კაცი თავის თავს გააცოცხლებდა. ის სხვას უნდა გაეცოცხლებია, მაგრამ პირდაპირ ამისი ხმამაღლა განცხადება ვერ გავბედე და თავჩაღუნულმა ჩავილაპარაკე:

—„Ведь у Христа был отец, бог отец! Он его воскресил“. გაბრიელმა განმარტა: „Бог отец, бог сын и дух святой одно единое божество, бог сын явился на земле в образе человека, чтобы своим страданием искупить род человеческий, после распятия в нём умерла человеческая природа а не божественная, и эта божественная природа снова воскресила себя в образе человека, чтобы показаться своим ученикам и убедить их и весь мир, что бог не умирает и на глазах учеников в образе человека вознёсся на небо и в образе человека явится в мир во время второго пришествия“... და სხვა.

შეუძლე გაბრიელი მე აღარ მიწახავს. მაგრამ სხვებისაგან გამიგონია, რომ მან ასეთი კითხვების წამოყენება სხვა გამოცდების დროსაც იცოდა.

გაბრიელი საეტაკი ზნეობის მღვდელმთავარი იყო და ვერ ურიგდებოდა მისი დროის იმ მღვდელმთავრებს. რომელთაც ასეთი ზნეობა აკლდათ. მის დროს საშვერელის მღვდელმთავრად იყო გრიგოლ დადიანი, რომელსაც ბევრ უზნეობას სწამებდნენ. გაბრიელს ჩამოეგლო ამის შესახებ მასთან ლაპარაკი, დადიანს ეს შეუტრაცხოვად მიეღო და ეთქვა: „მეც ისეთივე მღვდელმთავარი ვარ, როგორც თქვენ, და ასეთი აშბავი ჩვენ შორის არ ეგებოს“. გაბრიელს უპასუხია: „მართალია, მღვდელმთავარი კი ხართ, მაგრამ პავლე მოციქული ამბობს, ეკლესიით ერთმანეთით“.

ახლა ზოგი რამ ილიას ოჯახური ცხოვრების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემ დროს ილია თბილისში ცხოვრობდა თავის მიერ აშენებულ. მაგრამ დის კუთვნილ სახლში. არ ვიცი, უწინაც მასთან ერთად იღვა მისი და თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იმ ახალ ბინაში ოჯახს მაინც-დამაინც შესმატკბილებული ცხოვრება არა ჰქონია. მათი შინაური ამბები ვიცი ელენე გიორგის ასული ჯაბადარისაგან. იგი რუსის ქალი იყო, სპირიტიონ ჯაბადარის მეუღლე. სათავადაზნაურო სკოლის გაშვებს, ჩემს წინამორბედს ალექსი ჭიჭინაძეს მიეწვია, ილიას რეკომენდაციით, სკოლის პანსიონის ეკონომად და ჩემ დროსაც ჯერ ბოლომდე იყო ის ქალი იმ თანამდებობაზე. სპირიტიონ ჯაბადარი დიდი მეგობარი ყოფილიყო ილიასი და ერთი იმ, მასთან დაახლოვებულ მოღვაწეთაგანი, რომელნიც ილიასთან ერთად ზრუნავდნენ საქართ-

ველოს საქმეებზე. ეპენი იყენენ: გიორგი ყაზბეგი, ივანე პოლტარაკი²¹, ნიკო ლოლობერიძე, დავით ყიფიანი, აკაკი წერეთელი, პეტრე ნაკაშიძე (ილია ნაკაშიძის მამა, ილია ქაქავაძის დიდი მეგობარი), ილია წინამძღვრეშვილი, სერგეი მესხი და სხვები. მაგრამ ჯაბადარი ოჯახურადაც ახლოს იყო დაკავშირებული ილიასთან: მათი ცოლები მეგობრები იყვნენ. ელენე ჯაბადარი ჯეროვანად განათლებული ქალი იყო, კარგად იცოდა ფრანგული ენა, კარგად ესმოდა და მეტად უყვარდა მუსიკა, გასაოცარი ენერჯის პატრონი იყო, დიდად პატიოსანი, შეგნებული და კაცთმოყვარე. პანსიონერ ბავშვებს ნამდვილ დედობას უწევდა. ილიასთან და მის ცოლთან სიახლოვე სიკვდილამდე არ შეუწყობია და ქმრის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო განამტკიცა. ყოველ კვირა დღეს (როდესაც იგი სამსახურისაგან თავისუფალი იყო) სადილად ეწვეოდა ხოლმე მათ. ილიას მეუღლე ოღლაც ორ დღეში ერთხელ უსათუოდ მივიდოდა ელენესთან, მას შესაჩივრებდა თავის დარღებს. რაც რამე ვიცი ილიას ოჯახური ცხოვრების შესახებ, ყველაფერი იმ ელენესაგან მაქვს გაგონილი...

როგორ იხმარდა ილიას და ელისაბედი თავის შემოსავალს, ან რა ხარჯს ეწეოდა ილიასთან ერთად ცხოვრებისას, არ ვიცი. ერთი კი ცხადია, რომ ილია შინ სახლში იღვან და ბინის ქირას არ იხდიდა. სანოვავე კი—პური, ღვინო, ხილი, ქათამი, ინდოური, გოჭი და სხვა—ილიას სულ ოღლას მამულიდან. საგურამოდან ჩამოსდიოდა ხოლმე.

ილიას გაგიჟებით უყვარდა საგურამოს მამული და დიდი მეურნეობაც ჰქონდა მოწყობილი იქ. მან, პირველ ყოვლისა, შშენიერი სასახლე აიშენა. ნამუდმივ მართლა შესანიშნავი იყო—ლამაზი მღებარეობით, პავთია და მოსავლით. მაგრამ ილია მთელ იმ რთულ მეურნეობას მოურნაების ხელით აწარმოებდა და ისინი, რა თქმა უნდა, ხეირს არ აყრიდნენ საქმეს.

ილია გატაცების კაცი იყო მეურნეობაში: როგორც კი ამოიკითხავდა გაზეთში ახალი ჯასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღების შესახებ, უსათუოდ გამოიწერდა და გაუგზავნიდა ხოლმე მოურავს. მოურავებს მათი გამოყე-

21 ივანე პოლტარაკის, ე. თაყაიშვილის სიმამრს. თავის დროზე დაუწყია მოგონებათა წერა. რომელშიც, სხვათა შორის, ასეთი ადგილზე ყოფილა: ჩვენი საუკეთესო მეგობარნი. სპირიტონ ჯაბადარის გვეს უდგავართ გარშემო (ჩამოთვლილია ზემოთ ხსენებული გვარჯანი), ყველა 50 წელს გადაცილებულნი ვართ და ძალუენებურად ვფიქრობთ. აბა, ვინ წავა შემდეგით; ვგრძნობ. რომ ვალდებული ვარ, ბევრი რამ გავიხსენო და დაეწერო. მოგონებებს თურმე გიმნაზიის წლებიდან იწყებდა: თვეში 3 მანეთი გვეძლეოდა, ოღონდ გვემეცადინაო; ქართველ თაყადაზნაურთა შვილებთან ერთად უსწავლია; მის ამხანაგებს შრომები ურგებიო უგზავნიდნენ თურმე სანოვაგეს პანსიონში და ა. შ.

გარდა ამ მოგონებებისა, ივ. პოლტარაკის ვაჟს ალექსანდრეს (ე. თაყაიშვილის ცოლისძმას) ჰქონია მამამისის მიერ რუსულად ნათარგმნი „გლახის ნამბობი“, „კაცია ადამიანი“ და „ნათარაანთ ქერიკი“. ჰქონია აგრეთვე შავი დენანი თუ პირი მისი წერილისა ეურნალ „Вестник Европы-ს“ რედაქტორისადმი, რომელშიც, თურმე „აღლიან გულთბილად და გულისამირუებლად“ სწერდა საქართველოს შესახებ და სთხოვდა, დაებეჭდა ეურნალში მისი ზემოთ ჩამოთვლილი თარგმანები. თარგმანის ხელნაწერთა ამიებზე ილიას შენიშვნა-შესწორებანი ყოფილა. თარგმანები საქართველოს ლიტერატურულ მეზეუმს შეუქენია ა. პოლტარაკისაგან. ხოლო მოგონებანი და წერილი 1937 წელს, ილიას იუბილეს სამზადისის დროს, გ. ლონაძის შემკეობით, კრებულ „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ რედაქტორის ლ. აღინაშვილისათვის გადაუცაია და მისი დაღუპვის შემდეგ დაკარგულა. [ი. პოლტარაკის რძლისა და ე. თაყაიშვილის შვილობილს ლიდა თაყაიშვილის სიტყვიერი ცნობა].

ნების არაფერი გაეგებოდათ და იარაღებიც სულ მალე ფუჭდებოდა—ხან ერთი ხრახნი დაეკარგებოდათ, ხან მეორე და შემკეთებელიც არავინ იყო. რასაკვირველია, ყველა იარაღის მოხმარებას თავისი სპეციალისტი სჭირდებოდა და ეს სპეციალისტები კი ჩვენში არსად იყვნენ. მახსენდება ერთი ამბავი. ილიასა და მის მეგობარს ივანე პოლტარაკის გაზეთში წაუკითხათ, რომ შეიძლება წიწილების უკრუხოდ გამოჩეკა და თანაც ერთბაშად 500-ია და მეტისა და არა 20-სა, როგორც კრუხით იჩივება ხოლმე. გამოიწერეს ორივემ ინკუბატორები და გაგზავნეს თავ-თავიანთ მამულებში, ილიამ საგურამოში, ხოლო ივანემ—ოქროყანას. წიწილები კი მართლა დააჩეკინეს მანქანებს, მაგრამ იმ წიწილებს სხეანარი მოვლა სჭირდებოდათ და რაკი ამის მცოდნე არავინ მოიპოვებოდა, ნელ-ნელა ყველა გაწყდა. ამრიგად, ინკუბატორებსაც თავი დაანებეს.

აქ მიდიოდა მეურნეობის საქმე საგურამოში. ილიას სახლიც ძვირად დაუჯდა—თავისივე სიტყვით, 40.000 მანეთად. მახსოვს, ერთ ილიობა დღეს ვეწვიე საგურამოში (ეს იყო ჩემი ერთადერთი ასევე იქ ილიას სიცოცხლეში). თავის დღესაწაფელს იგი, როგორც ცნობილია, ყოველთვის დიდი მზარავით იხდიდა: მთელს კარგა დიდ სოფელსა და მეზობლებს პატივობდა, დიდძალი მეგობრები და ნაცნობებიც ესწრებოდნენ და ძალიან დიდ ნაღიშს მართავდა ხოლმე... საღამოს, ხალხი რომ დიშალა, აივანზე ვისხედით და ესაუბრობდით. ილიამ ლაპარაკში გამოუტრია, სხვათა შორის: „მე ვითომ ჭკვიან კაცს მეძახიან, მაგრამ რომ დაეფიქრებდი, ჭკუა არა მქონიაო: ეს სახლი 40.000 მანეთი დამიჯდა, ამ ფულით თბილისში ორ დიდ სახლს ავიშენებდი და მათი შემოსავალი მარჩენდა, ახლა კი ვალეებში ვარ ჩაეარდნილიო“.

ილიას არ უჯერებდნენ, როდესაც ამბობდა, ვალები მაქვს და გაზეთ „ივერიის“ გამოცემა შემოსავალს კი არ მაძლევს, ჩემ ფულს მაღლებინებს ზედაო. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ილია მართლს ამბობდა. როგორც ცნობილია, ილიამ ბოლოს გამოცემლობა გადასცა ერთ მცირე წრეს, რომელსაც მეთაურობდა ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, ძალიან კარგი კაცი. ეს ის იყო „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები რომ გაარჩია ქურნალ „მოამბე“-ში. მერე ჩემთან მუშაობდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, ხაზინდარდაც, მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგედაც და დიდად ენერგიულ დახმარებას მიწევდა. პოდა, ალექსანდრე სარაჯიშვილი და მისი ამხანაგები. რამდენიმე თვის შემდეგ უკვე დარწმუნდნენ, რომ გამოცემლობა მართლაც ზარალს იძლეოდა და, რა თქმა უნდა, მიატოვეს ის საქმე.

ამას გარდა, როდესაც ილია მოჰკლეს და კომისიამ მისი ქონება აღწერა, აღმოჩნდა, რომ ბევრი არაფერი დარჩენოდა. თავისი საგვარეულო მამული დანივთიერი ქონება რომ მცირე უნდა ჰქონოდა, ამას მოწმობდა მისი სულ უბრალო სახლი და პატარა მამული ყვარულში. ჩემ დროს ილია ცხოვრობდა ცოლის მზითვის — საგურამოს მოზრდილი მამულის შემოსავლით. და აგრეთვე, როგორც უკვე აღვნიშნე. დის დახმარებით. სხვა რა ჰქონდა—ფულად თუ ნივთიერად — ელისაბედ საკინაშვილისას, არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა: თბილისში ილია მის სახლებში ცხოვრობდა და თვითვე განაგებდა იმ სახლებს, თუმცა იმავე დროს... ელისაბედს ჰყავდა მოურავიც, ილიას სტუდენტობის ნაამხანაგარი მიხაკო ჩიკვაიძე.

აქ ვაგრძელებდი თითქმის მანამდე, სანამ ილიას აირჩევდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრად, 1906 წელს. ფაქტია, რომ ცოტა უფრო ადრე ილიამ მიატოვა

ბინა ელისაბედის სახლში და იქირავა პატარა სახლი ანდრიას ქუჩაზე²². შემდეგ ის სახლი იყიდა და ოთახების მიშენებასაც აპირებდა. რა იყო მიზეზი ილიას ამ, ჩვენთვის უცარი, გადასახლებისა თავისი დის სახლიდან, რომელიც მისი აშენებული იყო და სადაც მას თავის გემოზე ჰქონდა მოწყობილი და მოკაზმული კაბინეტი? ეტყობა, დიდი შეტაკება უნდა მოსვლოდა ილიასა და მის დას. მიზეზი არ ვიცი, ვინაიდან იმ დროისათვის ელენე ჭაბადარმა, მოხუცებისა გამო, დაანება გიმნაზიაში სამსახურს თავი, გადასახლდა თავის პატარა მამულში, საგარეჯოს, და იქ ცხოვრობდა თავის სიძესთან, საიჩითან ერთად, რომელიც წინათ ჩრდილო კავკასიის რომელიღაც გიმნაზიაში იყო მასწავლებლად და რომელსაც ელენეს ქალთან ქალ-უაჯი ჰყავდა. მას შემდეგ ელენე ერთხელაც აღარ ჩამოსულა თბილისში და აღარც მე მინახავს და აღარც ილიას ოჯახს. ეგებ არც მან იცოდა მიზეზი ილიას და მისი დის გაყრისა. თუმცა არა მგონია, რომ ოღლას წერილით მაინც არ ეცნობებინოს მისთვის ეს ამბავი.

ილიასთან იმ ახალ ბინაზე არა ვყოფილვარ, რადგან მაშინ უკვე აღარ მქონდა ხოლმე მასთან საქმე და ის კი იქ წვეულებას აღარ მართავდა. ვერც ისე ვხვდებოდი ილიას, რადგან იგი ხშირად და დიდხინობით იყო ხოლმე პეტერბურგში. აღარც ელისაბედი მინახავს მათი გაყრის შემდეგ. მხოლოდ დიდი ხნის მერმე, უკვე რევოლუციის შემდეგ. მომწერა ერთხელ წერილი, რომელშიც მოხვოდა, მივსულიყავი. მეც ვინახულე და შემომჩივლა. შიშშილით ვკვლები და მიშუამდგომლე, მენშევიკებმა რამე თანხა დამინიშნონ სარჩოდაო... მე ვუთხარი, არა მაქვს იმედი, რომ ამ მთავრობამ ილიას დას რამე დაუნიშნოს, ხომ იცი, რა ცუდი ურთიერთობა და გაუთავებელი პოლემიკა ჰქონდა ნოე ჟორდანიას ილიასთან მეთქი? მით უმეტეს, რომ სახლები გაქვთ და რატომ თქვენ ნათესავს კოტე აფხაზს (ილიას მეორე დისშვილს, თავად-აზნაურობის წინამძღოლად ნამყოფს) არ მოელაპარაკებთ ამის შესახებ მეთქი? მან მინასუხა, სწორედ კოტე აფხაზი მიჩივებს. სახლები გავყიდო და იმით ვიცხოვრო, მაგრამ, აბა, ილიას კაბინეტი როგორ გავყიდო?..

მას აქვთ ელისაბედი აღარ მინახავს და აღარც მისი ამბავი გამიგია. ეს ეპიზოდი... მოწმობს, თუ რამდენად ხელმოჭერილი ქალი იყო: სახლი არ ემეტებოდა ვასაყიდად და ენშევიკებს კი სთხოვდა სარჩოს!...

ასე იყო თუ ისე. ცხადია, რომ ილიას არა ჰყოფნიდა არც საგურამოს მამულის შემოსავალი, არც ბანკიდან აღებული ჭამაგირი და არც თავისი დის, ელისაბედისაგან მიღებული დახმარება. და იგი სულაც არ აზვიადებდა, როცა ამბობდა, ვალები მაქვსო. ერთხელ, „ბანკოვიადის“ დროს. ილიამ თავის სიტყვაში, სხვათა შორის, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ასეთი ფრაზა გამოურია: „მანამ თქვენი ნდობა მაქვს, ჩემით აქედან არ გაიქცევი და რომ გაიქცე. შიმშილით უნდა მოკვდეთ“. როგორც ითქვა, იგი გულისხმობდა ვანო მანაბელს, რომელმაც თავისი სურვილით მიატოვა ბანკის დირექტორობა, თუმცა ის კენჭისყრის დროს არც ერთხელ არ გაუშაგებიათ: ბანკის წევრები იმ ორ მოქიშპეს ყოველთვის ერთად ირჩევდნენ — ილიას გამგეობის თავმჯდომარედ და ვანოს კი დირექტორად... ამ სიტყვებს ბევრი არ უწონებდა ილიას და პეტადრე კი აკავი წერათელი.

²² ახლა ომონიძის ქუჩა. 1957 წლის ოქტომბერში იმ სახლში (№ 22) გაიხსნა ილიას სახლ-მუზეუმი.

მართლაც და ილია. უნივერსიტეტის გათავების შემდეგ, სხვა ნასწავლ ქართველ ინტელიგენტთა მსგავსად, სახელმწიფო სამსახურში შევიდა, რომ ჩამაგირით ერჩინა თავი. როგორც ცნობილია, იგი ერთხანს მომრიგებელ მოსამართლედ იყო დუშეთთან მაზრაში და ის ადგილი მას ივანე პოლტარაკიმა და ნიკო ნიკოლაძემ მიატოვებინეს, როდესაც პირველი ქართული უჭრნალის, „საქართველოს მოამბის“ გამოცემა გადაწყვიტეს და ილია ჩამოიყვანეს თბილისში. რედაქცია მოაწვევს „მუხრანსკის ნომრებში“ (ბარიატენსკის ქუჩა²³ რომ ამოღის, სწორედ იმ სახლს უყურობდა; მერე ის სახლი დაიწვა²⁴ და მის ადგილას რაღაც უმსგავსი შენობა დაუდგამთ²⁵) და რედაქტორობა დააუალებს ილიას. იმავე დროს სომხებმა თავიანთი გაზეთის გამოცემა დააუალებს თავიანთ ცნობილ მოღვაწეს, არწრუნის.

ბანკში წინათ მანკლამაინც დიდი ჩამაგირები არ ჰქონიათ მოსამსახურეებს, მაგრამ როცა „ბანკოვიდა“ მოთავდა და აქციების კონვერსია მოახდინეს, ბანკის შემოსავალმა ერთობ იმატა, ისე რომ ყველა ხარჯის გამოკლებით ნახევარი მილიონი მანეთი რჩებოდა საქველმოქმედო საქმეებისათვის და მოსამსახურეებსაც ჩამაგირი მოემატათ. მავალითად. ილია, როგორც თავმჯდომარე, წელოწადში უკვე ხუთი ათასს იღებდა წინანდელი სამი ათასის მაგიერ. ამას გარდა, ბანკის მოგების გარკვეული პროცენტი მოსამსახურეებს ეძლეოდათ ზედმეტად და ეს პროცენტი მათ თვიურ ჩამაგირს აღემატებოდა.

ილია მეტად გულჩათხრობილი ადამიანი იყო. მე არ მგონია მას ისეთი მეგობარი ჰყოლოდეს, რომლისთვისაც თავისი ინტიმური დარღები და გულისთქმა ვაენდოს. როდესაც ის საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა, მე და ნიკო ცხვედაძე მიველით მასთან. ცოტა მოწყენილი დაგვებდა, მაგრამ დიდხანს ვიზასავთ. სხვათაშორის გვითხრა: „მე დარდიანი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩვეულებად არა მაქვს, რომ ჩემი დარღები სხვას გავუზიარო, მევე ვიკლავ გულში“. ვიმეორებ: გულითადი მეგობრები არა ჰყოლია მას, მაგრამ დაახლოებული პირები ბევრი ჰყავდა და ისინი ითვლებოდნენ ილიას მეგობრებად. მე რომ თბილისში ჩამოვედი, მისი მეგობრები ნიკოლოზ ჯაბადარი, დიმიტრი ყაზბეგი, ბესარიონ ღოღობერიძე ცოცხლები აღარ იყვნენ, ასე, რომ მათ შესახებ ვერაფერს გეტყვით. აქ რამდენიმე შენიშვნა ილიას ზოგიერთ დაახლოებულ პირთა შესახებ.

ივანე ვენატეკიძე პოლტარაკი (თბილისის ნოტარიუსი) ილიას ამხანაგი იყო გიმნაზიიდან. ქართული კარგად იცოდა, დაბადებულია ქუთაისში, დედა ქართველი ჰყავდა, ზედგინიძის ასული. პირველი ცოლიდან მას შეეძინა ერთი შვილი, რომელიც ილიას ნათლული იყო და მის სახელს ატარებდა.

ილია პოლტარაკი (ილიას ნათლული) თბილისის რეალური გიმნაზიის გათავების შემდეგ პარიზში გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისაღებად და იქ დარჩა, ბანკში მსახურობდა და 1944 წელს გარდაიცვალა.

ივანე პოლტარაკის მეორე მეუღლე ნადო გაბაშვილის ქალი იყო. ივანეს იმისაგან ექვსი შვილი ჰყავდა: ხუთი ქალი და ერთი ვაჟი.

²³ ახლა ყორჯიშვილის ქუჩა.

²⁴ ეს მოხდა 1921 წელს.

²⁵ იველსხმება კავშირგაბმულობის სახლი. მისი ფასადის რეკონსტრუქციამდე.

პოლტარააციმ ილიას თხზულებები თარგმნა რუსულ ენაზე. მანვე თარგმნა რუსულად „ვეფხისტყაოსანი“. ხშირად დადიოდა ილიასთან. აჩვენებდა მას „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ადგილების თარგმანს. ერთხელ მან მითხრა: „ილია წაიკითხავდა ხოლმე ჩემს თარგმანს და ზოგჯერ მეუბნებოდა, ეს ადგილი არ ვარგაო, რომ ვკითხავდი, აბა როგორ უნდა იყოს?—იმას კი აღარ ამბობდაო“.

პოლტარააციმ გარდაიცვალა 1892 წლის აგვისტოს დამლევს. მე მაშინ თბილისში არ ვიყავი. ილია დასწრებოდა მის დაპარხვას. ეკატერინე გაბაშვილმა და სხვებმაც მითხრეს: „ილიას თვლებიდან კურცხალ-კურცხალი ცრემლები სდიოდაო“. ისინი ვაკვირებულნი იყვნენ: „ერთხელ ძლივს დაივინახეთ მის თვალზე ცრემლიო“.

ილია წინამძღვარი შვილი დიდად დაახლოებული იყო ილიასთან და ნამეტნავად მის მეუღლე ოლღასთან. ის იყო აგრეთვე ნათესავი ივანე პობტარააციისა და მისი მეორე ცოლის—ნადო გაბაშვილისა.

სბეტაკი ადამიანი იყო. დამაარსებელი და ხელმძღვანელი წინამძღვრისათვის კარის კერძო სამეურნეო სკოლისა. რომელსაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლის და ქონება. მე კარგად ვიცნობდი მას. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო უაღრესი ფიზიოკრატი, დაწმუნებული, რომ საქართველოს მარტო მეურნეობის გაჩაღება და განათლება უშველია. ამიტომ, მისი აზრით, ყველა შეძლებულ ქართველს ან უნდა სამეურნეო სკოლა გაეხსნა, ან არა სკოლისათვის თავისი ქონება შეეწირა. ილიას მამულზე ამბობდა: „რა ოხრად უნდა ილიას საგურამოს მამულში? შვილი არა ყავს და ძირი, სჯობს ჩვენს სკოლას შემოუერთოს და ამით გავაფართოოთ საქმეო“. წერილებსა ბეჭდავდა ქართულ ყურნალ-გაზეთებში. გამოსცა დიდი წიგნი სათაურით: „ვაზის მოვლა“.

ი. წინამძღვარი შვილი პირველ ხანებში თბილისის მაზრის მოპირიგებელ მსაჯულად მსახურობდა (1868—1901), მერე—თბილისის ქალაქის ნოტარიუსად. უმაღლესი განათლება არ ჰქონდა. მაგრამ ენერჯია, მოხერხება და საქმისათვის თავდადება—გამოუთქმელი. პირველად ილია წინამძღვარი შვილი სკოლას თავისი ხარჯით ინახავდა, მერე სათავადაზნაურო ბანკმა დაუნიშნა შემწეობა, მაგრამ მაინც მთელ თავის ჯამაგირსა და მამულის შემოსავალს ზედ ადებდა. ყოველ შაბათს ეტლით მიდიოდა თავის სკოლაში და ორშაბათს უკან ბრუნდებოდა. ზოგჯერ სარევიზიოდ თან მიჰყავდა პედაგოგები, ან შენობის სარემონტოდ — ხელოსანები და სხვანი. თვით საპედაგოგო საქმის არასპეციალისტი იყო, ამიტომ სკოლის გაშვებს და მასწავლებლებს ისეთ რაჟივებს ავალბდარის შესრულებაც შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, სკოლას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; კურსდამთავრებულნი სოფლებში კარგად მუშაობდნენ. ნიჟერე შეგირდებს ის ნოვიციის სამეურნეო სასწავლებელში აგზავნიდა. შემწეობას აძლევდა. მათთან მიწერ-პოწერა ჰქონდა. ყველა მისი შეგირდი მას თავის მამად სახავდა.

ზომიერი ცხოვრების და ჰაგიენის მიძღვევარმა ილია წინამძღვარი შვილმა დიდხანს იცოცხლა, მაგრამ უკანასკნელ სამ წელიწადს ლოჯინად ჩავარდა. ნიკო ცხევედამის ყოფილი ცოლი უფლიდა. არც ნათესავებსა და არც მეგობრებს მასთან არ უშვებდა. ეს მანდილოსანი სომხის ქალი იყო. ნიკოდან მას შესძენოდა ერთი ქალი... რომელიც შემდეგ ფელიქს გოგიჩაიშვილმა შეინახა ცოლად, სანამ ქალიშვილი შეეძინათ... ერთხანს ნიკოს ნაცოლარი პარისში ცხოვრობდა... მერე კი დაბრუნდა საქართველოში. ილია წინამძღვარი შვილის მძიმე ავადმყოფო-

ბა რომ შეიტყაო, უყოყმანოდ მიეშველა და თავგამოდებით დაუწყო მოვლა, არაფერს აკლებდა და უმსუბუქებდა მდგომარეობას.

ილია წინამძღვრიშვილის დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო, წესი სიონის ტაძარში აუგეს, შემდეგ წინამძღვრიანთარში წაასვენეს და იქ დამარხეს ეს შესანიშნავი და უებრო ქართველი მოღვაწე.

ლევან ჭანდიერი (1848—1918) ჩემის აზრით ყველაზე უფრო დაახლოებული პირი იყო ილიასთან. თბილისის მაზრის უფროსი, ჭკვიანი, პატიოსანი, ენერგიული და დიდად შეგნებული, კახეთში ერთ-ერთ მოწინავე კაცად ითვლებოდა, ნივთიერადაც შეძლებული იყო. სადაც კი წავიდოდა ილია, ისიც თან დასდევდა და მოგზაურობის მარშრუტი მის ხელში იყო.

პის დროს მაზრაში სრული სიწყინარე და წესრიგი სუფევდა: ავაზაკობა და თავზე დატემა არ ყოფილა, მაგრამ ერთხელ მან გოლიცინის წყრომა მაინც დაიმსახურა.

ბორჩალოს მაზრაში ავაზაკობა, კაცის კვლა და ხოცვა-ჟლეტა გახშირდა. გოლიცინისათვის მოეხსენებინათ და ის აღშფოთებული იყო. დაებარებინა ლევან ჭანდიერი და უკითხავად დაეწყო მისთვის ყვირილი: „Вы не на месте. Вы не умеете водворить порядок!“ და ჩამოეთვალა ყველა ის უწყობიანი, რაც ბორჩალოს მაზრაში მოხდარაიყო. ამის პასუხად ჭანდიერს ეთქვა: „Ваше сиятельство, я Тифлисский уездный начальник, всё, что Вы перечислили, это нмело место в Борчалинском уезде, у меня ничего подобного не было и не может быть!“

ამზე გოლიცინს წარბეულმულად უპასუხნია: „Что всё равно, вы все одинаковы, Борчалинский или Тифлисский“.

ასეთ ხეპრე აღმინისტრატორთან ჰქონდა საქმე ჭანდიერს.

თუ რამდენად შეგნებული ჰქონდა ლ. ჭანდიერს ჩვენი გლეხობის საჭიროებანი, ამაში მე დაერწმუნდი თბილისის და ბორჩალოს მაზრაში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს.

ქვემო ქართლი (ბორჩალოს მაზრა, და თბილისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო). ეს შესანიშნავი მხარე და მოწინავე სადროშო საქართველოსი დაკარიღდა აუარებელი მტრების შემოსევით, მეტადრე ლეკების გაუთავებელი თარეშის დროს. იმის მაგიერ, რომ ეს ადგილები ქართველი ხალხის უმიწო გლეხებით დაესახლებინათ, მთავრობამ XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში ოსმალეთიდან გადმოაასახლა სომხები და ბერძნები; შემდეგ აქ დაასახლდნენ გერმანელებიც. თბილისის და ბორჩალოს მაზრების დასავლეთ საზღვრებთან ძველიდან დარჩენილი ქართული სოფელი სულ სამი იყო: ერთი დიდი სოფელი გომარეთი, მეორე—ვარდისუბანი. პატარა სოფელი, 15 კომლიანი, და მესამე—რეხა, სადაც სანახევროდ ბერძნებიც ცხოვრობდნენ. რეხასა და ვარდისუბანს მცირედი მიწა ჰქონდათ, გომარეთს უფრო ნაკლები. ამიტომ მე მეტად გამიკვირდა და მეამა. როდესაც მანგლისის მახლობლად. გონხარად წოდებული ნანოფლარის ქვემოთ, ენახე მთიულეებით დასახლებული სოფელი 50 კომლისაგან შემდგარი და რიგიანად მოწყობილი. ვკითხე: „საიდან გაჩნდით აქ თქვენ?“ მათ მიპასუხეს: „ჩვენ მთიულეები ვართ, მიწა ნაკლები გვქონდა. უშველოსს დმერთმა ლევან ჭანდიერს, მან მოგვხედა და აქ გადმოგვასახლა, საყოფი

მიწა მოგვიხერხა და მისი წყალობით მოვითქვეთ სულიო. აქ ორი ნასოფლარია თავის ეკლესიებით, მაგრამ რაკი მათი სახელები არ ვიცით, ჩვენ სოფელს ახალ-სოფელი დავარქვიეთ“. მე ვუთხარი: „ამ ნასოფლარების სახელები მე ეკლესიათა წარწერების მიხედვით გამოვარკვიე, თქვენ კვემოთ რომ ნასოფლარია, ამის სახელი აზიკვე ყოფილა, აქ აღამიანთა ქანდაკებებიც არის, ერის „შოთაი“ აწერია, შეიძლება შოთა რუსთაველი იყოს, ხოლო თქვენს სოფელს ბზა ჰქმევია“.

ამას გარდა ვთხოვე ეკლესიებისათვის ყური ეგდოთ. დიდად გაუხარდათ. დაპირდნენ მოვლას.

ჩაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე უნდა დაეძინო, რომ მე ჩემი ათეული წლობით წარმოებული არქეოლოგიური მოგზაურობის დიდი ნაწილი მოვანდომე ისტორიული საქართველოს სამხრეთ მხარეებს, რომლებიც მტრებისაგან სხვებზე უფრო იყვნენ განადგურებული, ხოლო იქაური ძეგლები უპატრონოდ და უმწეოდ დარჩენილიყვნენ, რაკი ძველი მოსახლეობა თითქმის გამქრალი იყო. ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა (და ეს ჩემ ანგარიშებშიც მაქვს ასახული), რომ ის განაპირა, ომიანობისას მეწინავე კუთხეები კულტურულადაც ძალიან დაწინაურებული ყოფილან თავის დროზე. სხეანაირად ძნელი ასახსნელი იქნებოდა საეკლესიო და სხვა (ხშირად მშენიერი და რთულად ნაგების) შენობების ესოდენი სიმრავლე, რაც ძალაუვნებურად იწვევს დიდ პატრიარქმას მათი შემქმნელებისადმი... ახლა ძალიან მარჯვედ მოუყიდინათ იმ ძეგლების შესწავლისათვის ხელი ჩვენს ისტორიკოსებს, არქეოლოგებს და ხელოვნებათმცოდნეებს. რაც გასახარებელია. იმ რაიონების ჯეროვანი კვლევა (მე ხომ მხოლოდ წინასწარულად მოვისინჯე იქაურობა) ძალიან შეგვივსებს წარმოდგენას ქართული კულტურის ისტორიისა და მრავალფეროვნების შესახებ]...

ჩემ დროს დაიწყო ქართველმა საზოგადოებამ ჩვენი მწერლების, პოეტებისა და მოღვაწეების იუბილეთა გადახდა. პირველი ასეთი იუბილე მოუწყვეს რაფიელ ერისთავს, რომლის ლექსებსაც,—მეტადრე ბოლოდროინდელთ, როცა მან ხალხური ლექსების სტილით დაიწყო წერა,—დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი ქართველობაში. ის ლექსები მართლაც შედევერებია ქართული პოეზიისა. თან რაფიელ ერისთავი ძველი ლიტერატურისა და ქართველთა ზნე-ჩვეულებების კარგი მცოდნე იყო.

მის იუბილეში მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა. ყველა ქართულმა დაწესებულებამ გამოგზავნა დეპუტატები და საჩუქარიც ბევრი შეუგროვეს. ჩვეულებრივ იუბილე ასე მიმდინარეობდა ხოლმე: ცნობილი პოეტები ან საზოგადო მოღვაწეები გამოიყვანდნენ იუბილარს სცენაზე, მოუსხდებოდნენ აქეთ-იქით და იწყებოდა მილოცვა-სიტყვები, საზოგადოებათა წარმომადგენლების მხრივ.

რაფიელია იუბილე გადაიხადეს ბანკის ქარვასლის თეატრში, სასახლის ქუჩაზე³⁰. იუბლარი გამოიყვანეს ილია ჭავჭავაძემ და აკაცია წერეთელმა. სიტ-

³⁰ ახლა რუსთაველის გამზირის დასაწყისი. ლენინის მოედნიდან საქართველოს მეზუე-გამდე.

ყებმა და მილოცებმა შუაღლიდან საღამოს ექვს საათამდე გასტანეს. პერე ვახშამი გადაუხადეა და ახით გააჯეა იუბილეც.

შემდეგ რიგი მიღვა თვით ილიაზედაც, მაგრამ იგი, თავისი ჩვეულებისამებრ, თავმდაბლობდა; უარზე იყო და თან ამბობდა, „ეს იუბილე ერთგვარი ყენნობა არისო“. მაგრამ კი ეტყობოდა, რომ ბოლოსა და ბოლოს დათანხმდებოდა. ასე იცოდა ხოლმე ბანკის არჩევნების დროსაც: ჭერ იტყოდა, აღარ შემიძლია, ვეღარ გავუძღვებო. მაგრამ როცა აირჩევდნენ, უკვე აღარაფერს ამბობდა... საჩუქრების შეგროვებაც კი დაიწყეს და ზოგ საჩუქარს წინასწარ გზავნიდნენ ილიას გაზეთის რედაქციაში. კომისიაც იყო შემდგარი, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო მას ამ იუბილეს მოწყობისა. არ ვიცი, ოფიციალურად მოსწერეს უარი თუ წინასწარ, მოლაპარაკებისას გააფრთხილეს საიღბრლო კომისია (ვინ ხელმძღვანელობდა, აღარ მახსოვს). მაგრამ უთხრეს კი, სკობს, ნუ იოხოვთ, რადგან უსათუოდ უარს მიიღებთო.

იმხანად მე სათავადაზნაურო სკოლას განვაგებდი და იქ წესად მქონდა შემოღებული გამართვა სალიტერატურო საღამოებისა, რომლებზედაც სკოლის შეგირდები ჩვენი პოეტების ლექსებსა თუ პროზას კითხულობდნენ და თან სხვადასხვა საკრავებს — ვიოლინოს, ვიოლონჩელოს და სხვ. — უკრავდნენ (შემდეგ მინდა ზოგი რამ მოვიგონო იქაური მუსიკის მასწავლებლების ზაქარია ფალიაშვილისა და ჩეხი ვიოლონჩელისტის პოლიკას შესახებაც). ჩვენ საღამოებს ესწრებოდა თბილისის თითქმის მთელი ქართველობა და ისინი ყოველმხრივ ღიღ მოწონებაში იყვნენ. ასეთი საღამოების მოწყობა მარტო პედაგოგიური საბჭოს თაოსნობა იყო და ამაში სრულიად არ ერეოდნენ (არც რასქე ვეკითხებოდით) სასკოლო კომიტეტის წევრები: მათ მხოლოდ ბარათებს ვუგზავნიდით და კტუმრებად ვწვევდითო.

განვიზრახე. ერთი ასეთი საღამო საგანგებოდ მოგვეწყო ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად და პროგრამაში შეგვეტანა უმთავრესად მისი ლექსები და სხვა ნაწარმოებნი. მაგრამ განზრახვა საიდუმლოდ შევინახეთ: არც კომიტეტის წევრებისათვის გვიცნობებია და არც თვით ილიასათვის, რომ საღამო მისდამა იქნებოდა მიძღვნილი. საქმე ის იყო, რომ ვიპიმე პატივსაცემი სალიტერატურო საღამოს მოწყობის ოფიციალური ნებართვა არა გვქონდა, იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის უნდა გვეთხოვა. ილიასათვის რომ გავკემხილა ნამდვილი მიზანი, შეიძლება არც დასწრებოდა საღამოს და არც დაერთო ნება ასეთი საღამოს მოწყობისა, სიფრთხილისა გამო. კომიტეტისათვის რომ გავუზიარებინა ჩვენი განზრახვა, მაშინ იგი საიდუმლოდ ვეღარ შეინახებოდა... ყოველ შემთხვევაში, ნიყო ცხვედაძე მაინც გაუშვლავნებდა ილიას. ისე კი, რა თქმა უნდა, კომიტეტის ყველა წევრი მოვიწვიეთ სტუმრად. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი იყო მარიამ ვახტანგის (პოეტის, ქაშაკურ-ორბელოიანის) ასული, საშვიო ორბელიანის მეუღლე (ამ ორმა ორბელიანმა შეუღლებით თავსაყვიანთი მამულები შეაერთეს)... რა თქმა უნდა, მარიამსაც გავუგზავნეთ მო-

საწვევი წერილი, მაგრამ მან მოპწერა, სამწუხაროდ ვერ დაეწერებო, რადგან შეუძლოდა ვარო. მერმე კი, როცა შეიტყო, რომ ილია დაგვესწრო და საერთოდ ის საღამო ილიას პატივსაცემად იყო მოწყობილი და საუცხოვრდაც ხატარდა, მოპწერა, ძალიან ეწუხება, რომ არ შემატყობინე, თუ ილიას პატივსაცემი საღამო იყო, თორემ უსათუოდ მოვიდოდიო. ამით აშკარა გახდა, რომ შინა „შეუძლებლობა“ დიპლომატიური მიზეზი ყოფილიყო.

საღამომ მეტად კარგად ჩაიარა. ბავშვები შესანიშნავად იყვნენ მომზადებული; მშვენიერი დეკლამაციით, ნამდვილი არტისტული ხელოვნებით კიბუხილობდნენ ილიას ლექსებს და ადგილებს მისი პოემებიდან — მაგ. „განდევნილიდან“, „კაცია-ადამიანიდან“, „გლახის ნაამბობიდან“, „ოთარანთ ქერიიდან“ და სხვა თხზულებებიდან. ამასთანავე, რა თქმა უნდა, სხვა მწერალთა ნაწარმოებებიც საკმაოდ იყო შეტანილი პროგრამაში.

ილია მეტისმეტად მზიარული და კმაყოფილი იყო. არა ერთხელ გამოთქვა აზრი: „მხოლოდ დღეს ვიგრძენი, რომ რაღაც დამიწერიაო; მაგრამ ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ახალგაზრდებს შეეძლებოდათ ასე საოცრად შეეგნოთ და შეეთვისებინათ ის, რაც მე მიუთქვამსო“.

საღამო რომ გათავდა, ილია, მისი მეგობრები და ზოგი სხვა ჩვენი ინტელიგენტი მივიწვიე მცირე სერობაზე, გიშნაზის შენობაშივე, ღიდ საკონცერტო დარბაზში. სერობაც ძალიან მზიარულად ჩატარდა.

უნდა ითქვას, რომ ილიას ვერ ჰქონდა მანცდამიანი კარგი აზრი სათავად-აზნაურო სკოლის პერსონალის შესახებ—მეტადრე ჩემი წინამოადგილის ალექსი ჭიჭინაძის გამგეობის დროს. მას ჩააგონეს... რომ ყველა იქაური მასწავლებლები „მაჩაბელისტები“ და ილიას მოწინააღმდეგეები არიან (საერთოდ ზოგიერთს... ახასიათებდა ნეპოტიზმი და ამასთანავე უკიდურესი უნდობლობა იმპერლობისადმი). ნამდვილად კი ყველა მასწავლებელს, ერთის გარდა, მეტრალური პოზიცია ეჭირა: არც ილიას წინააღმდეგნი იყვნენ და არც მაჩაბლისა. ის ერთი კი, მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილების მასწავლებელი ალექსანდრე ნადაძე, მართლაც თვალსაჩინო მომხრე იყო მაჩაბლისა და არც მალავდა ამას, სოფლებში პროპაგანდას ეწეოდა მაჩაბლის სასარგებლოდ. მაჩაბლის წინააღმდეგ მიმართულ ერთ თავის სიტყვაში ილიამ ეს მოკლენა, ერთი კაცის მოქმედება, სკოლას მთელ მასწავლებლობას მოახვია, ორატორულად, თავს და განაცხადა, „პროპაგანდაში ჩვენი სკოლის ოსტატებიც ჩაებნენო“. ბანკის იმ კრებაზე მასწავლებელთაგან მხოლოდ ჭაჭანაშვილი იყო წამოღდა და ჰკითხა ორატორს: „მეც ამ სკოლის მასწავლებელი ვარ და მამ, თქვენი აზრით. მეც ვეწვევი თქვენ წინააღმდეგ პროპაგანდასაო?“ ილიამ უპასუხა, „არა, თქვენ არაო!“ რა თქმა უნდა, სკოლის ადმინისტრაცია ვერ აუკრძალავდა რომელიმე მასწავლებელს, ესა თუ ის აზრი ჰქონოდა საზოგადო საქმეთა მიმართ... ასეთი ეჭვი და უნდობლობა ილიას, ეტყობა, დიდხანს შერჩა. თუმცა, 1904 წელს რომ ამირჩიეს სათავადანაურო სკოლის გამგედ, ილიას „ივერია“-ში დავით მიქელაძემ („მეველემ“) მეთაური წერილი მიძღვნა, ქება შეჰასხა და, სხვათა შორის, ისიც მოიხსენია, რომ „ბანკოვიადის“ დროს ნეიტრალიტეტს ვიცავდი.

რაკი ილიამ არ იცოდა, რომ ის სალიტერატურო საღამო ჩვენი პედაგოგიური საბჭოს მიერ მის პატივსაცემად იყო გამართული, იფიქრა, რომ ეს შინა შეგობრის ნიკო ცხვედაძის თაოსნობა იქნებოდა და სერობისას მას შეასხა ქება თავის სიტყვაში. ნიკოს კი არ უთქვამს... საღამოს გამართვაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო...

მაგრამ იმ საღამოს მოწყობის ნამდვილი გარემოება ელენე ჯაბადარმა, რა თქმა უნდა. აუწყა ილიას. ანუ ეთქვა: „Однако Вы впрямь попали! Всё было устроено по инициативе и за счет учительского совета гимназии и ее директора, а Вы об'явили благодарность Цхведадзе!“ ილიას, ცხაღია, დიდად სწყენოდა ეს ამბავი და საყვედური ეთქვა ელენე ჯაბადარისათვის: „შენ რაღად დამიძალე ნამდვილი გარემოება და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რად ჩამაგდეთ?“. შემდეგ, პირადად რომ შეეხვდი, ილიამ დიდად მოვიბოდიშა და თან დასძინა: „ღამიჭერებ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მე რომ იმ საღამოს სიაპოვნება განვიცადე, ჩემ დღეში არ განმიცდია და ვერც წარმომედგინა. თუ ისე კარგად შეიძლება ახალგაზრდობა ჩემ ნაწარმოებთა გაგებასათ. მინდოდა წერილობით შემომეთვალა თქვენთვის მადლობა ამ პატივისცემისათვის, რომელიც მე არასოდეს დამვიწყებდა, მაგრამ მოვერიდე, რომ არ გამქლავებულყო და რაივე უსიამოვნება არ შეგმთხვეოდათო!“.

ილია ჭავჭავაძე დიდი მოყვარული იყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიისა. საუკეთესო შეხედულება ჰქონდა ჩვენს არქეოლოგსა და ისტორიკოსზე, დამიტრი ბაქრაძეზე; ძალიან პატივს სცემდა და აფასებდა მას. პირველ ხანებში მე დამიტრი ბაქრაძესთან დავიწყე მუშაობა და დავიწყე იმით, რომ მან გაეცნობისათვის გადმოვიცა ახალდაარსებული საეკლესიო მუზეუმი წესდება. თავის მიერ რუსულად შედგენილი და სათანადო მთავრობის მიერ დამტკიცებული, ქართულ ენაზე სათარგმნად. მეც ვთარგმნე, დავებჭედი და შევედგინეთ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ილიამ აქტიური თაოსნობა გამოიჩინა მცხეთაში, ბაგინთზე მცირე საცდელი თხრის ჩატარებაში, რაც დ. ბაქრაძეს დაავალა (ამის შესახებაც იხ. ქვემოთ).

ილია სულ ამბობდა, „ერთი კაცი უნდა გავიჩინოთ ისეთი, რომ ჩვენს ისტორიაზე და არქეოლოგიაზე მუშაობდეს და სხვა არაფერი საქმე არა ჰქონდეს. ჩვენი სირცხვილია. ამისთანა რომ არავინა გვეყავსო. ერთხელ ნიკო ლოლობერიძემ მიგვიწვია რამდენიმე კაცი—პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ილია. აგრეთვე ნიკო ცხევაძე, იაკობ ისარლიშვილი (ისარლოვი), მე და სხვები. (ის იაკობი კათოლიკე იყო. ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში ნამყოფი; სახლებს აგებდა. კომერციას ეწეოდა. ინჟინერი არ ყოფილა, მაგრამ მშენებლობის საქმე კარგად ესმოდა, სათავადაზნაურო სკოლა თავდაპირველად „ღღმის“ შენობისა! უკან გვექონდა და მის გადაკეთებაში ძალიან მოგვეხმარა, თან ფულიც დაგვიზოგა. ლოლობერიძის, ილიას და სხვების უნივერსიტეტის ამხანაგო იყო. არეულობის დროს გამოირიცხეს იქიდან). დაგვიბარა ნიკომ და გამოგვიცხადა. განზრახული მაქვს ქართული საქველმოქმედო საქმიანათვის 50.000 მანეთი დაეტოვო. ნიკოც ილიას უნივერსიტეტის ამხანაგი იყო, ფრიალ თვალსაჩინო მოღვაწე და ძალიან ჭკვიანი კაცი. ჭუთაისში რომ სათავადაზნაურო ბანკი გაიხსნა, ამის პირველი თავმჯდომარე იყო ბესარიონ ლოლობერიძე (აი ის, ილიამ რომ სხვებთან ერთად გააკრიტიკა თავის გამოცანა-ლექსებში, „ქვეყნისა საქმე მასაც ფეხებზე ჰკიდიაო“. და მერე კი ბოლოში მოუხადა, უცოდინარობით მომივიდაო), დიდად პატიოსანი კაცი, პედაგოგი, მათემატიკოსი; ერთხანს საქალებო ინსტიტუტს განაგებდა. ნიკო ნიკოლაძე მისი წინააღმდეგი იყო და მის ნაცვლად ბანკის დირექტორობის კანდიდატად წამოაყენა ვინმე ბაქრაძე, მეტ-

31 ახლა თბილისის ქალაქის სამპო, ლენინის მოედანზე.

სახელად „ბილო“. ბესარიონი რომ გარდაიცვალა, ქუთაისში შეიქმნა „ბანკო-
კიდა“ და ბოლოს აირჩიეს ნიკო ლოღობერიძე, რომელიც წინათ ქუთაისის
გუბერნიის ნოტარიუსი იყო. მერმე ნიკომ თავისი ნებით მიატოვა ბანკის თავ-
მჯდომარეობა, ქიათურაში შავი ქვის მადნები ჰქონდა შექმნილი და იქ დაიწ-
ყო მრეწველობა. გვირან თანხას მოუყარა თავი, მაგრამ ნერვოლი კაცი იყო,
გული დაუსუსტდა, ამიტომ აღარც იქ გაჩერდა, მიანება თავი და დაჯიჯილი
ფული პარიზში ცხოვრობდა, ოღონდ ზაფხულობით თბილისში ჩამოვიდა
ხოლმე... დაუბრუნდეთ ახლა მის ანდერძს. ნიკომ დავეყენა საკითხი: „რა მიზ-
ნისათვის და რომელ საზოგადოებას დავეტოვო ის თანხა?“ ილიამ ასეთი
წინადადება მისცა: „ეგ თანხა გადაეცეს წერა-კითხვის საზოგადოებას, რომე-
ლიც მაგის ყოველწლიური პროცენტით ერთ კაცს აიჩენს, არჩენს და ის კა-
ცი ჩვენი ისტორიისა და არქეოლოგიის მკვლევარი იქნებაო“. იმ თანხის ყო-
ველწლიური პროცენტი შეიძლებოდა 2.500 მანეთი ყოფილიყო და ეს კი სა-
ძაოდ დიდი ფული იქნებოდა: მაგალითად, ვიცე-გუბერნატორს წინაშეაღწე
3.000 მანეთი ჰქონდა ჯამაგირი. ნიკომ უპასუხა: „მე კი უფრო განათლები-
სათვის მინდა, რომ ღარიბი ახალგაზრდობის სწავლას მოხმარდეს და ამიტომ
მირჩევნია სტიპენდიებისათვის დავეტოვო“. ილიამ რომ ეს გაიგონა, აღარ-
ფერი უთქვამს.

საოცარი კია, ისეთი შეხედულების კაცი იყო ილია, ისე ღრმად ესმოდა
ყველაფერი, იმოდენა გავლენა ჰქონდა, ბანკიც მის ხელში იყო და წერა-კი-
თხვის საზოგადოებაც, მაგრამ ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ იმ დაწე-
სებულებათა ხარჯზე მოეწყო ის საქმე, რომელსაც ნიკო ლოღობერიძეს სთა-
ვაზობდა და რომლის მოუწყობლობასაც ქართველობისათვის სამარცხინოდ
შეიჩნევდა. ასეთი შეუსაბამობა ყოველთვის მიკვირდა; გულში კი მქონდა,
მაგრამ რას გავუბედავდი თქმას? არა ჰქონდა ამის თაოსნობა! ბანკის შეი-
სავალი სულ აგარაული საქმეებისათვის უნდოდა და მუდამ იჭითენ მიილ-
ტროდა; სათავადაზნაურო სკოლის ტიპის შესახებ რომ იყო მსჯელობა, მაშინ-
ნაც სულ აგარაულ განხრახზე ლაპარაკობდა... ასეთ რამეებს კი ვერ მოი-
ფიქრებდა! აი, მაგალითად, მანგლისის მიდამოებში და სხვაგანაც მთიულების
ჩასახლება, როგორც უკვე ვთქვი, თბილისის მახრის უფროსის ლევან ჯანდი-
ერის დამსახურებაა. დიდხანს ეკავა ის თანამდებობა, ძალიან შეგნებულნი შა-
შელიშვილი იყო; ისარგებლა თავისი ხელისუფლებით და პრაქტიკულად გა-
ნახორციელა ეს ნამდვილად პატრიოტული საქმე, 1880—90-იან წლებში.
სხვა ჩვენი მოღვაწეები კი არ ფიქრობდნენ ამისთანებებზე, სულ ლიტერატუ-
რასა და მსგავს საკითხებს იყენენ გადაყოლილი. არავინ დამოუზაურობდა და
არც იცოდნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ მხარეებში, ნაო-
ხარზე რომ ათასი ჯურის გადამთიელი სახლდებოდა. თორემ ვანა არ შეიძლე-
ბოდა, ჯანდიერის გამოციდილებას მივყოლოდით და მთლად დავესახლებინა
ის კუთხეები?... აი, ხომ რა დიდი კაცი იყო ილია და იმასაც კი არ ჰქონდა
ამის გაგება. სამეგრელოში იგი მხოლოდ ერთმა შემთხვევამ წაიყვანა, რო-
დეს ადამათ იმიც უნახავი დარჩებოდა: თავი ნიკო დაითის მე შინგერესკიდ
ქირფას ხელნაწერთა ბიბლიოთეკა შემოსწირა წერა-კითხვის საზოგადოე-
ბას—გორდის სასახლეში ინახებოდა, იტაცებდნენ; საზოგადოებამ სთხოვა,
გადაეარჩინათო და უსასყიდლოდ აღმოსცა. შემონაწირის ჩამოსაგებად
კომისია გაიგზავნა და მასში ილიაც შედიოდა. შესანიშნავად დახვდნენ, უმას-
პინილეს. მაშინ იყო, რომ თქვა, „სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო

მაგრამ იმ საღამოს მოწყობის ნამდვილი გარემოება ელენე ჭაბადარმა, რა თქმა უნდა, აუწყა ილიას. ასე ეთქვა: „Однако Вы впрямую попали! Всё было устроено по инициативе и за счет учительского совета гимназии и ее директора, а Вы об'явили благодарность Цхведадзе!“ ილიას, ცხლად, დიდად წყევროდა ეს ამბავი და საყვედური ეთქვა ელენე ჭაბადარისათვის: „შენ ოღალდ დამიძალე ნამდვილი გარემოება და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რად ჩამავდეთ?“. შემდეგ, პირადად რომ შეეხვდი, ილიამ დიდად მოპიბოდიშა და თან დასძინა: „დამიჭერებ თუ არა. არ ვიცი, მაგრამ მე რომ იმ საღამოს სიამოვნება განვიცადე, ჩემ დღეში არ განმიცლია და ვერც წარმომედგინა, თუ ისე კარგად შეიძლებდა ახალგაზრდობა ჩემ ნაწარმოებთა გაგებასაო. მიწოდდა წერტილობით შემომეტყვალა თქვენთვის მაღლობა ამ პატივისცემისათვის, რომელიც მე არასოდეს დამავიწყდება, მაგრამ მოვერიდე, რომ არ გამქაღვენებულიყო და რაიმე უსიამოვნება არ შემგმთხვეოდათო!“.

ილია ჭკვეპავამ დიდი მოყვარული იყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიისა. საუკეთესო შეხედულება ჰქონდა ჩვენს არქეოლოგსა და ისტორიკოსზე, დიმიტრი ბაქრაძეზე; ძალიან პატივსაცემდა და აფასებდა მას. პირველ ხანებში მე დიმიტრი ბაქრაძესთან დავიწყე მუშაობა და დავიწყე იმით, რომ მან გაეცნობათანავე გადმომცა ახალდაარსებული საეკლესიო მუზეუმი³¹ წესდება, თავის მიერ რუსულად შედგენილი და სათანადო მთავრობის მიერ დამტკიცებული, ქართულ ენაზე სათარგმნად. მეც ვთარგმნე, დავებეჭდეთ და შევადგინეთ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი (ამის შესახებ იხ. ჭკვემთ).

ილიამ აქტიური თაოსნობა გამოიჩინა მცხეთაში, ბაგნეთზე მცირე საცდელი თხრის ჩატარებაში, რაც დ. ბაქრაძეს დაავალა (ამის შესახებაც იხ. ჭკვემთ.).

ილია სულ ამბობდა, „ერთი კაცი უნდა გავიჩინოთ ისეთი, რომ ჩვენს ისტორიაზე და არქეოლოგიაზე მუშაობდეს და სხვა არაფერი საქმე არა ჰქონდეს. ჩვენი სირცხვილია. ამისთანა რომ არავინა გვეყავსო. ერთხელ ნიკო ლოღობერიძემ მივიწვია რამდენიმე კაცი—პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ილია. აგრეთვე ნიკო ცხევიძემ, იაკობ ისარლიშვილი (ისარლოვი), მე და სხვები. (ის იაკობი კათოლიკე იყო, ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში ნამყოფი; სახლებს აგებდა, კომერციას ეწეოდა. ინიჩინი არ ყოფილა, მაგრამ მშენებლობის საქმე კარგად ესმოდა, სათავადაზნაურო სკოლა თავდაპირველად „დუმის“ შენობის³² უკან გვექონდა და მის გადაკეთებაში ძალიან მოგვეხმარა, თან ფულს დაგვიზოგა. ლოღობერიძის, ილიას და სხვების უნივერსიტეტის ამხანაგო იყო. არუთულობის დროს გამოირიცხეს იქიდან). დაგვიბარა ნიკომ და გამოვეიცხადა. განზრახული მაქვს ქართული საქველმოქმედო საქმისათვის 50.000 მანეთი დავტოვო. ნიკოც ილიას უნივერსიტეტის ამხანაგი იყო, ფრიალ თვალსაჩინო მოღვაწე და ძალიან ჭკვიანი კაცი. ჭუთაისში რომ სათავადაზნაურო ბანკი გაიხსნა, იმის პირველი თავმჯდომარე იყო ბესარიონ ლოღობერიძე (აი ის, ილიამ რომ სხვებთან ერთად გააკრიტიკა თავის გამოცანა-ლექსებში, „ჭკვეყნისა საქმე პაპაც ფეხებზე ჰკიდიაო“. და მერე კი ბოლიში მოუხადა, უტოლინარობით მომივიღაო). დიდად პატიოსანი კაცი, პედაგოგი, მათემატიკოსი; ერთხანს საქალებო ინსტიტუტს განაგებდა. ნიკო ნიკოლაძე მისი წინააღმდეგი იყო და მის ნაცვლად ბანკის დირექტორობის კანდიდატად წამოაყენა ვინმე ბაქრაძე, მეტ-

31 ახლა თბილისის ქალაქის სამპო, ლენინის მოედანზე.

სახელად „ბილო“. ბესარიონი რომ გარდაიცვალა, ქუთაისში შეიქმნა „ბანკო-
ვილა“ და ბოლოს აირჩიეს ნიკო ლოდობერიძე, რომელიც წინათ ქუთაისის
გუბერნიის ნოტარიუსი იყო. მერვე ნიკომ თავისი ნებით მიატოვა ბანკის თავ-
მჯდომარეობა, ქიათურაში შავი ქვის მადნები ჰქონდა შეძენილი და იქ დი-
კო მრეწველობა. გვარაინ თანხას მოუყარა თავი, მაგრამ ნერვული კაცი იყო,
გული დაუსუსტდა, ამიტომ აღარც იქ გაჩერდა, მიანება თავი და დაგროვილი
ფულით პარიზში ცხოვრობდა, ოღონდ ზაფხულობით თბილისში ჩამოდიოდა
ხოლმე... დაუებრუნდეთ ახლა მის ანდერძს. ნიკომ დაგვიყენა საკითხი: „რა მიზ-
ნისათვის და რომელ საზოგადოებას დაუტოვოვ ის თანხაო?“ ილიამ ასეთი
წინადადება მისცა: „ეგ თანხა გადაეცეს წერა-კითხვის საზოგადოებას, რომე-
ლიც მაგის ყოველწლიური პროცენტით ერთ კაცს აიჩენს, არჩენს და ის კა-
ცი ჩენი ისტორიისა და არქეოლოგიის მკვლევარი იქნებაო“. იმ თანხის ყო-
ველწლიური პროცენტი შეიძლება 2.500 მანეთი ყოფილიყო და ეს კი საყ-
მაოდ დიდი ფული იქნებოდა: მაგალითად, ვიცე-გუბერნატორის წელწადში
3.000 მანეთი ჰქონდა ჯამაგარი. ნიკომ უპასუხა: „მე კი უფრო განათლები-
სათვის მინდა, რომ ღარიბი ახალგაზრდობის სწავლას მოხმარდეს და ამიტომ
მირჩევნია სტიპენდიებისათვის დაეტოვო“. ილიამ რომ ეს გაიგონა, აღრა-
ფერი უთქვამს.

საოცარი კია, ისეთი შეხედულებების კაცი იყო ილია, ისე ღრმად ესმოდა
ყველაფერი, იმოდენა გავლენა ჰქონდა, ბანკიც მის ხელში იყო და წერა-კი-
თხვის საზოგადოებაც. მაგრამ ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ იმ დაწე-
სებულებათა ხარჯზე მოეწყო ის საქმე, რომელსაც ნიკო ლოდობერიძეს სთა-
ვებობდა და რომლის მოუწყობლობასაც ქართველობისათვის სამარცხვინოდ
მიიჩნევდა. ასეთი შეუსაბამოა ყოველთვის მიეკრდა; გულში კი ჰქონდა,
მაგრამ რას გავუბედავი თქმას? არა ჰქონდა ამის თაოსნობა! ბანკის შემო-
სავალი სულ აგარარული საქმეებისათვის უნდოდა და მუდამ იქითვე მიილ-
ტვოდა; სათავადაზნაურო სკოლის ტიპის შესახებ რომ იყო მსჯელობა, მაშ-
ინაც სულ აგარარულ განხრავზე ლაპარაკობდა... ასეთ რამეებს კი ვერ მო-
ფიქრებდა! აი, მაგალითად, მანგლისის მიდამოებში და სხვაგანაც მთიულების
ჩასახლება, როგორც უკვე ვთქვი, თბილისის მარხის უფროსის ლევან ჯანდი-
ერის დამსახურება. დიდხანს ეკავა ის თანამდებობა, ძალთან შეგნებული შა-
მელაშვილი იყო; ისარგებლა თავიანი ხელისუფლებით და პრაქტიკულად გა-
ნახორციელა ეს ნამდვილად პატრიოტული საქმე, 1880—90-იან წლებში.
სხვა ჩვენი მოღვაწეები კი არ ფიქრობდნენ ამისთანებებზე, სულ ლიტერატუ-
რასა და მსგავს საკითხებს იყვნენ გადაყოლილი. არავინ დამოგზაურობდა და
არც იცოდნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ მხარეებში, ნაო-
ხარზე რომ ათასი ჯორის გადამთიელი სახლდებოდა. თორემ განა არ შეიძლე-
ბოდა, ჯანდიერის გამოცდილებას მიეყოლოდით და მთლად დაგვესახლებინა
ის კუთხეები?... აი, ხომ რა დიდი კაცი იყო ილია და იმასაც კი არ ჰქონდა
ამის გაგება. სამეგრელოში იგი მხოლოდ ერთმა შემთხვევამ წაიყვანა, ჯო-
რემ აღბათ იმაც უნახავი დარჩებოდა: თავ ნიკო დავითის ძე შინვრელსკის
ძვირდას ხელწერაა. მიბილითეკა შემოსწირა წერა-კითხვის საზოგადოე-
ბას—გორდია სასახლეში ინახებოდა; იტაცებდნენ; საზოგადოებამ სთხოვა,
გადარჩინოთ და უსასყიდოდ გადმოსცა. შემონაწირის ჩამოსატანედ
კომისია გაიგზავნა და მასში ილიაც შედიოდა. შესანიშნავი დახვდნენ, უპას-
ვიბილეს. მაშინ იყო, რომ თქვა, „სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო

დაძნედაო!“ გოგებაშვილი ხომ რა პატრიოტი იყო და სამშობლოს ისტორი-
რია-გეოგრაფიის საუკეთესო სახელმძღვანელოს შემქმნელი³². და ისე გარ-
დაიკვალა, რომ კახეთში ფეხი არ ჩაუღმას, ზეპირად წერდა მის შესახებ.
ისინი რომ ასეთები იყვნენ, დანარჩენი ინტელიგენცია რაღა უნდა ყოფილი-
ყო? რომ გეკითხათ, ყველა გეტყობათ, დაიღ პატრიოტები ვართო. მაგრამ
გოლოვინის პროსპექტის³³ და ქუთაისის ბუღვარს იქით ფეხს არ გადადგამ-
დნენ. ხალხს კი მოვლა უნდოდა! ამისთანებში სოპხები გეკობდნენ, პატრიო-
ტიზმი მათ ყოველთვის პრაქტიკულ საქმიანობაში ჰქონდათ გამოხატული და
ბევრ რამესაც მიაღწიეს.

ილიას ერთი საუკეთესო თვისება ის იყო, რომ მას თავისი მოვლუბის
ძალიან დიდი შეგნება ჰქონდა. ამიტომ იგი დიდი სიფრთხილით, დაკვირვებო-
ბით და საზრისიანობით ეკიდებოდა თავის ყოველგვარ ნაწერსა თუ ნასაქმს.
არ არის არც ერთი მისი თხზულება, რომელიც რამდენჯერმე არ გადაეკეთე-
ბინოს და არ შეეწორებინოს. იგი ასე ექცეოდა არა მარტო თვალსაჩინო
ნაწარმოებს, არამედ სულ უბრალო ბარათებსაც კი. მასსოვს გიორგი ჟურ-
ნლის ნაამბობი (ახალგაზრდა იყო, ილიამ დაიახლოვა და ძალიან მფარველობდა;
თან წაიყვანა პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს წევრად რომ აირჩიეს; მერე
ბანკის დირექტორად უნდოდა, მაგრამ ვერ გაიყვანა; მერე ბათუმში იყო, ქა-
ლაქის გამგეობაში მუშაობდა, ხოლო რევოლუციის დროს თბილისში გადა-
იყვანეს): „ერთხელ ილიასთან ვიყავი, იაკობ გოგებაშვილის წერილი მოუყუ-
და და მაშინვე უნდა გაეცა პასუხი, რაღაცას ეკითხებოდაო. დაჯდა ილია. და-
წერა ერთი პატარა წერილი და დახია, დაწერა მეორე და ისიც დახია. მე ვუ-
თხარი. რა ამბავია მაგ ერთი ბეწო წერილისათვის ამდენი წვალბა მეთქი? მი-
პასუხა, „კაიო, პატარაა თუ დილია, მაინც დოკუმენტი და ზერელედ არ შეიძ-
ვებაო...“. დამახანათებელი! აშკარაა, რომ ილია გრძნობდა თავის ავტორი-
ტეტს და იცოდა. თუ რა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდებოდა ყო-
ველ საქმეს, თავის სახელს... საერთოდ დიდი ოსტატი კაცი იყო!

ტყუილად კი არ ამბობდნენ ხოლმე მისი თანამშრომლები, ილია მეტწი-
ლად დამ-დამობითა წერს და დილისათვის მისი ნაწერების ნახევით რამდენი-
მე კალათი არის ყოველთვის გავსებულიო. ამით აიხსნება, რომ ილია საჩქა-
როდ წერილზე არავის პასუხს არ აძლევდა, მანამ კარგად არ მოიფიქრებდა და
კმაყოფილი არ იქნებოდა თავის წერილით. აგრეთვე მისი საჭარო სიტყვებზე
ყოველთვის წინასწარ მოფიქრებული და ზოგჯერ დაწერილიც იყო.

როგორც მასსოვს ერთხელ ვლადიმერ მიქელაძემ გამოაქვეყნა ერთი წე-
რილი, სადაც ამბობდა: ილია სადილად დაებატიყე, მაგრამ მან მომწერა: დღეს
არ შემიძლია მოსვლა. რადგან ევგენი მარკოვის პატივსაცემ საღამოს უნდა და-
ვესწრო და სიტყვა ვთქვა, მე ჩვეულებად არა მაქვს მოუზადებლად წავეჩხი-
როო.

ერთხელ გ. ჟურნლის შეკითხვაზე—„ილია, სიტყვებს წერთ, თუ ზეპირად
ჯაქვთ მოფიქრებული?“—ილიამ უპასუხა: „ზოგჯერ ვწერ, ზოგჯერ ზეპირად
მაქვს მოფიქრებული. მაგრამ როგორ უნდა დავიწყო და მოვათავო სიტყვა,
ეს ყოველთვის კარგად ვიციო“.

³² იგულისხმება „ბუნების კარის“ სათანადო ნაწილი.

³³ რუსთაველის გამზირი.

თავის რომელიმე თხზულებას რომ მოათავებდა, ილია შეეყრდა ლიტერატორებს, მწიგნობრებსა და მეგობრებს, წაუკითხავდა და აზრს შეეკითხებოდა ხოლმე.

ერთ ასეთ სხდომაზე მეც მიმიწვია. ეს მაშინ იყო, როდესაც დაწერა „ქვათა ღალადი“—შესანიშნავი, ოსტატური პოლემიკური ნაწარმოები, მწვავე სატრიტო და იუმორით აღსავსე. როგორც ცნობილია, ეს თხზულება მიპართულია, უმთავრესად, პატკანოვისა და აგრეთვე ზოგი სხვა ავტორების წინააღმდეგ. რომელიც უწესური ხერხებით ლამობდნენ ჩვენი ისტორიისა და კულტურის დამცირებას. მოსასმენად. ჩემს გარდა, მიწვეული იყვნენ: ნიკო ცხველაძე, ნიკო ხიზანაშვილი-ურბნელი, ვლადიმერ (პროკოფი) მიქელაძე, ბანკის დირექტორი გრუზინსკი (სახელად, მგონი, მიშა) და სხვები. ილიამ რომ კითხვა დაასრულა, ყველამ ერთხმად მოუწონა, ერთი უბრალო შენიშვნაც კი არაივს განუცხადებია. ამან მე დიდად გაჰაყვირვა: სხვებს თუ არა, ნიკო ხიზანაშვილსა და ვლადიმერ მიქელაძეს, როგორც უფრო ნიჭიერთა და საქმეში ჩახედულთ, მაინც უნდა შეემჩნიათ, რომ ილია ზოგ რამეში ცდებოდა. მეტი გზა აღარ იყო და შევეკითხე, თავად ილია, თუ გაქვთ, მეტე, წაკითხული პატკანოვის წერილი? მიპასუხა, არ წამიკითხავს, მაგრამ ხელთა მაქვს დიპირტი პატკანის პასუხი იმ წერილზე და იქიდან ამოვკრიბე ყველაფერიო. მერე ვუთხარი: „რასაკვირველია, თქვენი თხზულება ნამდვილად შესანიშნავია იმ მრავალი ფაქტის გაშუქებით, რომლებიც მოწმობენ გარკვეულ პიროვნებათა უწესურობას, ჩვენ წინააღმდეგ მომართულს, კულტურის მოგზაურობიდან დღემდე; ასეთი მკვერმეტყველებით მათი არაკეთილსინდისიერი მოქმედება სხვას არაივს გამოუჰკლავნება; შესანიშნავია თქვენი სტილიცა და იუმორიც, მაგრამ ფაქტების აღწერაში უთლოდ უნდა შეიტანოთ ცვლილება, თორემ ადვილად გამოვადევნიან მოწინააღმდეგენი, რადგან ზოგან მათ იმას მიაწერთ, რაც ნამდვილად არ უთქვამთ—მეტე“. ილიამ მოძგო: „Ведь я же ссылаюсь и пользуюсь ответом Бакрадзе, а я его знаю и уверен, что он никогда неправды не скажет!“ მე ვუთხარი: „Бакрадзе, конечно, неправды не говорит, но то, что он говорит вообще о несправедливой критике „Картлис Цховреба“, Вы приписываете Патканову. И эти мелочи необходимо исправить. У меня есть оттиск статьи Патканова, я Вам предоставлю его и когда Вы с ним ознакомитесь, сами убедитесь, что есть кое-какие недоразумения фактического характера в Вашем, в других отношениях замечательном произведении“. ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა? მივეცი პატკანოვის წერილი! რასაკვირველია, მადლობა გადამიხადა და გამოიყენა, გაასწორა, მაგრამ მაინც მითხრა. „მე ქართველებისათვისა ვწერ და არა მეცნიერთათვისაო“. აბა, ილია რომ ამას იტყოდა, სხვებისაგან რაღა იყო მოსალოდნელი? ასე იყო თუ ისე. როდესაც „ქვათა ღალადი“ დაიბეჭდა, აღარავითარი ლაფსუსი აღარ დაჰყოლია თან.

პატკანოვი ხომ ნამდვილად ძალიან მჩატედ და არაკეთილსინდისიერად ექცეოდა „ქართლის ცხოვრებას“, უცხოელის შედგენილიაო... თუ არა და რატომ სწერია შიგ, ქართველები თავდაპირველად სხვა ენაზე ლაპარაკობდნენო?! გაგონილა ასეთი ამბავი?

უცნაური იყო ილიას დანარჩენი მსმენელების საქციელი, რაც საერთოდ ჩვეულმად ჰქონდათ ჩვენებს: არ ეწყინოსო და არავითარი შენიშვნა არ მისცეს. ვერ მოვითმინე და ურბნელს ვუსაყვედურე, როგორ შეიძებოდა ეგრო გაჩუმება მეტე? მიპასუხა, არ ვიცოდი, პატკანოვი არც მე წამეკითხაო და შენ.

რასაკვირველია, კარგი ქენი, რომ უთხარი ილიასაო. იმას შინც ესმოდა ასეთების..

ილია ხშირად მთხოვდა წიგნებსა თუ სტატიებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე და მეც ვუგზავნიდი ხოლმე. რაც შეეხება მის წერილებს. „აი ისტორია“ რომ უწოდა, იმით გამზადებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. უნდა დამოუტყდებოდა, რომ არ მოწონებდა მათი ისე გაჭიანურება. ჭერ კილევ „ქვეთა ლაღაღამე“ ჰქონდა, მგონი, დაწყებული და ვერ კი დაამთავრა. საქართველოს მთელი ისტორიის დაჯავშირება მოინდომა ჭაბადარის კრიტიკასთან! შავ-რამ რა მწვევე სტორია და თუმორი იცოდა პოლემიკაში, სეარათოღ? თუნდაც ის რადა ღირს. მარზედ რომ დასწერა. პატკანოვის გამოქომაგების გამო: „ქარგია. როცა შეგირდი ოსტატს ენარჩლება, მაგრამ ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილიო!“...

„ქეთა ლაღაღამე“ ძალიან პოპულარული გახდა ჩვენში. ერთი კაცი იყო. გვარი აღარ მახსოვს (რეგულაციის შემდეგ დიპლომატად მუშაობდა), იმან სულ ზეპირად იცოდა ის წიგნი. სახარებასავით. პირდაპირ შეყვარებული იყო მასზე... „ქეთა ლაღაღამე“ რუსულად თარგმნა ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილმა³⁴ და თვით ილიამ შესწორა. შესანიშნავი თარგმანია, რუსულად დაწერილსა გავს! ილიას იმიტომაც უხლებობდა ისტორიის საკითხებზე წერა. რომ იმ ხანად ნამდვილი ისტორიკოსი აღარ გვეყავდა. ბაქრაძის შემდეგ, სანამ ივანე ჯავახიშვილი გამოვიდოდა ასპარეზზე... ბაქრაძემდე კი ბროსეს შემდეგ პლატონ იოსელიანი სჯობდა ყველას, ხოლო თუ სცდებოდა, პატროსნად სცდებოდა. ოღონდ წარწერების კითხვა ნამდვილად არ ეხერხებოდა!...

ილიას გარეგნობა³⁵. შეიძლება ითქვას, რომ ილია საშუალოზე უფრო დაბალი ტანის კაცი იყო, ჩასკენილი და ჩასუქებული, მაგრამ უწონო კი არა, ზომანზე. პირველად რომ დავინახე, მაშინვე გამახსენდა გრიგოლ ორბელიანის სიტყვები მის შესახებ: „ის ღიბერალი, ბურთივით მრგვალიო!“ ზედგამოჭრილი ნათქვამი იყო! თვალები ილიას ძალიან ეშხიანი ჰქონდა და სახე—სანდომიანი. მე რომ გვიციანა, მაშინ თმაში ჰქადარა არ უჩანდა. გვიან დამოურია. თმა-წვერის ფერი კარგად არ მახსოვს, მაგრამ, მგონია, უფრო შავი ეთქმოდა. საზოგადოდ ილია მძლავრი აგებულების, ბუნებით ერთობ ჭანმრთელი ადამიანი იყო. ზემოთაც გავიხსენე ერთი მისი ნათქვამი, ცხვირის ცემინება და გაცივება არ ვიცი. რა არისო. ავადმყოფობა მხოლოდ მაშინ დაიწყო, ხანში რომ შევიდა: გული აწუხებდა და, როგორც ცნობილია, გერმანიაში წავიდა სამკურნალოდ, პროფესორ ლეიდენის საავადმყოფოში. ლეიდენმა, პირველ ყოვლისა, თურქე საზრდოობის რეჟიმი დაუწესა და ყოველდღე ლობიო გაუჩინა საჭმელად. ამაზე ილია ამბობდა, ჩვენ არა გეცოდნია და თურმე რა სასარგებლო საჭმელი ყოფილა ლობიოთ!.. მერე ლეიდენისათვის უთქვამს, მე ლობიოთი ვარ გაზრდილი, ყოველთვის ვჭამდი. მაგრამ, როგორც ხედავთ. ვერ მიშველაო. მართლაც, ყოლა ერისთავისაგან („ცუნცულადისაგან“) გამიგონია, ლობიო ისე უყვარს ილიას, რომ ჩვენთან როცა სადილობს, ჩემი ცოლი ახალ-ახალის დასხნას ველარ აუღისო.

³⁴ ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილი—ილიას სტუდენტობის ამხანაგი, იურისტი, პატროტი მოხელე, ისტორია-არქეოლოგიის მოყვარული და ლიტერატორი.

³⁵ ეს პარაგრაფი ე. თაყაიშვილის მიერ ნაქარანახევია საგანგებოდ. ერთი იმ შეკითხვათაგანს პასუხად, რომლებიც მას გამოუგზავნა აწ განსვენებულმა მწერალმა ლევან ასათიანმა ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ამსახველი კინოსურათის სცენარზე მუშაობის დრის.

ილიამ შესანიშნავი, სასიამოვნო საუბარი იცოდა და მის მოსმენას არაფერი სჯობდა—მეტადრე, თუ კარგ გუნებაზე იყო. ხმაც ძალიან სააბურტი ტემპირისა ჰქონდა, არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი. ბოხი. არც ყვირილა იცოდა და არც აჩქარებული ლაპარაკი. ოღონდ ისიც უნდა შეენიშნო, რომ გულმოსული თითქმის არასოდეს მინახავს და ეგებ მაშინ კი უწყვედა ხმას და უფრო ჩქარაც ლაპარაკობდა?

თუმცა ერთხელ კი შევესწარი მის განრისხებას, როდესაც დავით სარაჯიშვილთან ვიყავით სტუმრად. დავითი, მართალია, კარგი ქართველი იყო და დიდი პატრიოტიც, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა ქართველების საზოგადოდ დაწუნება, მათი ნაკლის გაზვიადება და, პირიქით, სამაგალითოდ ჩვენს მეზობლებს ასხამდა ხოლმე ქებას. ქართველების მიმართ ძალიან გულგატეხილად მოჰქონდა თავი და თითონ იტყოდა ხოლმე, მე, ბატონებო, პესნიისტი ვარო! ნიკო ლოლობერიძე მას დაცინეთ „ВЕЛИКИЙ ПЕСНИИСТ“-ს ეძახდა. რა საგანზღადაც არ უნდა ყოფილიყო საუბარი. დავითი მაშინვე მეზობლებს დააყენებდა მაღლა, იტყოდა, რომ ჰკვიანი ცხოვრება იციან. ბედოვლათები და მთხოველები არ არიან. მუშა და გამრჩელი ხალხია, ყველა საქმეში გვერობიან და მომავალიც მათია. ერთხელ, ნამეტანი რომ გადააჯარბა ასეთ ლაპარაკში. ილიას გული მოუვიდა და წამოიძახა: „ამისთანა გავონილა?! ამ ოჯახში ქართველების ძაგების მეტს ვერაფერს გაიგონებ! თუ ერთი-ორი ვილაც აწუხებს და ფულსა სთხოვს. ეს მთელ ხალხზე გადააქვსო!“ აი, მაშინ კი აუწია ხმას ილიამ. მაგრამ—მაინც ცოტა!

დავით სარაჯიშვილს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა სომხის ბურჟუაზიასთან. მაგრამ ეს არ უშლიდა მას, რომ დიდი მეგობარი ყოფილიყო იმეპად გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორის. ველიჩკოსი, რომელიც სულ სომხების ძაგებაში იყო და პამფლეტებსა და რომანებს ბეჭდავდა მათ საწინააღმდეგოდ. დათიკო პელიტიშვილის გადმოცემით, ველიჩკოს ასეთი ამხედრება სომხების წინააღმდეგ იმით აიხსნებოდა, რომ სომხის სოცდაგრებმა მას თამასუქებით ფულის მიღების საშუალება მოუსპეს: „სანამ აქლევდნენ, მოსწონდა და როცა შეუწყვიტეს, აღარ მოსწონსო!“. მართლაც ასე უნდა ყოფილიყო საქმე!.. პროგრესულად განწყობილი ქართველები არ იწონებდნენ ველიჩკოს ასეთ ანტი-სომხურ მიმართულებას. ველიჩკო ზოგჯერ მიგვიპატივებდა სოლანე შინ. ერთხელ, მახსოვს, მასთან ვიყავით სადილად. ილია და ნიკო ცხვედაძემ იქ იყვნენ. ილიამ სუფრაზე დასხდომამდე ცალკე გამიხმო და მითხრა: „ჩვენი უბედურება ისაა, რომ არ ვიცით ხოლმე შეკრება და მოლაპარაკება, თუ როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ საკითხის გამო. ერთი პირი არა გვაქვს. აი, თუნდა ისიც, არა გვაქვს გამორკვეული, თუ როგორ უნდა მოვექცეთ ამ კაცს, ველიჩკოს. სომხებს რომ არა სწყალობს და აძაგებსო? ზოგიერთი ჩვენგანი ლანძღავს ამისათვის ველიჩკოს, მაგრამ როდესაც სომხებს ჩვენზე იერიში მოაქვთ და მიწასთან გასწორებას გვიპირებენ, მათ წინააღმდეგ კი ერთ სიტყვაააც არ დასძრავენო!“

ერთხელ ილიამ მკითხა, „რამდენად მართალია, რომ ამბობენ, გურულები ურიებიანო?“ თან ლიმილით დაატანა. „რა ვიცი, ეს პეტრე ნაკაშიძე მართლაც კი არის პირწყარდნილი ურიაო!“ ასეთი აზრებულნი აზრები („გურია-ურია“, ისევე როგორ „ხევსური—ხევის ურია“) მართლაც გაისმოდა ხოლმე აქა-იქ,

მაგრამ სერიოზულ შეცნობიერებულ ლიტერატურაში. რა თქმა უნდა—არასოდეს. ჰეც ვუთხარი ილიას, ეგ ტყუილია. გურულები ჭან-ლაზ-მეგრელებისა და მუხებზე ნარკვია და გურული კილოცავე უფრო მესხურს ჩამოჰკავს; ამაზ გარდა. გურიაში არც ერთი ებრაელი არ მოიპოვება მეტეი. მართლაც, თუ ჩამოვიდოდნენ ხოლმე ნაგომარზე, იარმუკობა, ივაჭრებდნენ და ისევე წავიდოდნენ უკან.

თავის დროზე ერთი გაზეთის კორესპონდენტმა დაბეჭდა... ცნობა, თითქოს ილია მუხენარგიას ქუთაისში შეურაცხყოფით მოეხსენებინოს ილია ჭავჭავაძე და ანთი გარკვეული ჩრდილი მიაყენა იონას. ამ ამბის სრული განმარტება მოცემულია თვით ი. მუხენარგიას ამას წინათ გამოსულ წიგნაკში ილია ჭავჭავაძის შესახებ³⁶...

ილია ჭავჭავაძეს ერთხელ უჩივლა თედო სახოკიამ, მაშინ სულ ახალგაზრდა კაცმა, და სასამართლომ გაარჩია მათი საქმე. ყველანი ძალზე გაკვირებული და დაინტერესებული ვიყავით ამ საჩივრით. საქმე ასეთი იყო. თედომ გამოსცა პატარა წიგნაკი—„აკაკის ნაკვეთები“. როგორც ცნობილია, აკაკის ბევრი ჰქონდა უწინააღმდეგარეობა და თედოს ისინი ყველა შეეტანა წიგნაკში. ილიას გაზეთმა „ივერიამ“ დაბეჭდა რეცენზია „აკაკის ნაკვეთებზე“ და განაცხადა, რომ ეს წიგნაკი სახელს უტეხს აკაკისა და ქართულ მწერლობასაც და მისი გამოცემა საპარტახინოა. თედომ ეს შეურაცხყოფელად მიიჩნია და უჩივლა გაზეთის რედაქტორს. უმაღლეს სასამართლოში იყო საქმე. თედომ დამცველად აიყვანა ახალგაზრდა ადვოკატი გიორგი გვაზავა, რომელიც თან პოეტობდა კიდევაც, მისი პოემა თავის დროზე უკრანალმა „მომამბე“ გააკრიტიკა სასტიკად. სასამართლოს ბეკრი ხალხი ესწრებოდა. ილიას ჰკითხეს, ექვილი ვეყოლებათო? მან მიუგო, „Я сам буду защищаться“-ო. მისცეს სიტყვა, ისიც წაძოღდა და თავისებურად დინჯად დაიწყო ლაპარაკი. უჭირავს ხელში ის „ნაკვეთები“ და საითთაოდ უთარგმნის რუსულად სასამართლოს წევრებს—ისე. რომ იცოდა ხოლმე, საფუქელიანად, არც ერთი სიტყვა არ გამოუტოვებია. მოსამართლეები დაიხოცნენ სიცილით, ეუბნებინან: „Князь, достаточно, все ясно!“ ის კი მანც თავისას არ იშლის, ეუბნება:—„Нет, еще, еще, вот еще несколько очень характерных примеров!“ ასე, საყოველთაო სიცილ-ხარხარში თითქმის სულ ჩაიკითხა და თარგმნა ის წიგნაკი. ბოლოს განაცხადა, ეს იმდენად საპარტახინო ანეკდოტებია, რომ აკაკიმ თითონ უარყო მათი ავტორობა და სწორედ ამიტომ დაიწუნა ჩვენმა გაზეთმა ამ წიგნაკის გამოცემა... მოიგო, რა თქმა უნდა, საქმე! თედოსაც საქმის წაგება გულში არ ჩაუხვებია; კარგი პატრიოტი და ინტელიგენტი ქართველი იყო, არ დამდურებია ილიას. პირიქით, მერე შესანიშნავი წერილი მიუძღვნა მას.

³⁶ ჩვენ ხელთ არის თვით კორესპონდენტის, აწ დამსახურებული პედაგოგის მეთოდუ კობახიძის ვრცელი ახსნა-განმარტება, რომელიც ცხადყოფს, რომ მემუარების ავტორის მთლიან სწორად ველარ გახსენება აღნიშნული ამბავი და ამიტომ, აქაც ვამბობინეთ კუბიურის გაცემა.

ჩემი მუშაობის დაწყებისას ერთი მასწავლებლისაგან შევიძინე ორი ხელნაწერი. ერთ მათგანზე, ტყავის სვინაქსარზე, ბოცო-ბაძილისა და მისი შვილების მინაწერები იყო. მე რე წარუდგინე ის ხელნაწერები წერა-კითხვის საზოგადოებას. რომლის თავმჯდომარეც მაშინ ილია ჭავჭავაძე იყო, ავუხსენი, თუ რატომ მიჰჩანდა სასურველად იმ ხელნაწერთა ყიდვა საზოგადოებისათვის. როგორც კი გავათავე ახსნა-განმარტება, ილიამ მაშინვე გაუხეა კალამი, „მიეცესო“, და ამინაზლაურეს გაწეული ხარჯი. მერე გოგებაშვილმა შენიშნა: „კაკო, ჩვენ აღარა გვკითხვ, იქნება არა ვყიდულობდითო?“ ილიამ უთხრა: „მაგას რაღა კითხვა უნდოდა, კაცი გვეუბნება, ათბაგების რაჟღენიზე ხელმოწერაა შიგათ. ერთისაც რომ ყოფილიყო, ისიც კმაროდამო!“.

თბილისში რომ არქეოლოგიური კრება მოეწყობა³⁷, იმას არ დაეწერებოდა, მაშინ ქუთაისის გიმნაზიაში ესწავლობდი, მაგრამ ანეტა ლოლობერიძე-ჟუსხელიშვილისამ მიამბო იქ მომხდარი ერთი ინციდენტი. ხელოსონს, ცნობილ ებრაისტს, წამოეძახა თავის სიტყვაში, „Я счастлив, что нахожусь в Тифлисе, топлище Армении-ო“. სხდომის შემდეგ ილია მისულიყო ხელოსონთან და ეთქვა, რომ მასზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ორატორის ნათქვამმა. საკციელ-წამხდარ ხელოსონს ბოდიშების ხეა დაეწყო. მაგრამ რაღა დროსი იყო?!

პროფესორმა ცაგარელმა რომ თავისი „*Мингрельские этюды*“ გამოაქვეყნა, ჩვენი საზოგადოება, ილია ჭავჭავაძიდან მოკიდებული, ერთხელ აუმახერდა და კინაღამ შეჰკამეს: მოლაღატეა, უნდა მეგრელები ჩამოაშოროს საქართველოსაო. ძალიან ნიჭიერი კაცი იყო. ლინგვისტიკაში უკეთესი არ შეიძლებოდა, ის ნაშრომიც ძალიან კარგი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ააღებინა ხელი ენათმეცნიერულ მუშაობაზე და შის მერე შეუდგა სიგელების გამოცემას, რასაც ბევრი სხვაც გააყეთებდა უფისოდ.

ერთხელ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლოლობერიძე და მე ვბრუნდებოდით საიდანდაც ერთად და ვუთხარი: „ეგ რა გამოდის. გინდათ, რომ მეცნიერმა მეცნიერულად არ იმუშაოს? მეცნიერებაში პოლიტიკა როგორ უნდა გაურაოთ მეთქი?“ „მეო—მიბასუხა ილიამ—მაგაში არ ვერევიო: ცაგარელის ნაშრომი მეცნიერულად როგორია, არ ვკითხულობ, მაგრამ ძალიან კი გვავნო, იანოვსკიმ და სხვებმა დაიხვიეს ხელზე და მოთხრა დაგვიპირესო!“.

[*ვარიატი* (1949 წ. 23/XI ჩანაწერი): „მახსოვს ერთი საუბარი ილია ჭავჭავაძისთან. პეტერბურგიდან ჩამოსვლის კარგა ხნის შემდეგ. ზადილად ვიყავით ილია, ნიკო ლოლობერიძე და მე დავით სარაჯიშვილთან. ჩამოვარდა ლაპარაკი ცაგარელზე. ლოლობერიძემ დასვა საკითხი: „რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში მეცნიერმა, რასაც მეცნიერულა თვალთ ხედავს, იგი აღიაროს, თუ დაშალაო?“ მე ვთქვი, „თუ კი მეცნიერება რასმე უჩვენებს, როგორ უნდა მოიტყუოს და პოლიტიკა გამოუთრის მეთქი? ახლა მარსაც ასე აუბირდენ, ცილს წამებენ და ეს კი არაა სწორი მეთქი“. ილიამ თქვა, „მე არ ვიცი, მეცნიერულად როგორია ცაგარელის მოსაზრება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მაგან ძალიან გვავნო. თითქმის ერთიანად ჩამოგვაშორა სამეგრელოო. კარგია, რომ თითონ იქაურმა ხალხმა არ მიიღო, სამღვთო წერილი რომ გადაუთარგმნეს, ადგნენ და გამოვიდნენ ეკლესიიდან, როცა მეგრულად დაიწყეს წირვაო“].

³⁷ რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა შედგა თბილისში, 1881 წელს.

საერთოდ კი ილია იმითაც სჭრბდა თავის ირგვლივ მყოფთ, რომ ფხიზლად აღენებდა თვალს მეცნიერულ ლიტერატურას, მუდამ საქმის კურსში იყო, კითხულობდა, უკვირდებოდა და მარჯვედაც იყენებდა თავის პუბლიცისტიკაში.

ილიას დასახსიათებლად აქ მოკლედ უნდა გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება იმ ხანგრძლივი და მწვავე კონფლიქტსადმი, რომელიც თედო ჟორდანისა და ჩემ შორის ატყდა, როგორც კი გამოვედი სამეცნიერო ასპარეზზე. ე. ი. ჩემი „სამი ისტორიული ხრონიკა“ რომ დაბეჭდულ. თ. ჟორდანისად „ივერიამო“ ვანაცხადა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მან გადმოწერა პირველად. რომ ახსოვა გამომონაწერი ილია ჭავჭავაძის, როდენაც იგი „ქვათა ლაღლას“ წერდა, და რომ მერე ის რვეული მე წაგიღე. ამ წერილმა სასტიკი შეურაცხყოფა მომპყენა, ჯერ სამედიკატორო სამართალში გამოვიწვიე თ. ჟორდანია და რომ არ გამომყვა, მერე—დუელში, მაგრამ მან აშასაც თავი აარიდა. ილიამ რომ ეს ამბავი გაიგო, ძალიან შეწუხდა, „ასეთი რამ არ უნდა დაბეჭდილიყო ჩვენ გაზეთში“. გაზეთის რედაქციის გამგის გ. ყიფშიძის პირით დამიბარა. მნახეო. მეც მივედი მასთან. ბინაზე. 4 საათი იყო, დაავიანდა ბანიკან დაბრუნება. ბოლოს ისა და ივანე პოლტარაკი მოვიდნენ ერთად და დასხდნენ სადილად. მე უკვე ნასადილევი ვიყავი და ისე, ტყუილად მიეუჩეკეი სუფრას. სადილი რომ გაათავეს, ილიამ შემიხზო კაბინეტში და ძალიან გულისხმიერად მომიბოდიშა. დიდად ეწუხეარ, რომ ჩემ გაზეთში ასეთი წერილი გამოქვეყნდა. მაგრამ. ხომ იცი, დრო არა მაქვს, მე თითონ ვერ ვკითხულობ გაზეთს, თორემ როგორ გავუშვებდი, ეს სულ რედაქციის ბრალია! ახლა ძალიან გთხოვთ, როგორმე მშვიდობით გაათავეთ საქმე, სულ ორიოდე კაცი მუშაობთ ჩვენს ისტორიაზე და ახლა თქვენი დუელი როგორ შეიძლება? (სხვათა შორის, თავის დროზე თითონ ილიასაც ჰქონდა სადღეულო საქმე ნ. ნიკოლაძესთან). მე ვუთხარი. მუშაობა ახლა დავიწყე და უკვე ასეთი ლაფი გადამახეს თავს, როგორ შემიძლია ეს შეურაცხყოფა გადავიტანო, მშვიდობით კი საქმე არ ეწყობა მეტეჟი?! ილიამ ამაზე მითხრა, სამედიკატორო სასამართლოში გამოიწვიეთო. მე ვუთხარი, არც მაგ სასამართლოში გამოდის და არც დუელში მეტეჟი. ეგ ყოვლად შეუძლებელია!—მიპასუხა ილიამ — როგორ არ გამოგყვებათ, ეგ ხომ იმის ნიშანი იქნება, რომ ცილისმწამებელიაო?! მე ვუთხარი, კარგი, სასამართლოს დავებრდები მეტეჟი. შევთანხმდით. ილიასავე რჩევით დავასახელე მედიკატორები და კიდევაც გაირჩა ჩვენი დავა. თ. ჟორდანის ილიას მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ჩემს ერთ-ერთ მედიკატორეს ევ. პოლტარაკის გავუზიარე ჩემი ეჭვი: „ივერიის“ რედაქციის წევრები ყველანი ჩემი წინააღმდეგნი არიან და ხომ არაა მოსალოდნელი, ილიაც მათ მხარეზე დადგეს მეტეჟი? ივანემ მითხრა, ეგ არასგზით არ მოხდებაო; ილიას აქვს ცოტადენი ნაკლი. ერთხელ კიდევაც წავეჩხუბე და მთელ წელიწადს ხმას არა ვცემდი, მაგრამ ის კი ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ მან საზოგადო საქმეში ჭეშმარიტებას უღალატოს. ან ოდნავ მაინც გადიხაროს იმისაკენ, ვინც მართალი არ არისო: ამაში დარწმუნებული იყავითო! და მართლაც, ილიამ მედიკატორებს ვერაფერი უთხრა ჟორდანის სასარგებლოდ. თქვა, თაყაიშვილი „სამი ისტორიული ხრონიკის“ გამოცემამდე ჩემთან არ დადიოდა და, მაშასადამე. ვერც ამ რვეულს წაიღებდა ჩემგანაო (თან ის რვეული ეჭირა ხელში და ათვალიერებდა); როგორც ვრწმუნდები, მე ეს რვეული არა ამქონია, ის სხვა იყო, უფრო მეტირე ტანისა და დაშლილია; თუნდაც ეს ყოფილიყო, შეუძლებელია, თაყა-

შეილს წაელს, რაკი არ უღლია ჩემთანო! ილიას ჩვენების შემდეგ კიდევ ერთი სხლომა ჰქონდათ მედიატორებს, მაგრამ იმ სასამართლოს ამბავს შემდეგ გვიტყვენ უფრო დაწვრილებით, რადგან ძალიან არსებით და, სამწუხაროდ, დამახასიათებელ მოვლენად მიმანჩნია როგორც ჩემი მეცნიერული მუშაობის ისტორიის, ისე ჩვენი საზოგადოების ისტორიისათვის.

ახლა კი მინდა გავიხსენო ილიასა და ნიკო ხიზანაშვილი-ურბნელის ურთიერთობა და, ამასთან დაკავშირებით, ილიას ხასიათის კიდევ ერთი თვისება.

ილიას ჰქამა ძალიან უყვარდა და ყოველთვის ისე გულმოდგინედ და გემრიელად შეექცეოდა ხოლმე, რომ რაც არ უნდა დაკარგული ჰქონოდათ მან და, ისევე მოგვეჩინათ. მისი დროდადრო მცირე ავადობის ერთადერთი მიზეზი ეს ზედმეტი ნაყოფანება იყო ხოლმე. მაგალითად, ორშაბათობით იგი ხშირად ხდებოდა შეუძლოდ, რადგან კვირაობით სადილად დადიოდა დავით სარაჯიშვილთან, რომელიც დიდი მომასპინძლე კაცი იყო და რომელსაც შესანიშნავი მზარეულები ჰყავდა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს თბილისის ვერც ერთ ქართულ ოჯახში ვერ სჭამდით ისეთ გემრიელ სადილს, როგორსაც დავით სარაჯიშვილთან. ერთხელ მე და ილია ვიყავით იმასთან სადილად. მასპინძელმა რაღაცა შესთავაზა, კიდევ მიირთვიო და ილიამ უარი უთხრა, შენი სადილის შემდეგ ხშირად ავდა ვხდებო. მაშ, ნუ სჭამ ბევრსაო. უთხრა სარაჯიშვილმა. როგორ არა ვჭამო, ისეთი გემრიელი საჭმელები მოგაქვს, რომ თავის შეკავება არ შემიძლიაო!—მიუგო ილიამ.

ღიახ, ილიას მადა-ჰქამა განთქმული იყო, მაგრამ მისი ახლო მეგობრის, ნიკო ხიზანაშვილის მად-ჰქამასთან ილიასი მოსაგონიც არ იყო. ნიკომ გაძლომა არ იცოდა, თუ ვერ გრძნობდა გაძლომას, არ ვიცო. იგი ილიას ძალიან უყვარდა და ერთიგორსთან შეხუმრებული იყვნენ ყოველთვის. ნიკო „ფეოდალს“ უძახდა ილიას, ილია კი—„გაუმადლარ პლებსს“ (ნიკო ფსევდონიმად „Plébs“-ს აწერდა თავის სტატიებს უურნალ-გაზეთებში).

ერთხელ სიტყვამ მოიტანა და ილიამ გვითხრა, „მართალია, მეც კარგი ჰქამა ვიცი, მაგრამ ნიკო ხიზანაშვილს ხომ ვერ შევედრებო!“ მერე გვიამბო: „ერთხელ საგურამოში უნდა წავსულიყავით ერთად და, რაკი მისი ამბავი ვიცოდი, წინდაწინ მეუღლეს მიეწერე, ზვალ მოვდივარ საგურამოში და ნიკო ხიზანაშვილი მომყავს; ხომ იცი, რანაირი სეავია და შესაფერისი სადილი მოგვიმზად, საუზმეულს კი მე ამოვიტან აქედან მეთქი. მეორე დღეს კარგი დარი იყო და ჩვენც ნამგზავნი მადაზე კარგად ვიყავით: სადილის ჰქამას პირველ საათზე შევეუღეით. ჯერ, რასაკვირველია, საუზმეულს შევექეცით და ლაზათიანად გიახელით ხიზილას, დოშს, „სარდინკებს“, გადაზელილსა და სხვა ამგვარებს. მერე არტალა და თევზის მწვადები დაეაყოლეთ. მერე შემოვიდა მზარეული და მკითხა, შემწვარი ინდოური და გოჭი მაქვს, რომელს ინებებთ? მე ვუთხარი, ინდოური მოგვიტანე და გოჭი ვახშმად შეგვიანზე მეთქი. ინდოურიც კარგად გიახელით და მერე ორგვარ-სამგვარი ტუბილეულიც დაეაყოლეთ: თან, რასაკვირველია, ყოველივე ამ საჭმელის შესაფერის ღვინოსაც შევექეცოდით. ამან თითქმის ხუთ საათამდე გასტანა. მერე კი ადგა ნიკო და გარეთ გავიდა, „ახლა პაერზე უნდა გავიარო, რომ ცოტა მოვინელო და სული მოვიტყეო“. ჩვენ აივანზე დავრჩით და ნიკო კარგა ხანს აღარ ამობრუნებულა. ბოლოს, რომ მოსალამოვდა, მზარეული ამოვიდა და მკითხა, ვახშმად რა გავაკეთოთ, რას ინებებთ? მე ვუთხარი, გოჭი ავი გაქვს და სხვა რაღა გვინდა მეთქი?! მან გაციინა, გოჭი სადღა ვახლავთ, თქვენი სტუმარი ჩამობრძანდა სამზარეუ-

ლოში. გადმოიღო თაროდან ის გოჭი და სულ ერთიანად მიირთვა, თავის ძვლის მეტი არა დაუტოვებია რა, თითქოს მანამდე არაფერი ეჭამოსო!“.

ილია ამ ამბავს თვით ნიკოს თანდასწრებით მოგვიყვება. მერე ნიკო მომიბრუნდა და მითხრა: „რეე შიშინებდა ახალშემწეარი გოჭი, რომ, აბა, როგორ შემეძლო არ შემეჭამა?! ნეტავი ახლაც მომცა იმისთანაო!“.

ხიზანაშვილის ასეთი უზომო ჭამის ამბავი თბილისში ყველამ იცოდა და ერთხელ აკაკიმაც დაუწერა კუპლეტებში:

„...ბეჭა და აღბულა
არტალას არ ჩააყოლოო!“.

ეს იმიტომ, რომ სწორედ იმ ხანებში გამოაქვეყნა ნიკომ, ნ. ურბნელის ფსევდონიმი. ბეჭა და აღბულა ათაბაგების კანონები.

ნიკოს ხშირად უთქვამს, რაცა ვარ, სულ ილიას წყალობითა ვარ, სამსახურშიც მაგან გადმომიყვანა აქა. ილიასნაირად ქვეყანაზე არავინ მიყვარსო. ის, მისი ცოლი—მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი—და მათი ბავშვები ძალიან ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე სადილად ილიას. ელისაბედს თან გარმონიკა მოჰქონდა, ნასადილუეს უკრავდა და ბავშვებს ატყეუებდა. მის მიერ გარმონიკის დაკრავზე ელენე ჭაბადარს, მუსიკის კარგ მცოდნეს, გულს შემოეყრებოდა ხოლმე.

ნიკო ხიზანიშვილი გამომძიებელი იყო და მოსამართლის თანაშემწედ მსახურობდა თბილისის ერთ-ერთ უბანში. უეჭველად ნიჭიერი კაცი იყო, კარგი მკვლევარი და პუბლიცისტი. ენამახვილი; კარგი ქართულით წერდა... მაგრამ ცოტა უხეშობა კი მოსდგამდა. ბოლოს, როგორც ცნობილია. ის მოკლეს. მაგრამ არ ვიცი და არცაა. მაგონი, დღემდე გამორკვეული, თუ ვინ მოკლა და რატომ? ორი შვილი დარჩა, ქალ-ვაჟი.

ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით მას შემდეგ შეიქნა ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილი, როდესაც დაბეჭდა პოემა, რომელშიც ერეკლე მეფეს არწივს აღაბრებს³⁸. ილიამ ძალიან გაუთქვა და გაუკეთა სახელი. ამბობდა, რუსთაველის შემდეგ მაგისთანა პოეტი არ გვეყოლია³⁹. პირდაპირ გაგვიტყუა იყო ვაჟაზე. მაგრამ სხვები არ ეთანხმებოდნენ. ილიასთან გამართულ ხუთშაბათ-საღამოებზე ძალიან ხშირად კითხულობდა ვაჟას ლექსებს „ივერიის“ რედაქციის გამგე ვივა ყიფშიძე, რომელმაც კარგი კითხვა იცოდა საერთოდ...

შენიშვნა:

თვით ე. თაყაიშვილის ხელით მინაწერი ზემოთ გადმოცემულ მოგონებათა რეკულის პირველ ორ. ცარიელ გვერდზე [ჩანს, გადაკითხვის შემდეგ მონდომებია ასეთი რამეების ჩამატება]:

„ილია ჭავჭავაძე მოკლეს 12 სექტემბერს 1907 წელს“.

„რედაქციის ყაზბეგი, გიორგი ყაზბეგის უფროსი ძმა, ილიას ჩამოუყვანია ყაზბეგიდან ყურნალ კრებულში თანამშრომლად. ის ყოფილა დიდად განსწავლული, ფილოსოფოსი, მაგრამ უცნაური ხასიათის, საზოგადოებას გაუბროდაო. მისი მოთხოვნა „მავნე სული“ ყურ. კრებულში იყო დაბეჭდილი. მისი ოსა გოგონს შერთვა და სხვა (იხ. ეკატერინე გაბაშვილის მოგონება, „ლიტერატურული მატრიანე“, წიგნ. 1—2, 1940, გვ. 113).

³⁸ „მოხუცის ნათქვამი“.

³⁹ ილია იტყოდა ხოლმე. „რაც ვაჟა გამოჩნდა პოეზიაში, ახლა ყველამ განზე უნდა გადავლოთ კალამი“ (ვლ. ფოფხაძის მოგონებებიდან. გ. ლ.).

„ოღლა თადეოსის ასული გურამიშვილი და მისი და ეკატერინე [ცხოვრობდნენ] თავის ბებისთან [.] საეარსამიძის ცოლთან, მას შემდეგ, რაც მათმა მამამ თადეოზმა [შვირთო] მეორე ცოლი [.] დავით დიასამიძის ქალი მარიამი“.

„ილიას და ელისაბედ[ი], ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლე [.] პირველად ორბელიანზე ყოფილა გათხოვილი (გვ. 145)“.

„ვანკა-ვსტანკა“ [.]

„ნიკო ერისთავი, ყოფილა პრისტავი, კარგი დეკლამატორი ლექსებისა. ჩემი დიდათ დამფასებელი“.

1896 წ., ივერია № 63“ [.]

„ილიას სამსახური დღეშეთში, იხ. მისი წერილები [.] 1949. გვ. 23“.

დებუტაცია მეფისნაცვალ ვორონცოვთან*

1905 წლის მანიფესტის გამოცხადების წინ, როგორც ცნობილია, გურიის საქმე დიდად გართულდა. მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ალიხანოვის ჯარი გაგზავნა გურიის დასასჯელად. ეგ რომ ჩვენ შევიტყუეთ. თავზარი დაგვეცა, რადგანაც გურიის განადგურება ელოდა. შეიკრიბა მთელი ინტელიგენცია. ყველა პარტიების წარმომადგენლები, საზღვდლოება და გადაწყვიტეს დებუტაცია გაეგზავნათ ვორონცოვთან და ეთხოვნათ მისთვის, რომ დამსჯელი რაზმი უკან დაებრუნებია. დებუტატები ამრიგირეს ილიას მეთაურობით. რომელსაც უნდა ვორონცოვი დაერწმუნებია, რომ გურია დამშვიდდება და აღარავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევს მთავრობას. წავიდა ილია დებუტაციით. დიდი მოლაპარაკების და თხოვნის შემდეგ დაითანხმეს ვორონცოვი. მან ალიხანოვი სამტრედიიდან დააბრუნა უკან. მაგრამ ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე, რომ გურული რევოლუციონერები ნასაკირალზე თავს დაესხნენ ერთ როტა რუსის ჯარს და სანახევროდ ამოსწყვიტეს. მთავრობამ ეხლა უფრო გაძლიერებული ჯარით გაგზავნა ალიხანოვი, რომელსაც გრიანოვის კარნახით ასეთი ინსტრუქცია მისცეს: სადგურ ნატანებიდან დაწყებული შვიდ ვერსზე ყოველმხრივ ოზურგეთამდის და შემდეგ ოზურგეთის ზემოთაც მთელი სოფლები მოესპოთ. სახლები გადაებუვათ და მცხოვრებნი დაეპატიმრებინათ.

ქართველი ინტელიგენტები ხელმეორედ შევიკრიბეთ დავით სარაჯიშვილის ბინაზე. ილიაც მოვიდა, შეიქნა ბაასი. თუ რა ზომა მიგველო, როგორ მოვქცეულიყავით, რომ გურია დაღუპვას გადაგვერჩინა. სხვა საშუალება არაფერი იყო, ხელმეორედ უნდა გავგვეგზავნა დებუტაცია ვორონცოვთან და გვეთხოვა დაბრუნება ალიხანოვის დამსჯელი რაზმისა. დაიწყეს დებუტატების დასახელება, პირველად დასახელეს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ილიამ განაცხადა „ჩემი წასვლა ვორონცოვთან არ ივარგებს, რადგან ამ ცოტა ხნის წინათ ვარწმუნებდით, რომ გურულები მთავრობას აღარავითარ წინააღმდეგობას აღარ გაუწევენო“.

დებუტაციაში აგვირჩიეს: ქალაქის, თავი ალექსანდრე ჩერქეზიშვილი, დავით სარაჯიშვილი, ვლადიმერ მიქელაძე, ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი (ბიძა აწ განსვენებული აკადემიკოსის დოქტორ ალადაშვილისა). სტეფანე ჭრელაშვილი, მე და კიდევ რამდენიმე სხვა. დებუტაცია უნდა წარედგინა ნამესტნიკისათვის საშვიო ორბელიანს, რომელიც მაშინ თბილისის გუბერნიის თავად-ანხაურთა წინამძღოლი იყო. მიგვილო ვორონცოვმა თავის კაბინეტში. თვითონ ვორონცოვი პატარა დივანზე იჯდა. მან თავისთან დაისვა ჩვენი წინამძღოლი

* აქედან 292-ე გვერდამდე მოგონებანი მთლიანად გადმოებეჭილია „ლიტერატურის მკვლევან“ (1952, № 6, ნაკვ. 1).

ორბელანი, ჩვენ კი ირგვლივ შემოუსხედით სკამებზე. ჩვენ უკან იდგა ვორონცოვის სახელდრო ნაწილის გამგე შირინკინი. ჩერქეზიშვილმა მას მოახსენა ჩვენი თხოვნა, დიდხანს ვლადიმერ აგრეთვე ვლადიმერ მიქელაძე და დეპუტაციის სხვა წევრებიც. ვორონცოვი დამშვიდებულად და ღიმილად იჯდა ჩვენს წინ და ყურადღებით უსმენდა ყველას, ხელში შავი გიშრის კრიალოსანი ეჭირა და მას ათამაშებდა. ბოლოს მან პასუხად გვითხრა „თქვენ ამბობთ, რომ გურულები არ არიან რუსეთის მთავრობის წინააღმდეგი, მაგრამ ეს საიდან ჩანს? ჯერ ერთი, სამი წელიწადია სახელმწიფო გადასახადი არ შემოუტანიათ, მაზრის უფროსი გააძევეს, რუსის პოლიცია მოხსნეს, სამომრიგებლო სასამართლო გააუქმეს, საკუთარი სასამართლო გაიჩინეს. ესეც არ იკმარეს და ეხლა ჩვენ ჯარს თავს დაესხნენ და ამოწყვეტეს. ეს არის მათი ლოიალობა ჩვენი სახელმწიფოს წინაშე? მე ეხლა ჯარის დაბრუნება უკან არ შემიძლია, ეს ყოველად შეუძლებელია იმ ამბის შემდეგ. რაც გურიაში მოხდა“.

ამ პასუხის შემდეგ ნებართვის გამოთხოვნელად მე დავიწყე ლაპარაკი. მინდოდა. ასე თუ ისე პასუხი გამეცა მისი გადაწყვეტილების გამო. დაახლოებით შემდეგი ვთქვი:

“Долг мудрого правителя состоит в том, чтобы мирным путём решать все важные вопросы, не прибегая к военным репрессиям, когда это возможно. Я сам гуриец, знаю хорошо Гурию и глубоко убеждён, что если бы они знали о манифесте, о котором мы к сожалению поздно узнали, то этого инцидента не случилось бы, ибо манифест даёт всё, или почти всё, что они требовали и чего домогались. Подумайте, ваше сиятельство, насколько это удобно, что в столь торжественный момент объявления манифеста, который гарантирует амнистию, гурийцы получат карательный отряд. Ещё вопрос, гурийцы ли напали на воинский отряд, или воинский отряд на гурийцев. Послать депутацию мы просим потому, что глубоко убеждены, достигнем цели, что будет, по нашему мнению, и Вам приятно. Поэтому мы убедительно Вас просим, послать Ваше доверенное лицо вместе с нашими представителями, которые, по моему убеждению, тмогу урегулировать это дело мирно“.

ჩემ სიტყვაზე ვორონცოვი ცოტა ხანს გაჩუმდა და შემდეგ წამოდგა და გამოვეცხადა: „Я подумаю и после дам вам знать“. ჩვენ მადლობა ვუთხარი და წაძვედით. არ გასულა ერთი საათი და გვაცნობეს, რომ ვორონცოვი თანახმაა გურიაში გაგზავნოს დეპუტაცია. ილიას დიდად გაუკვირდა და გვითხრა: „ეს დიდი, დიდი მიღწევაა, მე არ მოველოდი ამასო“.

მეორე დღეს გავიგეთ, რომ დეპუტაციის მეთაურად ვორონცოვს აერჩია ვეგენი ვეიდენბაუმი, რომელიც ნამესტნიკის საბჭოს წევრი იყო და რუსეთის დროის კავკასიის ისტორიის კარგი მკვლევ. ამას გარდა ჩემთან მოვიდა მეფისნაცვლის მდივანი პეტერსონი და მითხრა: „თქვენ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ ვორონცოვზე, დიდი ყოყმანის შემდეგ თქვენ დაგეთანხმათ და მისი მხრით მეორე დეპუტატად თქვენ ავირჩიათ და გთხოვათ ვეიდენბაუმთან ერთად თქვენც წახვიდეთ გურიაში, ყველა ხარჯს ჩვენ ეკისრებათ“. მე ვუთხარი: „მე ისედაც ვაპირებ წასვლას თავდაზნაურობის მხრით. ვეიდენბაუმი ლირსეული კაცია, ჩემი მეგობარი, მაგრამ გურულები იმას ნაკლებად იცნობენ, ამიტომ კარგი იქნება მასთან ერთად ლენერალი მალამა დაინიშნოს“. პეტერსონს ეს მოეწონა და თქვა: „კარგი წინადადებაა, დღესვე გადაეცემ ვორონცოვს და პა“

სუხს შეგატყობინებთო“. სამი საათის შემდეგ მაცნობა, მეფისნაცვალ თანახმა მალამა, ვეიდენბაუმი და თქვენ წახვიდეთო (მალამა მეფისნაცვალის თანაშემწე იყო სამხედრო ნაწილში და სხვებზე უფრო ლიბერალად ითვლებოდა).

მოვეშაბდებით და ორ დღეში გურიაში უნდა წაესულიყავით, მაგრამ მოულოდნელად მოვიდა ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი, ის წარუდგამაშინვე ევრონცოვს და მოახსენა, რომ იყო ოზურგეთში, ყველაფერი მოაგვარა, ხალხი დაამშვიდა, ინციდენტი მოხდა მაზრის უფროსის უტაქტობითო. არავითარი დეპუტაცია არ არის საჭირო, თუ დეპუტაცია წავა, მე სახელი გაპიტყვება და გუბერნატორად დარჩენა აღარ შემეძლებაო. ევრონცოვმა მას დაუჭერა და ჩვენი დეპუტაცია მოხსნილ იქნა.

მერტე დღეს ყოფილი მარშალი დავით მელიქიშვილი მოვიდა ჩემთან და სასტუმროში წამიყვანა გუბერნატორ. მის ნათესავ სტაროსელსკისთან. ის მოგვიყვია ამბავს. რომ გურიაში ყველაფერი დამშვიდდა და დეპუტაცია სრულებით საჭირო არ არისო. მის დიდი ნერვიულობა ეტყობოდა, დადიოდა ოთახებში წინ დაუქან და სულ იძახდა: „Я, я, я! Я все сделал, меня все слушают, меня все уважают“ და სხვა.

სწორი ვითობათ, სტაროსელსკი არ მომეჩვენა სერიოზულ ადამიანად, თუმცა განათლებული კაცი იყო, სპეციალობით ავრონომი. წინათ ის საქარის „პიტომნიკის“ გამგე იყო და მშენიერად ჰქონდა საქმე დაყენებული. ეს „პიტომნიკი“ დავათვალთვრე პროფესორ ვასილ პეტრიაშვილთან ერთად, როდესაც ის ოდესის სტუდენტთა ექსკურსიას ხელმძღვანელობდა საქართველოში. მაშინ სტაროსელსკი იქ არ დავიხვდებოდა. მისმა მეუღლემ და თანამშრომლებმა მიგვიღეს. ყველაფერი დაწერილებით გვიჩვენეს და დიდი პატივი გვეცეს.

ილიასა და აკაკის დამოკიდებულება

გაქრელებული აზრი. ვითომც ილიას და აკაკის შუა ცუდი ურთიერთობა იყო. არ არის მართალი. მხოლოდ მლიქვნელები და ბოროტი ხალხი ცდილობდა მათ შორის ცუდი განწყობილება ჩამოეგდო. საერთოდ, მათ ახლო მეგობრული ურთიერთობა არა ჰქონდათ. აკაკი არ დადიოდა ილიასთან, არც ილია — აკაკისთან, ისინი მხოლოდ საზოგადო კრებებზე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ ერთმანეთის დიდი პატივისცემა ჰქონდათ, ერთი მეორის ნიჭს და სამსახურის სამშობლოს წინაშე დიდად აფასებდნენ. თუ ვინმე დაიწყებდა ილიას წინაშე აკაკის შესახებ კრიტიკას და ცუდად ხსენებას, ილია მაშინვე გააწყვეტინებდა სიტყვას. თვით ილიასაგან კი არასოდეს არ გამიგონია და არც სადნე წამიკითხავს წუნი და კრიტიკა აკაკის ნაწერების შესახებ, გარდა იმისა, რომ მან წერილობით არ მოიწონა აკაკის დახასიათება „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისა და რაც დაწერა მან „ორ-ხმთან სახალწლო ოპერეტში“. მასხოვს მხოლოდ ერთი მცირელი შენიშვნა: როდესაც ანასტასია წერეთელმა საბავშვო უბრუნალოს „ჭეჭილის“ გამოცემა განიზრახა. მან ჩვენ მწერლებს სთხოვა, მიეცათ მისთვის ლექსი პარველი ნომრისათვის. ილიას მიეცა ლექსი „ბაზალეთის ტბა“, ხოლო აკაკის ლექსი „ღამურა“. მე ვიყავი ილიასთან, როდესაც ანასტასია წერეთელმა მოიტანა ცენზორიდან დაბრუნებული კორექტურა ორივე ლექსისა. „ბაზალეთის ტბა“-ში ცენზორის ზოგიერთი სიტყვები და სამი უკანასკნელი სტროფი ამოშალა. ილიამ უთხრა გრიგოლ ყიფშიძეს: ეხლავე ეს ამოშალე სიტყვები და სტროფები ჩაწერო და შეეინახო, რომ მერტე არ დაიკარგოსო.

შესწორებულ ცალი ილიას გადასცეს და მეორე ცალებში მან თავის ხელით შეიტანა ამოშლილი სიტყვები და სტროფები. შემდეგ წაგვიკითხეს აკაკის ლექსი „ღამურა“. ილიამ დიდად მოიწონა იგი, მაგრამ შენიშნა: „ბოლო ორი სტროფი სრულიად ზედმეტია. აკაკის ნაკლი ეგ არის, რომ ნაწარმოების გათავება არ იცისო. სურათი რომ დახატა. ამით უნდა გაეთავებია“-ო.

ეს იყო და ეს მარტო, სხვა შენიშვნა აკაკის ნაწერების შესახებ მე მისგან არა მსმენია.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანზე“ წაკითხული ლექციის დედააზრს, რომ ტარიელი ქართულ ტიპს წარმოადგენს, ავთანდილი იმერელისას და ფრიდონ მეგრელისას, ეს აზრი ეკუთვნის ნიკო დადიანს, ეს მე პირველად მოვისმინე ქართველი ინტელიგენციის ერთ კრებაზე ქუთაისში, როდესაც მე იქაური გიმნაზიის უფროსი კლასის შეგირდი ვიყავ. აკაკიმ ამის შესახებ ლექცია წაკითხა 1886 წელს, როდესაც მე უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის მე-4 კურსზე ვიყავი. იმ ხანად კანიკულებზე ქუთაისში ვიყავ ჩამოსული და შემთხვევა მომეცა ეს ლექცია მომესმინა. აკაკიმ ნიკო დადიანის დედააზრი განაერთო და გააღამაზა. რასაკვირველია, ილია მართალია, რომ რუსთაველის მიერ დახატული მსოფლიო მნიშვნელობის ვიზირების უბრალო ეთნოგრაფიულ ტიპებად აღიარება შეუძლებელია. მაგრამ ხელალებით არც იმის თქმა შეიძლება, რომ ასე თუ ისე, რამდენიმედ მაინც, ტარიელის ტიპი ქართულს არ მოგვაგონებს და ავთანდილისა იმერელს.

ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა მკიდრო კავშირი ქართული კულტურის და საზოგადოების ბევრ მოღვაწესთან—გოგებაშვილთან, ცხეცდაქესთან, მარიამ ეახტანგის ასულ ორბელიანთან და სხვებთან, რომლებთანაც მისი ურთიერთობის გამოქვეყნება მეტად საჭირო რამ არის; შემდგომ ყოველ მხრივ ვეცდები შთამომავლობას კვლავ აღვუდგინო წარსული საუკუნის ამ ბუმბერაზი აღმაშენებელი და საქმიანობასთან დაკავშირებული ძვირფასი მომენტები.

ამჟამად მკითხველის ყურადღება მსურს შევაჩერო ერთ უცნობ დოკუმენტზე, რომელსაც ეწოდება „ოქმი ილია ჭავჭავაძის განსვენებაზე მოსულ დელეგატების კრებისა“.

როდესაც ილიას ტრადიციული დაღუპვის ამბავი გავრცელდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან შეიკრიბენ დელეგატები, რომელთაც გამოიძუშავეს წესრიგი დამარხვისა და მისი სახელის უკვდავყოფისათვის.

შეკრებილ დელეგატთა კრებამ სტამბურად დაბეჭდა ოქმი. რომელიც ხალხში გავრცელდა. ეს ნაბეჭდი ოქმი შემთხვევით ვიპოვე ჩემს ქალაქებში და ქვემოთ ვურთავ მოგონებებს⁴⁰.

პირი

ო ა მ ი

ილია ჭავჭავაძის განსვენებაზე მოსულ დელეგატების კრებისა

1907 წ. სექტემბრის 9-ს საღამოს 7 საათზე ტფილისის თ.-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში მოხდა კრება ილია ჭავჭავაძის დასაფლავებისათ-

⁴⁰ პატივცემულმა აკადემიკოსმა ექვთიმ თაყაიშვილმა აღნიშნული ოქმი შემოსწირა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს ილია ჭავჭავაძის ფონდში დასაცავად. რედაქცია [„ლიტ. მატრიანესი“].

ვის საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსულ დელეგატებისა, რომელსაც დაესწრენ ტფილისის ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნიც. კრება მოწვეული იყო ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის მიერ ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად და პატივსაცემად. კრების ინიციატორებმა წინადადება მისცეს დამსწრეთ. რომ დაედგას განსვენებულს ძეგლი ტფილისში ერევნის მოედანზე. შესდგეს ეროვნული თანხა და მიღებულ იქმნას სხვა და სხვა ზომები ილიას სახელის განსამტკიცებლად ხალხში.

კრებამ დიდის კამათისა და საგნის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ დაადგინა:

1) შესდგეს ეროვნული თანხა ილია ჭავჭავაძის სახელობაზე ქართული ლიტერატურისა და სწავლა-განათლების გავრცელებისათვის, 2) მიენდოს ამ საქმის მოწყობა წ.-კითხვის საზოგადოების და 3) დაევალოს უკანასკნელს. მმართველის ქართულ დაწესებულებათ — შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს, ქალაქის თვით-მმართველობათ, თ.-აზნაურთა კრებებს, ბანკებს და კერძო პირებს, რომ ყოველ წლიურად ან ერთ-დროულად გამოიღონ თავისი წვლილი ილია ჭავჭავაძის თანხის შესადგენად“.

2. აკაკი წერეთელი

აკაკის შორიდან ვხვდავდი ხშირად ქუთაისში, როდესაც პროგინანზიასა და გიმნაზიას ვსწავლობდი, მაგრამ პირადად მხოლოდ მაშინ გავიცანი, როდესაც გიმნაზიის მეშვიდე კლასში გადავედი. იმ დროს ეცხოვრობდი პოლკოვნიკ ალექსანდრე მუსხელიშვილთან, რომელსაც ცოლად ჰყავდა ნიკო ლობოზერიძის და ანეტა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ერთობ ჰქვიანი და კარგი ადამიანი. მე ვიყავი რეპეტიტორი ალექსანდრეს ძმისწულისა, რომელიც გიმნაზიის მეოთხე კლასში სწავლობდა, და აგრეთვე ანეტას ძმისწულის, სიმონ ლობოზერიძის ქალის ნინოსი, რომელიც შემდეგ ვაჩანაძეზე იყო გათხოვილი და რომელიც ეხლაც კეთილად სუფევს. იგი მაშინ ქალების სასწავლებელში, ქუთაისში სწავლობდა.

აკაკი ზოგჯერ ანეტასთან დადიოდა და იქ ვხვდებოდი მას. შემდეგ მას ქუთაისის თეატრში მოღვაწეობის დროს ხშირად ვხვდავდი სცენაზე. იგი რეისორი იყო თეატრის კერძო დასისა და გასტროლებში მონაწილეობას იღებდა. სცენაზე თავის ლექსებს კითხულობდა. მაშინ თბილისიდანაც ხშირად მოდიოდნენ აკაკისთან ქართველი არტისტები — ვასო აბაშიძე და ვლადიმერ მესხიშვილი, რომელნიც ჩვენთვის დიდად საყვარელი იყვნენ. მათ წარმოდგენებს დიდის ხალისით ეწერებოდა ქუთაისის საზოგადოება. მეტადრე ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ვასო აბაშიძის სახუმარო კუმპეტები, რომლითაც იგი გადაჰყრავდა ზოგიერთ ჩვენს მოღვაწეებს.

აკაკის ზოგჯერ ვხვდებოდი ქუთაისის ინტელიგენტთა სადამოებზე, რომლებიც კერძო ოჯახებში იმართებოდა, უფრო ხშირად ეფემია კლდიაშვილის ოჯახში (ჩვენი არქიტექტორის, სიმონ კლდიაშვილის დედა იყო); იქ ვისმენდი ხოლმე აკაკის ჩვეულებრივ ხუმრობას. ზოგჯერ ჩვენის თხოვნით თავის ლექსებს გვიკითხავდა.

როდესაც უნივერსიტეტი გაათავვე და თბილისში ჩამოვიდი. მაშინ კი ხშირად ვხვდებოდი აკაკის კერძო ოჯახებში და ნამეტანავად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში. რომელიც იმ ხანად ერთ მოზრდილ ოთახს წარმოადგენდა, წიგნების მალაზიის უკან, საადიგლო-

მულო ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე. აქ იკრიბებოდნენ ქართველი ინტელიგენტები და ამ კრებაზე აკაკი ხშირად გამოდიოდა და თავის მოთხრობებითა და ამბებით გვართობდა.

როგორც ქუთაისში, ისე აქაც აკაკი ცოლშვილით არა ყოფილა, არც მუღმივი ბინა ჰქონდა: ხან ერთ სასტუმროში ცხოვრობდა, ხან მეორეში. სამსახური თავის დღეში არა ჰქონია, მაშასადამე, მისთვის არც ჯამაგირი არსებობდა. ცოტა შემოსავალს იღებდა თავისი მამულიდან და ყოველთვის უფულოდ იყო. მაგრამ როგორც დამსახურებული და უებრო პოეტი ის ყველასათვის საყვარელი კაცი იყო და შეძლებისამებრ ყველა ეხმარებოდა. ხშირად მას სასტუმროს მებატრონენი, ნამეტნავად იმერლები და გურულები, არც ბინაში, არც საჭმელ-სასმელში ფულს არა თხოვდნენ, თვის ბოლოს მხოლოდ ანგარიშს წარუდგენდნენ თავიანთი ხელმოწერით, რომ ფული მიღებულაო.

აკაკი კერძო ოჯახებშიც ცხოვრობდა, ნამეტნავად პირველ ხანებში ნიკო დიასამიძისას (თბილისში). სადაც მას მასპინძლის ცოლი და შვილები დიდს სიყვარულით თავს დასტრიალებდნენ. ხშირად იყო აგრეთვე დეკანოზ დავით ლამბაძის ოჯახში, ყვირილაში, სადაც დავით ლამბაძიძე სასულიერო გაზეთ „მწყემსს“ სცემდა.

ერთ ადვილს დიდხანს გაჩერება არ უყვარდა: ხან თბილისში იყო, ხან ქუთაისში. ქუთაისში მას ბინა ნიკო ნიკოლაძის დებთან—კატოსთან და ანიკოსთან ჰქონდა. ესენი ცნობილი ინტელიგენტი ქალები იყვნენ, ქუთაისში მასწავლებლობდნენ და ისე ირჩენდნენ თავს. დებს თავიანთი ძმა ნიკო ნიკოლაძე ისე უყვარდათ. რომ ერთ სამღურავს ძმის შესახებ ვერ ათქმევინებდით. კატო (1854—1931) და ანიკა (1846—1931) თამამი ლიბერალური მიმართულების ქალები იყვნენ, უქმროები. აკაკი იქ როგორც თავის ოჯახში, ისე სცნობდა თავს. ნამეტნავად საინტერესო იყო მათი შინაური დამოკიდებულება. აკაკიმ პოეტურად შეთხზული ბაასი იცოდა. კატო მაშინვე სიცილით შენიშნავდა: „ტყუილი, ტყუილი“—ო, მაგრამ აკაკი ამაში არც თავის შეურაცყოფას ხედავდა და არც ეჩხუბებოდა, სუყველაფერი სიცილით თავდებოდა.

საზოგადოდ აკაკი „სააპეკო“ კაცი იყო. ვინმე პატრონი უნდა ჰყოლოდა. ვინაიდან ცოლშვილითან იმ დროს არა ცხოვრობდა. გაგონილი მქონდა, რომ მისი ცოლი, ბაზილევსკის ასული, მდიდარი ყოფილა. როდესაც ის აკაკის შეურთავს. ამბობდნენ, ჭონება რომ დახარჯვით, აკაკიც გასცილებიაო, მაგრამ მის ცოლს კვლავ ორჯერ დიდი ჭონება მიუღია გარდაცვალებულ ნათესავეებისგან. აკაკი ისევე ცოლთან წასულა მოსკოვში და, როცა ეს ჭონებაც შეუჭამიათ, აკაკი ისევ საქართველოში დაბრუნებულაო.

ნატალია ბაზილევსკაია მე უკვე მოხუცებულობაში ვნახე, როდესაც აკაკი ავად იყო, და ეტყობოდა, რომ ახალგაზრდაობაში სანდომიერი ქალი უნდა ყოფილიყო. შვილი ლამაზი ყავდა.

როდესაც აკაკი ავად გახდა, თბილისში მისი ცოლი ჩამოვიდა და დაადგა თავზე, თავისებურად უნდოდა კარგად მოველო. ავადმყოფ აკაკის სხვა ქალები ევლიდნენ (მაგ. ტასო მაჩაბელი და სხვები). ერთხელ მივედით აკაკის სანახავად, ნუგეში ვეცით:

—„არაფერი საშიში ავადმყოფობა არ გაქვს, მალე მორჩები“—მეთქი. მან მითხრა: „რა მომარჩენს, ეს თუ არ მომაცილებთო“, და მიუთითა ცოლზე. ეს აკაკის ჩვეულებრივი ოხუნჯობა იყო: ისე. რაც შეეძლო, პატივს ეცემდა ცოლს.

აკაკის შვილი ალექსი ერთობ სიმპატიური ადამიანი იყო, ზრდილი, კაცთ-
მოყვარე, ლამაზი და კეთილი გულის პატრონი; მამა ძალიან უყვარდა და, თუმ-
ცა ქართული ნაკლებად იცოდა, მაგრამ მამის თხზულებათა შინაარსი ზედმი-
წევნით ჰქონდა შეთვისებული. მან ოპერის მოყვარულთა დასი შეადგინა და
ერთხელ გასტროლებისათვის ჩამოვიდა საქართველოში; აკაკი შვილს ღიად
ეხმარებოდა, მაგრამ ნოვება ვერ ნახეს და ვალებში ჩაიკვივნენ. თანდათან-
ობით ეს საოპერო დასი ალექსიმ შემდეგ გააუმჯობესა, პარიზში ჩავიდა თავისი
დასით და ღიად წარმატებით მიყავდა საქმე. კარგი შემოსავალი ჰქონდა და
ღიადი შთაბეჭდილებაც მოახდინა ამ დასმა ფრანგებზე. მერე ფრანგებმა არენ-
დით აიღეს ეს დასი და მისი მონაწილენი, გარდა საფრანგეთის ქალაქებისა,
ბრიუსელში და ბელგიის სხვა ქალაქებშიც მართავენ საღამო-კონცერტებს.
რომელთაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა. დასს მართალია შემოსავალი ღი-
ადი ჰქონდა, მაგრამ ალექსი იმდენად პირდაპირ იდეალური და უნაგარო კაცი
იყო, რომ შემოსავლის ანგარიშში თითონ არც კი ერეოდა. რასაც დასი მის-
ცემდა, იმით კმაყოფილდებოდა. დასის წევრები ალექსის აღმერთებდნენ და
ოდნავი უსიამოვნებაც კი არა ჰქონდათ მასთან. დედამისი ნატალია იმ დროს
დასნეულებული იყო, ორ წელიწადს ლოგინში იწვა. შვილი თავს დასტრია-
ლებდა და არაფერს არ აკლებდა, მაგრამ ბოლოს მინც სნეულებას გადაჰყ-
ვა. ღედის სიკვდილის გამო გამოუთქმელ მწუხარებაში ჩავარდა ალექსი. ერ-
თი თუ ორი წლის შემდეგ თითონ ალექსიც გახდა ავად და იქ. პარიზშივე. მი-
იცვალა. ღიდალი საოპერო დეკორაციები. ტანისამოსი და ბიბლიოთეკა
დარჩა, რაც მილიონნახევარად იყო შეფასებული. ეს ყველაფერი ქართულ
საზოგადოებას დაუტოვა ანდერძით, მაგრამ ოპერის დასის წევრებმა საჩი-
ვარი აღძრეს რომ ჩვენ გვეკუთვნის მთელი საოპერო ქონება და მართლაც
სულ მათ დარჩათ.

აკაკი ჩემი ღიდი პატივისმცემელი იყო და ეს საქმითაც დაამტკიცა. მე კი
ცოტა არ იყოს სირცხვილეული დავრჩი. ერთხელ შემოვიდა იგი ჩემთან სახ-
ლში (მამინ წყნეთის ქუჩის დასაწყისში ვცხოვრობდი, ხოლო აკაკი ჩემ პირ-
დაპირ ყოფილ ოლღას ქუჩაზე) და მითხრა:

— „ყველაფერზე გული ამივარდა, არცერთი ჩვენი დაწესებულება არ
მეკმაყოფილებს შენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მეტი
და ჩემი ქონება თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძითო“.

მე გაკვიციე და ღიმილით ვუთხარი: „აკაკი! შენი ჰირიმე ჩვენი დაღუპვა
თუ არ გინდა მაგას ნუ იქმ-მეთქი“.

— „რატომო?“ — მკითხა.

— „იმიტომ რომ. მეშინია, შენს ვალებში არ გავციდონ ის ხელნაწერე-
ბი და სხვა ნივთები, რომელნიც თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძით“.

მან მიპასუხა: „ეინ გითხრა ეს? ვალი ერთი კაპიცი კი არ მაქვს, ან, კა-
ლი საიდან მექნება, როდესაც ფულს არავინ მასესხებს? ქე ნახავ მაშინ, რო-
დესაც ჩემს მემკვიდრეობას მიიღებთ და მოსარჩლე არავინ გამოგიჩნდებათ“.

ამით გავათავეთ ლაპარაკი და სხვაზე გადავედით. სხვა დროს მას ამ საკი-
თზე ლაპარაკი აღარ ჰქონია. წარმოიდგინეთ: წასულა აკაკი ქუთაისში და იმა-
ვე კვირაში ნოტარიალური წესით დაუმტკიცებია ანდერძი. რომ მთელ თავის
შაშულს და მთელ თავის ნაწარმოებებს, გამოცემულს თუ გამოუცემულს, უტო-
ვებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას.

მულო ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე. აქ იკრიბებოდნენ ქართველი ინტელიგენტები და ამ კრებაზე აკაცი ხშირად გამოდიოდა და თავის მოთხოვნებითა და ამბებით გვართობდა.

როგორც ქუთაისში, ისე აქაც აკაცი ცოლშვილით არა ყოფილა, არც მუდმივი ბინა ჰქონდა: ხან ერთ სასტუმროში ცხოვრობდა, ხან მეორეში. სამსახური თავის დღეში არა ჰქონია, მასსადამე, მისთვის არც ჯამაგირი არსებობდა. ცოტა შემოსავალს იღებდა თავისი მამულიდან და ყოველთვის უფულოდ იყო. მაგრამ როგორც დამსახურებული და უებრო პოეტი ის ყველასათვის საყვარელი კაცი იყო და შეძლებისამებრ ყველა ეხმარებოდა. ხშირად მას სასტუმროს მენაჯრის ნაშენად იმერლები და გურულები, არც ბინაში, არც საჭმელ-სასმელში ფულს არა თხოვდნენ, თვის ბოლოს მხოლოდ ანგარიშს წარუდგენდნენ თავიანთი ხელმოწერით, რომ ფული მიღებულაო.

აკაცი ყერძო ოჯახებშიც ცხოვრობდა. ნამეტნავად პირველ ხანებში ნიკო დიასამიძისას (თბილისში), სადაც მას მასპინძლის ცოლი და შვილები დიდის სიყვარულით თავს დასტრიალებდნენ. ხშირად იყო აგრეთვე დეკანოზ დავით ლამბაშიძის ოჯახში, ყვირილაში, სადაც დავით ლამბაშიძე სასულიერო გზით „წყევმის“ სცემდა.

ერთ ადგილს დიდხანს გაჩერება არ უყვარდა: ხან თბილისში იყო, ხან ქუთაისში. ქუთაისში მას ბინა ნიკო ნიკოლაძის ღებთან—კატოსთან და ანიკოსთან ჰქონდა. ესენი ცნობილი ინტელიგენტი ქალები იყვნენ, ქუთაისში მასწავლებლობდნენ და ისე ირჩენდნენ თავს. ღებს თავიანთი ძმა ნიკო ნიკოლაძე ისე უყვარდათ, რომ ერთ სამღერავს ძმის შესახებ ვერ ათქმევინებდით. კატო (1854—1931) და ანიკა (1846—1931) თამამი ლიბერალური მიმართულების ქალები იყვნენ. უქმრობები. აკაცი იქ როგორც თავის ოჯახში, ისე სცნობდა თავს. ნამეტნავად საინტერესო იყო მათი შინაური დამოკიდებულება. აკაციმ პოეტურად შეთხზული ბაასი იცოდა. კატო მაშინვე სიცილით შენიშნავდა: „ტყუილი, ტყუილი“—ო, მაგრამ აკაცი ამაში არც თავის შეურაცყოფას ხედავდა და არც ეჩხუბებოდა, სუყველაფერი სიცილით თავდებოდა.

საზოგადოდ აკაცი „სააქეო“ კაცი იყო. ვინმე პატრონი უნდა ჰყოლოდა. ვინაიდან ცოლშვილითან იმ დროს არა ცხოვრობდა. გაგონილი მქონდა, რომ მისი ცოლი, ბაზილევსკის ასული, მდიდარი ყოფილა. როდესაც ის აკაცის შეურთავს. ამბობდნენ, ჭონება რომ დახარჯვიათ, აკაციც გასცილებიაო, მაგრამ მის ცოლს კვლავ ორჯერ დიდი ჭონება მიუღია გარდაცვალებულ ნათესავეებისაგან. აკაცი ისევ ცოლთან წასულა მოსკოვში და, როცა ეს ჭონებაც შეუჭამიათ, აკაცი ისევ საქართველოში დაბრუნებულაო.

ნატალია ბაზილევსკაია მე უკვე მოხუცებულობაში ენახე, როდესაც აკაცი ავად იყო, და ეტყობოდა, რომ ახალგაზრდაობაში სანდომიერი ქალი უნდა ყოფილიყო. შვილი ლამაზი ყავდა.

როდესაც აკაცი ავად გახდა, თბილისში მისი ცოლი ჩამოვიდა და დაადგა თავზე, თავისებურად უნდოდა კარგად მოეყოლო. ავადმყოფ აკაცის სხვა ქალებიკ ევლიდნენ (მაგ. ტასო მაჩაბელი და სხვები). ერთხელ მივედით აკაცის სანახავად, ნუგეში ვეცით:

—„არაფერი საშიში ავადმყოფობა არ გაქვს, მალე მორჩები“—მეთქი. მან მითხრა: „რა მომარჩენს, ეს თუ არ მომაცილებთო“, და მიუთითა ცოლზე. ეს აკაცის ჩვეულებრივი ობუნჯობა იყო: ისე, რაც შეეძლო, პატრეს ცემდა ცოლს.

აკაის შვილი ალექსი ერთობ სიმპატიური ადამიანი იყო, ზრდილი, კაცთ-
მოყვარე, ლამაზი და კეთილი გულის პატრონი; მამა ძალიან უყვარდა და, თუმ-
ცა ქართული ნაკლებად იცოდა, მაგრამ მამის თხზულებათა შინაარსი ზედმი-
წევნით ჰქონდა შეთვისებული. მან ოპერის მოყვარულთა დასი შეადგინა და
ერთხელ გასტროლებისათვის ჩამოვიდა საქართველოში; აკაკი შვილს დიდად
ეხმარებოდა, მაგრამ წოგება ვერ ნახეს და ვალუმში ჩაევიდნენ. თანდათანო-
ბით ეს საოპერო დასი ალექსიმ შემდეგ გააუმჯობესა, პარიზში ჩავიდა თავისი
დასით და დიდი წარმატებით მიყავდა საქმე. კარგი შემოსავალი ჰქონდა და
დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ამ დასმა ფრანგებზე. მერე ფრანგებმა არენ-
დით აიღეს ეს დასი და მისი მონაწილენი, გარდა საფრანგეთის ქალაქებისა,
ბრიუსელში და ბელგიის სხვა ქალაქებშიც მართავდნენ საღამო-კონცერტებს,
რომელთაც იუარებელი ხალხი ესწრებოდა. დასს მართალია შემოსავალი დი-
დი ჰქონდა, მაგრამ ალექსი ამდენად პირდაპირ იდეალური და უანგარო კაცი
იყო, რომ შემოსავლის ანგარიშში თითონ არც კი ეეროდა. რასაც დასი მის-
ცემდა, იმით კმაყოფილდებოდა. დასის წევრები ალექსის აღმერთებდნენ და
ოდნავი უსიამოვნებაც კი არა ჰქონდათ მასთან. დედამისი ნატალია იმ დროს
დასნეულებული იყო, ორ წელიწადს ლოგინში იწვა, შვილი თავს დასტრია-
ლებდა და არაფერს არ აკლებდა, მაგრამ ბოლოს მაინც სნეულებას გადაეყ-
ვა. დედის სიკვდილის გამო გამოუთქმელ მწუხარებაში ჩავარდა ალექსი. ერ-
თი თუ ორი წლის შემდეგ თითონ ალექსიც გახდა ავად იქ, პარიზშივე. მი-
იცვალა. დიდძალი საოპერო დეკორაციები, ტანისამოსი და ბიბლიოთეკა
დარჩა, რაც მილიონნახევრად იყო შეფასებული. ეს ყველაფერი ქართულ
საზოგადოებას დაუტოვა ანდერძით, მაგრამ ოპერის დასის წევრებმა საჩი-
ვარი აღძრეს რომ ჩვენ ვვეკუთვნის მთელი საოპერო ქონებაო და მართლაც
სულ მათ დარჩათ.

აკაკი ჩემი დიდი პატივისცემელი იყო და ეს საქმიოთაც დაამტკიცა. მე კი
ცოტა არ იყოს სირცხვილული დავჩი. ერთხელ შემოვიდა იგი ჩემთან სახ-
ლში (მამინ წყნეთის ქუჩის დასაწყისში ეცხოვრობდი, ხოლო აკაკი ჩემ პირ-
დაპირ ყოფილ ოლღას ქუჩაზე) და მითხრა:

— „ყველაფერზე გული ამივარდა, არცერთი ჩვენი დაწესებულება არ
შაკმაყოფილებს შენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მეტი
და ჩემი ქონება თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძითო“.

მე გავიცინე და ღიმილით ვუთხარი: „აკაკი! შენი ჰირიჟე ჩვენი დაღუპვა
თუ არ გინდა მაგას ნუ იქმ-მეთქი“.

— „რატომო?“—მკითხა.

— „იმიტომ რომ, მეშინია, შენს ვალუმში არ გაგვიყიდონ ის ხელნაწერ-
ბი და სხვა ნივთები, რომელნიც თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძით“.

მან მიპასუხა: „ვინ გითხრა ეს? ვალი ერთი კაპოიკი კი არ მაქვს, ან, კა-
ლი საიდან შექნება, როდესაც ფულს არავინ მასესხებს? ქე ნახავ მამონ, რო-
დესაც ჩემს მემკვიდრეობას მიიღებთ და მოსარჩლე არავინ გამოვიჩნდებათო“.

ამით გაავათვეთ ლაპარაკი და სხვაზე გადავედით. სხვა დროს მას ამ საკი-
თზე ლაპარაკი აღარ ჰქონია. წარმოიდგინეთ: წასულა აკაკი ქუთაისში და იმა-
ვე კვირაში ნოტარიალური წესით დაუმტკიცებია ანდერძი, რომ მთელ თავის
მამულს და მთელ თავის ნაწარმოებებს, გამოცემულს თუ გამოუცემელს, უტო-
ვებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ეს მე მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც აკაი გარდაიცვალა. ძლიერ გაშიყვირდა, რად მოიქცა იგი ასე, რადგანაც 100 დესეტინა მიწა, დიდი ეზო და სახლი სოფელში, რომელშიც აკაი ცხოვრობდა, მამაბაბუელი იყო და კანონით მასში წილი უნდა ჰქონოდა მის დასაც, რომელიც მაშინ ლოგინად იყო ჩავარდნილი. მეორე მხრით, ეს აბაჯი საკვირველი იყო იმიტომაც, რომ აკაის შვილსა და ცოლს არავითარი პრეტენზია არ გამოუცხადებიათ ამის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი პატივი ვეცით აკაის ოჯახობას, სანამ ის თბილისში იყო: არამდინარეული, მაგრამ სამყოფი სარჩო გავუჩინეთ.

ანდერძის თანახმად აკაის სახლი, მამული, ეზო და მისი ხელნაწირები მალე ჩავიბარეთ, მის სახლში გავხსენით მუზეუმი და მისივე ყოფილ მოურავს კოტე აბდუშელიშვილს ჩავაბარეთ. ის ენერგიული კაცი იყო და დიდად ზღვს გვიწყობდა. თან, რასაკვირველია. თავის ანგარიშსაც არ ივიწყებდა.

თბილისში აკაის მოურაობას ასრულებდა სოსიკო მერკვილაძე, ბუქნისტი, დიდი ფართი-ფურთის კაცი. აკაი მასთან ხშირად დადიოდა. სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას აკაისაგან ნოტარიუსის წესით შეუძენია უფლება აკაის რამდენიმე საუკეთესო თხზულების გამოცემისა. ჩვენ რომ ეს გავიკვირეთ, მან გვითხრა: „ამ თხზულებებს მე მხოლოდ ერთხელ გამოვეცემ და მერმე ყველა თქვენს უფლებაში გადმოვავო“.

როგორც აკაის წინადადებას ანდერძის შესახებ შევხვდი სიცილით. აგრეთვე სიცილით შევხვდი მეორე მის წინადადებასაც. ერთხელ აკაი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „რამდენადაც ვიცნობ ხალხურ პოეზიას, უნდა გამოგიტყდე, რომ ჩვენისთანა ხალხური პოეზია სხვა ხალხს იშვიათად თუ აქვია. ამიტომ შენ დიდი სამსახური მიგიძღვის, რომ ასე ბევრი მასალა გამოაქვეყნე თქვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო ორგანოში—„ძველ საქართველოში“. მაგრამ ხალხში გაბნეული მასალა აუარებელია, ამოუწურავი და მათი შეგროვება-გამოცემა გასამკაცებელ მუშაობას თხოულობს. მინდა ამ საქმეში დაგეხმარო. მოწმობა მომეცი, რომ მე თქვენი საზოგადოება მაგზავნის კახეთში სხვა ხალხო პოეზიის შესაყრებად.“

მე, როგორც მოგახსენეთ. სიცილით შევხვდი ამ წინადადებას: „თუ ღმერთი გწამს, აკაი, მაგას ნუ დამავალებ. თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდები. შენ მთელი საქართველო გიცნობს და მის უკვირგვინო მეფეს გეძახიან. ექვთიმე თაყაიშვილმა უნდა მოგცეს შუამდგომლობის მოწმობა და გიგვეთოს რეკომენდაცია? მე მხოლოდ სასაცილოდ ამიგდებენ და იტყვიან: ეს როგორ გაკანდიერებულა და ჩვენ გვასწავლის ვინ არის აკაი და როგორი პატივით უნდა მივიღოთ — მეოქი?“

—„აი, ასე იცი შენ.—მითხრა მან—შენ რა გენალღება, მე ასეთი მოწმობა გამომადგება. ჩემი ხალხს არაფერი არ სჯერა, აკაიმ ლექსის წერის მეტი არაფერი იცისო, შენ სერიოზული კაცი ხარ და მე შენს მოწმობას გამოვეყენებო“.

მე ვუთხარი: „დიდის სიამოვნებით. მაგრამ სიცილს მაინც დამაყრიან. საამისოდ დიდი ფული ჩვენ არა გვაქვს. მხოლოდ 100 მანეთს მოგართმევთ. თუ გეყოფათ ეს წასასვლელად, მიიღეთ და წაბრძანდით“.

—„თავსაყარად მიეყოფა, მეტი არ მინდაო“.

დაწერე ჩვეულებრივი მოწმობა და მივეცი 100 მანეთი. ამას გარდა მიეწერე ჩემს მეგობრებს თელავში, განსაკუთრებით ვასილ კახიძეს, რაფიელ ერისთავის სიძეს, რომ ჩვენმა დიდმა მგოსანმა განიზრახა ფოლკლორული მუ-

სალების შეგროვება და გთხოვთ ღიღის პატივით შეხედეთ, წაიყვან-წამოიყუ-
ნით სხვადასხვა სოფლებში და კმაყოფილი დააბრუნოთ უკან მეთქი.

მართლაც კახელები ღიღის ამბით შეხედნენ აკაის და შესაფერი პატივი
არ დაუკლათ მისთვის. დაბრუნების შემდეგ აკაის ჩვენთვის არაფერი არ მო-
უტანია და არც ჩვენ გვიკითხავს რამე ამ საქმის შესახებ.

ყველამ იცის, რომ აკაის ილიასავეთ ~~კარტის თამაშში~~ ხშირად
ღამესაც ათენებდა; მანამ ვიბეს არ ამოიკალიერებდა, თამაშობას არ მიატო-
ვებდა. ~~ფუ ილია უმეტეს შემთხვევაში კარტში ფულს იგებდა~~ აკაი თითქმის
ყოველთვის აგებდა. მე ვეკითხებოდი კარტის მოთამაშეებს: „რა მიზეზია, რომ
ილია იგებს, აკაკი სულ აგებს?“ ისინი მეუბნებოდნენ: „შეუძლებელია აკაკიმ
მოიგოს, რადგან მან „ფასი“ არ იცის, ქალაღი მოუვა თუ არა, მისთვის სულ-
ერთია, მაინც თამაშობსო. მის პარტნიორებს „ბურღუნია“ კლუბში დავა ჰქონ-
დათ ერთმანეთში, აკაის რომ დაინახავდნენ; დღეს მე ვეთამაშები და არა შენ.
შენ გეყო, რაც წინათ მოუგე, ესლა მოგება მე უნდა ხხვდესო“. ასე წინდწინ
იციოდნენ. რომ აკაისთან თამაში მათთვის ყოველთვის მოსაგები იყო.

აკაის როგორც მოვიხსენიე, ვიღაც მზრუნველი მუდამ უნდა ჰყოლოდა.
ერთხელ მას ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა პენსია დაუნიშნა და თანხა წე-
რა-კითხვის საზოგადოებას გადასცა. რომ თეიურ-თეიურად ეძლიათ განსაზ-
ღერული რაოდენობით. ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა საზოგადოე-
ბა და მისი ხაზინადარი. აკაკი თხოულობდა ბევრ ფულს, ისინი არ აძლევდნენ
განსაზღვრული თანხის მეტს. იყო ერთი მითქმა-მოთქმა. აკაკი ამბობდა: „მე
არაფერს არ მაძლევენ, ჩემს მაგიერ სხვები აწერენ ხელს და მათ მიაქვითო“.
ამას, რასაკვირველია, არავინ არ იჭერებდა. ვინაიდან დაკითხვით კარიჭაშვილი.
რომელიც მაშინ განაგებდა წერა-კითხვის საზოგადოების საქმეებს. უარესად
პატიოსანი კაცი იყო და. თუ ვინმე ეტყოდა დავითს, რომ აკაკი ამბობს არა-
ფერს მაძლევნო, ისიც მთქმელს ხელწერილებს უჩვენებდა და აკაის კი საყ-
ველურს სრულიად არ ეუბნებოდა. მაგრამ როდესაც გიორგი ყაზბეგი გახდა
საზოგადოების თავმჯდომარე, იმან შეურაცხყოფად მიიღო ასეთი მითქმა-
მოთქმა და წერა-კითხვის საზოგადოებამ უარი სთქვა აკაისათვის გასანაწილე-
ბელი ფულის მიღებაზე. შემდეგ ბანკმა სხვა დაუნიშნა აკაკუნად, მაგრამ იმა-
ნაც უარი სთქვა. ბოლოს იაკობ გოგებაშვილს სთხოვეს, რომ მას მიეღო თავის
თავზე ამ ფულების გამოგზავნა აკაისათვის. გოგებაშვილი ღიღ უარზე იყო.
მაგრამ მერმე სთქვა: „ვინმემ ხომ უნდა იკისროს ეს არა სასიამოვნო საქმე? ისე
აკაკი ვერაფერს ვერ მიიღებს. მე დავთანხმდები, თუ ექვთიმე თაყაიშვილიც
შემომიერთდებაო“. მე ვუთხარი იაკობს:—„როგორც შენ, ისე მე ღიღ პატივის
ვცემ აკაის, მაგრამ ესეც ხომ იცი, აკაკი არავის არ დაინდობს და ჩვენც კარი-
ჭაშვილის ამბავი მოგველის-მეთქი“. — „რა გქნათ, უნდა გადავიტანოთო“. —
მითხრა და ორივე დაეთანხმდით, ერთ ხანს ვუძღვებოდით ამ საქმეს. ჩვენ მა-
ინც და მაინც არ შეუწუხებიათ აკაის, ისე კი პირს უკან რას ამბობდა, არ
ვიცი.

როგორც რაფიელ ერისთავის იუბილე ღიღი ზეიმით გადაიხადა ქართველ-
მა საზოგადოებამ, ისე კიდევ უფრო მეტის ზეიმით, თანაგრძობითა და სიყუა-
რულით გადაიხადეთ აკაის იუბილე თბილისში 1908 წელს. მაგრამ მისი
იუბილე თბილისით არ დამთავრებულა. შედგა ჩგუფი, რომელმაც აკაკი დაა-
ტარა საქართველოს ყველა კუთხეში: ქართლში, კახეთში, იმერეთში, რაჭ-
ლჩხუტში. ყველა კუთხე ღიღის ზეიმითა და თანაგრძობით შეხვდა პოეტს და

აგრძნობინა თავისი სიყვარული და პატივისცემა. სხვათა შორის აკაკი ესტუმრა ილიას სოფელ ყვარულს. აქ იური ჭავჭავაძემ (გენერალ ნიკო ჭავჭავაძის ძმისწულმა) ისეთი საზღიშო შეხვედრა მოუწყო აკაკის, რომ ხარჯების დასაფარავად, როგორც გადმოგვცეს, მას მოუხდა ათიოდე დესეტინა მამულის გაყიდვა.

აკაკის ქართველი ხალხის პატივისცემა და სიყვარული არ დაკლებია, ინტელიგენცია დიდად აფასებდა მის პოეტურ მემკვიდრეობას. სასტუმროებისა და რესტორნების პატრონები მას თავაზობდნენ კარგ ბინას, მოწყობილობასა და საქმელ-სასმელს, ფულს არა სთხოვდნენ. ნიკო დიასამიძის, ვანო მაჩაბლისა და სხვათა ოჯახების კარებები ყოველთვის ღია იყო. ზაფხულში საჩხერეში მიდიოდა ხშირად და იქ თავის სახლში, სხვიტორში ცხოვრობდა; იქ დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავისი მოგვარეები. მეტადრე ელისაბედ და ბეჟან წერეთლები.

იუბილეს შემდეგ აკაკი თანდათან დაუსტდა, დაავადმყოფდა და 1915 წლის იანვარში გარდაიცვალა თავის სოფელ სხვიტორში. უკვდავი პოეტი დიდი ამბით ჩამოასვენეს თბილისში და დაკრძალეს ქართველ მწერალთა პანთეონში, სადაც განისვენებენ დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე.

3. გიორგი წერეთელი

ჩვენ დიდ მოღვაწეთა შორის ყველაზე უმაღ გაციანი გიორგი წერეთელი. როდესაც ქუთაისში მეორე კლასის პროგიმნაზიაში შევედი, გიორგი წერეთელი მაშინ ამიერ-კავკასიის რკინიგზაზედ მუშაობდა. ის იყო დიდი მეგობარი იოსებ თაყაიშვილისა, რომელიც თვალსაჩინო პიროვნება იყო მთელ გურიაში.

ერთხელ. კვირა დღეს იოსებმა სადილად დამიძახა: „ჩემთან გიორგი წერეთელი იქნება და მოდიო“. მეც მივედი. იქ იყო გიორგის გარდა ერთი ჩვენი სოფლის ლიხაურის მკვიდრი კაკაბაი ლომჯარია რომელიც მოსწრებული იქნის პატრონი იყო. თამამი, უშიშარი და გლეხების მეჭომაგე.

სადილზე მზიარულობა გვეჩონდა. ტოლუმბაში თვით იოსებ თაყაიშვილი იყო. მან სხვების სადღეგრძელო რომ მოათავა, ჩემი სადღეგრძელო დალია და ასეთი სურვილი გამოთქვა: „მე მინდა საქართველოს თავისუფლებას მოესწრო და ისეთი კაცი გამოხვიდე, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდეთ“. კაკაბაი ლომჯარია შეეძავე იოსებს: „მე მაგის თანახმა არა ვარ“. ყველამ გაკვირვებით შეხედეს და ჰკითხეს:—„რატომ?“—„რატომ და კოჭლი კაცი რომ პრეზიდენტად აირჩიონ, არ გვეტყვიან ფეხმართლი კაცი ვერ იმოვნეთო?“—„ეჰ, ეგ როგორ იქნებაო,—დაუწყეს ლაპარაკი კაკაბაის.—პრეზიდენტს თავი უნდა ჰქონდეს კარგი და არა ფეხიო“. კაკაბაიმ სიცილით მითხრა: „არ გეწყინოს, ხუმრობით ვთქვიო“. მე ვუთხარი: „როგორ მეწყინება, რაკი კარგად ვიცი, რომ საქართველო ასე ადვილად ვერ განთავისუფლდება და მისი პრეზიდენტიც ვერაოდეს ვერ გახდება, რადგან ასეთი დიდი წარმოდგენა არა მაქვს ჩემს თავზე-მეთქი“. მომვარდა გიორგი წერეთელი: „ყმაწვილო! ეგ რა თქვი, ყველა მოსწავლე უნდა განდიდება მოელოდეს და თავს ამზადებდეს მომავალი საქართველოს თავისუფლებისათვის!“—მერე ხმამაღლა თქვა: „მე მოვესწრები საქართველოს განთავისუფლებას და შენ ახალგაზრდა მით უმეტესო“.

ამის შემდეგ გ. წერეთელი რამოდენიმეჯერ შემხვდა კიდეც ქუთაისში იოსებ თაყაიშვილთან. შემდეგ ვნახე სურამში, როცა მესამე კურსზე ვიყავი პეტერბურგის უნივერსიტეტში; ზაფხულში საქართველოში ვისვენებდი და ერთ-ერთ დღეს მე და მიხაკო მღვდლოევი კატო და ანიჩკა ნიკოლაძეებს ვესტუმრეთ სურამში (მაშინ ნიკოლაძის ქალები გიორგი წერეთლის შვილებს უვლიდნენ და იქ სააგარაკოდ იყვნენ). გიორგი იქ ამოვიდა შვილებთან, მისი პირველი ცოლი, ნიკო ნიკოლაძის და, ოლიმპიადა, უკვე გარდაცვლილი იყო.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი, მაშინ გიორგი არა მსახურობდა და დიდ გაჭირვებას განიცდიდა. გვიწოდდა რაიმე საქმეში მოგვეწყო, მაგრამ გიორგის საქმე ყველაზე უფრო მწერლობა იყო, ამიტომ ვანო მაჩაბელმა, ალექსი ჭიჭინაძემ და მე განვიზრახეთ გაზეთის, ან ქურონალის დაარსება. ეს უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ მაშინ, გარდა ილიას „ივერისა“, სხვა გაზეთი არ არსებობდა. ყოველდღიური გაზეთი დიდ ფულს მოითხოვდა და ჩვენ ვერ შევძლებდით ამ ფულის შოვნას. ამიტომ გადავწყვიტეთ, საკვირაო გაზეთი დავეარსებოთ. აღძმართ შუამდგომლობა გურ. „კვალის“ გამოცემის შესახებ და კიდევაც მივიღეთ უფლება. რედაქტორობა და გამომცემლობა გიორგი წერეთელს დავემტკიცეთ, რასაც გ. წერეთელი დიდი სიხარულით შეხვდა. მაგრამ მან მალე იცვალა მიმართულება და გაზეთი მესამე დასელების ორგანოდ გასდა. ეს ეწკინათ ვანო მაჩაბელსა და ალექსი ჭიჭინაძეს. მთხოვეს:—წადი. ჩვენს მაგიერ მოვლაპარაკე გიორგის; ეს რა აბაგია, რომ ჩვენი დაარსებული გაზეთი სხვებს გადასცაო“. მე ვუთხარი: „ნუ გიორგის რა უნდა ველაპარაკო, ის დიდი ცნობილი მოღვაწეა და მე არ შეგიფერება მისი ჭკუის სწავლება. ისე ჩამოვეუდგებ ლაპარაკს და, რასაც მეტყვიან. მოგახსენებ მეთქი“. წავედი გიორგისთან და დავიწყე ლაპარაკი „კვალის“ შესახებ. მან მითხრა: „ხელა ისეთი დრო დადგა, რომ ძველი მიმართულება უნდა უკუვაგდოთ, იქიდან მარტო ნაციონალური თავისუფლების მისწრაფება დავითოვით და სხვა სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში მარქსისა და ენგელსის მიმართულება უნდა მივიღოთ. მარქსი ეკონომიურ საკითხში და სოციოლოგიაში ისეთი ავტორიტეტია, როგორც დარვინი ზოოლოგიაში. მარქსისტები ენერგიული ხალხია და გაზეთის საქმეს უზრუნველგახდიან. მაჩაბელს და ჭიჭინაძეს არაფერი შეუძლიათო“.

გიორგი წერეთელი სხვა ჩვენ მოღვაწეებისაგან იმით განირჩეოდა, რომ ჩვენი ძველი მწერლობა იცოდა. ხუცურ ხელნაწერებს კარგად კითხულობდა. ახალი ქართული ჩინებულად იცოდა. ქართველი მწერლები მის შესახებ სხვადასხვა აზრისა იყვნენ. მაგ., აკაკი ამბობდა: „გიორგი წერეთელს ორი თავი აქვს, ერთი ჭკვიანი და მეორე სულელი. ხან ერთს ხმარობს და ხან მეორესო“. ნიკო ნიკოლაძე ამბობდა: „ყველაფერი საქმე გამოუვა ხელიდან: კარგია და ავიცაო“.

იგი არქეოლოგი იყო. მისი რეფერატი მეხუთე საარქეოლოგიო კრებაზე თბილისში ყველა სხვა ქართულ რეფერატს სჯობდა. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი იყო, არქეოლოგიურ მოგზაურობას აწარმოებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სტატიებს ბეჭდავდა „Материалы по археологии Кавказа“-ში.

ილია ჭავჭავაძესთან ხშირად ჰქონდა პოლემიკა, მაგრამ პირად შეხვედრის დროს მათ ცუდი განწყობილება არა ჰქონიათ და ხშირად იგონებდნენ თავიანთი ძველი მოღვაწეობის დროს, თუ მაშინ რა დევნასა და რაოდენ უსიამოვნებას განიცდიდნენ.

4. ენახაბ ნინოვილი (ინგოროძე)

ენახატე ნინოვილს პირადად არსად არ შეხვედრია და არც გამოცვნია, მხოლოდ ერთხელ მომწერა წერილი და მთხოვა მასალები მიმეითებინა გუბრიის აჯანყების შესახებ. მე სიამოვნებით აუხსრულე ეს თხოვნა. ჯერ დაეუსახელე ოფიციალური ცნობები, რომელიც სამხედრო შტაბში ინახებოდა (მაშინ სამხედრო შტაბში მუშაობდა ჩემი მამა—ვარლამ თაყაიშვილი, იმისგან შევიტყუე ნომერი საქმისა). ამას გარდა ვურჩიე პირადად ენახა ბიძაჩემი ერდიშელ თაყაიშვილი, რომელიც ამ ჯანყში ერია და დაჭრილი იყო მუხლის თავში, და მივსწერე დაწვრილებით, თუ როგორ ჩაბმულიყო ის ამ აჯანყებაში, ვის გადაერჩინა დაკოდილი და სხვა.

ბიძაჩემიდან ასე მქონდა გაგონილი: მოთავენი აჯანყებისა ყოფილიყვნენ დავით გუგუნიანა და დავით გურიელი. გუგუნიანა მოსულიყო ჩვენს სოფელში ლეხთურში ჯარის შესაკრებად, ბიძაჩემი ერდიშელი მაშინ 16 წლისა ყოფილყო. ბებიანემს ის დაემალა სახლში, რომ გუგუნიანას არ ენახა და არ მოეთხოვია მისი წაყვანა. „მე კი—მითხრა ბიძაჩემმა—დიდად მიწოდდა მასთან წასვლაო“. ამიტომ დაუწყია ღრილი. ეს გაუგონია დავით გუგუნიანას და უკითხია ბებიანემისათვის: ვინ არის რომ ღრიალუბსო? რომ გაუგია რაში ყოფილა საქმე. გუგუნიანას გამოუყვანია სამალავიდან და წაუყვანია ეს გახატებული 16 წლის ახალგაზრდა, მაშინ უკვე თოვის სროლაში გაწვრთნილი.

ბიძაჩემს უამბუნია, რომ აჯანყებისათვის მზადებას ორი კვირით ადრე შეუდგნენო ლეხთურში და რომ ჯარის შეკრებას მეთაურობდაო ხოსო⁴¹ გოგორიშვილი. მამაჩემი მაშინ „კორდონის ნაჩაღნიკი“ ყოფილიყო, ე. ი. მდინარე ჩოლოქის კორდონის მცველი (ჩოლოქის წყალი შეადგენდა საზღვარს რუსეთის და ოსმალეთისას).

მეორე ჩემი გვარის კაცი, ქაიხოსრო თაყაიშვილი. რუსის მთავრობის მოხელე იყო. მამაჩემი და ქაიხოსრო თაყაიშვილი შეგნებული წინააღმდეგნი ყოფილან აჯანყებისა და ამბობდნენ. ესენი ვერას გახდებიან და დიდი ზარალი მოუვა გურიასო; მაგრამ მათ არ უჯერებდნენ. ბიძაჩემმა მითხრა: მზადება ჩვენს სოფელში იმიტაც გამოიხატებოდა, რომ ჯვარს ზემოთ (ჯვარი ეტყვა იმ ადგილს. სადაც ეკლესია იყო) აქის წყლის სათავეში მიმავალი გზა შეკრეს, რამოდენიმე ხე აქა-იქ მოსჭრეს და მით გადახირეს გზაო. მამაჩემს უკითხავს: „რად ჩაღიხართ ამ საქმეს?“ იმით უპასუხიათ: „ამაზე რუსები ვერ გადავლენო“. მამაჩემს კი უპასუხია (ბიძაჩემმა მითხრა): „რუსებმა კავკასიის მთები გადმოლახეს და თხმელას ხეები დააკავეს მათო?“.

ოზურგეთში გურიელების დროიდან დარჩენილი მადალი ციხე იყო, ამ ციხეში ბინადრობდა რუსის ჯარი და იქვე ყოფილან, როგორც რუსის მოხელენი, ქაიხოსრო თაყაიშვილი და მამაჩემი—სიმონ თაყაიშვილი.

⁴¹ ვგონებ ხოსო ერქვა, მისი სახელი ნამდვილად არ მახსოვს.

ბიძაჩემის თქმით, აჯანყებულთა შეტევის გეგმა ასეთი ყოფილა: დავით გუგუნიავას რაზმი უნდა მოსულიყო ნაგომრიდან, ხოლო დავით გურიელის—ლანჩხუთიდან. ეს იქნებოდა მემარჯვენე და მემარცხენე ფრთები შეტევისა. ლეხორლები და ნაკვანელები აქედან უნდა ჩასულიყვნენ მდინარე ქუევის პირზე, გოგორიშვილის თაოსნობით. გოგორიშვილის რაზმი იქნებოდა მებრძოლთა ცენტრი.

აჯანყების დაწყების დროს დავით გუგუნიავას და გოგორიშვილის რაზმები დროულად მისულან თავიანთ ადგილზე, მაგრამ დავით გურიელის რაზმს რაღაცა მიზეზის გამო დაგვიანებოდა. მის მოსვლამდე შეტევა უკვე დაწყებული იყო, გოგორიშვილის რაზმს გადაეღება ქუევი და დაეკავებია მალღობი, რომელიც ოზურგეთის ციხის პირდაპირ იყო, ბაზრის წყლის მარცხენა ნაწილზე.

გოგორიშვილს მალღობის წვერიდან ბიძაჩემი ერდიშელი გაეგზავნა ბაზრის წყალთან ჩასასვლელად, სადაც იღვა ერთი ნაწილი მენამბოხეთა და მათ უნდა მოხმარებოდა. ეს ფერდობი ბაზრის წყალამდე საკმაოდ გრძელია, ბიძაჩემს ჩაურბენია ფერდობის შუა ნაწილამდის, მაგრამ იქ მოხვედრია კარტეჩი მუხლში და წაქცეულა. ფორთხვით ჩასულა ცოტა ქვემოთ. საცა ადგილი ცოტა ჩაღრმავებული იყო, და იქ ჩაწოლილა.

ბრძოლა გაგრძელებულია სამხრობის დრომდე (გურულად — ზარმელის დრომდე). მამაჩემს და ქაიხოსრო თაყაიშვილს ციხიდან დაუნახავთ, როგორ ჩამოეშვა ერდიშელ თაყაიშვილი მალღობის წვეროდან და როგორ დეცა მიწაზე. როდესაც სროლა გათავებულა, თურმე მათ გადასძახეს ციხიდან გოგორიშვილს: „ერდიშელი როგორ არისო?“ იმას პასუხი მიუცია: „ჯერ არ ვიცი, მკვდარია თუ ცოცხალი“. ეს რომ გაუგონია, ბიძაჩემს დაუწყია — ყვირილი „ცოცხალი ვარ, ცოცხალი, არიქა მიშველეთო“. წასულა ქორივით გოგორიშვილი. შეუვდია მხარზე ბიძაჩემი და აღმართზე ამოურბენია. გოგორიშვილი დაუნახავთ რუსებს ციხიდან და აუტეხიათ სროლა. მაგრამ ვერ მოუხვედრებიათ ტყვია და ასე ამრიგად ამ გმირ გოგორიშვილს გადაურჩენია ბიძაჩემი. იგი წამოუყვანიათ მაშინვე სახლში, იქ დოსტაჭრებს კარტეჩი ამოულია მუხლის თავიდან და მოურჩენიათ. მაგრამ მუხლის თავზე ნატყვიარიანაგან ჩაღრმავებული ადგილი ბიძაჩემს კარგად აჩნდა.

შემდეგ გოგორიშვილი დაუპერიათ რუსებს. ერთხანს სატუსალოში გაუჩერებიათ. მერე დახვრეტა მიუსაჯეს თურმე. ბიძაჩემმა მითხრა: „მე არაფერი ამბავი არ ვიციო და ერთ დღეს ოზურგეთში წავედი; ქუეზე რომ გავედი, დავინახე რუსის მთელ როტას მიჰყავდათ დასახვრეტად გოგორიშვილი, აუარბეული ხალხი მისდევდა ჭარს, შევეურთდი მათ. პატიმარი ყვიროდა და ავინებდა მეფის მთავრობას. რომ დავინახე ჩემი გადამრჩენი. დავიწყე ტირილი და მივდედი შორიანლო. მან შემომხედა და მითხრა: „რა გატირებს, ბიჭო, არავის არ შერჩება ჩვენი სისხლი, დრო მოვა, გადაუხდინანო“. მე ვაივავლახით დავბრუნდი და მთელ კვირას ჭკუაზე არ მოვსულვარ, ისე მაწუხებდა მისი სიკვდილი“-ო.

ეგნატე ნინოშვილმა მალღობის წერილი მომწერა: ენახავ უსათუოდ ერდიშელ თაყაიშვილსო, მაგრამ რაღაც მიზეზით არ უნახავს ბიძაჩემი.

ე. ნინოშვილის წერილი მომეავს აქვე. წერილს თარიღი არა აქვს, მაგრამ იგი დაწერილია უსათუოდ 1892 წლის ზაფხულში, ვინაიდან ჩემთან მომართა მასალების საჩვენებლად გურიის ჯანყის შესახებ ურჩევია თედორე კიკვაძეს

ზესტაფონში, სადაც იგი ეგნატე ნინოშვილთან ერთად მსახურობდა ნ. ლოლო-ბერიძის კანტორაში. ე. ნინოშვილს „ჩანყი გურიაში“ დაუწერია 1888—1889 წლებში. ეს მოთხრობა ავტორს დაუმთავრებლად მიჰჩნდა და ამიტომაც არ გამოუცია თავის სიცოცხლეში. სამწუხაროდ ჩემი ნაწევნები მასალების შესწავლა მას ვეღარ მოუწერია ვიდრე გარდაიცვლებოდა. მისმა უდროოდ გარდაცვალებამ მით უფრო დამწევა გული.

აი მისი წერილი:

„პატივცემულო ბ. ექვთიმე!“

თქვენი წერილი მივიღე. დიდად მადლობელი ვარ პასუხისათვის, მადლობელი ვარ აგრეთვე რომ დამისახელეთ 1841 წ. გურიის აჯანყების შესახებ მასალები. რადგანაც კი გავიგე იმ წიგნების, ანუ ჟურნალების, სათაურები და №№, ვფიქრობ აწი აღარ გამიძინვლდება იმათი მოპოვება.

როცა თბილისში ვიახლები, თქვენც უნდა შეგაწყინოთ თავი. გთხოვია იმისი მოთხრობა, რაც ბიძა თქვენიდან გავიგონიათ იმ აჯანყების შესახებ. ჩემთვისაც უამბნიათ ბევრჯელ მოხუცებს იმ აჯანყების ამბავი, მაგრამ ერთის ნაამბობი მეორეს არ ეთანხმებოდა. თქვენ. იქვი არ არის, უფრო ნამდვილი წყაროდან გეჭნებათ გაგებული იმის ვითარება. განსაკუთრებით საჭიროა გავიგო ნამდვილი მიზეზი (მოტივი) იმ აჯანყებისა.

თქვენი პატივისმცემელი ეგნატე ინგოროყვა“.

V. მცირე მოზონებანი (სტუდენტობის, პედაგოგიური, მცენიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ; თანამედროვეთა და თანამშრომელთა შესახებ)⁴².

უნივერსიტეტი დავამთავრე 1887 წელს, ენკენისთვის დამდეგს. დავასრულე ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. კანდიდატის ხარისხით. ჩემმა ამბნაგებმა და აგრეთვე ყველა სხვა ფაკულტეტზე მოსწავლე ქართველმა სტუდენტებმა კი მხოლოდ „действительный студент“-ის ხარისხი მიიღეს. კანდიდატის ხარისხი რომ მოეცათ, ყველა საგანში ხუთიანი უნდა მიგელო სახელმწიფო გამოცდებზე. ეს ადვილი იყო, მაგალითად, აღმოსავლეთის ფაკულტეტზე (მარი რომ სწავლობდა), სადაც ცოტა ჰქონდათ საგნები და ჩვენს ფაკულტეტზე კი უბედურება იყო, ბევრი გეჭონდა საგნები ძალიან.

მე კავკასიის სამოსწავლო ოლქის სტიპენდიატი ვიყავი და სტიპენდიატებისათვის კი ასეთი წესი იყო: კურსს რომ დაამთავრებდნენ, ხუთ წელიწადს იქ უნდა ემსახურნათ. სადაც მთავრობა განაწესებდათ; ხოლო თუ არ ისურვებდნენ მთავრობის მიერ დანიშნულ ადგილას სამსახურს, მთლად უნდა გადაეხადათ ის თანხა. რომელიც მიღებული ჰქონდათ 4 წლის განმავლობაში. კავკასიის სტიპენდია მოსკოვსა და პეტერბურგს⁴³ თვეში 25 მანეთს შეადგენდა, სხვა ქალაქთა უნივერსიტეტებში კი—20 მანეთს. მე იმთავითვე უსათუოდ მინდოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლა, რადგან პეტერბურგი უფრო ევროპული ქალაქი იყო, ვიდრე, მაგ., მოსკოვი და იქ ჰპავაც უფრო

⁴² ჩაწერილია კარნახით. 1949 წლის 23/XI, 25/XI, 27/XI, 30/XI, 2/XII. უან საკმარის ბევრი რამაა დართული ავტორთან ერთად ჩვენი მუშაობის პროცესში (1948—1952 წწ.) მის მიერ ნაწევრტ-ნაწევრტ მოგონებული თუ ისე გამოთქმული და ჩემ მიერ ჩაწერილი შენიშვნებიდანაც, რომელთა უმეტესობა ქვემოთ, VIII თავშია მოქცეული.

⁴³ ახლა ქ. ლენინგრადი.

თბილი იყო. ამას გარდა, პეტერბურგის უნივერსიტეტს ჰქონდა. მხოლოდ, აღმო-
საველეთის ენების ფაკულტეტი და ჰინდოლა იქვე მომესმინა ლექციები—სა-
ქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. მაგრამ მე რომ შევივლია-
უნივერსიტეტში, იმ წელს პეტერბურგში არ ყოფილა თავისუფალი კავკასიის
სტიპენდია და მოსკოვის უნივერსიტეტში კი განთავისუფლდა. ჩემი თხოვ-
ნით, ქუთაისის გიმნაზიის (რომელიც მე გავათავე) დირექტორმა ალექსანდრე
ილიას ძე სტოიანოვმა აღძრა შუამდგომლობა, რომ განთავისუფლებული სტი-
პენდია მოსკოვიდან პეტერბურგში გადაეტანათ და მთავრობამაც ნება დარა-
თო. ის სტიპენდია მე დამინიშნეს და თან გზის ფულიც მომცეს. 100 მანეთი.

ჩემთან ერთად დაამთავრა გიმნაზია, სხვათა შორის, ენო გურიელმა, რო-
მელსაც მზრუნველობდა ბიძამისი, გრიგოლ გურიელი. ენოს მამა, დათა გური-
ელი, უსწავლელი და დიდი მორაზიყე კაცი იყო, შვილს ყურადღებას არ აქცე-
და. ის ენო ერთადერთი გურიელი იყო, რომელმაც საშუალო სასწავლებელი
დაასრულა; არც მის შემდეგ გაუთავებია რომელიმე გურიელს. სწავლაში
მოცილებულბოდა და სტოიანოვი ეუბნებოდა ხოლმე: „Я вас держу потому,
что хочю, чтобъ одинъ Гуріели окончилъ гимназію!“ უნბო არ ყოფილა,
მაგრამ თავადური პრეტენზიები ჰქონდა, თავმოწონებოდა და ზედმეტი
წარმოდგენისა იყო თავის თავზე, არა ნაკლებ სხვა გურელებისა.

ბიძამისი, გრიგოლ გურიელი, ცნობილი კარგი ქართველი და პატრიოტი,
ოზურგეთში ცხოვრობდა. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელი საზოგადოების ერთი დამაარსებელთაგანი და საქართველოს ისტო-
რიის დიდი მოყვარული. ამიტომ ურჩია თავის ძმისწულს ენოს, ისტორიულ-
ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესულიყო, რომ მერე გურიის ისტორიის დაწე-
რა შესძლებოდა. იმ დროს გრიგოლი უკვე სამსახურიდან გადამდგარი გენე-
რალი იყო. უწინ, რუსეთ-ოსმალეთის 1877/78 წწ. ომამდე იგი ჩოლოქის
კორდონს განაგებდა (ბევრად უფრო ადრე მამაჩემი იყო იმავე თანამდებობა-
ზე) და დიდი სამსახურიც გაუწია რუსის მთავრობას. ჯერ ერთი, მან ოსმალეთ-
ში იმოგზაურა გიორგი ყაზბეგის თანხლებით, რომელიც მამინ გენერალურა
შტაბის ოფიცერი იყო და რომელსაც დავალებული ჰქონდა შეეკრიბა სტატის-
ტიკური და სხვაგვარი სამხედრო ცნობები ოსმალეთის საქართველოს შესახებ.
გრიგოლ გურიელი აქარის ფაშის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის („შერიფგს“
ეძახდნენ) მოყვარე იყო—ხიმშიაშვილს ცოლად გრიგოლის ნათესავი, გური-
ელის ქალი ჰყავდა, და ამ მოყვრობას შერიფ-ბეგიცა და გურიელიც დიდად
აფასებდნენ. გრიგოლი სტუმრად წავიდა შერიფთან, როგორც თავის სიძესთან
და თან იახლა რამდენიმე გურულისაგან შემდგარი ამაღა. ამათ შორის იყო
გიორგი ყაზბეგიც, რომელიც, გურულ ტანსაცმელში გამოწყობილი, სხვა
მხლებლებივით ემსახურებოდა გრიგოლს, — ხან რას მიართმევდა და ხან რას.
მამინ შეკრიბა გ. ყაზბეგმა ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიაზე როგორც
სამხედრო მასალა, ისე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ცნობები. ეს უკა-
ნასქნელნი მან გამოაქვეყნა წერილში „Три мѣсяца в Турешкой Грузіи“, რო-
მელიც დაიბეჭდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფი-
ლების ორგანოში (Зап. Кавк. отд. Русск. Геогр. Общ.). აღნიშნულ წერილს
მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და იმ დროისათვის ხომ ნამდვილ
განძს წარმოადგენდა ჩვენი ისტორიისათვის. საერთოდ გიორგი ყაზბეგი ნი-
ჭიერი კაცი და კარგი პატრიოტი იყო. ილია ჭავჭავაძის მახლობელი ამხანაგი.
მერე წერა-კითხვის საზოგადოებასაც კი თავმჯდომარეობდა.

გრიგოლ გურიელმა ოსმალეთში მოგზაურობის შემდეგ კიდევ შეაგუ-
ლიანა შერიფ-ბეგი. რომ მას თავისი საფაშო, აჭარა უომრად შემოეერთებინა
რუსეთისათვის. შერიფ-ბეგიც ისე მოიქცა და აჭარა თავისით, უომრად შემო-
უერთდა რუსეთს. გრიგოლი, რა თქმა უნდა, დიდ პატივს მოელოდა ყოველი-
ვე ამის გამო რუსის მთავრობისაგან, მაგრამ მთავრობამ მის შუამავლობა-
დამსახურებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და გრიგოლიც კვლავ
პოლოკონიკად დარჩა, გენერლობა მხოლოდ მაშინ მიიღო, წესისამებრ. რო-
დესაც. შეურაცხყოფილი, სამსახურიდან გადადგა.

საოსმალე საქართველოს სხვა ბეგებიც გადმოვიდნენ, გრიგოლისავე
რჩევითა და გავლენით, უომრად, რუსების მხარეზე და ომის გათავების შემ-
დეგ თურქეთში კი არ წავიდნენ, არამედ შევეთ-კლარჯეთსა და აჭარაში დარ-
ჩნენ. რუსის მთავრობა არც იმ დარჩენილ ბეგებს მოჰკიდებია მაინცდამაინც
პატივით. მასხოვს, შევეთის ბეგმა შემოუთვალა გრიგოლ გურიელს: „თუ ეგ-
რეთი იყო რუსის მთავრობა, რომ შენც კი არა გცა პატივი, ჩვენ რაღად გვირ-
წიე აქ დარჩენა. უმწეო მდგომარეობაში რომ ჩავევარდითო?“

იმ დროს, როდესაც მე და ვანო გურიელმა გიმნაზია დავამთავრეთ. გრი-
გოლმა ოზურგეთში თავისი სახლი სანახევროდ აჩუქა გიმნაზიური მთავრო-
ბას, სასულიერო სასწავლებლისათვის, და სანახევროდ კი ფასი გამოართვა,
ე. ი. რაც დაუფასეს ის სახლი, მხოლოდ იმის ნახევარი გადაახდევინა. დიდი
სახლი იყო, მაღლა გორაზე. ლიხაურის მხრით წამოდგმული, ახლაც კი უნდა
იღვეს. იმაში აღებული ფული მან გადადო, რომ მძისწული ვანო შეენახა პე-
ტერბურგში. თითონ გრიგოლი დიდი მორალის კაცი იყო, ძალიან თავისებური.
ბერივით ცხოვრობდა, ცოლ-შვილი არასოდეს არ ჰყოლია (ასე იცოდა თქმა:
„ბიჭო, ქალს რომ აქებ, ქალი-მყარი რა საქებიაო?“); უბრალო ბინაში იდ-
გა; საჭმელ-სასმელიც ფაქიზი იცოდა, მის საზრდოს უმთავრესად ლობიო და
მზალი შეადგენდა, ღვინოსაც ცოტას სვამდა. უნდოდა, რომ პეტერბურგს ვა-
ნო მოხვედრილიყო კარგ ოჯახში, რომელიც კეთილწინობრივ გავლენას მოახ-
დენდა მასზე. ამ მიზნით მან, ვილაც ნაცნობ-მეგობრის საშუალებით, გამართა
მიმოწერა პეტერბურგში ერთ გერმანელ პასტორთან. სთხოვა თავისთან დაეყე-
ნებინა ვანო და თვეში 100 მანეთი დაუნიშნა. ეს მაშინ კარგი ფული იყო: ქარ-
თველი სტუდენტობის უმეტესობა თვეში 20—25 მანეთით ირჩენდა თავს. გარ-
და იმ 100 მანეთისა, გრიგოლი ჯიბის ფულსაც უგზავნიდა მძისწულს.

მე და ვანო რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის საისტორიო-საფილოლო-
გიო ფაკულტეტზე შევედით, იქ დაგვხვდნენ პეტრე მირიანაშვილი და გოცი-
რიძე (სახელი აღარ მაგონდებია), რომელთაც ჩვენზე ერთი წლით ადრე ჰქონ-
დათ დამთავრებული ქუთაისის გიმნაზია. პეტრე კახელი არ ყოფილა, ქუთათე-
ლი იყო, დედა სომხის ქალი ჰყავდა. სომხური ლაპარაკი და წერა-კითხვაც
იცოდა. მაგრამ შორს ეჭირა სომხებისაგან თავი; ქართული პატრიოტი იყო.
პეტრესა და გოცირიძეს ვერ ჩაებარებიანათ მეორე კლასზე გადასასვლელი ზო-
გიერთი გამოცდა და დარჩენილიყვნენ პირველ კურსზე. ჩვენ რომ ჩავედით,
იმ წლის ბოლოს პეტრემ დასტოვა პეტერბურგის უნივერსიტეტი და პარიზში
წვიდა, გოცირიძე კი დარჩა პეტერბურგს. ერთ-ერთ კურსზე ორ წელიწადს
იჭდა ვანო გურიელიც და მე რომ დავასრულე უნივერსიტეტი, მასა და გოცი-
რიძეს იმის შემდეგ წელიწადს დაესრულებინათ და ჩამოვიდნენ საქართველო-
ში, ჯერ ორიენტი ქუთაისში და მერე კი ვანო—თბილისში. პეტრე მირიანაშვი-
ლის პეტერბურგის უნივერსიტეტიდან წასვლის მიზეზი, როგორც მანვე მი-

თხრა, ის იყო, რომ ლოგია და ფსიქოლოგია ვერ დაეძლია. ხოლო სხვა, ფილოლოგიურ საგნებზე კი გადარეული იყო. პარიზშიც არ შესულა ღნივერსიტეტში, თავისუფალ მსმენელად იყო, დავით კარიკაშვილთან ერთად (რომელიც სემინარიელი იყო, ნიჭიერი კაცი).

პასტორმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა ვანო გურიელზე და მის ზნეობაზე; პირიქით, ვანომ მოახლე ქალი დაუორსულა და პასტორმაც მოსწერა ეს ამბავი გრიგოლ გურიელს. არდადეგებზე რომ ჩამოვედრი გურიაში, გრიგოლმა მითხრა, მამამისის შვილი აბა რას იზამდა, კვიცი გვარზე ხტისო! ცხადი იყო, რომ ვანოს აღარ დაედგომებოდა პასტორის სახლში და წამოვიდა კიდევაც; მერე ცალკე ცხოვრობდა; თან კიდევ ვიღაც სხვა გერმანელ ქალს გადაეყარა და ასე!... საბოლოოდ კი ვანო გურიელს უკუღმა დაუტრიალდა ბელი. კურსის დამთავრების შემდეგ საქართველოში ჩამოსული ერთხანს სადღაც, მგონი თბილისის გუბერნატორთან მსახურობდა, მაგრამ მერე მიატოვა ის სამსახური. მამას ვერ შეეწყო და არც შეიძლებოდა, რომ ისინი ერთმეორეს შეწყობოდნენ. მათი კონფლიქტი ისე გაძლიერდა, რომ მამამ უჩივლა, მოკვლას მიპირებდაო. ვანოს მამულში ჩადგომა უნდოდა (მამული, რასაკვირველია. დიდი ჰქონდათ, მაგრამ არც იმდენად, როგორც ეგონა); მამამისი დათა კი ერთი თავისებური უხიაგი კაცი იყო; არავის ენდობოდა და არც შვილს ენდო. საქმე ქუთაისში გაიჩნა, საგუბერნიო სასამართლოში. ვანოს დამცველად ჰყავდა ცნობილი ადვოკატი ხელთუფლიშვილი, შემდეგ სენატის თავმჯდომარე. ვანო გაამართლეს, მაგრამ გრიგოლმა, რა თქმა უნდა, ხელი აიღო თავის ძმისწულზე და თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა მეორე მემკვიდრეს. გენერალ ლევან გურიელის შვილს, ვასო გურიელს, რომელიც შვიდი და კეთილი. მაგრამ არც თუ რითიმე გამოსარჩევი ახალგაზრდა იყო; მეფისნაცვალთან მსახურობდა, როგორც განსაკუთრებულ დავალებათა ამსრულებელი მოხელე („чинovníк по особым поручениям при наместнике“). ცოლად ჰყავდა ერთ-ერთი, ოსმალეთის დადიანის ქალი. მდიდარი ანანოვის ნათესავი. დათა გურიელმა. რომელიც ისეთივე მემკვიდრე იყო გრიგოლისა, როგორიც ვასო (ლევანი უკვე გარდაცვლილი იყო), დაიწყო ქაღილი, უსისხლოდ მე მაგას არ დაეთმო. გრიგოლი რომ გარდაიცვალა, ჩამოვიდა თბილისში და აიძულა ვასო, რომ გრიგოლის მიერ მისთვის დატოვებული მამულის ნახევარი გადაეცა დათასათვის ნოტარიული წესით.

ვანო გურიელის დედა პირველი ცოლი იყო დათასი, ოღონდ არ ვიცი, ვისი ქალი იყო. მეორე ცოლი დათას დადიანის ქალი ჰყავდა. ისიც რომ მოუყვდა, მესამედ ვიღაც გლეხის ქალი შეირთო და იმ ქალისაგანაც დარჩა შვილები. დათა რომ გარდაიცვალა, ვანო ჩავიდა გურიაში (მანამდე ხან თბილისში იყო. ხან ქუთაისში, აქეთ-იქით დადიოდა) და დაეპატრონა მამულს. იმ დროს გურიაში უკვე დიდი რევოლუციური მოძრაობა იყო დაწყებული, ვანომ ვერ აუღო ალღო ამ მოვლენას და ის მოკლეს. ასე უბედურად დამთავრდა მისი სიცოცხლე: 45--46 წლის კაცი იქნებოდა. მეტის არა. დათას მესამე ცოლთან ნაყოლი შვილები—ქალები ახლაც ცოცხალი ყოფილან, ვაჟი კი აღარავინ დარჩენილა გურიელი. ვასოს შვილი. 1917 წლის მოძრაობის დროს მამულები და ქონება რომ ჩამოართვეს, სპარსეთში წავიდა და დაიკარგა. რიგიანი ახალგაზრდა კი ჩანდა!

მე, ვანო გურიელი და ნიკო მარტი ერთად ვსწავლობდით ქუთაისის გიმნაზიაში. ნიკო ძალიან ჰყავდა ვანოს, ისეთივე შევგვრემანი და შევთმინი იყო.

ჩვენ ვეუბნებოდით ხოლმე ვანოს, რომ ნიკო მისი უკანონო ძმაა. ის იტყო-
და ხოლმე, მე წინააღმდეგი არა ვარ მისი ძმობისა, მაგრამ ეგ არაა მართალი,
გრიგოლ გურიელს ერთი მოურავი ჰყავდა, გაბილას ეძახდნენ და ნიკო მისი
შვილიაო⁴⁴. ნიკოს „მამას“, იაკობ მარს სხვა შვილებიც ჰყავდა პირველი ცო-
ლისაგან და იმათ საჩივარი შეიტანეს სასამართლოში, ნიკო არ არის მარის შვი-
ლი და ქონებიდან არაფერი ერგებოა, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს, რადგან დო-
კუმენტებში იაკობის შვილად ეწერა. ამ გზით რომ ვერაფერს გახდნენ — ის ინ-
გლისელები თუ შოტლანდელები, სახლის ზედა სართულიდან გადმოაგდეს
პატარა ნიკო, მაგრამ ის ფეხის მოტეხით გადაარჩა. თითონ კი წერდა მერე, პან-
სიონში მოვიტყევე ფეხიო: ან არ იცოდა ნამდვილი, ან გამეღაცეება არ უნდოდა.
~~ფაქტი ია, რომ ნიკო არაა იაკობ მარის შვილი. ან დათა გურიელისაა და ან~~
გრიგოლ გურიელის მოურავისა. იაკობმა იმ დროს შეირთო ის ქალი, ნიკოს
დედა, როდესაც უკვე დაძაბუნებული მოხუცი იყო: ჭერ მოსამსახურედ აიყ-
ვანა, რომ მოეელო მისთვის. და მერე კი ცოლად გაიფორმა.

გაბრიელ ეპისკოპოსის ბიძაშვილმა, მიხეილ ქიქოძემ (ცნობილი ადვოკა-
ტის მოსე ქიქოძის ძმამ, გამომძიებელმა) მიამბო, ერთხელ გაბრიელი და მე
ერთად ვესტუმრეთ იაკობ მარს ქუთაისის ფერმაზე, სადაც ის მსახურობდა,
მაშინ გაგვაცნო ის თავისი ცოლი და გვითხრა, „ეს ჩემი მოწაზონააო“. იაკო-
ბი გრიგოლ გურიელთან ცხოვრობდა დიდხანს, ის არჩენდა. დათაც იქ იყო
ხოლმე და გრიგოლის მოურავიც, და რომელი შეიქნა ნიკოს მამა, ძნელი სათ-
ქმელია. ნიკომ თითონაც იცოდა თავისი წარმოშობის ამბავი და ხშირადაც უთ-
ქვამს. ისე, ხასიათით ნამდვილი ასპროცენტიანი გურული იყო, უცბად აენთე-
ბოდა ხოლმე. ეკ, სულ ერთი არაა, ვისი შვილიც იყო? მამამისი აცხონა დმერ-
თმა, დიდად სასახელო მეცნიერი დაგვიტოვა და ესაა! ჩვენში მაინც ასეა დაკ-
ვირეუბა: ბუში ყოველთვის ნიჭიერია ხოლმე, სიყვარულის ნაყოფია და იმი-
ტომ („ДНТЯ ЛЮДВИ!“), რუსები რომ იტყვიან!).

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი საინტერესო პროცესი, რომე-
ლიც გურიაში ჩატარდა. იყო ერთი ნაკაშიძე, გიორგი ნაკაშიძის უკანონო შვი-
ლი. ერთხანს ბერად აპირებდა შესვლას, ათონის მთაზე იყო ნამყოფი, ივერიის
მონასტერში. მერე ისევე გურიაში ჩამოვიდა. უჭკუო კაცი არ ყოფილა, მაგრამ
ინტრიგებისა და კომბინაციებისადმი ჰქონდა მიდრეკილება. მაკვანეთში ერთი
უშვილო ნაკაშიძე იყო. იმასა და მის ცოლს დაუახლოვდა და შეაყვარა თავი.
კარგი აღამიანები იყვნენ და, რაკი მემკვიდრე არა ჰყავდათ, იშვილეს. გიორ-
გი ნაკაშიძის მემკვიდრე იყო ყაისარ ნაკაშიძე, ოზურგეთის სამაზრო სასწავ-
ლებლის ინსპექტორი, და იმას დარჩა გიორგის მამული. ბუშმა ნაკაშიძემ კი
მამობილის, მაკვანეთელი ნაკაშიძის სიკვდილის შემდეგ დედობილი შინიდან
გააგდო და თითონ დაისაკუთრა მამული. ესეც არ იკმარა და ახლა დაიწყო ინ-
ტრიგა, რომ ნამდვილი მამის მემკვიდრეც გამხდარიყო. ზოგიერთმა ინტელი-
გენტმა, რომელთაც ბუშობა, რა თქმა უნდა, არაფრად მიაჩნდათ, მხარი დაუჭი-
რა და ცნობილი ადვოკატი მოსე ქიქოძე დამცველადაც კი დაუდგა. საოლქო
სასამართლომ გამოძიება ჩაატარა. შეყარეს ცრუ მოწმენი—მთელ გურიაში
ცნობილი, სასახელოდ უსწავლელი, „ლიბერალურად“ განწყობილი პირები:
დეაბუხელი მელქისე მახარაძე (რაც გურიაში ავაზაკობა მოხდებოდა, ყველაფ-

⁴⁴ ამ ადგილას ე. თაყაიშვილი მიუთითებდა ი. მეგრელიძის სათანადო ჩანაწერებს და აღ-
ნიშნავდა, რომ საერთოდ მან იცის ეს ამბები.

რის მოთავე იყო, მაგრამ შესანიშნავი ენა ჰქონდა და ყოველთვის იძვრენდა თავს; ბუნებით შესანიშნავი ნიჭიერი კაცი იყო; ძმა გაციმბირებული ჰყავდა, მაგრამ ჩამოუვლიდა; ბევრს რასმე სწამებდნენ ამ „ლიბერალს“; აზნაური ლუარსაბ ანუ ლუვარსი ბებურიშვილი (ძმა ჰყავდა ბებურა ბებურიშვილი, ისიც ავანტურისტი, ბიძაშვილი — გიორგი ბებურიშვილი სამეგრელოში იყო მაზრის უფროსად); მილიციის პრობორშიცი, მოლიბერალო სამუელ მაქსიმელიშვილი; გიორგი თაყაიშვილი — პრაქტიკული კაცი, ფულის გულისათვის რომ ყველაფერს ჩაიდენდა. „თავხსნიერი“ (ე. ი. ნამდვილი, კანონიერი შვილი) და „უხსნიერი“ (ე. ი. უკანონო შვილი, ბუში) არ სწამდა და იტყოდა ხოლმე, „ქალი ბაღანას აჩენს, ვინ გააკეთა, ვინ იცისო?“. (ეს გიორგი თაყაიშვილი ჩემი ნათესავი არ ყოფილა. სახლისკაცი იყო, მთელმა გურიამ იცოდა მისი სიტყვები და გამონათქვამები; წინა მოგონებებში მაქვს მის შესახებ საუბარი, საოცარ ტიპს წარმოადგენდა). აი, ყველა ამათ მისცეს ჩვენება, რომ მომჩივანი გიორგი ნაკაშიძის ნამდვილი შვილი იყო და იმანაც დაიმტკიცა მამული.

ეს საქმე რომ მოთავდა, ბიძაჩემთან სტუმრები მოვიდნენ და გიორგი თაყაიშვილიც იქ იყო. ჰკითხეს. რატომ იცრუეთ და მართალი არ აჩვენეთ სასამართლოსა? წამოხტა ეს გიორგი და დაიძახა: „ბუში რას ჰქვია? ბუში თუ გინდათ, ზაქარე არისო! აბა დაუყენეთ გვერდში, რომელი ჯობდესო?!“ დაიხოცნენ სიცილით. ზაქარია ყაისარის შვილი იყო და მართლაც არ ვარგოდა... დები კი ლამაზი ჰყავდა, მგონი ეხლაც ცოცხლები არიან.

ქუთაისის გიმნაზიის უფროს კლასებში რომ ვსწავლობდი, ბევრი გაკვეთილები მქონდა (ერეტიტორობდი), ისე რომ სხვებსაც კი ვარჩენდი. იმ გაკვეთილების გასამრჯელოდან 300-იოდ მანეთი დავიხზოვე. მოვიხლომე მამულის გამოყენებაც: ერთი ვაშაყმაძე გვყავდა, დროებით ვალდებული გლეხი, ის გავათავისუფლე და 300 მანეთიც მისგან ავიღე. გზის ფულიც, როგორც უკვე აღვნიშნე, 100 მანეთი მომცეს. ასე რომ, უნივერსიტეტში მისაღები სტიპენდიის გარდა 700 მანეთიც წამყვა თან. გრიგოლ გურიელმა თავისი ძმისწული ვანო მე ჩამაბარა. თითონ, უკვე ვთქვი, ძალიან უბრალო ცხოვრების მოყვარული იყო და ჩვენც გვიოთხბრა: „იქირავეთ ერთი ოთახი; იყიდეთ ზორცი, მოხარშეთ და ჩამოჰკიდეთ კედელზე; მოგშივლებათ, მიაჭერით და სჭამეთ, მეტი რა გინდათო?!“.

მე და ვანო ერთად წამოვედით ოზურგეთიდან. პეტერბურგში ორი გზით შეიძლებოდა წასვლა: ზღვით ბათუმიდან სევასტოპოლამდე და მერე რკინიგზით, ან არა და სამხედრო გზით ვლადიკავკაზამდე⁴⁵ და იქიდან—რკინიგზით. მე სამხედრო გზის ნახვა მიხდოდა და ამიტომ ეს მეორე გზა ჰვირჩიეთ. მცხეთამდე რკინიგზით ჩამოვედით. მატარებელში ნატანების სადგურზე ჩაჯექი. ლიანდაგი ახალი გაკეთებული იყო და, მახსოვს, ძლივს ავედი ვაგონში. კიბე ძალიან მაღლა აღმოჩნდა და მტკივანი ფეხი მიშლიდა. გრიგოლ და ვანო გურიელები მაშინ ბორჯომში იყვნენ; შეპირებული ვიყავით და გრიგოლმა ძმისწული მიხაილოვოს სადგურში⁴⁶ ჩამოიყვანა, იქ ჩასვა მატარებელში, დაგვარიგა ჭკუა და გამოგვეშვიდობა. მცხეთიდან ვლადიკავკაზამდე „ტრაიკით“ გავემგზავრეთ. პირველ დღეს ლარსში ავედით და ლამე იქ ვათითეთ. დილაადრიან განვაგრძეთ გზა. აგვისტოს დამლევით იყო და ძალიან

⁴⁵ ახლა ქ. ორჯონიძე.

⁴⁶ ახლა ქ. ხაშური.

ციოდა. თან საბნები მიმჭინდა, გავშალეთ და მოვიხურეთ, მერე კი დათბა და მოვიშორეთ. მეორე ღამე ვლადიკავკაზში გაჯათიეთ, მესამე დღეს კი ჩავსახელეთ ვაგონში და გავწიეთ პეტერბურგისაკენ. წინასწარ გავუგზავნეთ დეპუტეები ვასო გურიელს (რომელიც პეტერბურგში იყო და მგონი. სამხედრო სასწავლებელში, კორპუსში სწავლობდა) და ვინმე ჭყონიას, ვასოს მამის ლევან გურიელის ყოფილ მოურავს. იგი ცხენოსანი პოლკის ოფიცერი იყო. ძალიან კარგი და პატიოსანი კაცი. პეტერბურგის ოფიცერთა სასწავლებელში მსახურობდა. რასაკვირველია, ორივენი დაგვხვდნენ სადგურზე. სადაც დამის 10 საათზე ჩავედით. სადგურში ყოველთვის იყვნენ ხოლმე ბინის მეპატრონენი, გასაქირავებელ ოთახებს რომ შემოგთავაზებდნენ. ჩვენ წავგიყვანეს და მოგვათვსეს ერთ ისეთ ოთახში. ჭყონიამ თავისი ბინის მისამართი მოგვცა, ხვალ დილას ჩაიზე ჩემთან მოდიეთ. თან გვასწავლა, თუ როგორ მიგვეგნო: სმოლნის ინსტიტუტის მახლობლად ცხოვრობდა. მაშინ პეტერბურგში უკვე დადიოდა ტრამვაი, რომელიც ჩვენ მანამდე ჭერ არსად გვენახა. მეორე დილას, წასვლა რომ დავაპირეთ, ვანომ იუარა ტრამვაიში ჩაჯდომა (საერთოდ რაღაც ახირებული ყმაწვილი იყო. ყველაფრისა ეშინოდა!): ტრამვაის რა ვიცით ჩვენ, ფაიტონში ჩავსხდეთო („ვანკებს“ ეძახდნენ მაშინ). მე ვუთხარა, ეგ უფრო ძვირად დაგვიჯდება მეთქი, მაგრამ მაინც თავისი ქნა და ჩავსხედით. ვუთხარი მისამართი მეეტლეს, მანაც გვატარა, გვატარა. გავიდა მთელი საათი და შეენიშნეთ, რომ სადღაც ქალაქგარეთ გავციყვანა. ქუჩა აღარც კი იყო მოკირწყლული. ვკითხეთ, სად მივდივართ მეთქი? გვითხრა, თქვენ „იამსკია“ მითხარით და აი, აქაა ეგ ქუჩაო. დავუწყეთ დავა და. როგორც იქნა, კიდევ ერთი საათის შემდეგ, მიგვიყვანა ნამდვილ ადგილას. ჭყონიამ გვიკითხა. სად იყავით ამდენ ხანსაო? ვუთხარით. როგორც იყო საქმე. გვცა პატივი. მერე ვანო მასთან დარჩა, ბინაზე უნდა მოწყობილიყო, მე კი წავედი უნივერსიტეტში და ენახე, რომ მიღებული ვიყავი. ბინა უნივერსიტეტის ახლოს ვიქირავე. ვასილის კუნძულზედვე. შორს სიარული მიჭირდა, ფეხის ტკივილის გამო. მერე ისევ უნივერსიტეტში მივედი. დავსეირნობდი კორიდორში და. ვნახოთ, ვანო შემოიყვანა ჭყონიამ. ვანოს ძალიან გავუკვირდა ჩემი. მარტო როგორ მოხვედიო?—თითონ რომ ეშინოდა ყველაფრისა! ჩაეაწერინე სიაში ვანოც. მერე ჭყონიამ წაიყვანა იგი იმ პასტორთან და დააბინავა...

ჩვენი ფაკულტეტის დეკანი იყო ლამანსკი — ცნობილი, ერთი უშესანიშნავესი სლავიანოფილი. ის გვიკითხავდა სლავური კილოკავების მიმოხილვას. ძალიან პატიოსანი კაცი იყო. ქართველებს კეთილი თვალით გვიყურებდა: იცოდა, რომ თამარ მეფის ქმარი იური იყო. ყოველთვის გამოგვიკითხავდა ხოლმე. თუ რას ვაკეთებდით, რას ვაპირებდით და ა. შ. ვინ იყო პირველად რექტორი, არ მახსოვს, მგონი იურისტი იყო, ისიც კარგი კაცი, მაგრამ მერე გამოცვალეს.

დაიწყო იმ ლამანსკიმ ლექციების კითხვა, მაგრამ პირველი ორი თვე მარტო სლავიანოფილური საუბრები ჰქონდა — ყველგან ეძებდა სლავებს. აფრიაშიც კი. გველაპარაკებოდა სლავიანოფილთა პოლიტიკურ მრწამსზე. მათ გამოჩენილ მოღვაწეებზე; ძალიან აძაგებდა ნეკრასოვს, სლავიანოფილობის წინააღმდეგი იყო; პუშკინს ძალიან აქებდა. გამოცდის დროს გვიკითხებოდა ხოლმე, რამდენი ბალს ვწნდათ დაგისვათ, რამდენია თქვენთვის საჭიროო?

ძველ ისტორიას გვიკითხავდა პროფესორი სოკოლოვი. გასაკვირველია მესხიერება ჰქონდა, მაგრამ მისი ისტორია შედგებოდა მხოლოდ კლასიკურ მწერალთა ტექსტების განმეორებისა, ბერძნულ-ლათინური ეპიგრაფიკისა და სათანადო ქრონოლოგიისაგან. მოდესტოვი წერდა მის შესახებ, „Он ничего не видит в древней истории, кроме хронологии и текстов“. თითონ არც მიაჩნდა ისტორია მეცნიერების დარგად, იტყობდა ხოლმე: „Точные законы нельзя установить, многие явления случайны-о!“ მისი ისტორიის კურსი, უპირავე ტექსტების გამო, ძალიან ძნელი შესათვისებელი იყო. გამოცდისას, რაც ბოლეთი შემზება, კარგად ვიცოდი და ეუბასუბე. მერე კიდევ ერთი, ძნელი საკითხი მომცა: „Можете ли перечесть македонских царей до Филиппа Македонского?“ ეუბასური ზეპირად ის ბერძნული ტექსტი, რომელიც მან ლექსიაზე გვაცნობა. პექსამეტ რები იყო. გაუევირდა, ყველაფერი რომ ეუბასუბე, შემომხვდა და მეუბნება: „А вы не обидитесь, если откровенно скажу?“ რაშია საქმე მეუბი? „Я извиняюсь, но не ожидал от вас такого ответа“. რატომ მეუბი? „А потому, что вы с Кавказа, а кавказцы все отвечают мне слабо“. მე ეუბასური: „Это удвительно, ведь кавказцы, как и русские, бывают разные!“ „Да, это правда, но вообще... Словом, с удовольствием ставлю вам 5!“.

ზოგად ენათმეცნიერებას მინავეი გვიკითხავდა. მაშინდელ ენათმეცნიერებაში ბატონობდა ე. წ. ინდო-ევროპული თეორია. რომლის მიხედვითაც ინდო-ევროპელთა პირველდელი სამშობლო იმყოფებოდა აზიანში, სადღაც პირდუტუქუის მახლობლად; იქიდან იძვროდნენ, ერთიმეორის მიყოლებით, და მოდიოდნენ ევროპისაკენ ინდოევროპული ხალხები — ჯერ ისინი. რომელნიც ახლა ევროპის დასავლეთ განაპირას ცხოვრობენ. ყელტები და გალები, მერე—ფრანკები, მერე—გერმანელები, მერე—ლიტველები და, ბოლოს—სლავები, რომელთაც აღმოსავლეთი ევროპა უჭირავთ. რომ ეს ხალხები საერთო წარმოშობისა არიან, ამას ამტკიცებს სიტყვეური მასალა. რომელიც საზოგადოა მათ ენებში. ამას რომ იტყობდა, მინავეი ჩამოგვითვლიდა ხოლმე იმ საზოგადო სიტყვეებს. ამ სიტყვეების საფუძველზე ახასიათებდნენ კულტურის იმ დონეს. რომელზედაც მდგარან ის ხალხები, სანამ ცენტრალური აზიიდან გადმოსახლებდოდნენ.

როგორც უკვე ვთქვი, იმხანად ეს თეორია ძალიან მიღებული იყო. ინდო-ევროპელებს მიიჩნევდნენ ყველაზე უფრო ნიჭიერ და განვითარებულ ხალხად და ამბობდნენ. ამიტომაც, რომ მათი დღევანდელი წარმომადგენლები უდგანან სათავეში მსოფლიო ცივილიზაციასაო. სხვა მოდგმისანი — თურანელები, სემიტები და ქამიტები — ნაკლებ მნიშვნელოვან და ნაკლებ ნიჭიერ ხალხებად იყვნენ მიჩნეული. ყოველივე ამის გამო ჩვენ ძალიან საწყენად მიგვაჩნდა, რომ ქართული ენა არ იყო გამოკვლეული და არ იყო დადგენილი, ინდო-ევროპულ ჯგუფს ეკუთვნის იგი თუ რომელიმე სხვას? ის კი უკვე ვიცოდით, რომ ზოგიერთი ევროპელი ლინგვისტისა და აგრეთვე მათი შეხედულების გამზიარებლის, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტის პროფესორის ალექსანდრე ცაგარელის აზრით. ქართული თავისებური ენაა და არც ერთ ცნობილ ჯგუფს არ ემსგავსება (კაცმა რომ თქვას. არსებითად იგივე აზრი წამოაყენა შემდეგ მარმა. იაფეტურ ჯგუფად რომ გამოკყო ქართული და მისი კავკასიური ენები. ისე რომ მარის იმ თეორიაში. ახალი არაფერი ყოფილა. მანამდე. სულ ახალგაზრდობაში, მარი ამტკიცებდა. ქარ-

თული სემიტურ ენათა ჭგუფს ეკუთვნისო, მაგრამ მერე უარყო და იაფეტურად გამოაცხადა). ეს აზრი ჩვენ საწყენად მიგვაჩნდა, გული გვწყვდებოდა, რომ „უნიჭიერეს და უმნიშვნელოვანეს ხალხთა“, ინდო-ევროპელთა ენების ჭგუფს არ ეკუთვნოდა ჩვენი ენა. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი—და მათ შორის მარი ბროსეც კი—გამოთქვამდა შეხედულებას, რომ ქართული ინდო-ევროპული ენაა. ყველა იმ ინდო-ევროპულ სიტყვას, რომლებსაც ლექციებში გადმოგვცემდა ჩვენი პროფესორი მინაევი, პეტრე მირიანაშვილი გულმოდგინედ უფარებდა ქართულ სიტყვებს და ცდილობდა დაემტკიცებინა მათი შესაბამისობა.

შესანიშნავი პროფესორი იყო ბიზანტინოლოგი ვასილევსკი, დიდი მცოდნე და კარგი, სიმპათიური კაცი. იგი ცხოველი ყურადღებით ეკიდებოდა ქართულ ძეგლებს. მასთან მუშაობდა ზემოთ ხსენებული გოცირიძე, რომელსაც ავალებდა ხოლმე რუსულად ეთარგმნა ზოგიერთი ქართველი წმინდანის ბიოგრაფია. ჰაგიოგრაფიული თხზულებანი. მაგრამ, რასაკვირველია, ამის ჭკროვნად შესრულება მაშინ არც გოცირიძეს შეეძლო და არც ვისმე სხვა ჩვენგანს.

ალარ მახსოვს ლათინური და ბერძნული ენის პროფესორთა გვარები. ორივე კი საკმაოდ მცოდნე იყო.

ლოგიკას, ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიას გვასწავლიდა, მგონია, ვლადისლავლევი... კარგად კითხულობდა ლექციებს; ლოგიკისა და ფსიქოლოგიის კურსები დაბეჭდილი ჰქონდა, ფილოსოფია—არ ჰქონია. მკაცრი მომთხოვნელიც იყო, ცდილობდა კარგად გვესწავლა მისი საგნები. გამოცდაზე რომ მივიდოდით, უთუოდ უნდა წარგვედგინა მისი ლექციების კონსპექტი. მე თვალში მოვუხედავ ძალიან და IV კურსზე რომ გადავედი, მკითხა: „Вы вероятно, мой предмет изберете своей специальностью?“-ო. მე უნდასუბე, უნივერსიტეტში დარჩენას არ ვაპირებ მეტეჟი. ის პროფესორი შემდეგ ენივერსიტეტის რექტორად დანიშნა მთავრობამ — ახალი წესის თანახმად, რექტორს უკვე პროფესორები კი აღარ ირჩევენდნენ. არამედ მთავრობა ნიშნავდა. ლიბერალ პროფესორებს არ მოსწონდათ იგი, რექტოგრალობას სწამებდნენ.

რუსეთის ისტორიას პროფესორი ზამისლოვსკი გვიკითხავდა, არც დიდი ნიჟის მქონე და არც მთლად უნიჟო. კაცად კი კარგი კაცი იყო.

მსოფლიო ისტორიას ერთი სიმპათიური ახალგაზრდა კაცი გვიკითხავდა, გვარი აღარ მახსოვს. არასერიოზული, კომპილაციური კურსი ჰქონდა.

ჩვენ, ქართველ სტუდენტობას, ძალიან გვინდოდა, მოგვესმინა აღმოსავლეთის ფაკულტეტზე ლექციები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შესახებ და ვთხოვეთ პროფესორ ცაგარელს წაეკითხა ჩვენთვის. იმანაც ერთი დღე დაგვინიშნა კვირაში. სულ 12 კაცი ვიქნებოდით: ოთხი ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი—მე, ვანო გურიელი, პეტრე მირიანაშვილი და გოცირიძე, რომელიც მერე ქუთაისში მსახურობდა, მგონი გადასახადთა ინსპექტორად (იმ ფაკულტეტზე ქართველები ჩვენ ვიყავით პირველნი; მარი ერთი წლის შემდეგ შემოვიდა და ისიც აღმოსავლეთის ფაკულტეტზე; მართალია, ქუთაისის გიმნაზიაში ჩვენთან იყო კლასში, მაგრამ ჩვენთან ერთად დამთავრება თითონ არ მოინდომა, ერთ წელიწადს კიდევ დარჩა ბოლო კლასში. ჭერ ყველაფერი კარგად არ შემისწავლიათ!); ორნი ძმანი ხელთუფლიშვილები. მგონი ორივე უერიდიული ფაკულტეტის სტუდენტი: იმავე ფაკულტეტის სტუდენტები—მიხაკო ღვდლიაძე [მღვდლიაშვილი] (შემდეგ ჩვენი პალატის

თავმჯდომარე იყო), კეყერაძე (ავადმყოფი კაცი იყო, სწავლა უძნელდებოდა და მალე წამოვიდა), ნიჟარაძე (ვერც იმან გამოიჩინა დიდი უნარი და მერე ნაფიც ვეჭილად იყო ქუთაისში), ორნი მძანი ლორთქიფანიძეები (იასონი, ჩემი გიმნაზიის ამხანაგი, და მისი უფროსი ძმა — ალექსანდრე); მათემატიკური ფაკულტეტის სტუდენტი იოსებ დადიანი (აგრეთვე ჩემი გიმნაზიის ამხანაგი). ჩემ დროს ქართველი სტუდენტები იყვნენ კიდევ ორნი მძანი ჯორჯაძეები (ერთი მათგანი ქიმიას სწავლობდა, მეორე — არ მახსოვს, რას) და ვახუხიშვილი (ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე), მაგრამ ისინი არ ესწრებოდნენ ცაგარელის ლექციებს.

ცაგარელმა დაწყებით კი დაიწყო ჩვენთან მეცადინეობა. მაგრამ, უნდა ითქვას, ვერაფერი გამოუვიდა. ერთი-ორი ლექცია რომ წავგიკითხა, მერე თითქმის იმასვე იმეორებდა: ეტყობა, სულ მოუზღადავებელი მიდიოდა ხოლმე. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ საერთოდ არც ისა და არც სომხურის პროფესორი ჭეროპე პატკანოვი ნამდვილ ლექციებს კი არ კითხულობდნენ, არამედ შემოუტანდნენ სტუდენტებს ბიბლიას, ვეფხისტყაოსანს, მოსე ხორენელს, აკითხებდნენ და ამეცადინებდნენ. ნიკო მარს ეს არ აკმაყოფილებდა და ის, გულმოსული, დემონსტრირებულად მიდიოდა ხოლმე ლექციებიდან. ერთხელ პატკანოვმა ბიბლია რომ შემოუტანათ, უთხრა, ბიბლია უთქვენოდა ვიცი, რად მინდა, თქვენ სომხეთის ისტორია წავგიკითხეთო! პატკანოვმა უპასუხა: „Ка кую я вам армянскую историю буду читать? Это вам не римская история!“-ო.

საერთოდ აღმოსავლეთის ფაკულტეტზე სტუდენტი თითქმის ვერც ერთი პროფესორისაგან — და, კერძოდ, ქართული და სომხური ენისა და ისტორიის პროფესორებისაგან — ბევრს ვერ შეიძინა, ყველანი ისეთი ლექტორები იყვნენ, ვარა, ვარა არაბისტი როზენისა. ის კი დიდად ნიჭიერი კაცი იყო და საინტერესო ლექციებს კითხულობდა. თავის დროზე თურმე არც დ. ჩუბინაშვილის ლექციებს ვმადლიერებოდნენ მსმენელები... ჩუბინაშვილს კათედრა, როგორც ცნობილია, ცაგარელმა ჩამოართვა.

ჩვენ კიდევ ერთი კარგი პროფესორი გვყავდა, ვესელოვსკი: ფოლკლორის გვიკითხავდა. ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ცაგარელთან, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა „სიბრძნე სიცრუისა“ თარგმნა რუსულად.

იურიდიულ ფაკულტეტზე იყო ორი შესანიშნავი პროფესორი: კორკუნოვი და სერგეევიჩი. რომელიც რუსული სამართლის კურსს კითხულობდა. მათ ლექციებზედაც დავდიოდი ხოლმე. ის კი არა და, სახელგანთქმულ მენდელეევისა ც ვუსმენდი, როდესაც თავისი პერიოდული სისტემის ცხრილებს უხსნიდა მსმენელებს.

დავობრუნდეთ ისევ პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს. უნდა ითქვას, რომ ის ძალიან ნიჭიერი მეკლავარი იყო. უმთავრესად ლინგვისტიკაში, ფილოლოგიაში. მისი „Мингрельские этюды“ ძალიან კარგი ნაშრომია. შემდგომ იოსებ ყიფშიძე რომ იკვლევდა მეგრულს, თითქმის გაიმეორა მისი დებულებანი. ცაგარელი მეცნიერულ ნიადაგზე იდგა თავის კვლევით მუშაობაში, მაგრამ მისი დასკვნები რამდენადმე არ შეესაბამებოდა ქართული ეროვნული მოძრაობის ინტერესებს: ქართველობა ჩვეულებრივ ისე უყურებდა მეგრულს, როგორც „გათოკებულ ქართულს“ და კილოკავს. ცაგარელი კი ამტკიცებდა, რომ მეგრული არის ენა, ქართულთან ძალიან ახლოს მდგარი, მაგრამ დამოუკიდებელი.

ახლა ვილას მოუვა აზრად ამ დებულების წინააღმდეგობა, მარის, ყოფშიძისა და სხვა ქართველ ენათმეცნიერთა ნაშრომების შემდეგ? მაშინ კი ცავარელის დებულება ხელზე დაიხვია რუსეთის რეაქციულმა მთავრობამ და საყრდენად აქცია თავისი პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა მეგრელების ქართველთაგან საეკსპლუატაციო გათიშვას — სპეციალური მეგრული სკოლების დაარსებისა და შიგ მეგრულად სწავლების, სამოვთო წერილის მეგრულად თარგმნისა და ეკლესიაში მეგრული წიგნაკლასების შემოღების გზით. ამიტომ იყო, რომ ქართველთა პრინციპული ცავარელი ქართული ინტერესების მოლაპარაკებელად გამოაცხადა და ჩვენ პრესაში მის წინააღმდეგ დიდი კამპანია იყო გამართული. განსაკუთრებით ებრძოდნენ ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები. ზემოთ უკვე გავიხსენე ჩემი საუბარი ამ საკითხზე და ქვეყნაქმისთანა და ნიკო ლოლობერიძესთან.

ცავარელი აღმოსავლეთის ფაქულტეტის ყველა პროფესორთან დამდურებული იყო. არავის ელაპარაკებოდა. ვესვლეოვსკისთან და ჩვენი ფაქულტეტის სხვა პროფესორებთან კი კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

საბოლოოდ ჩვენების ასეთმა ამხედრებამ ხელი ააღებინა ცავარელს ლინგვისტურ მუშაობაზე. საღმრთო დისერტაციას რომ იცავდა მეგრულ ენაზე. მასთან ნახუბარი პროფესორები გამოსულან და სასტიკად გაუკრიტიკებიათ. უმთავრესად მინაევსა და პატკანოვს. ქართველები ვინც ესწრებოდა. ყველა უყვიროდნენ თურმე. უარი თქვი ხარისხზეო. მაგრამ მაინც გონება დაიტანებია. არ უთქვამს უარი და ხარისხი მიუნიჭებიათ. (ეს ამბავი გავიხსენო მამქვს ნიკო ნიკოლაძის დისა და ალექსი ჭიჭინაძის მეუღლის, ფროსიკოსაგან. რომელიც მაშინ პეტერბურგში ქალთა უმაღლეს კურსებზე სწავლობდა და ესწრებოდა დისერტაციის დაცვას). ხარისხი კი მიიღო, მაგრამ მას შემდეგ ლინგვისტიკა-ფილოლოგია მიატოვა და, როგორც უკვე თქვეი, აქტივის გამოცემის მიჰყო ხელი. ეს კი დასაანანი იყო, რადგან — ნ. მარცი აღნიშნავდა — მას შეეძლო ძალიან კარგი ფილოლოგიური კვლევა.

რა თქმა უნდა, არც ცავარელი ყოფილა უნაკლო კაცი და მკვლევარი. ჯერ ერთი, მხედველობა ჰქონდა სუსტი თუ დაკვირვება აკლდა მზერაში. ძველი ტექსტების ამოკითხვა უჭირდა. მან, როგორც ცნობილია, სინას მთისა და იერუსალიმის მონასტრები ყველაზე ადრე მოინახულა და, კაცმა რომ თქვას, სწორედ მისი წყალობით იყო, რომ აღმოგვიჩინდა ის ძვირფასი ძეგლები — ძველი ქართული ხელნაწერები, რომლებიც შემდეგ მარმა და ჯავახიშვილმა იქ შეისწავლეს ადგილობრივ, ცავარელს ბევრი შეცდომა აქვს მათ წაკითხვაში და ბევრი რამ სულაც ვერ შეუმჩნევია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ძალიან მძიმე პირობებში მოხდომია იქ მუშაობა: სულ ერთთავად გაყინული ყოფილა და ისე იწერდა თურმე. კითხვასაც თანდათან სწავლობდა იმხანად და იმითმაც ეშლებოდა ალბათ. იმ ხელნაწერთა პირველი მიმგნები და გამომცემელი კი ცავარელია, ხოლო მის მიერ შედგენილი კატალოგი, მარის აზრით, ყველა სხვა იქაურ ხელნაწერთა კატალოგებს სჯობია — ბერძნულსაც, სირიულსაც და ა. შ.

რასაკვირველია, ცავარელმა ჯეროვნად ვერ დააფასა ნიკო მარის ნიჭიერება, მაგრამ ეს გადაჭარბებული პატრიოტიზმითაც მოსდიოდა: ეჭვი ააღო, რომ მარს აკლია ქართული სულისკვეთება და სხვა მხრივ მიილტვის. ნამდვილად კი მარს უნდოდა აუცილებლად ქართულ ენაში დარჩენილიყო საპროფესორად მოსამზადებლად და არა სომხურში, მაგრამ ცავარელმა არაფრით არა ჯნა. პატკანოვმა კი აუღო ალლო მარის უნარს, დაიტოვა თავისთან და მარცხ

იძულებული იყო ამას დასჯერებოდა. მე მქონდა მარის ერთი წერილი (თუ არ დამეკარგა). რომელშიც მწერდა, „შენ ხომ იცი, რომ მე ქართულს შესასწავლად ვარ დაბადებული, ესენი კი სომხურზე დატოვებას მიიპირებენ და აბა რად მინდაო?!“ პასუხად მივწერე, „სომხური კი არა, ჩინურიც რომ მოგცენ, მაინც მანდ უნდა დარჩე და მოემზადო საპროფესოროდ მეთქი“.

უნივერსიტეტი მარზე ერთი წლით ადრე დაეამთავრე. როცა საქართველოში მოვდიოდი, მოვილაპარაკეთ: მარმა მითხრა, თბილისში რომ ჩახვალ, მიღექ-მოღექი, ყოველი გარემოება კარგად შეიტყე და მაცნობე; მეც წამოვალ და იქ ევმსახუროთ საქართველოს. ან გავზეთი დაეაარსოთ. ან სხვა რამე, უთუოდ მომწერე. როგორ იქნეს საქმეო. მარი რომ აქეთკენ მოიწვედა და სამეცნიერო მუშაობას გულს ვეღარ უდებდა. ეს. გარდა თვით მისი ძლიერ უცნაური მეგრევი ხასიათისა, ცაგარელის ბრალიც იყო. მარს რომ ცნობილი ნაშრომი აქვს „Древнегрузинские одописцы“, იმის თემა სწორედ ცაგარელმა მისცა. მარმა დაწერა. მაგრამ ცაგარელმა არ მიიჩნია ნაშრომი ოქროს მედლის ღირსად და ძლივდროვობით დაითანხმეს ვერცხლის მედლის მიცემაზე. მერე კიდევაც გამოსცა მარმა ის ნაშრომი (თუმცა კი გადამუშავებული) და. როგორც ცნობილია, მშვენიერი გამოვიდა.

ცაგარელს კიდევ ერთი ნაკლი ჰქონდა: განათლებით სემინარისტს, ანუ, როგორც იტყოდნენ. „ბურსაკს“, მოსდგამდა ძლიერი მიდრეკილება, ლტოლვა არისტოკრატიისადმი, ესახელებოდა მათ წრეში ტრიალი, ბატონკაცობა. დაშინაურებული იყო პეტერბურგში მცხოვრებ თავად მინგრელსკისთან. ერთიც აბაშიე-გორლენკო იყო (ყოფილი კონეოლი, მდიდარი ქალის ქმარი). იმასთან და სხვებთან. მინგრელსკი ცაგარელს შიგადაშიგ დასცინოდა ხოლმე. „მეგრული ენა რა არის და მისი პროფესორი რა უნდა იყოსო?!“

ისე კი უანგარო კაცი იყო. პატკანოვი რომ მოკვდა. ცაგარელი სულ 100 მანეთს იღებდა თვეში ჯამაგირს, მაგრამ მაინც არ მიატოვა თავისი დარჯი. თუმცა სხვა რამისათვის რომ მოეკიდნა ხელი, გაცილებით მეტს მიიღებდა. თან ისიც უნდა ითქვას. რომ ძალიან უმართავდა ხელს ქართველი მეწარმე დავით სარაჯიშვილი. კონიაკის ქარხანა რომ ჰქონდა თბილისში. ბავშვობიდანვე დიდი შეგობრები იყვნენ და, სხვათა შორის, ორივე ლამაზი ვაჟკაცი იყო.

უნივერსიტეტი რომ გავათავე, ერთხანს არ მინდოდა აქეთ წამოსვლა. მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის გამოვეუგზავნე ღებეშა თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორს ალექსი ჭიჭინაძეს. თუ არის თქვენთან გაკვეთილები მეთქი? იგი წინა წელიწადს გადმოუყვანათ თბილისში ქუთაისიდან. სანამ თხრობას განვაგრძობდე. ორი სიტყვით მინდა დაეახსიათო. სიმართლე უნდა ითქვას. ალექსი ჭიჭინაძე ძალიან კარგი პედაგოგი და დიდად უანგარო ქართველი პატრიოტი იყო. განათლებით იურისტმა, მიატოვა თავისი ხელობა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. მოსკოვის უნივერსიტეტში მასთან ერთად სწავლობდნენ და მას ამხანაგობდნენ იოსებ და იაგორ თაყაიშვილები (პირველი აგრეთვე იურისტი იყო. მეორე—მედიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა; მათ შესახებ ადრე, პარტში დაწერილ მოგონებებშია საუბარი⁴⁷ და ახლა ალარა ღირს). ალექსიმ თავდაპირველად თბილისში კერძო სასწავლებელი გახსნა, მაგრამ მერე ქუთაისში სათავადაზნაურო სკოლა დააარსეს და იმის გამგედ დანიშნეს. მას

47 იხ. მოგონებანი ამავე ტომში — წიგნ. თავი III.

აქეთ იგი ერთი პირველ მონაწილეთაგანი იყო ყოველი ქართული საზოგადო საქმისა. მის დროს და მისი თაოსნობით დაიწყო ქართული წარმოდგენების დადგმა ქუთაისში; მან თარგმნა გოგოლის „რევიზორი“ და თითონ ყველა წარმოდგენაზე მოკარნახედ იყო ხოლმე. როლებს ჯერ ქუთათური მასწავლებლები თამაშობდნენ, მაგრამ მერე კი ნელ-ნელა დაიწყეს თბილისიდან ჩამოსვლა მსახიობებმა — ვასო აბაშიძემ, კოტე მესხმა, სხვებმა და ასე აიღდა ფეხი ქუთაისში ქართულმა თეატრმა. იმავე ხანებში ქუთაისში დაარსდა ვაზუთი „შრომა“ და ალექსი კიჭინაძე მის გამოცემაშიც მონაწილეობდა, კირილე ლორთქიფანიძესთან ერთად.

ერთხელ იოსებ თაყაიშვილმა ალექსი კიჭინაძე დაპატიჟა სააღდგომოდ და ქუთაისიდან წაიყვანა თავის სახლში, ლიხაურში. ერთი ვასილ პეტრიაშვილი იყო მასწავლებელი, ისიც წაიყოლა და მეც (მამინ ახალი შესული ვიყავი ქუთაისის პროგინანზიაში). გზაში ალექსი სულ სწავლის ამბებს მეკითხებოდა და ისიც მკითხა, ქართულ წიგნებს თუ კითხულობო. ერთი წიგნაკი მაჩუქა, მამინ ახალი გამოსული. ეს იყო გიორგი წერეთლის პოემა „არანჯა“, რომელშიც ჰერცეგოვინელი ქალის პატრიოტული თავგადასავალი იყო აღწერილი. ეს ჩემთვის ნაჩუქარი პირველი წიგნი იყო და ძალიან მიამა. ქუთაისიდან სადგურ რიონში ჩამოვედი. მატარებლით ჩავედი სამტრედიასში და დამე იქ გავათეთ. დილას კი „ტროიკით“ ავედი ოზურგეთში, ხოლო იქიდან — ლიხაურში (სულ 4 კილომეტრია ოზურგეთიდან). იოსებ თაყაიშვილმა გაატარებინა დრო თავის სტუმრებს და მერე წამოვიდნენ. მას შემდეგ ალექსი კიჭინაძეს ხშირად ვხვდებოდი და ვცნობდით ერთიმეორეს.

ქუთათელები — მასწავლებლებიცა და საზოგადოებაც — დიდი უკმაყოფილებით შეხედნენ ალექსი კიჭინაძის თბილისში გადმოსვლას: ყველას უყვარდა. მისი გადმოსვლა მიაწერეს მეუღლის, — ფროსიკო ნიკოლაის — გავლენას. იმას მოუნდაო თბილისში ცხოვრება. ფროსიკოს კარად ვიცნობდი პეტერბურგიდან, სადაც ჩემი სტუდენტობის დროს ჩამოაკითხა ერთხელ საქმრომ — ალექსიმ.

ახლა დავებრუნდეთ შეწყვეტილ თხრობას. პეტერბურგიდან გამოგზავნილ დეპეშაზე ალექსიმ დეპეშითვე მიპასუხა. ლათინური ენის თორმეტი გვეთილი გვაქვს, თვეში 60 მანეთია ჯამაგირიო. მე აღარ მიმიქცევია ყურადღება. რადგან, როგორც ვთქვი, გუნებაში არც ვაპირებდი აქეთ წამოსვლას. მაგრამ მერე მივიღე მეორე დეპეშაც, გელოდებითო. მამინ კი ავდექი და წამოვედი თბილისში. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ არც თუ უნივერსიტეტში დარჩენა მიფიქრია ოდესმე. ზემოთაც ვამბობდი, იქაური ამხანაგები მულამ ვაპირებდით, რომ საბოლოოდ საქართველოში უნდა წამოვსულიყავით და გვემუშავნა. ნიკო მარი პირდაპირ გაიძახოდა: „Чего мы Европу будем обучать? Нам нужно своих обучать, так как у них нет элементарных знаний!“.

ერთი კი ვქვნი: პეტერბურგშივე დავიწყე კავკასიის შესახებ წიგნების შეგროვება. ქართველმა თავისი სამშობლოს ისტორია უნდა იცოდეს მეთქი. მაგრამ სულ არ ვამიზრახავს არც არქეოლოგიაში მუშაობა, არც ისტორიაში და არც ეთნოლოგიაში; მასწავლებლობა მქონდა გადაწყვეტილი. ჩვენს ამხანაგურ წრეს ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას ჰქონდა ხოლმე მსჯელობა, თუ ვინ რა ფაქულტეტზე წავსულიყავით, რა უფრო იყო საჭირო საქართველოსათვის? მარს მივაყუთვნეთ, რომ უსათუოდ ეკვლია ქართული ენა და საზოგადოდ

ქართული კულტურის ისტორია, ერთი სიტყვით, ქართველოლოგად მომზადებულიყო. ნიკო გოგიტიძემ მათემატიკის მასწავლებლობა აირჩია (მარის დიდი მეგობარი და ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, შემდეგ ძალიან ცნობილი კაცი შვიქნა). ჩემზე ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ ამხანაგებს, რომ, რაკი ენა შეკრიბა, კარგი იურისტი, ვეჭილი გამოვიდოდი და მირჩევდნენ ამ დარგზე წავსულიყავი: მე კი არ ვქენი. ამ მხრივ ჩემზე იმან იქონია გავლენა, რომ ვესწრებოდი ხოლმე ქუთაისის ინტელიგენციის კრებას, სადაც ვუსმენდი, სხვათა შორის, კირილე ლორთქიფანიძესაც, რომელიც იმეამად დიდად ცნობილი და პატივცემული კაცი იყო; ძველი ბერძნების გმირის, არისტიდეს სახელს უწოდებდნენ, მას აღარებდნენ. იმან სთქვა ერთხელ, „ექიმისა და ვეჭილის არათფარი მწამს, ერთს უნდა, რომ ყველა ავად იყოს, მეორეს კი უნდა. ყველა ავაზაკი იყოსო!“ როგორც უკვე ვთქვი, მე პედაგოგობა ვირჩიე, რადგან გიმნაზიაში თითონაც კარგად ვსწავლობდი და ბევრ სხვასაც ვასწავლიდი, გასამრჩელოს ვიღებდი. ნიკო ლორთქიფანიძემ (იასონის ნათესავი არ ყოფილა, სულ სხვა შტოს ეკუთვნოდა, ლოლობერიძის ქალი შვირთო, გიმნაზიის დირექტორად იყო მერე) მათემატიკა აირჩია. იოსებ დადიანმა თქვა, მე ინიცირად უნდა წავიდოდი და ეს არ მოგვეწონა: საინჟინრო ფაკულტეტს გამოსარჩენ ფაკულტეტად მივიჩნევდით („ХЛЕННЫМ ФАКУЛЬТЕТ“) და ეჭვი შეგვეპარა, რომ იოსებ ფული იზიდავდა ჩვენი სისულელე! — თითქოს და ფული საჭირო არ იყო?! ამაზე მან გვითხრა. „მე თუ ფულს ვიშოვნი, თქვენვე არ მოგცემთ? განა საზოგადო საქმეს ფული არ დასჭირდებაო?“.

ჩამოვედი თბილისში. დავიწყე მასწავლებლობა⁴⁸. ისტორია-არქეოლოგიაზე ჯერ ისევე სულ არ ვფიქრობდი. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ რომ პირველი სხდომა იყო წერა-კითხვის საზოგადოებისა, იმას არ დავსწრებივარ. საერთოდ, რომ იტყვიან, ნამდვილი „უკაცობა“ გვექირდა საზოგადო საქმეებში, მომუშავე ხალხი იყო საჭირო. წერა-კითხვის საზოგადოების [გამგებობის?] წევრად დაუსწრებლად ამირჩიეს [სწორედ იმ სხდომაზე]. ალექსი ჭიჭინაძე იყო გამგებობის წევრი და, შეიძლება, სულაც იმან დამასახელა. პეტერბურგიდან ჩამოვიდი 1887 წლის სექტემბრის დამლევს თუ ოქტომბრის დამლევს. ის არჩევნები კი დაახლოებით 7 თვის შემდეგ მოხდა. 1888 წლის მაისში (საერთოდ მაისში იცოდნენ ხოლმე საზოგადოების წლიური კრება). საზოგადოებას ჰქონდა თავისი ბიბლიოთეკა, რომელსაც ბიბლიოთეკა-მუზეუმსაც უწოდებდნენ. და ჩემ აგროვებდნენ მუცელ ქართულ ხელნაწერებსა და სიგელ-გუჯრებს. იმ ფონდს საფუძვლად დაედო შემოწირული კოლექცია — თავად მინჯრელსკის გამოსთხოვა საზოგადოებამ, ილია ჭავჭავაძე გაემგზავრა და ჩამოიტანა დადიანთა გორდის სასახლიდან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე. მერე თანდათან შემოდიოდა იმ მუზეუმში და გროვდებოდა ხელნაწერებიც, წიგნებიც, მაგრამ მცოდნე კაცი არა ჰყავდათ, რომ წაეკითხა და ჩაეწერა. [საზოგადოების] მდივანი იყო ეკვლ მანსკეტაშვილი — აი ის, მოგონებანი რომ გამოაქვეყნა, ილიას შესახებაც რომ უწერია რალაც-რალაცები. ძველად ხანდახან ფელეტონებს ბეჭდავდა გაზეთებში. მან არც იცოდა ხუცური და არც აინტერესებდა ჩვენი ძველი ხელნაწერები... მამამისი მღვდელი იყო, კადეტთა კორპუსში ასწავლიდა სამღვთო რჯულს. მამა ექიმი იყო, დიმიტრი ბაქრაძის ძალი ჰყავდა ცოლად. მაგრამ სიმამრს ვერ უშ-

⁴⁸ მასწავლებლობის დაწყების შესახებ უფრო ვრცელად მოთხრობილია ქვემოთ, სხვა მოგონებაში.

ველა და ვერ გადაარჩინა ფილტვის ანთებით სიკვდილს. თითონ იაკობმა ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძის) ნათესავი ქალი შეირთო ცოლად, გაიჩინა შვილები და მერე. ბაქოში რომ გადავიდა სამუშაოდ და იქაური ნავთის წყალობით თითქმის მილიონერი გახდა, მიატოვა ცოლ-შვილი (ბელგიაში ჰყავდა) და შეუწყვიტა ფულის გზავნა. ილიას წყალობით იყო კაცად გამოსული. საზოგადოების მდივნობაში ჯამაგირს თვეში 50 მანეთს იღებდა. ბაქოში მისი გადასვლა იმან გამოიწვია, რომ საადგილმამულო ბანკის დირექტორმა ბანკის ფული წააგო ქალაქში, გაიქცა საზღვარგარეთ და ბელგიაში ხარახუნა. მის მაგიერ მანსვეტაშვილი გაგზავნეს ბაქოში ბანკის წარმომადგენლად, იქ ისარგებლა შემთხვევით, ნავთიანი მიწები შეიძინა და გამდიდრდა...

ერთი სიტყვით, საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედვე; შევატყე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალუენბურად მოვიცილე ხელი, დაეწუწუე პატრონობა. შურთ თანდათან გამიტაცა, შემეყვარდა და ვიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადაარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი. შემოწირულთ აღარ ჰქვარდებოდი, საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე, სხვადასხვა კუთხეებში მიმოწერა გავაჩადე, აგენტები გავიჩინე...

საყოველთაოდ ცნობილი პეტრე უმიკაშვილი, ქართველი კათოლიკე, თვალსაჩინო და უპატიოსნესი მოღვაწე, მაშინ პირველ გიმნაზიაში იყო ქართული ენის მასწავლებლად. მასთანაც მიჰქონდათ ხელნაწერები. აგროვებდა, მაგრამ არაჩვეულებრივ ნელი და მძიმე კაცი იყო, ნამდვილი კუნტატორი. მოიტანა, რაც მოეგროვებინა, საზოგადოების მუზეუმში, მაგრამ ერთ წელიწადს ვეღარ მოიცალა, რომ მოსულიყო და ჩაეწერა კატალოგში. ვუყურე, ვუყურე და მერე კი აეწიე მისი მოტიანი და ყველა ჩაეწერე; რადგან იმტვერებოდა და ფუჭდებოდა. მერე მოვიდა და მადლობაც მითხრა. ძალიან პატიოსანი კაცი იყო... ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავიდან ხუცური არც მე ვიცოდი, არავის უსწავლებია და თანდათან თითონ გავიკეთე.

ჩემი საზოგადოებაში მუშაობისას. მაგრამ არდადეგების დროს, ნ. ალექსი-მესხიშვილის მოეტანა და შემოეწირა რამდენიმე ხელნაწერი. მე თბილისში არ ვიყავი, მაგრამ ნიკო მარი შესწრებოდა იქა და ჩაეწერა ის ხელნაწერები. ამ უკანასკნელთა შორის იყო ახლა უკვე კარგად ცნობილი შატბერდის ხელნაწერი, რომელშიც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ც შედის, და მარს იგი თავისთვისაც გადაეწერა. მარისეული აღწერა, მისი ხელის მოწერით, „ივერია“-შიც კი დაიბეჭდა. დიმიტრი მაქრაძემ რომ ნახა. მარისავე აღწერილობის მიხედვით, მანაც „ივერია“-ში დაბეჭდა წერილი, რომელშიც განაცხადა, რომ საყურადღებო ხელნაწერია და IX საუკუნის უგვიანესი არ უნდა იყოსო. მაშინ ხომ ერთადერთი ორგანო „ივერია“ ვგვქონდა, სადაც შეიძლებოდა ასეთი წერილების ბეჭდვა!

ის ხელნაწერი მეც ვნახე. დ. ბაქრაძე დიდი ავტორიტეტი იყო და მისი თარიღი მივიღეთ. ილიამაც მის აზრზე ააშენა თავისი თხზულება პატკანოვის წინააღმდეგ. როგორც უკვე ითქვა, პატკანოვი წერდა, „ქართლის მოქცევა“ სომხის შედგენილია და ამიტომაც შიგ ნათქვამი, ქართველები პირველად სომხურად უბნობდნენ, შაოსი ყველაზე უგვირესი იყო და სხვები მას მოწინდებდნენ და სხვ. კაცმა რომ თქვას, ის ადგილები ქართველის დაწერილს მართლაც არა გაეს. მაგრამ პატკანოვი ხომ საერთოდ იმასაც აცხადებდა, რომ XI საუკუნემდე არ ყოფილა ქართული მატრიანეები და აქ კი IX საუკუნის ხელნაწერი აღმოჩნდა. ამას უდიდესი ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ის ქრონიკა, „მოქ-

ცევაჲ ქართლისაჲ“, „წმ. ნინოს ცხოვრებაზე“ რომა მობმული, გადმოვიწერე ჩემთვის.

ჩვენი ათიოდე მოწაფე, ოთხკლასდამთავრებულნი (მათ შორის ეანო გომართელი) საზაფხულოდ ალექსი ჭიჭინაძემ წაიყვანა სურამში, რათა ემაცადინებინა და კარგად მოეზაღდებინა შემდეგი, გიმნაზიაში გადასასული გამოცდების ჩასაბარებლად. თითონაც ასწავლიდა და მეც წამიყვანა მასწავლებლად. ეს იყო 1889 წელს. რასაკვირველია, იმ ზაფხულს მეც სურამში ვცხოვრობდი და თან კი დავდიოდი მის მიდამოებში—იტრიაში, ზემო ჭალაში (სადგ. მიხაილოვს⁴⁹ მახლობლად) და სხვ. მაშინ უკვე კარგად ვერკვეოდი ქართულ პალეოგრაფიაში, ხუცურში ჩემით გავეჩვიე. ზემო ჭალაში, იქაურ მღვდელთან, გვარად სუხივეთან (სუხიაშვილთან) ენახე ერთი შესანიშნავი ხელნაწერი, რომელიც ახლა „პარხლის სახარების“ სახელითაა ცნობილი. რადგან მღვდელმა არაფრით არ ინდომა მოცემა, დავიწყე მასთან სიარული და ისე შესწავლა ხელნაწერისა. გამოირკვა, რომ, ჯერ ერთი, იმ ხელნაწერში ყველაფერი სრულად იყო დაცული და, მეორეც, რომ იგი გადაწერილი ყოფილა იმავე იოანე ბერაჲს მიერ, რომელსაც გადაუწერია შატბერდის კრებული (ზემოთაჲ აღვნიშნე), „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს რომ შეიცავდა). ოღონდ შატბერდის ხელნაწერი უთარილო იყო და ამას კი ეწერა თარიღი: ქართული ქორონიკონიცა და ქვეყნის შექმნიდანაც—ჩვენი წელთაღრიცხვით 973 წელი. ასე რომ ბაქრაძის მიერ შემოთავაზებული, IX საუკუნის მაგიერ უკვე ნამდვილად X საუკუნე გამოვიდა შატბერდის კრებულის ხნოვანებაც, რაკი ერთისა და იმავე გადამწერის ნახელავი ყოფილა ორივე ხელნაწერი. ეს კი უკვე მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო. გარდა ამისა, მინაწერში ნათქვამია, რომ იოანე ბერაჲს კრებული შატბერდში კი გადაუწერა, მაგრამ—პარხლის ახალი ეკლესიისათვის. ამიტომაც დავარქვით „პარხლის ხელნაწერი“.

დმიტრი ბაქრაძეს ერთხანს მხოლოდ მისი ნაწერებით ვიცნობდი. პირადად არა. პეტერბურგიდან რომ ჩამოვედი, არც მაშინ დამხვდა თბილისში, კონსტანტინეპოლში მიველინებინა მთავრობას, თურქულ წყაროთა მიხედვით სტატისტიკური ცნობების შესაგროვებლად. თბილისში ერთი ნაფიცი ვეჭილი მუშაობდა, გვარად ფრენკელი, წარმოშობით ეგებ ებრაელიკი. მართლმადიდებელი იყო და ქართველების დიდი მეგობარი (ვახტანგ მეექვსის კანონების რუსული თარგმანი მისი რედაქციით გამოვიდა). ბაქრაძე რომ ჩამოვიდა, იმ ფრენკელთან შედგა სხდომა ბაქრაძის მიერ ჩამოტანილი თურქული დოკუმენტების თაობაზე. მაშინ გამაცნო ბაქრაძე ფრენკელმა. ბაქრაძეს გაუხარდა. მისაყვედურა, რომ ჩემით არ მივედი მასთან და მითხრა, უსათუოდ მნახეო. ახლო-ახლოს ვცხოვრობდით: ნიკოლოზის ქუჩაზე⁵⁰ ჰქონდა საკუთარი სახლი. მაშინ სათავადაზნაურო სკოლაც იმავე ქუჩაზე იყო, ხოლო ჩემი ბინა—სკოლიდან სულ 2—3 სახლის შემდეგ. ავდექი და მეორე დღესვე მივედი. მაშინვე მომცა ხელში „Устав Древлехранилища Тифлисского Церковного Музея“. ხელნაწერი პროექტი იყო, მის მიერ შედგენილი. უკვე გაეტარებინა და ეგზარქოსსა და სინოდს დემეტრიცებინათ. მითხრა, ეს გადათარგმნე ქართულადაო. ვთარგმნე და ეს იყო ჩემი პირველი „ნაშრომი“. ბაქრაძემ წესდება მალე გამოსცა, რუსულადაც და ქართულადაც: იმ მუზეუმს მცირეოდენი თანხა ჰქონდა. მერე შედგა საკლესიო მუზეუმის კომიტეტი: თავმჯდომარე — დმიტრი ბაქ-

⁴⁹ ახლა ქ. ხაშური.

⁵⁰ ახლა დღინის ქუჩა.

რამე, წევრები — თედო ჟორდანიას, ნიკო მთვარელიშვილი, ეგზარქოსის წარმომადგენელი მღვდელი კალისტოვი და მე. იმ კალისტოვს თითქოს წესიერად ეპირათავი. მუზეუმი ექვემდებარებოდა „ანდრია პირველწოდებულის საზოგადოებას“, რომლის თავმჯდომარეც იყო მღვდელი ელიევი (ელია-შვილი)—ეგზარქოსის ურმოჭრილი ყმა და ყოველივე ქართულის გამცემელი. ჩვენ მას არაფერს ვეკითხებოდით, ისე ვიყავით.

ზემოხსენებული წესდების მიხედვით, უნდა გვეგროვებინა ეკლესია-მონასტრებში დაცული ძეგლი, სახმარად უკვე უვარგისი საეკლესიო წიგნები. უპირველეს ყოვლისა ბაქრაძემ წამოიყვანა მცხეთაში, რომ იქაური ხელნაწერი წიგნები ჩამოგვეტანა. კარგი ხელნაწერები მარტო სვეტიცხოველში ენახეთ და წამოვიღეთ კიდევაც, სხვაგან კი არსად არაფერი ინახებოდა. ორიოდ ხელნაწერი ჰქონდათ მრევლიშვილებს, მზატვარ ალექსანდრე მრევლიშვილის უფროს ძმებს. ერისკაცები კი იყვნენ, მაგრამ ისინი უვლიდნენ წიგნებს, ეტყობა. საეკლესიო საბჭოს მიერ ჰქონდათ ჩაბარებული.

ჩვენი იმ პირველი მოგზაურობის ამბავი გამოცხადდა გაზეთებში (ქართულშიცა და რუსულშიც): ბაქრაძე და თაყაიშვილი იყვნენ მცხეთაში და ძველი ქართული ხელნაწერი საეკლესიო წიგნები ჩამოიტანესო. ასე დაიწყო ჩვენი მუშაობა.

ბაქრაძის ბინაზე ვიყრიდით ხოლმე თავს და იქ ვმსჯელობდით ყველა საკითხზე. მალე იმ ელიევამ რაღაც ინტრიგები წამოიწყო ბაქრაძის წინააღმდეგ. ბაქრაძეს ძალიან სწყინდა ესა და ამბობდა, იქნება დავეთხოვით ამ საქმესო? მე ეუთხარი. მასეთები ყოველთვის იქნება და ნუ მიაქცევ ყურადღებას, ვერაფერსაც ვერ იზამს მეთქი. დავაშოშმინე და განვაგრძეთ მუშაობა.

სურამში ხელნაწერთა შესახებ მოკრებილი ცნობები რომ ვაჩვენებ ბაქრაძეს, „ძალიან კარგია“, მითხრა და, თუმცა არ იამა მისი თარიღის (IX ს.) გაცრუვება, მაინც უყოყმანოდ აღიარა ახალი თარიღი—X საუკუნე. კაცმა რომ თქვას, პალეოგრაფიის მიხედვით დათარიღებისას ერთი საუკუნით შეცდომაც კი ყოველთვის მოსალოდნელია. ილიას ეწყინა ძველი თარიღის გამტყუნება: „ბატონო, ბაქრაძემ ყურები გამოგვიჭედა, მეცხრე საუკუნე და მეცხრე საუკუნეო და ახლა მეთათე გამოვიდო?“ ბაქრაძეს იგი დიდ პატივსაც სცემდა, მაგრამ ძალიან კი არ ესიამოვნა ხელნაწერის „გაახალგაზრდავება“ და იმიტომ წამოიძახა ასე: პატკანოვთან კამათში ხომ სულ მეცხრე საუკუნის ხელნაწერზე ლაპარაკობდა თითონ! კმაყოფილი დარჩა ბაქრაძე კიდევ ერთი იქაური ხელნაწერით, რომელიც შესანიშნავი ნაწერია, გაბმული ხუცური. ეს ხელნაწერები ყველა აღწერილი მაქვს.

თედო ჟორდანიას თავისთვის გადმოეწერა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ წერაკიხიზის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული, შატბერდული კრებულიდან (მაშინ ყველას აძლევდნენ გადაწერის ნებას) და ეთხოვებინა ის გადმონაწერი ილია ჭავჭავაძისათვის, როდესაც იგი პატკანოვის წინააღმდეგ წერდა „ჩვეათა ღაღაღს“. თედოს მხედრულად ჰქონდა გადმოეწერილი; ილიამ ხუცური არ იცოდა.

საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის ერთ სხდომაზე თ. ჟორდანიამ მოიტანა ბაქრაძესთან თავისი გადმონაწერი რეველი. მანამდე მას „ივერია“-ში ჰქონდა დაბეჭდილი იქიდან ამოღებული ერთი ადგილი და ცნობები. თითონ შატბერდული ხელნაწერი მაშინ ბაქრაძესთან იყო სახლში. ბაქრაძემ ჰკითხა ჟორდანიას, „შენ სად კითხულობ ამა და ამ სიტყვებსაო?“ (თუ კი კალისტოვი არ

ჯგესწრებოდა სხდომაზე, საუბარი სულ ქართულად გვექონდა ხოლმე). ყორღანამაც ვადაშალ-გადმომალა, უჩვენა ადგილები და შეიქნა კამათი, ასე წერია თუ ისეო. ხელნაწერი ძველადვე ზოგან წაშლილ-წაბლალი და გახუნებული იყო და ჰირდა დანამდვილებით ამოკითხვა, მაგრამ მეტწილად კარგად იკითხებოდა. ბაქრაძეს იმ ბოლო დროს თვალი ნაკლებ-და უჭრიდა, მე კი ძალიან მიჭირდა (ის ერთი საღვთო ადგილი მე მერე კიდევე სხვანაირად წაიკითხე). ბაქრაძემ თქვა, „კარგი იქნებოდა, ეს რომ გამოგვეცა წერა-კითხვის საზოგადოებრივად“. მე ვუთხარი, ვაპირებ ქართლის მოქცევის, სუმბატის ქრონიკისა და მესხური დავითნის ერთად გამოცემას მეთქი (საკუთარი საფასით მიწოდდა დაბეჭდვა—იმჟამად კერძო გაკვეთილებიც ჰქონდა და ფულს გვარიანად ვიღებდი, მარტო მაქს ჰევეაძე 100 მანეთს მძღვედა თვეში, და ამრიგად 400 მანეთს მოვუყარე თავი). „ო-ო, ეგ ძალიან კარგიო!“, მითხრა ბაქრაძემ; იამამას თითონ უკვე გამოცემული ჰქონდა მესხური დავითნის აღწერილობა (მაგრამ არა თვის ტექსტი) და სუმბატის ქრონიკის ხსენება. რამდენადაც გავეცანი, ეს ზემოთ ჩამოთვლილი სამი ქრონიკა იყო ნამდვილი საფუძველი „ქართლის ცხოვრებისა“, რომელშიც ყველაფერი მათზე იყო აშენებული. თანაც არ იყო დიდი თხზულებანი და ყოველივე ამის გამო განვიზარაზე მათი გამოქვეყნება. მანამდე „ივერია“-ში დაბეჭდე აღწერილობა. იმ საუბარში რომ ვიყავით, ყორღანამ აიღო თავისი გადმონაწერი და მითხრა, „თუ კი შენ გამოსცემ, მე რაღად მიწდა, წაიღე და გამოგადგებაო“. მე მაღლობა ვუთხარი. ჩვენს სამს გარდა იქ მაშინ იყო ნიკო მთვარელიშვილიც; აგრეთვე წვერი მუზეუმის კომიტეტისა.

„სამი ქრონიკის“ გამოცემის საქმე 1889 წელს დაიწყო. სტამბა ჰირდა. ერთადერთი [ქართული მესტამბე] იყო სოსიკო მელიქიშვილი (ქიმიის პროფესორის პეტრე მელიქიშვილის ძმა) და ისიც რაღაც დაუღვევარი კაცი; არაფერ უწოდებდა არ აქცევდა თავის სტამბას. მეტი რა გზა მქონდა, მაინც იქ მივეცი დასაბეჭდვად ჩემ მიერ დამუშავებული სამი ქრონიკა. ცნობილია, თუ რამდენი რამაა შიგ, რასაც გულმოდგინე შეჭერება და გარკვევა სჭირდებოდა.

ამასობაში, ზაფხულს ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი მეცნიერი და ქართულ სიძველეთა კარგი მცოდნე ნიკოლოზი კონდაკოვი. იმან და ბაქრაძემ ერთად იმოგზაურეს საქართველოში და შეადგინეს ცნობილი „Опись памятникам...“ ცხენისწყალში გასვლისას ეტლი გადაბრუნებოდათ, ბაქრაძე გაცივებულიყო და თბილისში რომ ჩამოვიდა, სულ ახველებდა. მაგრამ მაინც მხნელ შეუდგა მუშაობას იმ წიგნზე, რადგან კონდაკოვი აჩქარებდა. მან ყველაფერი გაწყობილი გაგზავნა პეტერბურგში, მაგრამ სანამ იქ ააწყობდნენ წიგნს, ბაქრაძე ფოტოების ანთებით გახდა ავად და სულ მოკლე ხანში, უცხად გარდაიცვალა. ეს იყო 1890 წლის 10 თებერვალს. სწორედ მერე დღეს მოვიდა კონდაკოვის მიერ გამოგზავნილი კორექტურა, მაგრამ რაკი დიმიტრი აღარ იყო. არავის აღარც გაუხსნია, ისე დააბრუნეს უკან.

ამრიგად გამოგვეცალა ხელიდან დიმიტრი ბაქრაძე, ეს შესანიშნავი კაცი; კეთილი, ტკბილი და თავაზიანი ადამიანი; ყველასათვის იდგი ავტორიტეტი საქართველოს ისტორია-არქეოლოგიის საკითხებში. ჩვენი მუშაობა საეკლესიო მუზეუმში ერთ ხანს შეჩერდა. კომიტეტის მდივნად მანამდეც გვყავდა ამორჩეული თედო ყორღანია და ახლა მას დაევალა ჩვენ მიერ ჩამოტანილ ხელნაწევრთა აღწერილობა.

იმხანად იაკობ მანსვეტაშვილი უკვე აღარ იყო წერა-კითხვის საზოგადოების მდივანად. მოვიდა ჩემთან მოსე ჯანაშვილი (რომელიც მაშინ არსად მსახურობდა) და მთხოვა, მე დამნიშნეთ მდივანად. საზოგადოების ბიბლიოთეკას მოეუღლი და მოეაწესრიგებო. მეც დაეპირდი. კარგი, დაეხმარები მეტეი. წარვეუდგინე გამგეობას მისი კანდიდატურა, ილიამ ერთი კი იუარა, მაგრამ მერე დაეთანხმენ ჩემს წინადადებას და დავნიშნეთ მოსე ჯანაშვილი მდივანად. როგორც მდივანი, ის არაფერს აკეთებდა. მაგრამ ხელნაწერებს კი მართლაც უეღლიდა და თან წერილებს ბეჭედავდა მათ შესახებ.

ჩემი წიგნის გამოცემა ძალიან დიდხანს გაკვიანურდა, აღარც კორექტურა მომდიოდა, აღარც იბეჭდებოდა, თანაც კორექტურის საქმეში გამოუცდელი ვიყავი და ბოლოს გაბეზრდი, ისე რომ თავსაც კი მივიანებებდი, ნიკო მთვარელიშვილს რომ არ დავემშვიდებინე. გარდა გამხნევეებისა, კორექტურასაც კი მისწორებდა ხშირად. ის სტამბა სამჯერ გაიყიდა და ბოლოს მესხიშვილსა და ერთ ვილაცას ჩაუყარდა ხელში... მაგრამ, როგორც იქნა, ელრისა და 1890 წელს გამოვიდა ჩემი „სამი ქრონიკა“. შემდეგ წელს მას მოჰყვა „წმ. ნინოს ცხოვრება“. რომელიც მისი მეორე ნაწილი იყო.

ამ გამოცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე და — იმედია. თავის ქებად არ ჩამეთვლება—ერთგვარი გარდატეხა გამოიწვია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რადგან ცხადჰყო, რომ ის სამი ქრონიკა შეადგენდა. როგორც უკვე ვთქვი, „ქართლის ცხოვრების“ ძირითად წყაროს. ამასთანავე, ჩემ გამოცემაში პირველად იყო დამტკიცებული. რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ხელნაწერი IX საუკუნის ძეგლი კი არაა, არამედ X საუკუნის მეორე ნახევარშია გადაწერილი, იმავე გადაწერის ომანე ბერაჲს მიერ, რომელმაც 973 წელს გადაწერა სახარება და შესწირა პარხლის ახლად აშენებულ მონასტერს. იქვე ვიძლეოდი მოკლე ცნობებს ვახტანგ მეექვსის კომისიის მუშაობის შესახებ და უარყოფდი აზრს, ვითომცდა ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის შესავალი ვახტანგსა თუ მის კომისიას კი არ ეკუთვნის, არამედ თეიმურაზ ბატონიშვილს. ამ აზრს იზიარებდნენ დიმი. ბაქრაძეც, მ. ჯანაშვილიცა და სხვებიც; მე კი დავემტკიცე, რომ იგი მცდარი და რომ წინასიტყვაობა ეკუთვნის მეფე ვახტანგ მეექვსესა და მის კომისიას.

ამ გარემოებამ აამხედრა ჩემ წინააღმდეგ თედო ჟორდანი და მოსე ჯანაშვილი. რომლებსაც ჩემზე ბევრად უფრო ადრე ჰქონდათ დაწყებული მუშაობა საქართველოს ისტორიაში და რომელნიც მის უკეთეს მცოდნეებად ითვლებოდნენ. მართლაც, ერთსაც და მეორესაც მრავლად ჰქონდათ კარგი ნაშრომები ჩვენი ისტორიისა და ძველი მწერლობის შესახებ, მაგრამ სანამ დიმი. ბაქრაძე ცოცხალი იყო. არ იჩენდნენ განსაკუთრებულ პრეტენზიებს; ბაქრაძე საყოველთაოდ იყო მიჩნეული დიდ ავტორიტეტად და მისობას ყველანი ერთობ შეხმატებულბულად ემუშაობდით მისი ხელმძღვანელობით, თუმცა მ. ჯანაშვილი მაშინ ჩატომლაც არ შედიოდა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის შემადგენლობაში. თავდაპირველად თ. ჟორდანი კარგად მექცეოდა და სულ ჩემ ქებაში იყო; ხშირად თხოულობდა ჩემგან წიგნებს და ზოგჯერ თითონაც მათხოებდა ხოლმე ამა თუ იმ ხელნაწერს. იმასა და ჯანაშვილს, მგონი, ერთად ემუშავნათ სასულიერო სასწავლებელში (თედოს—ინსპექტორად თუ სულაც გამგედ სკოლისა, მისეც კი—მასწავლებლად)...

თვით მოსე ჯანაშვილი დიდად პატიოსანი კაცი იყო და ერთობ ტრფილებით მოყვარული ქართული ისტორიისა და მწერლობისა. ქუთაისის კლასიკურ

პროგინანაზიში რომ შევედი, იგი იქ დამხვდა შეგირდების ზედამხედველის თანამდებობაზე. ერთხელ, მახსოვს, გამიწყრა კიდევაც, რადგან წესი დავარღვეე, შესვენების დროს კლასში დავრჩი და „მეფე ლირის“ ქართულ თარგმანს ვკითხულობდი ვატყებოთ. ესეც რომ არ ყოფილიყო, კარში გასვლა არ მებახლავოდა, რადგან დღევმდობის დამძვევი იყო, ციოდა და ტანთ კი საზოგადოებრივი ტანისამოსი მეცვა, ხალათის ამარა ვიყავი. იმ დღეებში უკვე საახალწლოდ დავითხოვეს კიდევაც. წავედი გურიაში, ჩემ სამშობლო სოფელ ლიხაურში და იქ მოვათავე „მეფე ლირის“ კითხვა. არადაღეები რომ გათავდა. ქუთაისს გამობრუნების დრო მომივიდა, ჩავედი სოფ. ძიმითში, ჩემ სიძესთანა და მეურვესთან (უფროსი დის, ლისას ქმართან), სიმონ გოთუსთან, რომელსაც ცხენებით სამტრედიამდე უნდა ჩამოვეყვანე, ხოლო იქიდან თითონ წამოვიდარი პატარებლით. სიმესთან რომ მივედი, იქ დამხვდნენ კოწია თაყაიშვილი და რანგენიმე სხვა მეზობელი აზნაური. კოწია დიდი მოყვარული იყო ქართული წიგნებისა (იგი უკვე ვახსენე ამ მოგონებებში, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისთან დაკავშირებითაც) და „მეფე ლირი“ რომ დამინახა, დიდი საყვედურით მომმართა. „ეგრეთი წიგნი თუ გქონდა, ვერ მითხარიო?“... დიდი ჯიშაგი იყო ქართული კულტურისა. პროპაგანდისტი ბევრი მინახავს ჩემ სიცოცხლეში, მაგრამ კოწია რომ რასმე აუხსნიდა და პირდაპირ ტვინში ჩაუღებდა მსმენელს, იმისთანა არაფერი გამიგონია. გასაოცარი იყო მისი ეს უნარი პირდაპირ! მაშინაც აუხსნა იქ მყოფ სტუმრებს, აზნაურებს, თუ რა შესანიშნავი წიგნი უნდა ყოფილიყო „მეფე ლირი“ და უთხრა, როგორმე ყველამ ამაღამ უნდა წავეითხოთო... ..პიესის ამბავი მთელ მათ ნაცნობებს მოედო და კოწია ეტყუოდა ხოლმე. მსგავს შემთხვევებში, შვილების უცმაყოფილო და მასთან მომჩივარ ამა თუ იმ მამას: „შენ მეფე ლირად გადაქცეულხარო!“ ქართულ ზღაპრებშიც ხომ გავრცელებულია ის მოტივი, უმცროსი შვილი რომ სხვებზე უფრო გამოადგება ხოლმე მშობლებს. თანაც „მეფე ლირი“ ხომ მართლა მშვენიერი ქართულითაა ნათარგმნი!...

[ამას მოსდევს ვრცელი მოთხრობა ე. თაყაიშვილისა და თ. ჟორდანიას უთანხმოების, სამედიატორო სასამართლოს და სხვ. შესახებ, რომელიც ამოვიღეთ. მითუმეტეს, რომ უთანხმოების არსისა და საბაბის შესახებ ზემოთაც არის, აქა-იქ, ნათქვამი, ხოლო დაწვრილებით უკვე ორგზის არის გამოქვეყნებული ე. თაყაიშვილის, მოგონებებში („ლიტერატურის მატყანე“, 1952, № 6 და „მნათობი“, 1958, № 5)].

...ამის შემდეგ სერიოზულად დავფიქრდი: ხომ არ აჯობებს, მოვეშვა ჩხირკედლაობას ისტორია-არქეოლოგიაში და ისევე მასწავლებლობას დავჭერდე, კერძოდ გაცვეთილებით გავიძლიერო შემოსავალი, რათა საკუთარი საფასიო გამოცეცე ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, ჩემ მიერ შედგენილი თუ ნათარგმნი მეთქი? ასეთ აზრზე იმ გარემოებამ მიმიყვანა (ისევე, როგორც ადრე დ. ბაქრაძე, რომელსაც მე შთავაგონებდი. ყურადღებას ნუ მი-აქცევ მეთქი), რომ ჭერ რიგიანად არც კი დამეწყო მუშაობა და უკვე წახდენა მომინდომეს. გუნებაში ვთქვი: მამასადამე, მთელი ჩემი დღე და მოსწრაება უნდა ვილაცას ვლიო და ვედავო; რა საზოგადო საქმესაც არ უნდა მოკვდიო ხელი, ცილისწამებანსა და უსიამოვნებანს ვერ ავცილდები; გონიერი ხალხი თავისთვისაა, არაფერ საზოგადო საქმეში არ ერევა და წყნარად ცხოვრობს და მუშაობს მეთქი. ძალიან შევფიქრინადი, მაგრამ, მეორე მხრივ, იმაშიც ვი-

ყავი დარწმუნებული. რომ ჩემი განზე გადგომა უკვე აენებდა ჩვენი ისტორია-არქეოლოგიის შესწავლისა და საერთოდ კულტურის ძეგლთა გადარჩენის, შეკრებისა და გამოშუქურების საქმეს, იმდენად ცოტა კეთდებოდა მაშინ ამ მხრივ. ჩემი ყოყმანი ორ-სამ თვეს გაგრძელდა. ბოლოს მაინც გადავწყვიტე, ვინც რა უნდა თქვას და გამოილაშქროს, არავითარ შემთხვევაში არ ავყვე, ხმა არ გაეცე და ჩემთვის განევადრო მუშაობა მეთქი.

6. მარსაც აღუნიშნავს. დრო და დრო, შეცდომები ჩემ მიერ ძველი ტექსტების კითხვაში, მაგრამ ზოგჯერ ეუმტკიეებდი ხოლმე, რომ მისი შენიშვნები არ იყო მართებული — სიტყვიერად, მაშინ, როცა თბილისში ჩამოვიდოდა და ჩემთან ჩამობტებოდა ხოლმე. ისიც მეთანხმებოდა და მეუბნებოდა, დაწერე ვგაო, მაგრამ მე არ ვწერდი. მაგალითად, გომარეთის ეკლესიის წარწერა რომ გამოვაქვეყნე, იქ იყო სიტყვა „ძლიერი“, ხოლო მარი მიმტკიეებდა, ეგ ახალ სიტყვაა და იმდროინდელ წარწერაში ვერ იქნებაო. მერე ჩემი წანაკითხი სხვაპ (არ კი მახსოვს, ვინ) შეადარა ადგილზე წარწერას და აღნიშნა, რომ სრულიად სწორად მქონია წაკითხული. ან კიდევ: კუმურდოს ტაძრის წარწერების ჩემეული გამოცემა მარს შეედარებინა თავისი მოწაფის, ძალიან კარგი და უდროოდ გარდაცვლილი ყმაწვილის. სილ. ლომიას გადმონაწერთან და ზოგი ჩემი წაკითხვა შეცდომად მიეჩნია. ნამდვილად კი იმ გადმონაწერში იყო შეცდომები... შემოკლებულ სიტყვებს ზედღართვით კითხულობდა. ასეთი შემთხვევები არც თუ ცოტა მახსენდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ხშირად ნ. მარსის შენიშვნები საესებით სამართლიანი იყო და ხელს უწყობდა ჩემი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებას. ასეთი, ნამდვილად მეცნიერული და მეგობრული კრიტიკის საწინააღმდეგო ვის რა შეიძლება ჰქონდეს ოდესმე? სუბიექტური და არა საქმის ინტერესთაგან გამომდინარე ფლამაზო ხერხებით წარმოებული „კრიტიკა“ იყო, რომ ბევრს უტეხდა გულს და მეც კინალამ ამღებინა ხელი სამეცნიერო მუშაობაზე. კიდევ კარგი, რომ დაეძლიე სულმოკლეობა და განევადრე ჩემი საქმიანობა, თორემ მთელ ჩემ სიცოცხლეს ძალიან მწარე დასანანი მექნებოდა ისეთი, ასე ვთქვათ. „დეზერტირობა“. ზოგიერთის არაკეთილსინდისიერი თავდასხმისა გამო.

იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა და-ლუბებისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლებოდა მეტი გამოემზებურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიზანდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ მაშინ — იმ რწმენით. რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჭეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაც და, გადაუჭარბებლივ, დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჭერ კიდევ შორეულ წარსულში. საკვებურად არ ვამბობ, მაგრამ მას აქეთ, რამდენიმე ათეულ წლის მანძილზე. სისტემატური კვლევისა და ძებნის შედეგად, წილად მხვდა ბევრი ახალი, სრულიად უცნობი და თან კი პირველხარისხოვანი ძეგლის აღმოჩენა — ისეთებისა. რომელთა არსებობა არც კი პირველგეგმებია მანამდე. ეს. უპირველეს ყოვლისა, იმის მომასწავებელია, რომ კარგა ხანს ჩვენ ძებნა არც კი მიგვაჩნდა საჭიროდ და არც გვესმოდა ასეთი მუშაობის ფასი.

სხვა ძველთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ეაქცევდი „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერების აღმოჩენას და ლიტერატურაში უკვე ცნობილ ხელნაწერთა შეძენას მფლობელთაგან. სულ იმის იმედს მქონდა, არ შეიძლება, სადმე არ მოიძებნოს XVII საუკუნეზე უძველესი ხელნაწერი მეთქი. მოლოდინი კი არ გაპართლა, მაგრამ ის მაინც შევძელე, რომ სხვადასხვა გზით, შემეგროვებინა 16 თუ 17 ხელნაწერი. რომელთა შორის ზოგი ფრიად. საყურადღებო გამოდგა — როგორც ვარიანტებით. ისე საუცხოო მხატვრობითა და აშოთა შემკულობით. საერთოდ კი მოვკრიბე ცნობა 24 ხელნაწერის შესახებ. მათ შორის უძველესნი და უმნიშვნელოვანესნი დიდი ცდით შევიძინე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის. ზოგი მათგანის შეძენა პირდაპირ საარაკო თავგადასავლად იქცა თვით ხელნაწერთათვისაც, მათი პატრონებისთვისაც და ჩემთვისაც. გავიხსენებ რამდენიმე ასეთ შემთხვევათ.

მაგალითად. ვინმე კორინთელისაგან ვაყიდინე საზოგადოებას თარიღიანთა შორის უძველესი ხელნაწერი—1646 წლისა. ის რომ კორინთელს ჰქონდა. ცნობილი იყო ჭერ კიდევ იმ კომისიისათვის, რომელიც იონა მეუნარგიამ შეადგინა.

ას მანეთად შევიძინეთ „ვეფხისტყაოსანი“, გაღწერილი მეფე გიორგი XI-სათვის, 1680 წელს, მისი მდივნის ბეგთაბეგის მიერ. იმ ხელნაწერის პატრონის—გვარად, მგონია, ყაზახაშვილის—ვაყები ჩემთან სწავლობდნენ სათავადაზნაურო გიმნაზიაში და იმათი მეშვეობით მოვაყიდინე მათ დედას: ნამა აღარა ჰყავდათ ცოცხალი. ეს ხელნაწერი გამოირჩევა დღემდე ცნობილთა შორის აშოთა პირველხარისხისთვის სამკაულით—რა თქმა უნდა. სპარსული ყაიდისა (ყოველ გვერდსა აქვს სამივე მხრივ ბორღურები: ხლართულები და შიგ ცხოველები და ფრინველები). ევროპის რომელიც გინდა მუზეუმს რომ მიუტანო. ულაპარაკოდ მოგცემენ მილიონს. ის ხელნაწერი აღწერილი მაქვს ჩემი „Описание“-ს II ტომში (გვ. 573—582). მსგავსი აშოთა სამკაული აქვს ავრეთვე რუმინაცევის მუზეუმისეულ ხელნაწერს. რამდენადაც აღწერილობით ვიცი (თვით ხელნაწერი კი არ მინახავს, თუმცა. მგონი, ჩამოტანილია საქართველოში). გიორგი XI-სეული ხელნაწერი თავის დროზე მოსკოვში ყოფილა წაღებელი. იქ 1791 წელს უყიდა ერეკლე მეორის სახლთუხუცესის გრიგოლ ჩოლოყაშვილის შვილს ქაიხოსროს და 1795 წელს ჩამოუტანია ისევ საქართველოში... პატრონს, ქვრივ ქალს ძალიან გაუჭირდა იმ ხელნაწერის შეღეფვა და მარწმუნებდა, რომ მის განსვენებულ ქმარს თავის დროზე, ოჯახის გაყრისას. 13 დღური მიწა დაეთმო სარგოდ ძმებისათვის. ბოლოს და ბოლოს 100 მანეთად მოვირიგდით და ეს იყო უდიდესი საფასური, რომელიც კი ოღესმე მომიცია ქართულ ხელნაწერში. მაგრამ იმ ხელნაწერის ისტორია ამით არ გათავებულა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. ცხოვრება რომ გაძნელდა, დედამ მომიგზავნა ერთ-ერთი თავისი ვაჟი, ჩემი ყოფილი მოწაფე (მაშინ უკვე აღარ ვიყავი სათავადაზნაურო სკოლის გამგე) და მთხოვა დამებრუნებინა ხელნაწერი—მიმშილობაა, პურსაც კი ვეღარ ვშოულობ, არავითარი სახსარი არ გამაჩნია და მაგ ხელნაწერში უცხოელები კარგ ფასს მომცემენო. მე ვუთხარი ჩემს ნამოწაფარს, შეგნებული ახალგაზრდა ხარ და კარგად უნდა გესმოდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ ხელნაწერს; როგორ შეიძლება იგი საქართველოს დეკარგოს მეთქი? მიპასუხა. თითონაც მრცხვენოდა ამ საქმეზე თქვენთან მოსვლისა, მაგრამ დედაჩემმა საშველი

ალარ მომცაო; ჩემი და ერთ ინგლისელს მისთხოვდა (ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენში ინგლისის ჯარი იყო შემოსული) და სიძე ეუბნებდა დედაჩემს. თუ მართლა ეგრეთი ძვირფასი შემკულობა აქვს იმ ხელნაწერს, მე ძვირად გაგიყიდოთო. მაშინ ეუთხარი იმ ყმაწვილს, აქ მომიყვანე თქვენი სიძე და მე თითონ მოველაპარაკებო მეთქი. იმანაც მომიყვანა: დიდად სიმპათიური ახალგაზრდა გამოდგა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, განათლებული, რუსულის მკოდნე. მე, რა თქმა უნდა, აუფხსენი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმ ხელნაწერს და ვთხოვე დაგვხმარებოდა, მით უმეტეს, რომ ხელნაწერი თავის დროზე ნაყიდი იყო წერა-კითხვის საზოგადოების მიერ და ამიტომ საქმე უსასამართლოდ ვერ გადაწყდება, საზოგადოება შეძენილ ხელნაწერს ისევე გამყიდველს ვერ დაუთმობს მეთქი. მერე თითონაც ვაჩვენე ინგლისელს ის ხელნაწერი და თავიდან ბოლომდე დავათვალისწინებინე. ძალიან მოეწონა და მითხრა: ასეთი წიგნი ერისათვის ნაციონალური სიამაყის საგანია და, რასაკვირველია, ეგვეც ქართველებს უნდა დაგრჩეთო. ოღონდ, რათა ჩემი სიდდრი დავაშოშმინო, თუ შეიძლება, ცოტა ფული მაინც უბოძეთო. მე დავპირდი, წერა-კითხვის საზოგადოების წინაშე ვიშუამდგომლებ. დახმარება აღმოუჩინონ მეთქი. მართლაც მივეწერე საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგეს—მაშინ დავით კარიჭაშვილი იყო — და მივეციო ხელნაწერის ყოფილ პატრონს 200 მანეთი. ამით გათავდა იმ ხელნაწერის თავ-გადასავალი.

რაკი სიტყვად მოიტანა, აღვნიშნავ, თუ რა წარმოდგენდა წერა-კითხვის საზოგადოების შემოსავლის წყაროს: საწვერო გადასახადი (ჯერ ექვსი, მერე სამი, სულ ბოლო დროს, რევოლუციის წინა წლებში უკვე თითო მანეთი, სოციალისტების ძლიერი გავლენით); შემოწირულება-დახმარება; წიგნის მალაზიის ნაეპრი (თვით საზოგადოების მიერ გამოცემული მხატვრული თუ სხვა ლიტერატურისა; მართკ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს შემოპქონდათ წელწინადაც 10.000 მანეთი ბოლო დროს).

მესამე ღირსშესანიშნავი, საუკეთესო, სიუჟეტური მინიატურების შემცველი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“ ის არის, რომელიც ერთ დროს პელაგია წერეთელს ეკუთვნოდა და რომელსაც განსაკუთრებით რთული ისტორია გადახდა თავს. ჩემი აზრით, ეს ის ხელნაწერია, რომელსაც პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, როგორც წერეთლის კუთვნილებას და შეცდომით ამბობს, ეტრატზეა ნაწერიო. მინიატურებს სპარსულად აწერია მხატვართა ვინაობა. ამგვარი სურათების შემცველი სხვა ხელნაწერი არ მოგვეპოვება. იგი აღწერილობაა ჩემი „Описание“-ს II ტომში (გვ. 566—568), მის ისტორიას კი ახლა გავიხსენებ. ერთი ნესტორ წერეთელი იყო, საჩხერელი დიდი თავადი და იმას ცოლად ჰყავდა გურიელის ქალი, სახელად პელაგია. ნესტორი გარდაიცვალა და მისი ქონება — მათ შორის ერთი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი — მის ცოლ-შვილს და ნათესავებს დარჩა. ხელნაწერს თურმე ყდა ჰქონია გაფუჭებული და დედის უთხოვნია ვაჟიშვილებისათვის, გააკეთებინეთო. იმათაც წამოუღოთ თბილისში, ყდა მართლაც და კარგი გაუკეთებიათ, ხაყერდისა. მაგრამ მერე — ჩვენებური. თავადიშვილური დაუდევრობით — ეტლში დარჩენილი და დაუკარგავთ. მათ შემდეგ ის ეტლი უქირავებია ცნობილი ქართველი ვაჭრის ფორაქიშვილის ერთ ნოქარს, რომელსაც უპოვნია ეტლში ხელნაწერი და ძალზე გახარებია, „ახლა კი გავკეთდი კაციო!“ ფორაქიშვილს ეს ამბავი რომ გაუგია, ჩემთან გამოუგზავნია ნოქარი, წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შე-

იქნის, მაგრამ მე შინ არ დავხედი. ის ნოქარიც ამდგარა და მიუტანია მე-
წარმე დავით სარაჯიშვილისათვის, რომელსაც სამი თუმანი მიუტანა ხელნაწერ-
ში. — ეს მაშინ, როდესაც იმ ხელნაწერში რამდენიმე ათეული საუცხოველ-
მინიატურა იყო და თითო მათგანი გვიღირდა ას მანეთად! ცოტა ხანს შემდეგ
დავით სარაჯიშვილმა მიმიწვია სადილად — კვირა დღე იყო, სტუმრები
ჰყავდა. შევედი თუ არა, მომაგება ის ხელნაწერი: „აი, საშენო, საშენო!“
დავხედე, მოვკიდე ხელი და ვუთხარი: „ამას თან წვაილებ და გულმოდგინედ
შევისწავლი მეთქი!“ „წაილე, ოღონდ მალე დამიბრუნე, ბარონ დე-ბაის უნ-
და ვაჩუქო!“...

საერთოდ, ერთი პირდაპირ აღმამფთობელი თვისება სჭირდა მაშინ ზოგ
ქართველს, შეგნებულებსა და თითქოს მამულიშვილებსაც კი: რაც რამ კარგი
და თავმოსაწონი ნივთი ჰქონდათ, ერთთავად უცხოელებისათვის უნდოდათ.
ჩუქება, სამარცხენისი სიმჩატეს იჩენდნენ ხოლმე. მეტი რაღა ვთქვა, ქართ-
ველმა თავად-აზნაურობამ ასწია ერკლე მეორის ნაქონი თოფი — ის რამლი-
თაე კოხტაბელადი მოკლა ასპინძის ომში -- და მიართვა მეფისნაცვალს
(გვარი აღარ მაგონდება, ვორონცოვის შემდეგ იყო აქა). კიდევ კარგი, რომ
იმან უკანვე დაუბრუნა. „ეს თქვენთვის ძვირფასი სახსოვარია და თქვენთანვე
უნდა დარჩესო!“ ან არა და. ალექსანდრე ორბელიანი რომ იყო. ნამდვილად
დიდი პატრიოტი, მუდამ რუსებისა და კერძოდ, ვორონცოვის სამდურავს
რომ სწერდა, იმან სწორედ ვორონცოვს აჩუქა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სა-
უცეთესო ხელნაწერი, XVII საუკუნისა (იქიდან გადმოიღო გავარჩინმა პირვე-
ლად შოთა რუსთაველის სურათი!). კიდევ კარგი, რომ რევოლუციის შემდეგ
აღმოჩნდა ის ხელნაწერი ვორონცოვის არქივში და ისევ დავეიბრუნე, თო-
რემ ხომ უნდა დაგეკარგოდა?! ვლახერნის ცნობილი ხატი იმპერატორ ალექ-
სანდრე II-ს აჩუქეს, მაგრამ იმანაც, მეფისნაცვლისა არ იყოს, შეგნებულობა-
გამოიჩინა და უკან დაუბრუნა. მაგრამ ვინ იცის, რამდენი რამ იქნა ამრიგად.
დაუღვერად გამოკებული, გაყიდვაზე და გადამთიელთაგან მითვისებაზე რომ
აღარაფერი ითქვას? ასე თუ არა. ჩვენი მუზეუმები ახლა ერთი ათად უფრო
მდიდრები უნდა გვქონდნენ ხელნაწერებითა და სამახსოვრო საგნებით. ხოლო
უცხოეთის მუზეუმებში ქართული კულტურის ამდენი ჩვენთვის სანუკვარი-
ძეგლი არ უნდა იყოს მოხვედრილი!...

ჰოდა, სწორედ ასეთს რასმე უპირებდა იმ, თუმცა სპარსულ ყაიღის. მა-
გრამ მაინც საუცხოო მინიატურების შემცველ ხელნაწერს დავით სარაჯიშვილს.
რომელიც, იმავე დროს, ნიდაგ ქართველების ხასიათის სიმჩატესა და ბუნო-
ვითობაზე წუწუნებდა და ერთხელ ამის გამო ილია ქავჭავაძესაც კი ააწვი-
ნა განრისხებით ხმა, როგორც უკვე გავიხსენე. მერე და ვისთვის აპირებდა
მიძღვნას? ბატონ დე-ბაი ერთი დილიტანტი, მოხალისე არქეოლოგი იყო.
შემდეგა ჰქონდა. დამოგზაურობდა, რაღაც-რაღაცებს წერდა, ნივთებს.
იქნდა! და ა. შ. აქაო და ბარონიაო, საჭიროზე მეტ პატივსა სცემდნენ ჩე-
ნებურები, პირდაპირ ზედ ჰყვებოდნენ. „მაგარი არ უნდა მეთქი“, გავიფიქრე
გუნებაში და წამოვიღე შინ ის ხელნაწერი. რამდენიც მოკვითხა სარაჯიშვილ-

51 სწორედ ის დე-ბაი ლაშობდა. შეეძინა თ. შავკაიანისაგან ევრცხოლს ოასი, რომელ-
ზედაც სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ცხენია გამოსახული და აზნაული წარწერაა, „მუხში-
კეთილი პიტახშისა“, ის ოასი და მასთან ერთად ს. ბორში თავის მიწაში შემთხვევით აღმო-
ჩენილი სხვა დიდძალი ოქრო-ვერცხლო თ. შავკაიანამა შემდეგ ერმიტაჟს მიჰყავდა: ბარონს.
საბედნიეროდ, ემერა და ვერ შეიძინა ოასი!

მა. იმდენი ვუპასუხე, ჭერ კიდევ ვიკვლევ, არ მომითავევბია მეტი და ამასობაში ის ბარონი კიდევაც გაემგზავრა საქართველოდან. მერე თითონ დავიხსარაჯიშვილიც წავიდა საზღვარგარეთ, მაგრამ სამაგიეროდ მისმა ცოლმა დამიწყო დროდადრო კაცის გზუნა. „ხელნაწერი დამიბრუნეო“. მეც ვუთვლიდი. „კი, ბატონო. მაგრამ ჭერ კიდევ არ შემისწავლია მეთქი“. მერე ვთქვი გუნებაში, ესენი, ჩანს, აღარ მომეშვებიან მეთქი, ავღეპი და შევიტანე ხელნაწერი წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში—თუ მინცდამინც კიდევ გამომდევნენ, იქიდან მეტი დამცველი გამოუჩნდება „ვეფხისტყაოსანსა“ მეთქი. შევიტანე მუზეუმში, აღეწერე და მერე კიდევაც გამოვეცი „Описание“-ში. ჩამოვიდა სარაჯიშვილი საზღვარგარეთიდან და ისევ მომკითხა ხელნაწერი. ცოლვას ვერ დავიღებ კისერზე, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ ნამდვილად პატრიოტი კაცი იყო, მაგრამ—საკვირველია, პირდაპირ!—აი, ასეთ რამეებს სჩადიოდა ხოლმე; რაღაცა ღვთის რისხვა იყო საერთოდ ჩვენ თავს! როცა მკითხა, რა უყავიო, ვუთხარი: „კაცო, ჩამოგხსენი ამ „ვეფხისტყაოსანს“. ვილაყა გადამთიელს რომ გინდა მინცდამინც გაატანო, აქაო და ბარონიაო, აი, შენი სახელით შეეწირე წერა-კითხვის საზოგადოებას და კიდევაც გამოვეცი მეთქი“. თან ეაჩვენე ის „Описание“. იამა, შიგ რომ მისი სახელით იყო ხელნაწერი შეტანილი და გაეცინა, კარგო! ამ საუბარს შემდეგ ორი-სამი თვე გავიდა და მეც მეგონა, რომ გათავდა იმ ხელნაწერის ამბავი, მაგრამ, გაგიგონია?!..

ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ორი ტოლი. შესანიშნავი თვალტანადი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ახალგაზრდა ვაჟკაცი. „ჩვენაო, ბატონო, ძმები წერეთლები ვართო—მუუბნება ერთი—და თქვენთან საქმე გვაქვსო!“ იმათ შეხედვასა და მოსმენას არაფერი სჯობდა. აი, ნათქვამი რომაა, „ზრილნი არიან იბერნოო“, ისეთები იყვნენ სწორედ, ერთი მეორეზე უკეთესი!—„პოლაგა წერეთლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქმრის ნეკროლის ქონება რომ გავიყავით, „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ გვეტოვა; დედამ გამოგვტანა თბილისში ყდის გასაკეთებლად. გავუკეთეთ. მაგრამ ეტლში დაგვრჩა და მას აქეთ დედაჩვენი აღარაა ჭავრიოთ. დაკარგული ჰგონიაო; საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი იმაზე უკეთესი არ მოიძებნებაო; ხელნაწერები თურმე სულ თქვენთან მოდის და ჩვენსაზე ხომ არაფერი გაგიგიათო?“ „როგორი იყო მეთქი?“. ვკითხე მე. „ღიღი იყოო, ძველი, ტყავისაო“, მიპასუხეს. ნამდვილად კი ბომბიკინაზე იყო დაწერილი. მაგრამ ისე ჰგავდა ტყავს, რომ თავის დროზე, როგორც ვთქვი, პლატონ იოსელიანმაც კი ეტრატად მიიჩნია. „თუ თქვენთანაა, ვათხოვეთ და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ისევ დაგიბრუნებთ. ოღონდ დედას ეაჩვენოთ და დავარწმუნოთ, რომ არ დაკარგულაო“. შემომეხვევენენ. მე ვუთხარი, საერთოდ ყველაფერს მუზეუმში ვიტოვებთ, რასაც შიშოგვიწირავენ მეთქი; არ დაგიმაღავთ. ეგ ხელნაწერიც ვიცი—ოღონდ გემუბნებათ, ქალღღღეა ნაწერი და არა ტყავზე მეთქი,—მაგრამ, სამწუხაროდ, იკო სხვისი ნაყილია. მერე შემოსწირა, ანლა საზოგადოების საკუთრებას შეადგენს და როგორღა შეიძლება წაღება მეთქი?!“ მერე მისულიყვნენ საზოგადოების გამგეობაში და იქ კი ვუპასუხებთ, „ეგ ჩვენ არ გვეკითხება, თაყაშვილის საქმეაო“. მომდგნენ ისევ. მეც რაღას ვიზამდი, გავატანე საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში წერილი, „დროებით მიეცით მეთქი“ და წაიღეს ხელნაწერი იმ კობტა ძმებმა. გავიდა ერთი თვე, მაგრამ არ მოიტანეს უკან. ეს, რა საკვირველია, არ მესიამოვნა! თანაც კიტა აბაშიძემ ერთი ამბავი ამიტხა გამგეობაში,

არ უხდა გაგეტანებინაო! მე უუთხარი, ჩვენი ფულით ხომ არ ვკვონდა ნაყი-
ლი, მაინც სხვისი იყო მეთქი.

იმხანად საჩხერეში ვინმე გამყრელიძის კარ-მიდამოზე ძველი ყორღანუ-
ლი სამარხი აღმოჩენილიყო და იმის გასათხრელად წავედი [1910 წელს, რად-
გან მაშინ არქეოლოგიური გათხრის წარმოების საქმესაც უკვე მე ვეპატრონე-
ბოდი. ბინა იმ გამყრელიძის სახლშივე დავიდე და ისე ვემუშაობდი; სხვასთან
არავისთან წავსულვარ, არც წერეთლებში და არც სხვაგან სადმე. საჩხერეში
მაშინ მოთავებოდა და. ასე ვთქვათ, „დედოფლობა“ ელისაბედ წერეთელი,
ორმოცდაათიოდე წლის, რომანტიული სულისკვეთების ქერივით. თითონ წუ-
ლუკიძის ასული იყო. პეტრეს და; ქმარი ადრევე გარდაეცვალა. ყველა წერეთ-
ლებზე მდიდარი იყო. რადგან მის მამულებში ბლომად მოიპოვებოდა შავი
ქვის მადანი. ელისაბედი საჩხერის სკოლის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარ-
ე იყო და იმ სკოლის სასარგებლოდ ყოველ წელიწადს აწყობდა მდი-
დარ მეჭლის ღია იის ქვეშ, მუსიკითა და ქუთაისის გუბერნიის ყველა კუთხიდან
მიპატიუებული სტუმრებით. გუბერნატორიანად, ჩემს იქ ყოფნაშიც მოეწყო
ასეთი მეჭლის ერთ კვირა დღეს; გაეგო, რომ საჩხერეში ემუშაობდი და
მომწერა, დაგვესწავიო. მუსიკა ქუთაისიდან დაებარებინა და მთელი ქუთაისი
სტუმრად ჰყავდა. დიდი სადილი ჰქონდა გამართული. ასე იცოდა: სანოვაცეს
უსასყიდლოდ მოაგროვებდა ხოლმე და სტუმრებს კი ორ-ორ მანეთს ახდევო-
ნებდა. ამრიგად კაი სამ-ოთხს ათას მანეთს მოუყრიდა თავს და, რა თქმა უნ-
და, სკოლას მოახმარდა ხოლმე... მივედი იმ მეჭლისზე და დავინახე, რომ ელი-
საბედი მართლა დედოფალივით განაგებდა იქაურობას და მთელი თავადიშვი-
ლი ყმაწვილკაცობა მხლებლებად ჰყავდა. გულთბილად მომესალმა, გადამ-
კონცა და მომიკითხა. მამამისი, გიორგი წულუკიძე, დიდხანს ცხოვრობდა გუ-
რიაში (მოპრიკვებელ მოსამართლედ მუშაობდა, თან შესანიშნავი მონადირე
იყო) და იქიდან ვიცნობდი ერთიმეორეს. შევხვედ და ის ორი ჩემი ახალ-
გაზრდა წერეთელი აქეთ-იქით არ უდგანან ელისაბედს მხარში. ადიუტანტები-
ვით? წვატანე ხელი ორთავე და ვუთხარი ელისაბედს: „კნენინა, ახლა სხვაზე
ნურაფერზე მელაპარაკებით, მე და ეს ახალგაზრდები გაგვასამართლეთ მეთ-
ქი“. რომ მკითხა, რაშია საქმეო, აეუხსენი: „ასე და ასე იყო, ეს ყმაწვილები
მოვიდნენ ჩემთან და დროებით მთხოვეს საზოგადოების კუთვნილი ხელნაწე-
რი: თან პატიოსანი სიტყვა მომცეს, რომ დააბრუნებდნენ და ავი არ დააბრუნეს.
სხვისი ვათხოვე და ახლა არ ვიცი, რა პასუხი გავცე პატრონს, უხერხულ მდგო-
მარობაში ჩამაყენეს მეთქი!“ ის ვაჟები დაიწვენენ სირცხვილით: „ვაი, ეს რა
დღეში ჩავეარდით, ბატონო, ქ-ნი ელისაბედი მოგვიცია თავდებად, რომ ერთ
კვირაში მოგიტანო!“ ელისაბედმა მითხრა, „ახლა ამათი საქმე მე მკითხე,
ჩემ ხელში არ არიანო?!“ მეც დავმშვიდდი... ელისაბედმა იქ დიდი პატივი
მცა და წამოვედი ისევე ჩემ ბინაზე. გავიდა ერთი კვირა, მაგრამ ძმები წერეთ-
ლები არ მოსულან ჩემთან. მერე ჩამოებრუნდი თბილისში, მივედი წერა-კი-
თხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში და ვიკითხე ხელნაწერის აშბავი.
მითხრეს, უკვე მოიტანეს უკანაო, გამოვართვი, გადავშალე, დავრწმუნდი, რომ
დაებრუნებინათ და გამეხარდა: „რაკი მოიტანეს, აწი აღარა უშვავს რა მეთქი“.
გავიფიქრე. რას მოვისაზრებდი, თუ ერთი შეხედვით მთელ ხელნაწერს რა-
იმე ზიანი ექნებოდა?

იმ ხელნაწერში თავის დროზე ჩართული იყო 36 ფურცლი სურათი.
შპარსულ ყაიდაზე ნახატი, საუკეთესო ხელობისა; თან მხატვართა სახელე-

ზიც ეწერა ზედ, როგორც უკვე ვთქვი. სანამ ხელნაწერს საზოგადოებას გადაეცემდი, სარაჯიშვილს რომ გამოვართვი და შინა მქონდა, ჯერ კიდევ მაშინ ვაჩვენე იგი ქართველების გულწრფელ მეგობარსა და მოამაგეს, „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა ქართულ თხზულებათა ინგლისურად მთარგმნელ ქალს მარჯორი უორდროსს, ასე რომ ის საკმაოდ იცნობდა იმ ხელნაწერს. ჰოდა არ გასულა ორი თვე, რომ იმ ქალისაგან ინგლისიდან წერილი მივიღე (რუსულიც იცოდა და მიწერ-მოწერა იმ ენაზე გვქონდა): მატყობინებდა, „ერთმა პარიზელმა ანტიკვარმა „ვეფხისტყაოსნის“ 16 სურათი გამომიგზავნა, ხომ არ იყიდითო, და ჩემი აზრით, ეს სურათები იმ ხელნაწერიდან უნდა იყოს ამოღებული, თქვენ რომ ერთხელ თბილისში მაჩვენეთო; შეიძლება ვცდებოდე. მაგრამ ძალიან მაგონებს იმ სურათებს და ნეტავ რაშია საქმეო?“ მე ვიფიქრე, ალბათ სცდება მეთქი, მაგრამ მაინც წავედი მუზეუმში შესამოწმებლად. გადავსინჯე, მაგრამ რას შევატყობდი? 16 კიდევაც რომ ამოებრათ, ისე სუფთად იყო ამოჭრილი, რომ კვალი არა ჩანდა, დანარჩენი 20 კი თავ-თავის ადგილას იყო. მაინც გავუგზავნე დეპეშა მარჯორი უორდროსს: „Задержать рисунки; если можно, выслать их фотографические карточки; известить антиквара, что эти выкрадены из библиотеки Общества грамотности и возбуждается уголовное преследование; антиквар должен указать, от кого они им получены“. მარჯორიმ გამომიგზავნა ფოტოსურათები, შვედლარე დანარჩენ სურათებს და საბოლოოდ დაერწმუნდი, სტილისა და ხატვის მანერის მიხედვით, რომ პარიზელ ანტიკვარს მართლაც იმ ხელნაწერის სურათები ჩავარდნოდა ხელში. მაშინ გამახსენდა ერთი ამბავი: არც თუ დიდი ხნით ადრე თბილისის ვაჭრეთაში და კერძოდ „ივერია“-ში გამოქვეყნდა გამაფრთხილებელი განცხადება ხალხისადმი—ჩუმ-ჩუმად დაძვრებიან ვიგინდარები, ძველ ხელნაწერებსა და მინიატურებს იძენენ და არ მიჰყიდოთ, ამრიგად განადგურდება ჩვენი კულტურული საგანძურით. მართლაც დადიოდნენ, მგონი, კონსტანტინეპოლელი ახალგაზრდა ვაჭრები ოჯახ-ოჯახ და აგროვებდნენ, ყიდულობდნენ სპარსულ, ინდურ და სხვა აღმოსავლურ ხელნაწერებსა და სურათებს, რომლებზედაც მაშინ დიდი მოთხოვნილება იყო ევროპაში. იმათი არც გვარი ვიცოდი, არც სახელი, მაგრამ მაშინვე ვავიფიქრე, ამ საქმეშიც მათი ხელი ერევა მეთქი. მარჯორი უორდროსს ჩემთვის ფოტოსურათების გამოგზავნისთანავე ვაიფრთხილებინა, ჩემი თხოვნისამებრ, ანტიკვარი, რომ სურათები მოპარულია და სისხლის სამართლის დანაშაულის ძიება დაიწყებაო. ხელნაწერის ყოფილი პატრონების, წერეთლებისათვის, რასაკვირველია, არაფერი მიმიწერია, უხერხულად მივიჩინე: ვფიქრობდი. მართალია მოაკლეს სურათები, მაგრამ მაინც ხომ შემოგვწირეს მეთქი?! იურიდიულად კი სულაც უფლება ჰქონდათ უკან წაედოთ მთელი ხელნაწერი. საერთოდ მე ასეთ შემთხვევებში არასოდეს არ ვართულებდი და არ ვამწვავებდი საქმეს, რადგან შეიძლებოდა საბოლოოდ დაგვეარღვრა ნივთები. საზოგადოება დიდ პატივს კი მცემდა, მაგრამ ასეთი სახელიც მქონდა მოხვეჭილი: „ექვთიმე თაყაიშვილს თუ ჩაუვარდა ხელნაწერი, მერე მორჩა, დაკარგულიაო!“ იმ წერეთლებს დედამათი თურმე მართლაც სთხოვდა, ერთი კიდევ მანახეთ ის „ვეფხისტყაოსნისაო!“ მერე მალე მოკვდა. შესანიშნავი ქალი იყო. იმან შემოსწირა საზოგადოების მუზეუმს იმერეთის მეფის სახლთუხუცესის წერეთლის საუცხოვო პორტრეტი. თან მითხრა: „წაიღეთ, თქვენი ჭირიმე, რომელ სახლშიც ეს შევიდა, იქ ყველა გარდაიცვა-

ლაო!“ მე ვკითხე, „ახლა გნებავთ, ჩვენც გარდავიცვალოთ მეთქი?“ „არა, არა, თქვენ არაო!“ საჩქაროდ მიპასუხა...

გავიდა კიდევ თვენახევარი, თუ ორი თვე... საერთოდ, რაც რომ იმ დროს თბილისში ძველი წიგნებითა თუ ნივთებით მოვაჭრე ჩარჩები იყვნენ და ერკვეოდნენ საქმეში, ყველას ჩემთან მოჰქონდა ასეთები, იმიტომ რომ ჩემზე უკეთესი მუშტარი არ გეულებოდათ. ქართველები ნივთებით არ ვაჭრობდნენ, უფრო ბუკინისტობდნენ და ისიც, თუ კი რასმე ღირებულს იღებდნენ ხელთ, მაშასისხლად აფასებდნენ, აშენებას განიზრავებდნენ ხოლმე მისით, ნაკლებ პრაქტიკულობას იჩენდნენ ამ მხრივ. სხვები კი კომერციულად უღებობდნენ საქმეს: რაც თითონ დასჯდომოდათ. ორ იმდენს თუ მიეცემდი, კმაყოფილდებოდნენ. ერთმა მათგანმა ძალიან ბევრი საინტერესო ხელნაწერი მპყილდინა ამრიგად. ერთიც სხვა იყო. მგონი მიხაკა ერქვა სახელიად, ის კი ბევრ ნივთებს მიზიდავდა ხოლმე. ენახოთ და სწორედ მის ან მომიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ხუთი თუ ექვსი სურათი გასაყიდად! დავხედე და მაშინვე შევატყე, რომ ყველა წერეთლისეული ხელნაწერიდან იყო ამოჭრილი. ვკითხე ჩარჩს, „ვინ მოგცა ეგენი მეთქი?“ „პატრონმა მომცა, ჰყიდისო“, მიპასუხა. „იცი, როგორაა მაგ სურათების საქმე მეთქი?“ „არაო“. „როგორაა და ეგენი ჩვენი მუზეუმიდანაა მოპარული და უნდა დამისახელო, ვინ მოგიტანა მეთქი?“... თურმე იმ ახალგაზრდა ვაჭრებს რომ შეეცყოთ პარიზელი ანტიკვარისაგან, სისხლის სამართლის გამოძიება აღიძვრისო, გამოერთმიათ, ჩამოეტანათ ბსეც საქართველოში, თავისთან ველარ გაეჩერებინათ და იმ ურიისთვის მიეყიდნათ. დავიტოვე მიხაკას მიერ მოტანილი სურათები და ეუთხარი: „უნდა თქვა, ვინ მოგცა, თორემ შენ დაგიჭერენ და ჩაგაგდებენ საპყრობილეში მეთქი!“. შეშინდა. თან თბილისის გუბერნატორს მიეწერე მოხსენება (ვინ იყო, აღარ მახსოვს, მაგრამ ქართველობას კი ემხრობოდა), ასე და ასეა საქმე. ნაქურდალი სურათები მომიტანა ამან და მომტაცებლების დაჭერაა საჭირო მეთქი. გუბერნატორმაც დაავალა, ვისაც ჭერ იყო, საქმის გამოძიება; დაიბარეს ის ვაჭრები და დაკითხეს. იმათ უთხრეს. „ბატონო, ჩვენ რა შუაში ვართ. ჩვენ საერთოდ მაგეებით ვვაჭრობთ და რას გვემართლებით? წერეთლებმა მოგვყიდეს ის სურათები და 600 მანეთი გადაგვახდევინესო“. მერე ის დამფრთხალი ვაჭრები ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს, „ხელნაწერის პატრონები თითონ ვერ ამოსჭრიდნენ შეუშჩნეველად სურათებს, მოგვცეს და ჩვენ ამოვეკერიოთ (მართლაც, როგორც აღვნიშნე, სრულიად არაფერი დანაკლისი არ ეტყობოდა ხელნაწერს) და ისე ვიყიდეთო; ახლა ჩვენი ფული დაგვიბრუნეთ და ყველა სურათი უკან ინებეთო! თუ არა გჯერათ, თითონ წერეთლებს ჰკითხეთო!“ მე ეუთხარი, „ახლა ჩვენ მაგის გამოძიებას ვერ შევეუდგებით და ვერც ვერაფერს მოგვცემთ; წერა-კითხვის საზოგადოება მაგ თანხას ვერ აგინაზღაურებთ. მაგრამ, რაკი დაზარალებულხართ, ვიშუამდგომლებ, რომ 200 მანეთი მაინც მოგცენ მეთქი“. ასე ვაძგობინე, რაკი მათ, ბოლოს და ბოლოს, მართლაც ნაყიდი ჰქონდათ ის სურათები და არა მოპარული. მიეწერე საზოგადოების გამგეობას და მათაც მისცეს 200 მანეთი. საერთოდ ისე იყო დაწესებული: მე თუ კი მიეწერდი, აღარც კითხულობდნენ, რატომ და ვის აძლევდნენ, ულაპარაკოდ მისცემდნენ ხოლმე ფულს. იმ მიხაკამ ხომ 6 ცალი მომიტანა და დავიტოვე, დანარჩენი 10-ც თვით სომხებმა მომიტანეს და მხოლოდ მას შემდეგ მივაყენე ფული. უნდა

აღინიშნოს, რომ მაშინდელი ამოჭრილი სურათები ჯერაც არაა ჩაყრულნი. ხელნაწერში: ეს უკანასკნელი საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია, წერა-კითხვის საზოგადოების ფონდში, ხოლო ამონაჭრები ჩემ ბინაზე ინახებოდა და ახლა, მგონი, ხელოვნების მუზეუმში უნდა იყოს.

ზემოთ რომ ბარონი დე-ბაი ვახსენე, რომელსაც კინაღამ აჩუქეს ეს მრავალტანჯული ხელნაწერი, იმისმა აქ ყოფნამ ერთ საქმეში მაინც შემიწყო ხელი—თუმცა ისევ და ისევ იმის წყალობით, რომ ზოგისათვის ჩვენებურს არავის არა ჰქონდა იმხანად ფასი და უცხოელს კი ვინც არ უნდა ყოფილიყო, — დიდი რუსის მთავრობაც ძალიან პატივს სცემდა დე-ბაის. საგანგებო მდივანი მიუჩინეს, რომელიც სულ თან დაჰყვებოდა. (სხვათა შორის, იმ ბარონმა ჩვენში ჩაწერილი ზღაპარი „როსტომელა“ გამოსცა მერე საფრანგეთში ფრანგულად, და არც ეს იყო ურიგო საქმე...). ტბეთის ცნობილი სახარება რომ არის, XII საუკუნისა (ჩემ მიერ უკვე გამოცემული). ისა და არა ნაკლებ ცნობილი ოქონის ხატი, რომელსაც ქართველი მეფეები დაატარებდნენ ხოლმე თან, ჰქონდა მცხეთის დედათა მონასტრის (სამთავროს) ილუმენიას. ნინო მუხრანბატონის ასულს, რომელიც მათ არავის არ აჩვენებდა — ყოველ შემთხვევაში, მე არ მენახა ისინი და რაკი ვიცოდი იმ მოლოზნის ამბავი, არცა ვლამობდი. პოლე კარბელაშვილს კი ნახული ჰქონდა ცოტა ხნით. ერთ დღეს მომადგა დე-ბაი და მთხოვა, წამყვიით ილუმენიასთან. ეგებ მაჩვენოსო. მეც წავეყვი და თან ჩემი მეუღლე და მუსიკოსი ქალი. ანა თულაშვილიც წაიყვანე. ილუმენიას ეუთხარი, „აი, უცხოელი ბარონია ჩამოსული, ანტერესებს თქვენთან შენახული ნივთები და უნდა გვაჩვენოთ მეთქი“. გასჭრა ასეთმა მიმართვამ და მართლაც გამოვიტანა. მეც ვისარგებნულ შემთხვევით, თანმხლებ ქალებს ვთხოვე, შეიქცეთ საუბრით ილუმენია მეთქი და ამასობაში გადმოვიწერე იმ ოქონის ხატის წარწერა და აღწერე ორივე ნივთი... სიკვდილის მოახლოვება რომ იგრძნო, ილუმენიას შეეშინდა, არავინ მომპაროს ეს ნივთებიო და მიაბარა თავის ნათესავს, ჩემ მიერ უკვე ხსენებულს ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილს, რომელიც კარგი მამულიშვილი იყო და სიძველეთა მოვლა-მოვაროვება უყვარდა (სხვათა შორის, ზემოთაც აღვნიშნე, მან თარგმნა რუსულად ილიას „ქვათა ღაღადი“). ილუმენია რომ გარდაიცვალა, მერე ვილაცამ დაუწერა გაზეთში იმ ალექსი-მესხიშვილს, „მითვისა სამთავროს მონასტრის ნივთები, რომლებიც ეგზარქოსს უნდა გადასცემოდა, როგორც ეკლესიის კუთვნილიო“. იმანაც ვასცა გაზეთში პასუხი. „ილუმენია ჩემი ნათესავი იყო და შესანახად მომპარაო“. მაგრამ ასეთმა განმარტებამ არ გასჭრა და ატყდა მაშინ ჩვეულებრივი შარიანი პოლემიკა. ალექსი-მესხიშვილი საერთოდ დიდ ანგარიშს მიწევდა ხოლმე და ახლაც მკითხა, როგორ მოვიქცეო? მე ვუთხარი, „რაკი ასეთი ამბავი ავიტყხეს, ახლა მაგ ნივთების შენარჩუნება გაძნელდება. მაგრამ, აი, სათავადაზნაურო სკოლას რომ ვაშენებთ. იმის ეკლესიას შემოსწირე და, თუ ბიჭები არიან, მობრძანდნენ და ეკლესიიდან რაიმე წაიღონ, მაგას ეგზარქოსიც კი ვეღარ იზამს მეთქი!“ იმანაც აიღო და შემოსწირა თავად-აზნაურობის ხელმოკლე („შეუძლებელ“) მოსწავლეთა დახმარე კომიტეტს. მერე ამ უკანასკნელმა ვითომ მიაბარა წერა-კითხვის საზოგადოებას და ამრიგად დაეინარჩუნეთ მუზეუმისათვის ტბეთის სახარებაც და ოქონის ხატიც.

მაგრამ ახლა ისევ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა თავგადასავალს დაუბრუნდეთ. საერთოდ, მე არც ერთი მისი ხელნაწერი არ დამიტოვებია უნ-

ხავი, თუ კი მომივიდოდა ცნობა, აქა და აქ არისო და ამას და ამას აქვსო. ამ-
როგად შეეიტყვე, რომ ჩემს ნათესავს მიხეილ ალოქსანდრეს ძე ნაკაშიძეს, იმ-
ჟამად ერევნის გუბერნატორის თანაშემწეს, სოფელ იგღირში. ერთი სომხის
სახლში ენახა და კიდევაც შეეძინა მისგან „ვეფხისტყაოსანი“. როგორც კი
გავიგე ეს ამბავი, მაშინვე მივწერე, გამოეგზავნა ჩემთვის ხელნაწერი.
გამოგზავნით არ გამოეგზავნა, მაგრამ თბილისში რომ ჩამოვიდა, თითონ ჩა-
მოიტანა. იურისტი იყო, ნიკო ნიკოლაძის, ძმები პოლტარაკებისა და სხვათა
დროის სტუდენტი პეტერბურგში. მითხრა, „რამდენ ხანსაც გინდა, გქონდეს,
ოდონდ კი სულ ნუ წამართმევ, ეს ჩემთვის სანუკვარი ნივთიაო; თორემ შენ
ისეთი სახელი გაქვს. რომ ხელნაწერი თუ ჩავივარდა ხელში. იმის წირვა გა-
მოსულიაო“. მე ვუთხარი, „რაკი ეგრეთი სახელი მქონია, შენ ხელნაწერსაც...
თუ კი რამედ ვარგა, ბოლოს და ბოლოს ეგ ბედი უნდა ეწიოს მეთქი“. გაე-
ცინა და, რა თქმა უნდა, დამიტოვა. არც კი მიკითხავს. თუ რა მიეცა ხელ-
ნაწერი. მის გარდაცვალებამდე ხელნაწერი ჩემთან იყო და მევე კი წერა-
კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმს გადავეცი—რასაკვირველია.
მისი სახელით შევწირე. მის ქვრივს ამის გამო ჩემთვის საყვედური არ უთქ-
ვამს.

ამბავი მომივიდა, რომ ერთ ჩვენს სიძველეთა მკვლევარს... მიევიდნა
დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ ელენე თარხან-მთურავის ანუ თარხნიშ-
ვილისათვის. რომელიც კონა ქსნის ერისთავის⁵² ასული და გაგარინის ცოლის
ძმისშვილი იყო (ეს ის გაგარინი გახლდათ, დაღეშქელიანმა რომ მოკლა).
თითქმის სულ იმ თავის მაგიდასთან იყო ხოლმე (განსაკუთრებით მისი
დაქვრივების შემდეგ), ძალიან უყვარდა. იმჟამად თითონაც ქვრივი იყო.
თბილისი მიეტოვებინა და ყირიმში დასახლებულიყო. გაგარინისეულ მამულ-
ში—იალტის მახლობლად. ქუჩუქ-ლამბათში. როცა შევიტყე, რომ იმ ელენე
თარხნიშვილისას „ვეფხისტყაოსანი“ შეუძენია, წერილი გავუგზავნე იალ-
ტის ცნობილ გუბერნატორს ივანე დუმბაძეს, რომელიც მე კარგად მექცეო-
და, პატივსა მცემდა. ყოჩალი კაცი იყო (ძმებს ყველას სჯობდა), მაგრამ თან-
დიდი შავრახმელი და მონარქისტი. ზედმიწევნით ახლო იდგა ნიკოლოზ მე-
ორესთან (მასზე იტყოდნენ ხოლმე. „самый приближенный человек“-ო) და
როცა ის იალტაში ჩაიღონდა, სულ თან დაჰყვებოდა. მისი მცველი და ავან-
ჩავანი იყო. მივწერე იმ დუმბაძეს, სანახევროდ ხუმრობით, მანდ შენს ახ-
ლოს თარხნიშვილის ქვრივი ცხოვრობს. იმას „ვეფხისტყაოსნის“ კარგი ხელ-
ნაწერი ჰქონია და აბა შენ იცი, თუ აიძულებ, რომ ჩვენს საისტორიო-საეთ-
ნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწიროს... მე თითონ კი თარხნიშვილის ქვრივს
შევხვდი ერთ ზაფხულს, როდესაც წასვლა მომიხდა ჩერნიგოვის გუბერნიაში.
ჩემ ძმასთან (გენერალ ვარლამ თაყაიშვილთან, რომელიც მაშინ იქ. თავის ცო-
ლის მამულში ცხოვრობდა და იმ მამულში აღმოჩენილ ქვანახშირს ამუშავებ-
და). იქიდან სევასტოპოლით დავბრუნდი საქართველოში, გზად იალტაზე გა-
მოვიარე და, რა თქმა უნდა, ქუჩუქ-ლამბათშიც მივედი ელენეს სანახავად.
მინდოდა ივანე დუმბაძესთან ერთად ვწვეოდი, მაგრამ იგი იალტაში არ დამხ-

⁵² ეს კონა გორის მახლობლად ცხოვრობდა, მგონია. ატენში. იგი მასპინძლობდა და მუ-
შაობაში ემხარებოდა ხოლმე აკად. მ. ბროსეს, რომელიც ბუერს წერს მის შესახებ თავის „რა-
პორტებში“. ე. თ.

ვდა. მის სახლში იყო მხოლოდ მისი ცოლისდა (კარგად აღარ მახსოვს, მგონი, მესხიშვილის ქალი იყო). ვთხოვე და ის გამოელაპარაკა ტელეფონით თარხნიშვილის ქვრივს; უთხრა, რომ მე მსურდა მასთან მისვლა. იმას ეთქვა ტელეფონით, არ ვიცი და მეშინია, რევოლუციონერი ხომ არ არისო? დუმბაძის ცოლისდამ აუხსნა, ვინც ვიყავი და დაარწმუნა, რომ ჩემი არავითარი შიში არ უნდა ჰქონოდა. ამის შემდეგ მივედი და ძალიან კარგად მიმიღო. აქვე აღვნიშნავ, რომ ელენე თარხნიშვილის ერთი ქალი ცოლად ჰყავდა ჩემს გიმნაზიისა და უნივერსიტეტის ამხანაგს ინჟინერ იოსებ დადიანს, რომელიც ბაქოში ცხოვრობდა და განაგებდა გაგარინის ქვრივის, ელენე თარხნიშვილის მამიდის კუთვნილ ნავთთან მიწებს. როდესაც გაგარინის ქვრივი გარდაიცვალა, იგი თბილისიდან ყირიმში, ქუჩუქ-ლამბათში წაასვენეს და გაგარინის მამულში დამარხეს. ელენეც იქ გადასახლდა, ააშენა პატარა, მაგრამ ფრიად ლამაზი ეკლესია მამიდამისის საფლავზე და უვლიდა ამ უკანასკნელს. ქუჩუქ-ლამბათში ელენე თარხნიშვილი სულ მარტოდმარტო ცხოვრობდა, თუმცა მეორე ქალიც ჰყავდა, ნადრეველ დაქვრივებული, არისტოკრატიული ცხოვრების მიმდევარი. (ამ უკანასკნელის ქმარი გრაფი იყო. გვარი აღარ მახსოვს. დავით სარაჯიშვილმა რომ სოლოლაკში სახლი შეიძინა, გადაწყვიტა მისი დანგრევა და მაგივრად ახლის (დღეს მწერალთა სასახლის) აშენება, დანგრევის წინ მეჯლისი გამართა ძველ სახლში და დიდძალი ხალხი მიიწვია. ის გრაფი და მისი მუდლუცი, ელენე თარხნიშვილის ასული იქ იყვნენ. რაღაც სულ უბრალო საკითხზე—მგონი, შინ წასვლა-არწასვლაზე—შელაპარაკდნენ, გრაფმა იწყინა. გავიდა მეორე ოთახში და მოიკლა თავი).

იქ წამოეწყო ვეებერთელა. ორსართულიანი სასახლის შენება. თითონ სრულიად გამოუცდელი და თან მიამიტი ადამიანი იყო, ამ საქმეებისა არაფერი გაეგებოდა და სახლის აშენებაც წარმოუდგენლად ძვირი დაუჯდა. ამიტომ სულ ერთთავად სწერდა ბაქოში იოსებ დადიანს—სიძესა და იმჟამად უკვე მისი ნათიანი მიწების მოურავს — და ფულს მოითხოვდა მისგან. როდესაც იოსებ უპასუხებდა, მეტი სახსარი აღარა გვაქვსო, სიდღერი უთვლიდა, დააგირავე ან გაყიდე ადგილები და ფული კი გამომიგზავნეო. ამ გარემოებას იოსები ვალებში გაეხვია და მათ შორის უსიამოვნება ჩამოვარდნილიყო, ჭორებითა და ამბის მიტან-მოტანით გაძლიერებული. ეს ამბავი პირველად თვით ელენე თარხნიშვილისაგან გავიგე. ჩემ დროს მისი სასახლე უკვე დამთავრებული იყო. პატრონი ქვედა სართულში ცხოვრობდა, ხოლო ზედა მას თვლითაც კი არ ენახა, რადგან გულის სისუსტე დასჩემებოდა და თავს მუდმივ ადგამოწყალეების და, რომელიც ხშირ-ხშირად აწვდიდა წვეთებს, გული რომ შეუღონდებოდა ხოლმე. ერთიჯ ახალგაზრდა მღვდელი დადიოდა მასთან, ტოლსტოის იდეების მიმდევარი, სხვა—არავინ.

რაკი ელენე თარხნიშვილმა ისე კარგად მიმიღო, გვახსენე, რომ ნამყოფი ვიყავი მის სახლში, თბილისს. მისი ქალისა და იოსებ დადიანის ქორწილზე. და ვკითხე, „ბაქოდან რა ამბავი მოგდით იოსებისა და რა იცით თქვენი ქალუბის შესახებ მეთქი?“ ამაზე გულამოსკენით მიპასუხა: „О—о—о! Этот хитрый мингрелец хочет меня убить, чтобы завладеть нашим имуществом!“ ამაზე გამოაცა და ვუთხარი, „თუ თქვენ ეგ ამბავი მართლა გწამთ, ახლავე უკან უნდა წაიხდეთ და ესაა, მეთქი; იოსებ დადიანი ჩემი სიყრმის ამხანაგია, გიმნაზიაშიცა და უნივერსიტეტშიც ერთად ვსწავლობდით და ვიცი, რომ ის ბუზ-

საკი ვერ მოჰკლავს, არა თუ ადამიანის სიკვდილი მორწმუნოს ან მასში გაეროს მეთქი; პირადად მე ახლა მასთან მჭიდრო კავშირი აღარა მაქვს და ვემდური კიდევც, რომ აღარა მნახულობს, მაგრამ რასაც თქვენა ბრძანებთ, ყოვლად დაუჭრებელი ჰორია და სწორედ ის ყოფილა თქვენი მტერი. ვისაც ასეთი ჰორი მოუტანია თქვენთან მეთქი!" ატირდა, გადამეხვია და მაკოცა: „არ შემძლია თქვენ არ დაგიჭერთ და ღმერთმა ქნას, რომ ეგრე იყოს, როგორც ამბობთ!" მერე აღარ გამომიშვა, მთხოვა და ერთი სამ ღღეს დაკრჩი მასთან სტუმრად. მაშინ უკვე სამოც წელს მიღწეული იქნებოდა, მაგრამ თავისი ქებული სილამაზე ჭერ კიდევ შერჩენოდა. ქართულს შესანიშნავად ლაპარაკობდა, მაგრამ ხშირად ურევდა რუსულს, როგორც საერთოდ ჩვეულებადა გვაქვს ჩვენა. სხვათა შორის, მკითხა: „Вы, наверное, много сплетен слышали обо мне?.... მე მიუღუ: „Княгиня, я сплетен никогда не слышу!“-მეთქი. მერე დაწვრილებით მოვეუყევი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობისა და მისი მუშეუმის, ამ უკანასკნელის გასამდიდრებლად ჩემი მეცადინეობის ამბავი; ვუთხარი, ყველა ძველი ქართული ოჯახი ხალისით მაძღვეს მუშეუმისათვის ნივთებსა და ხელნაწერებს და თქვენც არ უნდა დაიშუროთ, თუ კი რამე მოგვეძევათ მეთქი. ხოლო რომ ბევრი რამ მოეძევაოდა იმ მარტომარტო დარჩენილსა და დასწეულბულ ქალს, აშკარა იყო: ხელნაწერზე რომ აღარა ითქვას რა, რომლის ძებნამაც მასთან მიმიყვანა, იქ ვნახე იმერეთის მღფის სოლომონ პირველის ასულის (კონა ერისთავის დედის, ე. ი. თვით ელენეს ბების) სურათი, გერმანელი მხატვრის მიერ ფერადებით დახატული იმერეთში, XVIII საუკუნის მიწურულს. იმ მხატვრის სხვა სურათებიცა შემორჩენილი (ერეკლე მეორისა და რამდენიმე დიდებულის პორტრეტები) და მუშეუმში ინახება. სურათი ჩარჩოში იყო ჩასმული და კედლზე ეკიდა. ელენე თარხნიშვილსავე ჰქონდა თბილისში თვით მისი სურათი, დახატული ჰუნგრელი მხატვრის, ეტლინგერის ქალის (ელენეს ნათესავი ერისთავის ცოლის) მიერ, ძლიერ ლამაზი (იმ ეტლინგერ-ერისთავისას შემდეგ პარიზში შევხვდი)... ვუთხარი, ხელნაწერებსა და ნივთებს გარდა, ძველ სურათებსაც ვაგროვებთ და ეგ სურათებიც უნდა დავკითხოთ მეთქი. მითხრა, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე ივანე ღუმბაძემ საშველი აღარ მომცა, სულ მეუბნებოდა, რომ მისთვის გამოძეტანებინა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე, რადგან რაც რამ განძეული მაქვს, იალტის ხაზინაში შევიანახე შიშიანობის გამო (პირველი რევოლუციის ხანა იყო) და სანამ არეულობა არ მიწყნარდება, იქიდან ვერც გამოვიტანო. ახლა ჭერ ვერც სურათებს მოგცემ, რადგან იმპერატორი ნიკოლოზ მეორე იალტაში როცა ჩამოღის, ხშირად დასეირნობს ამ არე-მარეში; მითხრეს, შენთანაც აპირებს მოსვლასაო და რომ მოვიდეს, სხვა რაღა ვაჩვენო. აქ არაფერი მაქვს. თუ არ სოლომონ მეფის ქალის სურათიო? ისე კი, გაძღვეთ პატიოსან სიტყვას და მერწმუნეთ, რომ არა თუ ამ სურათებს, არამედ აგრეთვე აუარებელ ვერცხლულს, ნოხებს, ძველ ნაქარგ-ნაკერობასა და იმ „ვეფხისტყაოსანსაც“ ანდერძით თქვენ დაგიტოვებთ, ოლონდ დამიწერეთ დაწვრილებით, თუ ვის სახელზე და როგორ დაეწერო ის ანდერძიო!“ მეც ჩამოვეწერე, უნდა დაუტოვოთ მეთქი ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, თბილისში. მერე მითხრა, თუ ახლა იალტაში გაბრუნდებით, ვაგატანთ რწმუნების ქალაღდს ხაზინაში, რომ ის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მინც მოგცენო. მე უუპასუხე, სამწუხაროდ. ახლა აღარ შემძლია გაბრუნება, მეჩქა-

რება, მაგრამ თქვენ თუ გამოიტანოთ, თბილისში გამოიგზავნეთ მეთქი. სხვა-
თა შორის, სოლომონ მეფის ქალის ნაქონი ზოგი ნივთი და მათ შორის ყავის
საფუქელი, საისტ-საეთნოგრ. საზოგადოების მუზეუმს შემოსწორა კონა ერის-
თავის მეორე, გაუთხოვარმა ქალმა, ელენე თარხნიშვილის დამ.

მარლაც გამოეტანა ხაზინიდან ის ხელნაწერი და მას მერე სულ თავის-
თან ჰქონდა. ჩემს მერე იოსებ დადიანი, მისი ცოლი და ცოლისდა ჩამოსულიყ-
ვინე ქუჩუქ-ლამბათში და იოსები შერიგებოდა სიდელრს. ამ უკანასკნელს ექ-
ლია ხელნაწერი ჩემთვის გადმოსაცემად, მაგრამ იოსებს არ გამოერთვა, ეთქ-
ვა, „მე ახლა პირდაპირ თბილისში არა ებრუნდები, გზად სხვადასხვა ადგი-
ლებში უნდა გავიარო და ვაი თუ სადმე დამეკარგოსო!“ ეს ამბავი თითონ
იოსებ დადიანმა გადმომცა. მე, რასაკვირველია, დიდი საყვედური ვუთხარი.
მაგრამ რაღას უშველიდა საქმეს? ის კი არა და, მერე თურმე ისიც სიანაურად
გამიხდებოდა, მე თითონ რომ არ დავუჭერე ელენე თარხნიშვილს და იალტის
ხაზინიდან არ წამოვიღე ხელნაწერი.

საფრანგეთს რომ გავემგზავრე, იოსებ დადიანს შეეხვდი: პარიზის მახ-
ლობლად, სევრში ცხოვრობდა და იქ ვინახულე. კარგა ხანს ვისაუბრეთ სხვა-
დასხვა საგნებზე. მერე გავიდა მეორე ოთახში და რაღაც ყდიანი ხელნაწერი
გამომიტანა. დაეხედე—„ვეფხისტყაოსანი“ იყო, სურათებიანი. მიაშბო: „ეს ის
ხელნაწერია, რომელიც შენთვის გადმოსაცემად მაძლია სიდელრმა ქუჩუქ-
ლამბათში, მაგრამ, როგორც ვითხარი, მაშინ ვერ წამოვიღე და ხომ გახსოვს,
რა დავი-დარაბა ამიტეხე ამის გამო? ემიგრაციაში რომ წამოვივდი, ერთხანს
კონსტანტინეპოლში ვცხოვრობდი და, ვნახოთ, იქ მომიტანა ერთმა ქართველ-
მა ეს ხელნაწერი და მეუბნება, სევასტოპოლის ბაზარში ვიყიდე და ახლა ვყი-
დიო. მე ვუთხარი, ეგ ხელნაწერი ჩვენი ოჯახისა იყო, ქუჩუქ-ლამბათში ინახე-
ბოდა და სევასტოპოლის ბაზარზე რა უნდოდა მეთქი? ცხადი იყო, რომ ტყუ-
ილს ამბობდა: რევოლუციის დროს ქუჩუქ-ლამბათი აეკლოთ. ჩემი სიდელრა
იქ გარდაცვლილიყო და მისი ნივთებიდან ჩვენ აღარაფერი გვიანახავ. მაინც
დავიწყეთ მე და ხელნაწერის მომტანმა ვაჭრობა და ბევრი დავის შემდეგ 1000
ლირად მომიყიდა“. მე ვუთხარი, „ახია შენზე, რომ ეგრე ძვირად დაგჯდომია
ეგ ხელნაწერი შენი დაუდევრობის წყალობით; ახლავე გამიხვიე ქალაქში
მეთქი!“ „მოგაქვსო?“, მკითხა. „მამე შენ დაგიტოვებ? ეგ ხომ შენი სიდელრის
შემოწირულია მეთქი!“ ხმა აღარ ამოულია, გამიხვია ქალაქში და გამომა-
ტანა.

მას შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში, ოც წელიწადს იყო ჩემთან ის ხელ-
ნაწერი. რა თქმა უნდა, აღწერე⁵³, — ყველა ცნობილ ხელნაწერს შე-
ვალარე, მის შესახებ მოკლე ცნობები იქვე გამოვაცქეყენე (გაზ. „საქართვე-
ლო“, 1935, № 118), აღწერილობა თბილისის უნივერსიტეტსაც გამოუგზავნე,
მაგრამ გამოცემით კი, აბა, რას გამოვეცემდი, სადა მქონდა ამის საშუალება?
ხელნაწერში კარგი მინიატურები იყო—ზოგი უფრო ძველი, ვიდრე სხვა ცნო-
ბილ ხელნაწერებში. სამი თუ ოთხი მათგანი იმეამად პარიზს მყოფმა მხატვარ-
მა დავი კაკაბაძემ გადმოიღო ფოტოგრაფიულად და გამოუგზავნა ძმას, სარ-
გის კაკაბაძეს. რომელმაც ისინი დაბეჭდა თავის მიერ გამოცემულ „ვეფხის-
ტყაოსანში“.

⁵³ ამ ხელნაწერის აღწერილობა ჩვენშიც დაიბეჭდა ახლახან, რაი იგი ღიდ შეცნიერულ
ინტერესს იწვევს რუსთველოლოგთა მხრივ. (ელენე თარხნიშვილის ხელნაწერი ვე-
ფხისტყაოსანი, „მნათობი“, 1962, № 2).

ბოლო ხანებში იოსებ დადიანის ოჯახი ერთობ უმწეო მდგომარეობაში ჩაჯარდა უსახსრობის გამო. მოვიდა ჩემთან იოსები და დიდი მორიდებითა და დარცხვენით მითხრა: „შინ ქალებმა ლამის შემკამონ (ცოლსა და ცოლისდას გულისხმობდა), დედაჩვენი ხელნაწერი რომ თაყაიშვილს გადაეცო; იმის შეწირვას, მართალია, დაპირებია დედაჩვენი, მაგრამ მან ხომ ვერ შეასრულა დაპირება და მერე ხომ შენ შენი ფულით იყიდე, ახლა ჩვენია და რომ გავყილოთ, კარგ ფასსაც მოგცემენო; ამიტომ უთხარი თაყაიშვილს, დაგვიბრუნოსო!“ ერთხანს არ ვაძლევდი, მაგრამ მერე თითონ ქალებმაც მომაკითხეს; ვნახე, რომ მართლაც ძალიან უჭირდათ, შემებრაღენ და დაეუბრუნე ხელნაწერი. იმათ ჯერ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკას შესთავაზეს და მეც კი მინდოდა, რომ პარიზშივე დარჩენილიყო, რათა მაინც მისაწვდომი ყოფილიყო. ბიბლიოთეკის გამგე მინდობდა და მომწერა, მაცნობეთ, თუ რას წარმოადგენს შემოთავაზებული ხელნაწერი, რა ღირსებისააო. მეც მივწერე, მართალია, ხელნაწერს თავშიცა და ბოლოშიც აკლია, მაგრამ საწერი მასალისა და ხელის მიხედვით იგი XVII საუკუნეს მიეკუთვნება, ტექსტი მრავალ ვარიანტს შეიცავს სხვა ამგვარ ხელნაწერებთან შედარებით, თან საყურადღებო მხატვრული მინიატურებითაა დასურათებული და სასურველია, რომ შეიძინოთ ეს ძვირფასი ხელნაწერი მეთქი. მაგრამ ბიბლიოთეკის გამგე ვერ მოურიგდა დადიანებს: მგონი 10.000 ფრანკზე მეტი ვერ შეაძლია. დადიანებს აღმოაჩნდათ ერთი კარგი ნაცნობი მდიდარი ინგლისელი, რომელსაც, ეტყობა, ცოტა რამ გაეგებოდა ძველი ხელნაწერებისა, და აჩვენეს მას. ინგლისელს დიდად მოსწონებოდა ხელნაწერი და ეკითხა, თუ გაქვთ ცნობა, რომელი საუკუნისააო? ვპასუხნათ, ხელნაწერს თარიღი არ უყვრია, მაგრამ პროფ. თაყაიშვილი XVII საუკუნეს აკუთვნებდა. ინგლისელს ეთქვა, ბევრი ძველი ხელნაწერი მინახავს, ვერკვევი მათში და ეს ხელნაწერი, მასალის მიხედვით, XVII საუკუნეზე უფრო ძველი უნდა იყოსო (ქალაქი კია, მაგრამ სქელია და ტყავსა ჰგავს!). რაღა ბევრი გავაგრძელო, იმ ინგლისელმა (რომლის არც ვინაობა ვიცი და არც ხელობა, არ მინახავს) იყიდა დადიანებისაგან ხელნაწერი 25.000 ფრანკად. ამ ფულმა მისცა საშუალება იოსების ცოლისდას, გრაფის ქვრივს, თავის შვილთან წასულიყო მაროკოში (თავისი წილი, 15.000 ფრანკი წაიღო) და დადიანებმაც ცოტა ხანს სული მოითქვეს. იოსებს ექვსი ქალიშვილი ჰყავდა, ერთიმეორეზე ლამაზები. ერთი მათგანი შეირთო ვიორჯი ამილახვრის ვაჟმა, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო და გენერალ დე-გოლს ჰყავდა ადიუტანტად. მეორე მსოფლიო ომის დროს მოჰკლეს სირიაში და დე-გოლი ძალიან დიდ ხანს უამბობდა თურმე მის გმირობას ტელეფონით იქიდან პარიზში თავის მომხრეებს... ინგლისელმა კი ბოლოს ბრიტანეთის მუზეუმს შესწირა ელენე თარხან-მოურავის ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“ და ამით გათავდა იმ ხელნაწერის ამბავი.

საერთოდ, განზრახული მაქვს, აღწერილებით აღვეწერო „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენ მიერ მოგროვილი ყველა ხელნაწერის თავგადასავალი, საითთაოდ. და გამოვაქვეყნო, მაგრამ — სხვა დროს...

არასოდეს არც ერთი ხელნაწერი არ დამკარგვია, გარდა ქსნის ხეობის მოსახლეობისა და გორელთა აღწერის დავთრებისა. საქმე ასე იყო: დასაბეჭდად მქონდა გამზადებული, როდესაც ივანე ჭავჭავიძელმა მთხოვა მათი გამოქვეყნების ნებართვა და გავუგზავნე კიდევაც პეტერბურგში. მას დავთრები ცალკე აღარ გამოუცია, მხოლოდ „საქართველოს ეკონომიურ ისტორია“-ში გამოიყენა. მერე დავთრები აღარ მინახავს და დიდ ხანს მეგო-

ნა, რომ ისინიც დაიკარგა. ივანეს მიერ თბილისში ეავონით გამოგზავნილ ბიბლიოთეკასთან ერთად, სამოქალაქო ომის დროს არეულობამ რომ იმსხვერპლა ძალიან გულს მაკლდა. საფრანგეთიდან რომ დავბრუნდი, მაინც ერთხელ კიდევ ვცადე ბედი და ვთხოვე განსვენებული ივანე ჯავახიშვილის არქივის გაშვება, მის აუტოს ნათელას. ეგება ნონახოთ მეთქი. ერთხელ მითხრა, ვერ ვნახავო: თურქე ხელნაწერებში ეძებნა. მეორედაც ვთხოვე. იპოვნა და ძალზე გამახარა. „რა ვიციოდი, თუ შეიძლებოდა წიგნებში ჰქონოდა მამაჩემს შენახული, ყოველი შემთხვევისათვის დაეთავალიერე და მათში იყოო“. საბედნიეროდ, ივანესაც სიფრთხილე გამოუჩენია და ეს ისტორიული საბუთები ბარგთან ერთად კი არ გამოუგზავნია, არამედ თავისთან დაუტოვებია და ამას ვადაუტრჩენია ისინი. დიდი დანაკლისი კი იქნებოდა, რომ არ აღმოჩენილიყო. ქვემო ქართლის მოსახლეობის ასეთივე აღწერილობა ხომ აღრევე მაქვს ცალკე წიგნად გამოცემული, არაგვის ხეობისა—„საქართველოს სიძველეთა“ ერთ-ერთ ტომში; ხოლო ახლა ქსნის ხეობისა და გორის მოსახლეობის აღწერილობაც გამოვეცი, თუმცა კი დიდი დაგვიანებით⁵⁴. ქსნის ხეობის აღწერილობა ორი გრაგნილისაგან შედგება და ისროლისხვე-მეჭვრისხვე-ატენსაც შეიცავს. გორელებისა ერთი გრაგნილია. აღარც კი მახსოვდა, თუ ისიც ახლდა თან ქსნის დავთარს. ჩანს, ორივე ერთად შემოიძენია თავის დროზე (და მერე ერთად გადამიცია ჯავახიშვილისათვის). ეს იყო 1908 წელს, როდესაც ქსნის ხეობაში დავმოგზაურობდი არქეოლოგიური მიზნით და სოფელ იკოთში, ფიცხელაურთა ოჯახში მივედი. იქ ვახტანგ ივანეს ძე ფიცხელაურის დედას ჰქონდა ეს დავთრები, 35 სხვა სიგელ-გუჯართან ერთად, და იმან შემოსწირა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ის სიგელ-გუჯრები გამოცემულია... დავთრები ერეკლე მეორის ბრძანებითაა შედგენილი—ჩანს, მორიგე ჭარისათვის, მისი „ლაშქარნივისისა“ და მდივნის მიერ. შიგ იხსენიება „ქსნის ერისთავის მოურავი ფიცხელაური“ და, ეტყობა, შთამომავლობით გადმოსცემია ის საბუთები ვახტანგ ფიცხელაურის ოჯახს.

ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილს ძველად არაფერი გაეგებოდა იმ მუშაობის მნიშვნელობისა, რომელსაც მე და ჩემი ამხანაგები ვეწეოდით და ხელსაც კი გვიშლიდნენ ზოგჯერ. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში რომ უმეტესობა მენშევიკებმა და სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს, მე იძულებული შევიქმენი გამოვსულიყავი გამგეობიდან: მათ შორის ძალიან ბევრი იყო მჩაბტე კაცი, რომლებსაც არც სწამდათ და არც შეეძლოთ არაფერი, გარდა პოლიტიკური ფრაზისა და, მიუხედავად იმისა, რომ შიგ ჩემი ნაშრომებიც ერიენ. მე მათთან ერთად მუშაობა ვერ შევიძელი. მდივნად სარგის კაკაბაძე მოიწვიეს, შეიწირეს ახალი წესი: ხელნაწერებს აღარავის ატანდნენ შინ წასაღებად და მეც კი ამიკრძალეს ეს—მე, რომელმაც იმდენი რამ ვაკეთე ხელნაწერთა ფონდის გასაძლიერებლად, ხოლო თვით ბიბლიოთეკაში მუშაობა სრულიად შეუძლებელი იყო, რადგან ის ოთახი ყოველდღიურ თავმოსაყრელ და სასაუბრო ადგილად იყო ქცეული იმთავითვე. ყოველივე ამან მიძულა შემეწყვიტა მუშაობა „Описание рукописей“-ს გამოცემაზე. თორემ ერთი, მესამე ტომი კიდევ გამოვიდოდა. კ. კეკელიძისათვის მქონდა დავალებული, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებიდან, მიზეზელ მოდრეკილის საგალობელთა გამოცემა (მასზე უკეთ ამას ვინ გააკეთებდა?!),

⁵⁴ თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951.

ჩვენმა საზოგადოებამ სთხოვა წერა-კითხვისას, გაეტანებინათ ცეკლოძისათვის. მაგრამ აღარც იმას დაანებეს ხელნაწერი და ასე დღემდე გამოუცემელი დარჩა. მაშინ ძალიან ვინაობ, რომ ზოგი ხელნაწერი პირადად ჩემთვის არ შევიძინე, ხომ ვერაფერ შემიწოდა ხელს მათ შესწავლა-გამოცემაში მეთქი?!

სხვათა შორის, მუშაობის პირობების გაართულების ბრალია ჩემი ერთი მოუტევებელი შეცდომა „Описание“-ს II ტომში რომ მომივიღა: „შაჰ-ნაშე“- დიდი ხელნაწერი ყოფილიყო, XVII საუკუნისა, დაფუშული, „როსტომიანი“ იწყებოდა და მე კი „ყარამანიანი“ დაწერე, XVII საუკუნისა, რადგან ასე ჰქონდათ კატალოგში ჩაწერილი. ხელნაწერის ნახვის საშუალება რომ მქონოდა, ასეთი მარცხი ხომ არ დამემართებოდა?! ამ ბოლო დროს პროფ. ალ. ბარამიძემ შეამჩნია ჩემი ეს შეცდომა და უკვე აქვს აღნიშნული, მაგრამ მაინც ძალიან მეუხებრებულა.

როგორც უკვე აღვნიშნე, მიუხედავად ჩემი იმედისა და მოლოდინისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა გროვებაში, ერთხელაც იქნებოდა, XVII საუკუნისაზე უფრო ძველ ნუსხასაც აღმოვაჩენდი, ჯერჯერობით არც მე და არც სხვა ჩვენ მკვლევარს ასეთი არ მიუფიქრია და XVII საუკუნე რჩება „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხათა უძველეს თარიღად. თუმცა ამ დანაკლისს რამდენადმე ავსებებს საქართველოს მუზეუმის (ერთ დროს—ვარძიის მუზეუმის) მეცნიერი თანამშრომლის ვ. ცისკარიშვილის საინტერესო აღმოჩენა, რომელსაც ის გამოაქვეყნებს კიდევაც⁵⁵. ეს არის წარწერები ჯავახეთის ერთ კლდეში ნაკვეთი მონასტრის, ვანის ქვაბების კედლებზე და ისინი, უტყობა, სალოცავად მისულთა მიერაა გაყეთებული. ზოგს სხვადასხვა ცხოველებიც დაუხატავს ზედ: ლომი, ირემი და ა. შ. წარწერებში ყველაზე საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სტროფი, ნესტან-დარეჯანის წერილის დასაწყისი: „ციხეს ვზი ვზომ მაღალსა, თვალნი ვერ შემოწვდებიანი“. მერე და ეს წარწერები ხომ ნამდვილად XV საუკუნეს ეკუთვნიან, ასე რომ თავისებური „ნუსხა“ გვაქვს „ვეფხისტყაოსნისა“, ორი საუკუნით უფრო ძველი დღემდე ცნობილ ხელნაწერებზე. თან ისიც დიდად მნიშვნელოვანია, რომ უბრალო მლოცველი წერს იმ გამოქვაბულის კედლებზე და არა ვინმე დიდებულნი! ყოველივე ამის გამო ვ. ცისკარიშვილის ეს წერილი ძალიან საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ მკაფიო ფოტოები ახლავს თან.

ახლა მინდა ზოგი რამ გავიხსენო იმის დასახასიათებლად, თუ რა მონაწილეობას იღებდა—უფრო სწორად, ვაიძულებდით რომ მიეღო—ქართულ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ქველმოქმედების სახით, ჩვენი ბურჟუაზიის ზოგიერთი თელსაჩინო წარმომადგენელი.

1905 წლის რევოლუციის ხანაში გავ „ივერიის“ რედაქტორად, როგორც უკვე ითქვა, არჩეულ იქნა ფილიპე გოჯიჩაიშვილი. ასეთი არჩევნები ხდებოდა ამ საქმეების მოთავე ინტელიგენციის კრებაზე. იმ კრებას, მახსოვს, ვესწრებოდი: ი. გოგებაშვილი, ნ. ცხველაძე, გაზეთის გამომცემელი პაულე („პაულეშა“) თორაიშვილი, მე და სხვანი. ი. გოგებაშვილი ვადამაჯვდა, მოჰკიდებ ხელს „ივერიის“ რედაქტორობასაო, მაგრამ მე ძალიან შორს დავიჭირე და კატეგორიული უარი ეთქვი, ჩემი საქმე არაა, მაგისი არაფერი გამეგება მეთქი. ბოლოს არჩევანი ფილიპეზე შეჩერდა... „ივერიის“ გამოსაცემ ხარჯს იღებდა ერთი იმ ზუბალაშვილთაგანი, რომელთაც ნათის მდიდარი სარეწაოები ჰქონდათ ბა-

⁵⁵ ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, „მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1954, გვ. 175—176.

ქოში. მათ შორის ყველაზე უფრო გულუხვი და მართლაც შეგნებული ქართველი პატრიოტი იყო ანტონი, რომელმაც ააშენა ე. წ. „სახალხო თეატრი“, ნაშდვილად კარგი არქიტექტურული ნაგებობა⁵⁶, და მხოვან საზოგადო მოღვაწეთა თავშესაფარი თუ საერთო საცხოვრებელი⁵⁷ (სხვათა შორის, პროფ. ა. ცაგარელი რომ მოხუცდა, იმ სახლში ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა). ანტონ ზუბალაშვილმავე აღგვითქვა დიდი დახმარება ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის აგებაში (ახლა რომ უნივერსიტეტია; მისი აშენების ისტორია ცალკე მინდა გავიხსენო), მაგრამ ბოლო დროს კი იცვალა აზრი, როგორც პრაქტიკულმა კაცმა, როცა დაინახა, რომ ნიკო ცხედაძემ საზღვარს გადააბიჯა და ისეთი უზარმაზარი რაღაც წამოიწყო, რის ღირებულებაც ნახევარ მილიონს მაინც მიაღწევდა. თავდაპირველად ზუბალაშვილს ეგონა, რომ 120—130 ათას მანეთზე მეტი არ დაუჯდებოდა, მერე კი ძალზე შეშინდა, მაგრამ ალბათ მაინც გამოიღებდა საჭირო თანხას, უეცრად რომ არ გარდაცვლილიყო. მის მეგვიდრედ დარჩა უმცროსი ძმა, სტეფანე ზუბალაშვილი. ერთ ხანს ისიც ხელგაშლით ეხმარებოდა ფულით ყოველგვარ ქართულ საზოგადო საქმეს, მაგრამ თითონ აქ არა ცხოვრობდა, მეტწილად საზღვარგარეთ იყო ხოლმე, უფრო—პარიზში. სხვათა შორის, იმ ანტონისა და სტეფანეს მამასვე ჰქონდა უკვე კარგა დიდი ქონება, მაგრამ რომ მივიდნენ და დახმარება სთხოვეს, უპასუხა: „მე რასა მთხოვთ, ცალი ფეხი სამარეში მიდგია, კიდევაც რომ მოგცეთ, მცირე რასმე მოგცემთ, თქვენ ვერ დაგაკმაყოფილებთ; ცოტა დამაცალეთ. დღეს თუ ხვალ მოგკედები და მაშინ ჩემი შვილები ბუერს მოგცემენ, მე კი, როგორც ერთი სიღარიბეში გაზრდილი კაცი, არა ვარ ხელგაშლილი“. საერთოდ ყველანი პრაქტიკული ადამიანები იყვნენ, როგორც კათოლიკე ქართველებსა სჩვეიათ... რაკი სტეფანე საქართველოში იშვიათად იყო ხოლმე, საზოგადო საქმეებისათვის ფულის ხარჯვა მიახლო თავის ახლო ნათესავს (მგონი დისწული იყო) პავლე ფუმანიშვილს, რომელიც ძალიან გულმხურვალედ ეკიდებოდა ყოველგვარ ჩვენებურ საზოგადოებრივ საქმიანობასა და. კერძოდ, ეურნალ-ვაზეთების გამოცემას: ასე, მაგალითად, „ივერია“-საც იმ აძლედა ფულს, პ. გოთუას რუსულ გაზეთსაც (რომელიც დიდხანს გამოდიოდა, დიდ ჰონორარებს აძლევდა თანამშრომლებს და ძვირიც ჯდებოდა) და საბავშვო ეურნალ „ნაქადულ“-საც. სხვათა შორის, 1910 წელს სვანეთს რომ წავედი ექსპედიციაში, ის პავლემც აპირებდა გამოყოფას, მაგრამ ველარ მოახერხა. ბოლოს, სტეფანე ზუბალაშვილი როცა დარწმუნდა, რომ პავლე დიდძალ ფულს უხარჯავდა და მარჯვნივა და მარცხნივ დაუზოგავად არიგებდა ამის ქონებას, შეუწყვიტა ფულის ძლევა და ყოველგვარი კავშირიც მოსპო მისთან; და არა მარტო მისთან, არამედ საერთოდ ქართველობასთან. ამის მთავარი მიზეზი „პავლემას“ მიერ ფულის ფლანგვა კი არ იყო, არამედ შემდეგი გარემოება. იმ დროს პარიზში გამოდიოდა ერთი ქართული გაზეთი, რომელიც საქართველოს განათარსუფლებების იდეას ემსახურებოდა. ბელგიაში კი ცხოვრობდა აქედან გაქცეული ერთი პიროვნება... რომელსაც ჩვენში აღარ დაედგომებოდა. სხვათა შორის, იმ გაზეთის რედაქტორს ერთხელ შევხვდი თბილისში, ილიასთან იყო მოსული წერა-კითხვის საზოგადოებაში, და რაღაც უხეშად და თან ბავშვურად ელაპარაკებოდა: „თქვენ. საზოგადო მოღვაწეები, არ ვარგისიართ,

⁵⁶ ახლა კოტე მარკანიშვილის სახ. თეატრი.

⁵⁷ ამჟამად ბავშვთა საავადმყოფო, სასამართლოს ქუჩის ბოლოში.

საქართველო ვერ გაათავისუფლეთ და აი, ჩვენ კი გაათავისუფლებთო!“ ამაზე ილიამ ისე მკვახედ უპასუხა, რომ გამიკვირდა კიდეც: „მაგისთანა ლათაიები ბევრი ვაგვიგონია და ვაკეთებული საქმე კი არავისი გვინახავსო!“.. ჰოდა, ერთ ღღეს მისულან ის რედაქტორი და ზემოხსენებული ავანტიურისტი... პარიზში სტეფანე ზუბალაშვილთან, დასდგომიან თავზე რევოლვერებით და უთქვამთ, „200.000 ფრანკი მოგვეცი, თორემ მოგვკლავთო!“ სტეფანე მშინარა კაცი იყო და მაშინვე გამოუწერა 200.000 ფრანკის ჩეკი. მაგრამ ამის შემდეგ მან სავე-ბით შეაქცია ზურგი ქართველებს, საფრანგეთის ქვეშევრდომი გახდა და ლუვე-რის მუზეუმს შესწირა შესანიშნავი, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე კოლექ-ცია სურათებისა და ნივთებისა. კოლექცია მას შემკვიდრებით ჰქონდა აღლე-ბული იმ ძმისაგან, რომელიც ფლორენციაში ცხოვრობდა. დაშინებული სტეფა-ნე გულმოდგინედ იძალბებოდა, კაცმა მისი ასავალ-დასავალი აღარ იცოდა და ქართველთაგან მას საქმე ჰქონდა მხოლოდ ფილიპე გოგიჩაიშვილთან, რო-მელსაც მინადო საქართველოში დარჩენილი უძრავი ქონების (მამულებისა და სხვ.) ლიკვიდაცია. მისამართს არც ფილიპეს აძლევდა და ეს უკანასკნელი დიდი საიდუმლოებითა და ვაი-ვაგლახით ახერხებდა ხოლმე მასთან შეხვედრას. ბოლოს ფილიპემ მოათავა მისი კომერციული საქმეების ლიკვიდაცია... პავლე თუმანიშვილს ბიძამისის ფულს გარდა თავისი საკუთარიცა ჰქონდა: დედამისი იმ ზუბალაშვილების და იყო და მან დაუტოვა; მეორე შვილიც ჰყავდა, მაგრამ „პავლუშა“ უფრო უყვარდა და სულ იმას აძლევდა ხოლმე. პავლეს დიდისეული ფულიც შემოეხარჯა და მეორე ძალიან ლარიზდა ცხოვრობდა, პოლონეთში. იქ ერთი იქაური, მოზრდილშვილებიანი ქალი შეერთო და წერილს წერილზე უგ-ზავნიდა ბიძას, მომეხმარეო. ბიძა კი არაფერს უპასუხებდა. ბოლოს მისი გა-მონაცვლი ტანისამოსი სთხოვა, მაგრამ არც ის გამოუგზავნა. ასე, სულ წაუზ-და საქმე პავლეს. საწყალი, როდესაც ქონება გამოეცალა ხელიდან, დაიბნა და ფხა ვერ გამოიჩინა!... იმ ზუბალაშვილების გახსენებას სხვა დროსაც ვფიქ-რობ; სულ ოთხი ძმა იყო...

კონიაკის მეწარმის დავით სარაჯიშვილის შესახებ ზემოთ უკვე არაერთგ-ზის მომიხდა საუბარი და ეს ბუნებრივია, რადგან ის, ჭერ ერთი, ჩვენებუ-რი ბურჟუაზიის მეთაურად ითვლებოდა და, მეორეც, ყველაზე უფრო დაახ-ლოებული იყო ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. მას მართლაც ხშირად აწუხებდნენ ფულის თხოვნით, ზოგიერთისათვის ჩვეული უტიფრობით. ხშირად უთქვამს ხოლმე: „რაცა მაქვს, ათი იმდენიც რომ მქონდეს. მათ თხოვნიან მაინც(კ ვერ დაეკამაყოფილებდიო“. ქართველების მიმართ ასეთ აზრს იგი არც მალავ-და, სხვათა ქებასთან ერთად, და ერთხელ პირადადაც მიიხრა. საქმე ასე იყო. უნივერსიტეტიდან ჩამოსვლის შემდეგ პირველ ხანებში სარაჯიშვილთან არ დავდიოდი, თუმცა კი ვიცნობდი. მან კი იცოდა, რომ კარგი დამოკიდებულე-ბა მქონდა მის მეგობართან, პროფესორ ალ. ცაგარელთან და სხვებივით ყურ-მოკერთა და ხელაღებით არა ვლანძღავდი და ვაძაგებდი მას „Мингрельские зюды“-ს გამო; ვაფასებდი მის დიდ ნიჭიერებასა და ღვაწლს. ერთხელ, რო-დესაც არქეოლოგიურ ექსკურსიებზე სიარული უკვე დაწყებული მქონდა, შე-ვიარე დ. სარაჯიშვილთან, მის ქარხანაში (ოლფას ქუჩაზე⁵⁸): ალ. ცაგარელი-

⁵⁸ ახლა ლენინის ქუჩა. სარაჯიშვილისეული არაყ-კონიაკის ქარხანა. შემდგომ „სამატრეს-ტის“ კუთვნილი, ბოლო დრომდე იღვა იქ (მელინსკის ქუჩის კუთხეში), ვიღაც გაზუთების რედაქციის დიდ შენობას არ ააგებდნენ და საამისოდ კი ქარხანას არ აიღებდნენ.

სათვის წერილის მიწერას ვაპირებდი და მისი მისამართის გაგება მინდოდა. კაბინეტში რომ შევედი, სარაჯიშვილმა დამიძახა, „მოდი, მოდი, აქ დაჯექიო“ და მეც დავექეი. მითხრა, „ვიცი, რომ შენ კარგი აზრისა ხარ ცაგარელზე, მაგრამ მისი მისამართი მაინც რად გინდაო?“ მე ვუთხარი, „ერთი წიგნი მჭირია ძალიან, აქ არ იმოვნება და ვაპირებ მივიწერო, ან მიშოვნოს, ან დროებით მათხოვოს მეთქი“. მერე მკითხა, „მა ზაფხულს რა გაქვს განზრახულიო?“ (ეს მოხდა 190? წელს, ზაფხული უკვე კარს იყო მომდგარი). ვუპასუხე, ახალციხე-ახალქალაქ-არტაანის მაცხოვრებელ მივდივარ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მეთქი. „მერე და ფული გაქვსო?“ ვუთხარი, მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ მომწოდა 200 მანეთი უვაროვას მეშვეობით მეთქი. „მაგ ფულს ხომ უკვე შესაძლებელიო?“ „როგორ თუ შეეკამდი, საექსპედიციოდ გამოგზავნილი ფულის სხვა რამეზე დახარჯვა როგორ შეიძლება, მაშინ ხომ ექსპედიციაში ველარ წავალ მეთქი?“ „მერე და სად ინახავ ფულსაო?“—აღარ მომეშვა, რაღაც ასირებულ კაცი იყო! „სად შევინახავ? ჭიბეში მიღვეს, თქვენსავეთ მიღდარი ხომ არა ვარ. რომ ბანკში მჭონდეს მეთქი“. „აბა, მაჩვენეო!“. ამოვიღე და ვაჩვენე. ამაზე მითხრა: „ჰოო-ო, აბა შენ ქართველი არა ყოფილხარ, რაკი ეგ ფული არ შეგიკამიაო! მაგრამ ეგ რას გეყოფაო?“ მე ვუთხარი, „რასაკვირველია, არ მეყოფა და ჩემ საკუთარ ფულსაც დაეადებ მეთქი“. მერე დაუძახა თავის ზახინადარს, ცოლის ნათესავს, ფორაქიშვილს და ჰკითხა: „Для археологии в бюджете не числится“-ო. „მოიტანეთ 100 მანეთი და მიეცით ამას არქეოლოგიისათვისო“. იმნაც მოიტანა ფული და მომცა... მას შემდეგ სარაჯიშვილი ზშირად მპატიობდა ხოლმე შინ სადილად, მეტადრე მაშინ, თუ სტუმრად ჰყავდა გრაფინია უვაროვა, ან სხვა ვინმე მკვლევარი და მეცნიერი, საქართველოს ძეგლებითა და ისტორიით დაინტერესებული. ერთი ასეთი მიპატიებების დროს, მის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ გადარჩენა ფრანგი ბარონისათვის ჩუქებისაგან ზემოთ დაწერილებითა მაქვს მოთხრობილი...

პირველ ხანებში დავით სარაჯიშვილს კომერციული საქმეები ვერ ჰქონდა მინცდამაინც მყარად დაყენებული, მაგრამ მერე მისი წარმოება თანდათან გაიზარდა, განმტკიცდა და, როგორც მისი ქარხნის გამგისაგან გამოვიჩინა. წლიურმა შემოსავალმა 70.000 მანეთს მიაღწია. ეს კი მაშინ დიდი ფული იყო და იმოდენა ქონების პატრონი ქართველი სხვა არც მოიპოვებოდა საქართველოში, გარდა ნავთის მრეწველი ზუბალაშვილების მამისა, რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ქარხნის გამგედ დავით სარაჯიშვილს ჰყავდა ვანო სარაჯიშვილი და საერთოდ ორი თუ სამი სარაჯიშვილი მუშაობდა მის წარმოებაში, ნათესაეები. ერთი მათგანი, რომელიც უმთავრესი თანამშრომელი იყო (გაბაშვილის ქალი ჰყავდა ცოლად) მერე დავითის ქვრივმა დაითხოვა საშხაპურიდან. დავით სარაჯიშვილი და ალექსანდრე ცაგარელი ბავშვობიდანვე დიდი მეგობრები იყვნენ და ეს მათი მეგობრობა სარაჯიშვილის სიკვდილამდე გაგრძელდა. როგორც უკვე აღვნიშნე, სარაჯიშვილი ფულითაც ეხმარებოდა ხოლმე ცაგარელს. მეგობრები კი იყვნენ, მაგრამ სულ ერთთავად კამათობდნენ და ჩხუბობდნენ: სარაჯიშვილი, როგორც უკვე ვთქვი, სულ სხვათა ქებაში იყო და ზახს უსვამდა მათ უპირატესობას ქართველთა მიმართ, ცაგარელი კი, დიდი პატრიოტი, პირიქით...

დავით სარაჯიშვილს რომ დაუუახლოვდი, რა თქმა უნდა, მოვიჩნდომე მისი ჩაბმა საზოგადო საქმიანობაში, რათა ნივთიერი დახმარება აღმოეჩინა ჩვენ-

თვის. თავი და თავი ჩემი განზრახვა იყო, ავეშენებინა სახლი ქართული მუზეუმისათვის—მეტადრე მას შემდეგ, როდესაც დაეაარსეთ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამ უკანასკნელის წესდებაში შევიტანეთ დებულება საპატიო წევრთა შესახებ: ასეთ წევრებელ შეიძლება გამხდარიყვნენ დიდი მოღვაწენი, უსასყიდლოდ, ან არა და ჩვეულებრივი მოქალაქენი, თუ კი ერთბაშად შემოიტანდნენ 6.000 მანეთს. ამისთანა, რა თქმა უნდა, არავინა გვეყავდა, მაგრამ ვგულისხმობდით, უპირველეს ყოვლისა, დავით სარაჯიშვილს — მით უმეტეს, რომ მასთან და მის მეუღლესთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მკვლევარსა და ლიტერატორს ალექსანდრე სარაჯიშვილს („ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“, თარგმანები და სხვ.), რომელიც ჩემთან მუშაობდა და ჩემი საზოგადოების ხაზინდარი იყო. ერთმა კახელმა მანდილოსანმა, გვარი აღარ მახსენდება, ახალგაზრდობაში დაახლოვებულმა იმ ფორაქიშვილთა ოჯახთან, საიდანაც დავითის ცოლი იყო, მითხრა, რომ იმ ქალს პირველად ალექსანდრე სარაჯიშვილს აძლევდნენ, მაგრამ მან არ შეირთო. დასანანი კია, რადგან მერე ვიღაც უცხო უღირს ქალს გადაუკიდა და ვერ წაუვიდა კარგად საქმე.. ეს ისე, სხვათა შორის! ალექსანდრე მარწმუნებდა, რომ დავითს საზოგადოების საპატიო წევრად აქცევდა, მაგრამ ვერაფერი გახდა. მე ჩემდათავად ყოველთვის ვეუბნებოდი დავითს, მუზეუმისათვის შენობა ავიგე და ის შენი სახსოვარი ძეგლიც იქნება მეთქი. ამ ჩიჩინში დიდად მეხმარებოდა ხოლმე მიხეილ (მიშო) მაჩაბელი, რომელსაც „Говорящий Мачабели“-ს უწოდებდნენ. მეორე—„Поюший Мачабели“-საგან გასარჩევად (რომელიც მღეროდა ხოლმე). ეს მიშო ორატორობდა, ლაპარაკი გვარიანად ეხერხებოდა... იგი რაღაც ნათესავი იყო და სარაჯიშვილის ოჯახისა—მგონი, ცოლის მხრივ და ზნირად ვყოფილართ მე და ის ერთად მათთან. დავითი ერთთავად უარზე იდგა და სულ იმას გვეუბნებოდა, „რა გაქვთ სამუზეუმო, რომ ცალკე სახლი აგიშენოთო?“ მე ვუბასუხებდი: „ბევრი ისეთი ძეგლი და ნივთი გვაქვს, რომელთა ბადალი არც ერთ სხვ მუზეუმს არ მოეპოვება, მაგრამ არა ჩანს, იმიტომ რომ ქუჩაში ხომ არ გამოვიტანთ და თქვენგანი კი არავინ მოდის მუზეუმში, რომ ვაჩვენოთ მეთქი“. მართლაც, იმ დროისათვის ჩემი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს უკვე მრავლად მოეპოვებოდა: შესანიშნავი მინიატურებით შემკული ხელნაწერები, მინანქრიანი ნივთები, ვერცხლის ნაჭედი ნივთები, უძველესი სიგელ-გუჯრები, საერთოდ ხელნაწერები, ნაქსოვ-ნაქარგები და აგრეთვე მიწაში შემთხვევით მოპოვებული ქვის, ბრინჯაოს, რკინისა და ოქრო-ვერცხლის ნივთები (დიდი, მეცნიერული გათხრით მოპოვებული ნივთები ერმიტაჟში ან კავკასიის მუზეუმში მიდიოდა. მაგრამ ჩვენ ხელთ მოხვედრილ შემთხვევით მონაპოვარშიც იყო ბევრი საყურადღებო რამ—მაგალითად, ყაზბეგიდან, მცხეთიდან, ქსნის ხეობიდან და სხვ.). ყოველივე ეს მცოდნესა და გამგებს ალტაცებაში მოიყვანდა, მაგრამ მაშინ ჩვენში სანთლით საძებარნი იყვნენ ასეთები. რა თქმა უნდა, არც დავით სარაჯიშვილი ეკუთვნოდა მათ რიცხვს, თუმცა კარგი ადამიანი კი იყო. ჰოდა, ვერ იქნა, ვერ გავანძრეინეთ ხელს, „ვერ დავაწერინეთ პირველი“ მუზეუმის აშენებაზე, სანამ ცოცხალი იყო. ოღონდ მერე კი მაინც დაუტოვა ანდერძად ცოლს ის საქმე.

დავით სარაჯიშვილი რომ გარდაიცვალა, იმაჟამად უკვე დიდუბის ეკლესიის გალავანში გვექონდა მოწყობილი ქართველ მოღვაწეთა პანთეონი (მთაწმინდა განსაკუთრებით რჩეულთათვის დავტოვეთ. მით უმეტეს, რომ იქ დიდი სივიწროვე იყო) და დავითიც იქ დავმარხეთ დიდი აპბით, როგორც

გამოჩენილი მრეწველი და ქველმოქმედი, ხოლო ჩვენი საზოგადოების ორგანოში, „ძველ საქართველო“-ში დიდი ნეკროლოგი დავებუქდეთ. მისი ცოლი იმეჰად საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ცოტა ხანს შემდეგ გარდაიცვალა ნიკო ლოლობერიძე, რომლის ნების აღმასრულებელნი ფილიპე გოგიჩაიშვილი და მე ვიყავით, მაგრამ ფილიპე აქ არ იყო და მე მომიხდა ყოველი განკარგულების ვაცემა დ. სარაჯიშვილის საფლავის გვერდით შეეუძინე ადგილი და იქ დავმარხეთ ნ. ლოლობერიძე: უკეთესს აბა ვის მოვუწვენდით გვერდით? მერე იაკობ გოგებაშვილიც გარდაიცვალა, მისი ნების აღმასრულებელიც მე ვიყავი და ისიც იმათ გვერდით დავმარხეთ (ამ ბოლო დროს გადაუსვენებიათ მთაწმინდაში). ამასობაში ჩამოვიდა დ. სარაჯიშვილის ქვრივი საზღვარგარეთიდან და მეუბნება: „დიდი საყვედური უნდა გამოვიცხადოთო!“ „რაზე მეთქი?“ აი, ნიკო ლოლობერიძე რომ დაგიპარხავთ ჩემი ქმრის გვერდით, იმაზე უკეთესს კი ვის დამარხავდით, მაგრამ მე მიწოდდა ის ადგილი სულ შემეძინა და ვარდის და სხვა ყვავილები დამერგო ზედაო“. მე ვუთხარი, „ამირან გულში მღეროდარო, ასეა თქვენი საქმე; იმ ადგილის ყიდვა ყველას შეეძლო, უბრალო სალდათიც რომ მისულიყო და ფული მიეცა. იმასაც კი მეთქი; მე ვიყიდე და ნ. ლოლობერიძე დავმარხე, აკი თქვენც ბრძანეთ, უკეთესს ვის დავმარხავდი მეთქი?“ ცოტა ხანს შემდეგ გარდაიცვალა ნიკო ცხვედაძეც, რომელიც ძალიან დამინაურებული კაცი იყო იმ სარაჯიშვილების ოჯახში. სარაჯიშვილის ქვრივი ჩაურია საქმეში და თავისი ქმრის გვერდით კი არ დაამარხვინა, არამედ მის უკან—ვითომც როგორც ნაკლები რანგის ადამიანი!.. ასე ეგონა, რომ რაკი მისი ქმარი უმდიდრესი ქართველი იყო, პირველი კაციც იყო საქართველოში. მერე კიდევ ერთ რამეზე დავკეძდურა. როგორც უკვე ვთქვი, დავით სარაჯიშვილმა ანდერძად დაუტოვა ცოლს ქართული მუზეუმის აშენება. ქვრივმაც შემოგვითვალა, „მუზეუმი რომ აშენდება, ხომ დაერქმევა დავით სარაჯიშვილის სახელიო?“ ჩვენ ვუპასუხეთ, „მაგას ვერავის სახელი ვერ დაერქმევა. ქართული მუზეუმი იქნება, ოღონდ შიგ მოეწყობა ცალ-ცალკე დარბაზები და პორტრეტები ჩამოიკიდებოა“. ეს ძალიან ეწყინა. სნეული ქალი იყო, შაქრის ავადმყოფობა სჭირდა და მალე გარდაიცვალა. მის ანდერძში ასე ეწერა: ყველაფრის განაწილების შემდეგ რაც დარჩეს, იმის ნახევარი მიეცეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას მუზეუმის ასაშენებლად, ხოლო მეორე ნახევარი წერა-კითხვისა და დრამატულმა საზოგადოებებმა გაიყონო (ამრიგად ჩვენდა წილად 600.000 მანეთი მოდიოდა; მაშინ, რევოლუციის შემდეგ ფულმა უკვე დაიწყო გათავება, მაგრამ ჭერ კიდევ მთლად არ დავარდნილიყო). დაერქვას თუ არა სარაჯიშვილის სახელი ქართულ მუზეუმს, ეს ნების აღმასრულებლებმა გადაწყვიტონო. ნების აღმასრულებლად კი დანიშნა: თავისი ძმა ფორაქიშვილი, მიმო მაჩაბელი და ერთიც სარაჯიშვილი, რომელიც ქართული საქმისადმი გულგრილი იყო. დარჩა ქარხანა, მზა კონიაკი და სპირტი, რომელიც ოა ლიკვიდაცია უნდა მოხვდინათ ნების აღმასრულებლებს 6 წლის განმავლობაში. სახლები დაუტოვა სარაჯიშვილის დას. ერისთავის ცოლს. ამასთანავე, როგორც სხვაგან უკვე აღვნიშნე, დავით სარაჯიშვილის ანდერძის თანახმად ჩვენ საზოგადოებას უნდა მიეღო 1/4 იმ 70.000 მანეთისა, რომელიც მისი მართებდა ყირიმელ მემამულე გოლიცინს, თუ კი მოხერხდებოდა იმ ფულის დაბრუნება, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ მოხერხდა... დრო გადიოდა და ნების აღმასრულებლები კი არაფერს აკეთებდნენ. რამდენიც მივაკითხეთ, გვეუბნებოდნენ, მყიდველი არავინ ჩნდებოა. თურმე გადაეწყვიტათ, რომ დ. სარაჯიშვილის

ამას შეესყიდნა საქმე და განეგრძო წარმოება. ამაში თავი და თავი ყოფილა ერთი ებრაელი ბუხხალტერი, დიდად გამოქნილი, რომელიც ატრიალებდა ყველაფერს. მივედით მე და გენერალი ყაზბეგი (იმჟამად წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე) და ვუთხარით, ანდერძის განხორციელება საზოგადო საქმეა და ევრე ნუ მიაფუჩეჩებთო. გვიბრუნეს, „კი ბატონოო“, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ საქმის გაქიანურებას. მყიდველები მისდიოდნენ, ზოგი 20% ზედმეტს აძლევდა, ზოგი — მეტსაც, მაგრამ ყველას შესახებ გაიძახოდნენ: „აჰ, ამას როგორ მივიყიდო, არაა პატიოსანი კაციო“. მე აღრევე შეეთავაზე: ქონება ხომ 400.000 მანეთად შეაფასეთ, რომ ბაი ნაკლები გადაეხადათ, ახლა თქვენ თითონ შეიძინეთ და მოუმატეთ რამე მეტქი. გაუხარდათ, 50.000 მანეთი მოუმატეს და თავიანთ სახელზე გადაიტანეს: თურმე იმ კომპანიაში გარეულოყვენ სხვა ნების აღმსრულებლებიც... როცა ვუთხარით, რომ მუზეუმს სარაჯიშვილის სახელი კი არ დაერქმევა, არამედ „ქართული მუზეუმი“, დიდი სიამოვნებით დაგვთანხმდნენ.

ჩვენ ფიქრობდით, კარგი ადგილი გვეყიდნა მუზეუმისათვის — ფიჭვის გორაზე გვექონდა არჩეული, უნივერსიტეტის პირდაპირ, ვარაზის ხეეს გამოღმა. გავიდა ორიოდე წელიწადი, მაგრამ საქმე კიდევ არ დაძრულა. თბილისში იყვნენ კონიაკის მწარმოებლები, სესიაშვილები, მოვიდნენ და მიბრუნეს, „რომ გაიძახიან, მყიდველი არა ჩანსო, აი, ჩვენა ვართ მყიდველები და 20%-ზედ მეტს ვაძლევთ, რატომ არ მოგვეყიდიათ?“ იმჟამად ფულმა სწრაფად იწყა გაიფეხა, მაგრამ მაშინ რომ მოეცათ ჩვენთვის ნაანდერძევი თანხა, ჯერ კიდევ დიდ უძრავ ქონებას შევიძენდით მუზეუმისათვის, რადგან ასეთი ქონებაც იათი იყო. ადგნენ ის სესიაშვილები და დაწერეს გაზეთში: „რას შერებიათ საარაჯიშვილის ნების აღმსრულებლები და წერა-კითხვისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაო?“ მერე მიშო მანაბელმა მომმართა გაზეთშივე. პატრიოტი კაცი კი იყო და მე ყოველთვის მეხმარებოდა ხოლმე, მაგრამ მაინც... მეც ავდექი და დაგებულ გაზეთში ცნობა, რომელშიც ობიექტურად იყო მოთხრობილი საქმის ვითარება, თავიდან ბოლომდე. თითონ მანაბელს მოსწონებოდა ჩემი პასუხი... ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, იმდენი ითრის ფეხი ნების აღმსრულებლებმა, რომ ჩვენ ის ნაანდერძევი თანხა ვეღარ მივიღეთ; ბოლოს და ბოლოს კი ფულმა საოცრად დაკარგა ფასი და უკვე აღარაფრად აღარ ღირდა. რა თქმა უნდა, იმავე მიზეზის გამო, თითონაც ვეღარ ისარგებლეს სარაჯიშვილისეული ქონებითა თუ ფულით. ასე დასრულდა, მარცხით, ქართული მუზეუმის აშენების გეგმა, ზოგიერთების თავისებური საქციელის გამო.

VI. მოგონებანი⁵⁹.

1880-იანსა და 1890-იან წლებში ძალიან ჭირდა არქეოლოგიური კვლევა-ძიების⁶⁰ ფართოდ გაშლა. ადრე არსებული, კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებაცა და მერე კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის საზოგადო-

⁵⁹ ჩაწერილა კარნახით, 1949 წ. 11/1, 15/1, 21/1, 2/11, 8/11, 9/11, 14/11, 15/111, 16/11. ამასთანავე ჩართულია ბევრი რამ ნაწევრ-ნაწევრი და სასხვათაშორისოდ გახსენებულიც (1948—1952 წწ.).

⁶⁰ აქაც და საერთოდ ე. თაყაიშვილი, ისევე როგორც მისი თაობის ყველა მეცნიერი, „არქეოლოგიას“ ძალიან ფართო გაგებით ხმარობს (ტაძართა და საეკლესიო ნივთთა აღწერა,

ებაც დაიხურა რატომღაც. ორივემ სულ სამი თუ ოთხი ტომი გამოსცა, მეტავერა. დ. ბაქრაძეს კიდევ უნდოდა არქეოლოგიური საზოგადოების დაარსება. მაგრამ ნება აღარ მისცეს. რაკი პირდაპირი საშუალება აღარ იყო. იძულებული ვიყავით, ვაჩვენოვოვით გზით ბანკ გვეწარმოებინა არქეოლოგიური მუშაობა. ამის საშუალება გვაძლევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, დაარსებული ჩვენი შესანიშნავი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით. საერთოდ მას დიდი ინიციატივა ახასიათებდა: ბანკიც ხომ მისი დაარსებულა! ილია ჭავჭავაძე ხომ რამოდენა კაცი და მოღვაწე იყო, მაგრამ ამისთანა თაოსნობა ნაკლებ ეხერხებოდა; ოღონდ, უკვე დაარსებულ დაწესებულებაში რომ ჩაჯდებოდა, მეტე მარჯვედ მუშაობდა და ვეღარც ვერაფერი დასძრავდა ხოლმე. დიმიტრი ყიფიანმა ისარგებლა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1877/8 წწ.) შექმნილი ვითარებით, როდესაც კავკასიის ფრონტზე იმმა რუსთათვის საზიფათო ხასიათი მიიღო, და ქართველების, როგორც კავკასიაში მოწინავე ერისა და საუკეთესო მამაცი მხედრობის, ერთგულებას რუსეთისადმი დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. მთავრობა ნამდვილად დამფრთხალი იყო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უსვამდა თავზე ხელს ქართველებს, ოღონდ არ გვიღალატონო, და იყო ერთი მანიფესტების გამოშვებაში: „**Наш благоверный грузинский народ**“—ო და ასეთები! სწორედ მაშინ იხელთა დრო დიმიტრი ყიფიანმა და შეადგინა წესდება საზოგადოებისა, რომელსაც ქართველთა შორის ქართული წერა-კითხვა და ცოდნა უნდა გავრცელებინა. იმავე დროს ის საზოგადოება სამეცნიერო მუშაობასაც გასწევდა, არაოფიციალურად: სამეცნიერო საზოგადოებათა დაარსების ნებას იმჟამად აღარ იძლეოდნენ. ამრიგად წარმოიშვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც რამდენსამე წელიწადს რევოლუციის შემდგომაც იარსება და რომლის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე საყოველთაოდ ცნობილია. თავდაპირველად თვით დ. ყიფიანი ყოფილიყო მისი თავმჯდომარე, ხოლო მას შემდეგ, რაც ის სხვა საქმეების გამო წასულიყო,—ილია ჭავჭავაძე. მე რომ ჩამოვბრუნდი პეტერბურგიდან, უკვე ილია დამხვდა ამ თანამდებობაზე და, როგორც ადრე აღვნიშნე, მაშინვე აქტიურად ჩავები საზოგადოების მუშაობაში (გამგებობის წევრად ამირჩიეს ჩემ დაუსწრებლად)—ეგრძოდ, მისი ხელნაწერთა კოლექციის გამდიდრებასა და გამოცემაში.

დიმიტრი ყიფიანს მე მაინცდამაინც არ დავახლოებოვარ. ძალზე ზრდილი და დარბაისელი კაცი იყო (ნამდვილი ევროპული მიმოხვრა ჰქონდა). უადრესი პატრიოტი და თან, როგორც ვთქვი, ფხიანი მუშაკი და მეთაური ქართული საქმეებისა. იმ ბანკის დაარსება მის მეტს, რასაკვირველია, არავის შეეძლო. ქართველი თავდა-აზნაურობა პირდაპირ აღმერთებდა დიმიტრის და ძალიან მიღებული ჰყავდა, რადგან ყოველთვის მტკიცედ იცავდა ხოლმე მათ ინტერესებს. ბატონ-ყმობის გაუქმებამ, საგლეხო რეფორმამ ხომ საქართველომდე დიდი დავკვიანებით მოაღწია (მაგალითად, დანამდვილებით მახსოვს, რომ გურიამი მხოლოდ 1866 წელს გაათავისუფლეს ყმები). მთავრობა ძალიან ელოლიაებოდა თავდა-აზნაურობას, თვალს უხვევდა, დიპლომატიურად

წარწერების ვადმოღება-ამოკითხვა, ხელნაწერების ამოკითხვა და აღწერა, მწიფი დაფულო ნაშთების ვათხრა და სხვა) და არა თანამედროვე ვაგებით, რომელიც თითქმის მხოლოდ გათხრით, „წილისეულ“ არქეოლოგიას ველისმობს.

ეკითხებოდა აზრს და იყო გაუთავებელი მოლაპარაკება და თათბირები. მახსენდება გიორგი მუხრანაკისაგან გაგონილი. ერთი საქმად უცნაურობა ანეკდოტი (ის გიორგი თაღლიის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი იყო, მე რომ პეტერბურგიდან ჩამოვედი) პატარძლის შესახებ, რომლითაც ეპასუხება ერთ-ერთ ასეთ თათბირზე. მეფისნაცვალთან, თავად-აზნაურობის წარმომადგენელს, და რომლის აზრიც ია იყო, რომ, რაკი ხელშიწიფეს გადაუწყვეტია ყმების ჭანთავისუფლება, ხომ მაინც გაათავისუფლებს და ჩვენც რაღა დაგვრჩენია დათანხმების მეტიო!... ყმების განთავისუფლების ასანახლაურებლად თავად-აზნაურობამ ხაზინიდან ფული მიიღო.

სხვათა შორის, მე და ჩემ მძეპსაც, როგორც ყმების მფლობელ აზნაურებს, გვერგო 1000-იოდე მანეთი, რაც მაშინ კაი ფული იყო. ის თანხა ჩვენს სიძებნა და მეურვეს ჰქონდა და, გიმნაზიაში რომ შევდიოდი, მე და სამ ქმას კიდევ ას-ასი მანეთი შეგვებდა, გარდა იმისა, რაც მანამდე დაგვახარჯა მეურვემ.

დირიქტი ყითიანი მოელაპარაკა მთელი საქართველოს თავად-აზნაურობის ყველა წინამძღოლს და დაიყოლია, რომ ყმების საფასურად მიღებული ფულიდან რამდენიმე პროცენტი გადაედოთ საადგილმამულო ბანკის დააარსებლად, რომლის შემოსავალიც მოხმარდებოდა ქართველი ერის საზოგადო საქმეს. ეს წინადადება მან თავისი ავტორიტეტით გაიტანა. ისე რომ უარი არავის უთქვამს. ამრიგად დაარსდა თბილისის და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები („Земельные банки Тифлисского и Кутаисского дворянства“). ქუთაისის პროგინაზიაში რომ შევდიოდი, იქ მაშინ გაიხსნა ბანკი და დირექტორად აირჩიეს ბესარიონ ლოლობერიძე, რომელსაც სწავლა უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული და მანამდე თბილისის საქალებო ინსტიტუტში ემსახურნა ინსპექტორად. ბანკის დაარსებისთანავე გაჩნდა ქუთაისში ორი პარტია, რომელთაც თავ-თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს დირექტორობისა. ერთს მეთაურობდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ბეს. ლოლობერიძის წინააღმდეგი იყო და რომელმაც კანდიდატად დაასახელა დავით ბაქრაძე, მეტ სახელად „ბილო“ (რუსული გამოთქმა არ უვარგოდა და „Било“-ს ვერ ამბობდა სწორად). ეს უკანასკნელი იყო პირველი ქართველი მოსამართლე, როდესაც სამაზრო სასამართლოები შემოიღეს საქართველოში. თავდაპირველად იგი ოზურგეთის მაზრაში დაენიშნათ, ჩემსობას კი უკვე ქუთაისის მაზრაში იყო. ნიკოლაძემ ვერ გაიყვანა თავისი კანდიდატი, თავად-აზნაურობამ ბ. ლოლობერიძე აირჩია და მას შემდეგ ნიკოლაძემ აუარებელი წერილი დაბეჭდა გაზეთებში მის წინააღმდეგ. როგორც ამბობდნენ, ის წერილები ძალიან ცუდად მოქმედებდა ბ. ლოლობერიძეზე და ეგებ სულაც მოუსწრაფეს დღე: უეცრად გარდაიცვალა. გულის ავადმყოფობით.

ბეს. ლოლობერიძე პირველად ვნახე პედაგოგ ალექსი ტიქინაძესთან. რომელსაც მაშინ კერძო სასწავლებელი ჰქონდა ქუთაისში და მოწაფეებს ამზადებდა გიმნაზიისათვის. მასთან ხშირად იკრიბებოდა ქუთათური ინტელიგენცია, რომლის რიცხვი იმხანად ათიოდე კაცს არ აღემატებოდა. მე მაშინ ქუთაისის პროგინაზიაში შესასვლელად ვეშზადებოდი და იმ ალექსისთან წაიყვანა იოსებ თაყაიშვილმა, რომელიც პირველი გურული იყო, უნივერსიტეტში (იურიდიულ ფაკულტეტზე) ნასწავლი. იმასა და ალექსის ერთად ესწავლათ მოსკოვის უნივერსიტეტში, მაგრამ იოსებს ვერ დაემთავრებინა. შეუძლებლობა-ავადმყოფობის გამო, და, IV კურსის სტუდენტი, ჩამობრუნებულიყო სამშობლოში. ჩვენ გვასწავლიდა ოზურგეთის სასწავლებელში და ფულს უგზავ-

ნიდა ძმას, მედიკური ფაკულტეტის სტუდენტს. ბეს. ლოლობერიძეს კარგად იცნობდა და მერე შემფასებლადაც მუშაობდა ქუთაისის ბანკში. მახსოვს, იმ საღამოს როგორ ეხუმრებოდა ბესარიონი იოსებს: „კუჭი მოუვიდა გურულსაო!“ ბესარიონი დიდი დარბაისელი კაცი იყო, კარგად მომზადებული, და თბილისში სამსახურისას დიდი თავივინაც მოეპოვებინა; საზოგადოება დიდი ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდა მას, ილია ჭავჭავაძე თავის პამფლეტურ ლექსებში, ბევრ სხვა იმდროინდელ ინტელიგენტთან ერთად, ბესარიონსაც არადადებითად იხსენიებდა, მაგრამ მას შემდეგ, როცა ახლოს გაიციო იგი, სრულიად შეიცვალა აზრი მის შესახებ და — რაც საერთოდ მაინცდამაინც არ სჩვეოდა ილიას—ბოლიში მოუხადა უსაბუთოდ გალანძვისათვის, მოინანია თავისი შეცდომა. თუ არ ვცდები, ბესარიონი რომ გარდაიცვალა, მაშინ დაბეჭდა კიდევაც ილიამ ის მობოლიშების წერილი!

ბეს. ლოლობერიძის სიკვდილის შემდეგ ბანკის დირექტორად აირჩიეს მისი ნათესავი ნიკო ლოლობერიძე. ახალი არჩევნებისას ნ. ნიკოლაძემ ისევ წამოაყენა თავისი კანდიდატი „დავით ბილი“, მაგრამ ვერც ახლა გაიყვანა. ამის შემდეგ დაიწყო „ბანკოვიადა“ ქუთაისშიც: ბანკის დამაარსებელი თავად-აზნაურობა იკრიბებოდა და მსჯელობდა ბანკის საქმეებზე, იმართებოდა ცხარე დისკუსიები. პროგინაზიაში რომ შევედი, ხშირად ვესწრებოდი ხოლმე ბანკის კრებებს და კარგად მახსოვს ის ტიპური, ძველი დროის წარმომადგენელი თავად-აზნაურები, რომლებიც იქ დადიოდნენ. ნივთიერად ჭერ კიდევ არ იყვნენ გალატაკებული და ჩაცმა-დახურვითა და სიტყვა-პასუხით ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩემზე. დიდკაციური თავმომწონეობა ჭერ კიდევ ჰქონდათ შერჩენილი და ვერ ეგუებოდნენ იმ გარემოებას, რომ ბანკის გამგეობის არჩევნებში და საზოგადოდ ბანკის საქმეებში ხმა ჰქონდათ მსესხებლებსაც. რომლებიც მეტწილად წარმოდგენილი იყვნენ მდაბიო წოდებით, ბურჟუაზიით და უმთავრესად—ვაჭრებით, ქართველი ებრაელებით. მახსოვს განსაკუთრებით ტიპური თავადი ლენტიონი წულუკიძე, რომელმაც მძაფრი პროტესტი განაცხადა, როგორ თუ ებრაელები ბანკის საქმეებში მონაწილეობენო, და ეს ნ. ლოლობერიძეს დააბრალა, „გლეხები და ებრაელები გვერდში მოგვიჯინაო...“ იმ კრებებზე ბევრ სეკტატურ, ნამდვილ იმერულ ფრანას გაიგონებდა კაცი. მაგონდება კალისტრატე ჩიკვაძის მამის (ისიც ტიპური იმერელი კი იყო) ერთი რეპლიკა. ბანკის გამგეობა თხოულობდა ნებართვას, რომ ბუხჰალტერისათვის ცოტაოდენი თანხა მიეცათ იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც ანგარიშის დროს ფულის მარცხად გადაყოლებით მოსვლოდა. იმ ჩიკვაძემ იკითხა, „ბუხჰალტერს ჯამაგირი ხომა აქვსო?“ უპასუხეს: „დიახ, აქვს, მაგრამ ეს ფული მან სხვადასხვა მსესხებელთათვის ანგარიშის გასწორებისას ხელს გადაატანაო“. ჩიკვაძემ მიძახა: „ხელს კი გადაატანა, მაგრამ ჯობეს ხომ ჩაატანაო?...“ მარტო იმერელი თუ იტყვის ასეთ კვიმატ რამეს!.. ნიკო ლოლობერიძე ვერ გადააყენეს ქუთაისის ბანკის დირექტორობიდან, სანამ თითონ არ დანებდა თავი და კითაურაში შავი ქვის მადნის დამუშავებას არ მიჰყო ხელი. მის შესახებ აღრინდელ მოგონებაშიცა მაქვს საუბარი, ილია ჭავჭავაძისთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რომ ჩამოვედი თბილისში, როგორც უკვე ვთქვი, მაშინ დ. ბაქრაძე არ დამხვდა აქა, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გაეგზავნა მივლინებით ოსმალეთში, რათა შეესწავლა, თუ რა მდგომარეობაში იყო იქ მყოფი ქართველი გლეხობა, როგორ გა-

დაკეთეს ოსმალეზმა მათი მიწისმფლობელობის წესები და სხვა. იმ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა ნაფიცი ვეჭილი ფრენკელი, ქართველების მომხრე და მოყვარული... ოსმალეთიდან რომ დაბრუნდა ბაქრაძე, მაშინ გამაცნო ფრენკელმა და ბაქრაძემაც მაშინვე დამიახლოვა. იმ ხანებში სიონის ტაძართან დაეარსებინათ „Братство св. Андрея“, რომლის მონაწილე იყო ქრისტიანობის გავრცელება და საერთოდ რელიგიის განმტკიცება ხალხში. იმის თავმჯდომარე იყო დეკანოზი ელიევი (ელიაშვილი), რომლის აუგი სხვა დროს უკვე ნათქვამი მაქვს: ერთი ღვთის პირიდან გადავარდნილი ვინმე იყო. ეგზარქოსის ყურმოჭრილი ყმა და ის ატრიალებდა ყველაფერს დ. ბაქრაძემ შეიტანა წინადადება, დაარსებულყო იმ „წმ. ანდრეას მძობასთან“ მუზეუმი ძველი საეკლესიო ხელნაწერებისა და ნივთებისა, რომლებიც გამოსული იყვნენ ხნარებიდან. ამრიგად შეიქმნა იმ საზოგადოებასთან „საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი“. სინოდს დაემტკიცებინა მისი დაარსება, მაგრამ მუზეუმი ჯერ არ იყო გახსნილი. ბაქრაძეს უკვე შეედგინა და დაემტკიცებინებინა მისი წესდება და, როცა იგი ქართულად მათარგმნინა, მითხრა, რაკი ისტორიულ-ფილოლოგიური ფაქტულტეტი გავითავებოთ, ჩემთან უხდა იმუშაოთ. მასთან მუშაობა მართლაც სასიამოვნო იყო: შესანიშნავი, კეთილი კაცი ყველა: ძალიან უყვარდა. წინათ ემსახურა ქუთაისის გუბერნატორთან, „განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელ მოხელედ“. ნიჭიერი და კარგად განათლებული მკვლევარი იყო, რუსულს გარდა. ფრანგულიც იცოდა... მერე შედგა იმ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი: დ. ბაქრაძე (თავმჯდომარე), ელიევი (წევრი). კალისტრაცი (ეგზარქოსის მდივანი), თ. ჟორდანი. მე და ნ. მთვარელიძე (ქართული ენის მასწავლებელი სათავადაზნაურო სკოლაში, სასულიერო აკადემიადამთავრებული, ავტორი მშვენიერი წერილისა ანტონ I შესახებ. რომელიც საარქივო მასალების მიხედვით ჰქონდა შედგენილი). როგორც უკვე ვწერდი, იმ მუზეუმის პირველი ნაბიჯი იყო დ. ბაქრაძისა და ჩემ მიერ ძველი ქართული ხელნაწერების ჩამოტანა სვეტიცხოველიდან, რომელსაც წინათ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, ოღონდ მერე ბევრი რამ დაჰკარგოდა. მანაც მრავალად იყო იქ კარგი ხელნაწერები და ყველა წამოვიღეთ, თითქმის აღარაფერი დაგვიტოვებია. მუზეუმისათვის მოგვეცეს ერთი დიდი ოთახი სიონის ტაძრის ეზოში მდგარი შენობის მეორე სართულზე და იქ შევინახეთ ის ხელნაწერები. მოვაწყეთ ბიბლიოთეკა. ამ უკანასკნელის გამგედ ავირჩიეთ თეოდორ ჟორდანი. რომელსაც დავავალეთ მოკლე აღწერილობა-კატალოგის შედგენა. მერე უკვე სხვა ტაძარ-მონასტრებიდანაც მოგვდიოდა ხელნაწერები. თუშცა ზოგან სამღვდელეობებამ აღმაცურად შეხედა ჩვენს საქმიანობას: „ყველაფერს რომ გვართმევთ, მონასტრების გაძარცვა როგორ შეიძლებაო?“ მაგრამ ხმაძალდა კერ ბედადღენ ამისთანების ლაპარაკს. ჩუმად დრტყინავდნენ.

იმჟამად საეკლესიო მუზეუმი წარმოადგენდა ერთადერთ დაწესებულებას, სადაც ლეგალურად შეგვეძლო შეკრება, მსჯელობა, ხელნაწერთა მოწესრიგება, კვლევა, საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედგენა და სხვა ამისთანები. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ კმაროდა: საეკლესიო მუზეუმს ხელი არ მიუწვდებოდა კერძო ნივთებზე და იმავე დროს ძალიან ბევრი რამ იყო შემორჩენილი ოჯახებში, განსაკუთრებით თავად-აზნაურობაში, და — ნამდვილად ვიცოდეთ — სწრაფად ნიავდებოდა, იკარგებოდა. ისინი როგორღა უნდა შეკრებილიყო და გადარჩენილიყო დაქსაქსვას? ამ საქმის მოსაგეგმად გამოვიყენეთ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავი. მაი, ცოტა არ იყოს.

„გაგებრეთ“ იგი: წიგნებსაც ვუყრიდით იქ თავს, ხელნაწერებსაცა და ცოტ-
კოტა ნივთებსაც. იმ საზოგადოების ხელნაწერთა ფონდს საფუძვლად დაედო
თავ. ნიკო მინგრელსკის (დადიანიის) ბიბლიოთეკა, რომლის მისაღებადაც, ზე-
მთა უკვე ვთქვი. კომისიის წევრებთან ერთად, ილია ქავეჭავაძეც გაემგზავრა
სამეგრელოს, სოფ. გორდში, როგორც საზოგადოების თავმჯდომარე. ეს ამბა-
ვი რომ გაიგვს, მერე კერძო პირებმაც დაიწყეს თავისით შემოწირვა, თუმცა
კი კანტი-კუტად. ეს საკმარისი არ იყო. ბევრი რამ „თვალ და ხელ შუა“ დაგ-
ვეკარგებოდა და ამიტომ, პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ რომ დაეიწყე
წერა-კითხვის საზოგადოებაში მუშაობა. სხვა, უფრო ნაყოფიერი ხერხები შე-
მოვლუ ხელნაწერთა შეგროვებისა, როგორც უკვე აღვნიშნე.

წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის პირველ
ხელნაწერი შევიძინე 1889 წელს, ე. ი. თბილისში ჩამოსვლიდან ორი წლის
შემდეგ. ეს იყო ტყავის სვინაქსარი (ამჟამად ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს
მუზეუმის⁶¹ ხელნაწერი H—1245). თავის დროზე იგი მხოლოდ აღწერე, ახ-
ლა კი განზრახული მაქვს გამოვეცე. ძალიან საინტერესოა იმით, რომ აშვიბ-
ზე მიწერილი აქვს. ამა და ამ დღეს ამა და ამ პირის აღაპიო და ა. შ., მთელი
გუჯრებია ზედ. სწორედ იქიდან ამოვკრიფე სამცხის ათაბაგ ბოცო-ბასილის
გენერალგია. ხელნაწერის შექმნის ისტორია ასეთი იყო. ცნობილ ქართველ
მოღვაწეს, სასოფლო მეურნეობის ჩვენში განვითარებისა და სასოფლო-სამე-
ურნეო განათლების დანერგვის ფანატისკოსს, ილია ქავეჭავაძის მეგობარსა და
მეზობელს, ილია წინამძღვრიშვილს თავის სოფელში, წინამძღვრიანთკარში
(საგურამოს ახლოს) გახსნილი ჰქონდა სამეურნეო სკოლა (რომლის გახსნაზე-
დაც წარმოთქვა ილიამ თავისი განთქმული სიტყვა „გუთანისა და ხმალის“
შესახებ). იმ სკოლას განაგებდა ერთილე ნაკაშიძე. დედაჩემის ძმისწული, რო-
მელმაც გიმნაზია ჩემთან ერთად გაათავა, ხოლო სამეურნეო განათლება მიიღო
შუა რუსეთის რომელიღაც ქალაქში, მგონი, ლუბლინში⁶². იმავე სკოლაში სამ-
დღეთო ჩკულს ერთი მღვდელი ასწავლიდა. იმ ორმა მომიყვანეს ერთი სოფ-
ლის ახალგაზრდა მასწავლებელი, გვარად სულხანიშვილი, რომელიც, მგონი,
ახალციხის მაზრაში მუშაობდა, და რომელმაც მომიტანა ორი ხელნაწერი: ზე-
მოხსენებული, დიდად საინტერესო სვინაქსარი და სურათებიანი მეტაფრას-
ტი. ნაკლებ საინტერესო. სვინაქსარი ადრე ახალციხის ეკლესიაში ყოფილიყო
(მ. ბროსეს ჰქონდა იქ ნახული და აღნიშნავდა) და ალბათ მომტანამა მიითვო-
ნა. საფიქრებელი იყო. რომ მეტაფრასტიც იქიდანვე ჰქონდა ნაშოვნი იმ
სულხანიშვილს. იმ დროისათვის მე უკვე საკმაოდ ვერკვევოდი ქართველოლო-
გიაში ჭერ კიდევ პეტერბურგში შეეუღლეკი სათანადო ლიტერატურის შექმ-
ნასა და გაცნობას (მ. ბროსეს ყველა ნაშრომი, ს. ბარათაევის ისტორია, გო-
ლოვინის ისტორია, მურავიოვის „Грузия и Армения“), თუმცა კი ამაში დას-
პეციალებას არ ვფიქრობდი, პედაგოგობა მქონდა განზრახული. როგორც
უკვე აღვნიშნე. ასე რომ ბოცო-ბასილისა და მისი ვიწროების მინაწერთა ჩვე-
ნი ისტორიისათვის მნიშვნელობის მიხედვრა არ გამჭირვებია. დიდი ვაჭრო-
ბის შემდეგ შევიძინე სულხანიშვილისაგან ორივე ხელნაწერი 15 მანეთად.
ჩემი ფული მივეცი, მაგრამ მერე წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომა-
რესთან, ილიასთან მივიტანე ხელნაწერები, ავეუსენი იმ მინაწერთა ღირებუ-
ლება და მანაც უყოყმანოდ ამინაზღაურა: ხარჯი, როგორც აგრეთვე ზემოთ

⁶¹ ახლა უკვე კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტისაა.

აღენიშნე. მანამდე ყველა ხელნაწერი შეწირულების გზით ჰქონდა დაგროვილი საზოგადოებას, გარდა ერთისა. ეს იყო „ქართლის ცხოვრების“ მართამ დედოფლისეული ნუსხა, რომელიც საზოგადოებას ნ. მთვარელიშვილის (იპ დროს, შგონი. საზოგადოების მდივნის) თაოსნობით შეეძინა ერთი ქართველი ეპარქისაგან. ამ უკანასკნელისგანვე ვიციღე, შემდეგ, ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“ დიდი ხელნაწერი. მისი გვარი აღარ მახსენდება, წყნეთისა⁶² და ოლქის⁶³ ქუჩების კუთხეში ჰქონდა სახლიცა და მალაზიაც. სხვათა შორის, მერემ. როდესაც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დაეაარსეთ და ქართული მუზეუმის აშენება გვექონდა განზრახული (დ. სარაჯიშვილს რომ შეეუჩნდით), ერთ ხანს იმ ადგილის ყიდვასაც ვაპირებდით სამისოდ...

პირველი ხელნაწერის შეძენის შემდეგ უკვე აქტიურად დავიწყე მუშაობა წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში: მე თვითონ ვწერდი კატალოგში შენაძენს, ვეწვოდი შეგროვებას და ა. შ.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრად რომ ამირჩიეს (1883 წელს). მას შემდეგ, რასაკვირველია, დავიწყე იქ სიარული. შევხედე ბიბლიოთეკას, სადაც იკრიბებოდა ხელნაწერები და დაერწმუნდი, რომ კაცი არ იყო მათი პატრონი: ვისაც უნდოდა, ურგევდა შიგ ხელს. ერთად-ერთი მზრუნველი იყო პეტრე უმიკაშვილი. დიდად პატიოსანი კაცი და კარგი მოღვაწე, მაგრამ საოცრად ნელი და შიში. იგი თურმე ჯერ კიდევ საზოგადოების გახსნამდე აგროვებდა ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებსა და სხვას, ხოლო როცა საზოგადოება დაარსდა და ბინა გაიჩინა (სასახლის ქუჩაზე, ქარვასლაში, რომელშიც ქართული თეატრიც იყო), მიეტანა წიგნის მალაზიის უკანა ოთახში (სადაც ყოველდღე იყრიდნენ თავს საზოგადოების წევრები და მეტწილად საუბრით იქცევდნენ თავს) და იქ დაეღაგებინა აღურიცხავად. მე რომ მივედი, ჯერაც ჩაუწერელი იყო, ვერავის მოეცალა მათთვის. ერთ წელიწადს ვეხვეწე პეტრე უმიკაშვილს, იმტერებდა და იზნევა ხელნაწერები, ჩასწერე მეთქი, მაგრამ სულ მეუბნებოდა, მოვიცილო, ყმაწვილო, და მერეო! ეუუურე, ეუუურე და მერე კი გულმა ვედარ მომიბინა, ავდექი და მე თითონ ჩავწერე. ეს რომ ნახა პეტრემ, მადლობა მითხრა. მერე მივყავი ხელი ქართულ ხელნაწერთა შემოწირვის პროპაგანდას ჩვენ საზოგადოებაში, ბუკინისტებისაგან მათ შეძენას და ა. შ.

1890 წლიდან შეეუღლე ბიბლიოთეკის ხელნაწერთა აღწერას. თავდაპირველად აღწერილობას ვაქვეყნებდი „ივერია“-ში, რადგან იმჟამად სხვა არავითარი საშუალება არ იყო. იქვე ბეჭდავდნენ ზმირად, ჩემამდეც, ხელნაწერთა აღწერილობას მ. ჭანაშვილი, პ. კარბელაშვილი და თ. უორდანიანი. მკითხველების დიდ ნაწილს ასეთი რამ არ ეჭამნიკებოდა, მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ იმ წერილებს და დრტინავდნენ, „ეს რა გაზეთიაო?!“ ილია ჭავჭავაძე კი ყოველთვის სიამოვნებით აქვეყნებდა ისეთ აღწერილობას, როგორც მასალას — ეს მოდა ფასი! თუმცა იმ ხანად იგი ნომინალურად-ღა იყო რედაქტორი და იშვიათად თუ კითხულობდა სავაზეთო წერილებს: ეს საქმე უკვე მინდობილი ჰქონდა რედაქციის გამგეს გიგა ყიფშიძეს, რომელიც რიგაიანად ართმევდა მას თავს, საფუძვლიანი მუშაკი იყო და მტკიცედ მისდევდა ერთხელვე შემუშავებულ გეზს.

⁶² ამჟამად მელიქიშვილის ქუჩა.

⁶³ ამჟამად ლენინის ქუჩა.

მერმე, როგორც ცნობილია, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მომანდო მის ბიბლიოთეკა-მუზეუმში თავმოყრილ ხელნაწერთა ვრცელი კატალოგის შედგენა, რის გამოც ზოგიერთმა, ზემოთ უკვე ხსენებულმა პირმა დიდი შფოთი ასტეხა: „თავიშვილი ამას ვერ შეიძლებს და გამოცემაზე ფული ფუქად დაეხარჯება საზოგადოებასაო!“ იმ სამუშაოს ვაკეთებდი ხოლმე გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს, ღამ-ღამობით. ერთ ხანს ვიფიქრე, დაეანებებ თავს, მეთქი, მაგრამ მერე გადავწყვიტე, რომ რუსულად აღმეწერა ხელნაწერები და ისე გამომეცა, რომ საზოგადოებას არავითარი ხარჯი არ მოსვლოდა, თორემ არ მომიხერხებენ მეთქი. ასე წარმოიშვა ჩემი „Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузин“, რომელიც, როგორც ცნობილია, იბეჭდებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ორგანოში „Сборник для описания местностей и племен Кавказа“. ამ კრებულში თანამშრომლობდნენ უმთავრესად კავკასიის სასწავლებელში მომუშავე, განათლებული და ისტორია-ეთნოგრაფიით დაინტერესებული პედაგოგები -- რუსებიცა და ჩვენებურებიც, -- რის გამო მასში ძალიან ბევრი საინტერესო მასალა იყრიდა თავს. უნდა ითქვას, რომ კრებულის რედაქტორს, ოლქის მზრუნველს (იმჟამად ლაპატინსკის) ხშირად უგზავნიდნენ გამოსაქვეყნებლად საქართველოში ნაპოვნ ეპიგრაფიკულ მასალებსაც და ის კი მე მთხოვდა ხოლმე რუსულად მათ თარგმნას. პირველ ხანებში მიჭირდა, მაგრამ მალე გავიწყვე წარწერების კითხვაშიც. მაგალითად, საკმაოდ ძნელი გამოდგა მცხეთასთან, არმაზის ხევში რომ მონასტერია, იმის ასომთავრული, გადამბული წარწერის ამოკითხვა (შოგ იხსენიება მშენებელი კათალიკოსი, რომელიც ცნობილია XVII საუკუნეში, ხოლო ზოგი წარწერას XII საუკუნეს აკუთვნებდა), მაგრამ მასაც ვაპოვებდი თვით და კრებულში გამოქვეყნდა ჩემი სათანადო წერილიც. ერთი სიტყვით, იმ კრებულში ჩემი აღწერილობის დაბეჭდვას წინ აღარაფერი დაუდგებოდა და მეც ასე მოვიქეცი. ოღონდ ყოველ კრებულში მცირე აღვიღს მითმოპოვებულს; თან ძველი ქართული ტექსტების თარგმნაც ძნელი, საპასუხისმგებლო და საფრთხილო საქმე იყო და ამიტომ ხელნაწერთა აღწერილობის გამოქვეყნების საქმე მძიმე-მძიმედ მიდიოდა წინ, ისე რომ იმ დროისათვის, როდესაც ხელნაწერები ჩემთვისაც კი უკვე მიუწვდომელი გახდა (წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის გადახალისებისა და ახალი წესების შემოღების გამო, რის შესახებაც უკვე მქონდა საუბარი), მხოლოდ ორი ტომის დაბეჭდვა მოეწერა და ნესამე ტომისათვის ნავარაუდევია მასალა კი აღუწერელი და გამოუცემელი დამარჩა. ყოველივე ეს (რუსულად და არა ქართულად გამოცემა, III ტომის ვერ მოსწრება) ჩვენი საერთო საქმისათვის გამოდგა საზიანო (ზოგიერთის მხრივ ხელის შეშლის შედეგად), თორემ პირადად მე საკმაოდ დიდი ჯილდო მომიპოვა რუსულად დაბეჭდილმა I ტომმა აღწერილობისა. ნიკო მარმა რომ ნახა ის ტომი, წამოიძახა „Какое же это описание? Это настоящее исследование-о!“, და ვადაბეკიდა, წარმედგინა იგი რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში მედლის ნიხალებად, პირდაპირ გამომგლიჯა ხელიდან. და მართლაც მომცეს ხომ ოქროს მედალი...

ვერადრით, ვერა ფასად ვერ მოვაყიდივინ ზემოქალაქ მღვდელ სუხიაშვილს პარხლის ხელნაწერი, რომელიც მასთან ჭერ კიდევ 1889 წელს ვნახე (მე არ დამიძალა, თორემ საერთოდ თურმე მაინცდამაინც არავის უჩენდა ხოლმე). ნევისწავლე და, როგორც დიდად მნიშვნელოვანი აღმოჩნენი, კიდევაც გამო-

ვაქვეყნე „სამ ქრონიკაში“, ხელნაწერის აღწერილობასთან ერთად, მისი გადაწერის თარიღი (973 წელი) და სახარების გადაწერის ვინაობა (შატბერდელა ბერი იოვანე ბერა). ამ აღმოჩენისა და მასზე გამოხმაურების შესახებ უკვე მქონდა საუბარი. როდესაც ჩემმა კრიტიკოსებმა ფართოდ გაშალეს ჩემთან პოლემიკა, სხვათა შორის, იმასაც მიყიფინებდნენ, სწორად არა აქვს გადმოწერილი, მაგრამ პარხლისა და მასთან ერთად შატბერდის ხელნაწერთა ახალ, ჩემ მიერ დადგენილ თარიღს X საუკუნეს—კი ვერავინ უარყოფდა. ასეთ ბრალდებაზე პოლემიკურადვე გამოხმაურებას არავითარი აზრი არა მქონდა და გადავწყვიტე, ხელნაწერის პირი გადმომეღო და მთლიანად დამებუქდა. ჭერ ფოტოგრაფი ერმაკოვი წაიყვანე ზემო ქალაში, იმ სუბიაშილთან, მაგრამ მან ვერ გადმოიღო, რადგან ეტრათი ძალიან გაყვითლებული იყო. მერე წაიყვანე ერთი ქართველი მხატვარი-გრაფიკოსი (მგონი, გ. ტატიშვილი), რომელსაც ძალიან ემარჯებოდა გამჭვირვალე ქალაღით გადმოხაზვა, დავსვი და მთელი ხელნაწერი გადმოვადებინე. სწორედ ის არის, მშვენივრად რომა გამოქვეყნებული „Материалы по археологии Кавказа“-ს XII ტომში. ასეთი ნაბიჯი ნამდვილად სჯობდა ყოველგვარ პოლემიკას!.. თვით ისა და ზოგიც სხვა ხელნაწერი შეუძენიათ უკვე მას შემდეგ, მე რომ საფრანგეთში წავედი: მღვდელი სუბიაშილი მომკედარა, ხელნაწერები მის ნათესავს დარჩენია. იმას მოუტანია და, მგონი, უნივერსიტეტს უყიდნია. ზემო ქალაში (ხაშურის მახლობლად) ის ხელნაწერები თავის დროზე მიტანილი ყოფილა სამთავისის მახლობლად მდებარე ქვემო ქალიდან (კასთან რომაა, ზემოთ). აბაშიძეების ოჯახში იყო თურმე და რომ გაყოფილან, ერთ-ერთს რეგება და წაუღია კიდევაც იმ თავის სოფელში, ზემო ქალაში, სადაც მერე მღვდელს ჩავარდნია ხელში. რაც შეეხება იმას, თუ საიდან მოხვდა ხელნაწერები სამთავისის ქვემო ქალაში და, კერძოდ, აბაშიძეთა ოჯახში, ეს აღარ ვიცი. ეგებ სამთავისის ტაძრიდან?64...

ერთხელ კიდევ მინდა დაეუბრუნდე იმას, თუ რა მნიშვნელოვანი რამდენიმე ახალი აღმოჩენა შემოვიდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში „სამი ქრონიკის“ გამოცემის შედეგად: გაირკვა, რომ შატბერდის კრებული X საუკუნეში ყოფილა გადაწერილი და არა IX-ში; რომ პარხლის მონასტერი X ს-ნის ბოლო მეოთხედის დამდეგს ყოფილა აშენებული; რომ მართალი ყოფილა ჩემი აზრი დავით კურაპალატის წარმომავლობის შესახებ, რომლის გამოც თ. ჟორდანიამ თავის დროზე გამაკრიტიკა და თან მიუთითებდა მ. ბროსეს. საქმე ის იყო, რომ ბროსე ეყრდნობოდა კონსტანტინე პორფიროგენეტის გენეალოგიას, ხოლო ეს უკანასკნელი შეცდომით მიაწერდა ადარნასე II ქართველთა მეფის ოთხ შვილს კლარჯელ ადარნასეს, ბავშვობიდანვე ბერად შემდგარსა და უცოლ-შვილოდ დაბერებულს, და კურაპალატად სთვლიდა მას. თავის დროზე ხომ ბროსემაც ვერ უარპყო, რომ კლარჯელ ადარნასეს შვილები არ ჰყოლია (თუმცა კურაპალატად მაინც მიუჩნევია თავი) და თავის გენეალოგიურ ტაბულაზე ორივე ადარნასე მოათავსა, ისე რომ იქ თითქოს ორივე ადარნასეს შვილებია წარმოდგენილი. მერე ეს გაიმეორა გერმანელმა ისტორიკოსმა

64 შესაძლოა, ხელნაწერი თან მოჰყოლოდეს სამცხიდან (თურქობის შედეგად?) აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსახლებულ და შემდგომ ამილახურებთან დამოყრებულ ალექსი-შესნიშვილემ, რომელთა ერთი შტო სამთავისის მეზობლად, სწორედ ქვემო ქალაში ცხოვრობდა 1920-იან წლებამდე (იმათგანი იყო ე. თაყაიშვილის მიერ ხშირად ხსენებული ნიკოლოზ ალექსი-შესნიშვილი).

მარკვარტმაც, რომელმაც ადარნასე ქართველთა მეფის შვილად სცნო მარტო დავითი და არც ის ჩათვალა მეფედ, სხვები კი გადაიტანა, ადარნასე-ბასილის შვილებად მიიჩნია და იქიდან გამომდინარეობდა. თ. ჟორდანიამაც ყალბა ბასილის შვილები უჩვენა, ის მაგისტროსი იყო. ერთი სიტყვით, გადაჭრებული არ იქნება თქმა, რომ „სამმა ქრონიკამ“ გარკვეული მოსაბრუნე დასახა ჩვენს ისტორიაში და სწორედ ამან ააფორიაქა და აამხდრა მისი გამომცემლის წინააღმდეგ ზოგიერთი ჩემზე აღრინდელი მკვლევარი.

საეკლესიო მუზეუმში ხელნაწერთა მოდინება ძალიან შეწყდა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველი ბერები და ზოგიც მღვდელმთავარი მაინცდამაინც არ უწყობდნენ ხელს ამ საქმეს, არ თანაუგრძობდნენ ხელნაწერთა მუზეუმში წამოღებას. ეს რომ მარტო მონასტრის საპატიო საკუთრებაზე ზრუნვის შედეგი ყოფილიყო, კიდევ რა უშავდა, მაგრამ ბერები მეტწილად გაუნათლებლნი იყვნენ და მათ, პირიქით, სრულიად არ ესმოდათ ძველი ქართული ხელნაწერების დაუფასებელი მნიშვნელობა, ისე რომ ზშირად კიდევაც ყიდდნენ მათაც და ძველ საეკლესიო ნივთებსაც. ზოგს კი ერთგვარი კონსერვატიზმითა და შეზღუდულობითაც მოსდიოდა ხელნაწერთა მუზეუმში წამოღების წინააღმდეგობა. ნამეტნავად იყო ამხედრებული ეპისკოპოსი ლენინი და ბქრაძისძე (ბერი ალექსანდრე ეპისკოპოსის ძმისწული), ხოლო კირიონ საძაგლოშვილი, პირიქით, სულ სხვა აზრისა იყო და როდესაც ეპისკოპოსი გახდა და საეკლესიო მუზეუმს ჩაუდგა სათავეში, კიდევაც შეუწყობილი მონასტრებიდან ხელნაწერთა მუზეუმში გადმოტანას. ის კირიონი ხომ, როგორც ცნობილია, ისტორიულ ნაშრომებს წერდა და ბეჭდავდა. ერთი წიგნი გამოსცა, „Культурная роль Иверии в истории Руси“, რომელიც სამწუხაროდ, მეცნიერულად ვერ არის გამართული...

ჩვენს ერთობლივ მუშაობას საეკლესიო მუზეუმში ბოლო მოეღო დ. ბაქრაძის გარდაცვალებისთანავე. შესანიშნავი პიროვნება და თავის დროისათვის ყველაზე უფრო მომზადებული ისტორიკოსი და არქეოლოგი იყო. მისი „Кавказ в древних памятниках христианства“ ყველას სახელმძღვანელო წიგნად გვქონდა და მას დღემდეც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ვინაიდან ავტორს მოკლედ და კარგადა აქვს გადმოცემული, თუ ვის რა დაუწერია საქართველოსა და სომხეთის თითოეული ძეგლის შესახებ. რუსის მეცნიერები, რომელნიც საქართველოს ძეგლებს ეხებოდნენ, ყველანი იმ წიგნით სარგებლობდნენ ხოლმე. ნამეტნავად მეგობრობდა ბაქრაძეს ნ. კონდაკოვი, რომლის აქ სამოგზაუროდ ჩამოსვლამაც იმსხვერპლა (რა თქმა უნდა, მის უნებურად) ბაქრაძე. მათი საერთო ნაშრომი „Опись предметам древности в некоторых храмах и монастырях Грузии“ ბევრად უკეთესი გამოვიდოდა, ბაქრაძეს რომ დასცლოდა მისი უკანასკნელი კორექტურის წაკითხვა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, კორექტურა მაშინ მოვიდა თბილისში, როდესაც ბაქრაძე უკვე ის-ის იყო უნდა დაგვესაფლავებინა. ბაქრაძე დიდებულად დაეკრძალეთ, დიდუბეში, პანთეონში (მარმარილოს პირამიდა დაიდგა მის საფლავზე). მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა მის გამოგლოვაში: მრავალი წარმომადგენელი იყო გამოგზავნილი, სიტყვები ითქვა, დიდძალი გვირგვინებით შეამკეს. მანამდე არც ერთ ქართველ მოღვაწეს არ ღირსებია ისეთი პატივით დამარხვა, გარდა გრიგოლ ორბელიანისა, ოღონდ მისი, როგორც დიდი მოხელის დაკრძალვაში უფრო მთავრობა მონაწილეობდა და ქართველობა იმდენად არა ჩანდა. სხვათა

შორის, ნიკო ნიკოლაძე არ იყო მომხრე ბაქრაძის ასეთი ზემოთ დაკრძალვისა და, ჩვეული ენაშტარებით ამბობდა, „ილია რომ მოკვდეს, რაღა უნდა მოუმატონ ქართველებმა მის დამარხვას ბაქრაძესთან შედარებითაო?“.

განსვენებული ბაქრაძის ბიბლიოთეკა და არქივი შემდეგ შეეძახინენ წერაკითხვის საზოგადოებას მისი ქვერივისაგან. მისი ხელნაწერი კრებულები ერთს ზემოთ ხშირად ხსენებულ მკვლევარს ჰქონდა ნათხოვრად წაღებული, ქვერევა მოსთხოვა, მაგრამ არ დაუბრუნა, შემოუთვალა, „ესენი მაჩუქა განსვენებულმაო“. არქეოლოგიური ნივთი არაფერი დარჩენია ბაქრაძეს. გარდა ერთი ფიშტისი (დამბახისი), რომელზედაც ამბობდა ხოლმე, სოლომონ მეორის ნაქონიაო. რა თქმა უნდა, ისიც შევიძინეთ. სულ 1000 მანეთი მივეცი. ბაქრაძის ქვერივი ძალიან კარგი, პატიოსანი ქალი იყო, ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, გენერალ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილის ნათესავი. ბაქრაძის ვაჟი შესანიშნავი ვაჟკაცი მეომარი გამოვიდა, გმირობა გამოიჩინა პირველი მსოფლიო ომის დროს, გერმანიის ფრონტზე და არაჩვეულებრივად დააჭილდოვეს: მგონი, ორჯერ მიიღო „ოფიცრის გიორგის ჯვარი“. რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა ხოლმე. ბაქრაძის ერთი ქალიშვილი შეირთო ექიმმა მანსვეტაშვილმა (წერაკითხვის საზოგადოების მდივნის იაკობის ძმამ), მეორე კი—იურისტმა აბულაძემ, რომელიც ჯერ ქუთაისის სასამართლოს წევრი იყო, მერე კი ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორი (ოღონდ თბილისის განყოფილებას განაგებდა და აქ ცხოვრობდა უკვე).

ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ საეკლესიო მუზეუმს კარგა ხანს თ. ჟორდანიას უდგა სათავეში და მე აღარ მიმიღია მონაწილეობა მის მუშაობაში. აღარც მუზეუმის კომიტეტი იკრიბებოდა, ისე რომ ჟორდანიას მართლაც მუშაობდა იქ. მის შემდეგ მ. ჯანაშვილი იყო კომიტეტის მდივანი. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, სანამ მენშევიკები ჩაუდგებოდნენ სათავეში ხელისუფლებას, ვასარგებლე იმით, რომ საქართველოში ეგზარქოსი აღარ გვეყავა, ვითავე და ვადმოვტანინე საეკლესიო მუზეუმის მთელი კოლექცია საისტორიო-სამეთნოვრათი საზოგადოების მუზეუმში. ამ საზოგადოების მუზეუმში 1907 წელს იყო დამტკიცებული, მაგრამ სამუზეუმო შენობა არა გვექონდა (ცელი-ოლბდით და. საჭაჩიშვილისათვის აგვეშენებინებინა, მაგრამ, როგორც უკვე აღენიშნე, ამოიღ) და ვევიჭირდა... ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლანდელი უნივერსიტეტის) შენობა უკვე კარგა ხნის აგებული იყო და აქ გვიდგოდა მუზეუმის მოთავსებაც, მაგრამ ნ. ცხევედაძე არაფრის დიდებით არ გვიშეებდა შიგ. შენობა მთლად ჯერ არ დაემთავრებინათ, ოღონდ გადახურული კი იყო უკვე, როდესაც მასში გადაიტანეს სათავადაზნაურო სკოლაცა და ქალთა სასწავლებელიც. ეს იყო 1908—1909 წლებში. იმ ორმა სკოლამ შენობის მხოლოდ მარცხენა ფრთა დაიკავე. მარჯვენა ფრთის სამივე სართული კი ცარიელი იყო. მე გიმნაზიის სამშენებლო კომიტეტის წევრი ვიყავი. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის მოვალეობას მაშინ თუმანიშვილი ასრულებდა. კომიტეტს გამოვუცხადე, „შენობა იმისათვის აუაგეთ, რომ მუზეუმშიც მოგვეთავსებინა შიგ; აი, ახლა ჩვენ შევალთ შიგ, შევიტანთ მუზეუმს და, აბა, გამოგვრეკეთ მეოქი!“ თუმანიშვილი მომეხსრო. ამრიგად, ასე ვთქვათ, „დავიწყართ“ სამუზეუმო სივრცე, თორემ იმათთვის რომ გვეგდო ყური, ვერასოდეს გავშლიდით მუზეუმს. თავდაპირველად მეორე სართულში დავიკავეთ ერთი დიდი დარბაზი, მაგრამ მერე კომიტეტმა მთხოვა, თუმანიშვილის პირით, მესამე სართულში ამეტანა მუზეუმი. თუმა-

ნიშვილი დიდი დამფასებელი და მხარდამჭერი იყო ჩვენი საზოგადოებისა, მეც პატივისცემით თეპქეოლა და ვერ ვუთხარი უარი. ავედით მესამე სართულში. იქ მეტი თავისუფლება იყო, რადგან მთელი ის ფრთა ცარიელი დაგვხვდა. გიმნაზიის შენობა თბებოდა, ცალკე ჰქონდა სადგური მოწყობილი, ასე რომ ყოველმხრივ კარგად მოვეწყვეთ.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმ ქარვასლის შენობას, სადაც წერა-კითხვის საზოგადოება იყო მოთავსებული—კერძოდ, ქართულ თეატრს—ცეცხლი გაუჩნდა და მერე სხვა ოთახებსაც გადაედო. მაგრამ, საბედნიეროდ, ხელნაწერები გადაარჩა, ოღონდ საწყობში დაიწვა საზოგადოების გამოცემანი თუ სხვა, გასაყიდად შენახული წიგნები (სხვათა შორის, მაშინ დაიღუპა ჩემ მიერ გამოცემული, „მარიამისეული ქართლის ცხოვრების“ ტირაჟის დიდი ნაწილი, რის გამოც ეს წიგნი იმთავითვე ძალიან ძნელი საშოვარი შეიქნა). ხანძრის შემდეგ დავსვი საკითხი საზოგადოების გამგეობის წინაშე: თეატრის გვერდით მუზეუმის ადგილი არ არის, ახლა მუზეუმიც არ დაიწვეს მეთქი. გამგეობა იძულებული შეიქნა სადმე გადაეტანა თავისი ბიბლიოთეკა-მუზეუმი. სხვაგან ვერსად იშოვნეს ბინა და ისევ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში გადმოიტანეს¹⁵. დაალაგეს სარდაფში და რამდენსამე თვეს, თითქმის ნახევარ წელიწადს ისე იყო უპატრონოდ, ყურადღებას არავინ აქცევდა. იქვე იყო მიყრილი განსვენებული ძლია ჰავეკაძის ტანისამოსი და ზოგი სამახსოვრო ნივთი, რომლებიც მისი მოკვლის შემდეგ ჩაიბარა წერა-კითხვის საზოგადოებამ. იმყამად მე სრულიად ჩამოვიცილდი წერა-კითხვის საზოგადოებაში მუშაობას, აღარ ვიყავი მისი გამგეობის წევრი, როგორც უკვე ვთქვი. მიუხედავად ყოველივე ამისა, როცა ვხედავდი, რომ სარდაფში ჩაყრილ კოლექციას მტვერი და ქუქუქი ედებოდა, გულმა ველარ მომიტმინა, მოვიყვანე წერა-კითხვის საზოგადოების მაშინდელი თავმჯდომარე, გენერალი გიორგი ყაზბეგი, დავაყენე თავზე იმ კოლექციებს და ვუთხარი, „ასე შეუძლებელია დატოვება, ფუჭდება ნივთები და, თუ არაფერს იღონებთ, იძულებული ვიქნები გაზეთში გამოაცხადო, რომ მუზეუმს არც პატრონი ჰყავს, არც გამგე და ის არც მუზეუმსა ჰგავს და არც არაფერს მეთქი“. შეწუხდა ძალიან. შეწრიალა: „რა ვქნათ, სად წავიღოთო?“ ავიღე და ამოვატანიე ის კოლექციებიც მესამე სართულში და ჩვენი მუზეუმის გვერდით დარბაზში მოვთავსებინე. მაშინ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაც დაფატურდა, მით უმეტეს, რომ წამოიჭრა საკითხი, რაკი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება არსებობს, წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმიც მას გადაეცეს მოსაგელად და საერთოდ ორის მაგიერ ერთი ქართული მუზეუმი მოეწყოსო. ჩვენი საზოგადოება და პირადად მე ამის არც წინააღმდეგი ვიყავით და არც მაინცდამაინც დიდი მომხრე, რადგან, თუ გავაერთიანებდით მუზეუმებს, მათი გამგეობაც ჩაერთვებოდა ხოლმე საქმეში და ისე ველარ წავიყვანდით ამ უკანასკნელს. როგორც საჭიროდ მიგვაჩნდა. მაგრამ თუ კი ის საზოგადოება მოინდომებდა გაერთიანებას, ჩვენც დავთანხმდებოდით. ეს საკითხი გამოტანილ იქნა წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებაზე, მაგრამ მუზეუმის გადმოცემა-გაერთიანება უარყო იმ კრებამ ერთადერთი ხმის უმეტესობით

¹⁵ ე. თაყაიშვილის ბიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით შეგვპარვია უხუსტობა („ავად. ე. თაყაიშვილი“, 1966, გვ. 41), თითქოს წ. კ. საზ-ბის მუზეუმი ხანძრამდე გადატრუნოთ გიმნაზიის შენობაში.

(ისიც, მგონი, ხმების დათვისას, რაღაც იხერხეს მესვეურებმა და იმიტომ!). რაკი ასე გადაწყდა, საზოგადოებამ მოიწვია დავით კარიჭაშვილი, დაუნიშნა მას ჯამაგირი და ჩააბარა მუზეუმის გამგებლობა. ყველა შესაძლო კანდიდატთა შორის კარიჭაშვილი, რა თქმა უნდა, უპატიოსნესი და უსანდოესი იყო. მანაც უცხო აღარავინ გაურია საქმეში, მოიყვანა თავისი კარგი ქალოშვილები და ისე, ოჯახურად შეუდგნენ მუშაობას. იაკობ გოგებაშვილი ძალიან წინააღმდეგი იყო წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში გადმოტანისა: „წყნეთში წაიღეს მუზეუმი“. გაიძახოდა სულ. უნდა ითქვას, რომ მაშინდელი ვაკე მართლაც შორეული გარეუბანი იყო თბილისისა და როცა მუზეუმები გადავიტანეთ იქ, გინაზიის მეტი შენობა არც ყოფილა ირგვლივ, წყნეთამდე: ყანები იყო, ხან პური ეთესა და ხან სიმინდი. ვარაზის ხეზედაც ჩვენ ვაგაყეთებ ხილს, გიმნაზიის შენობა რომ ავაგეთ, თორემ მანამდე არ იყო. ცხველამდე წინააღმდეგი იყო იმ შენობაში მუზეუმების მოთავსებისა, როგორც უკვე აღვნიშნე, მაგრამ ვერც ერთი, ვერც მეორე ვერაფერს გახდნენ.

საერთოდ, გულისტყვილით კვლავ უნდა გავიხსენო, რომ მაშინ საქართველოში მეტწილად არ ესმოდათ ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და სამუზეუმო საქმის მნიშვნელობა და, რომ იტყვიან, არ ჰქონდათ ვაგებულო ამის ვემო! ინტელიგენცია უკვე თითქმის მრავლად გვყავდა და მეტწილად პატრიოტულად განწყობილიც, მაგრამ ნამდვილი საქმიანი ინტერესითა და სიღრმით თითქმის არავინ უყურებდა ამ საკითხს: სჯერდებოდნენ პოპულარული ბროშურებისა და საგაზეთო წერილების (განსაკუთრებით—პოლემიკურის!) კითხვას. ხომ რა ცოტას ვბეჭდავდით მეცნიერულ ნაკვლევებს და იქასაც კი ორიოდე კაცი თუ წაიკითხავდა, როგორც ჯერ არს. ხომ რა განათლებული და დიდი პატრიოტი მოღვაწე იყო იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ ზოგ რამეს არც ის მიიღებდა ხოლმე. მე და იაკობი ძალიან დამეგობრებული ვიყავით, სხვა რომ არა იყოს რა, თუნდაც იმის გამო, რომ ორი წლის განმავლობაში სულ ერთად ვსადილობდით და მერმე, სიკვდილის წინ ხომ თავისი ნების აღმასრულებლად დამნიშნა!.. ჰოდა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსება რომ განვიზარახე და წესდების პროექტი რომ შევადგინე, იმის საჭარო განსჯისას ბევრი რამ ითქვა ამა თუ იმ მუხლის შესახებ. მერე ადგა გოგებაშვილი და განაცხადა: „სანამ წესდებას ვავარჩევდეთ, ჯერ თითონ ის საკითხი გადავწყვიტოთ, ამ ახალი საზოგადოების დაარსება საჭიროა თუ არა? მე მგონია, არაა საჭირო, რადგან წერა-კითხვის საზოგადოება გვაქვს და ეს ახალი საზოგადოება ზედმეტია, მხოლოდ ხელს შეუშლის ძველსაო“. მერე მომიყვანენ თითონვე, თურმე ერთმანეთში ლაპარაკობდნენ წერა-კითხვის საზოგადოების მესვეურები. „თაყაიშვილი ენერგიული კაცია, იმ ახალ საზოგადოებას დააწინაურებს და, ვაი, თუ ძველი დაქვეითდესო!“ მაგრამ როდესაც ახალი საზოგადოება დაარსდა და მუშაობა დაიწყო, გოგებაშვილი კიდევაც ჩაეწყრა მასში, საწევრო გადასახადსაც იხდიდა და მუშაობაშიც მონაწილეობდა.

ასევე მოხდა, ჩვენი კოლექციები რომ ვაგაწვევთ და გამოვფინეთ გიმნაზიის შენობაში. ხალხმა უკვე სხვანაირი თვალით შეხედა მუზეუმსაც და „წყნეთში წაღებულ“ მის ბინასაც. გამოუფენა მართლაც რიგიანი გვქონდა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველებზე თამარ მეფის, ათაბაგებისა და სხვათა ფრესკული პორტრეტების პირებმა. გაოცებულნი და აღ-

ტაცებულნი იყვნენ: თითქმის არაინ არ იცოდა მანამდე, რომ ისეთი შესანიშნავი ძეგლები მოგვეპოვებოდა ტაძრებში.

სხვათა შორის, ფრესკათა პირები გადმოვალდებინეთ მხატვარ კონს, რომელიც თითონ ნორვეგიელი იყო და ცოლად კი რუსის ქალი ჰყავდა (შემდეგ იმ ქალმა რამდენჯერმე მინახულა პაზიზში). კაცად კაციც შესანიშნავი იყო და მხატვარიც კარგი: მშვენიერი ხელი ჰქონდა. ისე ზედმიწევნით გადმოხატა ყველა. რომ დედნებში ვერ გამოარჩევდით. მახსოვს, ბეთანიაში რომ გავგზავნე. ზამთარი იყო. ვუთხარი, „წადით. დაათვალიერეთ და გვითხარით თქვენი აზრი. გადმოხატათ თუ არა მეთქი?“ რომ ნახა, გადაირია, ისე მოეწონა: „ეს ძეგლი რომ ჩვენი გვეონდეს, ოქროს სარქველს დავახურავდით და ისე შევინახავდითო!“ დათობას ველარ მოუცადა, ზამთარშივე წაიყვანა თავისი ცოლი თან და იმ სიცივეში გადმოხატა ფრესკა. მერე გელათში წასვლა ვთხოვე, მაგრამ უარი მითხრა, „იმას ველარ გადმოვხატავ, ახლა სამშობლოში მივიღიარო“. „მინც წადით, ნახეთ მეთქი?“, ვუთხარი. წაიდა, ნახა და სანამ იქაური ფრესკებიც არ გადმოხატა, მანამდე ვადასოვ სამშობლოში დაბრუნება...

ასე იყო თუ ისე, ორი მუზეუმი მოთავსდა გიმნაზიის შენობის მესამე სართულში, გვერდით გვერდ; კორიდორი საერთო ჰქონდათ. ახლა ჭერი მიდგა საეკლესიო მუზეუმზე. იმემაღლ საქართველოს ეგზარქოსად იყო პლატონი. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების რუსული მართლმადიდებელი მრევლის ეპისკოპოსად ნამყოფი და ამერიკელი საქმიანობის გაქანების სულსიკვეთებით გამსჭვალული. თან განათლებული კაცოც იყო და მერტ გაეგებოდა მეცნიერებისა, ვიდრე უწინდელ ეგზარქოსებს. იმან ინახულა ჩვენი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, ძალიან მოიწონა და გვითხრა, „თქვენი მუზეუმი უფრო საეკლესიო ყოფილა (მეტწილად, რასაკვირველია, მართლაც საეკლესიო ნივთები გვეონდა და აგრეთვე სურათები—წამლით ნახატოცა და ფოტოგრაფიულიც), ვიდრე ჩვენიო; რაღა საჭიროა, რომ ჩვენი ცალკე იყოს, წამოიღეთ, შეუერთეთ თქვენსას და ერთი მუზეუმი გვექნებათო“. მაგრამ სამღვდელობა არ დაეთანხმა ეგზარქოსის ამ წინადადებას. საეკლესიო მუზეუმში მაშინ თ. ჟორდანიას უკვე აღარ მუშაობდა, კირონ ეპისკოპოსი და მ. ჭანაშვილი განაგებდნენ იქაურობას. გიმნაზიის შენობის იმ ფრთაში, რომელშიც ჩვენი ორი მუზეუმი მოეწყო, ერთი დარბაზიც იყო თავისუფალი. ის შეეთავაზე საეკლესიო მუზეუმს და ისინიც გადმოვიდნენ და მ. ჭანაშვილი გახდა მისი გამგე. ამრიგად, გიმნაზიის შენობის მარჯვენა ფრთის III სართულში დამწყვიტდა სამი ქართული მუზეუმი, რომელთა დათვალიერება ზედინზედ შეეძლო მნახველს. ფაქტიურად თითქმის გაერთიანდა ეს სამი მუზეუმი, მიუხედავად იმისა, რომ სამივეს თავ-თავისი გამგეობა ჰყავდა. იმ დროს წერა-კითხვის საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმებს უკვე იშვიათადად შემოსდიოდათ ახალი ექსპონატები. უფრო საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს სწირავდნენ ხოლმე... ასეთი ვითარება გრძელდებოდა მენშევიკების ხელისუფლების დასასრულამდე.

მენშევიკური მთავრობა არც კი კითხულობდა მუზეუმს, არ აინტერესებდათ. სულ ერთხელ იყვნენ ჩვენთან მათი წარმომადგენლები. იმ სამთვან არც ერთი საზოგადოების სასარგებლოდ არ გამოუღიათ არც ერთი კაპეიცი. საერთოდ, ძალა-უფლება რომ იგდეს ხელთ, სრულიად მიანებეს თავი ასეთ საქმეებს და მთელი ყურადღება და ძალ-ღონე პოლიტიკაზე გადაიტანეს, სხვა აღარათფერი ახსოვდათ.

თბილისის დატოვებაზე რომ შეიქნა ლაპარაკი, ნ. ჟორდანიამ თქვა: „განძეულობა სულ ქუთაისში გადავიტანოთ და სულ ბოლოს ჩვენც წავალთ, რითაც მოგვიხერხდება“. ერთ საღამოს გამომიცხადა, „ხვალ დილის 9 საათზე მატარებლით ქუთაისში ვგზავნი, რაც რამე მოგვეპოვება ხაზინაში, და მუზეუმის ქონებაც იმ დროისათვის უნდა მოიტანოთ სადგურში“. მაშინვე შეეკრიბე მუზეუმთა გამგეები—კარიკაშვილი, ჟანაშვილი, ვინც მრჩეველები ვით იყვნენ, ისინიც, კავკასიის მუზეუმისა და მხატვართა მუზეუმის წარმომადგენლებიც და ვუთხარი, მთავრობის თავმჯდომარემ ასე გამომიცხადა მეოქი. გადაწყდა, გავგეგზავნა ძვირფასეულობა ქუთაისში და მერე იმის მიხედვით მოექცეულიყავით, თუ როგორ წარიმართებოდა საქმე. საზღვარგარეთ გავგზავნა არც გვიფიქრია და არც სიტყვა დაუძრავს ვისმე. მთელ დამეს იმუშავეს და დილის 9 საათზე მართლაც გაიტანეს სადგურში. მეც გავედი და ვნახე, რომ ბევრი რომ ისეთი ჩაღაგებინათ, რაც არ იყო წასაღები, მაგრამ რაღას ვიხანძრავდი, უკვე დაბეჭდილი იყო ყუთები! ერთი კარგი, სანდო ახალგაზრდა კაცო [იონათამიშვილი] გავაყოლე მცველად და გავგზავნეთ ქუთაისში. ქუთაისის ხაზინაში მოიყარა ყველაფერმა თავი. მანამდე იქვე ჩაეტანათ გელათის მონასტრის ნივთებიც, რაც, რა თქმა უნდა, დიდი უტაქტობა იყო ნ. ჟორდანიასიცა და მაშინდელი კათალიკოსის ლეონიდესიც...

მერე კი, როგორც ცნობილია, მთელი ის სამუზეუმო ძვირფასეულობა ემიგრაციაში წასულ მენშევიკურ მთავრობასთან ერთად საფრანგეთისაკენ წავიდა და მეც ძალა-უნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოეშორებოდა ჩენი ერის სასიკადადულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისაგან... ამ საქმეს ემსახურებოდი თითქმის სრული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და, მიუხედავად მრავალგვარი გასაქურისა და იმოდენა ხნის უსიხარულო ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმისა, შემიძლია ვთქვა, რომ პირნათლად შევიასრულე ეს ჩემი მოვალეობა მშობელი ერის წინაშე. საბჭოთა ხალხის ძლევამოსილებამ ფაშისმის წინააღმდეგ სამკედრო-სასიცოცხლო ომში შესაძლებელი გახადა ჩემი დიდი ხნის განზრახვის — სამუზეუმო განძეულობის საბჭოთა საქართველოში, მისი ნამდვილი პატრონისათვის, ხალხისათვის დაბრუნების განხორციელება. რასაც მე ჯერ კიდევ ომამდე ბევრად ადრე ვცდილობდი და სათანადო მიმოწერაც მქონდა აქაურ მთავრობასთან, მაგრამ არ ხერხდებოდა.

ევროპაში კი არა ერთხელ დამდგარა ჩენი სამუზეუმო განძეულობა ანა თუ იმ საფრთხის წინაშე. გავიხსენებ რამდენსამე ასეთ მომენტს.

„ახალგორის განძი“, რომელიც თავის დროზე მე გადავარჩინე დაღუპვას და კავკასიის მუზეუმს გადაეცა, მსოფლიოში უნიკალურ კოლექციად ითვლება, ნამდვილი თვალი იყო და არის ჩენი სამუზეუმო ქონებისა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი შესანიშნავი ნივთია გათხრით მოპოვებული მცხეთაში, თრიალეთში და სხვაგან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ახალგორული ოქრო-ვერცხლის მეცნიერული ღირებულება ყველა სპეციალისტმა კარგად იცოდა და ბრიტანეთის მუზეუმმა, მეორე მსოფლიო ომის წინა ხანებში, შუამავლად მოგვიგზავნა ინგლისელი ისტორიკოსი ალენი (რომელმაც ინგლისურად გამოსცა ქართველი ერის ისტორია, საკმაოდ დიდი და სერიოზული ნაშრომი). გეთხოვდნენ, „ერთადერთი რომელიმე ახალგორული ნივთი დაგვიომთმე ნიმუშად, თქვენნივე ამორჩევით, და სამაგიეროდ მთელ განძეულსაც უსასყიდლოდ შეგინახავთ და თან რაც გამოს-

ცემი გაქვთ, ყველაფერს გამოგიცემთო“. პირდაპირ გადარეული იყვნენ, ისე მოსწონდათ ის კოლექცია. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან შორს დავიჭირებ: ვუ-თხარი, მე მხოლოდ ამცველად ვითვლები ამ სახალხო ქონებისა და საერთოჲ არც ერთი ნივთის არავისთვის დათმობაზე ლაპარაკი არ შეიძლება მეთქი.

არა ნაკლებ ინტერესს იჩენდა ჩვენი კოლექციებისადმი ნიუ-იორკის მუ-ზეუმებიც. არ კი ენახათ, მაგრამ გაეგონათ, რომ კარგი მინანქრისანი ნივთები გვექონდა, ხოლო იმ მუზეუმს ადრე უკვე შეეძინა საქართველოდან ჯერ კიდევ რევოლუციამდე გატანილ-გატაცებული სათანადო ნივთები, ისე რომ ჩვენებუ-რი მინანქრის ფაში კარგად ესმოდათ. მუზეუმის დირექტორი თითონ ჩამოვიდა პარიზში—გვარი აღარ მახსენდება, ნიუგაროს ჩანჩქერზე ხიდის ამშენებელი ინჟინერი იყო. დიდძალი ფული შემოგვაძლია ჩვენ მინანქრებში, მაგრამ, რა-საკვირველია, ეს მოლაპარაკებაც ჩაეშალე. პირდაპირ ამბობდა, „ფასზე ლაპა-რაკიც ზედმეტია, რასაც მოითხოვთ, მოგცემთო“. მენშევიკთა მეთაურების ერთ წყებას ტყუაში დაუჯდა ეს წინადადება და უჩემოდ აწარმოებდნენ მოლა-პარაკებას, მაგრამ ძალიან შევეუთიე: „რა უფლებები აძლევთ ხალხის მიზარე-ბულ ქონებას მეთქი?!“ მუზეუმის დირექტორმა რომ შეიტყო ემიგრაციის გა-ჭირებული მღვდმარება, უთხრა, „იმის პირობა მაინც მომეცით, რომ სხვას არაუის მიჰყიდით. თუ გადასწყვეტთ. ისევე ჩვენ მოგვიყიდითო და სამაგიეროდ დიდ სესხს მოგცემთო!“ მენშევიკებს ეს მოეწონათ და მითხრეს, „მივეტო ასეთი: ხელწერილიო!“ მე ვუთხარი: „რაო? იმაზე მოუწერო ხელი, რომ უპატიოსნო-ბას არა ეიჭ და სხვის ქონებას არ გაუყიდი? მაგაზე, თუ გინდათ, თქვენ მოუწე-რეთ ხელი მეთქი!“ ამის შემდეგ კი დამანებეს თავი.

ერთ რუს ემიგრანტს, არისტოკრატ ობოლენსკის ცოლად ჰყავდა დადიანის ქალი. ამ უკანასკნელს [დაქვრივებულს] რომ გაუჭირდა, გამოგვედავა ზუგდი-ლის სასახლიდან წამოღებულ ქონებაზე (ვერცხლეულზე და სხვ.), სახელმწი-ფოს რა ხელი აქვს, ჩემი ოჯახის კერძო საკუთრებაა და მემკვიდრეობით ჩვენ გვერგებაო და გვიჩივლა საფრანგეთის სასამართლოში. დიდი ორომტრიალი ატედა და მაგარი ბრძოლის გადახდა დამჰიდრა იმ ნივთის დასანარჩუნებ-ლად. სასამართლოს ოქმებისა და სხვა საბუთების კარგა დიდი დასტა წამომყ-ვა თან.

დასასრულ, ჩვენ განძეულობას ძალიან საშიშრად შემოუტია ლუერის მუ-ზეუმმა. პირდაპირ უცნაური ამბავი მოხდა: გერმანული არმიის მიერ საფრან-გეთის ოკუპაციის დროს ფაშისტებს გადაეანარჩუნეთ ის ჩვენი ქონება და გერ-მანიის დამარცხების შემდეგ კი „დემოკრატიულმა“ საფრანგეთმა კინაღამ გა-მოგვეგლიჯა ხელიდან. აქაო და ემიგრანტები, დიდი ხანია, ნამდვილ მთავრობას აღარ წარმოადგენენ. საქართველოს თავისი საბჭოთა მთავრობა ჰყავსო და. მაშასადამე, ემიგრანტების მიერ მიზარებული ქონება, ამდენი ხნის გასვლის გამო, ლუერის საკუთრებად უნდა იქცესო. შეიძლება, თავისიკი კი გაეტანათ. რომ კიდევ ერთხელ არ მომეწერა საბჭოთა კავშირის მთავრობისათვის და ეს უკანასკნელი ამჟერად უკვე ენერგიულად არ ჩარეულიყო საქმეში. საფრან-გეთის მთავრობის მაშინდელი მეთაური დე-გოლი როგორც კი დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც ი. სტალინს შეხვედროდა და ამ უკანასკნელს ეთქვა, სხვა-თა შორის, ჩვენი განძეულობის შესახებ. მაშინვე გასცა სათანადო განკარგუ-ლება და ახლა კი უკვე ულაპარაკოდ გადმოგვცა ჩვენი ქონება, რომლის წამო-საღებად პარიზში ჩამოფრინდა საგანგებო კომისია, პროფ. შ. ამირანაშვილის მონაწილეობით. ჩვენი კოლექციები ომის დროს შენახული იყო ყუმბარა-

ფარი სარდაფის მე-4 სართულში. სათბობი ჯერ კიდევ ძალზე ჰქირდა და სარდაფი გაყინული იყო. ყოველდღე იქ მუშაობაში და მინაბარი კოლექციების ისევ ჩაბარებაში ვაეცოდი და ფილტვების კრუპოზული ანთება დამემართა. იმ გაჭირვებაში და ყველაფრის ნაკლებობაში მარტოხელა მოხუციის ავადმყოფობა მეტად საძნელო რამ იყო და დროზე რომ არ ჩამოესწრო საბჭოთა კომისიას, ალბათ ველარც წამოვდგებოდი ცოცხალი. სასწრაფოდ მიღებული ყოველგვარი ზომების (კრძოდ, პენიცილინის შემსახუნების) წყალობით გამოვკეთდი, გულდაგულ ჩავალაგეთ სამუზეუმო ქონებაც, ჩემი პირადი ბიბლიოთეკა-არქივიცა და გამოვემგზავრეთ: ჩვენა და განძეულობა პაერით, დანარჩენი ბარგი კი—მატარებლით.

პარიზიდან 1945 წლის 5 აპრილს გამოვერინდით, ომი ჯერ კიდევ არ იყო გათავებული. ღამე რომში ვავათიეთ. რომიდან შუალდისას განვაგრძეთ საპაერო გზა და 8 საათის შემდეგ დავეშვიტ ბიზერტაში. ბიზერტიდან ქაიროში გადმოვერინდით და იქ კი 2—3 დღეს ვავჩერდით, უამინდობისა გამო. იქიდან — თეირანში და იქაც 3 დღეს ვავეაჩერა უამინდობამ. მაღალ მთებს უნდა გადმოვკვლევოდით თავს. 11 აპრილს გამოვერინდით თეირანიდან და 7—8 საათის შემდეგ უკვე თბილისის აეროდრომზე დავეშვიტ. თვითმფრინვიდან რომ გადმოვდგი ფეხი, აკაკის ლექსი მომადგა ენაზე: «ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!.. დედა-შვილობას, ბუერს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბაბარეო!» 82 წლის მოხუცს ამხელდა დიდი ხნის ნატარა, დავუბრუნდი სამშობლოს და დავუბრუნე მას მისი კუთვნილი განძეული. საშუალება მომეცა, ჩემს უნივერსიტეტში და ახალშობილ აკადემიაში დამეწყო მუშაობა. ოღონდ ძალზე მიკლავს გულს ის ვარემოება, რომ ჩემი საცოდავი მეუღლე, ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის ერთგული თანამგზავრი, საფრანგეთის მიწაში დამჩრა დამარხული...

სამეცნიერო და სხვა საზოგადოებათა დაარსება (ხალხი რომ თავს მოიყრიდა, იმსჯელებდა. იკამთებდა და სხვ.) კარგა ხანს ჰქონდა მთავრობას აკრძალული, რევოლუციური მოძრაობის შიშით. მხოლოდ მაშინ გამოიცა კანონი ასეთების ნებადართვის შესახებ, როდესაც, 1905 წლის რევოლუციის შემდეგ სახელმწიფო სათათბირო იქნა მოწვეული, და სწორედ მაშინ იყო, რომ დავაარსეთ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება.

მანამდე კი ნებადართული იყო მხოლოდ საეპიკო, კომერციულ და სხვა მსგავს საზოგადოებათა დაარსება, ურთიერთ ნდობის საფუძველზე: ერთ რომელიმე პირს დააკისრებდა შეამხანაგებელი ჯგუფი გამგეობას და მის სახელზე იყო ხოლმე საქმე ნოტარიული წესით ვაფორმებულ, ის პატრონობდა ყველაფერს. რამდენიმე კაცმა ვისარგებლეთ ამ წესით და დავაარსეთ „ქართველთა გამომცემელი საზოგადოება“. დამაარსებელთაგან, ჩემ გარდა, მახსენდება შემდეგი პირები: ჯრ. ჩარკვიანი (წიგნის მაღაზიის ცნობილი პატრონი და გამომცემელი, ძალიან კარგი კაცი), დ. ბაქრაძე (პოეტობდა, ბაირონის „ჩაილდ-პაროდი“ თარგმნა რუსულთ, აგრეთვე კარგი კაცი იყო) და აღ. ჭაბადარი (ქალაქის მმართველობაში მსახურობდა რაღაც მცირე თანამდებობაზე, წესიერი და კომერციული უნარის მქონე კაცი იყო). შეეკარით ნოტარიუსთან პირობა და გამგედ ამოვიჩრჩიეთ აღ. ჭაბადარი. საქმის მოსაწყობად თითო-ბუთ-ბუთი თუმანი შევიტანეთ და შევუდევით საგამომცემლო საქმიანობას, რომელიც საკმაოდ თვალსაჩინო ნაყოფიერი გამოდგა...

ქუთაისის გიმნაზია რომ გავათავებთ, ყველანი პატრიოტული სულისკვეთებით ვიყავით გამსჭვალული, იმდროინდელი საერთო განწყობილების შესაბამისად: აკაკისა და ილიას ნაწერებს ვეწაფებოდით; ქუთაისის ბანკის კრებებსა და სხვა ყოველგვარ საზოგადოებრივ თავყრილობას ვესწრებოდით; საერთოდ, გიმნაზიის უფროს კლასთა მოწაფეები სტუდენტებივით ვიყავით ქუთაისში... ზემოთ უკვე გავიხსენე, თუ როგორ ვთათბირობდით ჩვენი უმაღლესი განათლებისა და მომავალი ხელობის შესახებ და რა თვალსაზრისი ედო საფუძვლად ამ ჩვენს არჩევანს: „რა უფროა საქართველოსათვის საქირო. რით უფრო გამოვადგებით სამშობლოსა და ხალხსაო?“ განსაკუთრებით თავგადაკლული პატრიოტი იყო ჩემ გიმნაზიის ამხანაგთა შორის ნიკო მარი. ასე მაგალითად, მან ერთ მშვენიერ დღეს დაჰკრა ფეხი, თბილისში წამოვიდა, მივიდა ზაქარია ჭიჭინაძესთან და შესთავაზა თავისი სამსახური სახალხო წიგნების გამოცემა-გავრცელების საქმეში; მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო მასთან და ისევ დაბრუნდა ქუთაისში. ჩვენი გიმნაზიის დირექტორმა სტოიანოვმა წაუყრთა მარის ამ ახირებულ საქციელს და ისევ დასვა კლასში, თითქოს არაფერი მომბეზარავს: იცოდა მისი განსაკუთრებული ნიჭიერება, ძალიან აფასებდა მის მომავალს და ყოველნაირად ხელს უწყობდა. იმავე დროს მარს მერყევი, ადვილად გამტაცებელი ხასიათი ჰქონდა. მერყეობდა იგი, კერძოდ, მომავალ ხელობის არჩევანშიც. ერთ ზაფხულს იგი გურიაში მიიწვია თავისი ძმის რეპეტიტორად ტიტკოვ ერისთავმა, რომელიც მაშინ სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებდა. მისი ძმა, მეტსახელად „ტასკა“, გონებაჩლუნგი ბავშვი იყო და თან ფიზიკურადაც უჩვეულო, წვრილი და გამხდარი (ერთი გიორგი თაყაიშვილი იყო, ძველი კაცი. ის „ტასკა“ რომ დაინახა, იკითხა, ვინ არისო და როცა უთხრეს, ერისთავიაო, იტყვა: „უჰ, ერისთავს რომ შეხედავ მაშინვე იცნობ, კითხვა აღარ უნდა და აი გლახა როგორი ერისთავიაო?!“). იმ ტიტკომ ისეთი აღტაცებით დაუწყო მარს ლაპარაკი მედიცინის განვითარებასა და საქიროებაზე, რომ მარმაც გადაწყვიტა, სამედიცინო ფაკულტეტზე შესულიყო. მეტკი არ უნდოდა! ნამეტანი უცბად იცოდა ყველაფრის აყოლა. მაგრამ, კიდევ კარგი, ბოლოს თითონაც შეიცვალა აზრი და ჩვენც ავაღებინეთ ხელი ექიმად გახდომის განზრახვაზე. უფროს კლასებში ყოფნისას მან კერძოდ შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები, მერე თურქულსაც მიაჯყო ხელი. არავინ უშლიდა ხელს, იცდა თავისთვის და მეცადინეობდა. როგორც უკვე აღვნიშნეთითონ „დაიტოვა“ თავი გიმნაზიის უფროს კლასში: ენების კარგად სწავლა ვერ მოვასწარი, ბერძნული საკმაოდ არ ვიცო. ამაზე კი ჭავრობდა დირექტორი, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჩვენ თათბირზე მარმა განაცხადა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე შევა, რათა ქართული ენა იკვლიო. ამ არჩევანში ჩვენი, ამხანაგების გავლენაც იყო: ვამჩნევდით ზედმიწევნით დიდ ნიჭს ენების სწავლაში და გადაჭრით ვურჩიეთ ეს დარგი... უნივერსიტეტისა და ჩემი იქ სწავლის შესახებ საკმაოდ დაწვრილებით ზემოთ გავიხსენე. უნივერსიტეტი დავამთავრე 1887 წლის გაზაფხულზე. არადაღეგებულად დავრჩი საკანდიდატო დისერტაციის დასაწერად და შუა სექტემბერში წარავადგინე კიდევაც იგი. ჯერ არა მქონდა გადაწყვეტილი წაპოსვლა თუ დარჩენა, მაგრამ სტიპენდია უკვე შემიწვევით და ამიტომ ყოველი შემთხვევისათვის მოვწერე ღებემა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის გამგეს ალექსი ჭიჭინაძეს, მაგრამ ამაზე—ოცრა ქვემოთ...

უნივერსიტეტში მე კავკასიის სტიპენდიანტი ვიყავი, 25 მანეთი მქონდა 'თევში. კავკასიას რამდენიმე სტუდენტი ჰყავდა სახაზინო ხარჯზე—ისინი, ვინც კარგად დაამთავრებდნენ ხოლმე საშუალო სასწავლებელს. იმ დროს რუსეთს ძალიან სჭირდებოდა უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები და ამიტომ, კანონით, ყოფილი სტიპენდიანტები უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 5 წლის განმავლობაში მთავრობის განკარგულებაში იყვნენ, სადაც მას უნდოდა, იქ დანიშნავდა სამსახურში. 5 წელს რომ მოიხდიდნენ იმ სავალდებულო სამსახურს, მერე თავისუფლდებოდნენ და თუ უნდოდათ. სამსახურიდანაც კი გადაადგებოდნენ. იმავე დროს მაშინ პოლიტიკა უკვე ისეთი იყო, რომ ქართველებს ნაკლებად აძლევდნენ ადგილს საქართველოში—პროვინციაშიც კი დიდი გაჭირვებით ნიშნავდნენ და თბილისსა და ქუთაისში ხომ მით უმეტეს. ხოლო თუკი ადგილს თითონვე არ მოგცემდნენ. მაშინ უკვე ვეღარც იმ 5 წლის სავალდებულო სამსახურს მოვთხოვდნენ. ამ უკანასკნელისაგან განთავისუფლება იმითაც შეიძლებოდა, თუ მთლად გადაიხდიდი იმ ფულს, რაც სტიპენდიის სახით მიგელო სტუდენტობის დროს.

მე რომ უნივერსიტეტს ვათავებდი, მაშინ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად იყო ცნობილი იანოვსკი. სწორედ იმხანად ჩამოვიდა პეტერბურგში და მეც ვინახულე, რათა მომესინჯა ადგილი. რომ არ დამინიშნავდნენ, ვიცოდი, მაგრამ მაინც გადაჭრილ პასუხს მივიღებდი და ის იყო! ვუთხარი, სტიპენდიანტი ვარ, ახლა ვათავებ (გამოცდები უკვე ჩაბარებული მქონდა) და მივიღებ თუ არა ადგილს მეთქი? სპეციალობა მკითხა და როცა ვთავო, რომ ისტორიკოსი ვიყავი, მითხრა: „საერთოდ ძალიან ცოტა ადგილები და ისტორიკოსებისათვის კი სულ არაა, ლათინურის, ბერძნულის ან ამისთანების მასწავლებლისათვის უფრო მოინახებოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის მაინც გამოიმეზვანეთ თხოვნა და პასუხს გაცნობებთო“. ის იანოვსკი პობედონოსევის, კატკოვისა და მისთანა შერაზმელოთა წრის და ტიპის ზედმეწვენიტ ჩინოვინიკი ვინმე გახლდათ. თითონ მათემატიკოსი იყო და. სიმართლე უნდა ითქვას—მერე დიდხანს ვაკვირდებოდი—პედაგოგად კი ვარგოდა. შეამოწმებლად რომ შემოვიდოდა გაკვეთილზე. იმ წუთსვე, სულ ადვილად შეამჩნევდა ხოლმე, თუ მასწავლებელს რაზე ნაკლი ჰქონდა. თავი დინჯად ექიპრა, მისგან უზრდელსა და უკმეხ სიტყვას. ამაღლებულ ხმას ვერ გაიგონებდი. მაგრამ იმავე დროს გარუსების პოლიტიკის ნამდვილი ბურჯი იყო და მის მრწამსს წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ყოველ კუთხეში რუსული ენის გაბატონება და ადგილობრივ ენათა დაფიწყება. ყველამ იცის მისი ამგვარი მოღვაწეობა ჩვენში და ჩვენი მოწინავე-მეთაურების გამუდმებული ბრძოლა მასთან და მის დამქაშებთან, ასე რომ ამ საკითხზე აქ სიტყვას აღარ ვავარძელებ...

გამოუეზვანე თხოვნა იანოვსკის, თანახმად მისივე ნათქვამისა. თბილისში მინდოდა მუშაობა, სხვაგან არსად ვაპირებდი წასვლას. მეორე კვირაში მივიღე პასუხი, წინასწარ გამზადებულ ბლანკზე დაწერილი: „Места нет и не предвидится“-ო. ასეთი „პოლიტიკის“ კაცი იყო: იმპერი პასუხი მომახლა, ხოლო პეტერბურგში, პირადად რომ ვნახე, მაშინ კი. კარგად მიმიღო; ერთხანს ისიც გაიხსენა, თუ ქუთაისში ვინ გვასწავლიდა და ა. შ. სხვათა შორის, ისტორიის მასწავლებელ სიმონ ლოლობერიძეზე მითხრა, „Положим, педагог-то он неважный!“-ო, მაგრამ მე რომ ვტიკიცე ესა, მაშინვე დამიკრა კვირი: „Да, да, он в высшей степени порядочный и гуманный человек!“-ო (მართლაც და მეტად ტკი-

ლი და განათლებული კაცი იყო ს. სლობოდერძი; მაგრამ ვერ გამოდგა ენერგიული, ქალაქის თამაშს გაჰყვა; თანაც ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა — მალაკელი, მდიდარი ოჯახის შვილი—და იმანაც ბევრი უსიამოვნება მიაყენა, ხელი შეუშალა მუშაობაში). იანოვსკიმ პეტერბურგშივე მიიხსრა, შეგიძლია სამშობლოში დასაბრუნებლად 120 მანეთი მიიღო და მართლაც მომცეს. მინდოდა ერთ წელიწადს მაინც დავრჩენილიყავი პეტერბურგში: ცოტა შევისვენებდი, კიდევ რაღაცას ვისწავლიდი და რაც შემეძლო, წიგნებს ვკითხულობდი (ვალიკ კი ავიღე). ასე რომ საკმაოდ კარგ ბიბლიოთეკას მოუყუარე თავი. ვიცოდი, რომ თუ კაცი ნამდვილად კარგად არ იყო განვითარებული, არ ივარგებდა. მაგრამ სტიპენდია უკვე აღარა მქონდა და თავის სარჩენად სახსრის ძებნა დამჭირდა. ვერ ვიკადრე. თორემ იენანე ნაკაშიძისათვის რომ მეხოხვნა, მომეხმარებოდა... აედექი და გამოუეგზავნე ზემოაღნიშნული დეპეშა ალექსი ჭიჭინაძეს თბილისში: „Есть ли свободные уроки в вашей школе?“ დეპეშითვე მიპასუხა: „Есть 12 уроков латынского языка, 60 рублей в месяц“.

მას ისე გაეგო, რომ მის სკოლაში მასწავლებლობა მინდოდა. მე კი აღარაფერი მომიწერია. გავიდა სექტემბერი და ოქტომბრის დასაწყისში მომივიდა ჭიჭინაძის მეორე დეპეშა: „Ждем, приезжайте поскорее“. მაშინ მივხვდი, რომ სწავლა დაწყებულია, ის ადგილი ჩემთვის შეუნახავთ და არავისთვის მიუციათ. დაყოვნება უხერხულია—იყო და მეც ჩამოვედი თბილისში. ალექსი ჭიჭინაძესაც და მის მეუღლეს ფროსიკოს ძალიან იაბათ ჩემი ჩამოსვლა (ფროსიკოს, ნიკო ნიკოლაძის დას, პეტერბურგიდანვე ვიცნობდი. იქაური ქართველები რომ ვიკრიბებოდით ხოლმე — ძალიან გონიერი და განვითარებული ქალი იყო)... ავიღე ლათინურის გაკვეთილები და გავხდი მასწავლებელი.

ალექსიმ მიიხსრა, წადი და იანოვსკი ნახეო (თუმცა კი იმ ხუთი წლის ვალდებულებისაგან ავტომატურად განთავისუფლებული ვიყავი, რაკი კავკასიის სტიპენდიანტს კავკასიაში ადგილი ვერ მომცეს)... მაშინ ახალი შემოსული იყო ე. წ. ევრისტიული მეთოდი. თბილისის I გიმნაზიის ინსპექტორი იყო ჩენი დრბოგლავი (საერთოდ რუსეთში კლასიკურ ენათა მასწავლებლები აკლდათ და ჩენები მოჰყავდათ, „братья чехи“-ო უძახდნენ), რომელიც ადრე ქუთაისში იყო და მერე თბილისში გადმოიყვანეს დირექტორ მარკოვის თანაშემწედ, ინსპექტორად. ლათინური კარგად იცოდა და დიდი მომხრე იყო კლასიციზმისა. აქ ყოფნისას შეადგინა სახელმძღვანელო — „Учебник латынского языка для I—II классов, по эвристическому методу“. ეს მეთოდი, ლევიცის მიერ შემოღებული, იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლებოდა, უთარგმნელად უნდა გელაპარაკნა მოწაფეებთან შესწავლილ ენაზე. იგი მთავრობის მიერ მოწონებული და კავკასიაში ყველაგან მიღებული იყო. მოვიხილეთ იმ მეთოდის პრაქტიკულად გაეცნობა და მართლაც მივიღე იანოვსკისთან. მაშინვე გაიხსენა, პეტერბურგში რომ ვიყავი მასთან. მკითხა სამსახურის ამბავი და რომ ვაიგო, თქვა: „Ну и прекрасной“-ო. მე ვუთხარი, ფაქულტეტი კი გავათავე ისტორიულ-ფილოლოგიური, მაგრამ პრაქტიკა არა მქონდა და, რაკი ლათინურს ვასწავლიდი, მინდა აქ დავესწრო კარგ მასწავლებელთა გაკვეთილებს, თქვენი რეკომენდაციით მეთქი. ძალიან გაეხარა: „Вот это понимаю! Молодые так и должны делать!“ თ, დრბოგლავო ასწავლის ლათინურს და იმის გაკვეთილებზე იარეთო. მაშინვე დამი-

წერა ბარათი, რომელ გაცვეთილზედაც მოინდომოს, დაუშეითო. მეც და-
ვიწყე იმ ბარათით სიარული, ჯერ I გიმნაზიაში. დრბოგლავი ძალიან
ზრდილი კაცი იყო, ნამდვილი ევროპელი და ისე მიგიღებდათ, რომ
პირდაპირ მოგხიზავდათ. ამასთანავე ყურმოპირილი ჩინოვნიკიც გახლ-
დათ: მზრუნველთან რომ შევიდოდა, ჯარისკაცივით გაქიმული იდგა ხოლ-
მე. გიმნაზიის დირექტორი მარკოვი ძალიან აფასებდა, ვერ ელოდა
მას, არ აძლევდა სათანადო რეკომენდაციას და ამიტომ დრბოგლავი დიდი
დაგვიანებით გახდა დირექტორად (II გიმნაზიისა)... დავესწარი მის გაცვე-
თილს და, რასაკვირველია, ძალიან მომეწონა: სწავლებაც კარგად ჰქონდა
დაყენებული, დისციპლინაცა და ყველაფერიც. მერე სხვათა გაცვეთილებსაც
დავესწარი — იმავე, და აგრეთვე II გიმნაზიაში. ზოგის გაცვეთილი სრული-
ად არ მომიწონა. მაგალითად, განი რომ იყო, ძველი ენების მასწავლებელი.
იმას მოწაფეები პირდაპირ აბუხად იგდებდნენ. კიდევ ერთი ჩეხი იყო, გვ-
არად რაკუშანი, რომელმაც ბერძნული ენის სახელმძღვანელო შეადგინა და
რომელიც მერე ჩვენს გიმნაზიაში ასწავლიდა...

ამრიგად დავიწყე მუშაობა. პირველად სათავადაზნაურო სკოლაში 12
საათი მქონდა კვირაში. მაგრამ იმთავითვე ავიღე კერძო გაცვეთილებიც.
სხვათა შორის, რაკუშანმა დამითმო მაქს ჰაუპჰაიმის რეპეტიტორობა. რაშიც
თვითურად 100 მანეთს ვიღებდი (ასეთი დიდი გასამრჩელო მანამდე რაკუშანი-
სათვის იყო განუთენილი მხოლოდ). უფრო ადრე კი ~~სამხედრო მასწავლ-~~
~~ებში, პოლონურშიც კონტრაქტებზე~~ მიმიწვია, დრბოგლავის რეკომენდაციით.
თავისი შეილის ლათინურში მოსამზადებლად (სრული ულუფით, ისე რომ
ჰამაზე ფული აღარ მეხარჯებოდა). ასე რომ არ მოწყობილიყო საქმე. ჩემი
ჯამაგირი, 60 მანეთი არ მეყოფოდა. რადგან 30 მანეთი მარტო ბინის ქირას
მიჰქონდა. რომ ჩამოვედი, ერთხანს ჩემ ძმასთან, ვარლამთან დავდექი: ის
გენერალური შტაბის ოფიცერი იყო, არტილერიისტი, და „მუხრანსკის ნომ-
რებში“ ეცხოვრობდა⁶⁶. ის სასტუმრო ლამაზი სახლი იყო. მისი ქვედა სარ-
თული უკავა მაშინ ცნობილ რესტორან „პურ-ღვინოს“, რომელიც ჩვენ სოფ-
ლელ სანდრო თოიძეს ეკუთვნოდა... თბილისში მანამდე სულ ერთხელ
ვიყავი ნამყოფი, სანახავად, ერთი კვირით. მაშინაც ძმასთან ჩამოვედი.
არდადეგებზე, VII კლასის მოწაფე. მახსოვს, ოპერის თეატრის საძირკველი
ახალი ჩაყრილი იყო, მაგრამ ზამთრის გამო მშენებლობა შეეჩერებინათ.
იმჯერად იმ სასტუმროში ვცხოვრობდი, რომელიც ოპერის მშენებლობის
პირდაპირ მდგარ სახლში იყო. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ჩვენი
ოპერის თეატრი ქალაქის ერთი ულამაზესი შენობაა. ქართული არა სცხია
რა, მაგრამ, რაც არის, სტილიანია. მისი ამშენებელი ინჟინერი, მგონი,
პოლონელი იყო⁶⁷. მისი ქალიშვილი და ფროსიკო ნიკოლაძე ერთად სწავ-
ლობდნენ პეტერბურგში, ქალთა უმაღლეს კურსებზე.

პეტერბურგიდან თბილისს რომ მოვედი, მაშინ ნიკო მარი უკანასკ-
ნელ კურსზე სწავლობდა (რაკი თავის დროზე თითონვე დარჩა გიმნაზიაში
კიდევ ერთი წლით). წამოსვლისას მითხრა, მე გაიხად დაეასრულებ უნივერ-
სიტეტს და შენ მანამდე მომწერე, თუ რა მდგომარეობაა თბილისში და რა

⁶⁶ იმ სახლის ადგილასაა აშენებული ახლანდელი კავშირგაბმულობის სამინისტროს სახლი.

⁶⁷ პროფეტი ეკუთვნოდა პეტერბურგელ ხუროთმოძღვარს ე. შრეტერს. თეატრის შენება დაიწყო 1882, ხოლო მოთავდა—1896 წელს.

საქმეს მოვიცილოთ მე და შენ ხელი. ყურნალსა თუ სკოლასაო? ერთი სიტყვით, მაინც კიდევ საზოგადოებრივ საქმიანობას აპირებდა, ზაქარია ჭიჭინაძესთან მუშაობის გამოცდილება არ ასვენებდა. მე სულ ვეუბნებოდი, უნივერსიტეტში უნდა დარჩე ქართული ენის სპეციალისტად მეთქი, მაგრამ არ უნდოდა: პროფესორ ცაგარელთან უკვე კონფლიქტი ჰქონდა, ისე რომ ქართულ ენაში დარჩენის იმედი არ იყო. ხოლო თუ სხვა რამეში დავრჩები, მაშინ ცოდნა არ მეყოფა, იქაც ხომ ყველაფერი უნდა ვიცოდყო. რა გაეწყობოდა, დაეპირდა მიწერას...

მე რომ დაეწეყე მუშაობა, მაშინ სათავადაზნაურო სკოლა კუციაში იყო. ნიკოლოზის ქუჩაზე⁶⁶. მანთაშევის სახლში, მარიამ ვახტანგის ასულ ჭამბაკურ-ორბელიანის ბინის ახლოს. არ იყო მაინცდამაინც დიდი სახლი. ჩემ ჩამოსვლამდე სკოლას 5 კლასი ჰქონდა, მაგრამ მერე ჭიჭინაძეს 4 კლასამდე დაეყვანა, ბანკი მეტ ფულს არ იძლევაო. ასე რომ სკოლა პროგინაზიას-ღა წარმოადგენდა. ალექსი ჭიჭინაძე ძალიან ყურადღებით მეკიდებოდა, რაკი ის: და მისი მეუღლე მანამდე მიცნობდნენ. სკოლაში მუშაობდნენ ძველი. დამსახურებული მასწავლებლებიც, სხვა სკოლებიდან გადმოსულნი: გიორგი იოსელიანი (მწერლობაში „წყალტუბელი“), არისტო (არისტობულ) კუთათელაძე, ნიკო შთაფრელიშვილი. გამყრელიძე (რომელიც თან გიმნაზიაშიც მასწავლებლობდა) და სხვ. მაგრამ ალექსი რომ სადმე წავიდოდა, მე მთხოვდა ხოლმე. დამავლე და ჩემი მაგივრობა გასწიეო. უფროსი ამხანაგებისა კი მერიდებოდა, მაგრამ მათ არ სწყინდათ ეს გარემოება.

✓ მივიხედ-მოვიხედე და ძალიან არ მესიამოვნა თბილისში ქართული საზოგადოების ვითარება. სულ ორი ქართული დაწესებულება იყო იმ დროს — ბანკი და სათავადაზნაურო სკოლა, და ერთიც საზოგადოება — წერა-კითხვის გამავრცელებელი. ბანკისა და იმ საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე იყო, ბანკის ერთი დირექტორი — ვანო მაჩაბელი. მეორე — ალექსანდრე ჩოლოყაშვილი. ერთადერთი ქართული გაზეთი გამოდიოდა, „ივერია“, რომელიც ჩვეულებრივ 800 ცალი იბეჭდებოდა. კვირაობით კი 1000 და არც ის იყიდებოდა. თუმცა იყო კიდევ ერთი ქართული საზოგადოება — დრამატული (რომელსაც მაშინ გიორგი თუმანიშვილი თავმჯდომარეობდა), მაგრამ მას ნივთიერად ძალიან უჭირდა და სულს ღაფავდა. ეს იყო და ეს!... ილია მაშინ საგრძნობლად „დამძიმებული“ იყო და ჩვეული სიმხნით ვეღარ მისდევდა საქმიანობას: ზოგჯერ წელიწადი ვავიდოდა ისე, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას არც მოაკითხავდა.

ერთხელ წაყვევი პეტრე უმიკაშვილს იმ საზოგადოებაში: მაინტერესებდა, როგორ მუშაობდნენ და თან ილიასა და გოგებაშვილის ნახვაც მინდოდა. ილიას მანამდეც ვიცნობდი. პეტერბურგიდან (ზემოთ უკვე გავიხსენე ჩვენი, სტუდენტების მასთან შეხვედრა ერთი საქმის გამო). გოგებაშვილი კი არ მენახა. თავის დროზე ქართული ანბანის სწავლა მისი „ღედ-ენითა“ ჰქონდა დაწყებული და მეგონა, უკვე მსცოვანი კაცი დამხვდება მეთქი, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ერთი ჭაღარაც არ ჰქონდა თმაში გამოჩეული. საზოგადოების გამგეობის წევრთაგან მახსენდება: ილია (თავჯდომარე), ვანო მაჩაბელი (მისი მოადგილე), იაკობ გოგებაშვილი. ნიკო ცხველაძე, იაკობ მანსვეტაშვილი (მდივანი)... ჩავეწერე წევრად და შევიტანე გადასახადი (წელიწად-

⁶⁶ ახლა კალინინის ქუჩა.

ში ადრე 6, ახლა კი 3 მანეთი იყო და ისიც უპირდა ბევრს; ხანგრძლივი დავა იყო: სოციალ-დემოკრატები იბრძოდნენ, 1 მანეთზე დაიყვანათო, იმუშების შემოყვანა უნდოდათ). ჩავეწერე ღრამბატულ საზოგადოებაშიც.

იმავე 1888 წელს ამირჩიის წერა-კითხვის საზოგადოების გამგებობის წევრად და მალე შემდეგ აქტიურად მუშაობას მის ბიბლიოთეკა-მუზეუმში, რის შესახებ ზემოთ დაწვრილებითა მაქვს მოთხრობილი. აქ მაინც კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ ხელნაწერებზე და საერთოდ ქართულ ძეგლებზე მუშაობისათვის უნივერსიტეტში არავითარი მომზადება არ მიმიღია. როგორც უკვე ვამბობდი, პროფ. ცაგარელის ლექციებზე სიარული ამ მხრივ სრულიად უნაყოფო გამოდგა. რადგან ვერც ისა და ვერც პატკანოვი ნამდვილ სერიოზულ კურსებს ვერ კითხულობდნენ, ისე რომ ვინც აღმოსავლური ფაქულტეტი გაათავა, მათზე ვერ იტყოდი, ქართველოლოგიაში ან არმენისტიაში ნამდვილი უმაღლესი განათლება მიიღო; ჩვენ ფაქულტეტზე კი ეს დარგები სრულიად არ იყო წარმოდგენილი. ამიტომ ყველაფერში საკუთარი თაოსნობით მომიხდა გაწაფვა და გზის გაკვლევა და რაც რამ ნაკლი ახლდა იმ ჩემს პირველ ნაბიჯებს, ამითაც აიხსნება...

გავიცანი ჩვენი საზოგადო მოღვაწე ქალები, რომლებიც, რაც შეეძლო, მხნედ და ნაყოფიერად მუშაობდნენ: კატო გაბაშვილი, ტასო თუშანიშვილი, ეკე მელიქიშვილი (სერგი მესხის ცოლი). ამ უკანასკნელის მძას, სოსიკოს, სტამბა ჰქონდა. კაცად წესიერი კაცი იყო, მაგრამ საქმეში არ ვარგოდა, კვებნა ჰქარბობდა. სხვათა შორის, კ. გაბაშვილი შემდეგ ჩემი მოყვარე გახდა (ჩემი მეუღლის ბიოლა იყო) და ძალიან დავახლოვდით. როცა მივიღიდი, უთუოდ თავშესაქცევი ქალაღის თამაში უნდა გაგვემართა, თორემ ეწყინებოდა. მისი სიძე რომ იყო, კ. მაყაშვილი (შშვენიერი კაცი და ინტელიგენტი ქართველი, კარგი პოეტი. უდროოდ იმსხვერპლა ჭლექმა), ის მეხუმრებოდა ხოლმე: „შენ ამ „რამისის“ და „ღურაჩკას“ თამაშში ისე გწყალობს ბედი, რომ: „კლებში ითამაშო, დიდ ფულს მოიგებო!“.

ნიკო მარს, რა თქმა უნდა, გადაჭრით მივწერე, მანდღან ფეხი არ მოიკვალა, უნივერსიტეტში დარჩი მეტჳი. ძალიან კმაყოფილი ვარ, თუ ჩემმა რჩევამაც იმოქმედა მის გადაწყვეტილებაზე და საპროფესოროდ მომზადებისათვის დარჩენა ამჳობინებინა: იქ იგი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერად გამოიზარდა და თბილისში ჩამოსული კი ალბათ ვერ ივარგებდა, თავისი სუსტი და მერყევი ხასიათის პატრონი.

ახლა ისევ ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუბრუნდეთ.

თავდაპირველად ხომ ლათინური ენის გაკვეთილები მქონდა. მერე გეოგრაფიაც მომცეს. მერე — ბერძნულიც და სულ ბოლო დროს — ისტორიაც, რომლის გაკვეთილები ცოტა იყო. რაც შემეძლო, კეთილსინდისიერად ვეკედებოდი გაკვეთილებს, ზერელედ არაფრის სწავლება არ მინდოდა. მაგალითად, გეოგრაფიის მასწავლებელი ვალდებული იყო დაფაზე გამოეხატა აზია, აფრიკა, ევროპა და ა.შ. მიძნელებოდა, მაგრამ გავეიარაჩიშე და ვისწავლე რუკების ხატვაც... იანოვსკი წელიწადში ერთხელ უსათუოდ ვაეწვეოდა ხოლმე სარევიზიოდ. ერთხელ მოსულიყო და შევიდა თურმე იმ კლასში, რომელიც აფრიკა მქონდა დახატული. ძალიან მოსწონებოდა და ეკითხა, ვინ დახატო? ჳიჳინაქს ეთქვა და გამომიძახეს. „Что Вы?—მომართა—Ну и прекрасно, так и надо!“... ერთხელ ლოპატინსკი გამოგზავნეს რევიზიზე და ჩემს ბერძნულის გაკვეთილს დაესწრო. თითონ სწორედ ბერძნულის სპეციალისტი

იყო და ძალიან მოეწონა გაკვეთილი. მზრუნველს მოხსენება წარუდგინა და, წინააღმდეგ სხვა რევიზორთა ერთობლივი უარყოფითი აზრისა, კარგად დაახასიათა ჩვენი სკოლა: „იქაც ისევე კარგადაა სწავლების საქმე დაყენებული, როგორც ჩვენს გიმნაზიებში“ (ჩვენი სკოლა კერძო სასწავლებლად ითვლებოდა, სახელმწიფოს არ ეკუთვნოდა). მართლაც, ჩვენი მოწაფეები კარგად იყვნენ ხოლმე მომზადებული, კლასში არავინ არ რჩებოდა და ყველა 4-იანებსა და 5-იანებს იღებდა ნიშნებად. ⁵

მალე შეიქნა გაუთავებელი კამათი ჩვენი სათავადაზნაურო სკოლის მიმართულებით შესახებ — ყველგან, საზოგადოებაშიც, კრებებზედაც და სხვაგანაც. რამდენჯერმე გახადეს მსჯელობის საგნად, კლასიკური ყოფილიყო ეს სასწავლებელი, რეალური თუ აგრონომიული? თურმე, ეს საკითხი იმთავითვე, სკოლის დაარსებისთანავე ყოფილიყო სადავო. ილია ჭავჭავაძე, ილია წინამძღვროშვილი და სხვები სამეურნეო მიმართულების მომხრენი იყვნენ; მეორე ჯგუფი კი იმ აზრისა იყო, რომ სკოლა საზოგადო-საგანმანათლებლო ყოფილიყო. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ ჩვენი ხალხი არ მიაბარებს შვილებს აგრონომიულ სასწავლებელში, რადგან ასეთი საშუალო სასწავლებლის (და არა ჩვეულებრივი გიმნაზიის) დიპლომის მქონე ახალგაზრდას 2—3 წლით წაიყვანენ ჭარში და არა 1 წლით; ეს კი კერძო სკოლაა, ვინც მას დაამთავრებს, დიპლომს მხოლოდ გიმნაზიაში გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიიღებსო და ა. შ. იყო გაუთავებელი შეხლა-შემოხლა. თანაც იმ ხანებში ბანკის საქმეებზე უკან-უკან მიდიოდა და დაიწყეს სათავადაზნაურო სკოლის კლასების თანდათან დახურვა: მე რომ მივედი, ხუთის მაგიერ უკვე ოთხი დამხვდა, მერე სამი გახადეს, ბოლოს ორზედაც ჩამოიყვანეს და ამის გამო გაკვეთილების რიცხვმა, ცხადია, ძალზე იკლო, ასე რომ იძულებული გავხდი, ისევ თავის სარჩენი საქმიანობის ძებნაზე მეფიქრა...

ჩემი ძმა ვარლამი იმ დროს უკვე პოლკოვნიკი იყო, რუსეთში გადაიყვანეს სამუშაოდ და ჭარის გადაადგილების უფროსად დანიშნეს. ერთხელ ამ საქმეზე ბათომისაკენ მოდიოდა, რა თქმა უნდა, I კლასის ვაგონით, და იანოვსკისთან ერთად ემგზავრა კუბეში. იანოვსკის თვალში მოსვლოდა გარუსებულო ქართველი პოლკოვნიკი, რომლისთვისაც სამხედრო შტაბს დიდად საპასუხისმგებლო საქმე დაეკისრებინა, და ეკითხა, ექვთიმე სიმონის ძე რა არის თქვენიო? როცა ვარლამს ეთქვა, ძმაო, შევექვე. „თუ ვგრეთი კარგია და გასაქანს რატომ არ აძლევთო?“ — ეკითხა ვარლამს. „როგორ არ ვაძლევთ, მოვიდეს ჩემთან და სიამოვნებით მოვეუნახავ ადგილსაო“, მიუგო თურმე ივანოვსკიმ. ძმამ რომ შემატყობინა ამ საუბრის ამბავი, მეც ავდექი და მივედი იანოვსკისთან. მითხრა, ამჟამად ძალიან ხელსაყრელი ადგილი არსადა გვაქვსო და დამნიშნა ლათინური ენის შტატგარეშე მასწავლებლად ვაჟთა III გიმნაზიაში. ამან უკვე გამიმაგრა ნიეთიერად წელი და ერთ ხანს ვიძუშავე იმ სასწავლებელში. მასწავლებლებმა იქაც ძალიან კარგად მიმიღეს. გიმნაზიის დირექტორი იყო მარტინოვსკი, სიტყვიერების მასწავლებელი, რუსები რომ იტყვიან. „чинодрал ужасный“, მაგრამ თან ნიჭიერი კაცი. საუკეთესო სახელმძღვანელო შეადგინა და იმით გამდიდრდა. ბოლოს ჭკუაზე შეიშალა...

მაშინ „ბანკოვიადა“ ახალი დაწყებული იყო და მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღება მასზე იყო მიქცეული. ალექსი ჭიჭნაძეს გამოუდმებული კონფლიქტი ჰქონდა „შეუძლებელ სხელმოკლეს“ თავადაზნაურთა მოსწავლე

შვილების შემწეობის კომიტეტთან“, რომლებიც შედიოდნენ ი. მაჩაბელა, ნ. ცხედაძე, ი. გოგებაშვილი და სხვ. კომიტეტის თავმჯდომარე ძალიან კარგი კაცი იყო, სამსახურიდან გადამდგარი გენერალი კონსტანტინე კრინცფორტის ძე მამაცაშვილი, რუსული, დიდი პატრიოტი და კარგი ქართველი. ცხვედაძე და მისი მომხრენი, ყველანი სემინარიელები, სულ სხვა მიმართულებისანი იყვნენ და კრიკში უღვგენენ ჭიჭინაძეს, ერთთავად აკრიტიკებდნენ, ყველაფერს უწუნებდნენ და თან რამეს რომ დაიწყებდნენ, აღარ იყო ხოლმე საშველო. ჭიჭინაძე კი კარგი პრაქტიკოსი-პედაგოგი იყო; ყველა მათზე მეტი ესმოდა ამ საქმეში და არაფერს უთმობდა. მამაცაშვილი და მაჩაბელი მას უჭერდნენ მხარს. გოგებაშვილი გამოვიდა კომიტეტის შემადგენლობიდან, სხვები კი განაგრძობდნენ ჭიჭინაძის წინააღმდეგ ბრძოლას... ბოლოს, სასწავლებლის ძლიერ შეკვეცამ და ორ კლასამდე დაყვანამ აიძულა ჭიჭინაძე, მიეტოვებინა იგი: ჭერ ელადიკავაზში⁶⁹ გადავიდა, მერე კი ხონის⁷⁰ საოსტატო სემინარიის დირექტორად დანიშნეს. ერთი სიტყვით, გააქციეს კაცი სათავდაზნაურო სასწავლებლიდან და ეს იყო!

მისი ადგილი განათვისუფლდა და არც არავინ ჰყავდათ, რომ დაენიშნათ. ამრიგად წამოიჭრა საკითხი, თუ ვინ უნდა მიეწვიათ სასწავლებლის გამგედ? პევერი მეუბნებოდა, უსათუოდ თქვენ აგრიჩევენო, მაგრამ მე არაფერის გულისათვის არ მიხდოდა, რაკი ჭიჭინაძე აიძულეს, რომ წასულიყო იქიდან, მით უმეტეს, რომ კომიტეტის ზოგ წევრს საერთოდ არაფერი სწამდა „იმერ-ლობისა“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოს შვილებისა) და იმათ კი კომიტეტში დიდი გავლენა ჰქონდათ. იმხანად გურიის ვიყავი წასული და თურმე ვანო მაჩაბელს ჩემი კანდიდატურა წამოეყენებინა. საერთოდ ის ძალიან კარგად ზიყურებდა—წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში ემუშაობდით ერთად და იქიდან მიცნობდა. ცხვედაძეს კი დაესახელებინა ალ. ხაზანაშვილი, რომელიც მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტში იყო ქართული ენის ლექტორად და პროფესორად იწოდებოდა. ძალიან მუშა კაცი იყო, თუმცა ზოგი რამ (მაგ., ქართული წარწერების ამოკითხვა) არასოდეს არ ხეჩრებოდა. ის თბილისში არ გადამოვიდოდა სკოლის გამგედ, მაგრამ მაინც ესამოვნებოდა მისი კანდიდატურის დასახელება. მართლაც, უარი შემოთვალა და სასწავლებელი ისევ უგამგევოდ დარჩა...

იმჟამად თავდაზნაურობას ასე ჰქონდა დაწესებული: რაკი ის ინახავდა სასწავლებელს თავისი ბანკის ხარჯზე, საერთო კრებას უნდა გადაეჭრა სასწავლებლის საკითხებიც. ამ კრებაზე გადაწყდა, რომ ხელმოკლე მოწაფეთა შემწე კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა ყოფილიყო თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობის წინამძღოლი. იმ დროს კი წინამძღოლად იყო კოწია მუხრანსკი, ჩემი ძმებისა და ჩემი დიდი მეგობარი. კვლავ წამოეყენებინათ ჩემი კანდიდატურა და ნ. ცხვედაძე გამომიგზავნეს, უსათუოდ უნდა იკისრო სასწავლებლის გამგეობა. მე გადაჭრილი უარი ვუთხარი. „რატომ, კაცო, ეს ხომ პატრიოტული საქმეაო?“, შემეკითხა. მე პირდაპირ ვუთხარი: „ჩემთან რას მოდიხართ, ჩემზე ბევრად უკეთესი პედაგოგი გყავდათ გამგედ, დიდიდან საღამომდე მაგ საქმეს უჯდა, სხვა არა ახსოვდა რა, ისეთი იყო, რომ მე მის მაგივრობას ვერ გავწევ და ის აიძულეთ დაენებებინა სკოლისა-

⁶⁹ ახლა ქ. ორჯონიძისძე.

⁷⁰ ახლა ქ. წულუკიძისძე.

თვის თავი. როგორ არა გრცხვენიათ, ჭიჭინაძისთანა კაცი რომ გააგდეთ მეთქი?“ „მართალიაო, მაგრამ ისეთი ფიციხი იყო, რომ ღვთის წყალობას ვერ ეტყობო!“ (არაფერს შეაწევდა ხოლმე და იმიტომ!). „ახლა მე რომ მოვიდე, ხომ სათამაშოდ უნდა შევიქნე მეთქი?“ მართლაც ისე წაიყვანეს საქმე, რომ კომიტეტში სასწავლებლის გამგეს როდილა ჰქონდა გადაწყვეტი ზმა! უპირველეს ყოვლისა, ამაზე ვუთხარი. სანამ ეგ წესი არ შეიცვლება, მე იქ მომსვლელი არა ვარ მეთქი. ესეც არ იყოს, ახლა მასწავლებლად ემუშაობ და თვეში 200 მანეთს ეშოულობ, ხოლო თქვენ კი გამგეს 150 მანეთს აძლევთ მეთქი. გარდა ამისა, ორკლასიანი სასწავლებლის გამგეობას ხელს როგორ მოვიკიდებ მეთქი? (მოსამზადებელ კლასში 30 კაცსაც კი ვე-ღარ უყრიდნენ უკვე თავს; თითქმის აღარავეინ აბარებდა იქ შეილებს, რადგან ორკლასიანი სასწავლებლიდან გიმნაზიაში აღარ იღებდნენ). ამაზე მიპასუხა: „არა, კლასები უსათუოდ უნდა მოეუმატოთ და გიმნაზიად უნდა ვაქციოთო“. „თუ ეგერ არ იქნება, ლაპარაკიც ზედმეტია მეთქი!“ ბოლოს, ისიც ვუთხარი, რომ გამოსაცვლეოა წესი. რომლის მიხედვითაც ყველას შეუძლია შემწეობის საზოგადოების წევრად გახდომა, ვინც კი 3 მანეთს გადაიხდის. „ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ვინმე უვარგის მასწავლებელს გამო-ავადებ სამსახურიდან. ის წევრად გახდება, მერე შოდგება და შენი ლანძღვის მეტს აღარაფერს გააკეთებს მეთქი“. „ეგ ყოველივე გვესმის და შეიძლება გამოსწორდესო“, მითხრა ცხვედაძემ. აქვე უნდა აღვნიშნო ერთი ეპიზოდი: აღრე ის ერთ ჩემ გამოცდას დაესწრო, როგორც კომიტეტის წევრი და რაკი დაინახა, რომ მოწაფეები კარგად პასუხობდნენ, უკვე ძნელი შეკითხვები მისცა... იმ გამოცდას ესწრებოდა ნ. მარიც. იმეამად თბილისში მყოფი. ის ხომ ყოველთვის ძალზე ფიციხი და, რუსები რომ იტყვიან, გაუწონასწორე-ბელი კაცი იყო და ასეთი რამ რომ შეამჩნია, იყვირა: „რას გავს ეს, განგებ აბნევს მოწაფეებსაო!“ ცხვედაძეს ეუხერხულა და წვიდა.

ჩემი უარი რომ გაეგო კ. მუხრანსკის, თითონ მოვიდა და მითხრა: „შენ ვინ გკითხავს, ჩვენ გიბრძანებთ და უნდა დადგე კიდევაც; როცა მე ამირჩიეს მარშლად და კომიტეტის თავმჯდომარედ, რაღა მაშინ ამბობ უარსაო?“ მაშინ მე ჩამოვუთვალე პირობები, ურომლისოდაც ვერ დავეთანხმებოდი გამგეობას: 1) სკოლას ყოველ წელს თითო კლასი მოემატოს და სრული კერძო გიმნაზია გახდეს; 2) წესდება შეიცვალოს ისე, რომ სკოლის გამგეს ჰქონდეს ყოველი საქმის გადაწყვეტი ზმა კომიტეტში და აღარ იქნან მიღე-ბული სამმანეთიანი წევრები; 3) სწავლის პედაგოგიური დაყენების საკითხ-ში მე სავსებით ჩემი შეხედულებებისამებრ მოვიქცევი და არავითარი ჩარე-ვისა და თავისი აზრის დაძალების ნებას არ მივცემ კომიტეტს; 4) თუ გვინდა, რომ სკოლაში კარგი მასწავლებლები ვიშოვოთ, უსათუოდ უნდა გაუთანასწორდეს ჭამაგირი სახელმწიფო გიმნაზიათა მასწავლებლებისას და აქაც ყოველი 5 წლის შემდეგ წელიწადში 250 მანეთი უნდა მოემატოს; 5) სკოლას უნდა ჰყავდეს ბუხჰალტერი, ბუხჰალტრულ წესზე უნდა იქნეს დაყენებული სამეცო ნაწილი და პასუხისმგებელიც კომიტეტი უნდა იყოს“. ბოლოს დავძინე, რაღა მე ჩამცივებიხართ, სხვას მიანდეთ ვისმე მეთქი. ამაზე მიპასუხა: „სხვა არავინა გყავს და პატრიოტულმა გრძობამ უნდა გაიძულოს, რომ მოჰკიდო ამ საქმეს ხელიო“. მე ვუთხარი: „რაკი ეგერა, ვიქნები გამგედ, სანამ უკეთესს იშოვნიდეთ, მაგრამ შტატგარეშე მასწავ-ლებლობას თავს მაინც არ დავანებებ, რადგან ვიცი, რომ, როცა იქნება,

არც მე მომისვენებთ... და ისევე მაიძულებთ წასვლას, როგორც ჰიქინაძე აიძულებთ მეთქი... ან კი რა გაგეგებათ სკოლისა, ლათინური თქვენ არ იცით და ბერძნული მეთქი“.

საბოლოოდ ასე მიპასუხეს: „ყველა პირობას აგისრულებთ, გარდა ორისაო: წესდების შეცვლის საკითხს ვერ აღვძრავთ, რადგან ამასობაში ვაი თუ სულაც დაგვიხურონ სკოლა, მაინც „კონტრაბანდულ“ გვაქვს დაარსებული და ლამობენ მის გაუქმებასაო; მაგრამ პირობას ვაძლევეთ, რომ, სკოლის საქმეებს რაც შეეხება, არც ერთი სხდომა უთქვენოდ არ გვექნებაო; პენსიასაც მთლიანად ვერ გავიღებთ და თვით პედაგოგებმაც უნდა შეიტანონ ხოლმე თავიანთი წვლილი, ცოტ-ცოტა, სათანადო თანხის დაგროვებაშიო“. ასეთ პირობებზე დავთანხმდი და დავდექი სასწავლებლის გამგედ. „Однако, Вы нас ограничили!“-ო, მიიხრა კ. მუხრანსკიმ...

მეგრე მივედი იანოვსკისთან და ვუთხარი, აი ასე, გამგედ ამირჩიეს მეთქი. მიპასუხა: „Ну и прекрасно! Скажите им, что их выбор совпал и моим!“ შემდეგ კი დაატანა, „ოლონდ გიმნაზიიდან ნუ წახვალთ, იქ ისევე ითვლებითო!“ ამასობაში ამირჩიეს კომისია, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ჩემ მიერ წაყენებული ყველა პირობა. ბუნხალტერი რომ მოიყვანეს, ძლივს მოაწესრიგა ანგარიშიანობა, ისე იყო არეულ-დარეული...

ასე დაიწყო საქმე. ვაუწყევით იმ ორი კლასიდან და თანდათან მოვეუბრეთ თითო კლასი. ენკენისთვიდან უკვე გაზრდილი ჯამაგიერები მივიღეთ ყველამ; პენსიის საკითხიც მოგვარდა. გიმნაზიის პედაგოგებს ყველას უკვე კარგად ვიცნობდი და, რაკი ჯამაგიერიც გათანასწოებული გექონდა, ვინც საუკეთესო იყო და გვინდოდა, ისინი მოვიწვიეთ. ამრიგად სასწავლებელი თანდათან ჩადგა კალაბოტში და ნორმალურ გიმნაზიად იქცა. სათავადაზნაურო კი ერქვა, მაგრამ გლეხთა და სხვათა შვილებსაც ხშირად ვიღებდით, თუ კი ვარგოდნენ. ზოგჯერ ასაკგადასულ მოწაფეებსაც კი ჩავრიცხავდით ხოლმე, რაკი სხვაგან არ მიიღებდნენ და ნიჰსი კი ვატყობდით. ამისათვის მზრუნველსაგან საყვედური მოგვედიოდა, მაგრამ თავს იმით ვიმართლებდით ხოლმე, რომ კერძო სასწავლებელი ვიყავით. სამაგიეროდ, ბევრს სწავლამოწყურებულს, ნიჰიერსა და კარგი მომავლის მქონე, მაგრამ ხელმოკლე ახალგაზრდას შევეუწყეთ ხელი საშუალო სწავლის მიღებაში და ისინი საბოლოოდ სასარგებლო მოქალაქეებიც გამოვიდნენ. ამგვარად ვაკეთებინებდით, ასე ვთქვათ, დემოკრატიულ საქმეს იმ უადრესად არისტოკრატიულ დაწესებულებას, სათავადაზნაურო ბანკს. ამასთანავე, როგორც ცნობილია, შეგნებული მესვეურები (ილიას მეთაურობით) ბევრ ეროვნულ-კულტურულ საქმესაც ახმარდნენ ფულს თავის დროზე. ასე რომ, საბოლოოდ, ბანკის სახსრები მნიშვნელოვანწილად მაინც ერგებოდა ხალხს, ამ სიტყვის ფართო გაგებით...

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების შესახებ ზემოთ მხოლოდ კანტი-კუნტად ვლაპარაკობდი: მისი მუშაობა დაწვრილებითაა ასახული მის მიერ გამოცემულ კრებულებში („ძველი საქართველო“) და მასალებში („საქართველოს სიძველენი“). გარდა ამისა, მაქვს პირველი 10 წლის მუშაობის საკმაოდ ვრცელი ანგარიში, რომელიც 1917 წელს დაწვერე და წავიკითხე კიდევაც, მაგრამ მას შემდეგ, საერთო მდგომარეობის გართულებისა

გამო, ველარ გამოვაქვეყნე⁷¹. ჩემი უფრო მოკლე ანგარიში — ადრე, 1913 წელს წაიკითხული რუსეთის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ყრილობაზე, დაბეჭდილია იმ ყრილობის ნაშრომებში, რა თქმა უნდა არუსულად⁷².

ეს საზოგადოება რომ შეიქმნა, პროვინციაშიც მოგვბამეს: ქუთათურებმა დასვეს საკითხი, ჩვენც უნდა დაეაარსათო. ამ საქმეს თაოსნობდა სილოვან ზუნდაძე, რომელსაც საერთოდ ახასიათებდა ასეთი მიდრეკილება. გადაიწერეს ჩვენი წესდება და დააარსეს ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება; ოღონდ არც მუშაყები ჰყავდათ და არც მასალა ჰქონდათ კარგა ხანს. მაგრამ, რაკი მაინც კარგი იქნებოდა, თუ გაშლიდნენ მუშაობას, ჩვენგან სურათები გავუგზავნე. ნივთები და ხელნაწერები ცოტა მოეპოვე-ბოდათ — მხოლოდ ის, რაც კირილე ლორთქიფანიძისათვის გადაეცა ერთ აბაშიძეს, წერაკითხვის საზოგადოებისათვის გადმოსაგზავნად, და იმას კი დაეტოვებინა. მათ შორის იყო საუცხოვო მინანქრიანი ხატი და რამდენიმე საყურადღებო ხელნაწერი. კირილემ, შესანიშნავმა, მაგრამ საერთოდ ძალიან ნელმა ადამიანმა, არ გამოგზავნა ის ხელნაწერები: „რეფერატი უნდა დაეწერო და, წინააღმდეგ ლ. ბაქრაძისა, უნდა დავამტკიცო, რომ მხედრული დამწერლობა ხელუბრე უფრო ადრინდელია“ (ერთ-ერთ ხელნაწერზე მხედრული მინაწერი ყოფილიყო და, ჩანს, იმაზე აპირებდა დაყრდნობას!). ეს ჭერ კიდევ მაშინ იყო, მე რომ ქუთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდი და კირილე მას აქეთ სულ აპირებდა იმ რეფერატის დაწერას. გიმნაზიაც გავათავე, უნივერსიტეტიც, სათავადაზნაურო სკოლაში გამგედ მუშაობაც დავიწყე და (1904 წელს) შევწყვიტე კიდევაც; საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაც დავაარსეთ (1907 წლის სექტემბერში, მორიგი არქეოლოგიური მოგზაურობიდან რომ დავებრუნდი — მახსოვს, ილია ახალი მოკლული იყო; წესდება კი მანამდე გეჰონდა დამტკიცებული) და კირილეს კი ის რეფერატი ჭერაც არა ჰქონდა დაწერილი. შევეუთვალე, ამ ახალი საზოგადოების მუზეუმისათვის მაინც გამოგზავნე მეთქი; მაგრამ უარი შემომითვალა, რეფერატისათვის მჭირდება და იმას კი იმიტომ ვერა ვწერ, რომ თბილისის არქეოლოგიური ყრილობის ოქმებიც მჭირია და ვერსად ვიშოვნეო. ავღეჭი და გავუგზავნე ის ოქმებიც, ქუთაისის მიმავალი ს. გორგაძის ხელით. კირილეს ძალიან იამა, მას შემდეგ ორ წელიწადს ვითომ კიდევ სწერდა რეფერატს, ის წიგნი მაღლობით უკან გამომიგზავნა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ არაფერი დაუწერია.

ქუთაისშიც რომ გახსნეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, კირილე ჭერ კიდევ ცოცხალი იყო, აელო და სწორედ ის აბაშიძისეული ნივთები და ხელნაწერები დაედო საზოგადოების მუზეუმის ფონდად. იმ დროს უკვე ძალიან მოტეხილი და წელში მოკაყული იყო (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ეს ერთ დროს მშვენიერი თვალ-ტანადი კაცი. იდეალურად პატიოსანი იყო, მაგრამ რალაცა უშარეს, სულ ტყუილ-უბრალოდ აუტეხეს სასამართლო საქმე და სასამართლომ კი ყველა უფლების ჩამორთმევა მიუსაჯა, მაგრამ იქაურმა თავად-აზნაურობამ გამოიღო თავი და მისი ზატეება გამოითხოვა... ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას რევოლუციამდე თითქმის არა გაუკეთებია-რა.

⁷¹ ეს ანგარიში დაიბეჭდა მხოლოდ 50-იოდ წლის შემდეგ, ე. თაყაიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში („თაყაიშვილის ე. თაყაიშვილი“, 1966, გვ. 191—204).

⁷² ეს ანგარიშიც დაიბეჭდა, ხელმოწერად, იმავე კრებულში (გვ. 208—212).

რევოლუციის წინა წლებში თბილისში დაარსდა კიდევ ერთი ახალი საზოგადოება — ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობისა (გ. რტილაძის თაოსნობით). მისი გამგებლობა ს. გორგაძეს ჩააბარეს. საზოგადოების საქმიანობა უმთავრესად ჩვენი მწერლების ნაწარმოებთა გამოცემაში გამოიხატებოდა (მაგ., ბესიკის ნაწერების კრებული გამოცემა).

შემდეგ მიმო მარბაძელმა, თ. ჟორდანიას ერთ-ერთმა ვაჟმა (ხელობით იურისტმა, ერთხანს რომ ეთნოგრაფიაშიც დააპირა მუშაობა ჩვენი საზოგადოების ხაზით) და სხვებმა დააარსეს „Общество любителей грузинской культуры“, მაგრამ იმ საზოგადოებას, რამდენადაც ვიცი, შეკრება-საუბრების მეტი არა გაუკეთებია-რა.

სარგის კაკაბაძემ რომ უნივერსიტეტი დაამთავრა, თავდაპირველად ჩვენთან მოვიდა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში და მომიტანა ივ. ჭავჭავაძის მიერ მიცემული სარეკომენდაციო წერილი: „ნიჭიერი კაცია, უმაღლესი სასწავლებელი ახალი დამთავრებული აქვს, გამოიყენეთ და ამუშავეთ“. ჩემს თანამშრომელს ალ. სარაჯიშვილს ისე გაუხარდა, თითქოს საკუთარი შვილი მოსვლოდეს. საერთოდ ისეთი დრო იყო ჭერ კიდევ, რომ თითოეული საიმედო კაცის გამოჩენა მართლაც გასახარელი იყო, იმდენად ცოტა გვეყავდა სპეციალისტი. დაეწყებინეთ მუშაობა ს. კაკაბაძეს საზოგადოებაში, მაგრამ მან ვერ მოახერხა იქაურ მუშაებთან საერთო ენის გამოჩენა... თუმცა მართლა ნიჭიერი მკვლევარი კი გამოდგა და ბევრიც წერა და ბეჭდა. სხენაირი ადამიანი იყო მისი ძმა დავით კაკაბაძე. ახალგაზრდობაშივე მშვენიერად ხატავდა (სანამ, ევროპის გავლენით, ფურტურის, კუბიზმსა და სხვ. „მიიღებდა“) და კარგად გადმოიღო, ჩვენი საზოგადოების დავალებით, დადიანთა უკანსენელი (ჩიქვანების) დინასტიის ფრესკული პორტრეტები, მაგრამ მერე აღარ ინდობა ამგვარი მუშაობა.

ვაჟ-ფშაველას პირველად გავეცანი პეტერბურგში რომ ჩამოვიდა უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელად. ქართველ სტუდენტთა კრებებზე ვხედავდი ხოლმე. ის მაშინ პოეტად ჭერ არ იყო ცნობილი, თუმცა აუარებელი ფშაური ხალხური ლექსი იცოდა ზეპირად და ხშირად კითხულობდა, ძალიან კარგად. თბილისში რომ ჩამოვედი და წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრად ამირჩიეს, იმხანად ვაჟა გამწესებული იყო მასწავლებლად საზოგადოების სკოლაში, სოფ. დიდ თონეთს. იქაურებმა საჩივარი შემოიტანეს გამგეობაში: „ეს ვინ გადარეული გამოგიგზავნიან, სატევარი აქვს და დაგეჩხა ყველაო“. სოფლის მამასახლისსა და თანამდებობის პირებს ვერ ეგუებოდა, ხალხის მიმართ მათი უმსგავსო საქციელი ამფოთებდა და მართლაც გაულახავს ზოგი მათგანი. საერთოდ, ვაჟს ძმაც კი წერს, ძალზე ღონიერი და შეუპოვარი კაცი იყო და გარშემო ყველას ეზინოდა მისიო... როგორც უკვე აღვნიშნე, მან ნამეტნავად მას შემდეგ მოიხვეჭა კარგი პოეტის სახელი, ვრეკლე მეორის შესახებ რომ დასწერა პოემა⁷³. მის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი ილია ჭავჭავაძემ... მერე ციმბირის წყალული დაემართა ვაჟას: გაპირებებით ცხოვრობდა ფშაში და ჭირიანი საქონლის ზორცი შეეჭამა. ამის შედეგად ცალი თვალი დაუსახიჩრდა. საერთოდ, ამ-

⁷³ ივლისხმება „მოხუცის ნათქვამი“ (1583 წ.), რომელშიც 300 არაგველის გმობობა მოთხრობილი, ერეკლესთან დაკავშირებით.

ბობდნენ (მე კი არ ვყოფილვარ იქ), რომ ისიცა და მისი ცოლიც ზოგჯერ ფეხშიშველანი დადიოდნენ სახლში, ისე უჭირდათ... საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება რომ დავაარსე, ვაჟას წინადადება მივეცი დაეწერა ეთნოგრაფიული ნარკვევები ფშავის შესახებ და მართლაც მომიტანა „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, რომელიც დაიბეჭდა „ძველ საქართველოში“. თემა ასეთი განეუსაზღვრე: „ფშაველი დაბადებიდან სიკვდილამდე“.

როგორც ცნობილია, მან ბრწყინვალედ განახორციელა დავალება და ის ვრცელი წერილი მისი შემოქმედების ერთ-ერთი შედეგრიცაა და ქართული ეთნოგრაფიული ლიტერატურისაც... რა თქმა უნდა, ჰონორარიც კარგი გადავუხადეთ, ისე რომ ერთ ხანს სულს მოითქვამდა. მერე ისეთივე წერილები უნდა მოეტანა ხევსურებისა და მოხევეების შესახებაც, მაგრამ ველარ მოიცალა... პირველი მსოფლიო ომის დროს ერთხელ თბილისში ჩამოვიდა, მძიმედ გახდა ახად და დავაწვინეთ ლაზარეთში, რომელიც სათავადაზნაურო გიმნაზიის ახალ შენობაში იყო მოთავსებული. ხშირ-ხშირად მივდიოდი ხოლმე სანახავად... იქვე გარდაგვეცვალა საწყალო!

ძალიან, უღარესად ნიჭიერი კაცი იყო ვაჟა. თან ფსიქოლოგია ბოლომდე ნამდვილი მთიელისა შერჩა, თუმცა კი ფართოდ განათლებული და კარგი ნაკითხი იყო: ევროპის გავლენა მის შემოქმედებას ოდნავადაც არ წაჰკარებია. საკვირველია, რომ ძმებიც ყველა ნიჭიერი პოეტი თუ პროზაიკოსი ჰყავდა. ერთმა მათგანმა, თედო რაზიკაშვილმა აუარებელი კარგი მასალა შეგვიგროვა ხალხური ზეპირსიტყვიერებისა. ისიც ძალიან კარგი, ზედმიწევნით პატიოსანი, სრულიად უანგარო ადამიანი გახლდათ. წინასწარ გეტხოვდა ხოლმე ფულს, მაგრამ გვეუბნებოდა: „კაცო, თუ არ დასვი გლეხკაცო და არ დაალეწინე, ისე ლექსს არ გეტყვისო!“

საერთოდ ხომ ფშაველი ყველა პოეტი და მელექსეა, ქალებიც კი! მახსოვს, წინამძღვრიანთკარის სკოლაში ერთი ფშაველი ქალი ჰყავდათ მოსამსახურედ და რაც უნდა გეტქვა მისთვის, მაშინვე ლექსად გამოგითქვამდა. იმავე დროს ცნობილია, რომ, მაგალითად, გურიის თითქმის სრულიად არ იყო ხალხური პოეზია და, რაც იყო (უფრო ფირალის ლექსები) ლექსად არ ვარგოდა. საერთოდ, ჩემი აზრით, კარგი ზეპირი პოეზია ჩამორჩენილი. მთიანი კუთხეების დამახასიათებელია და კულტურულად დაწინაურებულ კუთხეებში კი იგი იკარგება. ხევსურეთშიც ბევრია პოეტი, ოღონდ იქაური ლექსები უფრო ნიღარა, ვიდრე ფშაური.

მინდა გავიხსენო ზოგი რამ ძმათა ქუთათელაძეთა შესახებ, რომლებთანაც ახლოს ვიყავი ცხოვრებაშიც და მუშაობაშიც და რომელთაც ბევრი გაუკეთებიათ ჩვენი კულტურის ძეგლების დაცვა-შესწავლისათვის.

არისტო (არისტობულ) ქუთათელაძე ბევრად უფროსი იყო თავის ძმაზე. დაითხო. მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტი და ჭერ გორის საოსტატო სემინარიაში იყო ქართული ენის მასწავლებლად, მერე კი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში — აღ. ჰინაძის დროსაც და ჩემ დროსაც. მამამისი ვასილი ძველი დროის კარგად ცნობილი არქიმანდრიტი იყო... არისტომ კარგად იცოდა ხუცურის კითხვა და საეკლესიო ვალობა. მშვენივრად კითხულობდა ქართულ ლექსებს და კარგად აშვადებდა ხოლმე მოწაფეებს სასკოლო ლიტერატურული საღამოებისათვის, შესაფერისი დიქციით კითხვაში წვრთნიდა. ძალიან გატაცებული

იყო ქართველმცოდნეობით, უყვარდა ჩვენი ძეგლები და მუშაობდა მათ დასაცავად. ზშირად ბევრადედა სათანადო შინაარსის წერილებს ჩვენ ქურნალ-გაზეთებში და მათ შორის საბავშვოშიც (მაგონდება, მაგალითად, ძალან კარგი ნარკვევი ნიკორწმინდის ეკლესიის სიძველეთა შესახებ — „მოამბე“-ში. წერილი ძველი არმაზობის შესახებ „ნაკადულ“-ში და სხვ.). სულ ქართულად წერდა, რუსულად არაფერი დაუწერია თუ დაუბეჭდავს. ბევრი წერილი აქვს გამოქვეყნებული „ივრია“-ში საქართველოს ისტორიისა და სიძველეთა შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავი ისაა, რომ იქ მან პირველად გამოაქვეყნა ამონაწერი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ხელნაწერიდან — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ბოლოსიტყვაობა, გადმოწერილი იერუსალიმის ნამყოფი ქართველი მოგზაურის (გვარად, მგონი, ლორთქიფანიძის) მიერ. სწორედ ამით გამომქვადენდა, რომ იმ მონასტრის ხელნაწერთა შორის ყოფილყო — და ალ. ცაგარელს კი შეუმჩნეველი დარჩენოდა მათი აღწერისას — ჩვენი ძველი მწერლობის ერთი უბრწყინვალესი ძეგლი, „ხანძთელის ცხოვრება“. ასეთი რამის გამორჩენა ალბათ იმ არანორმალური პირობებითაც აიხსნება, რომლებშიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ცაგარელს მოხლომია იქ მუშაობა, და აგრეთვე მისი მხედველობის სისუსტიტ. შემდეგ ის ხელნაწერი ფოტოგრაფიულად გადმოიღო ნიკო მარმა და, როგორც ცნობილია, მშვენიერადაც გამოსცა, მაგრამ პირველი ცნობა იმ ნაწარმოების არსებობისა და მნიშვნელობის შესახებ კი სწორედ არისტო ქუთათელაძეს ეკუთვნის... მსგავსი მარცხი დაემართა თავის დროზე თ. ჟორდანიასაც (თუმცა კი ხელნაწერთა ამოკითხვა-გადმოწერაში სწორპოვრად მიაჩნდა თავი): მას გამორჩა საეკლესიო მუზეუმის სათანადო კრებულში ბასილის თხზულება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც შემდეგ მოსე ჟანაშვილმა გამოსცა და რომლის დიდი მნიშვნელობა აგრეთვე საყოველთაოდაა ცნობილი.

ამასთანავე არისტო ქუთათელაძემ გამოსცა კარგი სასიკლო სახელმძღვანელოები, ქართული ენისა და გეოგრაფიისა. ამზადებდა მასალებს აგრეთვე „სამშობლოსმცოდნეობის“ (მაშინ მიღებული იყო ასეთი სახელწოდება — „Родиноведение“) გამოსაცემად, მაგრამ აღარ დასცალდა. ენერგიულად აგროვებდა სიველ-გუჯრებს და მოჰქონდა ჩემთან, ჯერ წერა-კითხვის საზოგადოებაში და მერე კი — საისტორიო-საეთნოგრაფიოში.

არქეოლოგური ექსპედიციებში რომ დავდიოდი (ბორჩალოს მაზრაში და სხვაგანაც) არისტო თან დამყავდა და დიდ დახმარებასაც მიწევდა — მაგალითად, წარწერებისა თუ სხვა ტექსტების გადმოწერაში, რაც ძალიან ემარჯებოდა.

ჩვენი კულტურის ძეგლთა დაცვის მხრივ არისტო ქუთათელაძის ღვაწლში ორი რამაა განსაკუთრებით აღსანიშნავი. უპირველეს ყოვლისა. უმთავრესად მისი წყალობითაა, ბეთანიის ტაძარი თუ გადაურჩა განადგურებას: თაოსნობა მისი იყო და მერე მეც და ზოგმა სხვადაც შევეწყვეთ ხელი. მოიწვია ერთი ხონელი ბერი და დაასახლა ბეთანიაში. სარჩოს ფულს ჩვენ ეუჭროვებდით. იმ ბერმა გაწმინდა, მიალაგ-მოალაგა ყველაფერი და ჩვენნივე საფასით შეუქეთა სახურავი, ისე რომ თამარ მეფისა და მისი ოჯახის წევრთა ფრესკული პორტრეტების ჩამორეცხვა და წახლენაც შეწყდა. მარჯვე და ყოჩაღი კაცი გამოდგა ის ბერი (მგონი, კეთილაძე იყო გვარად).

გარდა ამისა, არისტო, როგორც გალობის კარგად გამკები და დამფასებელი, იყო ერთ-ერთი მოთავე გურიისში მუსიკოს ფილიმონ ქორიძის ვაჯაზე-

ჩისა. იმ დროს ოზურგეთში იყვნენ კარგად ცნობილი გურული საეკლესიო მოძღვრელები — ამ საქმის ერთადერთი ნამდვილი სპეციალისტები იმდროინდელ საქართველოში. მათ შორის მთავარი იყვნენ გურის ეპისკოპოსის მგალობელთა ხელმძღვანელი, მილიციის პრაპორშჩიკი (არა სასულიერო პირი) ღუმბაძე და მისი შვილი, დეკანოზი დავით ღუმბაძე (სხვათა შორის, იმ დავითის ძმა იყო იალტის გენერალ-გუბერნატორი ივანე ღუმბაძე, ხოლო შვილი — ვასო ღუმბაძე, ცნობილი ავანტურისტი და თავისებური ადამიანი, პირველი მსოფლიო ომის დროს რომ სუბომინოვთან ერთად მაქინაციებს ატარებდა და გამდიდრდა; ამ ბოლო დროს გარდაიცვალა ამერიკაში; ფანტაზიის მიმდევარი კაცი იყო და იმაზე ხარჭავდა ფულს, თითონ კი უბრალოდ ცხოვრობდა). ამ საქმეში, არისტოს და სხვებს გარდა, ვერივთ მე და მესტამბე მაქსიმე შარაძის ძმა (ილია ჭავჭავაძის მოურავი), ღვთისნიერი ადამიანი. შევავროვეთ ფული და გავგზავნეთ ფილიმონ ქორიძე გურიაში. წელიწადზე მეტ ხანს დარჩა იქ და 12 ვრცელი ალბომი შეადგინა ძველი ქართული გალობისა. ძალიან დიდი საქმე გაკეთდა და პირდაპირ სულზე მოესწრო, თორემ ცოტა ხანს შემდეგ უკვე ვეღარ მოხერხდებოდა და იმ, ბედად კიდევ შემორჩენილ მგალობლებთან ერთად დავეკარგებოდა ძველისძველი, შესანიშნავი რთული საგალობლები... ბოლოს ის ნოტების ალბომები ყველა შეიძინა ჩვენმა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმმა (მანამდე ამხანაგები რაღაც ვეღარ მორიგდნენ ერთიმეორეში და გაიყვეს ისინი).

არისტო ქუთათელაძე 70-ოდე წლისა გარდაიცვალა, პირველი მსოფლიო ომის წინ, 1910 თუ 1911 წელს. საერთოდ შესანიშნავი ჯანმრთელობა ჰქონდა, მაგრამ როგორღაც შეჭყარდა ერთი მძიმე სენი და ვერ ემკურნალა რიგაინად. მე და ის ძალიან დაახლოებული ვიყავით, მაგრამ ჩემიც კი მოერიდა და არ მითხრა, თორემ ეგებ მეშველა რაიმე.

ძალიან კარგი კაცი იყო. დედა. გურული ქალი ჰყავდა და ხასიათიც ნამდვილი გურული გამოჰყოლოდა: ერთ წამში აინთებოდა ხოლმე. იმავე დროს დიდი გულჩვილობა მოსდგამდა: ექსკურსიებზე ტყე-ტყე სიარულის დროს მოჭრილ ხეს რომ დაინახავდა, მაშინვე მოჰყვებოდა გლოვას და მომჭრელის ლანძღვას. კარგი ურთიერთობა ჰქონდა სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელ სეთი იაშვილთან (რომელსაც აგრეთვე ჰქონდა, მოგვიანებით, გეოგრაფიის სახელმძღვანელოები) და ამ უკანასკნელს ბევრი რამ ეხსოვება მის შესახებ...

დავით ქუთათელაძე ყველაზე უმცროსი იყო ძმებში. მე რომ ვსწავლობდი პეტერბურგის უნივერსიტეტში, ისიც მაშინ სწავლობდა იმავე უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა. ბინად ნიკო მართან ერთად ცხოვრობდა, ძალიან დამეგობრებული იყო მასთან და დიდადაც უყვობდა ხელს ყოველდღიური პრაქტიკული საქმეების (კვება, ბანაობა, რეცხვა, წმენდა და სხვ.) მოგვარებაში, რაც ნიკო მარს სრულიად არ ეხერხებოდა: ბავშვივით უმწეო იყო ამისთანებში. დათიკო ჩემზე და მარზე უმცროსი იყო. მას, პირიქით, ემარჯვებოდა პრაქტიკული საქმიანობა, ასე რომ ნამდვილად დიდი სამსახური გაუწვია მარს, სანამ იგი სწავლობდა და ოჯახს ჭერ არ იყო მოკიდებული. თანაც დათიკო, როგორც ბევრი სხვა ხონელი, ენამახვილი და მხიარული კაცი იყო და ართობდა ხოლმე მუშაობისაგან დაღალულ მარს. მარს ერთი ჩვეულება ჰქონდა: რაზედაც მუშაობდა,

-ისე გაიტაცებდა, რომ უთუოდ უნდა ეცნობებინა გარემო მყოფთათვის ყველაფერი. შინ რომ ბრუნდებოდა, მთელ ლექციას წაუკითხავდა ხოლმე დათიკოს. იმ ხანებში მარი ძველ ქართველ მეზობლებზე მუშაობდა და დათიკომატ მათი ლექსები ზეპირად იცოდა მარის გაუთავებელი ჩიჩინის წყალობით. ასე რომ, თუმცა მათემატიკას სწავლობდა, ქართულ ფილოლოგიასა და საქართველოს ისტორიაშიც კარგად ერკვეოდა და დიდი ინტერესიც ჰქონდა მათად — უმთავრესად, რა თქმა უნდა, მარის გავლენით. თითონაც ნიჭიერი კაცი იყო. მარი ძალიან პატივისცემით ეკიდებოდა დათიკოს და ყველა თავის სამეცნიერო საქმეშიც კი ეკითხებოდა ხოლმე რჩევას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დათიკო ქუთათელაძე თბილისში ჩამოვიდა და ერთ ხანს ჩემთან იყო ბინანზე. მე მაშინ სათავადაზნაურო სკოლაში ვმუშაობდი მასწავლებლად. დათიკოს ძალიან უნდოდა თბილისში დარჩენა და ჩემთან მუშაობა ძეგლებზე და ხელნაწერებზე, ერთი სიტყვით, ისტორიო-არქეოლოგიაში. სხვათა შორის, ფრანგული ენა იცოდა და კიდევაც „Chronique Armeienne“ თარგმნა (მერე ჩემთან იყო ის ხელნაწერი). მეც ავიღე და ახალ ჩამოსულს მივანდე იმ გათხრის მეთვალყურეობა, რომელიც მცხეთაში, ბაგინეთის კოშკზე წამოვიწყეთ, დ. ბაქრაძის ღია ფურცლით (იხ. ქვემოთ). ამ საქმეს მან რიგიანად გაართვა თავი⁷⁴. სამსახურის შოვნა გაუჭირდა და მე დაეუთმე კერძო გაკვეთილები საგინაშვილის ოჯახში, სადაც თვეში 50 მანეთს მძალედუნენ. დათიკო იმდენად თავმდაბალი იყო და უბრალოდ ცხოვრობდა, რომ ამბობდა, 50 მანეთი თუ მექნა, მეტი არც მინდა, მეყოფაო. სამსახური კი მერეც ვერა და ვერ იშოვნა. ერთ ხანს თელავში წავიდა და იქაც გვიგროვებდა ქართულ ხელნაწერებს. მერე საგადასახადო ინსპექტორი გახდა და ოლთისის ოკრუგში გაამწესეს. იქიდან მწერდა, ჩამოდი, აქაური ძეგლები ნახეო, მაგრამ სანამ ის იქ მსახურობდა, ვერ მოვახერხე, მხოლოდ მას შემდეგ ჩავიდი და შევისწავლე ის ძეგლები. დათიკომ შეადგინა ოლთისის ოკრუგის რუკა, ქართულად, აღნიშნა ზედ ძეგლები და გამომიგზავნა (ის რუკა მერე, საფრანგეთში ყოფნისას გადაეხაზვინე ინჟინერ ციციშვილს სუფთად). ამას გარდა, დ. ქუთათელაძემ თავისი ხარჯით გამოგზავნა ოლთისის ციხის ეკლესიის ტრაპეზის ქვა, რომელსაც ქართული წარწერა ჰქონდა. ის ქვა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში ინახებოდა და ახლა კი ს. ჭანაშვიის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უნდა იყოს.

ოლთისიდან დავით ქუთათელაძე ბაქოს გადაიყვანეს სამსახურში. რევოლუციის შემდეგ იქ ქართველმა კომერსანტმა ხოშტარიამ დააარსა ე. წ. „ამიერ-კავკასიის ბანკი“ და იმის თავმჯდომარედ იყო ლორთქიფანიძე, ხოლო ერთ-ერთ დირექტორად — დავით ქუთათელაძე (მეორე დათეშიძე იყო). თანდათანობით რომ მოსწყდა საზოგადოებრივ საქმიანობას, დათიკომ მიჰყო ხელი ქალაქის თამაშსა და მისას. საერთოდ ამრიგად, უსაპარეოზობისა გამო იმ დროს ბევრი სასარგებლო, ნიჭიერი და პატიოსანი ადამიანი გველუპებოდა, რომლებიც დიდ ხანს კი მიისწრაფოდნენ, სულით და გულით, საზოგადოებრივი მოღვაწეობისაკენ, მაგრამ მერე ლუკმაპურის მოსაპოვარ საქმეს

74 დ. ქუთათელაძის ნამდვილად საქმიანი „რაპორტი“ თბილის შუღვის შესახებ დიდხანს ინახებოდა ხელნაწერად ე. თაყაიშვილის არქივში და გამოქვეყნდა მხოლოდ 1966 წელს, ამ უკანასკნელისაგან მიძღვნილ კრებულში (იაკად. ე. თაყაიშვილი“, გვ. 117—119).

პიკედებდნენ ხელს და ბოლომდე ვეღარ გასდევდათ ხოლმე ეს მიდრეკილება. თუ ნებისყოფა. კერძოდ დავით ქუთათელაძე, პირობებს რომ ხელი შეეწყო, შესანიშნავი მოღვაწე და მუშაკი დადგებოდა... საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის თბილისში გადმოვიდა და მალე გარდაცვლილა კიდევაც აქ.

კარგი კაცი და კარგი პატრიოტი იყო კიდევ ანტონ ნატროშვილი (ნატროვი), რომელსაც მეტ სახელად „ყინტურასა“ და „კისერას“ ეძახდნენ. რადგან ცალ მხარეზე ჰქონდა მოქცეული კისერი. მისი ნაშრომები, ცალკე წიგნებად გამოსული, სეკტიცხოვლის შესახებ და ათონის ქართველთა მონასტრის შესახებ (ორივე რუსულად) გულმოდგინე ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგადაა დაწერილი და დღემდე ინარჩუნებენ მნიშვნელობას. სასულიერო უწყებაში მსახურობდა და კარგად იყენებდა თანამდებობას ასეთი, პატრიოტული საქმიანობისათვის (მასალებზე და წყაროებზე, ხელი მიუწვდებოდა).

ნიკო მარის დახასიათებისადმი სპეციალური ნარკვევები და წიგნები მიძღვნილი, მაგრამ მე, როგორც ბავშობიდანვე და ევროპაში ჩემ წასვლამდე მის მახლობელ ადამიანს, ბევრი რამ მახსენდება მის შესახებ ისეთი, რომელიც შეიძლება სხვამ არ იცოდეს ან ვერ შეამჩნიოს და ინტერესს კი არ იყოს მოკლებული მისი პიროვნებისა და მუშაობის შესახებ წარმოდგენის შექმნის თვალსაზრისით. ზოგი რამ ზემოთ უკვე აღვნიშნე, სხვა საკითხებთან თუ სხვა პირებთან დაკავშირებით, ზოგსაც ახლა გავიხსენებ.

ნიკოს ჯერ კიდევ რუსეთში წასვლამდე ძალიან მოსწონდა, უყვარდა ერთი ქართველი ქალი, მაგრამ ეს უკანასკნელი ძალიან შორს იჭერდა და არ თანაუგრძნობდა, ეგებ სულაც ნიკოს აშკარად უცნაული ხასიათის გამო. ნიკო გაუბედავი იყო სიყვარულის საქმეში და გულმოკლული გაემგზავრა ჰეტერობურგს. სწავლა რომ დაასრულა და მეცნიერულ მუშაობას მიჰყო ხელი, გადაწყვიტა დაოჯახება და მომწერა: „შენ კი იცი, ვინც მიყვარდა და მიყვარს, მაგრამ მე მას არაფრად მივაჩნევარ და ახლა რა ექნა? შევირთავ ამ რუსის ქალს, მომივლის მაინც და მუშაობაში მაინც შემეწყობს ხელსაო. თითქოს მეზობლიშებოდა!... ცოლი (ყუკოვსკის ქალი) იმ მხრივ მართლაც გამოადგა. მერე ორი ვაჟიშვილი ეყოლა. ორივე ძალიან ნიჭიერი იზრდებოდა, მაგრამ ერთი სულ ყმაწვილი მოკვდა, ხოლო მეორე კი, როგორც ცნობილია, თვალსაჩინო ირანისტი შეიქნა, თუმცა ქლექმა იმასაც ნადარევიად მოუსწრაფა დღე...

ვინ არ იცის, თუ რამდენი ნამდვილი გაუგებრობა შემოიტანა ბოლო წლებში ნიკო მარმა ენათმეცნიერებაში, თავისი თეორიების ვადამკიდებ, მაგრამ მაინც არ შეიძლებოდა მის წინააღმდეგ ისე მკვახე ტონით წერა და ისე დაუზოგავად ამხედრება, რაც ჯერ კიდევ ილიამ დაიწყო... ნამდვილად უაღრესად ნიჭიერი კაცი იყო და, აღრე მაინც, იმდენი და იმგვარი შესანიშნავი, სრულიად ახალი აზრი გამოუთქვამს და ისეთი ბრწყინვალე გამოკვლევები დაუწერია, რომ ბოლოდროინდელ ყოველგვარ ახირებულობას აპატიებს კაცი—ყოველ შემთხვევაში, უნდა ვაპატიოთ! რამდენიც არ უნდა შემცდარიყო, გენიალური წყობის მეცნიერი იყო... ერთ-ერთი მისი ახირება იყო ისიც, ქართული დამწერლობის ლათინურ ანბანზე გადაყვანას რომ ლაშობდა. ისიც, თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგ რომ წერდა რუსულ პრესაში და აცხა-

დებდა, უნივერსიტეტი კი უნდა გაიხსნას, ოღონდ რუსულიო. ბოლო ხანებში საერთოდ ძალიან ჭირვეული და სხვათა აზრისა და თაოსნობის ვეღარ მომთმენი გახდა. რაკი საბოლოოდ მოსწყდა საქართველოს და სულ სხვა წრეში მოექცა, სულსკვეთებაც შეეცვალა. გიმნაზიის დროინდელი თავ-გადაკლული პატრიოტიზმის (ზემოთაც აღენიშნე ზოგი რამე და ახლა ისიც მახსენდება, რომ ასეთი განწყობილებით გაუღენთოდ ხელნაწერ ქურნალს უშვებდა გიმნაზიაში) მაგიერ სულ სხვა, ზოგჯერ საწინააღმდეგო შეხედულება შეუმუშავდა. ამის ძირითადი მიზეზიც ის საოცარი მერყეობა იყო მისი ხასიათისა, რომელზედაც ადრე მქონდა საუბარი. ასევე დაემართა, სომხურ ფილოლოგია-არქეოლოგიაზე რომ დაიწყო მუშაობა (თავდაპირველად ძალა-უნებურად); ისე გაიტაცა იმ სამყარომ. რომ ბევრი რამ ქართულიც კი უკვე სრულიად მცდარად გამოჰყავდა იქიდან.

მე რომ „ოსმალეთის საქართველოში“ დავიწყე არქეოლოგიური მოგზა-ურობა, ყველა კუთხე მოვიარე, გარდა სწორედ შავშეთ-კლარჯეთ-იმერხევისა და ბათუმის მხარისა, ე. ი. ჭოროხის აუზისა, რადგან ის მხარე გულდაგულ ჰქონდა დავლილი ნიკო მარს და, — აბა ვისთვისაა საეჭვო, — მისი საუკეთეს-სო, ყოველმხრივი და ნამდვილი მეცნიერული აღწერილობაც დაგვიტოვა, „ხანძთელის ცხოვრების“ გამოცემასთან დაკავშირებით. შესანიშნავი წიგნია და მაგის მეტი რომ არაფერი გავკეთებინა ქართული კულტურის ისტორიი-სათვის (მაგრამ რამდენი კიდევ სხვა გააკეთა!), ისიც კმაროდა, რათა მუდამ მისი მადლიერი ვყოფილიყავით. მხოლოდ მარს შეეძლო იმ ძეგლების ისე გამოცემა. თან რომ იმერხეული და ოსმალური ზეპირსიტყვიერება თუ სხვა ტექსტებიცა აქვს დართული?! საოცარი გაქანების და გამჭირაობის მეცნი-ერი იყო პირდაპირ. იმ ხანებში მაინც! რამდენი ისეთივე კარგი რამის გაკე-თება შეეძლო ჩვენთვის, ბოლოდროინდელ უსავნო ფანტაზიებს რომ არ გადაჰყოლოდა?! იმ „იაფეტრიდოლოგიური ენათმეცნიერების თეორიამ“ პირწმინდად მოუთვა ხელი, ნამდვილად შთანთქა მისი მეცნიერებაცა და სალი აზროვნებაც!

მახსოვს, პარიზში რომ ვიყავი, იქ ჩამოვიდა და წაიკითხა მოხსენება თავისი ახალი თეორიის შესახებ. ხალხი, რა თქმა უნდა, ბევრი დაესწრო. მაგრამ მეტი წილი, ცხადია, უკმაყოფილო დარჩა. მოხსენების შემდეგ გარს შემოერტყენ ინდო-ევროპეისტი ლინგვისტები და ჰკითხეს: „ერთი, ლეთის გულისათვის, ავიხსენით, ბოლოს და ბოლოს, სადღა იწყება და სადღა თავდება ეგ თქვენი იაფეტური ენებიო?“ ამაზე მან ენამახვილობით უპასუ-ხა: „ჯერ თქვენ ამიხსენით, სად იწყება და თავდება წრეო?“ მერე ნიკოლოზ აღონცმა ჰკითხა, „Куда ты сейчас направляешься, Николай?“ როცა იმან უთხრა, აფრიკაში მივდივარ და პოტენტოტების ენა უნდა ვისწავლოო, აღონცმა წამოიძახა— „Ну, отныне уже там будет, наверное, пуп земли, не так ли?!..“ თავის დროზე, მახსოვს, მარს ძალიან სწყინდა ის ამბავი, რომ ივანე ჯავახიშვილმა არ წარადგინა პეტერბურგში სადოქტორო დისერტაცია, როცა აღონცმა დაიცვა („Армения в эпоху Юстиниана“). საქმე კი ჩემი აზრით, ის იყო, რომ ჯავახიშვილს არ მიუღიოდა გული ასეთი ნაშრომების არა ქართულად წერაზე...

ჯერ კიდევ სტუდენტობისას რომ შექმნა მარმა ერთი თავისი ყველაზე ადრინდელი „სენსაციური“ თეორია, ქართული ენა სემიტურ ენებს ენათესა-ვებაო („ივერია“-შიც კი დაბეჭდა), მიუტანია ის თავისი წერილი როზენთან

და წაუკითხავს მისთვის. როზენს საერთოდ ძალიან დიდ ანგარიშს უწევდნენ. ყველანი, ერთადერთი პროფესორი იყო აღმოსავლურ ფაკულტეტზე, რომელიც ნამდვილ ლექციებს უკითხავდა სტუდენტებს. იმას ეთქვა მარისათვის (თითონ მიაბზო მერე ნიკომ): „Что Вы, ведь это всё ерунда! Это же еще надо доказать! Если бы было так легко строить подобные теории, не ждали бы Вашего приезда в Петербург, а давно написали бы другие!“ ის იყო და მარმაც თანდათან მიატოვა თავისი „სემიკური თეორია“, ისე რომ მერე აღარც კი გახსენებია!..

კიდევ კარგი, რომ, როგორც უკვე აღნიშნული მაქვს, მარმა დაგვიჩერა ამხანაგებს და მეცნიერულ მუშაობას მოჰკიდა ხელი და არა ჟურნალისა და სახალხო წიგნაკების გამომცემლობას, რასაც სრულიად სერიოზულად ფიქრობდა ერთ ხანს, რომ გაიძახოდა: „ხალხი გვეყავს გაუნათლებელი და გავანათლოთ!“ თავდაპირველად ხომ მან და მისმა პეტერბურგელმა მოწაფე ქართველებმა დააწინაურეს დიდად ქართული კულტურისა და, კერძოდ, ენის მეცნიერული შესწავლის საქმე!

მასსოვს, პეტრე მელიქიშვილს უამბნია ერთხელ ჩემთვის, ავსტრიელი ლინგვისტი რომ იყო ჰუგო შუხარტი, ქართული ენა რომ შესწავლა. იმის შესახებ. ის ძალიან მეგობარი ყოფილა მელიქიშვილისა და თურმე ხშირად ეტყოდა ხოლმე: „ქიმიკოსები ევროპაშიც გვეყავს, თითო ქალაქში თითო მაინცაა გამოჩენილი მეცნიერი, და რაღა მაგ საგანს მოჰკიდე ხელი ამ ნიჭიერმა კაცმა, ვინ უნდა გააკვიროვო ქიმიითაო? ის არა სჯობდა, რომ შენი დედა-ენა გვეკლიაო? მაგისთანა თავისებური, მდიდარი, საინტერესო და მსოფლიო მეცნიერებისათვის საყურადღებო ენა გაქვთ, იგი რაც შეიძლება ძალე უნდა გაიკნოს მთელმა ქვეყნიერებამ და მისი შესწავლა კი ყველაზე უკეთესად ქართველებს შეგიძლიათო!..“ მერე ჩაგვაცვიდა ის შუხარტი, -ვინმე ნიჭიერი ახალგაზრდა გამომიგზავნეთ ვენაში, რომ მოეშადოს და მერე ქართული ენის შესწავლაზე იმუშაოსო!“ ჩვენც გავუგზავნეთ ერთი მართლაც ნიჭიერი ყმაწვილი, გვარად ბ... სტიპენდიაც კი დაეუნიშნეთ, ბაგრამ ის თურმე ჩასვლისთანავე გაიტაცა ევროპულმა ფილოსოფიამ და ლიტერატურამ და ლინგვისტიკას აღარ გასდევნებია... ასე რომ საბოლოოდ ქართული ენათმეცნიერების შექმნა ჯერ პეტერბურგის სკოლის დამსახურებაა, და მეტადრე კი ჭავჭავიძის, ყიფშიძის, შანიძისა და ახვლედიანისა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ახალდაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში.

შინდა ორიოდ სიტყვით გავიხსენო აგრეთვე არქიტექტორი ანატოლი კალგინი, რომელსაც თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ჩვენი კულტურის წინაშე. იგი ძალიან ნიჭიერი არქიტექტორიც იყო, საერთოდ სერიოზული მუშაიც და, კერძოდ, ძველი ძეგლების შესწავლა-გამოკვლევაშიც ნაყოფიერად მონაწილეობდა. ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, რომელიც ვედრებისელის ფსევდონიმით მწერლობდა (საბავშვო ჟურნალებში ბეჭდავდა და, თუ არ ვცდები, სოფ. ყინციისიდან იყო). საერთოდ საქართველოსა და მისი კულტურისადმი დიდი, საქმიანი პატივისცემით იყო გამსჭვალული კალგინი და ეს არ უნდა დავივიწყოთ.

1917 წელს რომ წავედი ტაო-თორთუმ-ისპირში, ექსპედიციაში სხვათა შორის მხატვრებად წავიყვანე ლადო გუდიაშვილი (ახლა რომ ცნობილი მხატვარია) და მიხეილ ჭიაურელი (ახლა რომ ცნობილი კინო-რეჟისორია), ხოლო არქიტექტორად — კალგინი. საერთოდ ხომ თავისი საქმის ოსტატი.

იყო და იქაც ისე კარგად იმუშავა. ოღონდ ხასიათი კი მძიმე გამოაჩნდა და ჰამა-სამაც უყვარდა გადამეტებით. მანამდე ჯერ კიდევ პ. უვაროვას დაჯალბებით ვიყავით მე და ის, ბორჯომთან რომ დაბაა და იქ ერთი კარგი ძველი ეკლესია, იმის გადმოსაღებად.

ჩვენი საადგილმამულო ბანკი რომ გაიზარდა და ნივთიერად მოლონიერდა, გამგეობამ გადაწყვიტა, საკუთარი შენობა აეგო მისთვის. მეც ვიხელთე დრო და შევიტანე წინადადება, რომ ქართული სტილის ნაგებობა აეშენებინათ: თბილისში არც ერთი ქართული შენობა არ იღვა და ასეთ შემთხვევას კიდევ როდისღა ვიშვინდით? ისიც ვუთხარი, რომ ბანკის ხარჯით გავეგზავნა მხატვარი და ხუროთმოძღვარი, რათა მათ დაეცლოთ საქართველოს თვალსაჩინო ძეგლები, ჩაეხატათ საუკეთესო გეგმისა და ორნამენტის ნიმუშები და მერე ამით მიხედვით აშენებულიყო სახლი. ამ აზრს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს თავმჯდომარემ გრუზინსკიმ, ერთ-ერთმა დირექტორმა (გვარი აღარ მაგონდება: ის მერე ილიამ გაავლო ბანკიდან) და სხვებმა; დიდი დავი-დაარბა შეიქნა, მაგრამ ბოლოს მაინც გავიტანე ჩემი. მომცეს 3.000 მანეთი და გავგზავნე კალგინი და კიდევ ერთი მხატვარი⁷⁵. მიუვითოთ, თუ რომელი ძეგლები უნდა მოეხატულებინათ. მათ შორის იყო ბოლნისიც, რომელიც ადრევე მქონდა ნახული (პირველად 1896 წელსა და შემდეგ კიდევ ორგზის — ერთხელ მაშინ, როცა ცხენით შემოვიარე ჩათბი და მისი მიღამოები), მაგრამ რომლის შესახებ არაფერი დამიბეჭდავს. რადგან დავით ეპისკოპოსის წარწერაში მამული იხსენიებოდა და ეს გარემოება შეუსაბამობად მიმაჩნდა; ბევრი ვეძებე ისტორიულ წყაროებში და გამოკვლევებში, მაგრამ ახსნა ვერსად ვიპოვე; ვიფიქრე, ალბათ უმეცრულად რაღაც არეულია მეთქი. გავზავნილებმა კეთილსინდისიერად დაიარეს, გადმოხატეს ძეგლები და ჩამოიტანეს მშენიერი მასალა, რომელიც შემდეგ კალგინმა მარჯვედა და ნიჭიერად გამოიყენა, ქართული ბანკის შენობის პროექტი რომ შეადგინა თითონვე. ერთ-ერთ ფასაღზე დავით აღმაშენებლის სახეც გავაეკეთებინეთ, რელიეფურად. ამრიგად გამოვივიდა ნამდვილი ქართული იერის შენობა, რომელიც დღემდე რჩება თბილისის არქიტექტურის ნამდვილ მშვენივალ. თუმცა კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქ მრავალი კარგი სახლი აშენებულა და ბევრი მათგანი აგრეთვე ეროვნული სტილითაა ნაგები. ამჟამად ხომ იმ ბანკის შენობაში სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაა მოთავსებული!

ბოლნისზე ასე იმიტომ განვაჯრეც სიტყვა, რომ აჯად. გ. ჩუბინაშვილის საფუძვლიან და დიდად მნიშვნელოვან გამოკვლევებში, ბოლნისის სიონის შესახებ, რამდენიმე არაზუსტი ცნობა შეჰპარვია ავტორს: ჯერ ერთი. წერს. ბოლნისის ტაძარი არც დ. ბაქრაძეს უნახავს და არც ე. თაყაიშვილსაო (მე კი ზემოთ განვმარტე, თუ რის გამო ველარ გამოვაქვეყნე ბოლნისში ჩემ მიერ ჩატარებულ ექსკურსიათა შედეგები. თორემ ისეთი ძეგლი როგორ დამრჩებოდა უნახავი?); მეორეც, მას ჰგონებია, რომ კალგინი და მხატვარი საკუთარი თაონსობით წაივინდნენ ძეგლების გადმოსაღებად, ჩამოიტანეს ნახაზები და ნახატები და მერე შევიძინე მე ისინი მათგან: ამ საქმის ნამდვილი ვითარება კი, ახლა რომ განვმარტე, დაწვრილებითაა მოთხრობილი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილების სხდომათა ოქ-

⁷⁵ საქართველოში დასახლებული და მომუშავე პოლონელი ჰენრიხ პრინცესკი. რომლის დასურათებულა, მაგ., ი. ჰავეჯიანის კრებულს გედევანიშვილისეული გამოცემა.

მებში, მაგრამ, ეტყობა, გ. ჩუბინაშვილმა არ იფიქრა, რომ შეიძლებოდა იქ ყოფილიყო ამ საკითხზე მსჯელობა.

VII. ზოგიერთი მოგონება არქეოლოგიური და, კერძოდ, ბათიხრითი მუშაობის შესახებ⁷⁶

უნივერსიტეტი რომ დაეამთავრე და თბილისში ჩამოვედი (1887 წელს), თითქმის სრულიად მიმკვდარი დამხვდა ჩვენში ერთ ღროს (1870-იან წლებში და 1880-იანი წლების დასაწყისში) საკმაო გაცხოველებით მიმდინარე არქეოლოგიური თხრა, რასაც მაშინ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას ვადევნებდი ოვალუტის, შორიდან. როგორც ცნობილია, თხრა წარმოებდა უმთავრესად მცხეთაში, სამთავროს მინდორზე, სადაც ძველი ქალაქის სასაფლაო აღმოჩნდა გზის გაჭრისას და კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ დააყენა უცხოეთიდან თბილისში ადრევე ჩამოსული ფრიდრიხ ბაიერი იმ სამარხების თხრაზე, რაც 1871 წლიდან 10-ზე მეტი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ნაყოფიერიც გამოდგა. ჩემ დროს აღარც ის მოყვარულთა საზოგადოება არსებობდა და აღარც მის მაგიერ დ. ბაქრაძის მიერ დაარსებული „კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის საზოგადოება“, რადგან, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების გამო, მთავრობას უკვე აკრძალული ჰქონდა სამეცნიერო საზოგადოებანი. როგორც აღვნიშნე, იმხანად ბოგინობდა მხოლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, სადაც უნდა მოეძებნა, ძალაუვნებურად, ბინა ჩვენს სიძველეთა-მცოდნეობასაც, მალე დაარსებულ საეკლესიო მუზეუმთან ერთად. ამ ორ საზოგადოებას ხელნაწერთა საკმაოდ მდიდარი კოლექციები კი მოეპოვებოდათ, მაგრამ თითქმის სრულიად არა ჰქონდათ მიწიდან ამონათხარი ნივთები. გარდა წ.-ქ. საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული თითო-ორიოლა, შემთხვევით ნაპოვნი და ასევე მოტანილი ბრინჯაოს თუ სხვა მასალის საგნისა. შედარებით მეტი იყო იქ ნუმისმატიკური მონაპოვარი. მაგალითად, დღემდე მთავად მუხრანსკის მამულში ეპოვნათ ქოთინი დაფლული, თამარის ფულები და თავადს შემოეწირა ისინი წ.-ქ. საზოგადოებისათვის. საერთოდ, იმ ხანებში არქეოლოგიური მონაპოვარი (მით უმეტეს, მეცნიერულად განათხარი) ჩვენში უმთავრესად ინახებოდა და თავს იყრიდა „კავკასიის მუზეუმში“, რომელიც რევოლუციამდე სულ არაქართველთა ხელში იყო და რომელშიც შეგნებულად არც იღებდნენ ქართველ მუშაკებს თანამშრომლებად. იქ ინახებოდა, მაგალითად, მცხეთაში ბაიერნის მიერ ამონათხარის მნიშვნელოვანი ნაწილი, ყაზბეგში სხვადასხვა არქეოლოგთა ამონათხარის ნაწილი (დანარჩენი ერმიტაჟში და მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში იყო წაღებული) და სხვ.

ბაიერნის შემდეგ ახალი, ისეთივე მნიშვნელოვანი მასშტაბის გათხრა კარგა ხანს არსად ჩატარებულა.

1881 წელს, როგორც ცნობილია, თბილისში მოეწყო რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა, რომელზედაც რატომღაც არც ბაიერი და მოჩინილა, არც მისი მცხეთას ნამუშევარი და საერთოდ არც ჩვენში წარმოებული თხრის შედეგები. მაშინ მე გიმნაზიის VII კლასში ვიყავი და, როგორც აღვრეც

⁷⁶ ზოგი რამ ჩაწერილია კარანხით (ჩვენი თხოვნით), ზოგი კი ნაწვეტ-ნაწვეტ, სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებითაა გახსენებული, საერთოდ 1948—1952 წწ.

აღნიშნე, პოლკოვნიკ ალექსანდრე მუსხელიშვილის ოჯახში ეცხოვრობდა და ვრეპეტიტორობდა: მათ ორ შვილობილს, ქალ-ვაჟს ვამეცადინებდა. ალ. მუსხელიშვილიცა და მისი ცოლიც, ანეტა ლოლობერიძის ასული (საზოგადო მოღვაწე ქალი ქუთაისში), ისევე როგორც ბევრი სხვა მოწინავე ქართველი, წამოვიდნენ თბილისში, ესწრებოდნენ V არქეოლოგიური ყრილობის სხდომებს და შინ რომ დაბრუნდნენ, ბევრი რამე გვიამბეს იმ ყრილობისა.

ზემოთ, ილიას შესახებ მოგონებებში უკვე გავიხსენე ინციდენტი პროფ. ხვოლსონის შემცდარი სიტყვისა გამო. შემდეგ ის ხვოლსონი გამოკამათებია პროფ. დ. ჩუბინაშვილი, რომელსაც პონტოს წულთარიცხვის შესახებ ჰქონდა მოხსენება და, სხვათა შორის, სამართლიანად აღვნიშნა, რომ მითრიდატ პონტოელი ქართველი იყო, მის ვაჟიშვილს მახარე ერქვაო. ეს მოხსენება ყრილობის შრომათა კრებულში არ დაბეჭდილა, მაგრამ მერე გამოვაქვეყნეთ ცალკე ქართველმა სტუდენტებმა პეტერბურგში. ხვოლსონის გამოკამათებაზე ჩუბინაშვილსაც გული მოსვლოდა: „იმისათვის კი არ ჩამოვსულვარ აქა, რომ ასე მჩატედ მოექნენ ჩემს მოხსენებასაო!“ (ცი უნდა ითქვას, რომ ჩუბინაშვილი არ იყო მართალი იმ პონტოური წულთარიცხვის შესახებ). დ. ბაქრაძეს უნდა წაეკითხა მოხსენება ტაო-კლარჯეთში თავისი მოგზაურობის შესახებ, მაგრამ ქუთაისის სადგურში ფეხი იღრძო, გამოსვლა ვეღარ შესძლო და მის მაგიერ ის მოხსენება წაიკითხა ვლადიმერ (პროკოფი) მიქელაძემ. თბილისის რეალური გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელმა. რომელიც საერთოდ ჰკვიანია, განვითარებული და მიხვედრილი კაცი იყო და თან სიტყვაც ერჩოდა. იმას ეთქვა, არაა სწორი, თითქოს ტაო-კლარჯეთში სომხური ოლქები იყო, და ამაზე ა. ერიწოვი გამოკამათებოდა, როგორც უოველთვის, როცა კი ასეთ საკითხზე ჩამოვარდებოდა სიტყვა.

სხვათა შორის, ის ვლადიმერ მიქელაძე ერთ ხანს ლექსებსაც სწერდა. ისე რომ არტურ ლეისტსაც კი აქვს ისინი გერმანულად ნათარგმნი. 1896/97 წლებში მან მიატოვა მასწავლებლობა და სამეურნეო ბანკი რომ დაეაარსეთ. იმის ერთ-ერთი დირექტორი გახდა. სხვათა შორის. 1905 წლის რევოლუციის დროს ის ბანკი გაძარცვეს. ერთი სამსახურიდან გადამდგარი ოფიცერი იყო, გვაზრად განძიელი, ოფიცრის გიორგის ჯვრით დაჯილდოებული, ის არ ანებებდა გაძარცვას და შეაკვდა კიდევაც. ძირს რომ ჩავიდნენ მძარცველები, კიდევ ერთხელ ისროლეს ბომბი. ბანკი იყო სარაჯიშვილის სახლში, კარგ შენობაში. ქარვასლის პირდაპირ, ახლა აღებულა. ვლადიმერ მიქელაძე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად გასვლას ლამობდა. მენშევიკებს ებრძოდა საამისოდ, მაგრამ ვერ გავიდა. ექიმე პროფ. შ. მიქელაძე მისი შვილი იყო.

საერთოდ. როგორც უკვე ვთქვი. გათხროთი არქეოლოგია ძალიან მცირედ იყო წარმოდგენილი თბილისის ყრილობაზე. ქართველ მწერალთაგან მის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი. გიორგი წერეთელი, რაფიელ ურისთავი; პროფესორთაგან: დ. ბაქრაძე, დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი, ი. ოქრომჭედლიშვილი (ა. ხახანაშვილი ჯერ კიდევ არ იყო მაშინ და მოსკოვის უნივერსიტეტში ქართულის პროფესორად ილია ოქრომჭედლიშვილი ანუ სერგებრიაკოვი მუშაობდა). ოქრომჭედლიშვილმა საერთოდ საინტერესო მოხსენება წაიკითხა ყრილობაზე. ქართული ანბანის შესახებ. თუმცა ზოგი რამ მცდარი ჰქონდა. სხვათა შორის. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი მისი საფასით იყო გამოცემული; იცოდა ხოლმე ასეთი საქმეები:

სათვის ფულის გაღება... ჩვენთაგან საუკეთესო გამომდგარიყო გ. წერეთლის მოხსენება. ის საერთოდ ერთადერთი იყო ჩვენ მაშინდელ ინტელიგენტებში, რომელიც სწორად კითხულობდა და გებულობდა ხუცურს, თუმცა ზოგჯერ ფანტაზიაც კი იცოდა ხოლმე.

ყრილობის წინა ხანებში ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს სტოიანოვს მინდობილი ჰქონდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევთა გათხრა. იმას მივყავდით ხოლმე იქ მასწავლებლებიცა და მოწაფეებიც და გვაზიღინებდა ქვევს. კაცმა რომ თქვას, ნამდვილი გათხრა თითქმის არც ჩატარებულა. უფრო ზერელე გაწმენდა და ნანგრევი ქვების შეგროვება წარმოებდა.

ეს სტოიანოვი, ჩამომავლობით ბულგარელი, ძალიან განათლებული კაცი და მოწაფეებისათვის კარგი დირექტორი იყო, მაგრამ მასწავლებლებს კი ძალიან უყვიროდა და სულ „მე, მეო“, გაიძახოდა: პატივმოყვარეობა მოსდგამდა აშკარად. მასწავლებლები მეტსახელად „სტოიან-ფაშას“ უძახდნენ. ერთხელ სევანეთში იმოგზაურა და დაბეჭდა მოგზაურობის აღწერილობა. რომელიც შემდეგ დ. ბაქრაძემ გაუკრიტიკა. მცირეოდენი გათხრა-გაწმენდითი მუშაობა ვანშიც ჩატარა, იქაც ეკლესიის ნანგრევებზე. შესანიშნავი მონადირე იყო. ჭაღალდის თამაშსაც ეტანებოდა თურმე და, როგორც ამბობდნენ. ისეთი დაძაბული ყურადღებით თამაშობდა ხოლმე, რომ იშვი-ათად თუ მოუვიდოდა შეცდომა. ვაი მისი პარტნიორის ბრალი, თუ კარგად ვერ ჩამოვიდოდა ჭაღალდს, ერთ ამბავს აუტეხავდაო. სხვათა შორის, მის დროს გიმნაზიასთან არსებულს „შეუძლებელ“ მოსწავლეთა დამხმარე კომიტეტს გაბრიელ ეპისკოპოსი (ჭიჭიძე) განაგებდა.

ყრილობის მონაწილენი ჯერ მცხეთაში წაიყვანეს და იქაური ძეგლები და სამთავროს განათხარი აჩვენეს (ფ. ბაიერნის თანხლებით), ხოლო მერე ქუთაისში ჩამოიყვანეს. იქ ექსკურსიას სტოიანოვი წუძღვდა, ჯერ ის აჩვენა. თუ რა გააკეთა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე, ხოლო მერე გელათში აიყვანა. ამ უკანასკნელმა და მეტადრე მისმა ადგილმდებარეობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს სტუმრებზე. პროფ. კოსტომაროვმა უსაყვედურა ალ. ცაგარელს: „ვერ მითხარი, თუ ასეთი შესანიშნავი ადგილი გქონდათ? ერთ ზაფხულს ჩამოვიდოდი და აქ გავატარებდიო!“ იმჟამად კოსტომაროვი უკვე ძალიან იყო ხანში შესული და აღარ მსახურობდა.

რადგან სასტუმროებში ვერ სცემდნენ ჯეროვან პატივს ყრილობის მონაწილეებს, ქუთაისის მოწინავე ოჯახებმა იკისრეს მათი მასპინძლობა და დაინაწილეს სტუმრები. მუსხელიშვილის ოჯახს ერგო ჩუბინაშვილი, ცაგარელი და კოსტომაროვი.

აი, ესაა, რაც მაგონდება თბილისის არქეოლოგიური ყრილობის შესახებ.

რაც შეეხება საკუთრივ გათხრით საქმიანობას, მე მასში, ასე ვთქვათ. „ფეხი შედგა“. მგონია 1889 წელს, როდესაც, ერთი შემთხვევითი აღმოჩენის შედეგად, მცხეთის ძეგლებმა (ოღონდ უკვე ბაგინეთში და არა ისევ სამთავროში) კვლავ მიიპყრეს ჩვენი მოწინავე მოღვაწეების ყურადღება და: რაკი სპეციალისტი არავინ ეგულუბოდათ, მეც მომიხდა მონაწილეობა. საქმე ასე იყო:

იმხანად ილიასთან, როგორც გაზეთის რედაქტორთან, მისულიყო ერთი ბერძენი, მიეტანა იატაკის ლიგატურიანი ქვები და ეთქვა, რომ ცოტა გავ-თხარე მცხეთის მიდამოებში, ერთ ძველ კოშკში (სწორედ იქ, სადაც ახლა მცხეთის ექსპედიცია თხრის, ბაგინეთში) და ესენი ვიპოვნეო. ის ბერძენი

უბრალო, არა ინტელიგენტი კაცი იყო, ჩანს, განძეულობას ეძებდა და უპირველეს ყოვლისა ძველ კოშკს მისდგომოდა. ილიას რომ შეატყობინა. თავისთვისაც გამოელოდა რამე ხეირს, თუ „განძი“ აღმოჩნდებოდა. ილიამ სთხოვა დიმიტრი ბაქრაძეს, გათხარეთ ის ადგილიო. დიმიტრის ჰქონდა თხრის ნებართვა საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიისაგან, „ლია ფურცელს“ რომ უწოდებენ. გათხრისათვის ფული (სულ 100 მანეთი) გამოიღო მოსკოველმა პროფესორმა ილია ოქრომჭედლოშვილმა. ბაქრაძემ უთხრა. მე არ შემიძლია გათხრის წარმოება, მაგრამ თუ სხვა ეინმე იყისრებს. ნებას დაერთავ, რომ ჩემი სახელით, ჩემი „ლია ფურცლით“ თხაროსო. ბაქრაძე მაშინ უკვე ხანში შესული კაცი იყო და მართლაც გაუპირდებოდა ველზე ყოფნა და თხრის მეთვალყურეობა: ასეთი რამ მხოლოდ ახალგაზრდებს არ უძნელდებოდა. მერე მე მთხოვა ბაქრაძემ, როგორც უკვე მის თანამშრომლობაში საკმაოდ ნაცადს, გათხარეო. მე მაშინ მასწავლებელი კიკავი, გაკეთილებს ვერ მივატოვებდი და რამდენიმე საათობით მცხეთაში სიარული კი საქმეს ვერ უშველიდა. მაშინ ჩემთან იყო და ჭერ არსად არ მუშაობდა და დათიყო ქუთათელაძე, რომლის შესახებაც ზემოთ დაწვრილებით მქონდა საუბარი. მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში, ნათესავი მოლოზანი ჰყავდა და შეეძლო მასთან დაედო ბინა. ეთხოვე და იყისრა გათხრის ხელმძღვანელობა. აიყვანა ორი-სამი მუშა (მეტი ვერც ვაიმართებოდა იმ კოშკის ნანგრევში) და დაიწყო მუშაობა. ბაქრაძე ერთხელ იყო ადგილზე. მე კი დღე-გამოშვებით ავდიობდი ხოლმე. დ. ქუთათელაძე, ბროსეს მიბაძვით. მიწერდა „რაპორტებს“ იმის შესახებ, თუ რა გააკეთა. ის რაპორტები დანომრული ჰქონდა: № 1, № 2 და ა. შ.⁷⁷. მუშაობა, მგონი, სულ სამ კვირას გაგრძელდა და, რაკი ფული გამოილია, შეწყდა.

ამ მცირე მუშაობამ გამოარკვია, რომ ძველი სიმაგრე-კოშკის ქვედა სართული ორად იყო გაყოფილი; რომ იატაკი ყველგან ლიგატურის ქვებით იყო შედგენილი; რომ კედლები მოხატული იყო, ასე ვთქვათ, რომაული ტიპის სურათებით, წითელ-ყვითელი წამლებით. ერთი ნახატი, ქალ-ღმერთის მინიატურული თავი, კარგად შენახული აღმოჩნდა; დათიკომ მოსჭრა იგი და წამოიღო, მერე წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში ინახებოდა, ახლა კი ხელოვნების მუზეუმში უნდა იყოს, „მეტეხს“ რომ ეძახიან, იმის ფონდებში⁷⁸. გარდა ამისა, დათიკოს ეპოვნა: რკინის ისრისპირები, მიძივები; სხვადასხვა ფერის მინის ნატეხები; ერთიკი მინის პატარა „საცრემლე“, რომაული ტიპისა; თიხის პატარა კოჭობში შენახული ქათმის ძვლები და სხვა. ყველაფერი აღარ მახსენდება, შეიძლება ქუთათელაძის ანგარიშში ნახოს კაცმა. ესენიც იქვე უნდა ინახებოდეს.

ჩვენ დაგვებადა აზრი, რომ შესწავლილ კოშკ-სიმაგრეს უნდა კუთვნილობდა ის ქვა, რომელიც აღრე იპოვნეს მცხეთის მიდამოებში და რომელზედაც წერია, რომ რომის იმპერატორმა ვესპასიანემ იბერიის მეფე მითრიდატს ციხე აუშენა. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ კოშკს ქვევით კიდევ ჰქონდა სართული. შიგ ველარ ჩავედით. მაგრამ ცხადი კი შეიქნა ჩვენთვის, რომ იქ რაღაცა იყო.

⁷⁷ ე. თაყაიშვილის არქივი კი შემონახულია ერთადერთი, დაწონობა და კრეცი - „პორტი“: ბოლოს თუა დაწერილი. მოკლე-მოკლეთა შეჯამებით? მასში მთელი გა:თხრის ანგარიშია არსებითად გადმოცემული (იხ. კრებული „აქად. ე. თაყაიშვილი“, 1966).

⁷⁸ ჭერჭერობით ვერ მოხერხდა მიკვლევა.

ილიამ ანგარიში მოგვთხოვა. ფულის შემომწირველს⁷⁹ უნდა ვუჩვენო, თუ რაში დიხზარავო. როცა წარვეუდგინეთ, კმაყოფილი დარჩა: „გამორკვეულა, რომ კოშიკი რომელი დროისა ყოფილა, რამდენსამე საჩთულს შეიცავდა და თან კედლებიც მოხატული ჰქონიაო. ას მანეთად მარტო იმ ქალღმერთის თავის სურათი ღირსო!“

სამწუხაროდ, მაშინ არც მოცალეობა და არც ფული აღარ გვეყო და თანაც პირადად მე ჯერ ძალიან გამოუცდელი და „გემოგუბუნელი“ ვიყავი არქეოლოგიურ თხრაში, თორემ ცოტა მეტი რომ მოგვენდომებინა და 100 ანეთსა და სამი კვირის განმავლობაში მცირე მუშაობას არ დავჭერებოდი. ალბათ ჯერ კიდევ ამ 70-იოდე წლის წინ გამოვამზებულებდით იმ შესანიშნავ ციხე-სიმაგრეს, სასახლეებსა და აკლდამებს, რომლებიც საქართველოს ბენციერებათა აკადემიის ექსპედიციამ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მომდევნო წლებში გათხარა და რომლებსაც ს. ჯანაშია და მისი მოწაფეები სამართლიანად მიიჩნევენ არმაზციხის ნიშნებად. ჩვენ კი, ასე ვთქვათ, მხოლოდ საფარველის ერთი კუნძული ავხადეთ მცხეთის ძეგლების შესანიშნავ წყებას და მერე ისევ დიდი ხნით მივატოვეთ. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს მაშინდელს, ყოველმხრივ უილაჯობას მოწმობს...

ბაგინეთში „წამუშაების“ თორმეტობდე წლის შემდეგ უკვე პირადად მე მომიხდა მცხეთაში გათხრის ჩატარება. ისევ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ბაგინეთის დასავლეთით, მისგან 4—5 კილომეტრის მანძილზე. იმჟამად კი არქეოლოგიურ თხრაში უკვე საკმაოდ გამოცდილი ვიყავი და მრავალრიცხოვან საინტერესო მასალასაც მოვეუყარე თავი, ოღონდ. სამწუხაროდ, ის მასალა არქეოლოგიურმა კომისიამ წაიღო, იმჟამად არსებული წესისა-ტებრ. ჩემი მუშაობის ანგარიში ვრცელად მაქვს გამოქვეყნებული და აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. ბაგინეთში ჩატარებული საცდელი თხრის შედეგების შესახებ კი სულ მოკლე საგაზეთო ცნობები თუ დაიბეჭდა იმჟამად. თორემ ანგარიში (დათიკო ქუთათელაძის „რაპორტები“ მაინც. სხვა თუ არაფერი) დღემდე გამოუქვეყნებელია და ეს ცოდვაცა და მისი გამოსყიდვაც. რა თქმა უნდა. ჩემ კისერზეა.

ვაპირებდი, მეც მომესინჯა კიდევ ერთხელ სამთავროს ძველი სასაფლაოს უბანი და, რამდენიმე სხვა არქეოლოგიით, შემემოწმებინა ბაიერნის ჩრავალმხრივ ზავეუო დასკვნები, მაგრამ იმჟამად ის მიწები კერძო იყო, პატრონებმა ძალიან ძვირად დამიფასეს გასათხრელად დათმობა და მეც დავანებე თავი.

ამით ამოიწურა ჩემი მონაწილეობა მცხეთის არქეოლოგიურ შესწავლაში. მაგრამ თავის დროზე ერთი კიდევ ვიმარჯვე და იქ შემთხვევით აღმოჩენილი, საინტერესო კოლექცია შევიძინე ჩვენს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. სამწუხაროდ, ისიც გამოუქვეყნებელი მიმარჩა და, თუ მოვაჩერებ, ახლა უნდა გამოვასწორო ეს ხარვეზიც. კავკასიის სასწავლო ოლქის წარუხველმა მცხეთაში, სვეტიცხოვლის გალავანში გახსნა კერამიკული სასწავლებელი-სახელოსნო, სადაც ქოთნებსა და ვაზებს აკეთებდნენ. ჰოდა, ისინი თიხას რომ თხრიდნენ, წააწყდნენ სამარხს, რომელშიც აღმოჩნდა: მინის მოხდენილი ჭურჭლები, ზოგიც სხვა ნივთი და ახალი წელთაღრიცხვის I

⁷⁹ სხვა დროს ე. თაყაიშვილს უთქვამს, რომ ფული რამდენიმე კაცმა მოაგროვა და არა ერთმა შექმნილია.

საუკუნის ფული, მგონი ვესპასიანე იმპერატორისა—სწორედ იმისი, რომლის დროსაცაა გაკეთებული ზემოხსენებული დიდი წარწერა, მცხეთაში რომ აღმოჩნდა ამ ოთხმოცზე მეტი წლის წინ. კერამიკულ სასწავლებელს განაგებდა თბილისის ქალთა II თუ IV გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი, ჩემი კარგი ნაცნობი. მას მოვატანიე იქ ნაპოვნი ნივთები, მინის ჭურჭელი დამტყვეულებული იყო და ირ. სონულაშვილმა კობტად შეაკონწია. ის ნივთები საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში დავიტოვე: მზრუნველმა მოითხოვა, მაგრამ უკან აღარ მივეცი. ფოტოსურათიც გადავადებინე ერმაკოვს და მე მაქვს, იმ ზეგნ მუზეუმში დაცული სხვა შემთხვევითი თუ გათხრითი არქეოლოგიური მონაპოვრების სურათებთან ერთად. სულ 13 სურათია, საერთო სათაურად ყველას „Грузинский музей“ აწერია. ქართულად ჩამოწერით სურათების დასახელება: 1. ბრინჯაოს მრგვალი მედალიონი. ქალღმერთის თავი. დიამ. 7-8 სმ; 2. ბრინჯაოს ორი აუტურული ბალთა — ერთი სწორკუთხოვანი. ცხოველთა გამოსახულებიანი (№ 787), მეორე კი მრგვალი; 3. ბრინჯაოს გამოსახულება — ვენერას (?) საკე უჭირავს ხელში, დიამ. 12 სმ; 4. ბრინჯაოს ძეწვეები, ორი დუგმა, ორი ცხოველის გამოსახულება, ერთი მრგვალი მედალიონი და სამი პირამიდული ზარაკი (ყაზბეგის განძში რომაა მრავლად. იმ ტიპისა); 5. ბრინჯაოს იმგვარივე ორი რთული საკიდი — მრგვალი მედალიონები, ძეწვეები, დუგმა, ფრინველი, კონუსური ზარაკები; 6. ბრინჯაოს ლაგამი (სწორი საყბურები, მსხვილრგოლოვანი და წვეტიანი); 7. ბრინჯაოს საკინძები, ძაღლისა და კურდღლის (?) გამოსახულებიანი; 8. ოცდაცხრა პირი ისრისა, შუბისა და სატევრისა (ორი), რკინისა და ბრინჯაოსი. ნაკრები მასალა; 9. ქალღმერთის (იგივეა, რაც № 1) და ჰერმესის თავი; 10. ჰერმესის თავი (იგივეა, რაც №9); 11. მინის ოთხი „საკრემლე“, სამაფროში გავრცელებული ტიპისა, ერთი ყურბანი; 12. მინის ჭურჭელი — ორყურა, საინტერესო ფორმისა ვაზა; 13. მინის ორი პატარა კობტა სურა, შეკონწიებული და ნაკლული (ან ეგებ ერთი სურა, ორი მხრით გადაღებული). ბოლო ორი ნომერი სწორედ ის ჭურჭლებია, რომლებიც სვეტიცხოველთან აღმოჩნდნენ.

პირველი ქართველი არქეოლოგი, რომელსაც ჩემამდე ჩატარებინოს გათხრა საქართველოში. იყო ისევ ნიკო მარი⁸⁰. მან, როგორც ცნობილია. 1893 წელს გათხარა ძველი, წინარეჰრისტიანული სასაფლაო მდ. დებდელის ხეობაში მდებარე სოფ. ვორნაკში (მაშინ ის კუთხე — „ლორე-ბამბაკი“ — თბილისის გუბერნიას ეკუთვნოდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სომხეთს გადაეცა) და საკმაოდ საინტერესო ნივთები აღმოაჩინა. მაგრამ იმან მალე ანისში დაიწყო თხრა და მთელი გულისყური იქით გადაიტანა, ხოლო ვორნაკში თხრის გაგრძელება საიმპერატორო არქეოლოგიურმა კომისიამ (თუ სწორად მაგონდება, თვით ნ. მარის — იმეამდ უკვე ავტორიტეტული მეკვლევარისა და, კერძოდ, არქეოლოგის რეკომენდაციით) მე შემომათავაზა და სათანადო ღია ფურცელიც გამომიგზავნა, თანხმობა რომ შევუთვალე. ეს იყო 1894 წელს და მას შემდეგ უკვე ხშირად მიგზავნიდა კომისისა ღია ფურცელს (ბოლო დროს უკვე მითვლიდნენ, სადაც მიჩნევთ საკიროდ, იქ გათხარეთო), რადგან ვორნაკში ჩატარებულმა, უკვე ნაპოვილად

⁸⁰ აქ ავტორს ავიწყდება, ან სხვა რამ მიზეზით უგულებელყოფს მოხალისე არქეოლოგსა და მ. ბროსეს ერთ-ერთი თანამშემე-კორესპონდენტის დიმიტრი მუხომელოუხუცესის მიერ უფლისციხის ორიოდ ქვაბის გათხრას 1852 წელს, რის შესახებაც იმხანად წერდა გაზ. „Кавказ“.

საემოდ ღიღმა გათხრამ გამიმართლა: ბრინჯაოს ხანის სამარხები აღმოვაჩინე და შიგ მრავალი საინტერესო ნივთი იყო. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბრინჯაოს მახვილი, რომელზედაც სვასტიკაა ამოკვეთილი და ერთი ცული, რომელსაც შემდეგ რომელიღაც რუსი არქეოლოგი აღნიშნავდა კიდევაც, როგორც თვალსაჩინო მონამოვას. ნივთებიცა და საველე დღიურებიც არქეოლოგიურ კომისიას გადავუვზავნე. ისინი მოკლედაა გამოქვეყნებული კომისიის ანგარიშებში. მას შემდეგ უკვე მით უფრო აღარ იყო სწორი ცნობილი რუსი „ნივთმცოდნე“ არქეოლოგის, იაკობ სმირნოვის განცხადება, თითქოს კავკასიის უმდიდრეს განათხარ მასალას გრაფინია უვაროვას მეტი არავენ პატრონობს და სწავლობსო... ვორნაყის სამარხები მდიდარი გამოვლდა, მათზე მუშაობამ გარკვეული გამოცდილებაც შემიძინა, წამახალისა, დამაინტერესა და შემდეგ უკვე უფრო თამამად მივყავი ხელი თხრის წარმოებას. მით უმეტეს, რომ არქეოლოგიური კომისიაც მაქვებდა და საჭირო თანხასაც მიგზავნიდა, არც თუ ცოტას (ასეულობით მანეთებს), ღია ფურცლებთან ერთად (ეს უკანასკნელები ახლაც შენახული მაქვს). შეიძლება ითქვას, რომ 1917 წლის რევოლუციამდე მე ვიყავი თითქმის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც არქეოლოგიური კომისიის დავალება-ნებართვით ვაწარმოებდი თხრას საქართველოში. სამწუხაროდ, საშუალება არ მქონდა რომ ფართოდ გამეშალა ეს მუშაობა, რადგან მთელი იმ ხნის განმავლობაში ინტენსიურ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ვეწვდი, არქეოლოგიისათვის მხოლოდ საზაფხულო არდადეგების დროს ვიცდიდ და მაშინაც მთავარ ყურადღებას მიწისზედა ძეგლების აღწერა-შეგროვებას ვუთმობდი, ხოლო გათხრასაც მეტწილად იქ წამოვიწყებდი ხოლმე, უფრო სხვათაშორისად, სადაც მიწისზედა ძეგლთა შესასწავლად დაედიოდი (ჩემი კვებისამბრე, კუთხე-კუთხე). ამრიგად ვაწარმოე თხრა და სათანადო დაკვირვება ბორჩალოს მაზრის (თრიალეთის საბოქაულოსა და სხვ.) რამდენსამე ადგილას. რისი შედეგებიც აგრეთვე გამოქვეყნდა არქეოლოგიური კომისიის 1896 წლის ანგარიშებში. შემდეგ ცოტაოდენი ვთხარე ვანშიც და თან საპაოდ დაწერილებით აღწერე იქაური შესანიშნავი ნაქალაქარი, ანტიკური დროისა, სადაც კვლავაც ბევრი რამ იჩენს თავს. დარწმუნებული ვარ. მცხეთაში ჩემი მუშაობის (სამწუხაროდ, ფრიად უმნიშვნელოსი და იმ ძეგლებსათვის არასაკმარისის) შესახებ ზემოთ უკვე მქონდა საუბარი. ზოგჯერ საიდანმე რომ ჩამოვიდოდა ცნობა საინტერესო შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ. მივაშურებდი ხოლმე იქით და ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ აღმონაჩენი დაკარგვა-დატაცებისა და გაფლანგვისაგან გადაამერჩინა (თუ ძვირფასი ნივთები იყო. მაინც!), ხოლო ზოგჯერ ძეგლის ბოლომდე გამოსაკვლევად თხრასაც ჩავატარებდი ხოლმე (მაგ., საჩხერეში, სადაც 1910 წელს ვიმუშავე ნაწილობრივ უკვე გათხრილი ყორღანის შემდგომ გათხრება და ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურის კუთვნილი, მანამდე უჩვეულო ტიპის ნივთებს მოუწყარე თავი). ბრინჯაოს საინტერესო ნივთები და სახელოსნოს ნაშთები აღმოჩნდა და შევისწავლე გორის მაზრის დაბა ახალქალაქში. ვცადე, სოფ. ბორში აღმოჩენილი, უმდიდრეს სამარხებში ნაპოვნი ნივთებიც საქართველოში დამეტოვებინებინა აღმოჩენისათვის. მაგრამ იგი (ახუნაური თ. მაქვარიანი) ვერ მოიქცა პატრიოტულად და გონიერულად -- გერ ერთი, ბევრი რამ ნათესავ-მოკეთებებში გაასაჩუქრა და მიმობანია, ხოლო მეტი წილი პეტერბურგში წაიღო, იქ მეტს მომცემნო. და, ხანგრძლივი ვაპრობის

შემდეგ. მიჰყიდა არქეოლოგიურ კომისიას, ისე რომ ის კოლექცია, ერთი საუკეთესოთაგანი საქართველოში აღმოჩენილ ანტიკურ ნივთებს შორის, მას შემდეგ ერთგვარად საკუთრებაა. მე ისღა მოეხერხე, რომ მოკლე ცნობები გამოვაქვეყნე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომის ოქმებში ბორის აღმოჩენათა შესახებ და დაებეჭდე, მოკლე აღწერილობითურთ, სურათი იქაური საუკეთესო (და მაშინ უნიკალური) ნივთისა — ვერცხლის ჯამისა, რომელზედაც ცხენია გამოხატული და რამდენიმე წარწერა ამოაწერული (როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა, პიტიაშვის ვინაობაც წერია თურმე ზედ!). ის ჯამიც კინაღამ ბარონ დე-ბაის არ ჩაუვარდა ხელში: ევაჭრებოდა თურმე მაჭავარიანს, მაგრამ ვერ მორიგებულან, მაღლობა ღმერთს!

განსაკუთრებით რთული თავგადასავალი გადახდა ე. წ. „ახალგორის განძის“ შესანიშნავ, სწორუპოვარ ნივთებს და აგრეთვე მეც — როდესაც მათი აღმოჩენის ამბავი გავიგე და კვალდაკვალ მივდიე მათ შემსყიდველ-გადაყიდველებს, სანამ უმეტესობას თავი არ მოუყუარე და, საბოლოოდ, კავკასიის მუზეუმში არ დაეაბინავე (ჩვენსას ისეთ მდიდრულ ნივთებს არ მისცემდნენ, რადგან სახელმწიფო მუზეუმში არ იყო). იმ მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა კახნაკოვმა ახალგორული ნივთების შესწავლა-გამოქვეყნება დაავალა იაკ. სმირნოვს, რომელიც პეტერბურგში მუშაობდა. იმანაც მოჰკიდა ხელი, მაგრამ, მიუხედავად დიდი ნიჭიერება-განათლებულობისა, აშკარად მძიმე და უფხო გამოდგა მუშაობაში და ისე მოხდა 1917 წლის რევოლუცია, რომ მას ახალგორის განძის აღწერა-ანალიზი ჯერ კიდევ არა ჰქონდა ბოლომდე მიყვანილი. ასე რომ საბოლოოდ სმირნოვი გარდაიცვალა და ნაშრომი სანახევროდაც დაუწერელი დარჩა. მერე გ. ჩუბინაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო იმ დაუმთავრებელ ნაშრომს, შეავსო და გამოსცა — „განძის“ აღმოჩენიდან თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ. თითონ ნივთები კი, როგორც აღრეაქვს მოთხრობილი, სხვა ჩვენ სამუზეუმო განძეულთან ერთად. საფრანგეთში იყო წადლებული და მხოლოდ 1945 წელს დაუბრუნდა საქართველოს... სხვათა შორის, არქეოლოგიურმა კომისიამ იაკ. სმირნოვი თავის დროზე მოაველინა სოფ. ბორში, იქაური აღმოჩენების ვითარების შესასწავლად და გათხრის ჩასატარებლად, მაგრამ ეს მივლინება სრულიად უნაყოფი დარჩა.

ბორჯომში რომ დიდი მთავარი ცხოვრობდა, იმას მოურავად ჰყავდა ავრონოში⁸¹ თუ მეტყვევებ (ვინოგრადოვ-ნიციტინი). ამ უკანასკნელს ცოტაოდნო გაეუახარა (მაშინ დიდი მთავარი უკვე აღარ იყო იქ) და მეც ავედი, რომ შემომქმობებინა მისი ნათხარი. სხვა ნივთებთან ერთად ეპოვნა ბრინჯაოს ერთი საუცხოო. ნამდვილად მშვენიერი შუბისპირი. წამოვიღე და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში გვქონდა. მე თვითონ ბორჯომში არ მივბრუნებულა.

აქის მეტი მე გათხრით არქეოლოგიაში თითქოს არა გამიკეთებია რა. როგორც უკვე ვთქვი, უმთავრესად სიმეგრატორო არქეოლოგიური კომისიის დავალებითა და სახსრებით ვმუშაობდი და მონაპოვარიც მეტწილად პეტერბურგში მიდიოდა. აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან ჩემ მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიშები მეტწილად გამოქვეყნებულია და მე ახლა აღარც გამახსენდება ისეთი სიზუსტით ფაქტები. როგორც ანგარიშებში მაქვს. ჩვენ-

⁸¹ ეტუობა. ავტორის აქაც ღალატობს მესხიერება: 1912 წელს მასაც უთხრია ბორჯომის მიხლობლად ჩამოშლინარე ბანისხევის შესართავთან და ბრინჯაოს ხანის ქლის ინვენტარაინი სამარხი გამოუღვინია (ИКОМАО, в. 111, 1913, ოქმი № 63).

ნებურ დაწესებულებებს კი — წერა-კითხვის საზოგადოებას, საეკლესიო მუ-
ზეუმს. კავკასიის მუზეუმსა და საქართველის საისტორიო-საეთნოგრაფიო
საზოგადოებას—არაფერი გაუკეთებიათ არქეოლოგიური თხრის წარმოების
მხრივ: არც უფლება ჰქონდათ ამისი და არც სათანადო სახსრები. 1901 წელს
თბილისში დაარსდა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური
განყოფილება, მაგრამ არც იმას უწარმოებია თხრა, თუმცა კი. წესდებს მი-
ზეღვით, სწორედ თითქოს იქ უნდა ყოფილიყო თავმოყრილი ამ საქმის ხელ-
ძღვანელობა მთელ კავკასიაში. ფაქტურად ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ
ჩვენი თაოსნობით ვერაფერს ვაკეთებდით გათხრის მხრივ. მოსკოვი საამისო
ფულს არ გვაძლევდა. კაცმა რომ თქვას. თვით მოსკოვის საზოგადოებაც ვე-
ლარ თხრიდა, მისი დამაარსებლის, გრაფ ა. უვაროვის სიკვდილის შემდეგ:
იმხანად ასეთ საქმიანობას საერთოდ მხოლოდ არქეოლოგიური კომისია გა-
ნაგებდა და აწარმოებდა, ხშირად ადგილობრივი მუშაკების მეშვეობით (მაგ.
მე რომ მათხროვინებდა, ისე). იგივე ეუფლებოდა და თავისი შეხედულები-
სამებრ ანაწილებდა რუსეთის (უმთავრესად პეტერბურგისა და მოსკოვის)
მუზეუმთა შორის მონაპოვარს, რომელიც სახაზინო მიწებში აღმოჩნდებო-
და ხოლმე.

ასეთი მდგომარეობა იყო ჩვენში არქეოლოგიური თხრის მხრივ 1917
წლის რევოლუციამდე. არც მას შემდეგ ვაქტივობდა რამე. მენშევიკების
როს. 1921 წელს კი მე საზღვარგარეთ წავედი; დიდი ხნით ჩამოვშორდი
საერთოდ აქაურ საქმიანობასა და, კერძოდ. არქეოლოგიასაც. ოღონდ ძველ
მონაპოვარს ვიცავდი და, როგორც თავის ადგილასაც აღვნიშნე. მას მართ-
ლაც სჭირდებოდა მუდმივ ფხიზლად დაცვა, რომ უცხოეთის მუზეუმებში არ
მოხვედრილიყო...

მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილების
დაარსების თაოსნობა ეკუთვნის გრაფ ალექსი უვაროვის ქვრივს. გრაფინია
პრასკოვია უვაროვას. შეძლებული ქალი იყო; ქმრის ხსოვნის ხათრით ყველ-
გან ანგარიშს უწევდნენ; კარგი სპეციალისტები, მოსკოველი არქეოლოგები
მხარში უდგნენ, თითონაც ძალიან ფხიანი, ენერგიული გამოდგა და მართლაც
ბევრი რამ გააკეთა კავკასიის სიძველეთა შესწავლისა და გამოქვეყნებისათვის.
სხვა რომ არა იყოს რა, ნამდვილად „Материалы по археологии Кавказа“-ს
კაპიტალური ტომები ღირდა რამედ, ხოლო ერთი მათგანი (VIII) ხომ თვით
მისი შედგენილია და ჩრდილო კავკასიაში ამონათხარ დიდძალ ძეგლებს შეი-
ცავს (მათ შორის ჩვენი სტეფანწმინდა-ყაზბეგისასაც). შიგ დაწვრილებითაა
ყველაფერი აღწერილი და მშვენივრად არის დასურათებული: იმნაირად ბე-
რი ახლაც კი ვერ ბეჭდავს არქეოლოგიურ გამოცემებს. ასევე კარგადაა გა-
მოცემული იმ სერიის XII და XIV ტომები, რომელთაგან ერთში ჩვენი მეს-
ხეთ-ჭავჭავეთის ძეგლები მაქვს გამოქვეყნებული. ხოლო მეორეში აღიშნის სა-
ხარების ხელნაწერის ფოტოპირები.

კავკასიური განყოფილების ჩამოყალიბებისა და მუშაობის ამბავი დაწ-
ვრილებითაა დაბეჭდილი მის ორგანოში „Известия“ (მოკლედ ИКОМАО),
რომელიც 6 წინადა გამოვიდა და შიგ სხდომათა ოქმები ქვეყნდებოდა სრუ-
ლად. როგორც ვთქვი, გათხრითი არქეოლოგიისათვის იმ საზოგადოებამ ვერა-
ფერი გააკეთა და ძირითადად ისევე მიწისზედა ძეგლების—ტაძრების, წარწე-
რების, საეკლესიო ნივთებისა და სხვ.—შესწავლა და გამოქვეყნება იყო მისი
მუშაობის შინაარსი, თუმცა იქაც დაიბეჭდა ჩემ მიერ მცხეთის ნავთსადენში

ჩატარებული თხრის ანგარიში, უფრო ვრცლად კი ვიღაც...ოლოგიურ კომისიის ორგანოში.

ქვის ხანის ნაშთები ხომ ჩვენს დიდხანს...ილად... შესწავლილი! პირველი მთვლილი ომი რომ დაიწყო... ითხარება პოლონელმა უნტერ-ოფიცერმა (რა თქმა უნდა, რუსულ ჯარში). • სტრეფანი კრუკოსკინი. მითხრა, რომ მისთვის მობილიზაცია ექნათ, ჯარში წაიყვანათ და მერე თბილისში გამოეგზავნათ. შესანიშნავად განათლებული კაცი აღმოჩნდა, ქვის ხანის არქეოლოგიაში ნამუშევარი. მაშინ რუსეთში ისეთი კანონი იყო, რომ თუ სამხედრო ვალდებული პირი რაიმე სამეცნიერო დაწესებულებაში დაიწყებდა მუშაობას, ჯარისაგან გაათავისუფლებდნენ. კრუკოსკინი მთხოვა დახმარება: მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების არსებობა იცოდა და იქ იმედოვნებდა სამუშაოს შოვნას. მაგრამ იქ საიმისო არაფერი გვექონდა და საერთოდ თანამშრომლის აყვანაც არ შეგვეძლო. ამიტომ მივუყვანე კრუკოსკი კავკასიის მუზეუმის დირექტორს ა. კახნაკოვს და მან კი მიიღო თანამშრომლად, ჰქონდა ამის ნაშუალება (ქართველს არ მიიღებდა, თორემ სხვას — ყველას!). კრუკოსკე მაშინვე შეუდგა მუზეუმში მუშაობას. პირველად წავიდა მოწამეთაში, სადაც აღრეც მუშაობდნენ გამოქვაბულის გათხრაზე გერმანელი არქეოლოგი შმიდტი და ერთიც სხვა (კრუკოსკი. გ. ლ.). ოღონდ ბოლომდე არ მიუყვანიათ საქმე. იმ გამოქვაბულში კრუკოსკინი კიდევ ბევრი რამ აღმოაჩინა. მერე კი უკვე მე გავგზავნე ქიათურისაკენ, სადაც (რგანთან, გვარჯილას კლდეში. გ. ლ.) ბლომად იყო ცნობილი ქვის ხანის ნაშთები. კრუკოსკინი იქიდან შესანიშნავი კოლექცია ჩამოიტანა, ფუთობით ჩამოიზიდა მასალა და ის მასალა კავკასიის მუზეუმში დარჩა. სანამ კრუკოსკი თბილისში იყო, მოკლე ანგარიშიც დაგვიტანა მუზეუმის ორგანოში. მაგრამ რეპორტის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ვეღარ განაგრძო თავისი მონაპოვრის შესწავლა-გამოქვეყნება... ძალიან მომზადებული ახალგაზრდა იყო და, რამდენადაც ვიცი, დღესაც ნაყოფიერად მუშაობს თურმე პოლონეთში. როგორც ქვის ხანის მკვლევარი; კარგი მეცნიერი დამდგარა. პარიზში ყოფნისას კიდევ ერთხელ შევხვდი... შეიძლება ითქვას, რომ შმიდტისა და უფრო კი სწორედ კრუკოსკის მიერაა წამოწყებული ჩვენში ქვის ხანის შესწავლა. რასაც მანამდე ხელს არავინ ჰკიდებდა. ის კი არა და, თითქმის არც ეგულებოდათ აქ იმ დროის ნაშთები.

მახსენდება ერთი კურორტი კავკასიური განყოფილების დაარსების დროიდან. ჩვენებურთაგან მეც ერთი აქტიური მონაწილე ვიყავი იმ საქმისა და უშუალოდ ვთანამშრომლობდი უეაროვსთან. როგორც ყველგან და ყოველთვის, მაშინაც ცდილობდით, სპეციალისტებს გარდა, შეძლებულნი იგივენიც საზოგადოების წევრებად, რათა ფულოთ დახმარებოდნენ მის მუშაობას. ბევრ მათგანს ეს ძალიან ეხალისებოდა და პატივმოყვარეობას უქმაცოფილებდა. თბილისში ერთი ცნობილი ექიმი-ვენეროლოგი იყო, ბეგთაბეგი-შვილი, უშვილო და დიდი შემოსავლის მქონე. ცოლი ძალიან ცოცხალი და საზოგადოებაში თავის გამოჩენის მოყვარული ქალი ჰყავდა. მან ფულოთ მოინდომა ჩვენი საზოგადოების წევრობა და ჩვენც დაეასახელეთ მისი. როგორც სასარგებლო „შემონამატის“ კანდიდატურა წინასწარ სხდომაზე. უეაროვამ რომ გაიგონა, იყვირა: „ქალს რა უნდა საზოგადოებაში?“ ჩვენ შევცბით და მერე ვილაკამ შეჭკადრა გრაფინიას შეკითხვა: „კი, მაგრამ, განა თქვენ თითონ ქალი არა ბრძანდებით, ამ განყოფილების თავმჯდომე-

როგო?“ მან მიხალა პასუხად: „Это теперь, а то пока был жив мой муж, я не могла даже ступить порог его кабинета!“. ამის ბერე რალა უნდა გვეთქვას?.. ს... ბ, როგორც ბევრ იმდროინდელ არისტოკრატს — და მით უმეტეს... საქმის სათავეში მოქცეულ ქალს — ძალიან ახირებული და ზოგჯერ თითქმის გადარეული ხასიათი ჰქონდა: თუ რასმე დაიფიქრებდა, ძნელია იყო მისი დაჭერება. ბევრი ვერავენ ახერხებდა მასთან შეგუებას. რატომღაც სწყალობდა ალ. ხახანაშვილს, რომელიც მაშინ სოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი იყო... უფაროვა ხშირად საქმისთვის არა სასიკეთოდაც სარგებლობდა თავისი მდგომარეობით. მაგალითად, გავუგზავნე ტბეთის ოთხთავის (ორი იყო, პეტერბურგში და თბილისში — ტრუბეცკოს ნაქონი) ოთხივე მახარობლის სურათები და არ დამიბეჭდა, „ევანგელისტები მე უნდა გამოეცე, ცალკეო“. არც თითონ დაბეჭდა და დარჩა ისე გამოუცემელი!..

ერთხელ უფაროვას მიეწერა მთავრობისათვის, რომ რუსული ისტორიული ძეგლების (ტაძრებისა და სხვ.) უპირველესი მტრები თვით რუსი ბერები არიან, გადაკეთება-გადმოკეთებითა და ვითომ განახლებით, შეღებვით და ა. შ. აფუჭებენ ძველ შენობებსაო. მისულა მასთან სინოდის მრისხანე ობერ-პროკურორი, ცნობილი პოპედონოსცევი, შეუღია კარი, არც გამარჯვება უთქვამს, არც არაფერი და პირდაპირ, მკვებელ უსაყვედურხია: „Что Вы, графиния, на нас жалуетесь, будто бы мы памятники портим?“ უფაროვას უპასუხხია: „Порядочные люди прежде всего подают руку хозяйке, и потом начинают разговор!“ ამ ამბავს თითონ უფაროვა მოგვიყვა.

კავკასიური განყოფილების ერთ-ერთ სხდომაზე წაეციოთებ მოხსენება თორნიწყაროს მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური მოგზაურობის შესახებ (რომელიც დაიბეჭდა კიდეც განყოფილების ორგანოს I ტომში). ძალიან საინტერესო ძეგლები შემხვდა. ბევრი მნიშვნელოვანი წარწერა გადმოვიღე. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სამშვილდის ძველი დიდი ტაძრის ნანგრევებსა და მშვენიერ ისტორიულ წარწერას, რომელშიც „ქართლის ბიტიახშოთა ნათესავები“ იხსენიება. მოხსენებას, რა თქმა უნდა, ფოტოსურათებიც დაურთეთ თან. კამათის დროს წამოდგა ა. ერიწოვი და გამოაცხადა:

„Я был в Самшвилде, но там, кроме маленьких церквушек и часовень, ничего не видел: никакого кафедрального храма там нет!“ პირდაპირ ვასაოკარი, ნამდვილად უტიფარი გამოსვლა იყო და მეც მკვებელ ვუპასუხე: „Он, правда, писал о Самшвилде, но, к сожалению, как говорится, слона не приметил, т. е. не увидел развалии прекрасного большого храма, который впервые был назван кафедральным не мною, а Бартоломеем, который мог отличить кафедрал от церквушки, если уж не верят мне!“ სხდომა რომ გათავდა. მეღერი მოვიდა და მითხრა: „Вот так он вечно умеет слепо спорить! Еще в Кавказском археологическом обществе, когда, бывало, докладывал покойный Бакрадзе, Ерицзов обязательно встанет и начнет доказывать, что все памятники, которые Бакрадзе объявляет грузинскими, на самом деле есть памятники армянские. Теперь он и здесь продолжает то-же самое!“

საერთოდ, ერიწოვი სწორედ იმ არაკეთილსინდისიერ ისტორიკოს-არქეოლოგთაგანი იყო, ილია რომ ისე ამთარახებებს თავის „ქვეათა ღღღღში“: არ როგონა სამშვილდის დიდებული ტაძრის ვრცელი სამშენებლო წარწერა,

რომელიც უეპველყოფს, რომ იგი ქართლის მმართველი წრის აგებულია, და გადაწყვიტა, ყოვლად უგუნური გამოხდომით „გაეუქმებინა“ ის ძეგლი, რათა ხელი არ შეშლოდა მისი და მისი თანამოაზრეების თეორიას, რომ, რაკი მცირე ხნით ქვემო ქართლის ნაწილი და, კერძოდ, სამშვილდე საქართველოს მეფეთა სამფლობელოს ჩამოსცილდა, მამ ქალაქი სამშვილდეც და მისი ყველა ძეგლიც ქართული აღარ უნდა ყოფილიყო. იმგვარი მეცნიერები, იმათივე და ჩვენიც, ქართველთა და სომეხთა შორის უგუნური შუღლის დათესვის, ისტორიულად მომიჯნავე რაიონების კუთვნილებაზე გაუთავებელი და უნაყოფო დავის ატეხის მეტეს ვერაფერს აღწევდნენ და ვერც მიაღწევდნენ. არაობიექტურობისა და ვიწრო-შოვინისტური მიდგომისა გამო. ახლანდელ ბელევაურთაგან იმ არაკეთილსინდისიერი გზით სვლას განაგრძობს, ეტყობა, ტოკარსკი, რომელიც თავის წიგნში, სომხეთის არქიტექტურის ისტორიაზე რომა აქვს, პირდაპირ შეგნებულად მალავს იმ ფაქტს, რომ მის მიერ სომხურად ჩათვლილ ძეგლებზე, ტაოში („ტაიკის სკოლას“ რომ ამბობს) მთელი წყება ქართული წარწერებისა; არ უნდა რომ იცოდნეს დავით კურაპალატის მიერ მოჭრილი ნამდილი ქართული ფულის არსებობა და სხვ. მე კი, ახლა რომ ვამზადებ წიგნს ტაო-თორთუმ-ისპირის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგების შესახებ, იმდენ ძეგლთა შორის იზხანში, ფრესკებზე აღმოჩენილ ერთადერთ სომხურ, მცირე და ნაკლებ წარწერას (აშხენისას), რაც შეიძლება ვერცალა და გულმოდგინედ განვიხილავ, რადგან ისიც საყურადღებო ისტორიულ ძეგლად მიმაჩნია და არა ხელისშემშლელ, „მისაჩქმალავ“ წერილ-პანაღ... ასევე იქცეოდა თავის დროზე XIX საუკუნის ერთი უბატონსენსი სომეხი მკვლევარი, ბერი სარგის ნერსესიანი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ ვააკეთა ტაო-თორთუმ-ისპირის ძეგლთა ქართული წარწერების გადმოღება-შემონახვისათვის — იმიტომ, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, იყო ნამდილი მეცნიერი და წესიერი მოქალაქე, რომელიც არასოდეს არ დაიჩრდილავდა თავის წინასწარ გადინული შოვინისტური შეხედულებითა და „სხვათა“, მგზობელი ერის კუთვნილი ძეგლის მიმართ ამრეზით.

ნიკო მარმა რომ ანისის ნაქალაქარის გათხრა დაიწყო, იქ ხომ შესანიშნავი მასალა ამოიხეურდა — პირველ რიგში სომხეთის ისტორიისათვის, პაგრამ, არც თუ მცირედი აგრეთვე საქართველოსი და მისი სომხეთთან ურთიერთობის ისტორიისათვის. მარი აღნიშნავს თავის წიგნში („Ани“), რომ იქ ორ ეკლესიაზე აღმოჩნდა ქართული წარწერა: ტიგრან პონეციისაზე (მოხატული რომაა) და მის გვერდით მდგარ დიდ ტაძარზე. მარსა და ივანე ჯავახიშვილს გაუნაწილებიათ ანისის ქართულ წარწერათა გამოცემის შრომა ჯა ივანეს წილად ხედომია მეორე, დიდი ეკლესიის წარწერა. მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოუცია — როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ყველა დაზიანებული ადგილის აღდგენა ვერ შეიძლო და ისე, ნაკლებად კი არ მოინდომა გამოქვეყნება. ახლა კი ანისი მიუწვდომელია ჩვენთვის, ხოლო ფოტოზე ისე კარგა არა ჩანს ის წარწერა, რომ გამოიცეს. ეს საერთოდ ანასიათებდა ივანეს და, რასაკვირველია, მისი მეტისმეტი მეცნიერული კეთილსინდისიერებისაგან მომდინარეობდა... ასევე მოექცა ის არჩილ მეფეს, რომლის წამებასაც აგვიწერს ჭუანჭერი და რომლის დროსაც ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ჩვენს ისტორიაში (მის დროს მოვიდნენ ქართლში ბაგრატიონები, მან მიათხოვა ერთ მათგანს თავისი ქალი; შვილები ჰყავდა ის ა. შ.), თითქმის დიდი როლი აქვს ნათამაშევი იმ არჩილს და ივანე კი სრულიად არ ახსენებს მას

თავის „ისტორია“-ში. მე მგონია, აქაც იმითომ, რომ მასალა საკმარისად არ მიაჩნდა... საერთოდ კი ის ძვრითადად წერილობით წყაროებზე და საკუთრივ ისტორიის შექმნაზე მუშაობდა, არქეოლოგია-ეპიგრაფიკაში ცოტა რამა აქვს გაკეთებული: გამოაქვეყნა წიგნი პატარა საოვრბისის ეკლესია (გორის ახალქალაქის მიდამოებში რომაა) და ატენის სიონის მონასტელობა. ეს უკანასკნელი ძალიან კარგადაა გამოცემული და აშკარაა, რომ განეგრძო ასეთ ძეგლებზე მუშაობა, იქაც ბევრს გააკეთებდა სასარგებლოსა და საფუძვლიანს. მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ მოინდომა თუ ველარ მოიცალა ამეგებისათვის. ამ მხრივ დ. ბაქრაძეს გაცილებით მეტი დარჩა გაკეთებული, თედო ჟორდანიას — ძალიან ცოტა; ა. ხახანაშვილი ყოველ წელიწადს კი დადიოდა, მაგრამ წარწერების კითხვა არ ეხერხებოდა; ი. როსტომაშვილმა საკმაოდ ბევრი ძეგლი აღწერა. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ კმაროდა და ხშირად ვერც იყო რიგიანად ჩატარებული. ამიტომ მოხდა, რომ ძალიან დიდხანს რჩებოდა ძირითად სახელმძღვანელოდ ბროსესა და ბაქრაძის ასეთი არქეოლოგიური ნაშრომები (თუმცა უნდა ითქვას, რომ ბროსეც ხშირად მოისუსტებდა წარწერების ამოკითხვაში) და როდესაც მეც მოვიკიდე ხელი მუშაობას, თითქმის მთელი გულისყური სწორედ ტაძრებზე და წარწერებზე გადავიტანე.

ამ მუშაობაში რომ შევედი, საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვის-თვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანტიკურმა მისწრაფებამ, რომ რაც შეიძლებოდა მეტი მომეწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან მაინცადამაინც აღარავინ მისდევდა ამ საქმეს, ან ჭეროვნად ვერ აკეთებდა მას. რუსები რომ იტყვიან, меня прямо подавлял этот материал! სულ იმას ვშიშობდი ყოველ ნაბიჯზე. აი, ეს არ დიკარგოს, აი, ის არ წახდეს მეტი! ვცილობდი, ყველაფერი ამეწერა, გადომელო, ჩამეხატა; რაც შეიძლებოდა, მეტი გამომეცა. შემეძინა, შემომეწირებინა და, საბოლოოდ, მუზეუმში შემექმნა. რომ ის ყოველივე საიმედოდ ყოფილიყო შიგ შენახული. ასე მიმდინარეობდა ჩემი მუშაობა ათეული წლების მანძილზე — ისიც ძირითადი, პედაგოგიური საქმიანობისაგან თავისუფალ საათებში და არდადეგების დროს, მხოლოდ! ამიტომაც იყო, რომ არქეოლოგიურ თხრას ჭეროვან ყურადღებას ველარ ვუთმობდი და დროდადროდა ვუბრუნდებოდი, ისიც უფრო მწვავე აუცილებლობის შემთხვევებში... სამაგიეროდ, ახლა რომ ვუყურებ, საბჭოთა საქართველოში შესანიშნავი პირობებია შექმნილი არქეოლოგიური თხრის საწარმოებლად და იგი ძალიან ნაყოფიერადაც მიმდინარეობს. ჩვენმა ახალგაზრდა ნიჭიერმა არქეოლოგებმა უნდა ისარგებლონ ხელისუფლების ასეთი შემწყობით, რაზედ ჩვენ ძველად ვერც კი ვოცნებობდით, და აღარაფერი არ უნდა დასტოვონ გაუთხრელი და მუუსწაველი!

ძალ-ღონის ასეთი დამახვილება და ამგვარ მუშაობაში თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში დღე-ღამე ჩაფლულობის გამო, რა თქმა უნდა, აღარც დრო და აღარც საშუალება აღარა მრჩებოდა იმისათვის, რომ ჩაეჯდომოდი იმ მოზღვაუებულ მასალას და დინჯად მეწერა ნამდვილი გამოკვლევები. ჩემი, როგორც მკვლევარის, ნაზრები მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის გამოკვებისა და დართულ შესავალსა და კომენტარში შევანებებოდა უმთავრესად, ნამდვილი თეორიული ნაშრომი თითქმის არც ერთი არ დამიწერა: ველარ ვიცლიდი საამისოდ! ახლა რომ გადავხედავ ჩემს ცხოვრებასა და მუშაობას, ხშირად ისიც მიკვირს, თუ ძეგლების აღწერა-გამოკვების მხრივაც კი რამდენი რამ

მომისწრია: ერთმა კაცმა როგორ შევიძელი, მეთქი, ისეთი დაუღვრომლობა და უამრავი ძეგლისათვის ასე თუ ისე თავის გართმევა?! მერე და კაი მეძებარივით მაინცდამაინც მე უნდა წავეწყდომოდი ერთი მეორეზე საინტერესო ხელნაწერს, ნივთსა თუ სხვა ძეგლს: რომ იტყვიან, ბელიც მიჭრიდა, ასე ვთქვათ!

მაგრამ, ეტყობა, საამისო, აშკარად ზედმეტ ძალ-ღონეს მანიჭებდა სწორედ ის ფანატიკური გარძობა და ის გამუდმებული ძრწოლა, „ააფერი დაგვეკარგოს მეთქი“, ზემოთ რომ აღვნიშნე. თან იმის შევგებაც მიმაგრებდა გულსა და მკლავს, რომ როდესაც ის მასალები საიმედოდ თავმოყრილი. დაცული და პირველადი ინტერპრეტაციით გამოცემული იქნებოდა, მერე გამოგვიჩინებოდნენ მკვლევარები, რომლებიც დარგობლივ. გულდაგულ დაადგებოდნენ მათ და გამართული, შევსებული ისტორიისა თუ მონოგრაფიული გამოკვლევების შესაქმნელად გამოიყენებდნენ. ბოლოს ხომ ეს მოლოდინიც გამიძარტლდა და ესაა, რომ უდიდეს ზნეობრივ კმაყოფილებასა მგერის: ჩემი უმცროსი თანამედროვე თუ მომდევნო თაობის მკვლევარები, ივანე ჭავჭავაძის დამკვიდრებული, ყველანი ხომ უხვად იყენებდნენ ჩემს გამოცემებს (წარწერებს, ტექსტებს და სხვ.) და ხომ კვებნად არ ჩამომერთმევა თქმა, რომ ისინი რომ არა აქონოდათ საყრდენად, ეს ჩვენი დიდი მეცნიერებიც კი ძალიან ბევრს რასმე ისეთი სისავსით ვერ გააკეთებდნენ, როგორითაც გააკეთეს?...

მაგრამ ძეგლთა ჩემ მიერ გამოცემის საქმეს მე ჯერ კიდევ არა ვთვლი დამთავრებულად. ძალაუფლებურად უტყობის გადახვეწამ, რაც მეოთხედ საუკუნის გამიგრძელდა, დიდად შემოიფერხა ასეთი მუშაობა. იქ მხოლოდ მცირე ნაწილი გამოვაქვეყნე თან წალებული მასალებისა და ჩანაწერებისა. უდიდესი ნაწილი კი უკანვე ჩამომყვა და ახლა იმედი მაქვს, რომ იმ ორიოდვე წლის სიცოცხლეს. რომელიც დამარჩენია და რომლის გატარებაც, საბედნიეროდ, ისევ სამშობლოში მიწევს, ყოველმხრივ ზრუნვითა და ხელშეწყობით ნამდვილად გარემოცულს (უპირველეს ყოვლისა ჩვენი მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის მხრივ), მოვასმარ ჩემზე დარჩენილი ვალის ბოლომდე მოხდას—ვეცდები, აღარც ერთი ჩემ ხელთ ნამყოფი თუ ჩემ მიერ დათვალიერებული რეგლი აღარ დამარჩეს გამოუტყემელი, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი უკვე იმსხვერპლა ბუნების ძალებმა, დრომა თუ არევე-დარევემ.

VIII. [ნაწილები-ნაწილები, გზა და გზა, სხვათა შორის]

ძალიან კარგი და მართებული წესია შემოღებული საბჭოთა ლიტერატურაში. რომ ადგილთა სახელწოდება რუსულადაც ისე იწერება, როგორც იქ ქვეყნის ენაზე. მაგალითად, „Ишхани“, „Ошки“, „Пархали“ და არა „Ишхан“, „Ошк“, „Пархал“, როგორც უწინ წერდნენ რუსები და აწერდნენ ჩვენც. ოსმალოები კიდევ უფრო ამახინჯებდნენ იმ ჩვენი ძეგლების სახელებს, თავიანთი ენის წესისამებრ: „იშ-ხანე!“, „ეოშქ“ და სხვა. „ეოშქ-ვანქ“—აკაც კი უწოდებენ ოშკის ტაძარს (სომხურის გავლენით, ყველა ქრისტიანულ ეკლესიას „ვანქს“ უძახიან). ზოგიერთ სახელწოდებას თარგმნიან: მაგ., „ოთხთა ეკლესიას“ (ერთი ტაოშია და ერთიც კოლაში: რატომღაც სწორედ „ოთხთა“ წერია ქართულ წყაროებში,

თუმცა თითქოს მოსალოდნელი იყო „ოთხი ეკლესია“?! უძახიან „დროთ-ქი-ლისა“-ს, „ქაჩის ციხეს“—„შაითან-ყალას“, „მგლის ციხეს“—„ყურთ-ყალას“. „თეთრ ციხეს“—„აღჯა-ყალა“-ს, „ოქროს ციხეს“—„ალთუნ-ყალა“-ს და ა. შ. ერთ წყება სახელწოდებას კი უთარგმნელად ხმარობენ: მაგ., „ვაშლობი“ და ა. შ...

ნიკო მარმა ხომ სულ მთლად გადააქარბა, საქართველოს ისტორიული პროვინციების რუსული დამწერლობა რომ შემოიღო და ყველას აწერინებდა: „Кахия“, „Кларджия“, „Шавшия“, „Месхия“ და სხვ.



✓ ოშკის ტაძართან მდგარი ერთ-ერთი. აწ დანგრეული შენობა რომ სამონასტრო ბიბლიოთეკას წარმოადგენდა, ეს აზრი მე წამოვაცენე და, მგონია, საეჭვო არ უნდა იყოს. შენობის გეგმა გვეუბნება ამას: მთავარი ისაა, რომ შუაში გვირგვინი ჰქონია. გუმბათის მსგავსად, ტრომპებზე დამაგრებული. ბაზილიკის დაბაზი საესებით კარგად იყო შენახული ჩემ დროს. ისე რომ საკმარისი იქნებოდა იმ გვირგვინის ქვეშ მაგიდის დადგნა (სინათლე იქ ჩამოვიდოდა ყველაზე უკეთესად), ზედ ეტრატის გაშლა, საწერ-კალმის მომარჯვება და... თავიციფლად შეიძლებოდა მეთუ საუკუნეში იქ ბერების მიერ წარმოებული მუშაობის გავრცელება. სწორედ იმ შენობაშია გადაწერილი ქართული „დაბადების“ ის ხელნაწერი, რომელსაც „ოშკური ბიბლია“ ეწოდება და რომელიც ათონზე ინახება. „ივერონის“ მონასტერში... ის შენობა რომ სხვა დანიშნულებისათვის ყოფილყო აგებული, მაშინ კედლებში სარკმლები ექნებოდა დატანებული და ზემოდან კი არ მოუწყობდნენ სინათლის ჩასასვლელს!...

ათონის ივერთა მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების ბედის შესახებ ამ ბოლო დროს აღრია ვიციტ-რა. იქაური ბერძენი ბერები საერთოდ ძალიან აგრესიულად იყვნენ ჩვენ მიმართ განწყობილი და ეგებ ის ხელნაწერებიც განიადა?! ✕



✓ ზოგს უევირდა, ისე ინტენსიურად რომ ვმუშაობდი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების, საეკლესიო ნივთებისა და ხელნაწერების შესწავლაზე და მეკითხებოდნენ ხოლმე, პეტერბურგის უნივერსიტეტში დასპეციალდი მაგ საკითხებზეო? სრულიადაც არა! იქ მე პედაგოგად ვემზადებოდი (ასე მქონდა გადაწყვეტილი გიმნაზიის დამთავრებისთანავე, რამდენიმე ამხანაგთან ერთად) და თბილისში რომ ჩამოვედი, სწორედ მასწავლებლობით დავიწყე საქმიანობა. ხელოვნებისა და სხვა ძეგლებს კი მას შერე მოვკიდე ხელი, როდესაც დავაკვირდი, რომ ისინი ნელ-ნელა ხელიდან გვეცლებოდნენ და შემსწავლელი კი აღარავინ ჩანდა, დ. ბაქრაძის უდროო გარდაცვალების შემდეგ. პირველად კი სწორედ ბაქრაძემ გამრია ამ საქმეში, თანამშრომლად გამიხიდა და გეზიც მომცა. მერე ჩაუვოქეპი სათანადო ლიტერატურას, შევისწავლე კვლევის ხერხები და ასე გავიწაფე. ახლა კი, საბედნიეროდ, ჩვენს აკადემიაში ცალკე ინსტიტუტად ქართული ხელოვნების ისტორიისა, მთელი სკოლაა შექმნილი. ათეულობით სპე-

ცილისტი სწავლობს, დარგობლივ და, რა თქმა უნდა, დიდად გაღრმავებულნი ჩვენი ძეგლების კვლევა. 4

თავის დროზე ბაქრაძის გარდა ბევრი რამ გააკეთა ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის მხრივ ნ. კონდაკოვმაც. მეტად ნიჭიერი და მომზადებული კაცი იყო. ის, რითაც მან მკაფიოდ გამოასხვავა ქართული არქიტექტურა ბიზანტიურისაგან. რომლისაგან მანამდე არც არჩევდნენ და ვერც არჩევდნენ ქართულს, დღესაც რჩება ძალაში, როგორც ძირითადი ნიშანი ჩვენი ხელოვნების თავისთავადობისა (განსაკუთრებით—ორნამენტი. „грузинское плетение“).

ქართული და სომხური ხუროთმოძღვრება, მიუხედავად აშკარა თავისთავადობისა. მაინც საგრძნობლადაა ერთიმეორესთან ნათესაურად გადახლართული—გარკვეული პერიოდისა და რაიონებისათვის მაინც! მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე ვერ გავიზიარებ, მაგალითად ჩვენივე გამოთქმულ აზრს. თითქოს ბანის ტაძარი VII საუკუნისაა და სხვათა აშენებულია. ის ხომ X საუკუნის ძეგლია ნამდვილად! ასეთი რამე რომ ვინმე უცხოს ეთქვა თავის დროზე, ჩვენგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდებოდა!...

საერთოდ კი უნდა ეთქვა, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს მთლად და სავსებით ამოწურული ძეგლების დაწვრილებით შესწავლისა და ფიქსაციის სამუშაო და ამიტომაც რჩება ზოგი რამ სადავო.

ყველაფერს სჯობია წესიერი ანაზომების, ნახაზების, დეტალური ფოტოსურათებისა და ესტამპაჟების თავმოყრა და დაბეჭდვა. ესენი რომ გვექნება გამოცემული ყველა ძეგლისა, მერე ბევრი რამ ცხადი გახდება.

იშხანის ტაძარი რომ იყო, ნერსეს აშენებული, ის თითქოს არაბებმა დაანგრიეს, წყაროების სიტყვით, მაგრამ თავისთავადაც სუსტად იყო ნაგები. ლამაზი კოლოფივით იყო დაღმული. საყრდენი არა ჰქონდა და ამიტომაც დაინგრა ისე ადვილად. ბანა რომაა, რომლის მიბაძვითაც ააშენა ნერსემ იშხანის ტაძარი, ის კი მტკიცედ იყო დაფუძნებული და კიდევაც გასძლო ძალიან დიდ ხანს.

საერთოდ, რამდენ ხანს დარჩა რუსეთის მფლობელობაში არტაანი და სხვა ძველი ქართული ოლქები, სავსებით მისაწვდომი იყო სპეციალისტებისათვის, მაგრამ ვერაიგი მოიფიქრა იქაური ძეგლების რიგიანად აღწერა და შესწავლა. საყვედური ეთქმის დ. ბაქრაძესაც კი, რომელიც ძალიან მოკლედ და სიტყვაძუნწად აღწერს ოლთისის ძეგლებს და არც დღიურში აქვს ბევრი რამ ნათქვამი მათ შესახებ. ხოლო იმ მხატვარს, ბ...ს, რომელიც ბაქრაძეს ხლებია თან, საოცრად უმწეო, პირდაპირ ბავშვური ნახაზები აქვს გაკეთებული: წრე და აქეთ-იქით ოთხი რაღაც. მაგრამ მეტი რა გზა გვაქონდა, სხვა გეგმა აღარ დმოგვაჩნდა, დაბეჭდვით ის სამარცხვინო ნახაზი... ვეიღენებაუმაც ინახულა ბანა. მაგრამ არც იმას მოუფიქრია, რომ ფოტოგრაფი მაინც წაეყვანა და საერთო ხელი მაინც გადაედო! იმათ დროს ბანა ჯერ კიდევ მთელი იყო და რა ძვირფასადოკუმენტები შეგვრჩებოდა, რომ მოეფიქრათ და რიგიანად ჩაეხატვინებინათ. აუზომათ და ფოტოგრაფიულად გამოეხატათ?... მე ბანა ორჯერ ვინახულე, 1902 და 1907 წლებში, მაგრამ მაშინ უკვე დანგრეული იყო. პირველად არქიტექტორი ს. კლდიაშვილი მყავდა თან, მაგრამ, სამწუხაროდ, იმანაც მთლად ვერ ივარგა ძეგლის აზომვა-გამოხაზვაში. სამაგიეროდ, მაშინ ფოტოგრაფი გამომადგა ძალიან მარჯვე და შესანიშნავად იმუშავა: ერმაკოვის მოწაფე იყო—დღემული.

კვარად მამუჩაშვილი. 1907 წელს არქიტექტორად უკვე კალგინი წაიყვანე და კარგადაც გააკეთა თავისი საქმე, მაგრამ ფოტოგრაფი კი სულ არ მივარგოდა: თბილისის ერთი-ერთი გიმნაზიის მასწავლებელი იყო, ვინმე ლიოზენი, ლოთი; უვაროვამ დამაძალა, წაიყვანეო. ისა და კალგინი დაუსრულებელი ჩხუბობდნენ!.. საბოლოოდ, მე მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ვნახე და შევისწავლე ბანა—თუნდაც უკვე დაქცეული. მახსოვს, კალგინს ვუთხარი, „აი ამ ტაძარში იყურებენ ბაგრატ IV და მისი ცოლი-მეთქი“ და მან მიპასუხა, „რა დიდებული სანახავი იქნებოდა დაუნგრეველი და გაჩირაღდნებულიო!“.

ნიკ. სევეროვი რომაა ახლა. ჩვენი ძეგლების შესწავლის დამსახურებულ ბონაწილს, ისიც მე მოვიწვიე პირველად (გვონია, პირველი ომის დროს) და წაიყვანე ექსპედიციაში. მას მერე მიპყო ხელი მან ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლას... ის კი არა და, საქართველოს მუზეუმის ფასადიც მას გაუკეთებია, ქართულ სტილზე, კარგად!



იშხნის ტაძრის ერთ-ერთ ფრესკულ წარწერაში იხსენიება ქართლის პირველი ქრისტიანი დედოფალი ნანა. ის წარწერა ძალიან მაღლა იყო. ქვევიდან ვერ ჩანდა და ჩემი 1917 წლის ექსპედიციის წევრი მიხ. ჭიაურელიც კი, მიუხედავად თავისი დიდი სიმაჩვიისა, ვერ მიუღდა გუმბათიდან მთლად ახლო და ამიტომ როგორც მოეჩვენა, ისე გადმოხატა. მეც კარგად შევამჩნიე თვალის. წაშლილ ასოთაგან დარჩენილი კონტურების მიხედვით, და ისედაც არაა საეჭვო, რომ წარწერაში ნანა დედოფალზეა საუბარი, წმ. ნინომ რომ მონათლა. ამას ვამბობ ტექსტშიც, მაგრამ ნახატს იმ ზედა, საეჭვო ნაწილს ვაპრი და მხოლოდ უეჭველს ვაქვეყნებ. არ ივარგებს, რომ ექსპედიციის ანგარიშის ილუსტრაციებში მცირედი სიყალბე მაინც შეიპაროს! არც ის ივარგებს, რომ ახლა აღვადგენინო მხატვარს — იმის მიხედვით თუ როგორ ვკითხულობ წარწერას.



იშხნის ტაძარში ჩემ მიერ აღმოჩენილი და მანამდე მეცნიერთათვის უცნობი დიდი ფრესკული წარწერა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი გამოდგა და მეც დაწვრილებით განვიხილავ მას 1917 წლის ექსპედიციის ანგარიშში. ვფიქრობ, რომ ის ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო თავია ჩემი წიგნისა. შიგ ხალასი ფაქტებია, ზოგჯერ ახალიც, და ფაქტების წინააღმდეგ კი ვის რისი თქმა შეუძლია?... ის კი, გერმანელი მეცნიერი მარკვარტი, აღარნასეს ყველა შვილს, დავითის გარდა, აღარნასე კლარჯის შვილებად მიიჩნევდა და იქიდან გამოჰყავდა ქართველ ბაგრატიონთა გენეალოგია. ახლა ხო? საბოლოოდ დამარცხდა მისი ეს აზრი?!

საერთოდ გასაკვირია იმ მარკვარტის საქმე: კარგი მეცნიერი იყო: მშვენიერად იცოდა სომხური ენა და სომხურ მასალებს უხვადაც იყენებდა; მაგრამ რელიგიად არ სარგებლობდა რუსული და ქართული წყაროებით, თუმცა რუსული სარგებლობა მაინც შეეძლო. იმ თავის ცნობილ ნაშრომს რომ წერდა, მაშინ ჩემი „Три хроники“ უკვე გამოსული იყო, რუსულადაც, და ის რომ გა-

მოეყენებინა. ხომ სულ სხვანაირად დაწერდა, შეცდომა ნაკლები მოუვიდოდა. ისე კი ძალიან ნიჭიერი კაცი იყო. თუნდაც ის რაღა ღიხს, ბროსეს რომ ძალიან შეუსწორა, თვით ბროსესავე მასალების მიხედვით!... ის კი გადამეტებული მოსდიოდა, ყველაფერს რომ სომხებს აკუთვნებდა.

ნ. აღონციც უეჭველად ნიჭიერი მეცნიერი იყო. იმან კი იცოდა ქართული (თუმცა საქართველოდან არ ყოფილა და, ჩანს, პეტერბურგის უნივერსიტეტში შესწავლა): ყოველ შემთხვევაში, კითხულობდა ქართულ ნაწერებს.



სამუსულმანო საქართველოში მოწყობილი ექსპედიციის ანგარიში ინგლისში უნდა გამოეთქათ და იქ გავგზავნე, პარიზიდან, რუსული ტექსტი, რადგან ქართულიდან თარგმნა გაუჭირდებოდათ. მაგრამ დამიყარგეს და ამიტომ ამჟამად ხელახლად შეგვექნა რუსულად სათარგმნი, თბილისში გამოსაცემად.



მის. ჭიათრელი რომ წაიყვანე მხატვრად 1917 წლის ექსპედიციაში, ძალიან ყოჩაღად ირჩებოდა. ყველაფერი ეხერხებოდა და თან აცოცხლებდა და ამხიარულებდა მთელ ექსპედიციას. ის ხომ მრავალმხრივ ნიჭიერი კაცია და. სხვათა შორის, იმითაცია ძალიან ემარჯვებოდა. ერთხელ აიპარა მინარეთზე და ისე მიბაძა მოლას ძახილს, რომ იქაური მაჰმადიანები შეცდომაში შეიყვანა. სხვა დროს იშხანში მაჰმადიანებს ფერხული დაეხათ და თან დაიმღეროდნენ. ჩადგა ისიც მათ შორის და ხსენებდა და მღეროდა. რომ ნამდვილი „თათარი“ გეგონებოდათ.

ძალიან სასარგებლო თანამშრომელი გამომადგა იმ ექსპედიციაში დ. შევარდნაძე, რომელიც დიდი ავტორიტეტით იყო მოსილი და დიდი პატრიოტული სულისკვეთებით მუშაობდა... მერე ხომ მან გამოიგონა მშვენიერი ქართული შრიფტი, რომელიც ბევრად ჯობდა ახლა გავრცელებულს. გაუგებარია. რატომღაც სრულიად უკუგდებული ძველი, აკადემიური შრიფტი?



იშხანში იმ დიდ ფრესკულ წარწერას ალბათ ვერც მე შევამჩნევდი. ჩენი წინამორბედებივით, მაშინ რომ ძალიან მჭრელი თვალი არა მქონოდა. სანამ ზედ არ მივიყვანე და თითებით არ მოვუხაზე ასოები, ექსპედიციის სხვა წევრები ვერც კი ხედავდნენ წარწერას! ისიც უნდა ითქვას, რომ წვიმა არ წამოსულყო და მერე მზეს ალმაცერად არ შემოეხედა ტაძარში. მეც გამიჭირდებოდა დანახვა.



ტაო-თორთუმ-ისპირის ერთ-ერთ ხეობას წინათ მაჭხელისა ერქვა. იგი თითქმის სულ გამოუკვლეველი დარჩა. რადგან ფირალბით იყო სასვე და უცხო

ვერაინ ბედადა შიგ შესვლას. ჩემი ბავშვობისას გურიაში სულ „მაჭახელის თოფები“ ჰქონდათ ხოლმე და მერე-ლა გაჩნდა ევროპიდან შემოტანილი.

საზოგადოდ, გურია მუდამ ძალიან იყო ხოლმე დამოკიდებული ტაო-კლარ. აქთზე. მაგალითად, ჩემი აზრით. ხორუმი რომ ჰქვია ცეკვას, ის იქიდანაა შემოსული გურიაში და მისი სახელწოდება ადრე უნდა ყოფილიყო „ზონური“ (აჭარისწყლის ხეობაშია სოფელი ხონი). ცნობილი საუკეთესო გურული სიმღერები „ალი-ფაშა“. „ხასანბეგურა“ და სხვები სულ ქობლეთიდანაა წამოსული.



იშხნელ ეპისკოპოსს, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ყველაზე მეტი პატივი ჰქონია და ეს ნიშანდობლივია. იქვე რომ იხსენიება „გოლგოთელი ეპისკოპოსი“, მისი ადგილსამყოფელი გაუგებარია: შეიძლება პალესტინაში იყო ქართველი ეპისკოპოსი, შეიძლება ჩვენშივე იყო სადმე ასეთი სახელწოდების კათედრა და ჩვენ არ ვიცით. პალესტინაში ქართველი ეპისკოპოსის ჭლომაც სავესებით კანონზომიერი იქნებოდა თავის დროზე.

გასაკვირველია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“, სანამ მე გამოვეცემდი, ნ. მარსაცა ჰქონდა ხელთ და ი. ჭავჭავიძისა, პეტროგრადში, თითქმის წელიწად-ნახევარს (უკვე დაბეჭდილიც კი), მაგრამ ვერც ერთმა ვერ შენიშნა, რომ იმ ტექსტში არის მითითება გელათში აკადემიის არსებობის შესახებ—ისე იხსენიება თანამდებობა. ამიტომ სრულიად უადვილოა ს. ყაუხჩიშვილის განცხადება (თავის წიგნაკში რომა აქვს), გელათის აკადემიაზე არც ჭავჭავიძისა და არც სხვებს არაფერი აქვთო ნათქვამი: არ იცოდნენ და იმიტომ! ჭავჭავიძე ილია თავის „ქართული სამართლის ისტორიას“ რომ წერდა, სწორედ იმ ჩემ გამოცემულ ტექსტს ეყრდნობოდა. მერე, პეტროგრადში რომ აღარ ეშველა „კარის გარიგების“ გამოქვეყნებას (სამოქალაქო ომის დროს), თბილისში გამოვეცი. ხელახლა დავაბეჭდინე. იმ წიგნში მაქვს მთელი თავი: „აკადემია გელათში“. ეს აღმოჩენა რომ განმაურდა, ჩვენებს, რომ იტყვიან, „გაუტკბათ“ და მერე უკვე. საცა არა მგონია, ყველგან ეძებენ აკადემიებს. ასე მაგალითად, ირწმუნებთან, რომ, იყალთოშიც იყო აკადემია. ეს აზრი იმის გამო წარმოიშვა, რომ ცნობილია არსენ იყალთოელი და. მამასადამე, მას იყალთოში დაუარსებია აკადემიაო. იფიქრეს. იმას კი აღარ უკვირდებიან, რომ „იყალთოელი“ იმ მოღვაწის სადაურობის აღმნიშვნელი. გვარივით სახელია (ისევე, როგორც „რუსთაველი“). მაგრამ მას სრულიადაც არ უმუშავნია იყალთოში, სულ გელათში იჯდა და იქ შრომობდა, ხელახლა თარგმნა მთელი „დაბადება“, კომენტარი გაუკეთა ტექსტებს და ა. შ.



ოშკმაძე, იშხანივით, დიდძალი საინტერესო, პირდაპირ შესანიშნავი მასალა მოგვცა ჩვენი ისტორიისათვის, საკუთრივ ხელოვნების ისტორიაზე რომ აღარა ითქვას რა. ჩვენ ექსპედიციამდე არავინ იცოდა, თუ ამდენი რამე იყო იქ! პირდაპირ გაგვამღიძღრეს იშხანმა და ოშკმა ახალ-ახალი ძეგლებით. ერთი კარგი მუზეუმის სამყოფი მასალები იყო მათში!

X—XI საუკუნეთა მთავარი ტაძრები რომა გვაქვს. იმათი აშენების თანამიმდევრობა ასეთია: ჭერ ოშკი (958—961 წწ.), მერე ბაგრატის ტაძარი ქუთაისში (1003 წ.), მერე სვეტიცხოველი მცხეთაში (1029 წ.) და ბოლოს—ალავერდი კახეთში (როგორც პ. ინგოროყვა ამტკიცებს, იქაური წარწერის მიხედვით. XI საუკუნის შუა ხანებში).

კოლა-ოლთისში რომ ვმოგზაურობდი, სოლომონისის მღვიმე-ეკლესიაზე ძალიან ძნელი ასასვლელი იყო და მესხებმა ამიყვანეს ხელით ეს ფეხმტკივანი კაცი—ისინი ხომ თხებივით დაცოცავენ იმ თავის კლდე-ღრუებში! ფოტოგრაფად მაშინ დიდძელი მამუჩაშვილი მყავდა, თავისი ხელობა კარგად იცოდა. მაგრამ კლდეზე ამოცოცება ვერ გაბედა და დამრჩა ქვევით. მერე ვიზოვო მესხებს, ისიც ამოიყვანეთ შეთქი, იმას შერცხვა და მანც თითონ ამოვიდა. ჩემს შემდეგ (ალბათ ჩემი გასაპირი რომ გაიგო), ოლთისის მახრის უფროსის საფეხურები ამოუჭრევიანებია იმ კლდეში და თავის დროზე სწორედ მიუდგომელ ადგილას მოწყობილი ეკლესია უკვე ყველასათვის მისაწვდომი გამხდარა; ბრალიანსა და უბრალოს დაუწყია იქ სიარული და ბევრი რამე გაუფუჭებიათ კიდევაც. ასე რომ გზის გაადვილება სწორად ვნებს კიდევაც: ძეგლს!


შესანიშნავი წყაროა, ჭკვიანი კაცის დაწერილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკაც. ნამდვილად თითონაც ბაგრატიონია, ისე ენერგიულად იცავს და კარგად გამოჰყავს ის ბაგრატიონები. თან სახელი და მამის სახელიც ტიპური „ბაგრატიონული“ აქვს. ასე რომ საეჭვო არაა იმ საგვარეულოსადმი მისი კუთვნილება. ოღონდ კი არსად არა ჩანს, თუ რომლის შვილია. ეგებ უკანონო შვილი იყო ვისიმე და იმიტომ? ის კი ეტყობა, რომ ბაგრატ მესამის დროს უცხოვრია. დ. კარიჭაშვილმა სცადა მამამისის ვინაობის გარკვევა და ასეთად ერთ-ერთი დავითი მიიჩნია, მაგრამ ასე არ შეიძლება კვლევა, ზღაპარი გამოეცა! უკანონო შვილი რომ არ ყოფილიყო სუმბატი, ბაგრატ მესამეს ვერ გადაურჩებოდა. ეს უკანასკნელი ხომ ისეთი მედგარი გამაერთიანებელი იყო სამეფოსი („Ръвный собиратель земель“, რუსები რომ იტყვიან), რომ ყველანი დახოცა, ვინც გაქცევით არ უშველა თავს. ორი უკანასკნელი კლარჯიცი იმიტომ წავიდა კონსტანტინეპოლში, იქ შეაფარეს თავი. ბაგრატი არაფრის წინაშე არ იხვედა უკან, ოღონდ კი გაერთიანებაში ხელისშემშლელი აღარავინ ჰყოლოდა და იმიტომაც გაელოტა თავისი სახლიკაცები, რომ სეპარატული მფლობელობის პრეტენდენტები აღარ ჰყოლოდა. ჩანს, ფეოდალური სამთავროების სხვანაირად გაერთიანება არც შეიძლებოდა; ბაგრატმა მშვენივრად გაიგო და გაითვალისწინა ესა და გამოიჩინა საკმაო ძალ-ღონეცა და შეუპოვრობაც, დაუნდობლობა რომ აღარა ვთქვათ, რათა თავისი დიდი პოლიტიკური მიზნისათვის მიეღწია. უთუოდ გამოჩენილი ისტორიული პიროვნებაა. მიუხედავად თავისი გულჭეობა-სისასტიკისა.

თამარ ლომოურს კარგი ნაშრომი აქვს დაბეჭდილი სუმბატ დავითის ძის შესახებ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან პარალელურად რომ განიხილავს. ს. კაკაბაძემ კი გაუჭრიტკია ძალიან, მაგრამ მის მიერ თანამედროვე ქართველი ისტორიკოსის ნაშრომის დაწუნება ხშირად ქებას უდრის, ისეთი მიდგომა აქვს ყველასადმი!..

სუმბატის ქრონიკის შესწავლამ გამოაელვინა ორი ახალი ბაგრატიონი. რომელთაც მანამდე არ ვიცნობდით. მათი არსებობა ივ. ჯავახიშვილსაც კი გამოჩნენია, ვერ დაკვირვებია კარგად!... ამიტომ, რომ მინდა ხელახლა გამოვცე ეს ქრონიკა, ქართულადაც და რუსულადაც⁸².

აშოტის მკვლელებად რომ „ოროზ-მოროზის ძენი“ ჰყავს დასახელებული სუმბატს, მათი ვინაობა გაუგებარია. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ ვარიანტში (ბარათოვისეულ თუ მინგრელსკისეულ ხელნაწერში) ამის მაგიერ „მეგრელები“ სწერია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან იმ ადგილებში მაშინ ჭან-მეგრელები ცხოვრობდნენ და ეს შეეშა და აჭარლები, მესხური მოდგმის ტომები, მერე არიან შეჭრილი მათ შორის. ახლაც კია იქ, ბათომის მახლობლად, ზემოთ. ზღვის პირისაკენ, სოფელი „ეგრი“. აშოტის მკვლელები, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ, რასაკვირველია, არაბთაგან იყვნენ მოსყიდული და მიგზავნილი.

ნათქვამი რომაა, აშოტი შეეშებმა „სიხარულითა და სიყვარულით შეიწყნარესო“, ეს იმის გამო მოხდებოდა, რომ იმხანად იმათ კაცი პატრონი აღარა ჰყავდათ და გაუხარდათ. რაკი გაუჩნდათ აშოტის სახით. ესეც არ იყოს, ეტყობა. ძველი ურთიერთობაც გაცოცხლდა: აშოტის წინაპრები იმ კუთხიდან უნდა ყოფილიყვნენ ქართლში წამოსული და ალბათ ამიტომაც მიაშურა აშოტმა იქაურობას!



ის აღარნასე საერთოდ, ეტყობა, შესანიშნავი პიროვნება და მოღვაწე ყოფილა. სხვა რომ არაფერი ექნა, მარტო ის რადა ღირს, ბანა რომ ააშენა?



ნ. აღონცი რომ ამბობს თავის ნაშრომში („Thornike le moine“). თორნიკე ერისთავი სომეხი იყო, რა თქმა უნდა, აჭარბებს. ფაქტიურად ხომ ისინი ქართველები იყვნენ და ჟამთა ვითარებაში ენობრივ გასომხდნენ. რაკი ასე იყო, როგორც კი ისევ იმძლავრა იმ მხარეში ქართულმა პოლიტიკურმა მფლობელობამ და ელემენტებმა, ისინიც კვლავ გაქართველდნენ და მერე რა თავგადასმკვდარი ქართველი პატრიოტები გახდნენ? მარტო გრიგოლ ბაკურიანი რად ღირს, ბულგარეთში რომ ქართული მონასტერი დააარსა, პეტრიწონს?! რა ფანტიკოსია საქართველოსი? თორნიკე ხომ შესანიშნავი ვაჟკაცი და პიროვნება იყო და

⁸² ქართულად გამოსცა (მესამედ) 1949 წელს. რუსულად გააშუქა. მაგრამ ვეღარ დაბეჭდა.

საშვილოშვილო საქმე გაუყვია საქართველოს!.. საფიქრებელია, რომ იქაურებს მუდამ, თაობიდან თაობამდე, ახსოვდათ, რომ გასომხებული ქართველები იყვნენ და ამიტომაც შეეკედლენ ისე ერთბაშად და ხალისიანად ისევე ქართველებს. როცა საამისო დრო დადგა და პოლიტიკურადაც უფრო ხელსაყრელი გახდა ქალკედონიტობა ანუ დიოფიზიტობა. ვინც აქეთ დარჩა, ქალკედონიტი შეიქნა ვინც იქით—მონოფიზიტი... იმ კუთხეში ხომ საერთოდ ძველი დროიდანვე იყო ნარევი ქართულ-სომხური მოსახლეობა. ჯერ კიდევ ბერძნები უძახიან ხომ მას: „არმენო-ხალიბებს!“ შესაძლოა, ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ხალიბები პოლიტიკურად ეკუთვნოდნენ მხოლოდ არმენიას. თუმცა, რა თქმა უნდა, ნამდვილ სომეხიც მრავლად ერეოდა მათში მუდამ, სხვანაირად არც იქნებოდა.

აღონცი იმავე ნაშრომში ურევს კიდევ ერთგან. ბიზანტიის იმპერატორი ბასილი ზოგიერთ წესს მაინც იცავდა, არ არღვევდა ხოლმე, და საერთოდ ხომ შესანიშნავი ხელმწიფე იყო?! პირველადაც მთლად კი არ დაუფლებია ტაოს ტაო ხომ ორი იყო: იმიერ-ტაო, რომელიც ბიზანტიელებმა დაიპყრეს (წერია: „აოხრდა იმიერ-ტაო“) და ამიერ-ტაო, რომელიც დავით კურაპალატის მამის საკუთრებას შეადგენდა. მერეც, ბასილმა რომ თითქოს მთლად დააქცია და დაანგრია ყველაფერი, მხოლოდ იმიერ-ტაო წაუღია: ასე წერია ზავის პირობებში. ამრიგად, ბასილი არ ყოფილა ცბიერი კაცი, აღონცს რომ ჰგონია...

ბანა ხომ ამიერ-და იმიერ-ტაოს საზღვარზე მდებარეობს და იმ ზავის ძალით ისიც ჩვენებს დარჩათ, ისევე როგორც ტაოს უმთავრესი ციხე-სიმაგრე. ფანასკერტი. სადაც გარდაიკვალა მერე ბაგრატ III. ბასილმა წესიერად აასრულა ზავის პირობა: სამი წლის შემდეგ გამოუგზავნა ბაგრატს მძევლად წაყვანილი შვილი. ამასობაში ბასილი მოკვდა. მის მაგიერ გამეფებულმა თანამმართველმა კონსტანტინემ კაცი აფრინა, მძევალი უკან მოაბრუნეთო. მაგრამ ვედარ მოუსწრო, რადგან, მატთანეს სიტყვით. იგი უკვე ბანაში. ე. ი. სათავისოში მოსულიყო. ერთი სიტყვით, სავესებით მკაფიოდაა გამოჩნული ამ ცნობებში იმიერ- და ამიერ-ტაო.

„ხელმწიფის კარის გარიგება“-ში რომ წერია. მტბევარს უკან საკუთრელო-მტკირთველი უდგას და ხელში მახვილი უჭირავს, რადგან მტბევარი ეპისკოპოსი შეეშეთის ერისთავიც არისო, ეს ძალიან თავისებური მოვლენაა. კათოლიკურ სახელმწიფოებში კი ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ჩვენში ერთადერთი შემთხვევა ესაა, რომ სამღვდლო პირი იმავე დროს ადმინისტრაციული პირიც (ერისთავი) ყოფილიყო. როგორც ჩანს, ეს იმ გვირობის შედეგად დაწესებულა. რომლითაც დაიცვა საბა მტბევარმა კონსტანტინე იმპერატორის ჭარისგან ტბეთის ციხე, თვით მისი და ანჩელი ეპისკოპოსის (მგონი, იოანეს) აშენებულ. ბიზანტიელებმა ხომ ის ციხე ვერაფრით ვერ აიღეს. ამასობაში კონსტანტინეც მოკვდა და მისი მხედრობაც უკან გაბრუნდა. კონსტანტინემ ბასილის შემდეგ სულ ორ წელწადან იცოცხლა (1205—1207 წწ.). სუბმატ დავითის ძე წერს. „ღმერთმა დასაჯაო...“ ასე, ბევრი რამაა ჯერ კიდევ გამოუცვლველი: თითქოს წერილმანებია, მაგრამ გზადაგზა უთუოდ უნდა გაირკვეს.

ავიღოთ თუნდაც საკითხი, თუ ვის ეკუთვნოდა ბანა? ბაგრატ IV დედა ნარიამ დედოფალი (ზოგი წყაროს მიხედვით — არწრუნის ქალი, ზოგის მიხედ-

ვით—სხვა), ეტყობა, ძალიან ჰკვიანი ქალი იყო. რაკი ისე კარგად შეუწახავს ქვეყანა, სანამ 7 წლის ბაგრატი, პეფელ ხელდასმული, დაუკეცდებოდა. თითო წაიღია ბიზანტიაში და იმპერატორის ნათესავი ქალი, ელენე მოპვეარა ვაიშ-ვილს ცოლად. ჰოდა, „ქართლის ცხოვრება“-ში წერია (და, მგონი, სუმბატაც უწერია). ბიზანტიიდან რომ მოუვიდა სადედოფლო, 13—14 წლის ბაგრატი ბანაში შეხვდა და იქ იუკრთხა გვირგვინიო. მართალია, ანასეულ ნუსხაში ამ ადგილას წერია, „...გვირგვინი ბაგრატსაო“, მაგრამ ეს გადამწერის შეცდომაა და სხვა ნუსხებში რომ „იუკრთხა გვირგვინი ბანასა“ არის, ისაა მართალი! სწორედ იმის თქმა უნდა. ეტყობა, მემპატიანეს, რომ ბანის დიდებულ ტაძარში იუკრთხეს მეფე-დედოფალმა გვირგვინი. თორემ რაღა აზრი აქვს იმის თქმას, რომ „ბაგრატს უკურთხეს გვირგვინი?“ ცხადია, რომ მას შერთავენ იმპერატორის ნათესავ ქალს და არა ვისმე სხვას.



მას შემდეგ, რაც შევიძელი სუმბატის ქრონიკის გულდაგულ შესწავლა, ნოხერხდა პირველ ბაგრატიონთა გენეალოგიის დაზუსტება და გარკვევა: ამას ბევრი კირკიტი სჭირდებოდა, ივ. ჯავახიშვილს არა ჰქონდა საამისო დრო და მოცალოება და, ბროსესავით, ერთ და იმავე პირად მიიჩნია ორი დავითი. ახლა ისიც გასაგებია, თუ რამ შეიყვანა ისინი შეცდომაში. აშოტ V, სუმბატ I ძეს რომ არ აღნიშნავენ მის შვილთა შორის. მათ გაითვალისწინეს მხოლოდ ისინი, ვინც მამის სიკვდილის შემდეგ დარჩნენ და არ გაითვალისწინეს ის, რომელიც მამამისზე ადრე გარდაიცვალა. ეს გარემოება არავის არ შეუმჩნევია და აღუნიშნავს.



ბიზანტიის იმპერატორის ლეონისა და ადარნასეს ურთიერთობა საინტერესოა. არაბებმა ერთი დიდებული დააწინაურეს. რომ თავისკენ მიემხროთ. ლეონმა რომ ეს შეიტყო. არაბების ჭიბრზე გამოუფგავნა ადარნასეს ინსიგნიები (ტანისამოსი და სხვ.), რომ ის თავისკენ მიემხრო. ამით ისარგებლა ადარნასემ და გახლა ქართველთა მეფე. ეს იყო „ლეონ ბრძენი“...

ტარონელები ბაგრატიონები იყვნენ. ტარონში მერე გადასახლებული და გასომხებული. ტარონელი იყო ჩვენი თორნიკე ბერიც. ბარდა სელიაროსი რომ დაამარცხა. იმათში ბევრს ერქვა სახელად თორნიკე. მთელი დინასტია იყო. ა. აღონცხა აქვს ეს ამბები აღწერალი, მაგრამ ზოგ რამეში სცდება... გარეგორიკოსი ღალატობდა ბიზანტიელებს და იმპერატორმაც იცოდა ეს ამბავი, მაგრამ მაინც უყვავებდა. რომ გავერთულებინა...

სუმბატის ქრონიკის ენა ჩემი გამოცემა რიცხვით მესამე იქნება (მეორე ნქონდა მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“). ყველა ურევდა იმ გენეალოგიას. სპეცილისტებიც კი, და აი ახლა უკვე საბოლოოდ იქნება გარკვეული... ბევრი რომ გამოცეცე შეიგ (მაგ., ერისთავების შესახებ; ს. კაკაბაძის შეცდომების კრიტიკა—შატბერდის ვარიანტი ქელიშისაზე უფრო ძველიაო, რომ აცხადებს. და სხვ.) და მერე ცალკე წერილებად ვფიქრობ დაბეჭდვას.

აქად. ს. ჭანაშიას ფრიად საყურადღებო ნაშრომში („ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“) მშვენივრადაა გაშუქებული ქართლის აზნაურთა შეხმატებლებული ბრძოლა ქართლის მეფის წინააღმდეგ, მეფობის გაუქმება და ფეოდალიზმის საბოლოოდ გამარჯვება ქართლში. VI საუკუნეში... პირველ დიდ ერისთავს გუარამს იოანე საბანიძე ერისმთავარს უწოდებს და ს. ჭანაშიას პართებულად მიაჩნია ეს ტერმინი კველაზე უფრო რეალურად.

საყურადღებოა მისი სხვა ნაშრომებიც, იმავე პერიოდს რომ ეხება.

გასარკვევია, თუ იხსენიება რომელსავე ეპიგრაფიკულ ძეგლში ან სხვა ტექსტში ცნება „ქართლი“ მცხეთის ჭვარის ტაძრის წარწერაზე უფრო ადრე? ამა და ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით საჭირო იქნებოდა, ისტორიის ინსტიტუტს ჩაეტარებინა მცირე გათხრითი მუშაობა ზარზმისა და ერედვის ეკლესიათა გარშემოსაწმენდად: ეგებ იქაც აღმოჩენილიყო, ბოლნისისა და ჭვარის მსგავსად, რაიმე საყურადღებო ძველი წარწერა?

რატომ სულ არ ახსენებენ ქართული წყაროები იბერიას?

ეგებ სწორედ იმიტომ, რომ ძველი წყაროები დაკარგულ-მოსპობილ ქართლების მიერ იბერთა დაძლევისა და პოლიტიკურად დაჭაბვის შედეგად: გამარჯვებულთა მიერ დამარცხებულთა ხსენების აღმოფხვრის მიზნით. შეგნებულად? ამ საკითხზე ღირს შემდგომი დაფიქრება!

მე რომ მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ გამოვეცი. იმას წინ უძღვის თხზულება, რომელსაც „განძთა ქვაბი“ ეწოდება. მაშინ იგი არ იყო სრული. შემდეგ აღმოვაჩინე. შეეავსე და შესანიშნავი რაჰ გამოდის. ცალკე მინდა გამოცემა. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს მთელი ჩვენი ისტორიოგრაფიის სათავე და მერეა შიგ შეტანილი ტენდენცია, ნებროთის წიგნი და სხვა...

ძველად წარწერების რიგიანად ამოკითხველი მეცნიერები ძალიან ცოტანი გვეკავდნენ და ახლა, ჩანს, მეტნი არიან. ა. შანიძეზე და ნ. ბერძენიშვილზე რომ აღარა ითქვას რა. უდროოდ განსვენებულს. აშკარად მეტად ნიჭიერ მკვლევარს. ლ. მუსხელიშვილსაცა აქვს რამდენიმე რთული და ძნელად ამოსაკითხი წარწერა კარგად, დაკვირვებით და დამაჯერებლად ამოკითხული და განმარტებული (ბოლნისის, სამშვილდის, სვეტიცხოვლისა და სხვა). დმანისსა და ბოლნისშიც ბეჭითად უმუშავნია და ბოლნისის, უდიდესი კნიშვნელობის მქონე წარწერა აღმოუჩენია: დმანისისა და ბოლნისის მიდამოებშიც ნაყოფიერი ექსკურსიები ჩაუტარებია და უცნობი ძეგლებიც მოუკვლევია. ოლონდ ის კი მიყვირს, როგორ გამოჩნა იმ რაიონში, უფრო ბოლნისისაკენ მღებარე საინტერესო ძეგლი, სათხეს ეკლესიის ნანგრევი, საიდანაც მე თავის დროზე ჩამოვიტანე მშვენიერი კანკელი, ახლა რომ ხელოვნების მუზეუმში ინახება. წარწერაც იყო იქ და საჭირო იქნებოდა მისი გულდასმით შესწავლა.

ახლა ამ საქმის გაკეთება შეეძლება ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციას, რომელიც, აკად. ნ. ბერძენიშვილის მეთაურობით, შესდგომია ქვემო ქართლის სისტემატურ ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლას... სათხე მდებარეობს სოფ. კაზრეთს სამხრეთით, მისგან 3—4 კილომეტრზე. ეკლესიის ნანგრევები არის მთის ძირას, დაბურულ ტყეში. სარკმლის თავებზეა ამოჭრილი რამდენიმე მოკლე წარწერა. მათი გადმოღების გარდა, საჭირო იქნება თვით ეკლესიის გეგმის გაზომვა და ფოტოსურათებისა და აგრეთვე ესტამპაჟების გაკეთება და, ბოლოს, ნანგრევების გარშემოხრა, რათა გამოჩენილ იქნას ის ქვები, რომლებიც აკლია.

იმ სათხეს რაღაც „ბედი არა სწყალობს“: კალგინი და მხატვარი რომ მივალინეთ ძეგლების დასავლელად, საგანგებოდ ავუხსენი სათხეს მდებარეობაც. მაგრამ ვერ მიაგნეს. მერე კიდევ დ. გორდევებს უძებნია: მითხრა, ხუთ დღეს ვიარე და ვერ ვიპოვნეო. სათხეც, ფიტარგოცა და წულრულაშენიც ლაშა გიორგის აშენებული ეკლესიებია და ამ ორის კიდევ ერთხელ შესწავლაც არ იქნებოდა ზედმეტი—ისევე, როგორც ნაქალაქარ დმანისში მდებარე ბაზილიკაზე ლაშა გიორგისავე მიერ მიშენებული ეკვდერის კედლის წარწერისა, რომლის წაკითხვასაც უსწორებს ლ. მუსხელიშვილი თავის წინამორბედებს, ბარათლომენსა და ბროსეს.

გარდა ამისა, ხელახლა დასათვლიერებელი და შესასწავლია: კაზრეთის სამების ეკლესია (ყველა ფასადია გადმოსაღები, წარწერა ერთია, ზემოთ: „ავთანდილ“); ქვეშის ციხე; პატარა ეკლესია სამტრედიოში (საერთო ხედი და წარწერები); გუდარეხი⁸³; ღორისთავი (ეგებ მოინახოს ის წარწერა, რომელსაც ალ. ორბელიანი აღნიშნავს თავის ხელნაწერში; საფლავის ქვებიცაა საინტერესო) და პირღებული (გმირთკვეთილის ციხიდან უნდა ჩასვლა, პირდაპირ).



ყვარყვარე ათაბაგის გენეალოგიისათვის საყურადღებო მასალას იძლევა სადგერ-ჩხარის ჭვარის წარწერები. იმ ათაბაგთა—მზუკაბუჯისა და სხვათა --- ცოლების შესახებ კი არაფერი ვიცით, მხოლოდ ერთგან იხსენიება, როდამი არც ფრესკებზე არიან გამოხატული, რომ სახეები მაინც დაგვენახა იმ ათაბაგებისა, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სამცხის გვიანდელ ისტორიაში. ეგებ კი არის სადმე ასეთი ფრესკა, მაგრამ ჩვენ არ ვუწყით?! საფარის ტაძარი იმ დროს უკვე ბევრი ველარაფერი იყო.

ყვარყვარეს დროს სამცხე ჭერ კიდევ კარგა შორს ჩადიოდა სამხრეთით. კლარჯეთი მაგათ ეკუთვნოდათ, მაგრამ ტაო—ალარა. აჭარისკენაც შორს გადიოდა სამცხის საზღვარი, მაგრამ ჭანეთი გურიელს ეჭირა. ის კი არა და, კარგა ხანს ზარზამეც გურიელს ეკუთვნოდა. ამითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ იქაური ტაძრის ფრესკებზე თითქოს გურიელთა ტიპებია გამოხატული (ბოლოდროინდლებს, XIX საუკუნის გურიელებსაც კი გვიან, ვახტანგსა და ჭაბას, ისევე, თმავაჩეჩილი არიან!).

⁸³ იმ დროისათვის გუდარეხი კარგად გათხრილ-შესწავლილი იყო უკვე და პირღებულიც საკმაოდ შესწავლილი, მაგრამ შედეგები ჭერ არ გამოქვეყნებინათ მკვლევრებს.

იკორთის წარწერები გადმოღებული და წაკითხული მაქვს, მაგრამ ზოგიერთი რამ გაუგებრად დამჩნა და ჩემი თხოვნა იქნება ახლანდელი ისტორიკოს-არქეოლოგებისადმი, ვისაც სიარულზე გული ერჩის და წარწერების კითხვა ემარჯვება (მაგ., ნიკ. ბერძენიშვილი), ინახულონ ის ძეგლი და შეამოწმონ წარწერა—სახელდობრ, მესამე, რომელიც ფოტოგრაფიისათვის მიუწვდომელი იყო და გადმოსაწერადაც ძნელი... საერთოდ, მახსოვს, ბევრი გვაწვალა იკორთაში: გაებზრდით მზიანი დარის ლოდინით მე და ერმაკოვი, რომ რიგიანად გადმოგველო სურათები. ის მიუწვდომელი წარწერა კი ხელით გადმონაწერის პიხედვითა მაქვს ამოკითხული... კარგა ხნის განმავლობაში დადიოდნენ საქართველოს ყველა კუთხეში ე. წ. „საფილოქსერო დასები“. ერთი მათგანის წევრები იყვნენ ილია ნაკაშიძე და ექ. ვასილ წერეთელი. ილიას ძალიან ეხერხებოდა ასეთი რამეები და, იკორთაში რომ მივიდნენ, ჩემი თხოვნით გადმობატა წარწერა. „დავითისა და დავითის გუჯარი“ რომა მაქვს გამოცემული, ისიც მისი გადმონაწერია.

კაცმა რომ თქვას, იკორთის იმ წარწერაში ერთადერთი სიტყვა „პერგბელ“-ლად უცნაური და გამოსარკვევი, თორემ სხვა ყველაფერი ცხადია.

ერთ-ერთ წარწერაში დაქარაგმებული სახელი გავხსენი, როგორც „თვალის გუგა“, მაგრამ ბევრი არ დამეთანხმა (1948 წელს ს. ჭანაშიას წლისთავის სესიაზე წაკითხვებზე მოხსენება იკორთის წარწერებზე). ასეთი სახელები კი იყო ჩვენში ძველად: ჩემს გადღეს ერქვა, მაგალითად, „თვალმასის“; სახელის წარწერაში იხსენიება ოსტატის სახელი „თვალისი“; არის სახელი „თვალმშენიერი“. რა თქმა უნდა, ბუნებრივია, რომ ქართულში ხშირია სიტყვა „თვალი“-საგან ნაწარმოები სახელები.

საერთოდ კი ძალიან თავისებური წარწერებია: „ბესელიელი“, ესაო. ისაო; ბიბლიური ანალოგიების მოშველიებითა და საკმაოდ დაწვრილებით აღნიშნავს თავის ღვაწლს ამშენებელი. ასეთი სამშენებლო წარწერა კი ჩვენში ძალიან იშვიათია, ასე რომ ამ შემთხვევაში მაღლობელი უნდა ვიყოთ იკორთის ამშენებლის მრავალსიტყვაობისა და თუნდაც კეხნისა, თორემ სხვა ჩვენი ძველი მშენებლები ნაკლებ თუ იჩენდნენ ხოლმე თავს და ამიტომ საშუალოდაა ჩვენთვის დაკარგული მათი ვინაობა. სომხურ ძეგლებზე, პირიქით, ხშირად ძალიან დაწვრილებით არის აღნიშნული მშენებელთა ვინაობაცა და დამსახურებაც და ეს. რა თქმა უნდა, ძალიან ხელსაყრელია იქაური კულტურის შემოქმედთა ისტორიისათვის. ჩვენ კი, მაგალითად, ისიც არ ვიცით (და ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებთ), თუ ვინ აგვიშენა და დაგვიტოვა ჭვარის ტაძარი, ბაგრატიის ტაძარი, სამთავრო და ბევრიც სხვა...

იკორთის ტაძრის აშენება ნამდვილად ღირდა თავმოწონებად! ისეთი მშვენიერი ნაგებობა, თამარის დროისა, ჩვენ სხვა არც მოგვეპოვება. რა შესანიშნავი დეკორი აქვს?.. მისი ტოლებია ბეთანიაც, კაბენიც, მაგრამ მასთან ვერც ერთი ვერ მოვა. დეკორით თითქოს XI საუკუნის ძეგლებს უფრო ჩამოგავს. მაგრამ მაშინ ჭერ კიდევ არ იცოდნენ ასე მრავალფეროვანი შემკულობა. სამთავისიც კი ვერ შეედრება ამ მხრივ იკორთას. იკორთა უნიკუმი და ასეთი ძეგლები განსაკუთრებით კარგად უნდა შევინახოთ!



ევროპის სიძველეთსაცავებში და ანტიქვარებთან რომ საქართველოდან გატანილი და გაყიდული სიძველეები ვნახე, მათ შორის რამდენიმე ხატი გიორგი ორბელიანის ოჯახიდან იყო იქ მოხვედრილი, მისი ცოლის წყალობით. გიორგი იყო ძმისწული გრიგოლ ორბელიანისა და დიდძალი ქონება ჰქონდა მისგან დარჩენილი. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, მის ქვემოთ ჰქონდა მშვენიერი სახლი⁸⁴ და იქ ცხოვრობდნენ. გიორგი სამხედრო კაცი იყო, მაგრამ დიდი წოდება არა ჰქონია. ერთ ხანს ბორჩალოს მახრის თავდაზნაურობას წინამძღოლობდა. სწავლა ოქსფორდის უნივერსიტეტში ჰქონდა დამთავრებული და მშვენიერი ინგლისური იცოდა. საყვარელი, თავდაბალი კაცი იყო. ჩვენ გვეხმარებოდა არქეოლოგიურ მუშაობაში, მის მამულეებში მყოფი ძეგლების გაწმენდაში. მისი ცოლი, მგონია, ერისთავის ქალი იყო, ისიც დიდი მამულეების პატრონი. ერთი მოუთრავი ჰყავდათ, რომელმაც მეტისმეტი გავლენა მოიპოვა ზოთ ოჯახში. მას ქალების, ქალაღის თამაშისა და დროს ტარების მეტი არაფერი აინტერესებდა და სულ ერთიანად გაუნიავთ ქონება. ყველაფერი ხელთ იგდო. დასტყუა ქალბატონს... ამრიგად უნდა იყოს გაყიდული ის ხატებიც. თუმცა ქალბატონი თითქოს დიდი ღვთისმოსავე იყო: რევოლუციის შემდეგ ყველაფერი დაჰყიდა. რომ გაუჭირდა, და იმით ცხოვრობდა, მაგრამ ხატებს კი ხელი არ ახლო. არც კი აჩვენებდა არავის.



იქ ვნახე კიდევ ნიკო ჭავჭავაძის ნაქონი ნივთებიც. ნიკო თავის დროზე გამოჩენილი პატრიოტი იყო. ერთხანს დაღისტანს მმართველობდა. მერე აქ გარდაიცვალა. ოპერაციის შედეგად. იური ჭავჭავაძე მისი ძმისწული იყო. ილიას ნათესაები არ ყოფილან, სხვა შტოს ეკუთვნოდნენ. ნიკო უცოლოდ იშკვია, მაგრამ ისე კი ძალიან უყვარდა ლამაზი ქალები.



ჩემი პირველი არქეოლოგიური მოგზაურობა ის იყო, დ. ბაქრაძეს რომ წავეყვი მცხეთაში და იქიდან სვეტიცხოვლის ხელნაწერები რომ ჩამოვიტანეთ. საეკლესიო მუზეუმში—1889 წლის 17 თებერვალს, თანახმად იმ მუზეუმის დაბეჭდილი ანგარიშისა.



ამ ბოლო დროს რომ გავარდა ხმა, თითქოს ამერიკელებს აღმოუჩენიათ ალექსანდრის რომელიღაც გამოქვაბულში ქართული, სომხური და კობურის ხელნაწერები. თუ მოჰორილი არ გამოდგა, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს, კერძოდ ჩვენთვის. თუ იქ მართლა არის ქართული ხელნაწერები, უთუოდ ქველი იქნება. ასეთი რამეა გვიშველის. თორემ პირდაპირ სამარცხენოდ საქმე

⁸⁴ ამჟამად „საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოება“ იმ შენობაში დაბინავებული.

გეჭორს: ხომ რამდენ ხანს იყო ჩვენი დამწერლობა ხანმეტი, XI საუკუნეში ვი ორგი მთაწმინდელმაჲც იცოდა, რომ გეჭონდა ასეთი და ჭერ კი არც ერთი ხან-მეტურად დაწერილი სახარება არ ჩაგვეარდნია ხელთ! საოცარია, როგორ უნდა მოსპობილიყო ასე პირწმინდად ის ძველი ხელნაწერები?... თუმცა, მეორედ მხრივ, ეს რაღად უნდა გვიკვირდეს, როცა ჩვენ მეზობელ ალბანე-ლებს X საუკუნეში ჭერ კიდევ თავიანთ ენაზე ჰქონდათ მღვდელთმსახურება და დღემდე არაა ნაპოვნი თუნდაც ერთი ნამცეცი ხელნაწერი. მხოლოდ ამ ბო-ლო დროს მიაკვლია ილია აბულაძემ ალბანურ ანბანს ეჩმიაძინის ერთ ხელნ-წერში. ახლა თითო-ოროლა ქვაზე დაწერილიც იპოვნეს აზერბაიჯანელმა არქე-ოლოგებმა. მაგრამ რა გამოვიდა, რომ ვერ კითხულობენ? ისე კი ზოგი ასო ქართულსა გავს და ზოგი—სომხურს. ეტყობა, ორივეთაგან ნასესხები და ნა-რეგვია. ალბათ სამივე ერთად წარმოიშვა, IV საუკუნეში. დიდი სურვილი კი გვაქვს პოვნის, მაგრამ ჭერ-ჭერობით არა ჩანს უფრო ადრინდელი ქართულა ნაწერი.



ჩემი ჩამოსვლის შემდეგ აქ დასრულებული. რედაქციაქმნილი თუ დაწერი-ლი ნაშრომები გამოსაქვეყნებლად ასეა განაწილებული:

„სუმბატის ქრონიკა“— ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში. [დაიბეჭდა 1949 წ.].

„1917 წლის ექსპედიცია ოსმალეთის საქართველოში“ — მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმში. [დაიბეჭდა: 1952 წ. (რუსულად) და 1960 წ. (ქართულად)]. მოხ-სენება „ოსმალეთის საქართველოს“ შესახებ— ცოდნის გამავრცელებელ საზო-გადოებაში (ცალკე წიგნად უნდა დაიბეჭდოს) და ჟურნ. „მნათობში“, პ. ინგო-როყვას მეშვეობით. [II ტომში იბეჭდება]. მოკლე შინაარსი „1917 წ. ექსპედი-ციისა“ (უმათავრესად წარწერები და სხვ.)— იქვე, ორივე ადგილას. [არ დაბეჭ-დილა].

„როდის გადაიქცა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფო?“— წერილი ჟურნ. „მნათობში“. [დაიბეჭდა 1948 წ. № 8].

„არიან-ქართლი“ თუ „არან-ქართლი“?	— აკადემიის მოამბეში [1948, № 9—10].	} აკ. შანიძის შემ-ველობით [ყველა დაიბეჭდა, ზო-გი— შეცვლილი სათაურით].
„იკორთის ნაქარგობანი“	— იქვე [1949, № 1].	
„ბარაჯონის ჭვარი“	— იქვე [1949, № 6].	
„დავით აღმაშენებლის ჭვარი“	— იქვე [1949, № 8].	

„ბოცო-ბასილის გენეალოგია“— ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმის მოამბეში. [იბეჭდება აქ. II ტომში].

„ჩხარის ეკლესიის ხატები და ხელნაწერები“— იქვე [დაიბეჭდა. საქ. მუზ. მოამბეში. ტ. XVI—B. 1950 წ.].

„ვერობაში ნახული ქართული სიძველეები“ (ანტიქვარებთან და მუზეუ-მებში)— იქვე [იბეჭდება აქ. II ტომში].

„ვატიკანის ქართული სახარება“ - თბილისის უნივერსიტეტის შრომებში.
[დაიბეჭდა ტ. XXXIX, 1950 წ.]

„ქუაბი საგანძური“—იქვე [არ დაბეჭდილა].

„სომხით-საორბელის წარწერები“, II ნაწილი—იქვე. [დაიბეჭდა, ტ. 43.
1951 წ.]

„ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერა“—იქვე. [დაიბეჭდა, ტ. 45. 1951 წ.]
„როგორ იწყებოდა „ვეფხისტყაოსანი“?—ა. შანიძის მეშვეობით. [არ და-
ბეჭდილა].

„ქართული სამუზეუმო განძეულობის საზღვარგარეთ წაღებისა და დაბრუ-
ნების ისტორია“—წერილი. [იბეჭდება ამ ტომში].



ვცდილობ. ახლაც მოვაწესრიგო ჩემი ნაწერების ბიბლიოგრაფია. თორემ ისეთი რთული შესადგენია, რომ უჩემოდ ყველას ძალიან გაუძნელდება. საქმე ისაა, რომ ბევრი რამე მაქვს დაბეჭდილი სხვადასხვა. ზოგჯერ ნაკლებ ცნობილ ორგანოებში, ხშირად მერე ცალკეცა მაქვს წიგნად ამობეჭდილი, ზოგიც რამ ქართულადაცა და რუსულადაც, და ყოველივე ეს შეიძლება აირიოს ერთმანეთში.



გელათის სიძველეებიც გამოუცემელი დამრჩა, თუმცა ხელნაწერიც მაქვს და ფოტოსურათებიც. ერთ ამათგანზე ვადაღებულა მარგალიტაყრილი ქოშები. ისინი რომელიღაც ეპისკოპოსის ნაქონი უნდა იყოს (ეცვათ ხოლმე ასეთი ქოშები) და ჩვენებური ნაზღაპრის წყალობით კი მაინცდამაინც თამარ მეფის ქოშებადაა მიჩნეული. ასე სჩვევია ხალხს! (თამარ მეფის საფლავისა არ იყოს, ყველგან რომ ის ეგულებათ!).

გელათში არის დავით აღმაშენებლის დროის წარწერები და ისინი ცნობილია. ერთი მათგანი შემორჩენილია მერმინდელ ჭვარზე, რომელზედაც მიუკრავთ იგი, ვერცხლის ფირფიტაზე ზარნიშით გამოყვანილი: „ღმერთო, ყოვლისა დამბადებელო, აღიღე შენ მიერ გვირგვინოსანი დავით აფხაზთა, ქართველთა, პერთა და კახთა მეფე, მზე ქრისტეანობისა, ამინ!“ ვინც ადრე გამოაქვეყნა ეს წარწერა, ისინი „პერთა“-ს მაგიერ „ლექთა“-ს კითხულობდნენ (ასომთავრული „ლ“ და „პ“ გვანან ერთიმეორეს). მე ვასწორებ ამ შეცდომას: „ლექთა“ არასოდეს არ ყოფილა მოხსენებული საქართველოს მეფეთა წოდებულებაში და ეს ისტორიულად არც იქნებოდა კანონზომიერი: ლექები არასოდეს ყოფილან საქართველოს მეფეთა ყმანი. მეორე წარწერა ჭყონდიელის ხატზეა. პალეოგრაფიულად ისიც საინტერესოა და გამოცემის ღირსი. მესამე წარწერისაგან (ფრესკაზე) შემორჩენილია მხოლოდ ერთი სიტყვა „დავით“. დანარჩენი ყველა განახლებულია.

საერთოდ, კიდევ რამდენი რამაა გამოსაკვლევი, მოსანახავი, გამოსაკეში. ვინ მოსთვლის?—მიუხედავად იმისა, რომ თითქმის უკვე ბევრი რამ გავეთდა ამ მხრივ?

გულანი (სამღვთო წერილიდან ამოღებული და სხვა საკითხების კრებული, ხშირად ძალიან დიდი ხელნაწერი) საქართველოს ბევრ ეკლესიაში იყო შემორჩენილი: გელათში, შემოქმედში, ცაიშში, ქვემო ქალაში და სხვ. გელათის გულანი მე გადმოვწერე და მერე გამოსცა კ. კეკელიძემ, რომელმაც გამოარკვია, რომ იგი შეიცავდა სიმონ მეტაფრასტის თხზულებას, ბიზანტიოლოგიაში უცნობს.

3. ლარაძის „დილარაინის“ ხელნაწერთან დაკავშირებითაც ალ. ხახანაშვილის ერთი გაუგებრობა მოუვიდა...

...ის ლარაძე დიდი აენ-ჩაენი იყო თეიმურაზ [ალექსანდრე?] ბატონი-შვილისა, იმან გამოიყვანა იგი სპარსეთიდან. მაგრამ, ეტყობა, ცბიერი კაცი ყოფილა. ტყუის, როცა აცხადებს, პირველად რომ დაეწერე დილარაინი, ის იოანე ბატონიშვილმა მთხოვა, მიითვისა და თავისი სახელი დააწერაო. არაფერი იმგვარი არაა იოანეს ნაწერებში.

ლარაძის მამა სამეგრელოდან გადმოსახლდა ერეკლეს დროს. იგი კარგი კაცი იყო და ერეკლეს დიდი მომხრე; იმან დაიცვა ქვეშის ციხე. ერეკლემ იქ კუთხეში მიუბოძა მამულები და ლარაძემ კიდევაც დააარსა იქ სოფელი „ეგრიისი“, „ლარაძის სოფელი“...

იმ ლარაძეთა ერთ-ერთი უკანასკნელი შთამომავლის ცოლი ჩემ დროს გარდაიცვალა. დიდი მამულები ჰქონდა, ვომარეთის მხარე სულ იმას ეკუთვნოდა და მართოდ მართო ცხოვრობდა თავის „ლარაძის სოფელში“ (ახალში). ერთი მოურავი ჰყავდა მხოლოდ, სახელად სულხანა. იქაურობა სულ თათარ ყაზალებს ჰქონდათ აკლებული, საესე იყო ის მიდამოები, მაგრამ ქვრივს მათი სრულიად არ ეშინოდა: პატივობდა, აკმევდა და ისინიც, ყველას რომ აწიოებდნენ, იმას ხელს არ ახლებდნენ. ძალიან კარგი მეოჯახე ქალი იყო, მაგრამ დაუდევრად ეცხოვრობდა, თუმცა ყველაფერი საესეებით საკმარისი ჰქონდა... მერე მისი მამულები გენერალმა გაბაშვილმა იგდო ხელთ. იმ მხარეს რომ ვიყავი ექსპედიციაში, ლარაძის ქერივი ძალიან ყურადღებით მექცეოდა. საგზაასაც კი მიგზავნიდა ხოლმე...

გომარეთში რამდენჯერმე ვიყავი ექსკურსიაზე. იმ კუთხეში ერთადერთი ქართული სოფელი იყო და იქნა ცხოვრობდა ძველი ქართული მოსახლეობის ნაშთი. 200 კომლი იყვნენ და მათ შორის მხოლოდ ერთმა კაცმა იცოდა ხელის მოწერა. მომიკვდა გული იმათ ასეთ ყოფაზე და გაეახსენებინე სკოლა წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ კოტა შაინც შესულიყო განათლება გომარელებში. ჯერ არაფრის გულისათვის არ უნდოდათ სკოლა, მეუბნებოდნენ: „შენ ალბათ გვატყუებ, ეგ სკოლა რომ ჩვენთვის იყოს სახირო, თავს არ შეიწყუბდი, ალბათ მერე ისევ ჩვენ დაგვაწეება კისერზეო!“ ერთი გორდელადკ გაეზავნე იქ მასწავლებლად (პართენ გოთუასთან ნამუშევარი) და რამდენიმეც სხვა. მერე კი გაუგეს გემო სწავლას გომარელებმა და კმაყოფილი იყვნენ...

„ეტიკანის ქართული სახარება“ --თბილისის უნივერსიტეტის შრონებში. [დაიბეჭდა, ტ. XXXIX, 1950 წ.].

„ქუაბი საგანძური“—იქვე [არ დაბეჭდილა].

„სომხით-საორბელოს წარწერები“, II ნაწილი—იქვე. [დაიბეჭდა, ტ. 43. 1951 წ.].

„ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერა“—იქვე. [დაიბეჭდა, ტ. 45. 1951 წ.].

„როგორ იწყებოდა „ვეფხისტყაოსანი?“—ა. შანიძის მეშვეობით. [არ დაბეჭდილა].

„ქართული სამუზეუმი განძეულობის საზღვარგარეთ წაღებისა და დაბრუნების ისტორია“—წერილი. [იბეჭდება ამ ტომში].



ვცილობ, ახლავ მოვაწესრიგო ჩემი ნაწერების ბიბლიოგრაფია. თორემ ისეთი რთული შესადგენია, რომ უჩემოდ ყველას ძალიან გაუძნელდება. საქმე ისაა, რომ ბევრი რამე მაქვს დაბეჭდილი სხვადასხვა, ზოგჯერ ნაკლებ ცნობილ ორგანოებში, ხშირად მერე ცალკეცა მაქვს წიგნად ამობეჭდილი, ზოგიც რამ ქართულადაცა და რუსულადაც, და ყოველივე ეს შეიძლება აიხიოს ერთმანეთში.



გელათის სიძველეებიც გამოუცემელი დამრჩა, თუმცა ხელნაწერიც მაქვს და ფოტოსურათებიც. ერთ ამათგანზე გადაღებულია მარგალიტდაყრილი ქოშები. ისინი რომელიღაც ეპისკოპოსის ნაქონი უნდა იყოს (ეცვათ ხოლმე ასეთი ქოშები) და ჩვენებური ნაზღაპრის წყალობით კი მანცდამანც თამარ მეფის ქოშებადაა მიჩნეული. ასე სჩვევია ხალხს! (თამარ მეფის საფლავისა არ იყოს, ყველგან რომ ის ეგულებათ!).

გელათში არის დავით აღმაშენებლის დროის წარწერები და ისინი ცნობილია. ერთი მათგანი შემორჩენილია მერმინდელ ჭვარზე, რომელზედაც მიუკრავთ იგი, ვერცხლის ფირფიტაზე ზარნიშით გამოყვანილი: „ღმერთო, ყოველისა დამბადებულო, აღიდე შენ მიერ გვირგვინოსანი დავით აფხაზთა, ქართველთა, პერთა და კახთა მეფე, მზე ქრისტიანობისა, ამინ!“ ვინც ადრე გამოაქვეყნა ეს წარწერა, ისინი „პერთა“-ს მაგიერ „ლეკთა“-ს კითხულობდნენ (ასომთავრული „ლ“ და „პ“ გვანან ერთიმეორეს). მე ვასწორებ ამ შეცდომას: „ლეკთა“ არასოდეს არ ყოფილა მოხსენებული საქართველოს მეფეთა წოდებულებაში და ეს ისტორიულად არც იქნებოდა კანონზომიერი: ლეკები არასოდეს ყოფილან საქართველოს მეფეთა ყმანი. მეორე წარწერა ჭყონდიდელის ხატზეა. პალეოგრაფიულად ისიც საინტერესოა და გამოცემის ღირსი. მესამე წარწერისაგან (ფრესკაზე) შემორჩენილია მხოლოდ ერთი სიტყვა „დავით“. დანარჩენი ყველა განახლებულია.

საერთოდ, კიდევ რამდენი რამაა გამოსაკვლევი, მოსანახავი, გამოსაცემი. ვინ მოსთვლის?—მიუხედავად იმისა, რომ თითქოს უკვე ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ?

გულანი (სამღვთო წერილიდან ამოღებული და სხვა საკითხვების კრებული, ხშირად ძალიან დიდი ხელნაწერი) საქართველოს ბევრ ეკლესიაში იყო შემორჩენილი: გელათში, შემოქმედში. ცაიში. ქვემო ჰალაში და სხვ. გელათის გულანი მე გადმოვწერე და მერე გამოსცა კ. კეკელიძემ. რომელმაც გამოარკვია, რომ იგი შეიცავდა სიმონ მეტაფრასტის თხზულებას, ბიზანტიოლოგიაში უცნობს.

3. ლარაძის „დილარიანის“ ხელნაწერთან დაკავშირებითაც ალ. ხახანაშვილს ერთი გაუგებრობა მოუვიდა...

...ის ლარაძე დიდი ავან-ჩავანი იყო თეიმურაზ [ალექსანდრე?] ბატონიშვილისა, იმან გამოიყენა იგი სპარსეთიდან. მაგრამ, ეტყობა, ცბიერი კაცი ყოფილა. ტყუის, როცა აცხადებს, პირველად რომ დაწერე დილარიანი, ის იოანე ბატონიშვილმა მოხოვა, მიითვისა და თავისი სახელი დააწერაო. არაფერი იმგვარი არაა იოანეს ნაწერებში.

ლარაძის მამა სამეგრელოდან გადმოსახლდა ერეკლეს დროს. იგი კარგი კაცი იყო და ერეკლეს დიდი მომხრე; იმან დაიცვა ქვეშის ციხე. ერეკლემ იმ კუთხეში მიუბოძა მამულები და ლარაძემ კიდევაც დააარსა იქ სოფელი „ეგრი-სი“, „ლარაძის სოფელი“...

იმ ლარაძეთა ერთ-ერთი უკანასკნელი შთამომავლის ცოლი ჩემ დროს გარდაიცვალა. დიდი მამულები ჰქონდა, გომარეთის მხარე სულ იმას ეკუთვნოდა და მართოდ მართო ცხოვრობდა თავის „ლარაძის სოფელში“ (ახალში). ერთი მოურავი ჰყავდა მხოლოდ, სახელად სულხანა. იქაურობა სულ თათარ ყაჩაღებს ჰქონდათ აკლებული, სახე იყო ის მიდამოები, მაგრამ ქვრივის მათი სრულიად არ ეშინოდა: პატიჟობდა, აჭმევდა და ისინიც, ყველას რომ აწიოკებდნენ, იმას ხელს არ ახლებდნენ. ძალიან კარგი მეოჯახე ქალი იყო, მაგრამ დაუღღევრად კი ცხოვრობდა, თუმცა ყველაფერი საესეებით საკმარისი ჰქონდა... მერე მისი ნამულები გენერალმა გაბაშვილმა იგდო ხელთ. იმ მხარეს რომ ვიყავი ექსპედიციაში, ლარაძის ქვრივი ძალიან ყურადღებით მექცეოდა. საგზალსაც კი მიგზავნიდა ხოლმე...

გომარეთში რამდენჯერმე ვიყავი ექსკურსიაზე. იმ კუთხეში ერთადერთი ქართული სოფელი იყო და იქლა ცხოვრობდა ძველი ქართული მოსახლეობის ნაშთი. 200 კომლი იყვნენ და მათ შორის მხოლოდ ერთმა კაცმა იცოდა ხელის მოწერა. მომიკვდა გული იმათ ასეთ ყოფაზე და გავახსენეინე სკოლა წერაკითხვის საზოგადოებას, რომ ცოტა მაინც შესულიყო განათლება გომარელებში. ჯერ არაფრის გულისათვის არ უნდოდათ სკოლა. მეუბნებოდნენ: „შენ ალბათ გვატყუებ, ვგ სკოლა რომ ჩვენთვის იყოს სახირო, თავს არ შეიწუხებდი, ალბათ მერე ისევ ჩვენ დაგვაწვება კისერზეო!“ ერთი გორდელაძე გავგზავნე იქ მასწავლებლად (პართენ გოთუასთან ნამუშევარი) და რამდენიმეც სხვა. მერე კი გაუგეს გემო სწავლას გომარელებმა და კმაყოფილი იყვნენ...

იქ, მდ. ქციის სათავეში, ერთი სოფელია [რეხა] და იქაური ქართველები ჯიღვევაც გაბერძნებულყვენენ, სრული მოწყვეტილობა-მიტოვებულობისა და მათთან ბერძნების წამოსახლების გამო.

„დილარიანი“ გამოსცა მღვდელმა და ხალხოსანმა მწერალმა ზაქარია გულისაშვილმა, სწორედ იმ ლარაძის ქვრივის ხარჯით; მე მოვეუწყე ის საქმე.



მეცნიერული მუშაობისათვის მარტო ნიჭი და განათლება თურმე არა კმარა: რალაც სხვადასხვა საჭირო: ნებისყოფა, შეუპოვრობა, ენერჯია თუ სხვა... მაგალითად, ერთი... სენია, შესანიშნავად იცნობს თავის სამშობლოს, სვანურიც კარგად იცის, ძალიან განათლებული და ნიჭიერი კაცია... ენებს ასწავლიდა და ახლაც მუშაობს უნივერსიტეტში... თავის დროზე ძალიან დაახლოებული იყო ნ. მართან და ბევრსაც ეხმარებოდა სვანური მასალებით. რამდენი არ ვუქადაგე, ვეზეწე... მაინც ვერ გავაბედიე მეცნიერული მუშაობისათვის ხელის მოკიდება. მერე და მაშინ როგორ გეიჭირდა განათლებული და კეთილსინდისიერი მკვლევრები?! სვანური ენისა და ეთნოგრაფიის მშვენიერი სპეციალისტი დადგებოდა, მაგრამ რომ არა ქნა!..



ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ჩვენი უნივერსიტეტის ერთი პირველ პროფესორთაგანი, ბრწყინვალე ნიჭისა და განათლების მქონე, მოწინავე იურისტი და თან ზედმიწევნით ინტელიგენტი კაცი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ნაშრომი არ დაუწერია და როდესაც ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორად წამოვყავნეთ, ვერ მოვეუწახეთ ვერაფერი, რომ წარგვედგინა და ისე ავირჩიეთ. მოლაპარაკე კი მშვენიერი იყო. თავის დროზე რევოლუციონერთა პროცესებზე გამოდიოდა ხოლმე დამცველად და ბევრსაც უშველა. აჭარლების ცნობილი პროცესი რომ იყო ბათუმში, მაგას დავავალეთ მათი დაცვაც... უნივერსიტეტი ოდესაში გაათავა. სათავად-აზნაურო ბანკის სტიპენდიიტი იყო და მე ვუგზავნიდი ხოლმე იმ ფულს. ერთი პირობა რალაცა მოეჩვენა და უკანვე გამომიგზავნა: „გადაწყვიტე ჩემი შრომით ვირჩინო თავიო“. მე ისევ გავუგზავნე და მივუწერე: „თუ არ დაგვირდეთ, ბანკში შეიტანეთ და იქ იყოს შენახული შეთქი“. მალე დიდი მადლობის წერილი გამომიგზავნა: „როგორ მიხვდით? სწორედ ძალიან გამიჭირდა და კიდევაც გამოვიყენეო“.



ამ ბოლო დროს ჩვენი ძველი ლიტერატურის ბევრი ძველი არის ფილოლოგიურად შესწავლილი და გამოცემული, რაც ძალიან კარგი საქმეა. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ დაუცავს საკანდიდატო დისერტაცია მ. კაბაშვილმა— „ქართული ფიზიოლოგის ლექსიკონი“. ავტორგვერადი გამომიგზავნეს და ეტყობა, რომ კარგად გაუკეთებია. ასე უნდა გამოიცეს ყველა ძველი ტექსტის ლექსიკონი.

სიკონი და მაშინ ეგებ ეშველოს რამე ძველი ქართლის შესწავლას, თორემ უამისოდ არასოდეს არ გვექნება ქართული ენის ისტორიული ლექსიკონი და ენა სემარცხვინო ნაყლია ჩვენი.



აკაკი წერეთლისაგან შემორჩენილი რამდენიმე ნივთი ჩემთან ინახება და მინდა გადავცე ან ლიტერატურულ მუზეუმს, ან საქართველოს მუზეუმს, ან სხვიტორის სახლ-მუზეუმს.



კონსტანტინე გამსახურდია რომ ევროპიდან ჩამოვიდა. უნივერსიტეტში მომაკითხა და მთხოვა, არქეოლოგიის კათედრაზე ამეყვანა სამუშაოდ. მაგრამ მაშინ მე მალე წავედი კიდეც ევროპაში და აღარ მოეწყო ეს საქმე, თორემ ავიყვანდი. მუშაობა და კირკიტი, ეტყობა, უყვარს და ნაქითხი კაციცაა. ამიტომაც, რომ ასეთი ნაყოფიერი მწერალი დამდგარა.



პირდაპირ ზღაპრულად გარდაქმნილი და გამშვენიერებული დამხვდა თბილისი, რომ ჩამოვედი. მართლაც ძალიან ენერგიულად და ინიციატივიანად უმუშავნია საბჭოთა ხელისუფლებას მისი რეკონსტრუქციისათვის. თუნდაც მარტო სანაპირო. მთაწმინდის პარკი, ყოფ. თავისუფლების მოედანი (ქარვასლა რომ დაუნგრევიათ და გაუფართოებიათ)⁸⁵ და კომკავშირის ხეივანი რაღა ღირს? სანაპიროს ადგილას ხომ აშორებული სანაგვე-წუმპები დავტოვე, როცა მივიდიოდი! მთაწმინდის თხემიდან გადმოხედვას არაფერი შეეძრება! არსად მსოფლიოში ასეთი ლამაზი ქალაქი არ მოიძებნება. პარკში არაფერი ამის მსგავსი არაა. მთაწმინდის პარკი ხომ წინათ ჩემი ცოლოურის. პოლტარაკების საკუთრება (გაბაშვილის ქალის ნამზითვი) იყო და იმ მამულ-ადგილებში ხშირად მივლია. მახსოვს, ერთხელ გამოჩენილი თურქოლოგი აკად. ოლდენბურგიც მყავდა სტუმრად ოქროყანაში—მშვენიერი ადამიანი იყო, რუსეთის აკადემიის უცვლელ მდივნად არჩეული,—და ძალიან მოეწონა იქაურობა, მაგრამ სად მაშინდელი ოქროყანა და მისი მიდამოები და სად ახლანდელი პარკი?! დიდი გაქანებითა და გემოვნებითაა ყველაფერი გაკეთებულ! მთაწმინდის პანთეონიც რა კარგადაა მოწყობილი და მოვლილი? ბევრი ღირსეული ნემსიც გადაუტანიათ იქ. კარგია!⁸⁶..



ძალიან მსიამოვნებს, როცა ვხედავ, რომ ახალგაზრდა ისტორიკოსებზე. თავის ძირითად საკითხებზე მუშაობის გარდა, ხალისიანად პოულობენ დროსა და საშუალებას, რომ თავიანთი ღვაწლმოსილი მასწავლებლებისა და წინამორბედების ცხოვრება და შრომა გააშუქონ. კარგი მონოგრაფიებიც გამოსულ

⁸⁵ ახლა ლენინის მოედანი.

⁸⁶ ახალი ჩამოსული რომ იყო, ე. თაყაიშვილი საქმოდ ხშირად დასაიკრებოდა თავისი ცენტრმანეთ თბილისსა და მის მიდამოებში, სანამ ქანი ნებას აძლევდა.

დ. ბაქრაძის შესახებ (მ. დუმბაძისა), ივ. ჯავახიშვილის შესახებ (დ. გვრიტიშვილისა), ს. ჭანაშვიას შესახებ (შ. მესხიასი). ეს ნამდვილად კეთილშობილი საქმეა ძველთა მიმართ და თან კარგი აღმზრდელობითი გავლენა ექნება ახალგაზრდობაზე!...

* * *

ერთი ძმა მყავდა [ნიკო], ოზურგეთში ცხოვრობდა და იშვიათად ვხედავდი ხოლმე. ერთხელ დეპუმა მომცა, ავდა ვარო, მაგრამ ვერც მაშინ წავედი, ჩემი პუდმივი მოუცლელობისა გამო. ოღონდ წამლები მივაშველე და თან ზომები მივიღე, რომ კარგ ექიმებს ემკურნალათ მისთვის. ნამეტანი ნაწყენი დამრჩა და შერე, რომ შევხვდი, მითხრა: „სულელი ვარ, ჩემი ავადმყოფობა კი არ უნდა მეცნობებინა, არამედ უნდა მომეწერა დეპუმა— „найдена археологическая жестуныка“ —და ენახავდი, კისრისტეხით თუ არ ჩამოირბენდა ოზურგეთში!“.

*

...საფრანგეთში სამუზეუმო ქონებასთან ერთად წაღებული იყო დიდი მთავრის ბორჯომის სასახლიდან გადმოტანილი და თავის დროზე რის ვაი-ვაგლახით გადანარჩუნებული ბიბლიოთეკა, რომელშიც შესანიშნავი წიგნები და ალბომები იყო თავმოყრილი. განსაკუთრებით ნაპოლეონის ხანა ჰქონდა დიდი მთავარს ისე კარგად წარმოდგენილი იმ თავის ბიბლიოთეკაში, რომ ევროპის ყოველ უნივერსიტეტს შეეხარებოდა და, თუ გაგვეყიდა, ნახევარ მილიონს მაინც ავიღებდით ულაპარაკოდ. მე ხომ აღრევე მოვწერე აქ, გამოგზავნეთ დეპუტაცია ნიუტებისა და წიგნების წამოღების თაობაზე მეოქი. დეპუტაცია კი არა და ერთი კაცი გამოგზავნეს, იმას გამოვატანე [უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის] და... როგორც შემდეგ შევითყე. ის კოლექცია დაუნაწილებიათ და გურევიათ სხვა წიგნებში.

IX. ქართული საგუჯარო ქონების ისტორიისათვის

1. [განძეულის საფრანგეთში ჩატანა]

[I ვარიანტი, სქემატური ჩანაწერებითურთ. დაწერილია საფრანგეთში]

ტფილისის დატოვებაზე ორი დღით ადრე მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარემ საღამოს გამომიხებადა, ხეალ დღით ჩვენ ხაზინის ქონებას ევაკუაციას ეუშვრებით და ქუთაისში ვგზავნიით; საჭიროა მუზეუმების უძვირფასესი ნივთებიც გავხიზნოთო...

შევატყობინე ეს ამბავი ყველა მუზეუმთა გამგეებს... მთელი ღამე დაუცხრომლად იმუშავეს და დილას ყუთები მზად იყო. გამოვითხოვეთ „გრუზავიკი“, ჩამოუვარეთ ყველა მუზეუმს და ყუთები გაიგზავნა ქუთაისში. სამუზეუმო ნივთების მეთვალყურედ ნ. ყიფიანი მამა, საქართველოს (ყოფ. კავკასიის) მუზეუმის გამგემ გააყვლა ჩვენგან კარგად ცნობილი იონათამაშვილი. რომელმაც მოგვიტანა წერილობითი დამოწმება, რომ ქუთაისის ხაზინამ უკლებლად მიიღო გაგზავნილი სამუზეუმო ნივთები. ის დამოწმება ყიფიანმა მე მარჩენა.

როდესაც შემდეგ ჩვენ, დამფუძნებელი კრების ყველა წევრი ჩავედით ქუთაისში, ფინანსთა მინისტრმა კ. კანდელაკმა მთხოვა გადამერჩია იქაურ ხაზინაში აგრეთვე შენახული, გელათის მონასტრის ნივთები და გამომეყო, თუ რა იყო მათში სამუზეუმო და რა—არა. ამის მუშაობას რამდენიმე დღე მოუწინადა. ბოლოს. როდესაც წითელი არმია ქუთაისის მოუახლოვდა, მთავრობისა და პარტიათა წარმომადგენლების დადგენილებით გადაწყდა ქონება ჩატანილიყო ბათუმში. იქ მოთავსებულიყო საფრანგეთის კრეიერზე, ხოლო შემდეგ, თუ აუცილებელი გახდებოდა, საზღვარგარეთ ყოფილიყო წაღებული. დამფუძნებელი კრების მიერ მეთვალყურედ დაეინიშნე მე, ხოლო მთავრობის მიერ—ფინანსთა მინისტრის თანაშემწე იოსებ ელიგულაშვილი. ქუთაისის ხაზინაში დიდძალი ქონება იყო დაგროვილი, წასაღები: ხაზინისა, მუზეუმებისა და ეკლესიებისა. მუზეუმთა ნივთები ქუთაისის ხაზინამ უკვე ჩალაგებული და გამზადებული მიიღო. ხოლო საეკლესიო ნივთები, კ. კანდელაკის თხოვნითა და ეკლესიისა და ხაზინის წარმომადგენელთა თანდასწრებით, გადავარჩიე. რაც სამუზეუმო იყო—ჩაეაწყე, რაც არა—მიტროპოლიტ ნახარის მიერ დანიშნულ წარმომადგენელს ეკლესიისას ჩავაბარე სიით და ხელიც მოვაწერინე, რომ მიიღო.

კ. კანდელაკმა, მე, იოსებ ელიგულაშვილმა და ტფილისის ხაზინის გამგებ ბეკვა მთელი ღამე გავატარეთ ქუთაისის ხაზინაში, რომ ნივთები ჩაგველაგებინა, დაკვებულა და ვაგზალზე გასაგზავნად გავემზადებინა. გადაწყვეტილი იყო, რომ ის მატარებელი, რომლითაც ნივთები იგზავნებოდა, ქუთაისიდან ბათუმის მიმართულებით უნდა გამოსულიყო ღამე, გათენებამდის... ამიტომ დღი მუშაობა დაგვიკირდა, რომ მოგვესწრო. ყუთებს ხაზინის საერთო ნუმერაცი: გაუკეთეს, რომ უფრო სწორი ანგარიში გექონოდა. შემდეგ ყუთები დაეთვალით და საერთო რიცხვი დაევიკირეთ. მერმე დაეიწყეთ ყუთების გზავნა სადგურში „გრუზავიკით“, როდესაც ყველაფერი გავამზადეთ. ბეკი და ელიგულაშვილი სადგურზე იყვნენ. მათთან მიქონდათ ყუთები და ბარათები, თუ რამდენი იყო გაგზავნილი. ისინი ყუთებს იღებდნენ. ვაგონებში ათავსებდნენ და თან გვიგზავნიდნენ ბარათებს, თუ რამდენი ყუთი მიიღეს. ამ ოპერაციამ თითქმის გათენებამდის გასტანა. როცა მხოლოდ ორი რიგი დარჩა გასაგზავნი. მე და კ. კანდელაკმა დარჩენილი ყუთები დაეთვალით და მივემართეთ იმ რიცხვს. რომელიც, ბარათების მიხედვით, გაგზავნილად ჩანდა. დააკლდა ერთი ყუთი. ამის ანგარიში მოვითხოვეთ ხაზინის იქ დამსწრე მოხელეებს, შეიქნა მიძებნა-ძებნა და ლაპარაკი, მაგრამ ყუთი არ აღმოჩნდა. შემდეგ მოხელეებმა გვაჩვენეს სხვა ანგარიში, საიდანაც თითქოს ჩანდა, რომ მეტი იყო გაგზავნილი. ამის მერჯე ყუთების ერთი პარტიაც გაიგზავნა და გასაგზავნი დარჩა კიდევ მხოლოდ ერთი პარტია. მაშინ კ. კანდელაკმა მთხოვა. საჩქაროდ წავსულიყავი სადგურზე და, როდესაც უკანასკნელი პარტიაც მოვიდოდა, დაუყოვნებლივ დაეძრულიყავით. მეც ასე მოვიქეცი, გავეშურე ბინაზე. სადაც ჩემი მეუღლე უკვე მზად იყო და მიცდიდა და წვედით სადგურში. იქ უკანასკნელი პარტიაც მისულიყო და ალაგებდნენ ვაგონში, მაგრამ ბეკმა და ელიგულაშვილმა გამომიცხადეს. უკანასკნელის წინ რომ პარტია მოვიდა, იმის ბარათში 31 ყუთი ეწერა, მაგრამ ნამდვილად კი 30 იყო, ასე რომ ერთი ყუთი არ მიგვიღიაო. ამ ამბავმა შემაშფოთა. დაეიწყეთ ძებნა და თვალიერება, თუ რომელი ნომერი აკლდა. მეგულებოდა ერთი განცალკევებული ყუთი, რომელშიც ყველაზე უფრო ძვირფასი საეკლესიო ნივთები იყო და რომლის დატოვებასაც მთხოვდა სამღვდლოებმა. დაეიწყეთ მისი ძებნა და არსად არ აღმოჩნდა. ამას ნახევარი საათი მოვუწდი. შუგ

ამოვიდა, ორთქლმავალიც მზად იყო, მაგრამ ვერ მივიღოდი. თავზარდაცემული დავრჩი: რაც საუკეთესო იყო, დაკარგული მეგონა. ზოგი სად გაგვზავნე, ზოგი—სად, რომ კ. კანდელაკი მოენახათ, გადავწყვიტე, აღარ გამოვსულიყავი ქუთაისიდან, მანამ იმ ყუთს არ იპოვიდნენ. მომზიდველნი იქვე იყვნენ და როცა განუცხადეთ, რომ მათ ერთი ყუთი არ მოუტანიათ, აურზაური ასტეხეს: ჩვენ წელს ვაგწყდით, მთელი ღამე ვიმუშავეთ და მადლობის მაგიერ ქურდობას გეწამებთო? რაც მოგვეცეს, ის მოვიტანეთ, გზაში დაკარგვა შეუძლებელიაო. ჩვენ მანინც გავგზავნეთ კაცები, რომ ის მანძილო. რომელიც „გრუზავიკმა“ გამოიარა, დაეთვალეებინათ, მაგრამ არაფერი აღმოჩნდა. წავედი კ. კანდელაკთან. გავალეძე, ეუთხარი ეს სამწუხარო ამბავი და თან განუცხადე, რომ მე არ შემიძლია, ვეღარ წამოვალ მეთქი. კოწიამ მთხოვა უსათუოდ წამოვსულიყავი. თორემ მთელი ქონება დაგვეკარგება, მერე შეიძლება აღარ გავვიშვანო. დამპირდა, მე აქ კიდევ მოვნახავ, გამოვიძიებ საქმეს და თუ ენახეთ, ნოგაწვეო. სხვა ღონე აღარ მქონდა, დავბრუნდი სადგურზე. ხალხი შეყრილიყო და ჩოჩქოლებდა...

როგორც იყო, გამოვედი ქუთაისიდან. მცველებად გამოგვატანეს ექვსი კაცი „განსაკუთრებული რაზმიდან“. ისინი გზაში უქაყოფილობას აცხადებდნენ. ზირად ჩემთან არაფერი უთქვამთ, მაგრამ ჩემდა გასაგონად და ყოველ შემთხვევაში, გადმოსაცემად ეს ელაპარაკებოდნენ სხვებს: „მათ მაიჭეთ ჩვენი საცხოვრებელი და ჩვენ კი მშვიტ ვკვრებენ; არა, ამას ვერ მოვითმენთ, ვერ გაუშვებთო“ და სხვ.

ბათუმში მთელი ოთხი დღე ვიყავით ვაგონში და ვცვიდით ჩვენ ნივთებს, მანამ—მეხუთე დღეს — არ მოგვეცა საშუალება, რომ გადაგვეტანა კრეისერზე ჩვენი და აგრეთვე ის ყუთები, რომელნიც იმ დროს მოიტანეს ბორჯომიდან [ბიბლიოთეკა დიდი მთავრების სახლისას]. გადაზიდვის დროს ენახე ის ყუთი, რომელიც დაკარგული მეგონა და ჩემ სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. იგი მოქცეულიყო მეორე ყუთს ქვეშ და მიტომ ვერ შეგვეჩინია ქუთაისში. მაგრამ ერთი მანინც აკლდა, ოლონდ რაკი ერთ ყუთს ორი ნომერი ეკრა, გვეგონა, რომ ამან გამოიწვია გაუგებრობა. ამით დავკმაყოფილდით, მით უმეტეს, რომ ქუთაისში ძიებამ დაკარგული ყუთისა ვერავითარი შედეგი ვერ მოგვეცა ყუთები თვლით ჩავაბარეთ კრეისერს და შემდეგ იმავე რიცხვით მივიღეთ სტამბოლში და გადავაბარეთ Bien Hoa-ზე. ასეთივე სათვალავით მივიღეთ მარსელში გემიდან მუხუდუმის ყუთები, რიცხვით ცამეტი. და კი არ მახსოვდა, თუ ცამეტი კი არა, სულ თოთხმეტი იყო. საქმე ისაა, რომ ყუთები მართლაცამეტი იყო და მეც ეს რიცხვი ჩამრჩა თავში, მეთოთხმეტე კი ორ ჯოხზე გეკეთებული სურათები იყო, სამხატვრო გალერეიდან, და იგი გადამავიწყდა.

ასე რომ აქაც სრულიად გულდამშვიდებული დავრჩი. რომ არაფერი დავვიკარგავს. ახლა კი, როდესაც ჩვენი შედგენილი ნუსხის ნომრები შევედარე ყუთების ძველ ნომრებს, რომელნიც ჩამოწერილი და ხელმოწერილი აქვს ქუთაისის ხაზინის გამგეს, აღმოჩნდა, რომ ერთი ყუთი—№ 102 [სურათების შემცველი]—ჩვენ მარსელში არ ჩამოგვაციანია, დაგვეკარგვია. უსათუოდ საქმე გვაქვს ბოროტმოქმედებასთან, რომელიც ქუთაისშია ჩადენილი. ხოლო გამოურკვეველია, ვინ იყო მისი ჩადენი: ხაზინის მოსამსახურენი, რომელნიც ყუთებს აძლევდნენ სადგურზე წასადგებად მილიციონერებს, თუ მილიციონერები, რომელნიც ამ ნივთებს ეუბიებოდნენ სადგურზე?..

ჩვენი მარშრუტი

თებერვალი

- 18—19 პანკია თბილისში
 20—21 სამუზეუმო ნივთების ქუთაისში გამოგზავნა
 24(?) თბილისიდან გამოვედით

მარტი

- 1—2 ქუთაისიდან წამოვედით
 3 ბათუმში მოვედით
 5 დავტვირთეთ გემი ჩვენი ინვენტარით
 6 მატარებლიდან გადავედით სასტუმროში
 11 გამოვედით ბათუმიდან
 14 მოვედით კონსტანტინოპოლში
 20 გამოვედით კონსტანტინოპოლიდან
 23 მერსინში მოვედით
 25 ალექსანდრეტაში მოვედით
 27 ბეირუთში მოვედით
 31 ბიზერტაში მოვედით

აპრილი

- 5 ბიზერტაში მოვედით
 8 ბიზერტა დავტოვეთ
 10 საღამოს მოვედით მარსელში
 11 დილას ჩამოვედით გემიდან და გადმოვალაგეთ ნივთები საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში. მოვთავსდით სასტუმრო „რეჟინა“-ში. იქ დაგვხვდნენ ზ. ავალიშვილი და ანდ. დეკანოზიშვილი.

საფრანგეთის სამხედრო სატრანსპორტო გემი Bien Hoa.

კონსტანტინოპოლში მოვიტანეთ სულ, ბორჯომის ნივთებიანად, 236 ყუთი, ერთი დიდი კალათი და 12 ტომარა. მერმე გადავაწყვეთ ტომრის ნივთები ყუთებში და მარსელში მოვიტანეთ 248 ყუთი და ერთი კალათა, სულ 249. ამათში ქუთაისიდან წამოღებული იყო 175 ყუთი და 12 ტომარა. ბორჯომიდან ბათუმში ჩამოიტანეს 61 ყუთი, ხოლო ხობის მონასტრის ნივთები—ერთი პატარა ყუთი—იქვე ჩამოიტანეს ახალსენაკიდან.

ყუთები დაბეჭდილ იქნა. პარიზში საქართველოს წარმომადგენლობის წარწერით.

• • •

- 1) 1921 წლის თებერვალში გამოვედით ტფილისიდან.
- 2) ვუკოლ ბერიძეს გაუგზავნე წერილი 1935 წლის 5 აპრილს.
- 3) პასუხი მივიღე 1935 წლის 10 მაისს.
- 4) ვაზ. „კომუნისტ“-ში, 1931 წლის № 45-ში, 22 თებერვალს დაიბეჭდა სია ტფილისიდან წამოღებული სამუზეუმო ნივთებისა.
- 5) მეორე ჩემი წერილი ვუკოლისადმი—1935 წლის 26 მაისს.
- 6) მარსელის ბანკი ნივთების (39 ყუთის) შენახვაში იღებდა წელიწადში 2500 ფრანკს. ვადახდილია მხოლოდ ერთი წლისა.

7) სამინისტროს ჩავაბარე ჩემი რაპორტი 1935 წლის 15 მაისს.

8) წიგნები, 27 ყუთი ჩავაბარე 1935 წლის 1 ივლისს [თბილისის უნივერსიტეტში] წასაღებად.

ჩემი გამგზავრება თბილისიდან საფრანგეთში

1921 წლის

- 24 თებერვალს თბილისიდან გამოვედი და მოვედი ქუთაისში.
- 2 მარტს ქუთაისიდან გამოვედი
- 3 მარტს ბათუმში მოვედი
- 5 მარტს დავეტვირთე განძეულობა კრეისერ „ერნესტ რენან“-ზე.
- 6 მარტს გადავედი ვაგონებიდან სასტუმროში.
- 11 მარტს გამოვედი ბათუმიდან.
- 14 მარტს მოვედი კონსტანტინეპოლში.
- 20 მარტს გამოვედი კონსტანტინეპოლიდან, გემით „Bien—Hoa“.
- 23 მარტს მოვედი მერსინაში.
- 25 მარტს მოვედი ალექსანდრეტაში.
- 27 მარტს მოვედი ბეირუთში.
- 31 მარტს გამოვედი ბეირუთიდან
- 5 აპრილს მოვედი ბიზერტში.
- 8 აპრილს წამოვედი ბიზერტიდან
- 10 აპრილს მოვედი მარსელში
- 11 მაისს მარსელის ბანკში დატოვებულ იქნა 1ს7 ყუთი
- 26 მაისს მარსელის ბანკში დატოვებულ იქნა შესანახად სამუზეუმო განძეულობა, 39 ყუთი. სხვა ყუთები ზურაბ ავალიშვილმა მიაბარა პარიზის „გარდ-მებლ“-ში და იქ მან და იოსებ ელიგულაშვილმა მთავრობის ვერცხლეულობა გადაადნეს და 1.200.000 მანეთად გაყიდეს.

ბანკში მიბარებული ყუთების №№ 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99 და 100, 101, 102, 103, 104.

1934 წლის 8 მაისს სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომ ჩვენი განძეულობა შესანახად გადასცემოდა დოჟონს, ვინაიდან მას პატრონი აღარ ჰყავდა. იმავე მოხელეს ებარა მეფის რუსეთის მთავრობის მიერ დატოვებული ქონებაც.

1935 წლის 5 მაისს ჟორდანის „მთავრობისადმი“... [წარდგენილი განცხადების პასუხად]... მეცნობა მთავრობის დადგენილება, რომ უფლება მაქვს წივილო ის ზომები, რომელსაც საჭიროდ დავინახავ.

ქრონოლოგიური ცნობები

1) ჩემი რაპორტი ჩავაბარე საფრანგეთის მთავრობას 1935 წლის 8 მაისს.

2) 1921 წლის 11 მაისს საფრანგეთის ბანკის ლიონის განყოფილებას ჩავაბარეთ 167 ყუთი, ხოლო 21 მაისს ზურაბ ავალიშვილმა და იოსებ ელიგულაშვილმა ბანკიდან გამოიტანეს 128 ყუთი. ბანკში დარჩა 39, მუზეუმის ნივთების შემცველი ყუთი. მათში ერთი ერთი თუჯის ყუთი—ყოფ. „კავკასიის მუზეუმი-სა“. რომელსაც შემდეგ „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი“ დაერქვა, და

აგრეთვე ერთი კალათი (რომელშიც ის ვერცხლის გვირგვინები ელაგა, თავის დროზე დაეით სარაჯიშვილის კუბოს რომ ამკობდა) და ერთი შეკვრა სურათები. მუზეუმების 13 ყუთი არ გაგვიხსნია. ზუგდიდის ყუთები იყო №№ 5, 18, 22, 24, 26, 27, 36.

3) 1936 წლის 2 ივლისს ჩავაბარე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის (პოტიომკინის) მდივანს 27 ყუთი ბორჯომის ყოფ. სასახლის ბიბლიოთეკისა, წიგნები ჩვენი უნივერსიტეტისათვის გამოსაგზავნად. მათში ბევრი იყო აგრეთვე ჩემი შეწირული წიგნები, სამეცნიერო საზოგადოების „Société Asiatique“-ს გამოცემანი.

სამხედრო გემი—„Ernest Renan“.

სატრანსპორტო გემი—„Bien—Hoa“ („ბიენ-ჰოა“).

არააბმულეუმო ნივთები ყუთებით შესანახად მიგზავნეთ Société Nationale de Demonagement-ს. 1921 წლის 7 მაისს.

4) დამფუძნებელი კრების დეკრეტი, რომ სამეგრელოს მთავრის ქონება გადაარიცხოს საქართველოს რესპუბლიკის ქონებაში, გამოვიდა 1920 წლის 21 დეკემბერს.

მარსელში ჩვენ მიერ ჩამოტანილი ნივთები შეიცავდა: 236 ყუთს და 12 ტომარას. ეს ტომრებიც მოვათავსეთ ყუთებში და სულ გამოვიდა 249 ყუთი. ამ აღნიშნული ნომრებიდან 175 ყუთი და 12 ტომარა წამოღებული იყო ქუთაისის ხაზინიდან, 61 ყუთი ბორჯომიდან იყო ბათუმში ჩამოტანილი. ერთი პატარა ყუთი—ხობის მონასტრის ნივთები—ახალსენაკიდან. მარსელში კომისია მუშაობას შეუდგა 1921 წლის 25 აპრილს და დაამთავრა 11 მაისს. ხაზინის 112 ყუთი (ქარხნების ვერცხლი) და მუზეუმების 13 ყუთი არ გაგვიხსნია.

* * *

სასამართლომ 1934 წლის 8 მაისს გამოიტანა დადგენილება, რომ ნივთები დოჟონს გადასცემოდა. დოჟონმა ჩაიბარა ისინი 1934 წლის 30 ნოემბერს (?). დოჟონის სია შედგენილია 1934 წლის სექტემბერ-ოქტომბერში.

ცნობები:

1) Monsieur Abel Chevalley, Ministre Plenipotentiaire, Haute Comissaire de France au Cauase.

2) Cruisier Français „Ernest Renan“.

შემდეგ: Vapeur „Bien-Hoa“.

3) A. Tchenkeli—Envoyé Extraordinaire et Ministre Plenipotentiaire de Georgie en France.

4) ჩვენი ადოკატი: Mr Ch. Pomaret, Deputé.

5) Madame Salomé de Mingrelie, veuve du Prince Alexandre Obolenski.

მუზეუმის ნივთების შეხახებ

1921 წლის 11 მაისს საფრანგეთის ბანკის ლიონის განყოფილებას ჩავაბარეთ 167 ყუთი, ხოლო 21 მაისს ზურაბ ავალიშვილმა და იოსებ ელიგულაშვილმა გამოიტანეს 128 ყუთი და ბანკში დარჩა მუზეუმის ნივთების შემცველი 39 ყუთი (ამათში ერთი თუჯის ყუთი კაკასიის, შემდეგ საქ. სახელმწ. მუ-

ზეუმისა; ერთი კალათი დ. სარაჯიშვილის ვერცხლის გვირგვინებისა და ერთი ც სურათების შეკერა). არ გაგვიხსნია. ზუგდიდის ყუთები იყო შვიდი: №№ 5, 8, 22, 24, 26, 27, 36.

ჩემი მოხსენება საფრანგეთის მთავრობისადმი 1935 წლის 8 მაისს ჩავაბარე მთავრობის კანცელარიას.

1935 წლის 1 ივლისს ჩავაბარე ტფილისში გასაგზავნად ბორჯომის ბიბლიოთეკის 27 ყუთი და ჩემი წიგნებიც.

კონსტანტინეპოლში ჩვენ მიერ მოტანილი ნივთები შეიცავდა 236 ყუთს და 12 ტომარას, სულ საერთოდ 249 ნომერს. იქ ტომრების ნივთები ყუთებში მოვათავსეთ და სულ მარსელში მოვიტანეთ 249 ყუთი.

ამ აღნიშნული ნომრებიდან 175 ყუთი და 12 ტომარა წამოდებული იყო ქ. ქუთაისის ხაზინიდან, 61 ყუთი ჩამოტანილ იქნა ბორჯომიდან ბათუმში და ერთი პატარა ყუთი (ხობის მონასტრის ნივთები)—აბასლენაკიდან.

მარსელში კომისია მუშაობას შეუდგა 1921 წლის 25 აპრილს, დაამთავრა—11 მაისს.

ხაზინის 112 ყუთი (ქარხნების ვერცხლი) და მუზეუმების 13 ყუთი არ გაგვიხსნია.

არა მუზეუმის ნივთები მივაბარეთ შესანახად Société Nationale de Demanagement-ს 7 მაისს.

დეკრეტი სამეგრელოს მთავრის ქონების საქ. რესპუბლიკის ქონებაში გარდაიცვინის შესახებ მიღებულია 1920 წლის 21 დეკემბერს.

2. ბანძულის ბატონის, საფრანგეთში შენახვისა და დაბრუნების ისტორია

[II ვარიანტი, საქართველოში ჩამობრუნების შემდეგ დაწერილი]

1921 წელს, მენშევიკური მთავრობის ემიგრაციის წინ, განძეულობა ჩატანილ იქნა ბათუმში. ძალიან იმედი გვქონდა, რომ არ გახდებოდა საჭირო მისი წაღება საზღვარგარეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ყოფილმა მთავრობამ გადაწყვიტა, თან გაეყოლებინა განძეული. დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც მაშინ იკრიბებოდა ბათუმში, მე დამნიშნა განძეულის მეთვალყურედ და მთავრობამ კი თავის მხრით გამაყოლა მათი ფინანსთა მინისტრის ამხანაგი იოსებ ელიგულაშვილი. იმ დროს საფრანგეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიაში სრულუფლებიან მინისტრად დანიშნული იყო აბელი შევალე. მისი განკარგულებით ის განძეულობაცა და მთავრობის ქონებაც მოთავსებულ იქნა სამხედრო გემზე, რომელსაც სახელად ერქვა „ერენსტ რენანი“. მე და ელიგულაშვილი კი არ აგვიშვეს იმ გემზე, ვინაიდან, მათი თქმით, გემი მოჭედებდა შავ ზღვაზე და ამიტომ მასზე არააშახედრო პირთა ყოფნა არ შეიძლებოდა. შევალემ სიტყვა მოგვცა, რომ როდესაც გემი კონსტანტინეპოლში გაემგზავრებოდა, ჩვენ უსათუოდ მოგვათავსებდა ზედ. მაგრამ მან დაპირება არ შეასრულა: დანიშნულ დღეს ჩვენ ერთი საათით ადრე მივედით ნავთსადგურში, საიდანაც გემი უნდა ამტრულიყო და დავინახეთ, რომ კრესერი უკვე საკმაოდ იყო ნავთსადგურს მოშორებული. ცდა, რომ კატერით დავეწოდით, ამაო შეიქნა. მეტი ღონე აღარ იყო, პატარა კერძო გემით უნდა წავსულიყავით კონსტანტინეპოლისაკენ.

ღარი ცული შეგვხვდა. იმდენად შეარყია ლელვამ გვი, რომ კაპიტანს ხსნის იმედს დაეკარგა და ყველას გამოგვიცხადა. გადასარჩენი ფრთები წამოგვესხა. საბედნიეროდ, ორი საათის შემდეგ ამინდი შეიცვალა. ამრიგად, სამუალება მოგვეცა მიგვეღწია კონსტანტინეპოლისათვის. იქ დაგვხვდა ის კრიესერი „ერნესტ რენანი“. გვეგონა, რომ ჩვენცა და ჩვენი ნივთებიც იმ კრიესერით მივიღოდით მარსელში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა: გამოსცეს განქარაგულება, ნივთები გადაეტანათ ღიღსა და დაძველებულ სატრანსპორტო გემზე. რომელსაც „ბიენ-ჰოა“ („Bien-Hoa“) ეწოდებოდა. მისი დანიშნულება იყო მოველო მცირე აზიის, ევკვიპტისა და ჩრდილო აფრიკის ყველა ნავთსადგურს. რათა საფრანგეთში წაეყვანა იქ მყოფი დაჭრილები და ავადმყოფები. ეს ამბავი არ გვესიამოვნა. მაგრამ სხვა რა გზა იყო, უნდა წვეკრიგებოდით.

პირადად ჩვენ პატივით მივიღეს და კაპიტანს განქარაგულება მისცეს. მასთან ერთად მიგველო საზარლო მე და ჩემს მეუღლეს. ეს მოულოდნელი იყო ჩვენთვის, ვინაიდან კაპიტანთან უცხოთა მიერ საზარდოს მიღება წესსა და დისციპლინას არღვევდა. საბედნიეროდ, კაპიტანი ღიღად პატიოსანი და თავაზიანი კაცი აღმოჩნდა ჭკვარად ვინდიერი იყო. ყველა ნავთსადგურში, სადაც კი მოიხურებდით, კატრით გადაგვსვამდა ხოლმე ქალაქის დასათვალეერებლად. ამინდს კარგი შეგვხვდა. ტუნისში რომ მივედით, კაპიტანმა პაეროვანი ტელეგრაფით მიიღო ბრძანება. რომ წასულიყო კორსიკის კუნძულზე ერთი გემის გადასარჩენად. ამ ამბავმა ჩვენი კაპიტანს ღიღად შეაწუხა და მან გვითხრა, სახიფათო იქნება. რადგან კორსიკასთან ბევრი წყალქვეშა კლდეაო. მაგრამ მეტი გზა არა ჰქონდა. გაემგზავრა. საბედნიეროდ, ნახევარი საათის შემდეგ მოუვიდა მეორე ტელეგრამა: იმ გემს, რომელიც იღუპებოდა, უკვე უშველესო.

ამრიგად, ტუნისიდან გასულნი პირდაპირ მარსელში გავემგზავრეთ და მშვიდობით ჩავედით.

ჩვენი გემის შესახებ თვით კაპიტანი ცული აზრისა იყო და ამბობდა, მეტიც მეტად დაძველებულია. ერთი-ორი რეისის შემდეგ ხმარებიდან გამოვაო. როგორც შემდეგ გაზეთში წავიკითხე. მართლაც ასე მომხდარიყო.

მე ტელეგრამით ეთხოვე ა. ჩხენკელს, მენშევიკების მთავრობის წარმომადგენელს პარიზში. გამოეგზავნა მარსელში კომისია, რომელიც გამოყოფდა სამუხეტუმო ქონებას „მთავრობის“ ქონებისაგან (ამ უქანასკნელში საკმაოდ იყო სახაზინო ნივთები და ვერცხლუეულობა). ა. ჩხენკელმა გამოგზავნა საქართველოდან გაქეული „მთავრობის“ საქმეთა მმართველად დანიშნული ერთი დიპლომატი და აგრეთვე ანდრია დეკანოზიშვილი. ამრიგად, კომისიაში შევედით ოთხი კაცი. მე, იოსებ ელიგულაშვილი და ის ორი პირი ზიდან გამოგზავნილი.

ნანამ მარსელში მივიღოდით, კაპიტანმა გაუგზავნა პაეროვანი ტელეგრამა მარსელის მთავრობას, რომ დაეხვედრებინათ სამხედრო მცეელები ვანძეულობის მარსელის ბანკში გადასატანად. მთავრობამ ამ საქმეში ღიღი სიფრთხილი გამოიჩინა და გამოიწერა სენეგალის პოლცი, რომელიც საფრანგეთის ხელოსუფლების მიერ მიჩნეული იყო ყველაზე უპატიოსნეს სამხედრო ერთეულად. ისე რომ ისინიც თავიანთი ქონების სადმე გადატანისას მხოლოდ იმ პოლსს ენდობოდნენ. ჩვენი ნივთებიც ზენეგალის პოლცმა აღყაშემორტყმით გადაიტანა გემიდან მარსელის ბანკში.

ამის შემდეგ დაიწყო კომისიამ მუშაობა, რამაც ერთ თვეს გასტანა. სამუშეო ნივთები მოვათავსეთ 39 ყუთში და ხელწერილით მივაბარეთ მარსელს ბანკს.

მას რომ მოვრჩით, მე და დეკანოზიშვილი პარიზს გავემგზავრეთ. დანარჩენი ორი კაცი კი მარსელში დარჩა: მათ „მთავრობს“ დავალებით ლიკვიდაცია უნდა ექნათ სახაზინო ნივთებისა და ვერცხლელუბათიანი ჯა კიდევაც უქნეს.

სამუშეო ნივთების შენახვის სასყიდლად მარსელის ბანკმა წელიწადში 2.500 ფრანკი მოითხოვა. მას მერმე ის ნივთები ხელუხლებლად ინახებოდა იმ ბანკში, სანამ საფრანგეთის მთავრობამ არ გააუქმა მენშევიკების ლევალია.

ჩვენს განმეულობას საფრანგეთში ბევრი მტერ-მოყვარე და ცოლისმწამებელი აღმოუჩნდა. მოყვრებად მოჰქონდათ თავი მყიდველებს, რომელთაც უნდოდათ ცალკეული იშვიათი ნივთების შექენა.

პირველ ყოვლია მოვიდა ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი და დაუწყო მოლაპარაკება მენშევიკებს, რომ მიეყიდათ მათთვის მინანქრიანი ხატები და მედალიონები. ჩვენებურ მინანქართა ერთი დიდი კოლექცია იმ მუზეუმს ადრე ჰქონდა შექენილი ზვენიგოროდსკისაგან. რომელიც ალექსანდრე მესამის დიდი მოხელე იყო. ერთ დროს ვინმე საბინ-ვუსმა ვგზარქოსის ნებართვით მოიპოვა უფლება განეახლებინა ძველი შემკულობა საქართველოს ეკლესიათა ხატებზე. მან ბოროტად გამოიყენა ეს უფლება, მოსპო ბევრი ძველი ხატი და მათი მინანქრიანი მედალიონები კი მიჰყიდა კოლექციონერ ზვენიგოროდსკის. როგორც ცნობილია, მინანქრის ხელოვნება დიდად იყო საქართველოში გავრცელებული და ჩვენებურ ხატებზე ხშირად ეკრა მედალიონები—ბიზანტიურიცა და ქართულიც. თუმცა იციან მინანქრიანი ხატებისა და სხვა საეკლესიო ნივთების დამზადების რეცეპტი. მაინც ვერავინ ახერხებს ამ ხელობის აღდგენას. ზვენიგოროდსკიმ ჩვენ მინანქრებში ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმისაგან“ მიიღო 200.000 მანეთი. რაც იმ დროისათვის ერთობ დიდი ფული იყო. ახლა კი მუზეუმმა და მისმა დირექტორმა მოინდომეს ქართული მინანქრების კოლექციის უფრო მეტად შევსება.

დირექტორმა ვერ ჰკითხა ყოფ. მთავრობის თავმჯდომარეს, რით ცხოვრობო? თავმჯდომარემ უპასუხა, გვყავს მოყვრები, მაგრამ. რასაკვირველია, ეს არა კმარა და ხელმოკლედა ვართო. მაშინ დირექტორმა უთხრა, მაგ მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ, თუ მინანქრების განმეულს მოგვეყიდითო. ეს რომ ჩემ ყურამდის მოვიდა, განვუცხადე თავმჯდომარესაც და ნიუ-იორკის მუზეუმის დირექტორსაც, რომ გაყიდვაზე საუბარი ყოვლად შეუძლებელია. ბევრი წუწუნისა და ლაპარაკის შემდეგ მუზეუმის დირექტორმა ასეთი წინადადება მისცა ემიგრაციის ხელმძღვანელობას: მოგვეცით პირობა, რომ ამ ნივთებს არ გაჰყიდით და თუ დააპირებთ, ისევ ჩვენ მოგვეყიდით, რა თქმა უნდა. შესაფერ თვასად, ხოლო ამ პირობის ძალით კარგა დიდ თანხას გასესხებთო. იმათ თითქოს მოეწონათ ეს წინადადება და მზად იყვნენ პირობის მისაცემად. მე, რასაკვირველია, უარი ვთქვი: რა პირობა უნდა მოგვეცეთ? ნუთო ის, რომ ჩვენ კრიმინალურ საქციელს არ ჩავიდნენ და სხვის მიერ დასაცავად მობარებულ ნივთებს არ გაჰყიდით მეთქი? ყველა პატიოსან კაცს მოეთხოვება ელენენტარული სინიდიისიერება, რომ მობარებული ნივთი ხელუხლებლად შეინახოს მეთქი! ვალის აღება ადვილია და გადახდა კი ძნელი მეთქი! ვინც მაგის-

თანა პირობასა გთხოვთ, მან კარგად იცის, რომ თქვენ ვალს გადახდა არ შეგძლებათ და, ბოლოს და ბოლოს, იმ ვალს არ შეგარჩენენ მეთქი!

რაკი მე ხელი არ მოუწერე იმ პირობაზე, ეს კომბინაცია, რა თქმა უნდა, ჩაიშალა.

შემდეგ ბრიტანეთის მუზეუმმა დაუწყო მოლაპარაკება ყოფილ მთავრობას, რომ ქსნის სახალგორისი იმ განძიდან, რომელიც ჩემ მიერ იყო შეკრებილი და მუზეუმისათვის შექნილი, ერთი რომელიმე საუკეთესო ნივთი ღვეთნოთ მისთვის. სამაგიეროდ პირდებოდნენ მთელი ჩვენი განძეულობა უსასყიდლოდ შეენახათ თავიანთთან და მისი ალბომები გამოეცათ. სამისოდ ინგლისელი ისტორიკოსი ქართველთმცოდნე ალენი მოუგზავნეს და შუაგულად ერთი ემიგრანტი პროფესორი აირჩიეს. უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ამ წინადადებით პირველად ჩემთან მოვიდა და ყველაფერი გამომიცხადა. ის თოქოვ თანახმა იყო იმ კომბინაციისა, მაგრამ მე უარი ვუთხარი. ნივთები მუზეუმთან კუთვნილებად ითვლება მეთქი. ამრიგად, კვლავ მოისპო ნივთების გაყიდვისა თუ დათმობის საკითხი.

როგორც ვხედავთ, არ შეეფერებოდა სიმართლეს აქაურ პრესაში ერთ ხანს გამოსული ხმა. თითქოს მენშევიკებმა აიძულეს ე. თაყაიშვილი, განძეულის ყუთები გაეხსნა და ნივთები გაყიდესო. ეს ვერც მათ და ვერც სხვამ ვერ მოახერხეს.

ჩვენს განძეულობას საფრანგეთშიც აღმოუჩნდა მტერი. იმ დროს იქ ცხოვრობდა გრაფ ობოლენსკის ქვრივი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დადიანის ასული (სალომე). მან მოგვთხოვა დაგვებრუნებინა მისთვის სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან წამოღებული ნივთები. უნდა მოგახსენოთ, რომ მენშევიკურმა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც სამეგრელოს მთავრის მთელი ქონება სახელმწიფოს კუთვნილებად გამოაცხადა. ჩვენიც, რა თქმა უნდა, უარით ვუპასუხეთ ობოლენსკის ქვრივს. მან სასამართლოს მიმართა და დაიწყო პროცესი, რომელიც 7 წელიწადს გაგრძელდა.

ობოლენსკისას ბევრი დამხმარე აღმოუჩნდა იქაურ არისტოკრატიაში. მის საჩივარს ირგვლივ მაგარი სპეკულაცია გაჩაღდა. მომჩივანმა გაბერა დადიანების სასახლიდან წამოღებული ნივთების სია და ისე გამოდიოდა, თითქოს აქედან საფრანგეთში გატანილი განძეულის ნახევარი სამეგრელოს მთავრის ქონება ყოფილიყოს. საჩივრის საფუძველი ის იყო, რომ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას უფლება არ ჰქონდა დეკრეტის ძალით ჩამოერთვა ის ქონება, ენიანიდან სამეგრელოს მთავარი რუსეთის ქვეშევრდომი იყო და არა საქართველოსი. რა თქმა უნდა, სასამართლომ ეს მოტივი არ მიიღო, ვინაიდან საქართველო თავისუფალ სახელმწიფოდ იყო ცნობილი თვით საფრანგეთის მთავრობის მიერ. კომბინატორებმა დიდი ფული დახარჯეს ობოლენსკის ქვრივის დასახმარებლად—იმ იმედით, რომ პროცესს მოიგებდნენ და ერთი ათად მეტ თანხას მიიღებდნენ. ერთი მათგანი სიკვდილითაც კი მემუქრებოდა. პროცესი რომ საბოლოოდ წააგო, ობოლენსკის ქვრივმა გერმანიას მიამურა და მისი დამქმნე კომბინატორები ხელკარიელი დარჩენ.

ეს პროცესი მაშინ გათავდა, როდესაც მენშევიკების მთავრობა საფრანგეთის ხელისუფლების მიერ უკვე უარყოფილი იყო. ამიტომ სასამართლომ ობოლენსკის ქვრივს კი უთხრა უარი, მაგრამ თან დაადგინა: მენშევიკების მთავრობა რაკი აღარ არსებობს, საქართველოს განძეულობა უპატრონოდ გამოცხად-

დეს და შესაძლებლად გადაეცეს მოსიე დოქონსო. იმ დოქონს უკვე ებარა მეფის რუსეთის მიერ საფრანგეთში დატოვებული ქონება.

რაკი მენშევიკური მთავრობა გაუქმებულად გამოცხადდა და მას განძეულს პატრონობაც ჩამოერთვა, განუცხადე მის ყოფილ ხელმძღვანელებს. ამიერიდან მე გამოვიდვიარ მეტი საფრანგეთის მთავრობის წინაშე, როგორც განძეულის მცველი და შენახვის მეთვალყურე. ეს განცხადება მოეწონათ, ვინაიდან თავიდან ეხსენებოდათ განძეულზე პასუხისმგებლობა: ისინი თითქმის დარწმუნებული იყვნენ, რომ მისი დაბრუნების იმედი დაკარგულია და გადმომცეს ამონაწერი ამ საქმის შესახებ გამოტანილი დადგენილებიდან. მაცნობებდნენ, რომ დამფუძნებელმა კრებამ და მუზეუმთა გამგეობებმა დამინიშნეს განძეულის მომვლელად და მეთვალყურედ; რომ უფლება მაქვს ისე მოვიქცე: როგორც საქიროდ მივიჩნევ და რომ მე ვიქნები პასუხისმგებელი როგორც მუზეუმების, ისე საქართველოს წინაშე.

ამის შემდეგ შევადგინე მოხსენება საფრანგეთის მთავრობისადმი, რომელშიც ვწერდი: ის სამუზეუმო განძეული, რომელიც სასამართლოდ დოქონს ჩააბარა, არ ეკუთვნოდა არც საქართველოს მთავრობას და არც, მით უმეტეს, რუსეთის ყოფილ მთავრობას; იგი შეადგენს მისე კერძო დამწესებულებათა კუთვნილებას, როგორც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და მისი მუზეუმი, ჩემ მიერ დაარსებული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, საქართველოს სამღვდელთა „საეკლესიო მუზეუმი“ და კერძოდ დაარსებული მხატვართა საზოგადოება; ამ საზოგადოებებმა თავიანთი ქონება შესაძლებლად და მოსაველად მიიბარეს მთავრობას და ამიტომ იგი ამ უკანასკნელის სახელზე იყო შეტანილი მარსელის ბანკში. რადგან ეს მთავრობა ცნობილი იყო საფრანგეთის მთავრობის მიერ, როგორც დამოუკიდებელი ანუ თვითმპყრობელი სახელმწიფოს მთავრობა; ახლა რაკი იმ მთავრობას აღარ სცნობენ, განძეულიც უნდა დაუბრუნდეს თავთავიანთ მუზეუმებს.

საფრანგეთის მთავრობამ ამ ჩემ განცხადებაზე პასუხი არ მომცა. ჩვენი დამცველი შ. პომარე საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატი იყო. ის მარწმუნებდა. მთავრობა ვერ შეიძლებს მაგ განძეულის მითვისებას. თუკი დაეუბტიკებთ, რომ ყოველივე ეკუთვნოდა კერძო საზოგადოებებსაო.

ჩემი მოხსენების პირი გამოუგზავნე საქართველოში ვუკობერიძეს. იმჟამად მეცნიერებთ მთავარი სამმართველოს უფროსის, რათა გადაეცა რესპუბლიკის მთავრობისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს მოველინებინა პარიზში სათანადო დეპუტაცია და საბუთები, რომლებშიც აღნიშნული იქნებოდა, თუ რა დაწესებულებას რა ნივთები ეკუთვნოდა, აგრეთვე იმ დაწესებულებათა წესდებანი და კატალოგები. დეპუტაციას უნდა მოეთხოვა საფრანგეთის მთავრობისათვის განძეულის დაბრუნება. იგი უნდა შემდგარიყო ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთაგან. მაგრამ საქართველოდან ასეთი დეპუტაციის მაგიერ გამოგზავნეს [დიპლომატი] ვიქტორ კვიციანი — კარგი კაცი, ოღონდ განძეულის საქმეში ნაკლებ ჩაბედული. ამ უკანასკნელზე ზრუნვა მიანდეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს საფრანგეთში პოტიომკინსა და იმავე კვიციანიშვილს. პოტიომკინმა გამომიგზავნა თავისი მდივანი და მოხოვა გამეცნო მათთვის და კვიციანიშვილისათვის საქმის ვითარება.

მეც ჩავედი ლევილიდან პარიზში და შევუდქით მუშაობას. გადავეცი ჩემი რაპორტები ანუ მოხსენებანი საფრანგეთის მთავრობისადმი და სხვა მასალები

ჩვენი მუშაობა გაგრძელდა თითქმის ერთ თვეს, მაგრამ ამოდ კი ჩაიარა: პო-
ტიომკინმა მიცნობა. სამწუხაროდ ჯერ არაფერი გამოდისო.

ამის შემდეგ ვაპირებდი საჩივრის აღძვრას სასამართლოში. მაგრამ ამასო-
ბასი საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გახდა სოციალისტი ლეონ
ბლიუმი. რომელიც დიდად დაახლოებული იყო მენშევიკების მთავრობას-
თან—შეხვედრისას ერთიმეორეს კოცნიდნენ ზოლზე. ამიტომ იმედი მომეცა.
ეგებ მან მაინც დაგვიბრუნოს განძეული მეთქი. მასაც გავუგზავნე ჩემი რაპორ-
ტი და პირადად მოსალაპარაკებლად ვაახლე სიმონ მდივანი. რომე-
ლიც მენშევიკების მიერ თურქეთში იყო ელჩად გაგზავნილი. ბლიუმმა თქმით კ-
უთხრა, განვიხილავთ მაგ საქმესო, მაგრამ არც არა განუხილავს რა და არც
პასუხი გაუცია ჩემთვის.

მერე დაიწყო [მეორე] მსოფლიო ომი და ფაშისტურმა გერმანიამ საფ-
რანგეთი დაიპყრო. პირველად რომ მოვიდნენ პარიზში გერმანელები, მე და-
ეებზეზღებინეთ მათთან, როგორც გერმანიის მოწინააღმდეგე. ამიტომ თავს
დამადგენე გასახზრეკად. სამი კაცი იყო: ერთი სამხედრო პირი—პოლკოვნიკი.
მეორე—საერო პირი, გამომძიებელი და მესამე—მათი დამხმარე. ჩემს ბი-
ნაში მედგა დიდი ყუთები, რომლებშიც საკელსიო და სხვა არქეოლოგიურა
ნივთები იწყო. პირველად მომთხოვეს გახსნა ერთი ყუთისა. რომელშიც სწო-
რედ საეკლესიო საგნები აღმოჩნდა. პოლკოვნიკმა ერთი-ორი ნივთის გასინჯ-
ვის შემდეგ ხელი დამიქნია. დახურეთო. იმ დროს გამომძიებელი ათვალიე-
რებდა ქალაღდებს, რომელშიც იყო მენშევიკების მიმოწერა II ინტერნაციო-
ნალთან. ამან იგი დაინტერესა და დაარწმუნა, თითქოს. იმ სახლში მცხოვრებ-
ნი ყველანი [მენშევიკები] ეიყავით. მან უთხრა პოლკოვნიკს. მეორე ყუთი
გასინჯეთო. გავუხსენი ის ყუთიც და ვაჩვენე, რაც პირველი მომხვდა ზელში—
ნაპოლეონ პირველის პატარა ქანდაკება. პოლკოვნიკმა ისევ გააქნია ხელი და
თვითონვე დახურა ყუთი. მე ვუთხარი, მეორე ინტერნაციონალთან მიწერ-მო-
წერას ჩვენი ყოფ. მთავრობა აწარმოებს, მე კი მათ პარტიას არც ვეკუთვნი და
მხოლოდ არქეოლოგიას ვემსახურები მეთქი. მათ სხვა ვერაფერი ნახეს და ისე
წავიდნენ, აღარ შევეუწუხებივართ.

მაგრამ ნაცისტებს ბერლინში ზოგიერთი ქართველი მიმხრობოდა და
ჰიტლერის თაყვანისმცემელი გამხდარიყო. ისინი დაუფიქრებლად დარწმუ-
ნებული იყვნენ, ჰიტლერი საქართველოს თავისუფლებას მიანიჭებსო... მათ
დააჯერეს და გერმანიაში წაიყვანეს პროფ. ზ. ავალიშვილი. რომელიც იქ უღ-
როვოდ დაიღუპა კიდევაც (ქალაქის დაბომბვისას) და მასთან ერთად დაგვე-
ყარა აუარებელი ისტორიული მასალა საქართველოს შესახებ. რომელიც
ავალიშვილს ჰქონდა შეგროვილი.

ჰიტლერისადმი ბრძალ მიმხრობილი ქართველი ემიგრანტები აღარ ითვა-
ლისწინებდნენ, რომ ის კაციჰამია რუსეთის დამარცხების შემთხვევაში არც
საქართველოს დააყრიდა კარგ დღეს. რატომღაც ეგონათ, მცირე ავტონომიას
მოგვეცხსო. მენშევიკების დროს ჩვენი გერმანიის ელჩად ნაყოფი დიპლო-
მატიკ ვითომ ცდილობდა ამის შთაგონებას „ფიურერისათვის“, ქართველები
ძველი კულტურის ერა და ავტონომიის ღირსნი არიანო. მაგრამ ჰიტლერი
ამას აიხუნშიც არ ავდებდა. და აი, გასაოცარი ამბავი კი იყო, მაგრამ ბერლი-
ნელი ქართველები ზოგნი მაინც დაუფიქრებლად მისდევდნენ ჰიტლერს.

გერმანიაში გადასვლაზე გადაჭრილი უარი ვუთხარი: მე აქ ქართულ მუ-
ხეუბთა განძეულობის მეთვალყურედა ვარ გამოგზავნილი და აქვე უნდა დავ-

დეს და შესანახად გადაეცეს მოსიე დოჟონსო. იმ დოჟონს უკვე ებარა მეფის რუსეთის მიერ საფრანგეთში დატოვებული ქონება.

რაკი მენშევიკური მთავრობა გაუქმებულად გამოცხადდა და მას განძეულის პატრონობაც ჩამოერთვა, განუუცხადე მის ყოფილ ხელმძღვანელებს. ამიერიდან მე გამოვდივარ მეთქი საფრანგეთის მთავრობის წინაშე, როგორც განძეულის მცველი და შენახვის მეთვალყურე. ეს განცხადება იოგწონათ, ვინაიდან თავიდან ეხსენებოდათ განძეულზე პასუხისმგებლობა: ისინი თითქმის დარწმუნებული იყვნენ, რომ მისი დაბრუნების იმედი დაკარგულია და გადმომცეს ამონაწერი ამ საქმის შესახებ გამოტანილი დადგენილებიდან. მაცნობებდნენ, რომ დამფუძნებელმა კრებამ და მუზეუმთა გამგეობებმა დამნიშნეს განძეულის მომვლელად და მეთვალყურედ; რომ უფლება მაქვს ისე მოვიქცე. როგორც საჭიროდ მივიჩნევ და რომ მე ვიქნები პასუხისმგებელი როგორც მუზეუმების, ისე საქართველოს წინაშე.

ამის შემდეგ შევადგინე მოხსენება საფრანგეთის მთავრობისადმი, რომელშიც ვწერდი: ის სამუზეუმო განძეული, რომელიც სასამართლომ დოჟონს ჩააბარა, არ ეკუთვნისთავად არც საქართველოს მთავრობას და არც, მით უმეტეს, რუსეთის ყოფილ მთავრობას; იგი შეადგენს ისეთ კერძო დაწესებულებათა კუთვნილებას, როგორც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და მისი მუზეუმი, ჩემ მიერ დაარსებული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, საქართველოს სამღვდელთა „საეკლესიო მუზეუმი“ და კერძოდ დაარსებული მხატვართა საზოგადოება; ამ საზოგადოებებმა თავიანთი ქონება შესანახად და მოსავლელად მიაბარეს მთავრობას და ამიტომ იგი ამ უკანასკნელის სახელზე იყო შეტანილი მარსილის პანკში. რადგან ეს მთავრობა ცნობილი იყო საფრანგეთის მთავრობის მიერ, როგორც დამოუკიდებელი ანუ თვითმპყრობელი სახელმწიფოს მთავრობა; ახლა რაკი იმ მთავრობას აღარ სცნობენ, განძეულიც უნდა დაუბრუნდეს თავთავიანთ მუზეუმებს.

საფრანგეთის მთავრობამ ამ ჩემ განცხადებაზე პასუხი არ მომცა. ჩვენი დამცველი შ. პომარე საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატი იყო. ის მარწმუნებდა, მთავრობა ვერ შეიძლებს მაგ განძეულის მითვისებას. თუკი დაუშტკიცებთ, რომ ყოველივე ეკუთვნისთავად კერძო საზოგადოებებსაო.

ჩემი მოხსენების პირი გამოვუგზავნე საქართველოში ვუკოლბერიძეს [იმჟამად მეცნიერების მთავარი სამმართველოს უფროსს], რათა გადაეცა რესპუბლიკის მთავრობისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს მოევლინებინა პარიზში სათანადო დეპუტაცია და საბუთები, რომლებშიც აღნიშნული იქნებოდა, თუ რა დაწესებულებას რა ნივთები ეკუთვნისთავად, აგრეთვე იმ დაწესებულებათა წესდებანი და კატალოგები. დეპუტაციას უნდა მოეთხოვა საფრანგეთის მთავრობისათვის განძეულის დაბრუნება. იგი უნდა შემდგარიყო ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთაგან. მაგრამ საქართველოდან ასეთი დეპუტაციის მაგიერ გამოგზავნეს [დიპლომატი] ვიქტორ კვიციანი—კარგი კაცი, ოღონდ განძეულის საქმეში ნაკლებ ჩახედული. ამ უკანასკნელზე ზრუნვა მიანდეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს საფრანგეთში პოტიომკინსა და იმავე იტიანიშვილს. პოტიომკინმა გამომიგზავნა თავისი მდივანი და მთხოვა გამეცნო მათთვის და კვტრაშვილისათვის საქმის ვითარება.

მეც ჩავედი ლევილიდან პარიზში და შევედქეთ მუშაობას. გადავციე ჩემი რაპორტები ანუ მოხსენებანი საფრანგეთის მთავრობისადმი და სხვა მასალები

ჩვენ მუშაობა გაგრძელდა თითქმის ერთ თვეს, მაგრამ ამოდ კი ჩაიარა: პო-
ტიომკინმა მაცნობა. სამწუხაროდ ჭერ არაფერი გამოდისო.

ამის შემდეგ ვაპირებდი საჩივრის აღძვრას სასამართლოში. მაგრამ ამასო-
ბაში საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გახდა სოციალისტი ლეონ
ბლიუმი. რომელიც დიდად დაახლოებული იყო მენშევიკების მთავრობას-
თან—შეხვედრისას ერთიმეორეს კოცნიდნენ ხოლმე. ამიტომ იმედი მომეცა.
ვგებ მან მაინც დაგვიბრუნოს განძებული მეთქი. მასაც გაუგზავნე ჩემი რაპორ-
ტი და პირადად მოსალაპარაკებლად ვახლად სიმონ მლიეანი. რომე-
ლიც მენშევიკების მიერ თურქეთში იყო ელჩად გაგზავნილი. ბლიუმმა თქმით კ-
უთხრა, განვიხილავთ მაგ საქმესაო, მაგრამ არც არა განუხილავს რა და არც
პასუხი გაუცია ჩემთვის.

მერე დაიწყო [მეორე] მსოფლიო ომი და ფაშისტურმა გერმანიამ საფ-
რანგეთი დაიპყრო. პირველად რომ მოვიდნენ პარიზში გერმანელები. მე და-
ვეებზედღებინეთ მათთან, როგორც გერმანიის მოწინააღმდეგე. ამიტომ თავს
დამადგნენ გასაჩხრეკად. სამი კაცი იყო: ერთი სამხედრო პირი—პოლკოვნიკი.
მეორე—საერო პირი, გამომძიებელი და მესამე—მათი დამხმარე. ჩემს ბი-
ნაში შედგა დიდი ყუთები, რომლებშიც საკელსიო და სხვა არქეოლოგიურა
წივები ეწყო. პირველად მომთხოვეს გახსნა ერთი ყუთისა, რომელშიც სწო-
რედ საეკლესიო საგნები აღმოჩნდა. პოლკოვნიკმა ერთი-ორი ნივთის გასინჯ-
ვის შემდეგ ხელი დამიჭნია. დახურეთო. იმ დროს გამომძიებელი ათვალე-
რებდა ქაღალდებს, რომელშიც იყო მენშევიკების მიმოწერა II ინტერნაციო-
ნალთან. ამან იგი დაინტერესა და დააწმუნა, თითქოს, იმ სახლში მცხოვრებ-
ნი ყველანი [მენშევიკები] ვიყავით. მან უთხრა პოლკოვნიკს, მეორე ყუთიც
გასინჯეთო. გაუხსენი ის ყუთიც და ვაჩვენე, რაც პირველი მომხვდა ხელში—
ნაპოლეონ პირველის პატარა ქანდაკება. პოლკოვნიკმა ისევ გააქანა ხელი და
თვითონვე დახურა ყუთი. მე უთხარი, მეორე ინტერნაციონალთან მიწერ-მო-
წერას ჩვენი ყოფ. მთავრობა აწარმოებს, მე კი მათ პარტიას არც ვეკუთვნი და
მხოლოდ არქეოლოგიას ვემსახურები მეთქი. მათ სხვა ვერაფერი ნახეს და ისე
წავიდნენ, აღარ შევუწყუბებიათ.

მაგრამ ნაცისტებს ბერლინში ზოგიერთი ქართველი მიმხრობოდა და
პიტლერის თაყვანისმცემელი გამხდარიყო. ისინი დაუფიქრებლად დარწმუ-
ნებული იყვნენ, პიტლერი საქართველოს თავისუფლებას მიანიჭებდესო... მათ
დააჯერეს და გერმანიაში წაიყვანეს პროფ. ზ. ავალიშვილი. რომელიც იქ უღ-
როვოდ დაიღუპა კიდევაც (ქალაქის დაბომბვისას) და მასთან ერთად დაგვე-
კარგა აუარებელი ისტორიული მასალა საქართველოს შესახებ, რომელიც
ავალიშვილს ჰქონდა შეგროვილი.

პიტლერისადმი ბრმად მიმხრობილი ქართველი ემიგრანტები აღარ ითვა-
ლისწინებდნენ, რომ ის კაციჟამია რუსეთის დამარცხების შემთხვევაში არც
საქართველოს დააყრიდა კარგ დღეს. რატომღაც ეგონათ, მცირე ავტონომიას
მოგვეცემსო. მენშევიკების დროს ჩვენში გერმანიის ელჩად ნამყოფი დიპლო-
მატიკ ვითომ ცდილობდა ამის შთაგონებას „ფიურერისათვის“, ქართველები
ძველი კულტურის ერია და ავტონომიის ღირსნი არიანო. მაგრამ პიტლერი
ამას იწუნებდა არ ავღებდა. და აი, გასაოცარი ამბავი კი იყო, მაგრამ ბერლი-
ნელი ქართველები ზოგნი მაინც დაუფიქრებლად მისდევდნენ პიტლერს.

გერმანიაში გადასვლაზე გადაჭრილი უარი უთხარი: მე აქ ქართულ მუ-
ხეთმთა განძეულობის მეთვალყურედა ვარ გამოგზავნილი და აქვე უნდა დავ-

რჩე. სანამ მას არ მივიღებ მეთქი. ამან მეორე საშიშროება წარმოშვა: ბოლოს და ბოლოს. გერმანელებმა მოინდომეს განძეულობის მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობისაგან და ბერლინში გადატანა და კიდევაც დაიწყო მოლაპარაკება. ამ გასაქირში დავიხმარე ერთი დიდი საქმოსანი, ქართველი გ. ბ., რომელსაც... დიდი გავლენა ჰქონდა. მან მე დამიჭირა მხარი და არ დაეთანხმა ზოგიერთ ემიგრანტს, რომლებიც განძეულობის გერმანიამ წაღებას საჭიროდ მიიჩნევდნენ. მევე მომხრო ზემოხსენებული პროფესორი, რომელიც არწმუნებდა გერმანელებს. ეს განძეული მართო საქართველოსათვის არის ღირებულო. როგორც ისტორიული საბუთებო. თორემ სხვებისათვის არაფერი სახარბიელოაო. ჩვენი ქრნების მცველად ფრანგების მიერ აგამოყოფილმა დოკონამა მიიხრა შემდეგ გ. ბ. რომ დათანხმებოდათ. გერმანელები უთუოდ გვაიძულებდნენ, მოგვეცა თქვენი განძეულობაო.

ამრიგად, როგორც იქნა, ეს განსაცდელიც ავაშორე თავიდან განძეულობას.

მისი საქართველოში დაბრუნების საკითხი გადაწყვეტა საბჭოთა კავშირის უმაგალითო გამარჯვებამ მეორე მსოფლიო ომში. რის შედეგადაც გერმანელებმა მიატოვეს პარიზი და ფრანგებმაც სული მოითქვეს. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა საბჭოთა სახელმწიფოს... საფრანგეთში. ფრანგებმა მასზე „ლოცულობდნენ“...

იმ დროს პარიზში ჩამოვიდა სსრკ ელჩი ბოგომოლოვი. მე მაშინვე ვაცნობე, რომ მისი ნახვა მინდა და ვთხოვე დაენიშნა ჩემთვის შეყრის დრო. მან თავისი მანქანა გამომგზავნა, რაც პირველად მეუხერხულა კიდევაც. ჩემ წასაყვანად იმ მანქანით მოვიდა პოლკოვნიკი ვ. ქართველი ემიგრანტი. მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ვაგონილი მქონდა, რომ ისა და მისი მეუღლე მოხერხებული საქმოსნები იყვნენ. გზაში მიიხრა. ბოგომოლოვს მე დავპირდი, რომ ევგენი გეგეჰკორსაც მიეუყვანდი, მაგრამ გეგეჰკორისათვის ეს არც გამიმხელია, ვინაიდან კარგად ვიცი, ის საბჭოთა ელჩს ჯერ ვერ ინახულებსო. ამ განცხადებამ კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ პოლკოვნიკი სიყალბეს არ ერიდებოდა. მივედი ბოგომოლოვთან. მან დიდად თავაზიანად მიმილო. განუცხადე, რომ განძეულობის საქართველოში დაბრუნების თაობაზე ვიყავი მისული. მან მიიხრა, ჯერ ვისაუზმოთ და საქმეზე კი. გინდათ საუზმის დროს ვისაუბროთ, გინდათ—შემდეგაო. მე საუზმობისას მოვახსენე ყველაფერი. მან მიიხრა, მაგ საქმეში ჩახედული არა ვარო და რასაც მერყევით. ყველაფერს აგისრულებთო. პოლკოვნიკი ვ. საუზმეზე გვერდით უჯდა ბოგომოლოვს. საუზმის ბოლოს ამოიღო უბიდან რაღაც დაწერილი და წაუკითხა. კარგად არ მესმოდა, რაში იყო საქმე, მაგრამ ერთს კი მივხვდი: ის თხოულობდა 50.000 ფრანკს. რომელიც ვითომც და დახარჯვოდა განძეულობის საქმეზე. ელჩმა ის დაწერილი გამოართვა და უბეში ჩაიღო. აშკარა იყო, ვ. რაღაც მანქანებით დაახლოვებოდა ბოგომოლოვს. რომელიც მას სიმპათიით უპყრობოდა.

ბოგომოლოვს, გარდა სიტყვიერი განცხადებისა, წერილობითიც წარუდგინე: ვთხოვდი. აღძრა განძეულობის დაბრუნების საკითხი. იმ დროს საფრანგეთის მთავრობის სათავეში ახალი ჩამდგარი იყო გენერალი დე-გოლი და ის საკითხიც, რა თქმა უნდა. მას უნდა გადაეწყვეტა. ბოგომოლოვმა მიიხრა. პირადად მე ვერ აუვხსნი დე-გოლს საქმის ვითარებას და ამიტომ კარგი იქნება, თუ მომცემთ ჯეროვან მოხსენებას, რომელშიც ყველაფერი განმარტებული იქნებაო. რა თქმა უნდა, დავწერე და გადავეცი ვრცელი მოხსენება დე-

გოლის სახელზე. ბოგომოლოვმა იგი მაშინ წარუდგინა, როდესაც ორივენი უნდა გამოფრენილიყვნენ მოსკოვს, საბჭოთა მთავრობის მეთაურთან. ომი ჯერაც გრძელდებოდა და საფრანგეთის საბოლოო ხსნა და შევლა დიდად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირზე. რასაკვირველია, დე-გოლს უარის თქმა არ შეეძლო და მანაც გასცა განკარგულება, რომ დაუყოვნებლივ დაგვბრუნებოდა განძეულობა. ამ საქმეზე ზრუნვა ბოგომოლოვმა მოგვანდო მე, კონსულს გუ-ზოვსკისა და საელჩოს საქმის მწარმოებელს.

მეორე დღეს გუზოვსკი მივიდა დოჟოვთან. რომელსაც ებარა ჩვენი ნივთები და მოსთხოვა დაბრუნება. დოჟოვი ამ მოთხოვნამ შეაშფოთა და მან განაცხადა, დე-გოლს ასეთი განკარგულების უფლება არა ჰქონდა. ეს საკითხი შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა გადაეწყვიტათ. გუზოვსკიმ უპასუხა, რა ნება აქვს მინისტრს თავმჯდომარის წინააღმდეგ წავიდეს, ის ხომ მას ექვემდებარება? თუ ზვალ გადაჭრილი პასუხი არ გაგიციათ ამის შესახებ, ტელეგრაფის გაუგზავნი დე-გოლს, რომ თქვენ მის ბრძანებას არ ასრულებთო. ამის შემდეგ კი დოჟოვმა, რაღა თქმა უნდა, ჩაგვაბარა მთელი განძეულობა მე და გუზოვსკის,.... მელაძისა და კ. ნიჟარაძის თანდასწრებით. გუზოვსკიმ დიდი ენერჯითა და მუყაითობით იმუშავა ამ საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, თავიდან მოვიშორეთ საქმოსანი ვ. გამოირკვა. რომ იგი დიდ სიყალბეს სჩადიოდა: დაერწმუნებინა ბოგომოლოვი, რომ განძეულობის დაცვის საქმეს დაახარჯა. ადვოკატს მისცა 50.000 ფრანკი. ბოგომოლოვს ეგონა, რომ იგი ჩვენ საქმეს იცავდა ობოლენსკის ქვრივის წინააღმდეგ, ნამდვილად კი ის ადვოკატი ქვრივს ესარჩლებოდა. ვუთხარი ვ-ს, ეგ დამცველი ჩვენ წინააღმდეგ გიქირავებია, საქმე წააგეთ. ამიტომ სასამართლოს ხარჯის ანაზღაურება დაგეკისრათ და ახლა გინდათ საამისოდ მიიღოთ 50.000 ფრანკი მეთქი?! ეს რომ გუზოვსკიმ გაიგო. მეტად გაუკვირდა და მანინვე ჩამოიცილა ვ..., აღარაფერი პასუხი არ გაუცია.

მთელი ჩვენი ქონება კარგად დაცული და მთლიანი აღმოჩნდა. ერთი ნემსიც არ დაგვეკლებია. შევედუქი ნივთების ჩალაგებას ყუთებში. საქართველოში წამოსაღებად. 25 ყუთი გავამზადე. მაგრამ შემდეგ ავად გავხდი და ნივთების ჩალაგება შეწყდა. ამასობაში პარიზს ჩამოვიდნენ საქართველოდან გაძოგზავნილნი. მათ შორის პროფ. შ. ამირანაშვილი. იგი თბილისა უნივერსიტეტში ჩემი პროფესორობის დროს სტუდენტი იყო და რასაკვირველია. კარგად მიცნობდა. მან მოათავა ჩემი დაწყებული საქმე — განძეულობის ჩალაგება ყუთებში. შემდეგ მოსკოვიდან მოვიდა ორი ამერიკული თვითმფრინავი, რომლებზედაც მოთავსდა მთელი ჩვენი განძეულობა. ჩვენი ავიამარბუტი ასეთი იყო: პარიზიდან მარსელში, მარსელიდან—რომში, რომიდან—ბენ-გაზიში (ჩრდილო აფრიკა), ბენგაზიდან—ქაიროში (ეგვიპტე). ქაიროდან—თეირანში (ირანი), იქიდან კი—თბილისში. პარიზიდან გამოეფრინდით 5 აპრილს და თბილისში ჩამოეფრინდით 11 აპრილს 1945 წლისა.

თბილისში განძეულობის აღწერა დაეკისრა აკად. ს. ჭანაშვილს. თვით ნივთები კი მოთავსდა საქართველოს მუზეუმში და სამხატვრო გალერეაში.

განძეულობის... წყერილი დაუმთავრებელია.

X. ივანე ჯავახიშვილი. მისი ლმწივლი ქართული უნივერსიტეტის.
დაარსების საქმეში

(მოგონების ხანით)

ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი და სამეცნიერო ღვაწლი ქართველი ერის მიმართ ფასდაუდებელია. იგი საოცარი, ერთობ რთული და საამაყო ყველა ქართველისათვის. მისი ჭეროვანად შეფასება და ამოწურვა არც ისე ადვილია. ამჟამად მე არა მაქვს საშუალება და შეძლება ვრცლად შევეხო მის ღვაწლსა და დამახსურებას. შევჩერდები მხოლოდ ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიაზე.

მაგრამ ჭერ საჭიროდ მიმაჩნია ორიოდ სიტყვით გავიხსენო მისი პიროვნება და მისი ადამიანობა.

იშვიათია კაცი, რომელსაც რაიმე ნაკლი არ ჰქონდეს. თუნდა სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილს კი, სანთლით რომ გეძებნათ, ვერაფერს ვერ აღმოუჩენდით. ის სრული ღირსების მქონე ადამიანი იყო: ზნეობით სპეტაკი. ზრდილი, ალერსიანი, თავდაბალი, კაცთმოყვარე და გულშემმატკივარი. ერასუჯადრის სიტყვას მისგან ვერ გაიგონებდით. ის შვილი გახლდათ ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი ოჯახისა, რომელიც გამსჭვალული იყო ქართული პატრიოტიზმით და საქართველოს კეთილდღეობისათვის შრომით. ივანე ჯავახიშვილს ბუნებით მომადლებული ჰქონდა დიდი ნიჭი, რის გამოც მან ჭერ კიდევ გიმნაზიაში და შემდეგ უნივერსიტეტში ადვილად შეითვისა ძველი და ახალი ევროპული და აზიური ენები. ამან მას მისცა საშუალება გასცნობოდა სათანადო ერების კულტურას და შეედარებინა იგი ქართულისათვის. უნარი მეცნიერული კვლევა-ძიებისა ივანემ სტუდენტობაშივე გამოიჩინა და მიიღო ოქროს მედალი. ყ

უნივერსიტეტის გათავების შემდეგ მან მთხოვა ნება მიმეცა რუსულად ეთარგმნა ჩემ მიერ გამოცემული „სიბრძნე ბალავარისა“ და, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით დავრთე. ის თარგმანი ოთხი წლის შემდეგ გამოვიდა.

1901 წელს ივანე ჯავახიშვილმა გამოცდები ჩააბარა და ქართული სიტყვიერების მაგისტრანტი გახდა. 1902 წელს ის ნიკო მართან ერთად გაემგზავრა სინას მთაზე ქართული ხელნაწერების აღსაწერად. ამან მისცა საშუალება ივანე ჯავახიშვილს გავარჯიშებულყოფილი ძველი ქართული ხელნაწერების კითხვაში. 1903 წელს მან დაიწყო ლექციების კითხვა, როგორც პრივატ-დოცენტმა. მის ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ესწრებოდა მრავალი ქართველი სტუდენტი იქაური სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა.

იმავე დროს ივანე დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა უნივერსიტეტის გარეშეც.

ეს ის წლები იყო, როდესაც ივანე შეთანხმებულად მუშაობდა ნ. მართან. მაგრამ შემდეგ, როდესაც მარის „იაფეტურმა თეორიამ“ უკიდურესი, ფანტასტიკური ხასიათი მიიღო და იწყო დღით-დღე ცვალებადობა, მის შემქმნელს ჩამოშორდნენ არა თუ გარეშე, რუსი და ევროპელი მეცნიერები, არამედ მისი შეგირდებიც— ადონცი, ი. ჯავახიშვილი და სხვ. მართალია, მათ შორის არ მომხდარა აშკარა კონფლიქტი, მაგრამ გულცივობა კი თანდათან გაძლიერდა...

1900-იან წლებში მოუხდა ივანეს მზადება თავისი დისერტაციისა „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება“. ხელმძღვანე-

ლობა ნ. მარს არ გაუწევია, რადგან ივანეს არც უთხოვია. ნაშრომს, ბევო ღირსებასთან ერთად, ზოგი ნაკლიცა აქვს; არ მოეპოვება ისეთი მტკიცე მეცნიერული ხასიათი, როგორც სხვა, შემდგომ გამოცემულ ნაშრომებს. ეს თვით ავტორმაც შეინიშნა წიგნის დაბეჭდვის შემდეგ. ნ. მარამ მიაბო, დისერტაციის დაცვისას (1907 წლის 13 მაისს. ე. თ.) ივანეს დიდად ჯენტლმენურად ეჭირა თავი და თვითონვე გულახდილად აღნიშნა ნაშრომის დეფექტები, ისე რომ ოპონენტებს — მე და ბარტოლდს—ბევრი აღარაფერი გვეჭონდა მისამატებელიო. ამიტომ მხოლოდ დადებითი მხარეები აღვნიშნეთ და დავძინეთ, რაკი ავტორმაც ვე აღიარა ნაკლოვანება, მომავალში იგი თითონვე გამოასწორებს. მეტადრე როცა წარმოადგენს სადოქტორო დისერტაციას, რომელიც უთუოდ უკეთესი იქნებაო.

მაგრამ სადოქტორო ნაშრომი სულაც არ წარუდგენია ივანეს და ამ გარემოებას მარი ვერაფრით ვერ ურიგდებოდა. ჩემთვის უეჭველი იყო, რომ ივანეს კარგად შეეძლო რუსულად წერა (ამას ამტკიცებდა მისი დაბეჭდილი სტატიები) [და არც მეორე დისერტაციის დაწერა გაუჭირდებოდა]. მაგრამ მას არ აინტერესებდა [იქ] სამსახურში დაწინაურება. მას უნდოდა დაეფუძნებინა სამეცნიერო კვლევა-ძიება ქართულ ენაზე, აღედგინა ქართული ეროვნული მეცნიერება; ქართულად ჰქონდა გამზადებული მრავალი ნაშრომი, რომლებიც ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ ზედისზედ დაიბეჭდა.

მართალია, ივ. ჯავახიშვილი 1903 წელს პრევატ-დოცენტად მიიწვიეს, ხოლო 1907 წელს მას მაგისტრის ხარისხი მიენიჭა, მაგრამ შემდეგ პროფესორად არჩიეს არა ის, არამედ ნ. აღონცი, რომელსაც დოქტორის ხარისხი ჰქონდა მიღებული. ამის გამო ერთ ქართულ გაზეთში გამოითქვა ვაკვირება, მაგრამ ის წერილი საქმის ვითარებას სისწორით ვერ ასახავდა და ივანე იძულებულად შეიქნა, თითონვე გაეფანტა [სხვა გაზეთში] ეკვი და აეხსნა ნაძვილი გარემოება⁸⁷.

ივანე ჯავახიშვილის სამოღვაწეო ასპარეზი საქართველო იყო და მისი პეტერბურგის უნივერსიტეტში დარჩენის საკითხი თითქმის მოიხსნა.

ყველა ამის გამო მიემართე ივანეს ვრცელი წერილით⁸⁸ და შეეთავაზე გადმოსულიყო თბილისში, მიეღო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეობა და იმ საზოგადოების სახელით დაეწყო კითხვა ლექციებისა საქართველოს [ისტორიისა და] კულტურის ყველა დარგიდან. თან ვატყობინებდი ჩემს განზრახვას დროებით საზღვარგარეთ გამგზავრებისა და ვწერდი, რომ საზოგადოებას იმხანად უკვე შეეძლო ნითიერად მისი [თავმჯდომარის] უზრუნველყოფა. ივანემ წერილითვე მაცნობა, რომ ჩემი წინადადების შესახებ მომელაპარაკებოდა პირადად, როდესაც თბილისში ჩამოვიდოდა, რადგან საკითხი მისთვის რთული იყო და წერილობით მას საცხებით ვერ ამოწურავდა.

ჩემი წინადადება გამოწვეული იყო იმ დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით, რომელსაც იჩენდა ივანე ჯავახიშვილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისამდ: ჩვენ მიერ ყოველი საყურადღებო ძეგლის აღმოჩენა თუ

⁸⁷ წერილი რედაქციის მიმართ: პრივ.-დოც. ნ. აღონცის პროფესორად არჩევის შესახებ გახ. „საქართველოს“ რედაქციის შემცდარი მსჯელობა და საქმის ნაძვილი გარემოების განმარტება, გაზ. „სახალხო ფურცლი“, 1916, № 709. 26. X, გვ. 3—4.

⁸⁸ ის ჩემი წერილი დაცულია ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში [ამჟამად არქივი იმყოფება ქ. კველიძის სახ. ბელნაწერთა ინსტიტუტში. გ. ლ.]

შეძენა მისთვის ნეტარება იყო. კერძოდ. ძნელი გადმოსაცემია მისი სიხარული, როდესაც მე მოვიპოვე ხელნაწერი „ხელმწიფის კარის გარიგებისა“ და წაუეკითხე მისი ზოგიერთი ადგილი. ივანე ყოველთვის ესწრებოდა საზოგადოების კრებას, როდესაც თბილისში იყო; კითხულობდა რეფერატებსა და საჯარო ლექციებს და ყველაფერში ხელს გვეწყობდა. თბილისში მისი გადმოსახლება და ლექციების სისტემატურად კითხვა ჩვენს საზოგადოებას ერთგვარი სახალხო უნივერსიტეტის ხასიათს მიანიჭებდა.

მას შემდეგ რომ ჩამოვიდა თბილისში, მე და ივანემ, ჩემთან მოსულმა, დაწერილებით მოვილაპარაკეთ ჩემი წინადადების შესახებ. ის პრინციპულად ყველაფერში დამთანხმდა. მაგრამ წარმოადგინა ერთი გარემოება, რომელიც მას დიდად აბრკოლებდა: თბილისში ვერ იშოვნიდა მთელ იმ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც მისი კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი იყო. ამაზე ვუთხარო, რომ მას დროგამოშვებით მიეცემოდა საშუალება პეტერბურგში მოვლინებისა და, ამას გარდა, შევეცდებოდით მისთვის საჭირო ახალი წიგნები გამოგვეწერა, რაც კი რამე გამოჩნდებოდა, ხოლო ძველ გამოცემათა გამონახვა და შეძენა მიგვენდო საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მეცნიერებისათვის. ივანემ ყოველივე ამაზედაც თანხმობა გამოიცხადა, ოღონდ, გადაჭრით უარა მიიხრა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გაძლიერებაზე. თავმჯდომარედ თქვენ უნდა დარჩეთო⁸⁹.

ამრიგად, ივანე შეუდგა სამზადისს თბილისში გადმოსახლებისათვის. ამისობაში რევოლუციური მოძრაობა კვლავ გაძლიერდა და ცარიზმი იძულებული გახდა გამოეცა. სხვათა გარდა, კანონი, რომლითაც ნებას რთავდა რუსეთის იმპერიაში კერძო უმალღეს სასწავლებელთა დაარსების. არა-რუსულ ენაზედაც. მაშინ კი პირდაპირ დაისვა საკითხი თბილისში კერძო ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა და ივანემაც მიჰყო ხელი სამისო მოქმედებას.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ცარიზმი დაამხატვრა. სულ მალე პეტერბურგში მოეფშა ივანე ჭავჭავიძელმა მოიწვია უნივერსიტეტის გახსნის საინიციატივო ჯგუფი. მისის პირველ რიცხვებში იგი გადმოვიდა თბილისში და თან ჩამოიტანა უკვე მზა წესდება ქართული კერძო უნივერსიტეტისა. მოვიდა ჩემთან. დაწერილებით გამაცნო ყველაფერი და მთხოვა მონაწილეობა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. თან დასძინა, რომ როდესაც შედგებოდა უნივერსიტეტის საბჭო. პირადად მე არჩეული ვიქნებოდი პროფესორად და მომენიჭებოდა დოქტორის ხარისხი *honoris causa*.

მაშინვე გადავწყვიტეთ 12 მაისისათვის მოგვეწვია [საქართველოში არსებულ] კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლების დიდი კრება, რომელიც თავის თავს გამოაცხადებდა უნივერსიტეტის დამფუძნებელ კრებად და შეუდგებოდა მისი გახსნის სამზადისს. იმ კრების თავმჯდომარეობა ივ. ჭავჭავიძელმა არაფრით არ იკისრა: მე მომხსენებელი ვარ და თავმჯდომარე უსათუოდ თქვენ უნდა იყოთო, მიიხრა. კრებას მრავალი წარმომადგენელი დაესწრო, ყველა დიდი სიხარულითა და აღტაცებით შეხვდა იმ საქმეს. დაეიწყებოდა. ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა ჩვენი მხცოვანი და დიდად დამსახურებული მეცნიერი. ქიმიის პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, რომელიც პირველად ნახული და გაეცნობილი მყავდა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან.

⁸⁹ ივ. ჭავჭავიძელი იმ საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ე. თაყაიშვილის საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ (1921 წ.) და 1927 წლამდე უძღვებოდა მას.

რასაკვირველია, მისი შემოსვლისთანავე შეეთავაზე კრებას. პროფ. მელიქი-
შვილი ავეერჩია საპატიო თავმჯდომარედ და ყველანი ტაშის კვრით შეხვდნენ
ამ წინადადებას. პეტრე გვერდით მომიჯდა, მაგრამ კრების გაძლოლა არ ისურ-
ვა და მთხოვა, მე ვამეგრძელებინა.

ივანე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ და წავიკითხა თავის მი-
ერ შედგენილი წესდება მომავალი უნივერსიტეტისა. ამის შემდეგ კრებამ
ერთხმად გადაწყვიტა დაარსება უნივერსიტეტის საზოგადოებისა და მის
წესდების შედგენა ივანე ჭავჭავაძის მიანდო. კრებამ თავისთავი უნივერ-
სიტეტის დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა და ამასთანავე დაადგინა უნივერ-
სიტეტის გახსნა 1918 წლის დასაწყისში.

1917 წლის 22 ივნისის კრებაზე დამტკიცდა ივ. ჭავჭავაძის მიერ შედ-
გენილი წესდება უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოებისა.

იმ საზოგადოებამ გამოიყო ორი—აკადემიური და ფინანსური—კომისია.
ფინანსურს დაეკისრა უნივერსიტეტისათვის სახსრების გამოძიება, ხოლო აკა-
დემიურს—მეცნიერული ორგანიზაციისათვის ზრუნვა. აკადემიურ კომისიაში
შევიდნენ: პ. მელიქიშვილი, ივ. ჭავჭავაძის შვილი, ე. თაყაიშვილი, ი. ყიფშიძე,
ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კვეციანი, დ. უზნაძე და ა. რაჭ-
მაძე. კომისიამ სხვადასხვა დროს 9 სხდომა ჩაატარა.

1917 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ ივ. ჭავჭავაძის
შვილი (თავმჯდომარე), ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. შანიძე, კ. კვეცი-
ანი და დ. უზნაძე, გადაწყდა ჭეშხონით დაარსებულიყო ერთი—სიბრძნისმეტ-
ყველების ანუ ფილოსოფიური—ფაკულტეტი, რომელსაც შემდეგ წელს მიე-
ძატიებოდა სხვები.

1918 წლის 13 იანვარს შედგა უნივერსიტეტის პირველი სხდომა, რომელ-
ზედაც იყო ბჭობა, თუ ვინ უნდა არჩეულიყო რექტორად. დეკანად და მდივ-
ანად ყველას გეინდოდა, რომ რექტორი ივანე ჭავჭავაძის შვილი ყოფილიყო, მაგ-
რამ იგი უარზე დადგა და წამოაყენა პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურა:
„ცნობილი მეცნიერია. რუსეთშიცა და საზღვარგარეთაც, და მისი არჩევა დიდ
პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსა“.

მისი წინადადების თანახმად, რექტორად არჩეულ იქნა პ. მელიქიშვილი.
დეკანად აირჩიეს ივ. ჭავჭავაძის შვილი, ხოლო მდივანად—იოსებ ყიფშიძე. ფაქტი-
ური რექტორი მანაც იყო ივ. ჭავჭავაძის შვილი, ურომლისოდაც პ. მელიქიშვილი
არაერთხელ მნიშვნელოვან საკითხს არ გადაწყვეტდა ხოლმე.

ამის შემდეგ, 1918 წლის 26 იანვარს (ძვ. სტილით). უამრავი ხალხის
დასწრებითა და დიდი ზეიმით გაიხსნა პირველი ქართული, კერძო უნივერსი-
ტეტი, რომელშიც თავი მოიყარეს რუსეთის უმაღლესი სასწავლებლებიდან
წამოსულმა ქართველმა პროფესორებმა.

1918 წლის 3 სექტემბერს თბილისის ქართული კერძო უნივერსიტეტი
გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტად. მაგრამ მენშევიკურ
მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩვენს უნივერსიტეტს, რომელიც მრავალ
დაბრკოლებას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, პროფესორთა დაუღალავი
მეცადინეობით ლექციების კითხვა მწყობრად და ჭეროვანად მიმდინარეობდა.
ოღონდ ერთმა ინციდენტმა, ცოტა არ იყოს. შეაჩუცა მდგომარეობა.

პირველი რექტორი, პეტრე მელიქიშვილი დიდი მეცნიერი და კარგი
ქართველი კაცი იყო, მაგრამ ერთი ზნე სჭირდა: მოკამათების. მის საწინააღ-

მდეგო აზრს ვერ ითმენდა და განრისხებული მიატოვებდა ხოლმე კრებას. გული რომ მოუვიდოდა, სერთუკის ლილების შეკვრას დაიწყებდა და ეს იმის ნიშანი იყო, რომ წასასვლელად ემზადებოდა. ერთ კრებაზე (მე არ დავსწრე-ბივარ. მაგრამ მისი მსვლელობა დაწვრილებით მიაბო ივ. ჭავჭავიძელმა) პეტრეს შეტაკება მოსვლია ოდესის უნივერსიტეტიდან ჩვენთან ჩამოსულ მუშა-კებთან, რომლებთანაც მას ოდესაშივე ჰქონია უთანხმოება; ძალიან გაჭაყრე-პულიყო და განეცხადებინა, რომ სულ მიატოვებს თბილისის უნივერსიტეტს, რექტორობასაც და პროფესორობასაც. ივანე ჭავჭავიძელმა მითხრა, ეს დიდი სკანდალი იქნება ჩვენი უნივერსიტეტისათვის და გვიშველე რამეო; მოელაპა-რაკე პეტრეს. შენი პატივისცემელია და დაგიჯერებსო: ნუ გვიზამს ამ საქ-მეს. ნუ დაიჟინებს; რექტორობისაგან გავათავისუფლებთ, მაგრამ პროფესო-რად უნდა დარჩესო.

მივედი პეტრესთან, რომელსაც დიდად ეამა ჩემი დანახვა. ეტყობოდა. შეწუხებული იყო იმ ინციდენტის გამო. დაეუწყე საუბარი და ავუხსენი; თუ რა ცუდ შედეგს გამოიღებდა უნივერსიტეტისათვის მისი მოშორება და ა. შ. ბოლოს ვუთხარი, თუ მინცდამინც საჭიროა, ეგების იმაზე კი დავთანხმობთ, რომ რექტორად აღარ იყვეთ, მაგრამ პროფესორად უთუოდ უნდა დარჩეთ და თქვენს ფაკულტეტს უნდა გაუძღვეთ მეთქი. ბოლოს დავძინე: ჩვენი უნივერ-სიტეტის დამამშვენებელი ბრძანდებით, ყველანი დიდი პატივისცემით შემოგ-ყურებთ: მენდვით, რომ ამას პირფერობით არ გეუბნებით და ნუ ინებებთ ოსეთ საქმეს, რომელიც თქვენ არ შეგეფერებათ და უნივერსიტეტს კი ვნე-ბას მოუტანს მეთქი.

წარმოიდგინეთ, პეტრეს გული ამოუჯდა, ცრემლები გადმოჟყარა და მი-თხრა: „დიდად გმადლობთ თანაგრძნობისათვის—თქვენი ყველაფერი მჭერაო“. აღდა და გადამკონა, მერე კი დასძინა, „რექტორობა არ შემიძლია და პროფე-სორად დავრჩებიო“.

მას შემდეგ ივანე ჭავჭავიძელი ამოვიჩიეთ რექტორად და ისიც იძულე-ბული გახდა დაგვთანხმებოდა, მიელო ეს თანამდებობა. ✓

ამრიგად დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. ამჟამად აღარა გვყავს მისი ჯაარსების მეთაური ივანე ჭავჭავიძელი—უებრო აღამიანი, პირველხარისხო-ვანი საზოგადო მოღვაწე, ბუმბერაზი მეცნიერი, ფუძემდებელი ქართული სიბ-რძნისმეტყველების და, კერძოდ, ისტორიის ყველა დარგისა. მის მიერ უხვად და-ტოვებული მეცნიერული მემკვიდრეობა არის ქვაკუთხედი, რომელზედაც, საპკოთა ხელისუფლების მეოხებით, ასე ფართოდ და დიდი წარმატებით შენ-დება დღეს ქართული მეცნიერების ყველა დარგი. ეს მშენებლები კი უმეტეს ნემოხვევაში ივანეს მიერ გაწაფული პროფესორები ან მათი შეგირდები არიან.

ივანე ჭავჭავიძელი უდროოდ მოშორდა საქართველოს მეცნიერებას, მაგ-რამ მისი ღვაწლი და სახელი ცოცხალია და ცოცხალი დარჩება.

დამატება

გაზეთ „დროების“ 1909 წლის მიწურულისა (29.XII) და 1910 წლის დამატების (9.1) ორ ნომერში დაბეჭდილია პოლემიკური წერილები გიორგი გვაზავას წინააღმდეგ. ეს წერილები ხელმოწერილია ფსევდონიმით ახალი. პროფ. ს. კაკაბაძის ცნობით, ახალი ექვთიმე თაყაიშვილის ფსევდონიმია (ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ეფუხისტყაოსანი, თბილისი, 1966, გვ. 154—155). სტილის მიხედვითაც დასახელებული წერილების თაყაიშვილისადმი მიკუთვნება ცილობას ვერ გამოიწვევს. ამიტომაც საჭიროდ დავინახეთ მათი აქ დამატების სახით გამოქვეყნება.

ა. ბ. ჯ. ჯიქიაძე.

სააღმნიშვნელი მარრი და ბ-ნი გვაზავა

(მცირე შენიშვნა)

ათასჯერ დაწერილა, რომ საქართველოში რაღაც სენად გადაეკტა ქართველების მიერ რუსულ გაზეთების გამოცემა. გაიძახიან. გესურს. ჩვენი თავსება ხალხს გავაცნოთო, მაგრამ, ევეკობ, რომ გარდა ქართველებისა, ამ გაზეთებს კიდევ ვინმე კითხულობდეს და თუ კითხულობს თქვენ მტერს. ჩვენ კარგად თავს ვერავის ვაცნობდეთ. აიღეთ მაგალითად. კვირის ნომერი გაზეთ „ნოვია რეჩი“-სა და წაიკითხეთ ბ-ნი გვაზავას წერილი „მეცნიერება და შარლატანიზმი“, რომელიც პროფ. მარრს და მის მეცნიერულ შრომებს ეხება. და დარწმუნდებით, რომ უარესად ქართველების გაცნობა უცხოელებისათვის შეუძლებელია.

„ვინ არის პროფ. მარრიო?“ ასე იწყებს თავის წერილს ბ-ნი გვაზავა და შემდეგ მოჰყვება პროფ. მარრის გინებას. თურმე ნუ იტყვით, ჩვენი, ქართველების, უბედურება იმაშია, რომ რაც ჩვენი ხელიდან გამოდის, ყველაფერი რაღაც „კალმზორი, მხეცური და სულელურია“; როდესაც ჩვენ რაიმე კარგ საქმეს ვაკეთებთ, მასთან ერთად უნდა ჩავიდინოთ ან „კოლოსალური სისულელე“ ან და „უაზრო იდიოტობა“. აი როგორ იხარჯება ბ-ნი გვაზავა პროფ. მარრის შესახებ.

მერე არ იტყვით რას გაუბრაზებია ისე ბ-ნი გვაზავა, რომ ლიტერატურული ზრდილობაც კი დაუკარგინებია? ბ-ნი გვაზავას წარმოდგენია, რომ ყველაფერს, რასაც კი ქართულ შემოქმედების და გენიოსობის ბეჭედი აზის, მარრი უარ-ჰყოფს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა; თუ უარ-ჰყოფს, ამასთან ერთად ლანძღავს და ათრევს ქართველობას და მის წარსულს. თურმე პროფ. მარრი პირდაპირ მეცნიერულ შარლატანობამდის მიდის. ყველა მისი შრომა მხოლოდ იმ აზრით არის დაწერილი, რომ დაამციროს მისი წარსული და მით ასიამოვნოს სომხებს. ამ მიზნის მისაღწევად, თურმე, პროფ. მარრი არაფერსა ჰზოგავს. თავის გამოკვლევებში არ ერიდება არავითარ საშუალებას, თვით გადამახინჯებასაც კი. ოღონდ წინდაწინვე დასახულ ტენდენციურ დასკვნამდის მიიყვანოს მკითხველი. საერთოდ ბ-ნი გვაზავას აზრით, პროფ. მარრის მეთოდი გამოკვლევისა სასაცილოა და ეჭვსაც კი ჰბადებს თვით პროფ. მარრის ქუთაონების სიმართლის შესახებ.

სასაცილოა, სამწუხარო და სამარცხვინო რომ არ იყოს ბ-ნი გვაზავას წერილი.

ადამიანმა, რომელსაც, როგორცა სჩანს. არა გაეგება—რა აღმოსავლეთის ხალხთა ლინგვისტიკაში, არქეოლოგიასა და თვით ისტორიაში; ადამიანმა, რომელმაც, როგორცა სჩანს. არა იცის რა ისტორიულ გამოკვლევის თანამედროვე მეთოდებზე: ადამიანმა, რომელსაც, მგონია, არც კი გაუგონია, რომ პროფ. მარტი ერთ-ერთ საუკეთესო ორიენტალისტად ითვლება დღეს არა თუ რუსეთში. არამედ თითქმის ევროპაშიაც, ისეთ მეცნიერად, რომელმაც მეტად დიდი უნარი გამოიჩინა მეცნიერულ შრომისა, მრავალი ძვირფასი გამოკვლევა გამოაქვეყნა და რომელიც დღეს აკადემიკოსად იქმნა არჩეული, რომლითაც უნდა ამოვხდეს ქართველობა როგორც თავის თანამოძმეთი,—ბნმა გვაზავს შარლატანად გამოაცხადა, მერე რისთვის? იმისათვის, რომ პრ. მარტი მუდამ იმის ცდაშია—ქართველობა და მისი წარსული დაამციროსო...

განა, მერე. მართალია ეს?

თუ არ წაუციბთხავს, ნუ თუ გაგონებით მაინც არ გაუგონია ბნ გვაზავს, რომ პროფ. მარტიმ მრავალი ძველი ქართული ლიტერატურული ნაშთი გამოაქვეყნა, რომ მათ შესახებ მეტად სერიოზული გამოკვლევანი დასწერა და ქართულ ტექსტების საშუალებით აღადგინა მრავალი დეფექტი ბერძნულ, სლავიანურ და სხვა ხალხთა ფრაგმენტებში, ტექსტები მათთვის უკვე დაკარგული. და ამით სხვა ერებისთვისაც და მათ მეცნიერებისთვისაც ძვირფასად გაჰხდა ქართული ფილოლოგია? თუ არ წაუციბთხავს, ნუ თუ არა გაუგონია რა ბნ გვაზავს პროფ. მარტის გამოკვლევათა შესახებ ქართულ ძველ ლიტერატურიდან? ან იქნებ მხოლოდ ბნ ჩანაშეილის წიგნაკებიდან იცნობს მათ? რომ წაუციბთხა. ანდა მხოლოდ სხვისგან მაინც გაეგონა. მინდებოდა, რომ ეს გამოკვლევანი ძვირფასი განძია ჩვენის, მეცნიერულ შრომებით ესეოდენ ღარიბ, ფილოლოგისათვის. ამას ეძახის ბნ-ნი გვაზავა მეცნიერულ შარლატანობას?

მაგრამ ესთქვით, ყველა ამაზე ბნმა გვაზავამ არა იცის რა, ნუ თუ პროფ. მარტის წიგნებს მაინც არ შეჰხვედრია, თუ გინდა გურიის მოძრაობის შესახებ ან და დეკ. ეოსტორიკოსის წინააღმდეგ დაწერილს? დარწმუნებული ვარ, მარტიც ეს წიგნაკებიც რომ წაუციბთხა ბნ გვაზავს, ეპვიც არ დაებადებოდა პროფ. მარტის სიძულელი ქართველებისა და მათ წარსულისადმი. და გაიგებდა, რომ მის მიერ „შარლატანად“ მონათლულ პროფ. მარტს უფრო ძლიერ უყვარს საქართველო და მისი წარსული, ვიდრე ბევრს ჩვენგანს. ყოველ შემთხვევაში ბნ მარტს უფრო მეტი დამამტკიცებელი საბუთი მოუცია ამ სიყვარულისა, ვიდრე ბნ-ნი გვაზავს და მრავალ სხვას, რომელთაც საქართველო მარტი პირზე აკერიათ.

ახლა ნახეთ, რა კილოთია დაწერილი მთელი წერილი ბნ. გვაზავის და რა ეპიტეტებით იხსენიებს იგი პროფ. მარტს. ზოგიერთი მარგალიტი უკვე ზევით მოვიხსენიეთ. აქ მხოლოდ დავუმატებთ, რომ ბნ გვაზავს, განათლებით იურისტს და პროფესიით ადვოკატს, სასაცილოდ არა ჰყოფნის აკადემიკოსის პარტის მეთოდები ისტორიის გამოკვლევისა და შედარებით ლინგვისტიკისა და ბოლოს იმ კადნიერ აზრადმისაც-კი მიღის, რომ ეპვი შეაქვს პროფ. მარტის ჭკუა-გონებაში...

სამწუხარო და სამარცხვინო მოვლენაა: ჩვენ თვითონ ვერ ვფასებთ ჩვენს მეცნიერებას! ორკეცად სამარცხვინოა ეს მოვლენა მით, რომ წერილი რუსულად არის დაწერილი და შესაძლებელია ვინმე უცხომ წაიციბთხოს იგი, ისეთმა, რომელიც იცნობს პროფ. მარტის მოღვაწეობას. რას იტყვის ეს უცხო ადამიანი? ვის ჭკუა-გონების სიმართლეში შეიტანს ეპვს?

ამგვარი წერილები სამწუხაროა თვითონ ჩვენთვის, თორემ პროფესორ პარკისათვის, ამ მართალ, ნიჭიერ და მშრომელ მეცნიერისათვის, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იგი, დარწმუნებული ვარ, ყურადღების ღირსად არ გახდის ასეთ წერილებს...

კიდევ ბ-ნ გვაზავას

ბ-ნი გვაზავა მაინც თავისას არ იშლის და კიდევ ცხარობს. თუმცა იმის მეორე წერილში ამ სიცხარეს ისეთი კანნიერი ხასიათი აღაჩა აქვს, როგორც პირველში ჰქონდა. კიდევ მეტი: ბ-ნი გვაზავა ღრმა მწუხარებასაც გამოსთქვამს თავის პირველ წერილის კილოს გამო. მოსაწონია, როდესაც აღაძინა თავის შეცდომას გულწრფელად აღიარებს. მაგრამ ბ-ნი გვაზავა მხოლოდ კილოზე ლაპარაკობს. დანარჩენში კი ისევ ჩიურობს და რჩიბთ გაიძახის: ფაქტობრივ მხარე ჩემი წერილისა არაეის დაურღვევია, არსებითად ჩემი შენიშვნების სიმართლე ყველა მიიღოვო. ახირებული და სიმართლეს მოკლებული წარმოდგენა! ჩვენ არსად არ დავსთანხმებოვართ ბ-ნ გვაზავას, ვერც დავეთანხმებოდით, ვინაიდან ის მართალი არ არის. და რომ დავეთანხმებოდით, მაშინ ზომ არც საპასუხო წერილს დავსწერდით.

მაგრამ გავიხსენოთ ბ-ნ გვაზავას წერილი და ჩვენი საპასუხო მცირე შენიშვნა, გავიხსენოთ, თუ რაში გამოვეყამათ ბ-ნ გვაზავას.

პირველი იყო კილო, ის კანნიერი კილო, რომლითაც გაუღენთილია მთელი პირველი წერილი ბ-ნ გვაზავასი. ჩვენ დავგმეთ ეს კილო და აღენიშნათ, რომ ამ მხრივ ბ-ნი გვაზავას წერილი ყოველგვარ ლიტერატურულ ზრდილობას არის მოკლებული. ეხლა თავის მეორე წერილში თვით ბ-ნი გვაზავა მწუხარებას გამოსთქვამს ამ კილოს შესახებ. მაშასადამე, არა ჩვენ დავეთანხმებთ ბ-ნ გვაზავას, არამედ ის დავეთანხმა ჩვენ.

მეორე იყო აზრი ბ-ნ გვაზავასი, თითქოს პროფ. მარტი. მეცნიერი კი არა, რაღაც შარალტანი იყოს. ჩვენ ანაზე ეუქასუხეთ, რომ პროფ. მარტი ნაწიდილი მეცნიერია და ამასთან მეტად სერიოზულ შრომების ავტორი და, თუ ეს ბ-ნმა გვაზავამ არ იცის, ეს მხოლოდ მისი სიჩაცხვილია. ეხლა კი თვით ბ-ნი გვაზავა ამბობს, რომ პროფ. მარტის დიდი ღვაწლი მიუძღვის მეცნიერების წინაშე, რომ პროფ. მარტის თავის გამოკვლევებით გაეცირებინა და აღტაცებულა შეუძლიან მოიყვანოს „არა მარტო «დროების» რედაქცია“ (აქ, აღბაღ, დიდი ენა-მახვილობა!). მაშასადამე, ბ-ნი გვაზავა ეხლა უკვე სხვა აზრისაა პროფ. მარტზე, ვიდრე წინად იყო. აქაც არა ჩვენ დავეთანხმებთ ბ-ნ გვაზავას, არამედ ის დავეთანხმა ჩვენ.

ღარაა მესამე საკამათო საგანი--ეს აზრი ბ-ნ გვაზავასი. თითქო პროფ. მარტი თავის მეცნიერულ გამოკვლევების საშუალებით განზრახ სცილობდეს დაამციროს საქართველო და მისი წარსული. ჩვენ ამაზედაც ეუქასუხეთ, რომ ეს აზრი შემცდარია, რომ ბ-ნი გვაზავა ალბად ზერელედაც არ იცნობს პროფ. მარტის მოღვაწეობას და შრომებს, თორემ ექვსაც არ შეიტანდა მის სიყვარულში საქართველოსადმი, საბუთებიც მოიყვანეთ ამ სიყვარულისა და ბოლოს, შორს რომ არ წავსულიყავით ჩვენი აზრის დასამტკიცებლად, დავასახელებთ სულ უბრალო, ყველასათვის ადვილად მისაწვდომი, პატარა წიგნაკები პროფ. მარტისა, სადაც აშკარად გამოსკვივის ეს სიყვარული.

საუბედროდ, ეს შემდარი აზრი შესახებ პროფ. მარბის სიძულვილისა საქართველოსადმი ბ-ნ გვაზავს არც ეხლა შეუცვლია. განვიხილოთ მას ის საბუთები, რომელიც მას მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად. ასეთი ვითომ-და საბუთი ბ-ნ გვაზავს აქვს სამი; ორი მოყვანილია პირველ იმის წერილში. და მ. ჭანაშვილისაგან არის ნასესხები. ერთი—მესამე—ბ-ნმა გვაზავამ ეხლა დაუმატა, თავისით.

პირველი საბუთი ეკუთვნის ისტორიისა და ლინგვისტიკის გამოკვლევათა მეთოდს. თუმცა ბ-ნი გვაზავა თავის მეორე წერილში გაიძახის, კი არქეოლოგია და ლინგვისტიკა კი არ მაინტერესებს, არამედ ნამდვილი ცხოვრებაო. მაგრამ თავის პირველ წერილში ის მაინც შეეხო ლინგვისტიკას და რამდენიმე მაგალითის მოყვანაც კი სცადა პროფ. მარბის გამოკვლევებიდან. ეს სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, ბ-ნი გვაზავა კი თავის მეორე წერილში გაიძახის, რომ მას ამ დარგში სპეციალური ცოდნა არა აქვს. აი, სწორედ ამანვე ვამბობდით, რომ ისტორიისა და ლინგვისტიკის თანამედროვე მეთოდების ცოდნა საჭირო იმისათვის, რომ სასაცილოდ აიგდო ადამიანმა პროფ. მარბი და მისი მეცნიერული შრომებიო. ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია გვესაყვედურებინა ბ-ნი გვაზავასათვის, რომ ის სპეციალისტი არ არის ისტორიისა და არქეოლოგიაში. ეს მას მხოლოდ წარმოუდგენია. ჩვენ მარტო იმას ვამბობდით და ვიმეორებთ კიდევ, რომ როდესაც ადამიანს ცოდნა არა აქვს რაიმე დარგში, როგორც ბ-ნი გვაზავას ისტორიასა, არქეოლოგიასა და ლინგვისტიკაში, მაშინ მან ამ საგნის შესახებ ხმა უნდა ჩაიკმინდოს და არა კადნიერად სიცილი აიტეხოს ცნობილი მეცნიერის გამოკვლევის მეთოდების შესახებ, როგორც ამას სჩადის ბ-ნი გვაზავა.

მეორე საბუთი ბ-ნ გვაზავასი ეხება რუსთაველს და მის „ვეფხისტყაოსანს“. ბ-ნი გვაზავას წარმოუდგენია, რომ რუსთაველისათვის დამამცირებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს პროფ. მარბის მიერ გამოთქმული აზრი. აქ „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტი სპარსულიდან არის ნათარგმნიო. რა ნახა რომელიცხვინო რუსთაველისათვის და სამწუხარო ჩვენთვის ბ-ნმა გვაზავამ, თუ ვინღ ეს აზრი მართალიც იყო და როდისმე დამტკიცდეს კიდევ? ნუთუ ბ-ნი გვაზავა პგონია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენთვის უმთავრესად ფაბულით არის საინტერესო? ჩვენ კი გვგონია, რომ რუსთაველის გენიალურ პოემაში ჩვენთვის ძვირფასია არა ფაბულა, არამედ ის აზრები, რომელიც მასშია გამოთქმული XII საუკუნეში. აზრები, რომელნიც დღესაც, XX საუკუნეში, სავსებით არ არის განხორციელებული და მთელი მოწინავე კაცობრიობის იდეალებს წარმოადგენს; რომ რუსთაველის პოემაში ჩვენთვის ძვირფასია ის შესანიშნავი ფორმა, რომელშიდაც ჩამოყალიბებულია შედარებით უბრალო სიუჟეტი, ის მხატვრული ნიჭი, რომელიც გამოიჩინა უკვდავმა შოთამ. განა ფაბულით განოზომება მხატვრულ ნაწარმოების მნიშვნელობა? მას გიოტეს „ფაუსტი“ არაფრად ღირებულა, რადგან მისი სიუჟეტი ნასესხებია; მას არაფრად ღირებულა დიდებული შექსპირი. რომელსაც თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში ფაბულა აქვს ნასესხები? არაფრად ღირებულა... მაგრამ აღარ განვაგრძობთ. კიბა აბაშიძისა არ იყოს, „ხელოვნებაში სრულიად უფიცი უნდა იყო და ლიტერატურაში არაფერი გაგება არ უნდა ჰქონდეს კაცს, რომ სიუჟეტის სესხებით დაათასოს მხატვრული ნაწარმოები“. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, რათა სურს ბ-ნი გვაზავას გზა დაუხშოს მეცნიერს ქვეყნის მკვლევარების კვლევა-ძიებაში?

+) ასევე შესაძლებელია, რომ ეს წერილი...

რათა სურს რაღაც შეათანა საუკუნეთა ბორკილებით შებოჭოს ამ კვლევადიების და ფაქტების შესწავლის შედეგად გამოთქმული აზრი, თუგინდ ეს აზრი ქართველების თავმოყვარეობისათვის რაღაც არა სასიამოვნო იყოს და ძველ ტრადიციულ შეხედულებას არღვევდეს? ნუთუ ბ-ნი გვაზავა ამით ქართველთა ამაღლებას ფიქრობს? ნუთუ მასა ჰგონია, რომ რაღაც საშვილისშვილო საქმეს აკეთებს? ჰერასტატის წარმოდგენა!

გადვიდეთ ეხლა ბ-ნ გვაზავას მესამე საბუთზე. ეს საბუთი ახალია. პირველ წერილში ამ საბუთზე კონტრე არ იყო დაძრული, ბ-ნმა გვაზავამ ის მხოლოდ ეხლა დაუმატა. ალბათ, პროფ. მარრის წიგნაკის წაკითხვის შემდეგ და უნდა მოგახსენოთ, რომ, რომ არ დაემატებინა—უკეთეს იქმნიდა, რადგან ეს საბუთი მეტად ახირებულა. ბ-ნი გვაზავა უსაყვედურებს პროფ. მარრს, 1801 წლის მანიფესტის მოყვანის დროს რათ არ მოიხსენიე ის, რომ აღუქმანდრე პირველმა რამდენჯერმე მოსთხოვა სახ. საბჭოს, ხელახლად განეხილა საქართველოს შეერთების საკითხი. ახირებული პრეტენზია, მეტი რომ არა ვსთქვათ! თავის შესამე წერილში ბ-ნი გვაზავა ალბათ უსაყვედურებს პროფ. მარრს, რათ არ მოიხსენია თავის მოკლე განხილვაში საქართველოს ისტორიისა კიდევ რაიმე ფაქტი. ეს კი იმის მიზეზია, რომ ბ-ნ გვაზავას ალბათ დაეფიქვებია, რომ პროფ. მარრის წიგნაკი, რომელზედაც ბ-ნი გვაზავა ლაპარაკობს, საქართველოს ვრცელ ისტორიის ანდა თუგინდ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოა კი არ წარმოადგენს, არამედ — პოლიმიკური წერილია, ცნობილ ვოსტორგოვის წინააღმდეგ მიმართული, და ამიტომ მასში ყველაფრის მითათვისება საქართველოს ისტორიიდან ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩვენ კიდევ დავუმატებთ, რომ პროფ. მარრის წიგნაკში კიდევ ბევრი ფაქტი არ არის აღნიშნული საქართველოს ისტორიიდან, მაგრამ განა ეს რასმეს ამტკიცებს? სრულიად არაფერს, ანდა, უკეთ რომა ვსთქვათ, ამტკიცებს, მაგრამ იმას, რომ პროფ. მარრს, გარდა მეტად სერიოზულ ძეცნიერულ შრომებისა, მოკლე პოლიმიკურ და კარგად დასაბუთებულ წერილების წერაც მშვენიერად ეხერხება.

მაგრამ კმარა: პასუხი მეტად გავვიკრთელდა, ვინაიდან ანბანურ ჰეშმარტებზე მტკიცება გავვიხდა საჭიროდ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან ერთი რამ კიდევ არ აღვნიშნოთ ბ-ნ გვაზავას წერილში ეს რა არალოტრატურული კილო, რომლითაც ბ-ნი გვაზავა ლაპარაკობს, რა სიტყვები არა აქვს ნახმარი: „სისულელე“, „тупое недомыслие“ და სხვ. ანა ასეფი სიტყვები ზრდილობიან წერილში რა მოსატანია? ანდა რად სჭირდება ბ-ნ გვაზავას ასეთ სიტყვების ხმარება? ნუ თუ იმისათვის, რომ შინაარსის სიღარიბე დასტავროს და ამ შინაარსის სიმჩატე ვითომდა გააძლიეროს? გვეგონია, მართლაც ასე უნდა იყოს. ამის დასამტკიცებელ საბუთებს კიდევ ვპოულობთ ბ-ნ გვაზავას წერილში. რა სიტყვები და წინადადება არ არის იქ ნახმარი: „პსიხოლოგიური პოლიუსი“, „ინაციონალური ორგანიზმი დადამბლებულ ნაწილის გაღვაწიზაცია“ და კიდევ ბევრი სხვა. აქლია მხოლოდ კლენიზაციათთან — ფარადიზაცია, არსონვალისაცია, ელექტრეტონი და სხვა. მაგრამ იმედია ბ-ნი გვაზავა შემდეგში მოიხმარს ამებეს.

მხოლოდ ერთი კი არ შეგვიძლია არ ვუკრიოთ ბ-ნ გვაზავას. პროფ. მარრე მის მეცნიერულ შრომებზე და მის მოღვაწეობაზე წერილის წერას თავი გაანებოს, ვინაიდან წელზევით ვერ ახტება და სასაცილო კი გახდება.

შინაარსი

წაწილი პირველი. მასალები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან	5
ექვთიმე თაყაიშვილი — ქართული მწერლობის მკვლევარი (აღ. ბარამიძე)	7
ვეფხისტყაოსანი	19
ელენე თარხან-მოურავისეული ვეფხისტყაოსანი	43
ომარინი	49
თამარიანი	57
აბდულმესიანი	58
[ალორძინების ხანის თაობაზე]	68
როსტომიანი	70
იოსებ-ზილიხანიანი	87
რუსუდანიანი	92
ბარამგურიანი	95
ბარამიანი	97
ქოლილა და დამინა	109
კათალიკოზ-ბაქრაანი	137
თიშარიანი	142
მირიანი	149
ზოგიერთი ძველი ხელნაწერების შესახებ	150
Рукописи Оксфордской библиотеки, приобретенные в Тифлисе Оливером Вардропом	153
ავტორი „საქართველოს ძველი დროის თავგადასავალისა“	164
მელის წიგნი	168
უნდა ვუშეულოთ ჭვარის მონასტერს	151
წაწილი მეორე. ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერები და მოგონებანი	175
აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მემორუალი და ავტობიოგრაფიული ნაწერების შესახებ (გ. ლომთათიძე)	177
I. ავტობიოგრაფია	182
II. [მასალები ავტობიოგრაფიისათვის]	186
III. [ბავშვობა და სიყმაწვილე]	189
IV. მოგონებანი	240
V. მცირე მოგონებანი (სტუდენტობისა, პედაგოგიური, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, თანამედროვეთა და თანამშრომელთა შესახებ)	290
VI. მოგონებანი	331
VII. ზოგიერთი მოგონება არქეოლოგიური და კერძოდ, გათხრითი მუშაობის შესახებ	368
VIII. [წაწვეტ-ნაწვეტი, გზა და გზა, სხვათა შორის]	381
IX. ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისათვის	400
X. ივანე ჯავახიშვილი, მისი ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში	414
დამატება	419
აკადემიკოსი მარტი და ბ-ნი გვაზავა	419
კილევ ბ-ნი გვაზავას	421

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ც. შალაშვიტი
ტექნოლოგიური ნ. ბოკია
კორექტორი თ. საშხიანი

გადაცა წარმოებას 30.8.1967; ხელმოწერილი დასაბეჭდად 17.4.1968;
ქაღალდის ზომა 70×108^{1/2}; ნაბეჭდი თაბახი 26.62; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 32.18; უჯ 01264; ტირაჟი 2000; შეკეთა № 1349;
ფასი 2 მხვ. 77 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15